



70137-18

2003 2

ფ

საყდროზე ძაღლისი ბავშვების
ფერწერული ხატი, ხე, XIII ს.

F 80 647



ღვთისმშობელი ჩვილელი
ფერწერული ხატი, მესტია, მუზეუმი, XIII ს.


თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და
კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილ გელოვანი

**დასავლეთ საქართველოს
მთიანეთი (სვანეთი)
XIX საუკუნეში**

ვუძღვნი მამაჩემს – არდეკან გელოვანს –
დაზადებინა 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ავტორი



ნაშრომში თანამედროვე გადასახედიდან კომპლექსურადაა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის – რაჭა-ლეჩხუმისა და, ძირითადად, სეპათის XIX საუკუნის ისტორია.

რამდენადაც საქართველოს ისტორიის, როგორც სამუალო, ასევე უმაღლესი სასწავლებლების სასულმძღვანელოებში, ამ რეგიონის შესახებ ძალზე მცირედი ცნობებია მოცემული, ეს წიგნი სერიოზულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მკვლევარებსა და, საერთოდ, მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი: ბერონტი ბასპიანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბივი ჯამბურია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზარნაოზ ლომაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გამომცემლობის

მთავარი რედაქტორი: ზაურ მოლაშხია

ამ წიგნის გამოცემაში უანგარო დახმარებისათვის გულითად მადლობას ვუხდის ბატონებს: საქართველოს პარლამენტის წევრს ივანე ტყეშელაშვილს, მესტიის საგზაო სამმართველოს უფროსს რეზო ტყეშელაშვილს, ამავე რაიონის საკრებულოს სპიკერს ნოდარ საბანიძეს, „ელვას“ გენერალურ დირექტორს ნოდარ ტყეშელაშვილს, ეკონომისტ ოთარ ტყეშელაშვილს; ქალბატონებს: ნაზი ბაქჩის ასულ ქობალიას და დარეჯან ბეძას ასულ გვიტიანს.

ავტორი

შესავალი

**„წმიდარ მთავარანგელოზო... აღიდენ მეფენი
ბაგრატიონიანი, დადიანი და დიდებულნი და
ერთობილნი საქართველო და ერთობილნი სანნი.“**

წარწერა გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე, XIII-XIV ს.ს. ლატალიის თაში, სოფელი ლაკილი.

I ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების წიაღში სიახლეთა მოცულობით XIX საუკუნეს ერთერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. მან ქართული ისტორიოგრაფიის გონსაწიერს ბევრი საფიქრალი და სამკალი მოუტანა. ამ სიახლეთა მთელი წყება დაიწყო აღნიშნული საუკუნის გარიჟრაჟზე, როცა რუსეთმა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია და ხელი მიჰყო დასავლეთ საქართველოს დიდ თუ პატარა პოლიტიკურ ერთეულთა თანდათანობით დაპყრობა-ხელში ჩაგდებას. ამის შემდეგ მთელი XIX საუკუნე წარიმართა რუსეთის მხრიდან საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალური და კულტურულ-რელიგიური დაპატრონებისა და ამის საპასუხოდ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიშნით.

ჯერ რუსეთის მიერ მთელი საქართველოს ანექსიის მრისხანე და საზარელი პროცესი, შემდეგ რუსული მმართველობის იძულებით დამკვიდრება, საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმება, ენის დევნა, ბატონყმობის უკუღმართი გაუქმება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ყიჟინა, ქართული კულტურული ცხოვრების ამოძირკვის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლის სუსხიანი დღეები და სხვა, მთლიანად შეეხო დასავლეთ საქართველოს მთიანეთს და, კერძოდ, სვანეთს. თუ როგორ წარიმართა აღნიშნული და სხვა მრავალი პროცესი უძველესი ქართული გენის ორგანულ და განუკვეთავ კუთხე სვანეთში, როგორი იყო მისი ხედი საერთო ქართული ცხოვრების თვალში, აი ამ პრობლემატური საკითხების კომპლექსურ ასპექტში წარმოჩენა და ობიექტურად გაშუქება არის წინამ-

დებარე ნაშრომის მთავარი ამოცანა. აღნიშნული ამოცანის განხორციელება, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო, ჯერ XIX საუკუნის რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის ქომაგი ანტიმეცნიერული შეხედულებებისა და შეფასებებისაგან, ხოლო შემდეგ საბჭოური პერიოდის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მარწუხებისაგან განთავისუფლები გაზე.

დღეს, როცა საქართველო დგას დამოუკიდებელი განვითარების ნანატრ გზაზე, როცა დღენიადაგ იზრდება ინტერესი მისი, როგორც უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის ისტორიულ წარსულისადმი, დიდ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნის ცალკეული კუთხეების, ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სვანეთის ისტორიის თანამედროვე მონახვევებითა და დონეზე დამუშავება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სვანეთის ისტორიის შესწავლას ჩვენი ისტორიკოსებისაგან ყურადღება არ აკლია. მათ გარკვეული სიტყვა უკვე თქვეს როგორც ადრინდელი, ისე შუა საუკუნეების და XIX საუკუნის სვანეთის ისტორიის რიგ საკითხებზეც, მაგრამ 70 წლის მანძილზე მკაცრი საბჭოური დოგმატიკური ჩარჩოები საკითხებისადმი ობიექტური მიდგომის, გაანალიზებისა და შეფასების სრულყოფილ საშუალებას არ იძლეოდა. მაგალითად, ესოდენ მნიშვნელოვანი რელიგიის საკითხი საერთოდ იგნორირებული იყო. ასეთ პირობებში, მკვლევართა სურვილის დამიუხედავად, საკითხები, ნაწილობრივ მაინც, ცალმხრივად, ტენდენციურად, რიგ შემთხვევაში, ბუნდოვნად და არასწორად მუშავდებოდა. რის გამოც ბევრი პრინციპულ-სერიოზული საკითხი სადავოდ რჩებოდა. აშკარად გამოიკვეთა ისიც, რომ დღეს სამეცნიერო ბრუნვაში არსებული ცალკეული დასკვნები, დებულებები, შეფასებანი საჭიროებენ გადასინჯვასა და შესწორებას. ამასთან ერთად, XIX ს. სვანეთის ისტორია ყოველმხრივ: – პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ-რელიგიურ ე. ი. ერთიან ასპექტში მონოგრაფიულად დღემდე არავის შეუსწავლია.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობით ჟღერს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის შენიშვნა რომ „დღეს საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება: პირველწყაროთა, ძველის თუ ნაგვიანეის, მონაცემებისა და მეცნიერთა მონაპოვრების ყოველმხრივი კრიტიკის ცეცხლში გატარება და აგრე გამობრძმედილი მასალის ურთიერთისადმი შეწყობა-შეთანხმება.

თუ ეს არა, მეტიხმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ.

ერთის მხრივ სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა მსოფლიოში ხმაგანთქმული „მითი“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმიდირის შესახებ, მის სამეურნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შემუშავებული. სასოფლო-სამეურნეო წესები (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ხით-ხურობის განსაცვიფრებელი ნიმუშები. ქვით-ხურობის საერო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის მჭედლობა და სამკაულთა ოქრომჭედლობა. უაღრესად განვითარებული ფერწერა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი ვითომც-და ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ.

დამეთანხმებით საკითხის აგრე დატოვება... ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა“ (ხაზგასმა ჩემია, ა. გ.). (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 67).

ზემოთ აღნიშნული, სვანეთის ისტორიის კვლევაში თავისებური გარდატეხის მომთხოვნი მრავალმხრივ საჭირო და საყურადღებო მინიშნებებთან ერთად, პატივცემული მკვლევარი ამჯობინებდა სვანეთის ისტორიის შესწავლას არა განყენებულად, არამედ ზემო, ქვემო „ჭუბერ-დალის სვანეთის“ და რაჭა-ლეჩხუმის“ რეგიონის ერთიან არპექტში (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 70), რადგან, მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ – „ერთი მაგალითის ნიადაგზე, შედარებითი შესწავლის გარეშე, წარმოდგენილი მახვილგონივრული დაკვირვებანი უკიდურეს შემთხვევაშიაც კი მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებული რჩებიან“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 375).

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილის ზემოთ მოცემული მითითებანი წარმოდგენდნენ დიდ შთამაგონებელ ძალასა და საფუძველს ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

წინამდებარე წიგნზე მუშაობას მოვანდომეთ 21 წელიწადი. მისი ძირი-

თალი შინაარსის გადმოსაცემად დაგვიგროვდა საკმაოდ დიდი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

წიგნი ეფუძნება მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, თბილისის, ქუთაისის არქივებსა და ქუთაისის, ზუგდიდის, მესტიის და სხვ. მუზეუმებში მოძიებულ და მოკვლელ დიდძალ დოკუმენტურ მასალას.

მოსკოვის ცენტრალურ ისტორიულ არქივში ჩვენს თემასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას შეიცავენ ფონდები: 677, 678 და 792. ამ ფონდებში თავმოყრილ დოკუმენტთა უმრავლესობა ეხება კავკასიის, მათ შორის სვანეთის ისტორიას – კერძოდ, ბალსქვემო ანუ ე.წ. „საბატონო სვანეთის“ ორ ფეოდალურ – ეცერიასა და ფარის სადადიშგელიანო სახლებს შორის სადავო საკითხებს. №792-ე ფონდში დაცულია ლობანოვ-როსტოვსკის მიერ ეორონცოვისადმი მიწერილი ვრცელი მოხსენება, რომელიც მთლიანად ეხება სვანეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ასახვას. ამ მოხსენების ძალზე მოკლე ვარიანტი ავტორს გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „კავკაზ“-ის ფურცლებზე. ლობანოვ-როსტოვსკის, როგორც სვანეთის თვითმხილველის, მოხსენებიდან საჭირო ცნობები გამოყენებულია ჩვენს ნაშრომში.

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში გამოვლენილ წყაროებიდან განსაკუთრებით ფასეულია ფონდები: №№106, 513, 560, 561, 573, 866, 1261, 1263, 1268, 1276, 1293, 1719 და სხვ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა ფონდები: 1152, 1263, 1268, 1286, 1293 და სხვ. აღნიშნულ ფონდების მრავალრიცხოვან საქმეებში მოკვლელი ახალი ცნობები და ფაქტები პირველად შემოდის სამეცნიერო ბრუნვაში. 1268-ე ფონდში (საქმეები: 8, 21, 64, 173, 931, 446 და სხვ.) დაცულია უმნიშვნელოვანესი ცნობები და ფაქტები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. აქვე იხსნება დადიშგელიანთა გვარის გენეალოგია შედგენილი პოლკოვნიკ პ. უსლარის მიერ. ფონდში №1263 (საქმე 5334) აღწერილია ოთარ დადიშგელიანის („ოთაროვების“) კუთვნილი მამული სოფ. ბეჩოში და მასთან დაკავშირებული მთელი საგადასახადო სისტემა. რამდენადაც, სვანეთის საგლეხო და საფეოდალო მამულების შესახებ ძალზე მცირე ცნობებია საერთოდ შემონახული, ამიტომ ამ საკითხზე შემოტანილ სიახლეთა მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ზემოთ დასახელებულ სხვა ფონდებში მიკვლელია საკმაოდ საინტერესო მასალა XIX ს. სვანეთის რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი

პერიოდის სხვადასხვა საკითხზე. ამ ფონდებიდან ზოგიერთი საქმის მასალები ადრეც იყო გამოყენებული სვანეთისადმი მიძღვნილ ცალკეულ გამოკვლევებში, მაგრამ ჩვენს მიერ შემოტანილი ახალი ცნობები და ფაქტები უფრო სრულყოფს და ამდიდრებს ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობის ბაზას.

ჩვენი ნაშრომის პირველწყაროთა მთავარი ბაზა მოპოვებულია თბილისის ცენტრალურ ისტორიული არქივის ფონდებში: №№1, 2, 3, 4, 5, 6, 118, 545, 1448 და სხვ. მასალებში.

სვანეთის საზღვრების საკითხის განხილვაში განსაკუთრებით გამოვიყენეთ ფონდი №2-ის, №4-ის (საქმე 4465) და №5-ე ფონდის მასალები.

რუსეთის მიერ სვანეთის ანექსიის საკითხებზე საინტერესო ცნობებს მივაკვლიეთ ამავე არქივის ფონდებში: 2, 4, 118 და სხვა საქმეთა მასალებში.

ცნობილია, რომ დადიშგელიანების ფეოდალური საგვარეულოს ისტორიასთან მთელი სიგრძე-სიგანით არის დაკავშირებული სვანეთის XIX საუკუნის ისტორია. ამ გვარის წარმომავლობას უშუალოდ უკავშირდება სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის არსებობისა და განვითარების საკითხები. ამიტომაც გადავწყვიტეთ, არ დაგვეტოვებინა აღნიშნული გვარის წარმომავლობა მხოლოდ „ლეგენდა-გადმოცემის“ დონეზე. მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის არქივებში მოძიებული მასალა შევაჯავთ თბილისის ცენტრალურ არქივის ფონდების №2, №8, №945-ში დაცულ სათანადო ცნობებით. ასევე, ამავე საკითხთან დავაკავშირეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის – Ros-284-ში დაცული თ. დადიშგელიანის მიერ 1887 წლის მარტში შესრულებული ჩანაწერები („დადიშგელიანების წარმოშობის შესახებ ეცერის უხუცესთა მონათხრობის მიხედვით“) და, ამ მასალათა გაანალიზების შემდეგ, შევადგინეთ დადიშგელიანების საგვარეულოს გენეალოგია, – მემკვიდრეობისა და ტერიტორიული მმართველობის პრინციპის დაცვით.

ფეოდალურ ურთიერთობის, საგადასახადო ვალდებულებების – ბატონყმობის გაუქმების, ასევე XIX ს. მეორე ნახევრის სოციალური მდგომარეობის ირგვლივ მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ თბილისის ცსსა ფონდები №2, 3, 4, 5, 416 და 545. ასევე აღნიშნული პერიოდის სვანეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ უხვი მასალების მომცველია ამავე არქივის ფონდი №4, №5, №454 და სხვ. შესაბამისი ხანის რაჭა-ლეჩხუმის შესახებ ცნობებს მოიცავს ფონდი №8 და სხვ.

მთელ XIX საუკუნის მანძილზე სვანეთსა და აფხაზეთს, ასევე სვანეთსა და სამეგრელოს შორის სასაზღვრო და აქედან გამომდინარე ე.წ. „საბა-ლაზო“ ანუ საძოვრების და სანადირო ადგილების ირგვლივ არსებულ სა-დავო საკითხებზე არა ერთი ახალი ცნობის ამოკრება შეუძლებელით ქუთაისის საისტორიო არქივის ფონდიდან №16, აქვე მივაკვლიეთ სვანეთში „ტყვის სყიდვის“ დამადასტურებელ უამრავ ფაქტს, მაგალითად, ფონდებში №8 და №173. აქვე ინახება აფხაზეთის, სამეგრელოს და სვანეთის მთავართა ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი მასალა (ფონდი №172). ამავე არ-ქივის №1 ფონდში დაცული საქმე №27 დიდად დაგვეხმარა სვანეთის თა-ვადებისა და აზნაურთა შესახებ ცნობების დადგენა-განსაზღვრაში.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმიდან ჩვენთვის ფასეული აღმოჩნდა სა-ბუთი №1969. იგი გვისაბუთებს მებატონე დადიშგელიანების მიერ საკუ-თარი მოგვარებისათვის გვარის ჩამორთმევით დასჯის შესახებ მეტად ახალ და საინტერესო ფაქტებს.

ნაშრომის პირველწყაროთა რიგში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთნე-ბა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ე.წ. ლი-ტერატურულ ფონდს №1899, დადიანების საგვარეულო ფონდს, საქმეები №1696, 1703, 7583, 7820, 7844, 7848 და სხვ. აქვე ინახება მოსკოვის სამ-ხედრო ისტორიული არქივის მასალები, რომელთაგან ჩვენთვის ძვირფას ფაქტებს შეიცავს საქმე №1976, 7410, 7751 და სხვ.

საარქივო მასალების პარალელურად საკვლევი თემის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ – „Акты собранные Кавказской археографиче-ской комиссией“. მიუხედავად იმისა, რომ მათში საკითხები რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისათვის სასარგებლო ჭრილში და ტენდენციუ-რად არის შესული, მაინც ინარჩუნებენ მნიშვნელოვან პირველწყაროს და-ნიშნულებას. ამ „აქტებიდან“ ჩვენ გამოვიყენეთ I, II, III, IV, VI, VII, VIII, IX, X, XI და XII ტომები, რომლებიც საკვლევ რეგიონის შესახებ, საკმაოდ მრავალგვარ დოკუმენტურ მასალას შეიცავენ. მათი კრიტიკული განხილ-ვით, სამეცნიერო ბრუნვაში საკმაოდ ბევრი საჭირო ფაქტის შემოტანა შეუ-ძლებელით.

საკვლევი პრობლემის წყაროთმცოდნეობითი ბაზის მნიშვნელოვანი ნა-წილი განეკუთვნება საბჭოებამდელ ისტორიოგრაფიას. მისი ძირითა-დი ნაწილი სვანეთს, მის წარსულს თუ აწმყოს ასახავდა ცარიზმის რეაქ-ციული და ასიმილაციური პოლიტიკის შესაბამისად, რომლებიც ამ კუ-

თხეს „პირველყოფილობის“, „ველურობის“, „ჩამორჩენილობის“ „არაქართელობის“, „არეულ რელიგიურობის“, „ზარმაცობის“, „ყაჩალობის“, „ლოთობის“ და, ვინ იცის კიდევ რა დამამცირებელ ზნე-ჩვეულებისა და ხარვეზების მქონე კუთხედ ასახავდნენ.

სვანეთის ისტორიის გაყალბების თავდაპირველი წარმომადგენლები იყვნენ რუსეთის სამხედრო მოხელეები: შახოვსკი, ლობანოვ-როსტოვსკი, ნ. კოლუბაკინი, ი. ბარტოლომეი, ა. გაგარინი, პ. უსლარი, გ. ლევაშოვი და სხვ. შემდეგში ამ თვალსაზრისს ავითარებენ: ი. ბერეზინი, ვ. ტეპცოვი, ა. ბოროზდინი, ა. სტოიანოვი, ა. გოლოვინი, მ. კოვალევსკი, ი. ივანიუკოვი, ბ. დეგენ-კოვალევსკი, ა. შელკოვნიკოვი, კ. გილევი, რ. ერისტოვი (ერისთავი), ნ. ჩიმაკაძე, ს. ესაძე, ი. კონევსკი, ი. პანტიუხოვი, ი. ტყეშელაშვილი, გ. რადე, ნ. დუბროვინი, ე. ფინი და სხვ. ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ მათ შრომებზე საუბრისაგან, მაგრამ სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც გვკარნახობს, რომ დასახელებულ ავტორთა გარკვეულ ნაწილს, მიუხედავად მათი სუბიექტური მიზანდასახულობისა, მაინც აქვთ ბევრი ისეთი ფაქტიც და ცალკეული ცნობებიც, რომელთაც საჭირო ფორმით გამოენახათ ადგილი ჩვენს ნაშრომში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულ მკვლევართა შორის XIX საუკუნეშივე გამოჩნდნენ შედარებით უფრო ობიექტური მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც აღიარებდნენ სვანეთში საზოგადოებრივი განვითარების წინსვლას, ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციას, ფეოდალური ურთიერთობის არსებობას და რიგ სფეროში კულტურის მაღალ დონეს.

თავისი მეცნიერული დაკვირვებებითა და ობიექტურობით აღსანიშნავია რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. თავის გამოკვლევაში „Сванетия“ მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოგვცა სვანეთის ცხოვრების დამახასიათებელი საერთო ქართული და სპეციფიკური თავისებურებანი. მან ჩამოაყალიბა ე.წ. „თავისუფალი სვანეთის“ სოციალური ურთიერთობის ევოლუციის შესახებ მისაღები დებულება, რომ XIX ს. ბალსზემო სვანეთის აზნაურობამ იმერეთის მეფეებისა და სვანეთის ერისმთავარ გელოვანების გავლენის შესუსტების შემდეგ დაკარგეს თავიანთი პრივილეგიები და ამით მან მოგვცა გასაღები XIX ს. ბალსზემო სვანეთის სოციალური ბუნების დასახასიათებლად.

XIX ს. სვანეთის სოციალური ბუნების, საეკლესიო ცხოვრების და სხვა არსებითი ზასიათის საკითხებში დ. ბაქრაძის შეხედულებები მისაღებად

მიიჩნია აკად. ექ. თაყაიშვილმა. ეს პოზიცია ნათლად ჩანს მის შესანიშნავ ნაშრომში – „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“, პარიზი, 1937.

ექ.წ. „თავისუფალ სვანეთში“ აზნაურთა პრივილეგიური ფენის არსებობას არ უარყოფდნენ: ე. კოვალევსკი, ნ. დუბროვინი, დ. დობროვოლსკი, ს. ავალიანი, ი. ივანიუკოვი, მ. კოვალევსკი და სხვ. მაგრამ მათი წარმომავლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველის ახსნა ვერ შეძლეს.

ბალსქვემო სვანეთში ბატონყმური ურთიერთობის არსებობას ხაზს უსვამდნენ: დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, ლობანოვ-როსტოვსკი, მ. კოვალევსკი, ს. ავალიანი, ს. ესაძე და სხვ.

მართალია, რომ საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია სვანეთის შესახებაც იწერებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წნების ქვეშ, რამაც გარკვეულწილად დაატყო მას მრუდე კვალი, მაგრამ ამავე დროს იქმნებოდა მეცნიერულად უაღრესად ძვირფასი ნარკვევები, რომლებიც ობიექტურად ასახავდნენ საკვლევი რეგიონის ისტორიულ წარსულს.

XIX საუკუნის სვანეთის ისტორიის კვლევას ჩვენ საფუძველად დავუდევით ამ კუთხის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების: ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და, განსაკუთრებით, ნ. ბერძენიშვილის ფუძემდებლური მოსაზრებანი.

ჩვენს ნაშრომში სათანადო ადგილი დაიკავეს აკადემიკოსების: ექ. თაყაიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, ნ. კეცხოველის, პ. გუგუშვილის, გ. ჩუბინაშვილის, ვ. ბერიძის, შ. ამირანაშვილის, გ. მელიქიშვილის, აკ. შანიძის, მ. ლორთქიფანიძის, დ. მუსხელიშვილის, ე. ხოშტარია-ბროსეს, ზ. ჭუმბურიძის, ასევე აკადემიის წევრ-კორესპონდენტების: შ. მესხიას, აკ. სურგულაძის, მ. დუმბაძის, ალ. რობაქიძის, ვ. ჯაოშვილის და სხვათა გამოკვლევებმა და სათანადო დასკვნებმა.

ნაშრომის სრულყოფაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესორების: მ. ქალდანის, რ. ხარაძის, შ. ჩხეტიას, გ. გველესიანის, ვ. ბარდაველიძის, ს. მაკალათიას, ს. კაკაბაძის, ო. სოსელიას, თ. ბერაძის, ნ. ასათიანის, ალ. ბენდიანიშვილის, მ. გეგეშიძის, გ. ჯამბურიას, ლ. მარუაშვილის, დ. ბერძენიშვილის, მ. ბერძენიშვილის, ა. კოჭლავაშვილის, გ. ძიძიგურის, დ. გოგოლაძის, რ. თოფჩიშვილის და სხვათა ნარკვევებსა თუ სტატიებში გამოთქმულ მოსაზრებებს.

ნაშრომში გათვალისწინებულია ისტორიკოს-ეთნოგრაფის ეგ. გაბლიანის, ეთნოგრაფების: ბ. ნიჟარაძის, ივ. მარგიანის, ლ. დადვანის, ჯ. რუხაძის, დ. კოპალიანის, შ. შუკვანის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტი ი. კვიციანის და სხვათა ცალკეული გამოკვლევები, ფაქტები და შეხედულებანი.

ცალკე უნდა გამოვყოთ სვანეთის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარების, განსაკუთრებით პროფ. გ. გასვიანის, ასევე პროფ. თ. მიხრუანის, პროფ. შ. ჩართოლანის, დოც. ა. ჩარკვიანის და სხვათა ნაშრომების მნიშვნელობა, რომელთაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სვანეთის, როგორც საქართველოს ისტორიის ორგანული ნაწილის, მთელი ისტორიის მეცნიერულ შეფასებაში.

სვანეთის სოციალური წარსულის გააზრებაში, უდავოდ დიდი დახმარება გაგვიწია სახელოვან ლიტერატურათმცოდნისა და ისტორიკოსის პ. ინგოროყვას უნიკალურმა კრებულმა და მისმა მეცნიერულმა კომენტარებმა „სვანეთის საისტორიო ძეგლები“ ნაკვ. II თბ., 1941, ასევე პროფ. ვ. სილოგავას ნაშრომებმა: „სვანეთის წერილობითი ძეგლები“, I, თბ., 1986 და „სვანეთის წერილობითი ძეგლები“, II, თბ., 1988 და სხვ.

აღნიშნულ მკვლევართა უმრავლესობამ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, სახელდობრ, სვანეთის შესახებ დაწერა ან ცალკეული გამოკვლევა, ან სტატია და გამოთქვა თავისი შეხედულებანი ამ რეგიონის ისტორიის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანის ნაშრომში მოცემულია საპირისპირო, რიგ შემთხვევაში, არამართებული მოსაზრებანი, ისინი მაინც ავსებდნენ და ხელს გვიწყობდნენ ამა თუ იმ საკითხის ახლებურად გააზრებაში.

საბჭოთა ისტორიკოსებიდან XIX ს. სვანეთის ისტორიის საკითხებს ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ეგ. გაბლიანი, რომელმაც 1925 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი „ძველი და ახალი სვანეთი“, ხოლო 1927 წელს მეორე — „თავისუფალი სვანეთი“. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს საკითხთა უმრავლესობა არასრულყოფილად აქვს გაანალიზებული, არასწორი და მიუღებელია მისი ცნობები სვანთა ეთნიკური კუთვნილების ზოგ საკითხზე, მისი ნაშრომებიდან ბევრი ფაქტი თუ ცალკეული დეტალი გარკვეული სიფრთხილით გვაქვს დამოწმებული ნაშრომში.

1930 წ. ლენინგრადში გამოიცა სვანეთის მკვიდრის ს. ნავერიანის ცნობარი — წიგნი „სამარშრუტო გზა სვანეთში“. მართალია, მეგზური განკუთ-

ენილი იყო ტურისტ-მოგზაურებისათვის, მაგრამ ავტორი მასში მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალასაც გვაწვდის სვანეთის ისტორიის მთელ რიგ საკითხებზე. კერძოდ, მასში დახასიათებულია მიწათმოქმედება, მესაქონლეობა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის ცნობები და დახასიათება ბალსქვემო სვანეთის – ლახამულა-თოთანას შორის მცხოვრებ მოსახლეობის შესახებ.

1933 წ. გამოვიდა ფ. სობოლის ნარკვევი „Верхняя Сванетия (социально-экономический очерки, М.-Л. 1933)“, რომელშიც ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებდა სვანეთის საზოგადოებრივი განვითარების ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს. მისთვის უცხოა მტკიცება, თითქოს „თავისუფალმა სვანეთმა არ იცოდა ფეოდალური ურთიერთობა“. ავტორი ასეთ დასკვნებს „ზედმეტად ნაჩქარევს“ უწოდებდა.

1937 წ. პარიზში გამოიცა ქართველი მეცნიერის, აკად. ექ. თაყაიშვილის ნაშრომი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ.“. ეს იყო სრულიად ახალი და უმნიშვნელოვანესი სიტყვა სვანეთის კულტურულ-რელიგიური ცხოვრების გამოძეურებაში. ავტორმა მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრა, რომ „სვანეთის ეკლესიებში დაცული საგანძურის ცხრა მეათედი თვით სვანეთშია დამზადებული ადგილობრივი ოქრომჭედლებისა და ხელოსან-მხატვრებისა და სხვათა მიერ.“ ავტორი ხაზს უსვამდა სვანეთში ოქრომჭედლობის მაღალ დონეს და ამით ამტკიცებდა აქაური მოსახლეობის კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე დგომას.

1939 წელს სახელოვანმა მკვლევარმა პროფ. ვ. ბარდაველიძემ გამოსცა თავისი შინაარსით საკმაოდ მნიშვნელოვანი წიგნი „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“. ამავე წელს გამოვიდა პროფ. რ. ხარაძის წიგნი „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში“, რომელიც მიეძღვნა სვანეთში არსებულ ოჯახის ფორმათა გადმონაშთების შესწავლას. ჩვენი აზრით, პატივცემულ ავტორს სვანური ოჯახი, მისი სტრუქტურა, მმართველობა და სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია დიდ ოჯახთან, არა სწორად აქვს წარმოდგენილი.

ჩვენი ნაშრომისათვის ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს გამოჩენილი ქართველი ხელოვნებათმცოდნეებისა და მათი სკოლის, ასევე გამოჩენილ მუსიკათმცოდნეების: გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ვ. ბერიძის, კ. მაჩაბელის, ნ. ალადაშვილის, გ. ალიბეგაშვილის, ა. ვოსლკაიას, ზ. ფალიაშ-

ვილის, დ. არაყიშვილის და სხვათა შრომებს სვანეთის ხელოვნებისა და კულტურული ცხოვრების ისტორიული თვალთახედვით შეფასებაში.

1957 წ. გამოვიდა პროფ. მ. დუმბაძის ნაშრომი „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, სადაც სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შეფასებაა მოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაშრომს სუბიექტური ელფერი ემჩნევა. მკლევარს არასწორი შეხედულება აქვს XIX ს. სვანეთის რელიგიურ მდგომარეობაზე და იმოწმებს რუსეთის ყველაზე რეაქციულ სამხედრო მსახურს შტაბსკაპიტან შახოვსკის იმის დასამტკიცებლად, რომ „სვანეთში ქრისტიანული რელიგია დაკარგული იყო“ (გვ. 253). ასევე არასწორი და ყოვლად უსაფუძვლოა ავტორის მიერ გააზრებული, ზემო სვანეთის სოფელ ლახამულის მოსახლეობის მონათვლა „ებრაელი ვაჭრებით დასახლებულ სოფლად“ (გვ. 65). სიმართლეს არ შეესაბამება აგრეთვე მისი მოსაზრება სვანეთში მეურნეობის განვითარების შესახებ, რომ იქ მიწათმოქმედებაში „უპირატესი ადგილი ეკავა ქერს“ (გვ. 57), თითქოს სვანეთში „არ არსებობდა მრავალმინდვრიანი სისტემა“, ვითომ სვანეთში შეუძლებელი იყო მორწყვა და სხვა. მიუხედავად ამისა, ავტორის დასახელებულ ნაშრომში, განსაკუთრებით რუსეთის მიერ სვანეთის შეერთებასთან დაკავშირებით, არაერთი საყურდღებო ფაქტი და დეტალი სწორად არის ნაჩვენები და ზოგიერთი მათგანი გამოგვადგა კვლევის პროცესში.

1959 წ. რ. კანდელაკმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სვანეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, სადაც ავტორს არაერთი საკითხი სწორად აქვს გააზრებული და საარქივო ფაქტებით განმტკიცებული, მაგრამ მისი დასკვნა, თითქოს თავისუფალ სვანეთში XIX საუკუნეში ფეოდალური ურთიერთობა „ის-ის იყო იჭრებოდა და გზას იკაფავდა“, ობიექტური მკვლევარებისათვის მიუღებელია, მით უფრო, რომ ამ მოსაზრებას მთელი უეჭველობით უარყოფს თუნდაც პ. ინგოროყვას მიერ გამოქვეყნებული „სვანეთის საისტორიო ძეგლები“. ასევე მიუღებელად გვესახება მისი მოსაზრება ქვემო სვანეთსა და სამეგრელოს სამთავროს სოციალური ურთიერთობის ნიველირების შესახებ.

1964 წ. გამოვიდა პროფ. რ. ხარაძის და ალ. რობაქიძის წიგნი „სვანეთის სოფელი ძველად“. ავტორებმა გარდა ამ წიგნისა, ბევრი გამოკვლევა უძღვნეს სვანეთის ეთნოგრაფიულ წარსულს, მიუხედავად მათი (განსაკუთრებით რ. ხარაძის) მეტიმეტი სუბიექტური და ტენდენციური შეხედულებისა „სვანეთის პირველყოფილური და გეოგრაფიული ყოფიერე-

ბის შესახებ“ (ლამის მატრიარქატის მრავალრიცხოვანი გადმონაშთების ცოცხლად შემორჩენის მტკიცებისა), მათ მოსაზრებებს ჩვენი ნაშრომისათვის მაინც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აღნიშნული წიგნი შეიცავს ზოგიერთ დოკუმენტურ და ეთნოგრაფიული ხასიათის მასალას. ამ მხრივ განსაკუთრებული უკიდურესობითა და უსაფუძვლო რეაქციული მოსაზრებით გამოირჩევა ვინმე ეთნოგრაფი ნ. ჩიმაკაძე, რომელსაც, ჩანს, ბიოლოგიური ზიზღით სძულდა სვანეთი და ათასგვარ გამოგონილ, ღვარძლიან სიმახინჯეს მიაწერს სვანებს, მათ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას. უნდა ითქვას ისიც, რომ მისი ბნელი აზრების უბრალო გამეორებაც კი უდიდეს უსიამოვნებას გვრის ნორმალურ ადამიანს, ამიტომ მასზე არაფერს ვიტყვით (იხ. ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ტ. II, განყ. IV, გვ. 1-36, 1913წ.).

1967 წ. გამოვიდა ა. ჩარკვიანის წიგნი „სვანეთი“, რომელიც ეხება სვანეთის სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ბატონყმობის ინსტიტუტებს სვანეთში, იქვე მოცემულია საგლეხო რეფორმის, თემის, გარესამუშაოზე გასვლის შესახებ მნიშვნელოვანი ფაქტები და მოსაზრებანი. მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ავტორის მოსაზრება XIX ს. სვანეთში მესაქონლეობის წამყვანი როლის შესახებ. ასევე, სადავოა ბევრი სხვა დეტალი და დასკვნები. მაგრამ ამავე დროს აღნიშნული ნაშრომი შეიცავს ბევრ საყურადღებო და მისაღებ დებულებას. განსაკუთრებით სვანეთის საზოგადოებრივი განვითარების შესახებ, რაც გაზიარებულია ჩვენს ნაშრომში.

ჩვენი ნაშრომის წყაროთმცოდნეობის ბაზაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს დათმობილი სვანეთში ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიების შედეგებს, რომელთა ფაქტობრივ მონაცემებზე დიდად იყო დამოკიდებული XIX ს. სვანეთის სოფლის მეურნეობის, როგორც მესაქონლეობის, ასევე მემინდვრეობის განვითარების სწორად გააზრება. ამ კუთხით ჩვენთვის ფრიად სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. შ. ჩართოლანის მრავალრიცხოვან ნარკვევებსა და სტატიებს.

სვანეთში საგლეხო რეფორმის გატარების შემდგომი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ირგვლივ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს მკვლევარი დ. ონიანის ნაშრომი „სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1850-1921 წლებში“ (1976). სამწუხაროდ, დ. ონიანს, ა. ჩარკვიანთან ერთად, არასწორად აქვთ აღნიშნული ზემო სვანეთის სოფელ ლახამულის მცხოვრებთა ეთნიკური კუთვნილება.

საგანგებოდ უნდა იქნეს აღნიშნული პროფ. გ. გასვიანის მონოგრაფიების: „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“, (1973 წ.), „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები“, (1979 წ.), „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“, (1999 წ.), „სვანეთის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა X-XVIII სს“ (რუსულ ენაზე) და სხვათა გამორჩეული მნიშვნელობა ჩვენი ნაშრომისათვის. ალბათ არ ჩავვეთვლება ტენდენციურობად თუ ვიტყვით, რომ ამ ნაშრომებმა ერთგვარი საეიტაპო და შემობრუნების როლი ითამაშეს სვანეთის ისტორიოგრაფიაში. მართალია, მანამდეც იყო გარკვეული მოსაზრებები, მაგრამ გ. გასვიანს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების სვანეთში „გვაროვნულობის“ თეორიის მოხსნაში, ასევე შუა საუკუნეების სვანეთის საზოგადოების ფეოდალური ურთიერთობის განსაზღვრა-გარკვევაში, სოციალური დიფერენციაციის, კერძო საკუთრების, მიწათმფლობელობის, აზნაურთა ანუ „ვარგთა“ სოციალური სტატუსის (უპირატესობის) დადგენაში. მანვე განამტკიცა დ. ბაქრაძის მიერ თავდაპირველად გამოთქმული მოსაზრება, რომ XIX საუკუნის ბალსზემო სვანეთში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობა გვაროვნული საზოგადოების უშუალო გაგრძელებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იყო შედეგი ადრინდელ პერიოდში ანტიფეოდალური გადატრიალებისა.

ამ ნაშრომებს ჩვენთვის გზამკვლევის მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ XIX ს. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სვანეთის ისტორიის კომპლექსურ შესწავლის დროს ზოგიერთი საკითხი შეიძლება განსხვავებულად იქნეს გააზრებული. სადავოდ მიგვაჩნია პატივცემული მკვლევარის დებულება სვანეთში მესაქონლეობასთან შედარებით მიწათმოქმედების მნიშვნელობის უპირატესობის შესახებ (გ. გასვიანი, „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1979, გვ. 30). თუმცა მკვლევარი იქვე დასძენს, „მიწათმოქმედების აუცილებელი კომპონენტი მესაქონლეობა იყო“, რომ „მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელი იყო არამარტო გამწვევი მუშა პირუტყვის გარეშე, არამედ ბუნებრივი სასუქის გარეშე.“ ეს კი ის სიმართლეა, რომლიდანაც გამომდინარეობს ჩვენი მოსაზრება, რომ სვანეთში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება ურთიერთსგანაპირობებდნენ, შერწყმულად ვითარდებოდნენ და სვანთა ცხოვრებაში ტოლფასოვან როლს ასრულებდნენ.

გასული საუკუნის 80-იან წლებიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო ე.წ. „გარდაქმნა“. მალე სსრკ დაიშალა და მასთან ერთად ისტორიის არენიდან გაქრა მარქსისტულ-ლენინური სულთამბუთავი იდეოლოგია. საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და გაჩნდა საშუალება ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ახლებურად გააზრებისათვის. ახლებურმა მეთოდოლოგიამ გზა გაიკვლია ხსენებული პერიოდის შემდგომ სვანეთისადმი მიძღვნილ ისტორიოგრაფიაში. თანამედროვე ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია 1991 წ. გამოცემული პროფ. გ. გასვიანის მონოგრაფია „ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან“. 1986 წ. პროფ. თ. მიბჩუანის ნაშრომი „მეგობრობის სათავეებთან“. 1989 წ. გამოცემული მისივე შრომა „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“. მართალია, პროფ. თ. მიბჩუანის ნაშრომები ჩვენს საკვლევ თემას მხოლოდ ზოგადად ეხება, მაგრამ მათში მოცემული ფაქტები, განსაკუთრებით სვანთა განსახლების საკითხზე ჩრდილოეთ კავკასიაში გზას გვიკვლევდა ამ საკითხის შემდგომ დაზუსტებაში.

1999 წ. გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. შ. ჩართოლანის მონოგრაფია „ძველი სვანეთი“, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაგვეხმარა ზოგიერთი საინტერესო საკითხის ახლებურად გააზრებაში.

ახალი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია პროფ. ა. ბენდიანიშვილის „საქართველოს ისტორია 1801-1922 წლებში“, რომელშიც თანამედროვეობის პოზიციებიდან არის განხილული ჩვენი თემის საკითხები, საგლეხო რეფორმა და 1875-76 წლების აჯანყება სვანეთში.

XIX ს. სვანეთის ისტორიის სწორად გააზრებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტი და დეტალი ახლებურადაა წარმოდგენილი პროფ. ნ. ასათიანის წიგნში „საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან XIX საუკუნემდე“. იგივე შეიძლება ითქვას პროფესორების: ფ. ლომაშვილის, მ. ვაჩნაძის და ვ. გურულის და სხვათა წამულო სკოლების ახალ სახელმძღვანელო წიგნებზე.

2000 წელს გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოც. ი. კვიციანის საინტერესო ნაშრომი „სვანეთი“, რომელშიც მოცემულია სვანური მეურნეობის ტრადიციული დარგის მესაქონლეობის რთული მეურნეობრივი სისტემის შესახებ. ნაშრომი უდავოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

გარდა ზემოთ აღნიშნული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურისა, ჩვენს წიგნში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორთა ნარკვევები და სტატიები სამეცნიერო ჟურნალებიდან.

წინამდებარე ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილია XIX საუკუნის და შემდგომი პერიოდის ბეჭდვითი ჟურნალ-გაზეთები: „საქართველოს მოამბე“, „კავკაზი“, „დროება“, „ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალნი“ და სხვ. ასევე „თემი“, „იმერეთი“, „ახალი სვანეთი“, „კოლხიდა“, ჟურნ. „აია“, „ლილეო“ და სხვ.

აღნიშნული პრესის ფურცლებიდან განსაკუთრებული ნდობით ვეკიდებოდით სვანეთის თვითმხილველ ავტორთა სტატიებს.

XIX ს. სვანეთის ისტორიისათვის ფასდაუდებელია ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და სხვათა მიერ პრესაში გამართული ბრძოლა სვანეთში რუსეთის ასიმილატორულ-რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. აკ. წერეთლის ისტორიული სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისში თვითმპყრობელურ სასამართლოზე ხალდეს აჯანყებაში მონაწილე სვანთა დასაცავად.

ხშირად მივემგზავრებოდი ჩემი მშობლიური კუთხის ცოცხალ მემატინე-მეისტორიე ხანდაზმულ ადამიანებთან შესახვედრად. უეჭველია, რომ წიგნებიდან ისეთ შთაბეჭდილებას და სინამდვილის განცდას ვერ მიიღებს მკვლევარი, როგორც ეს სვანეთის თვითმხილვისა და ადამიანებთან უშუალოდ შეხვედრის დროს ხდება.

ვცდილობდით, ივ. ჯავახიშვილის მიერ ნაბოძები წესების დაცვით (იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1976, გვ. 22-29), ზუსტად ჩაგვეწერა ყოველივე და სათანადოდ გაგვეანალიზებინა ჩანაწერი. ასეთი მეთოდი დიდად დაგვეხმარა წიგნზე მუშაობაში.

წინამდებარე წიგნზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობამ, სამეცნიერო ლიტერატურის სათანადოდ შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სვანეთის ისტორიის წარსულის კვლევისას გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობოდა ამ კუთხის ყოფაში შემორჩენილი წარსულის გადმონაშთური მოვლენებისა და სპეციფიკური მხარეების შესწავლას, რამაც გარკვეულწილად ჩრდილში მოაქცია მთისა და ბარის, ამ შეთმხვევაში სვანეთისა და მშობლიურ საქართველოს ბარის რაიონთა განვითარების საერთო კანონზომიერებანი. აღნიშნულმა მეთოდმა კი საგრძნობი გავ-

ლენა მოახდინა XIX საუკუნის სვანეთის საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილად წარმოჩენაზე, ვიდრე სინამდვილეში იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანეთის ჩამორჩენილობის თეორიას საფუძველი დაუდო გასაბჭოებამდელმა რუსიფიკატორულმა ისტორიოგრაფიამ, რომლის მიზანი იყო, როგორც ეს ზემოთ მივუთითეთ, აესახათ სვანეთი, როგორც უკიდურესად „ჩამორჩენილი“, „ველური“, „არაქრისტიანული“, „არა ქართული“ კუთხე, სადაც რუსებს შეაქვთ ნამდვილი „ცივილიზაცია“ და შემდეგ კი საბჭოური პერიოდის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელმა მეთოდმა, რომ ყოველივე სიკეთე „ეგრერიგად ჩამორჩენილ სვანეთში“ შეიტანა მხოლოდ საბჭოთა წყობილებამ. მაღლი ღმერთს, ორივე პერიოდში ობიექტური ისტორია ობიექტურ მკვლევართა წყალობით გადარჩა.

ამასთან ერთად, საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი აქვს სვანეთის სხვადასხვა, კერძოდ, ქვემო ანუ ე. წ. სადადიანო, ბალსქვემო ანუ ე. წ. საბატონო და, შეიძლება ითქვას, ბალსზემო ანუ თავისუფალ სვანეთს შორის საზოგადოებრივი განვითარების გადაჭარბებულად განსხვავებულობის მტკიცებას. ცხადია, მთისა და ბარის საზოგადოებრივი განვითარების დონის ერთიადიმავე საზომით განსაზღვრა არამართებულია, ეკონომიკური თვალსაზრისით მთა, ამ შემთხვევაში სვანეთი, ბარის ბუნებრივი ვასალი იყო, მაგრამ თვით მთაში-სვანეთში-ქვემო და ბალსქვემო სვანეთის გეოგრაფიული გარემო არც იმდენად განსხვავებულია, რომ მას შიდა ფეოდალური განვითარების აშკარა – ზოგიერთ სამეცნიერო ნარკვევებში მოცემული – არსებითი ხასიათის განსხვავება გამოეწვია. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის მკვლევარ სპეციალისტთა ნაწილი თვით ზემო სვანეთის ბალსზემო და ბალსქვემო ნაწილების სოფლების მეურნეობებს შორისაც კი არსებით სხვაობას უარყოფდა. მაგალითად, ე. კალვეიტი წერდა: „ყოველშემთხვევისათვის აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ასეთი წესი კულტივირებულ მცენარეთა გავრცელებისა-აღმოსავლეთში-მკაცრ კლიმატთან შემგუბებელი და დასავლეთში – უფრო სითბოს მომთხოვნი, ირლვევა შუა სვანეთის ძირითად საზოგადოებების ამადლებულ ადგილზე მდებარე სოფლების მეურნეობებით. ასე მაგ., იფარის საზოგადოების სოფ. ადიში მდებარეობს 7000 ფუტამდე სიმაღლეზე, მაშინ, როცა ამავე საზოგადოების დანარჩენი სოფლები, გარდა იელისა (5870), განლაგებულნი არიან 5000 ფუტის სიმაღლეზე; კალის საზოგადოების სოფელი ახალი იფრარი (ხალდე)

მდებარეობს იგივე სიმაღლეზე – 6900, რომელზეც არის უშგულის საზოგადოების სოფ. ყიბიანი და ბოლოს, ბეჩოს საზოგადოებაში, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 4300-5000 ფუტის სიმაღლეზე, გულის დასახლებების ტერიტორიის მიდამოებში არის ჯგუფი პატარა სოფლებისა, რომელთა სახნავეები ასევე აღწევენ 6800 ფუტ სიმაღლეს“... ავტორი დაასკვნის, რომ „ზემოთ ჩამოთვლილ სოფელთა მინდვრის მეურნეობა არაფრით არ განსხვავდება უშგულის საზოგადოების მეურნეობისაგან“ (Э. Кальвейт, Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, ЗКОИРГО, кн. XXVI, вып. 9-й, Тиф., 1911, გვ. 12-13). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთს შორის გეოგრაფიულ კლიმატური პირობები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ბალსქვემო ბატონყმობა ადრიდანვე განვითარებულიყო, ხოლო ბალსზემოში ფეოდალური ურთიერთობა მხოლოდ XIX საუკუნეში დაწყებულიყო. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია XIX ს. ქვემო ანუ ე. წ. სადადიანო სვანეთში დადიანების, როგორც სამეგრელოს მთავართა პოლიტიკურ („ხელმწიფური“) უფლებაკომპეტენციურ და დადიანების (მთავრების) მიწათმფლობელობის მასშტაბებზე. ჩვენი მტკიცებით, XIX საუკუნის დასაწყისშიც, ვიდრე რუსეთმა არ გააუქმა იმერეთის სამეფო, დადიანებს ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში სრული უფლებები არ ჰქონდათ განმტკიცებული. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მთავრებს ლეჩხუმ-სვანეთზე მოდავე უკვე არავინ ჰყავთ და, წინანდელთან შედარებით, უფრო განიმტკიცეს თავიანთი პოზიციები. ისინი მეტ-ნაკლები უფლებით ფლობდნენ ცხენისწყლის სვანეთის სამივე საზოგადოებას. მათ უშუალო საკუთრებაში ე. ი. პირდაპირ კუთვნილებაში იყო ლენტეხის თემი მთლიანად და ლაშხეთის თემის სოფელი სასაში. ხოლო მთელს დანარჩენ ქვემო სვანეთში ბატონობდნენ გელოვანები და გარდაფხაძეები, რომლებიც აღიარებდნენ დადიანებისადმი ვასალურ დამოკიდებულებას.

ნაშრომში გამოკვლეულია რომ ქვემო სვანეთის (ლენტეხის თემის) გლეხები ოდიშის გლეხობასთან შედარებით; საგრძნობლად მსუბუქ ვალდებულებებს ასრულებდნენ. ამ ფონზე, უარყოფილია დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, ქვემო სვანეთსა და სამეგრელოს სამთავროს გლეხობის პირადი და საადგილმამულო ვალდებულებათა ნიველირების შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოციალური ურთიერთობა ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთში. ჩვენც შევეცადეთ წარმოგვედგინა ამ საკითხის ობიექტური სურათი. ნაშრომში მოცემულია XIX ს. 30-იან წლებიდან რუსიფიკატორ-სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეთა მიერ, მანამდე არ არსებული ბალსზემო სვანეთისათვის „თავისუფალი“ და ბალსქვემო სვანეთისათვის – „საბატონო“ სვანეთის სახელწოდებათა შემოღება. აღნიშნული საკითხის უფრო სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, შესწავლილია დადიშგელიანთა გვარის წარმომავლობა, ეტიმოლოგია და გენეალოგიაც. ჩვენი მოსაზრებით, დადიშგელიანები არ არიან დაღესტნიდან მოვლენილი მუსლიმანური წარმოშობისანი, როგორც ამას ამტკიცებდნენ რუსი შოვინისტ-ასიმილატორი კალმოსნები, არამედ ისინი არიან ქართულ-სვანური წარმოშობისანი. ბალსქვემო სვანეთში მებატონე დადიშგელიანთა მიერ შემოღებულ და დაწესებულ მძიმე საგადასახადო სისტემის დახასიათებასთან კავშირში განხილულია „ტყვეთა სყიდვის“ საკითხიც და გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ „ტყვეთა სყიდვა“ არ იყო მხოლოდ ფეოდალური საზოგადოების „კლასობრივი ბრძოლის“ ჩარჩოებში ტყევადი მოვლენა, არამედ ეს იყო უფრო შორს მიმავალი საერთო საზოგადოებრივ სენად ქცეული ტრაგედია. ამასთან ერთად მოცემულია დადიშგელიანთა მიერ წესად ქცეული, როგორც საკუთარი, ისე სხვა თემთა წარმომადგენლების დასჯა გვარის ჩამორთმევა-დაკნინების მიზნით და სხვა საკითხები.

რაც შეეხება ბალსზემო სვანეთს, იქ XIX საუკუნეში საზოგადოება დამოუკიდებელ თემებად („კევებად“) და ცალკეულ სოფლებად იყო დაქუცმაცებული. იგი სოციალურად ორ წოდებად-გლეხებად და აზნაურებად იყოფოდა. თავადი („ფუსად“) აქ არ იყო. აზნაურები „სიმბოლური“ ანუ მცირედი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თავისუფალი გლეხების გარდა იყვნენ შინა ყმები“, რომლებიც წყაროების თანახმად, ძალიან ძვირად იყვნენ ნაყიდი. ბალსზემო სვანეთში. საკვლევ პერიოდში ასეთი თავისებური, ბალსქვემო და ქვემო სვანეთისაგან განსხვავებული ვითარება, ჩვენის აზრით, იყო შედეგი ადრინდელ პერიოდში ანტიფეოდალური გადატრიალებისა.

ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი XIX საუკუნის სვანეთის ეკონომიკურ მდგომარეობას. მართალია, სვანეთში მეურნეობისათვის გამოსაყენებელი მიწის სიმცირე, შედარებით მძიმე კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო არ იძლეოდა მრავალფეროვანი მეურნეობის მაღალ დო-

ნეზე განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ არსებული პირობების მიხედვით, იქ მიწათმოქმედების კულტურა მაღალ დონეზე იდგა, რასაც აღიარებდა XIX ს. არაკეთილმოსურნე თვითმხილველ ავტორთა უმრავლესობაც კი.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის მიღებულია მოსაზრება თითქოს სვანეთში არ შეიძლება არსებულიყო სამმინდვრიანი, მით უფრო მრავალმინდვრიანი სისტემა და არ წარმოებდა მორწყვა. XIX ს. თვითმხილველ ავტორთა უმრავლესობის, ასევე საკმაოდ მრავალრიცხოვან თანამედროვე ავტორთა და საარქივო წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საკვლევ პერიოდშიც, ისევე როგორც ისტორიულად, სვანეთში არსებობდა სამმინდვრიანი და მრავალმინდვრიანი სისტემა. ასევე წარმოებდა როგორც სათიბების, ასევე რიგ შემთხვევაში, მარცვლეული კულტურების მორწყვა.

მემინდვრეობა და მეცხოველეობა სვანეთის უმთავრეს დარგებს წარმოადგენდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ფიგურირებს აზრი, რომ სვანეთის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა. ჩვენი მოსაზრებით მეცხოველეობა სვანეთში XIX საუკუნეშიც მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ ის არ იყო უპირველესი დარგი. ხანგრძლივი (6-7) თვე საზამთრო საძოვრების არარსებობა და საქონლის ბაგური კვება, მცირე მოცულობის სათიბები, მოუხერხებელი კომუნიკაციები და სხვა აფერხებდა მესაქონლეობის ფართო განვითარებას. კერძო მოსახლე გლეხს თითქმის არ ჰყავდა ჯოგი, რაც დამახასიათებელი იყო მხოლოდ თავადების – დადიშგელიანების, გელოვანებისა და გარდაფხაძეებისათვის, რომლებიც ფლობდნენ საკმარის მუშა ძალას, სათიბ-საძოვარ მიწა-წყალს და გამოსაზამთრებლად საჭირო ნაგებობებს. ამასთან იყენებდნენ გლეხებზე გამოსაზამთრებლად საქონლის მიბარების უფლებებსაც.

ამასთან ერთად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სვანეთში, გარკვეული მდგომარეობის გამო, ერთმანეთს განაპირობებდნენ, მათ მხოლოდ და მხოლოდ შერწყმულად (სიმბიოზურად) შეეძლოთ არსებობაც და განვითარებაც. ამავე დროს ისინი, ფაქტობრივად, ტოლფასოვან როლს ასრულებდნენ მოსახლეობის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მემინდვრეობასა და მესაქონლეობასთან ერთად სვანეთში განვითარებული იყო მეფუტკრეობა („ლილობ“) და მეფურინველეობა („ლიქთალარი“, „მეპორიელ“). მათ შორის მეფუტკრეობა სვანეთის ეკონომიკაში შედარე-

ბით სერიოზულ, ხოლო მეფრინველეობა მცირე როლს ასრულებდა.

XIX ს. სვანეთის ეკონომიკაში დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა ნადირობა („ლითხვარ“, „ლითხვიერ“), მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ლიტერატურაში გადაჭარბებულია მისი როლის შეფასება, თითქოს სვანეთს ნადირობის გარეშე არსებობა არ შეეძლო.

ნადირობის მონათესავე დარგს წარმოადგენდა მეთევზეობა („ლიკგლ-მახი“), რომელიც სვანეთში ძალზე მცირე მასშტაბით ხასიათდებოდა, რაც თავისთავად განაპირობებდა მის უმნიშვნელო როლს ეკონომიკაში.

საკვლევი ხანის სვანეთში შედარებით მაღალ დონეზე იდგა საოჯახო მრეწველობა. სვანი მოსახლეობა ადრიდანვე დაუფლებული იყო სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებას. ნატურალური მეურნეობის პირობებში მოსახლეობა ადგილზევე ამზადებდა ყველა იმ საჭირო იარაღსა და ნივთს, რაც მისი არსებობისათვის იყო აუცილებელი. აღსანიშნავია, მჭედლობის, ხითა და ქვით ხურობის, საოჯახო ფეიქრობის-შალეულის დამზადება, ჭრა-კერვის, ქსოვის, ქარგვის, ტყავის დამუშავების, საპნის დამზადებისა და სხვათა მაღალი დონე.

სვანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გარე სამუშაოზე გასვლა. ის იყო არამხოლოდ ეკონომიკური სიდუხჭირის შემსუბუქების საშუალება, არამედ იძლეოდა სერიოზულ გაზოცდილებასა და ცოდნას, მოწინავე კულტურის ზიარებას, რაც შემდეგში რცელდებოდა და მკვიდრდებოდა სვანეთში.

გარე სამუშაოზე გასვლასთან დაკავშირებული იყო ვაჭრობა და, საერთოდ, ალებ-მიცემობა. ჩანს რომ მთელი სვანეთი, რაჭა და ლეჩხუმი ჩართული იყო ვაჭრობაში, როგორც ურთიერთშორის ასევე საქართველოს ბარის რაიონებთან, ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ ტომებთან და რიგ შემთხვევაში რუსეთთანაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ვაჭრობა არ ატარებდა ფართო სასაქონლო მასშტაბს, რადგან არარსებობდა საამისო კომუნიკაციები და სხვა პირობები.

წიგნში განსაკუთრებული გამოწვლილვით გვაქვს წარმოდგენილი სვანეთის პოლიტიკური ცხოვრების სურათი საკლევ პერიოდში. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არავის უცდია აეხსნა ქვემო სვანეთის სამეგრელოს სამთავროსადმი დაქვემდებარების პროცესი, ამიტომაც მკითხველისათვის გაუგებარი ხდება, თუ რატომ მოხდა სამეგრელოს სამთავროსთან ერთად მისი შეერთება რუსეთთან. ასევე არ არის ახსნილი ისიც, იყო თუ

არა რუსეთი დაინტერესებული სვანეთით ადრე, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიამდე. არაზუსტია, თითქმის დებულებად ქცეული მოსაზრება, რომ XIX ს. 30-იან წლებამდე რუსეთი სვანეთით არ იყო დაინტერესებული და სხვ. ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, რომ ეს საკითხები წინაპლანზე წამოგვეწია.

(ცხადია, რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის განხორციელებამდეც ცდილობდა შეესწავლა სვანეთი, განსაკუთრებით კი იქაური სასარგებლო წიაღისეული, ამიტომ მის დასაზვერავად არა ერთი მოხელე გამოგზავნა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო საქმე ბოლომდე ვერ ხორციელდებოდა.

რუსეთის მიერ სვანეთის დასაპყრობად წარმოებულ ბრძოლაში პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ხელში ჩაგდებით, რაც 1803 წელს სამეგრელოს სამთავროს ანექსიით იყო განპირობებული.

V XIX ს. დამდეგიდან ამავე საუკუნის 30-იან წლებამდე, რუსეთი სამეგრელოს სამთავროს სხვადასხვა რანგის მოხელეთა, რაჭის მოწინავე პირთა, რელიგიის მსახურთა მეშვეობით, სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობდა ზემო სვანეთის (როგორც ბალსქვემო, ისე ბალსზემო ნაწილების) დამორჩილებას, მაგრამ შედეგს მხოლოდ 1832-1834 წლებში, ჯერ ბალსქვემო, ხოლო 50-იან წლებში ბალსზემო სვანეთის დაქვემდებარებით მიაღწია. ეს იყო რეაქციული მოვლენა, მაგრამ გარკვეულწილად მნიშვნელოვანი აქტიც XIX ს. სვანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სვანეთის შეერთების შემდეგ მორიგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბატონყმობის გაუქმება. 1866 წ. ბატონყმობა გაუქმებულ იქნა ქვემო სვანეთში (სამეგრელოს სამთავროსთან ერთად), რასაც მოჰყვა 1871 წ. საგლეხო რეფორმა ბალსქვემო და ბალსზემო სვანეთში. იმჟამად საგლეხო რეფორმა არ შეხებია ბალსქვემო სვანეთის ე. წ. ფარის ანუ ჩუბეხევის სადადიშგელიანო ნაწილს, რადგან მისი მიწა-წყალი 1860 წელს გადაეცა ხაზინას კონსტანტინე დადიშგელიანის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ა. გაგარინის მკვლევლობის გამო. ამიტომ იქ ბატონყმობა, ფაქტობრივად, მექანიკურად გაუქმებული იყო, ხოლო ფარის თემი ხაზინას მიკუთვნებული.

მემამულეთა სასარგებლო ბეგარა-ვალდებულებების შესრულება ბეჩოში 1871 წელს შეწყდა ისე, რომ იქ დროებით ვალდებულება არ შემოდებულა,

მაგრამ დადიშგელიანთა შიგნით სადავო მიწათმფლობელობის საკითხი მხოლოდ 1898 წელს დასრულდა.

საგლეხო რეფორმამ ზემო სვანეთის გლეხთა უდიდეს ნაწილს, ფაქტობრივად, ხელუხლებლად დაუტოვა მის მფლობელობაში არსებული მიწა. ყმა გლეხობას მინიჭა პირადი თავისუფლება, რაშიც გამოიხატა ამ რეფორმის პროგრესული მნიშვნელობა.

ქვემო სვანეთში ძალაში დარჩა დროებით ვალდებულება, მიწების ნაწილი გლეხობას თვით გელოვანებმა და გარდაფხაძეებმა ჩამოაჭრეს, დადიანებმა კი გამოსასყიდი მიიღეს.

⁴ რეფორმის შემდგომი სვანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული მოვლენა იყო 1875-1876 წლების მღელვარება და ე. წ. ხალდეს აჯანყება. ეს აჯანყება შეგნებულად ჩაისახა და გაფართოვდა, მაგრამ მისი მსვლელობა სტიქიურად წარიმართა, ისიც უნდა ითქვას, რომ სვანეთის გლეხთა მოძრაობა იზოლირებულად მიმდინარეობდა და მას კავშირი არ ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეების გლეხთა გამოსვლებთან, მაგრამ ეს მოძრაობა პროგრესულ ხასიათს ატარებდა. ის მიმართული იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და, ამდენად, თავისი შინაარსით, წარმოადგენდა იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელ ნაწილს, რასაც ქართველი ხალხი ეწეოდა XIX ს-ში ცარიზმის წინააღმდეგ.

ნაშრომში, მკითხველი სხვა მრავალმხრივ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, იხილავს რუს ფალსიფიკატორ მოხელეთა კრიტიკას XIX ს. სვანეთში ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მდგომარეობისა და განათლების დარგების დამახინჯებულად ასახვის გამო. ასიმილატორმა მოხელეებმა სვანეთის თითოეულ თემს და, განსაკუთრებით დადიშგელიანებს, შეუთხზეს არაქართული წარმომავლობა.

მაგალითად, ვ. ტეპცოვი, ა. სტოიანოვი, ა. შელკოვნიკოვი, რადე და სხვები ამტკიცებდნენ, რომ სვანები არ არიან ქართველები და მათი ენაც არ არის ქართული. ამიტომაც იქ სკოლებიდან უნდა განიდევნოს ქართული და დაინერგოს რუსული ენა. ტეპცოვი მესტიელებს იაროსლავის გუბერნიის, მულახელებს-მალაროსებს, ლახამულელებს-ებრაელთა, ჩუბუხეებს ზოგს ციგანთა, ზოგს მონღოლთა ტიპებად თვლიდა (В. Тепцов, Сванетия, Тиф., 1888, გვ. 42-43)

ა. სტოიანოვმა კი, როცა გული იჯერა იმის მტკიცებით, რომ სვანეთში იგი იმყოფებოდა „პოლტავის გუბერნიის ცენტრში“ და „იქ ნახა მისი სამ-

შობლოს ცოცხალი ტიპები“, სადაც ქართული ენის სწავლება ამიტომ დაუშვებელია, თავი ასე დაიმშვიდა: „Утешаю себя на всякой случай тою надеждою, придающею мне бодрость, что ни одинъ сванет до-сех пор не умеет еще читать по русски и, следовательно, моих соображений не узнает“ (А. Стоянов, Путешествие по Сванети, ЗКОИРГО, т. X, вып. II, Тб, 1876, გვ. 280). სტოიანოვი გულმოდგინედ შეეცადა აეხსნა სვანთა წარმოშობის საკითხი, მაგრამ ისეთ ჩიხში მოექცა თავისი „აღმოჩენებით“, რომ განაცხადა „დავანებოთ თავი კამათს სვანთა წარმოშობის შესახებ, რადგან ყველა ჩვენი მოსაზრება ამ საკითხში აგებულია სრულიად არამეცნიერულ საფუძველზე“ (ა. სტოიანოვი, დასახ. ნაშრ. გვ. 446-447).

სვანთა ქართველობის მტკიცებისათვის ქართული ისტორიოგრაფია იმდენად მდიდარია და საფუძვლიანი, რომ მას რუსეთის კოლონიზატორ მოხელეთა წარმომადგენლებისაგან აზრის შესხება არ სჭირდება, მაგრამ სამწუხაროა, როცა ამ ანკესზე ზოგჯერ ქართველი მკვლევარებიც რომ წამოეგებიან. XIX და XX საუკუნეების მანძილზე არაერთი ქართველი კალმოსანი გამოჩნდა, რომელთაც სვანთა ზოგიერთი თემის ეთნიკური კუთვნილების საკითხები ამა თუ იმ კუთხით დაამახინჯა. (ს. შანშიაშვილი, კ. სანიელი, ზ. შანშიევი (შანშიაშვილი), ბ. ნიჟარაძე, ი. ტყემელაშვილი და სხვ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში იგივე მდგომარეობაა სვანთა რელიგიურობის ირგვლივაც. ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გასაბჭოებამდელ ისტორიოგრაფიაში, სადაც ყოვლად უსუსურად და უსაფუძვლოდაა დამახინჯებული სვანეთის რელიგიური მდგომარეობა. არცერთ მეთოდს სვანი მოსახლეობის დასამცირებლად არ იყენებდნენ რუსიფიკატორები ისე მკაცრად, როგორც რელიგიურ მდგომარეობას. ისინი სვანეთს საერთოდ „უღმერთოდ“ ტოვებდნენ, მაშინ, როდესაც სვანს ქრისტიანული რწმენა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

გამოკვლევული გვაქვს, რომ სვანეთის ეკლესიებს ჰყავდათ საკუთარი „ქუერებისკოპოზები“ (ქორეპისკოპოსი), რომლებიც ექვემდებარებოდნენ ცაიშისა და ცაგერის საეპისკოპოსოებს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ სვანეთს საკუთარი ეპისკოპოსი არ უნდა ჰყოლოდა, რაც იმის მანიშნებელიცაა, რომ სვანეთი ეკლესიური ხაზითაც არ იყო საქართველოსაგან მოწყვეტილი. რიცხვმრავალ ეკლესიებს, როგორც ადრე, ისე XIX საუკუნეშიც, ჰყავდათ უამრავი მღვდელმსახური: „ხუ-

ცები“, „ბერები“, დეკანოზები“ და სხვ. მათ სვანეთში ერთი საერთო სახელწოდება ჰქონდათ „ბაპ“ ან „პაპ“, რომელთაც, ჩვენის აზრით, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სვანეთის ქრისტიანულ ეკლესიის დაცვასა და თვით სვან მოსახლეობაში ქრისტიანობის ურყევად შენარჩუნებაში. სვანეთში ხატზე დაფიციება უდიდეს როლს ასრულებდა სამართლებრივ საქმეთა გადაწყვეტაში. ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, რომ XIX საუკუნეშიც სვანეთში შემორჩენილი იყო წინარექრისტიანული ეპოქის უმნიშვნელო გადმონათბები, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ქრისტიანული მრწამსის ბატონობას.

ნაშრომის ბოლო საკითხს წარმოადგენს სწავლა-განათლება XIX ს. სვანეთში. აღნიშნული გვაქვს, რომ ქართული მოწინავე ინტელიგენციის ხელშეწყობით ადგილობრივი სწავლებლები დაუცხრომლად იბრძოდნენ განათლების სრულყოფისათვის. დაინტერესებული მკითხველი უხვად ნახავს სტატისტიკურ მონაცემებს სკოლების მშენებლობის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობისა და აგრეთვე ცნობებს დამსახურებულ პედაგოგთა მოღვაწეობის შესახებ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX ს. 90-იან წლებიდან სვანეთის მოსახლეობა იღებდა ჟურნალ-გაზეთებს: „ივერიას“, „ცნობის ფურცელს“, „კვალს“, „ნოვოე ობოზრენიეს“, „კავკაზს“, „სანკტ-პეტერბურგსკი ვედომოსტს“, „ნივას“, „მწყემსს“ და სხვ. რაც საქართველოს საერთო კულტურის ფერხულში აბამდა სვანეთის მოსახლეობას. ისიც უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის დასასრულისათვის სვანეთში გაიხსნა რამდენიმე წიგნთსაცავიც.

აქიტიჭ

ქვირფასო მკითხველო!

XIX საუკუნის სვანეთის ისტორია საკმაოდ ვრცელი, რთული და მრავლისმომცველია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს პრობლემის შეუცდომლად და სრულყოფილად გადმოცემის პრეტენზია. აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, რაც მკითხველის სამსჯავროზეა გამოტანილი, შესრულებულია მეცნიერული კეთილსინდისიერების სრული დაცვით და ამავე დროს იმ სურვილით, რომ მომავალში კიდევ უფრო დავხვეწოთ და სრულყოთ ჩვენი მუშაობა საქართველოს ამ უღამაზესი კუთხის ისტორიის ღირსეულად წარმოჩენისათვის.

I თავი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) მდებარეობა, ტერიტორია, საზღვრები და მოსახლეობა XIX ს-ში

§1. სვანეთის მდებარეობა, ტერიტორია და საზღვრები XIX საუკუნეში

სვანეთი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთით, კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. იგი გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულად ზემო და ქვემო სვანეთად იყოფა. ზემო სვანეთი მდ. ენგურის, ხოლო ქვემო სვანეთი ცხენისწყლის ხეობების ზემო წელში მდებარეობს.

სვანეთის გაყოფა ორ ნაწილად განპირობებულია გეოგრაფიული ფაქტორით – 80 კმ სიგრძისა და ზღვის დონიდან 3000-3500 მ. სიმაღლის მქონე სვანეთის ქედის არსებობით.

თუ საქართველოს, როგორც მაღალმთიანი ქვეყნის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან უდრის 1200 მეტრს [1,24], ზემო სვანეთი – 700-2000 მეტრის, ხოლო ქვემო სვანეთი 600-1700 მეტრის სიმაღლეზეა (ამავე დროს ის ევროპაში უმაღლეს დასახლებას წარმოადგენს).

ზემო სვანეთის ტერიტორია შეადგენს 3320 კვ. კმ-ს, ხოლო ქვემო სვანეთისა – 1521 კვ. კმ-ს. ორივეს ერთად უჭირავს 4841 კვ. კმ ანუ საქართველოს ფართობის 6,9% [1,25]; [2,16]. ზემო სვანეთის ტერიტორიის უმდაბლესი წერტილი ზღვის დონიდან 250-300 მ-ზე მდებარეობს (თოთანა-ხუდონი), ხოლო უმაღლესი (მთა შხარის მწვერვალი) 5200 მ-ს აღემატება. ე. ი. ზემო სვანეთის ტერიტორიის ჰიფსომეტრიული სხვაობა 4700 მ-ს შეადგენს [3,8]. ქვემო სვანეთის ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან (მურის ხიდი) მდებარეობს 560 მ-ის, ხოლო ყველაზე მაღალი (მწვერვალი აილამა) კი – 4525 მ-ის სიმაღლეზე. აქ ჰიფსომეტრიული სხვაობა 3965 მ-ს უდრის [3,10].

ზემო სვანეთი მოქცეულია მდ. ენგურის ხეობაში, რომელიც სათავეს იღებს შხარის (ნამყვამის ანუ ენგურუხვანის) მყინვარიდან – ზღვის დონიდან 2800 მ-ის სიმაღლეზე. თუ უშუალოდ ენგურის კალაპოტი 2000 მ-ის სიმაღლეზეა, სოფ. ხაიშთან – 550, ხოლო დაბა ჯვართან 250 მეტრზეა [4,130]. ქვემო სვანეთი კი მოქცეულია მდ. ცხენისწყლის ხეობაში. იგი დი-

ნებას იწყებს ლაფურის მყინვარიდან (ზღვის დონიდან 2707 მ-ის სიმაღლეზე). მდ. ცხენისწყალი ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე რამდენჯერმე იცვლის კალაპოტს და მურის კლდესთან გადადის ლეჩხუმში. როგორც ენგურს, ისე ცხენისწყალს, უამრავი შენაკადი აქვს. ცხენისწყალი საბოლოოდ მდ. რიონს უერთდება და კოლხეთის დაბლობზე იმდენად მშვიდდება, რომ XIX ს. შუა ხანებში რუს კოლონიზატორებს მისი სანაოსნოდ გამოყენება პქონდათ დაგეგმილი [5,4-5].

გეოგრაფი მკვლევარები თვლიან, რომ რელიეფისა და გეობოტანიკური მაჩვენებლების მიხედვით, ზემო სვანეთი ორ დასავლურ – ხაიშის და აღმოსავლურ-მესტიის ვერტიკალურ-ზონალურ რაიონად იყოფა. აქედან პირველი მოიცავს ზღვის დონიდან 300-1000 მ-ის სიმაღლეზე მდებარე ტერიტორიას – დაწყებული თოთან-ხულონიდან ეცერ-ცხუმარამდე, ხოლო აღმოსავლური ანუ მესტიის ქვერაიონი მოიცავს ეცერ-უშგულს შორის მდებარე ტერიტორიას, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მაღლა მდებარეობს [4,127].

ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილში უდრის 300-1000 მმ-ს, ხოლო დასავლეთ ნაწილში – 1200-1350 მმ-ს. საშუალო წლიური ტემპერატურა შესაბამისად 5,8 და 10,4 გრადუსია. იანვრის საშუალო ტემპერატურა იმავე პუნქტებში – 0,6 და 7,6-ია. უთბილესი თვისა (ივლისი) კი 20,9 და 16,8-ია. ქვემო სვანეთში საშუალო წლიური ტემპერატურაა 9,4. იანვარში – 6,9. წელიწადში ნალექების რაოდენობა 1250 მმ-დან 1390 მმ-მდეა [6,8].

სვანეთში სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავიათ მთელი ტერიტორიის 31%. დამუშავებულ მიწებს უჭირავს მთელი ტერიტორიის 1% [1,26]. აღნიშნული რეგიონის უდიდესი ნაწილი ტყეებს, საძოვრებს და კლდეებს უკავიათ. მხოლოდ ტყეს სვანეთის ტერიტორიის 41% უკავია [2,16].

როგორც ვხედავთ, სვანეთი განეკუთვნება საქართველოს როგორც საშუალო, ისე მაღალმთიან ზონას და რაჭა-ლეჩხუმთან ერთად წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს მთიანეთს. მას დასავლეთით კოდორისა და აკიბოს, სამხრეთით – სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედები, ხოლო აღმოსავლეთით ლეჩხუმის ქედი აკრავს. როგორც აღინიშნა, სვანეთის ჩრდილოეთის საზღვარია კავკასიონის მთავარი ქედი, აღმოსავლეთით – რაჭა, დასავლეთით – აფხაზეთი, ნაწილობრივ სამეგრელო, სამხრეთით – რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელო.

ჩრდილოეთიდან სვანეთს ემეზობლებოდნენ: ყარაჩა („ყარჩა“), ყაბარდო („ქაშაგ“), ბალყარეთი და ოსეთი („სავიარ“).

ცალკე ქვემო სვანეთს XIX ს-ში საზღვრავდა ჩრდილოეთით – სვანეთის ქედი, სამხრეთით – ცაგერი და ლეჩხუმის ქედი, აღმოსავლეთით – კავკასიონის, დასავლეთით ეგრისის ქედი. ზემო სვანეთს კი – ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით – ეგრისის ქედი და ქვემო სვანეთი, აღმოსავლეთით – ლეჩხუმის ქედი და რაჭა, დასავლეთით – აფხაზეთი და ნაწილობრივ სამეგრელო.

დღეს, საისტორიო ლიტერატურაში, სადავოდ არაა მიჩნეული ის აზრი, რომ ქართველთა ერთ-ერთ უძველეს შტოს სვანებს ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში გაცილებით მეტი ფართობი უნდა სჭეროდათ, ვიდრე გვიანფოდალურ ხანაში. სვანეთის ისტორიული წარსულის რეალური სურათის შესაქმნელად სვანთა ლოკალიზაციის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უფრო, რომ სვანები განეკუთვნებიან საქართველოს ერთ-ერთ ფუძემდებლურ ქართველურ ტომს და ისტორიაში ეს მხარე და ეს მოსახლეობა მშობლიურ საქართველოს განუკვეთავი ნაწილი იყო.

ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ ინტერესს იძენს თუნდაც იმიტომ, რომ ამ რეგიონის საზღვრებმა გარკვეული ცვლილება განიცადა საკვლევ XIX საუკუნეშიც.

კვლევის პროცესში, სვანეთის XIX ს-ის საზღვრების დადგენა-დაზუსტებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სვანთა განსახლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში.

პროფ. თ. მიბჩუანი სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ: „განსაკუთრებული ინტერესის შემცველია და ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი სვანთა განსახლების ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ საკითხის განხილვის გარეშე, – განაგრძობს პატივცემული მკვლევარი, – შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად სწორი წარმოდგენის შექმნა იმ ტერიტორიის შესახებ, რომელზედაც სვანები XIX საუკუნეში აღმოჩნდნენ და იმ პროცესების შესახებ, რომელთაც განაპირობეს სვანთა მოსახლეობის ტერიტორიის ასეთი შემცირება“ [7,3].

საკითხის ნათელსაყოფად მოვიშველიოთ ისტორიული ფაქტები.

„ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ფარნავაზ მეფის (IV-III სს მიჯნა) და მისი მემკვიდრის საურმაგის დროს „სვანეთს“ ეკავა ტერიტორია „დილოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე“ [8,27]; ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე, სტრაბონის ცნობით, სვანები „თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები (ხაზგასმა ჩემია, ა. გ.)“ [9,126]. VI ს. II ნა-

ხვერის ისტორიკოსი მენანდრე პროტექტორი გარკვევით და ისიც ორჯერ, მიუთითებს, რომ „სვანები ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს“ (ხაზგასმა ჩემია, ა. გ.) [10,221]. იქვე დასძენს: „ისინი (სვანები, ა. გ.) კავკასიის მწვერვალზე ცხოვრობენ“ (ხაზგასმა ჩემია, ა. გ.) [10,222]. ეს ცნობა სვანეთის შესახებ ბითარმამისში ბიზანტიის ელჩის პეტრესა და ირანის შაჰ ხოსროს შორის სვანეთის ხელში ჩაგდებისათვის წარმოებული საზავო მოლაპარაკების დროისაა და, შეუძლებელია, რომ მოდავე მხარეებს სვანეთის მდებარეობა არ სცოდნოდათ.

ბიზანტია-ირანს შორის VI ს-ში წარმოებული ომი აბრეშუმის გზისათვის, კერძოდ, საქართველო-სვანეთის ხელში ჩაგდებისათვის, ძლიერ გამწვავდა. აკადემიკოს ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, აბრეშუმის ეს გზები გადიოდა „კავკასიის ზეკარებით, სწორედ იმ ტერიტორიის გავლით, სადაც მაშინდელი სვანეთია საგულისხმებელი“ [10,206]. სხვა შემთხვევაში სახელოვანი მკვლევარი პირდაპირ აცხადებს, რომ VI ს-ში სვანეთი „ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელ გზაზე მდებარეობდა“ [11,104]. აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი სვანთა „კავკასიის გარშემო ცხოვრების“ შესახებ ცნობას მრავალგზის იმოწმებს [12,476,495]. აბაზგთა საცხოვრისის ჩრდილო საზღვრების განმარტებისას იგი წერდა: „სამწუხაროდ, პროკოფი კესარიელი არ აღნიშნავს, აბაზგები კავკასიონის გადაღმა გადაწვდებოდნენ (სვანებივით) თუ არა“ [12,496]. პატივცემული მკვლევარი თვლიდა, რომ სვანების საცხოვრისი კავკასიის გადაღმა სწვდებოდა. პროკოფი კესარიელის აღნიშვნით – „სვანები ალანთა მეზობლად ცხოვრობენ“ [13,28], თვით ალანები კი ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მდ. ყუბანის სათავე მთებიდან დაწყებული კასპიის კარამდე [13,130] ცხოვრობდნენ [14,121]. მკვლევარი გ. ათანელიშვილის დასკვნით, VI ს-ში „სვანეთზე გადიოდა პირაქეთ გადმოსასვლელი გზა, რომლითაც სკვითები ჩრდილო კავკასიიდან გადმოდრიოდნენ ამიერკავკასიაში“ [15,71]. იმავეს გვამცნობს პროფ. გ. გოზალიშვილი [15,71].

VI ს-მდე ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში სვანთა მკვიდრად ბინადრობისა და მათი გავლენის გავრცელებას სხვა მეზობელ ტომებზე ადასტურებს პროფ. ს. კაკაბაძის ცნობა, რომ „ვახტანგ გორგასლის დროს... სვანურ კილოზე ლაპარაკობდნენ კავკასიონის ქედის ჩრდილოეთითაც საკმაოდ ვრცელ ფართობებზე“ [16,3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა, რომ „სვანებს თავ-

დაპირველად უეჭველია ახლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთებიც სვანეთსა და კახეთს ერთიერთმანეთს უახლოვებს“ [17,51]. გამოჩენილ მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა ლეონტი მროველის ცნობა, რომლის თანახმად, „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე... არს სუანეთი“ [17,50], [8,27], რომელიც, მისივე აღნიშვნით, „რომელიდაც ძველი საისტორიო წყაროთაგან უნდა იყოს ამოღებული და ქართულ ტომთა მოსახლეობის ევონებ ძველისძველ მდგომარეობას გვისურათებს“ [17,51].

აკად. ს. ჯანაშია, სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობის მიმოხილვისას აღნიშნავდა, რომ „სტრაბონის მიერ დახატული სვანეთის ვითარების სურათი რეალურია, ამას მერმინდელი ცნობებიც ადასტურებენ“ [18,119], [7,33], [2,5].

პროფ. თ. მიბჩუანის მოსაზრების თანახმად, სტრაბონის ეს ცნობა „თანდათან პოულობს გამართლებას და იგი სულაც არ არის ზღაპრული ხასიათის, როგორც ეს ზოგიერთს აქამდე ეგონა“ [18,141]. მისივე მტკიცებით, „ჩრდილოეთ კავკასიაში ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე თითქმის მდ. თერგამდე ანტიკურ ხანიდან სვანთა განსახლება დასტურდება“ [18,101].

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვა მოითხოვს მისიმიელთა (მისიმიანთა) ეთნიკურ ვინაობისა და საცხოვრისის განსაზღვრასაც. ჩვენი აზრით, მისიმიელების განსახლების შესახებ სანდო განსაზღვრას იძლევა აკად. დ. მუსხელიშვილი, რომელიც შენიშნავს, რომ „ყველა... ცნობა მისიმიანეთს კოდორის სათავეებში გვაგულისხმებინებს“ [14,121]. ამავე მოსაზრებას ამტკიცებენ: აკად. ს. ყაუხჩიშვილი [20,277-280], აკად. ს. ჯანაშია [18,318], პ. ინგოროყვა [21,142] და სხვ. მაგრამ მეცნიერთა შორის უფრო სადავოდ რჩება მისიმიელთა ეთნიკური კუთვნილება. მკვლევართა დიდი უმრავლესობა, მათ შორის აკად. გ. მელიქიშვილი [23,65,384], დ. მუსხელიშვილი [24,145], ს. ყაუხჩიშვილი [20,280], პროფესორები: ნ. ასათიანი [25,130], თ. მიბჩუანი [19,128-143], ნ. ლომოური [26,72], გ. გასვიანი [27,5], მკვლევარი შ. ხორავა [28,33] და სხვ. თვლიან, რომ მისიმიანები იყვნენ ერთ-ერთი სვანურ ტომთაგანი. მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს მხოლოდ ვარაუდს მისიმიელთა სვანობის შესახებ. არიან ამ მოსაზრების მოწინააღმდეგეებიც. მაგალითად, აფხაზი მკვლევარი შ. ინალ-იფა ყოველგვარი ფაქტების გარეშე, ტენდენციურად „ამტკიცებს“ მისიმიელთა აფხაზურ წარმომავლობას [29,230]. მისი აზრით, სვანები ცხოვრობდნენ: „В основном местах их нынешнего обитания“ [29,230-231]. მისივე ტენდენციური-

ბის საილუსტრაციოდ, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ის კმარა, რომ იგი ზემო სვანეთის ყველაზე უმაღლეს წერტილში – უშგულში მდებარე სოფ. „ჟიბიანს“ აფხაზურ ტოპონიმად მიიჩნევს [30,5], როცა „ჟიბიან“ სვანურად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ზემოს“. შ. ინალ-იფას კი იგი აფხაზური გვარიდან („ЖИХНА“, რომელიც თურმე ნიშნავს „КУЗНЕЦОВ“ -ს) წარმოშობილად აქვს წარმოდგენილი [29,386]. მან არც სვანეთის ყინულოვანი მთა „შხარა“ დაინდო აფხაზური ტოპონიმის გარეშე [29,386], როცა ის სვანურ სიტყვა „მეშხრედან“ – დადარულ-გაპოზილიდან გამომდინარეობს, რაც ეგრერიგად შეესაბამება მთა შხარის ტოპოგრაფიულ სახეს.

მისიმიანების მაგალითზე სვანთა განსახლებაზე მსჯელობა რომ არ გაგვიგრძელდეს, უნდა აღვნიშნო, რომ მისიმიანები სამეცნიერო ლიტერატურაში სვანებად არიან მიჩნეული. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა – „ვინ იყვნენ მისიმიანები“ – უძღვნა გ. გასვიანმა, რომელმაც სათანადო საისტორიო წყაროებისა და ტოპონიმების საფუძველზე დაამტკიცა მისიმიანების უეჭველი სვანურ-ქართველობა [31,198-212].

ისტორიული მისიმიანები, რომლებსაც XIX ს-ის საარქივო წყაროები და თვით სვანები „დალის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ, თავისი ტოპონიმებით, იგივე სვანეთია [31]. მისიმიელთა საზღვრების, მათი ლოკალიზაციის ღრმად შესწავლამ განაცხადებინა აკად. დ. მუსხელიშვილს, რომ მისიმიანელები – თავის ღროზე სვანურ ტომს წარმოადგენდნენ“ [24,145], რომელთა „ტერიტორიაზე ზვდებოდა ჩრდ. კავკასიაში გარდამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორცაა მარუხის, ქლუხორის, ნახარის გადასასვლელები“ [14, 120]. ს. ყაუხჩიშვილი ამ გადასასვლელებთან აკავშირებს სვანეთსაც და წერს: „სამივეჯერ გზა გადის კავკასიის ზეკარებით, სწორედ იმ ტერიტორიის გავლით, სადაც მაშინდელი სვანეთია საგულისხმებელი“ [11,131-132].

როგორც ირკვევა, მისიმიან-სვანთა განსახლება იყო კოდორის სათავეები – დღევანდელი გულირიბშის რეგიონი, რომელსაც დღეს დალი ანუ აფხაზეთის სვანეთი ჰქვია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის ერთ-ერთი საარქივო ცნობით, სვანეთის მთავრის ციოყის დედა დიგორხან გარდაფხაძე-დადიშგელიანისა მოიხსენიება როგორც „повелительница вершин рек Баксана, Кубани, Даль и Ангур“ (ზაზგასმა ჩემია, ა. გ.) [32,49]. აფხაზეთის სვანეთს „სვანეთის ისტორიულ ნაწილად“ იხსენიებენ რუსეთის მაშინდელი პოლიტიკის მსახურნიც კი [33,1]. აკად. ს. ყაუხჩიშვილს სვანთა საცხოვრისად სწორედ დალის პროვინცია მიაჩნია [20, 179].

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სვან-მისი-მიანები კავკასიის მთიანეთის გარდიგარდმო ცხოვრობდნენ და დიდი ფართობიც ეკავათ. ალბათ, ამიტომ აღნიშნა სტრაბონმა, რომ სვანებთან შედარებით „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიანო“ [9,126].

სპეციალისტებისათვის ცნობილია ისიც, რომ საქართველოს ძლიერების ხანაში – დავით აღმაშენებლიდან დაწყებული თამარ მეფის ჩათვლით, ჩნდება ცნება – „დიდი სუანეთისა“ და ასევე – „ყოველი სუანეთისა“. პირველი ცნება ნახსენებია მესტიის ერთ-ერთ ხატზე წარწერაში [34,25], [19,44-45], ხოლო მეორე – ეკუთვნის თამარის ისტორიკოსს – ავტორს „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთთანისა“, რომელიც ერთგან სწორედ ასე აცხადებს, რომ „ვარდან დადიანმა... შეყარა ყოველი სუანეთი და...“ [35,49]. სვანეთში, უხუცესთა გადმოცემით, ხშირად გაიგონებთ ტერმინს „ხოშაშუან“ (დიდი სვანეთი), ჯვინალდ მურგვალ ან სხვანაირად „ძღვდ მაცციერ“, ან „სრული შუან“ (ძველად მთლიანი... „შეძლებული“, „სრული“ სვანეთი) და ამას უთუოდ აკავშირებენ თამარ „ლგფკელთან“ ე.ი. თამარ დედოფალთან. ჩვენის აზრით, ამ ცნებებსა და გადმოცემებში ნაგულისხმებია ძლიერი საქართველოს დროინდელი ძლიერი კუთხე სვანეთისა, როცა საქართველოს დიდებული მეფის თამარის ძლიერება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთს გადალმაც კი სწვდებოდა, ხოლო სვანეთს, ალბათ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში გარკვეული ტერიტორია ეკავა.

საქართველოში მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ „დიდი სუანეთი“ სამეცნიერო ლიტერატურაში აღარ გვხვდება. ჩანს, რომ მაშინდელმა ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიელი სვანები საგრძობლად შეავიწროვა. მაგრამ ისიც ირკვევა, რომ მათ საცხოვრისისათვის ბრძოლა შემდეგშიც გაუგრძელებიათ, რისი დამადასტურებელი სანდო ცნობები დაცულია ე. წ. ნიკონის მემატიანის დამატებაში, სადაც აღნიშნულია, რომ 1563 წ. მეფე ივანე IV-სთან ჩერქეზეთიდან ჩავიდა გრიგორი სემიონოვი და მოახსენა: „1562 წ. ყაბარდოს მფლობელმა თემურ-ყვამ („ტემრიუკ“) დაამარცხა თავისი მტრები და დაიპყრო „Кабакон Мшанских и Сонских сто шестьдесят четыре...“ [36,371]. ამ ცნობაში ხსენებული „მეშან“ -ებისა და „სონ“ -ების „კაბაკების“ ქვეშ რომ სვანებით დასახლებული, ჩრდ. კავკასიაში მდებარე სოფლები იგულისხმება, მრავალგზისაა დამტკიცებული მკვლევართაგან. „შუან“ სვანეთის თვითსახელწოდებაა, ხოლო მუშვან კი სვანის. აკად. ა. გიულდენშტედტი „სონსა“ და „მეშვანს“ ასე განმარტავდა:

„სვანეთი ანუ სონი არის ქართული პროვინცია... სანი მრავლობითში სვანეთი ანდა სონი ანუ სონეთი, ასე უწოდებენ ქართველები ხალხს, რომელიც თავისთავს „შნაუს“ ეძახის. „შნაუ“ აქ გიულდენშტედტის ენის უცოდინარობითაა ნახმარი, რომელიც შეასწორა გ. გელაშვილმა და განმარტა, რომ ეს არის „მგშუანის“ აღმნიშვნელი [37,329]. ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს, რომ სვანეთის სახელწოდება სვანურად „მგშუან“ -ია [20,280]. ეს ასე აქვს განმარტებული აკად. ა. შანიძეს, ა. ჩაქობავას, დ. ბაქრაძეს, ნ. დუბროვინს, მ. სელეზნიოვს და სხვა უამრავ მკვლევარს. რაც შეეხება „სონს“ ამ ცნებას ზოგჯერ, ჩვენი აზრით, შეცდომით აიგვევებდნენ არაგვის საერისთაოსთან [38,29] [39,283]. ეს ასეც რომ იყოს, არ გამორიცხავს იმას, რომ „სონი“ სვანეთის აღმნიშვნელია. ნ. სმირონოვის ცნობით, XVI ს-ის რუსეთის ელჩები „გადადიოდნენ დარიალს და ხედებოდნენ სონეთის მიწაზე – სვანეთში“ [40,40]. რომ არაფერი ვთქვათ, სვანეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარებზე გ. გასვიანსა და თ. მიბჩუანზე, მრავალ სხვაზეც, „სონის“ ქვეშ სვანეთს გულისხმობენ და ამტკიცებენ ე. კუშევა [41,365], რ. ბარნოვილი [42,33], ნ. ნაკაშიძე [43,148], რ. კანდელაკი [44,148], დ. ბაქრაძე [45,28,40], ლ. ისარლოვა [46,403], ნ. დუბროვინი [47,83], ს. ბრონევესკი [48,344], ა. კოჟენიკოვი [49,89], პ. უსლარი [50,307] და კიდევ სხვა მრავალი.

ნიკონის მატთანეში დაცული ცნობა, რომ ჩრდ. კავკასიაში განსახლებულ სვანებთანაა დაკავშირებული, ამას ადასტურებს მტრის მიერ დატყვევებულ პირთა სახელებიც: „ეზდნოურა“, „დუდიელია“ და „ბურნაკა“. ეზდნოურა სვანური „აზნავირია“, დუდიელია მთელ სვანეთში გავრცელებული სახელი იყო [51,120,123,124], ასევე ბურნაკა [51,130,134,155]. მისი ნაირსახეობის სახელია ბუდარ, ბურდუხა და სხვ. [27,7]. იგივე ითქმის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე მოხანი, კავანი, ენგირი და სხვ. [7,48-51], [27,6]. რაც შეეხება 164 სოფელს, არც ეს უნდა მოგვეჩვენოს დიდ რაოდენობად, რამდენადაც მაშინ სვანთა ლოკალიზაცია ივარაუდება არა მხოლოდ ყუბანის სათავეებთან, არამედ მალკის ბახსანის, ზედა მალყარის, ბეზინგისა და ჩეგენის ხეობებში, სადაც „დღემდე მოღწეული სვანური ტომონიშები, სვანური კოშკები, სვანური გვარები, ქრისტიანული ეკლესია-სამლოცველოთა ნაშთები და სამარხები გვხვდება“ [7,51]; [52,99].

სვანთა განსახლებას ჩრდ. კავკასიაში შესანიშნავი ნაშრომი „Расселение сванов на северном Кавказе до XIX века“, – უძღვნა მკვლევარმა ლ. ლავროვმა. ავტორი ნაშრომის დასაწყისშივე აცხადებს, რომ „არსებობს აზრი, თითქოს კავკასიის ქედი ყოველთვის რჩებოდა ქართველ ტომ-

თა განსახლების უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვრად, მაგრამ ამჟამად ეს მოსაზრება მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს“. ავტორი ყოველმხრივ ამტკიცებს, რომ სვანები XIV საუკუნიდან ცხოვრობდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, კერძოდ, მდინარეების: ყუბანისა და ბაქსანის სათავეებთან და მათი განსახლება იწყება მხოლოდ XVIII ს-დან [53,337-344]. ლ. ლავროვი აღნიშნულის დასტურს პოულობს ტოპონიმიკაში. იგი წერს: „სვანთა საცხოვრისებმა მდინარეების ყუბანისა და ბახსანის სათავეებთან თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიკაში... ჩვენთვის საინტერესო რაიონში ზოგიერთი საცხოვრებელი პუნქტის სახელწოდება, როგორცაც დუბლირებულია სვანური სოფლების სახელებთან, მაგალითად „უჩკულანი“ – უშგული, „ხუმარა“ – ძველი სხუმარი – ცხუმარი, „ლაშკუტა“ – ლაშხეთი და სხვ. [53,388] ავტორი სოფ. ხუმარასთან ახლოს შუასაუკუნეების ციხის ნანგრევებს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „შონა“, „შუანა“ და „შონას“ სახელწოდება აქვს, ხსნის როგორც სვანურ ტოპონიმს [53,339]. ავტორს მოჰყავს მრავალმხრივი ფაქტები და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

„Приведенные данные позволяют предполагать, что в некую историческую эпоху часть Северного Кавказа, в первую очередь верховья р. Кубани и р. Баксана, были населены сванами“ [53,339]. მეორე დასკვნა ასეთია: „Сваны овладели Баксанским ущельем... между 1640 г. и 1743 г., а оставили его (видимо под давлением Кабарды) в период между 1743 г. и 1773 г. Господство сванов в верховьях Кубани должно быть отнесено к более раннему времени, именно — до переселения сюда тюрков с Баксана, т.е. грубо говоря, до рубежа XVII-XVIII вв.“ [53,344]. დაბოლოს, ჩვენთვის მთავარი დასკვნაა: „Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. не может подлежать сомнению“ [53,344].

ანტიკურ და შუა საუკუნეებში ჩრდ. კავკასიაში სვანთა ლოკალიზაციის მიმოხილვა ჩვენ საფუძველს გვიქმნის ნათელვყით ის სასაზღვრო ცვლილებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. პირველ ნახევარში კავკასიაში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო.

საარქივო ცნობებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ XIX ს-ის 30-იან წლებში სვანეთმა რუსეთის მტაცებლური პოლიტიკის „წყალობით“ ჩრდილოეთით დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორია, მას ჩამოერთვა ჩრდილოეთ კავკასიაში ქედს იქით (ქედს

გადაღმა) – თერგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეები – კავკასიის მთავარ ქედამდე.

მივმართოთ ისევ ფაქტებს.

„Четвертый народ Сони (სვანები, ა. გ.) живут на вершинах реки Баксана, близ вершин реки Кумы и Кубани“ – წერდნენ 1743 წ. რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას ყაბარდოელი ფეოდალები: მაგომედ ათაუჟკინი, ადიღგირეი გილიაკსანოვი და ყუმიყი ხამზინი [54,31-39], [27,8], [7, 57], [53,343]. ე. ი. აშკარა ფაქტია, რომ XVIII ს-ის შუა ხანებში ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში სვანები ცხოვრობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ტერიტორიის მოღავე სვანებს ყაბარდოელი ფეოდალები სიაში არ შეიტანდნენ. აღნიშნული დოკუმენტის ყოველმხრივ გაანალიზებამ თ. მიბჩუნი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: „1743 წლისათვის სონები ცხოვრობდნენ ბახსანის, ჩეგემის, ხულამო ბეზინგის, მალყარიისა და ყუბანის ხეობებში“ [7, 59].

XVII ს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი წერდა: „კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მცხოვრები ხალხები: ალანები, სვანები (ხაზგასმა ჩემია ა. გ.), ჰუნები და სხვანი განთქმულნი არიან თავიანთი ძალით და გამბედაობით“ [55,294]. ავტორი სხვა შემთხვევაშიც, ჩერქეზთა „ჩრდილოეთ განშტოების გვერდით“ ასახელებს სვანებს, ჯიქებს, ყარაჩაელებს ანუ ყარაჩა-ჩერქეზებს“ [55,108]. ფრანსუა გამბა, რომელიც კარგად იცნობდა თერგისა და ყუბანის სათავეებს და XIX ს. ოციან წლებში ორჯერ მოიარა ამიერკავკასია [56,86-89], წერდა: „ისინი (სვანები, ა. გ.) კავკასიის ყველაზე მაღალ ჰობებს არიან შეხიზნული“ [57,197]. იგი სვანთა განსახლებას „კავკასიის ჩვეურობამდე“ მრავალგზის იმეორებს [57,112]. რუსეთის გენშტაბის მოხელე ი. ფ. ბლარამბერგი, რომელმაც ჩრდ. კავკასია XIX ს. 30-იან წლებში სამჯერ შემოიარა, აღნიშნავდა, რომ „ხულამი არის ჩერეხ-სახოს დასავლეთ ნაპირზე, სადაც ცხოვრობენ სვანური ოჯახები, რომლებიც დღემდე იცვავენ იმერულად და უწოდებენ „სონებს““ [58,256-257].

საკითხის სათანადოდ განხილვის შემდეგ პროფ. გ. გასვიანი სამართლიანად ასკვნის, რომ „ბახსანის, ხულამის, ყუბანისა და თერგის ხეობებში სვანები ცხოვრობდას განაგრძობდნენ XIX ს. შუახანებამდე“ [27,8]. ფაქტობრივად, იგივე აზრისაა მკვლევარი გ. გულბანი [59,3-4], ზ. რატიანი [60,5] და სხვა.

საკითხის ნათლად გააზრება რომ არ გაჭირდეს, აღვნიშნავთ; კავკასიის ქედს იქით იყო ყარაჩაის, ყაბარდოს, ბალყარეთისა და დიგორიის მიწები.

მე-17 ს-დან ყარაჩაელები ცხოვრობდნენ ყუბანისა და თებერდის მდინარეთა სათავეებში, თერგის ერთ-ერთ შენაკად ბაქსანზე – ურუსბიელები (ბაქსანელები), მდ. ჩეგემზე – ჩეგემელები, მდ. ურვანზე – ახლანდელი ბეზენგის ჩერეკზე, ხულიამ – ბეზინგები და მდ. ბალუარეთის ჩერეკზე – ბალყარელები [44,147-148].

1835 წ. ბალსქვემო სვანეთის, ფარის სადადიშგელიანო სამთავრო ნაწილის მფლობელი ციოყ დადიშგელიანის დედა დიგორხან გარდაფხაძე-დადიშგელიანისამ [61] კავკასიის მთავარმართებელს როზენს მისწერა საჩივარი, სადაც ვკითხულობთ: „რომელიც სვანეთისა მამული დღემდის ყოფილა მფლობელობისა ქვეშე ჩვენსა და არისცა, მათ მამული საზღვრავს ჩერქეზების მხრიდან სოფელი თეგენი და ყარაჩაელების მხრით არის სამზღლური სადაც დასრულდება ვაკე კლავი, რომელსაც ეწოდების ლაბგვიარი და ესე ლაბგვიარი არის ჩვენი და იმის იქით ყარაჩაელთა“ [62,245]. (აქ დასახელებული „თეგენი“ არის თეგენეკი (ყაბარდო), ხოლო ლაბგვიარი – ახლანდელი ულუ-კამის ხეობა). დიგორხანი კიდევ უფრო აზუსტებდა სვანეთის საზღვარს ჩერქეზეთთან (იგულისხმება ყაბარდოელები, ა. გ.) – „ჩერქეზების მხრივ, რომელნიც სახლობენ ჩერქეზილამ გადმოსახლებულნი მცხოვრებნი სოფელსა ბახსანსა, იგი არის საკუთარი ჩვენი. იმის გამო, რომელ იქ მცხოვრებელნი, რომელიც დღესა სცხოვრობენ, ადრე სახლებულან ჩერქეზეთს სოფ. ბინგისს და იქიდან გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხნი (რუსულ ტექსტში ხალხის ნაცვლად სწერია „გლეზები“; – ა. გ.) თავიანთ მამულს სოფელ ნაქმუკსა და ნაქმუკიდან არ არის დიდი ხანი რომელ თათარხანის მამას ციოყს გადმოსახლება ჩვენს საკუთრ სოფელს ბახსანსა, თხოვნითა მათის მეუფროსის ისმაილ ვირსპილოვისათა, რომელისაც შვილი მირზაყულა დღეს არის ცოცხალი და სცხოვრობს მას ჩვენს სოფელს ბახსანსა და რომელნიც ჩვენი გლეზნი სახლებულან მას ბახსანში. ისინი ამოუწყვეტნია ჭირსა (ცნობილია, რომ მე-19 ს. 20-იან წლებში მთელ კავკასიაში მასობრივი ეპიდემია („შავი ჭირის“ სახით) მძინვარებდა, რომელსაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოუწყვეტია, მათ შორის საქართველოშიც, ა. გ.) და დანარჩომნი გადმოუსახლებია მთავარს ციოყს (ციოყს, ა. გ.) სოფელსა ლეშტერსა (ფარის საზოგადოების სოფელი – „ლეშდერი“, – ა. გ.) და ლაშხარსა (ფარის საზოგადოების სოფ. – „ლაშხარაში“, – ა. გ.), რომელნიც გემსახურებენ ჩვენ ბატონყმურის წესითა“. დიგორხანი ამავე დროს განმარტავდა იმ მიზეზებს, თუ რატომ გადმოსახლა ციოყმა ბახსანში ჩერქეზები. პირველი რომ: „იქ იმათის მოსახლე-

ობით დაიცუავდა იმ მხარეს გარეულთა მტერთაგან“ და მეორე: „იმისთვის, რომ იგინი ისე გვემსახურებოდნენ ჩვენ, ვითარცა საკუთარნი ყმანი, როგორც საბალახოსა მიცემითა, აგრეთვე სხვათა სამსახურითაც, რასაც უბრძანებდით ჩვენ დღემდის“ [62,245]. მისივე განცხადებით, „ყარაჩაელნი როდესაც მოიხმარებდნენ მამულსა ჩუენსა ლაბგვიარად წოდებულსა ანუ სხვაგვარად პირუტყვის საძოვნელადა, გვაძღვედნენ თვინიერ ყოვლისა ვარყოფისა შესახვედრსა საბალახოსა (ე. ი. იჯარას, ა. გ.) რაიცა შეხვედებოდათ ჩუეველებისამებრ“ [62,245].

ამ საინტერესო დოკუმენტში მოცემული ფაქტების სამართლიანობის განსჯისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიგორხანი ამ საჩივარს წერდა 1835 წელს, მაშინ, როცა სვანეთისათვის დამპყრობელ რუსეთს უკვე ჩამორთმეული აქვს ის ტერიტორია, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა იგი. დიგორხანი, მთხრობელთა გადმოცემით: „ენერგიული, გონებამახვილი და ჭკვიანი პიროვნება“ ყოფილა [63]. მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ისედაც უიმედო მდგომარეობაში მყოფს, არასწორი ფაქტებით არაფერი გამოუვიდოდა, ამიტომაც მიუთითებდა ცოცხალ ფაქტებს. მის მიერ დასახელებული თათარყანი სვანეთში (ბალსქევმო სვანეთში) მთავრობდა 1821-1850 წწ., რომლის მამა იყო სვანეთის მთავარი ციოყი. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში „ბაბა ციოყის“ სახელწოდებითაა ცნობილი. „ბაბა ციოყი“ იყო გაუყოფელი სვანეთის სამთავროს ერთიანი გამგებელი XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს. დამდეგს [64,4]. იგი 1812 წ. გარდაიცვალა [64,6]. როგორც ეს ზემოთ მიუთითეთ, მისი მთავრობის დროს დიდი ჭირიანობა, მთელ საქართველოში და ბუნებრივია, სვანეთში [65,34], ასევე ჩრდ. კავკასიაში ორჯერ მძვინვარებდა. ეს იყო 1792-1793 და 1811-1812 წლებში [66, 401-402]. დიგორხანი სვანთა მიერ ბახსანიდან სვანეთში გადმოსახლებას ამ ჭირიანობასთან აკავშირებს და, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ჭირით ნახევრად გაწყვეტილ სოფლიდან მოსახლეობა გახიზნულიყო სვანეთში, მით უფრო, რომ ის ორი სოფელი – ლემღერი და ლაშხაში, ამ პერიოდის ჭირით გაწყვეტილ სვანეთის სოფელთა შორის არ მოიხსენიება. ესეც რომ არ იყოს, დიგორხანი იმოწმებს ცოცხალ ადამიანს, ისმაილ ვირპილოვის ვაჟს – მირზაყულს, რომელიც იმ დროს ცოცხალი იყო და ცხოვრობდა ბახსანში. საეჭვო არ არის, რომ დიგორხანის მიერ აღწერილი ამბავი ნამდვილია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცოცხალ ადამიანს არ დამოწმებდა კავკასიის მმართველის წინაშე. დიგორხანი ამასაც არ ჯერდებოდა და იმოწმებს „ბაბა ციოყის“ დროს სვანეთში გადასახლებულ მოსახლე-

ობას. აი რას წერდა იგი: „ბახსანისა მცხოვრებნი არიან ჩვენგან დასახლებული და იქ მსახლობელნი ჩვენნი გლეხნი ცხოვრობენ ლეშტერსა და ლაშხერსა, რომელთაც ყოველმან მეკომურმან იციან თავისთვის ნასახლარნი სახლი და საკუთარი მამულნი სოფელსა ბახსანსა“ [62,246]. აქ საჭიროა ისევ დავიმოწმოთ მკვლევარი ლ. ლავროვი, რომლის დასკვნით, „სვანები დაეუფლნენ ბახსანის ხეობას... 1640 და 1743 წლებს შორის და დატოვეს იგი (ალბათ ყაბარდოელთა შემოტევით) 1743-1773 წლებ შუა ხანებში“ [53,349].

დიგორხანის მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტების უტყუარობა დადასტურდა 1878 წელს ყარაჩასა და სვანეთს შორის სადავო საზღვრების დასადგენად (დადიშგელიანთა კუთვნილი საზღვრების გამოსარკვევად, ა. გ.) მთავრობის მიერ გამოყოფილი კომისიის წინაშე ყარაჩაის მეთაურის პასუხით, რომ ისინი (ყარაჩაელები, ა. გ.) „ამ ადგილებით სარგებლობენ აკერ 30 წელიწადია მაინც“ [67,153]. აღნიშნულმა მეთაურმა მოწმედ მხოლოდ „ალლაპის“ მოყვანა შესძლო. მას, თვითმხილველ ბ. ნიჟარაძის ცნობით, სვანეთის წარმომადგენელმა მოხუცმა ვიჩი ცინდელიანმა უპასუხა: „ჩვენსა და თქვენს შუა საზღვარი დიდი ქედი კი არ არის, არამედ ქვის ხილია („ბაჩა ბოგ“ მდ. უშგველანზე, ა. გ.) ჩემს სიცოცხლეში სამჯერ ამიღია თქვენგან ბეგარა-საბალახე (იგულისხმება იჯარა, ა. გ.) იმ ადგილებიდან, რომელსაც დღეს თქვენ დაეპატრონეთ; ორჯელაც ჯოგი თ. ციოყის დროს“ [67,152-153]. ვ. ცინდელიანის მიერ დასახელებული „ქვის ხიდი“, ბ. ნიჟარაძის ცნობით, „ყარაჩაელთა აულ ხურხუკიდან 3 კმ-ზე მდებარეობდა. ყარაჩაელებთან დადიშგელიანების დაეაზე ბ. ნიჟარაძე კიდევ უფრო საინტერესო ცნობას გვაწვდის. აღნიშნულ კომისიას ჰქონდა სვანეთის ბოქაულის თანაშემწის თ. დადიშგელიანის მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტი – ნიკოლოზ I მიერ 1833 წელს მურზაყანის მამის ციოყისათვის (მიხეილად წოდებული) ბოძებული პირი სიგელისა, რომლის თანახმად, „მურზაყანის და მისი მამის ციოყის საკუთრება ყოფილა მდ. ბახსანის სათავე, ახლო მდებარე ადგილებით“ [67, 137].

დავა საზღვრებზე სვანების სასარგებლოდ წყდებოდა. კომისიის მიერ შედგენილ სათანადო ოქმში, ულუ კამისა და უზუნყულის ხეობები თავის მდიდარ ტყე-საჯოგეებით სვანეთისაკენ“ დარჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე არსებობდა მეფის მთავრობის უფრო მნიშვნელოვანი „ანექსიონისტური“ დოკუმენტი, რომელიც სვანეთისა და ყარაჩაელების საზღვრად მთავარ ქედს თვლიდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ 1834 წლამდე სვანეთსა და ყარაჩაის საზღვარი იყო უკვე ხსენებული ლაბგვიარი ანუ დღევანდელი ულუ კამის ხეობა, ხოლო ყაბარდოს მხრით თეგენი ანუ თეგენეკი, მოვიყვანოთ შესაბამისი სვანური ტოპონიმები.

საინტერესოა აიხსნას, რომ ბახსანი (სვანურად „ბაქსან“) სვანური ტოპონიმია. „ბაქსან“ ჩრდ. კავკასიაში სოფელსაც ეწოდება და ხეობასაც. „ბაქ“ – მომდინარეობს სვანურ სიტყვიდან „მებქე“ -დან, რაც გაყოფილს, გააობილს ნიშნავს. „ბაქარ“ ეწოდება ზემო სვანეთში ეცერიდან ბეჩოში, ლახა-მულასა და დიზს შორის, მდ. კვაკვასა და ჯვარს შორის, ასევე მწვერვალ ლაპლადან სვანეთის ქედის ერთ-ერთ განშტოებას შორის არსებულ ჩაღრმავებულ ან კლდეებს შორის გადასასვლელ ადგილებს. რიგ შემთხვევაში ამ სახელს აკუთნებდნენ მთებსაც. მაგალითად, მთა – ბახი. ტოპონიმი „ლაბგვიარი“ წმინდა სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელია და აღნიშნავს სახიდე ადგილს. „ლაბგვიარ“ და „ლაბოგ“ სვანურში ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. „მეგმემ ბოგ“ – ხის ხიდი, „ბაჩა ბოგ“ – ქვის ხიდი და სხვ. „ბოგა“ ქართულად რომ ხილია – „მცირე ხიდი“, განმარტავდა სულმნათი სულხან-საბა [68,107]. ასეთივე განმარტებას იძლევიან ბ. ნიჟარაძე [67,115], ი. მარგიანი [69, 185]. ტოპონიმი „ხურხუკ“ (უფრო სწორად „ხურხუგ“) – დაშლას, ჩამორღვევას ნიშნავს. მას საფუძვლად უდევს „ხურ“ – „ლიხერ“ – „ჩუღიხერ“. „ხუგ“ კი მრგვალ, ამალღებულ ადგილს ნიშნავს.

ხორხუგის ირგვლივ მდებარეობენ სოფლები: უჩქულანი, კოჯურდი, ჯავლიყი და დაუდი, რომლებიც, როგორც ირკვევა, სვანთა ნასახლარებია. უჩქულანი ლ. ლავროვის განმარტებითაც, იგივე უშქულანია. სიტყვა „უშგულ“ სვანურად უკუღმართ ალაგს ნიშნავს „ან“ კი დაბოლოებაა. „კოჯურდი“ – მომდინარეობს სვანური კლდის სახელწოდება „კოჯ“ -იდან. კოჯურდი კი ნიშნავს კლდოვანს (ისე, როგორც კოჯორი). ჯავლიყი კი ბალსქვემოურ კილოზე ძირამოსაზიდ ალაგს ნიშნავს. „ჯავ“ „და ჯალ“ სვანურში მრავალმხრივი მნიშვნელობის სიტყვაა. იგი შეიძლება ეწოდოს დედა კვერცხს, ცომის დედას („საფუარს“), ლიყი – სიტყვასიტყვით ნიშნავს ამოყვანას-ამოქაჩვას, ამოზიდვას. „დაუდი“ ასე იმარცვლება „დაუ“, რაც ნიშნავს დევს, „დი“ კი – დედას. ამ ტოპონიმის ამგვარი ახსნა გვაფიქრებინა იმან, რომ იმ ტერიტორიაზე ტყის კაცთან, სვანურად „დეეთან“, დაკავშირებული ადგილსახელწოდებანი. კიდევ არსებობს. მაგ., „ბაბაში“, „მურზაბაჩას“ და სხვ. [67,122-123]. ესეც რომ არ იყოს, დაუ ისეთივე სახელია სვანურში, როგორც სახელი დეეი. ყუბანი სვანური სიტყვიდან „ყუბ“ მომდინა-

რეობს, რაც საცობს ნიშნავს. სვანაირად იძულებით თავშესაყრელ ადგილის მნიშვნელობით „ლიყუბ-ალ“ – იხმარება, რაც ზედმიწევნით კარგად ასურათებს მდ. ყუბანს, როგორც მდინარეთა თავშემყრელს. „ბაჩა ბოგ“ როგორც აღვნიშნეთ, სვანურია და ქვის ხიდს ნიშნავს.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ტოპონიმები, რომლებიც XIX ს. შუახანამდელ სვანეთ-ჩრდ. კავკასიის ხალხებს შორის არსებულ საზღვრებითანა დაკავშირებული, ძალზე უმნიშვნელო ნაწილია იმ მრავალრიცხოვან სვანური ტოპონიმებისა, ეკლესია-მონასტრებისა, ციხე-კოშკებისა, გალავნებისა, სასაფლაოებისა და სხვა ძეგლებისა, რომლებიც ადასტურებენ სვანთა განსახლებას ჩრდ. კავკასიის მთიანეთში. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებენ XIX ს. მეორე ნახევრის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ავტორები: ივ. მარგვიანი, [69,150]. ვ. ტუპცოვის საინტერესო განცხადებით, „ყარაჩაელების წინაპრებმა იცოდნენ, რომ მათ მიერ დაკავებული მიწები წინათ ეკუთვნოდათ სვანებს“ [70,5,40]. „ბალყარიაში ახლანდელ აულ კუნძიმში ადრე ცხოვრობდა სვანური წარმოშობის მოსახლეობა გადმოსული თაველუარიდან (საბატონო სვანეთის სოფელია, ა. გ.), აღნიშნავდა უვაროვა [71,78-79]. ბ. ნიჟარაძე კი წერდა: „რაც შეეხებათ ბახსანელებსა და ჩეგემლებს, ისინი ჩვენს დროში არიან გადმოსული ყაბარდოლამ და ამაზე ეჭვის შეტანა ის იქნება, კაცმა რომ თქვას... მეგრელები, გურულები და სვანები ქართველების მონათესავენი არ არიანო“ [67,143]. ასეთი ცნობის მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ისევე სვანეთის „მთავრინა“ დავიმოწმოთ: „წარსულსა წელსა (ე. ი. 1834 წ., ა. გ.) მოვიდა რა სვანეთში კაპიტანი კნიაზ შახოვსკი, იმავე დროს იწყო წერად სვანეთის მამულებისა და ყოვლისა მხრილამ არათუ შეავიწროვა სამზღუარნი ჩვენი, არამედ თვისისა აზრითა მისცა მამული ჩვენნი სხუათა, რომელიც გვექონია ჩვენ დღემდის. ამასთანავე მისცა ბრძანება, როგორც ყარაჩაელთა, აგრეთვე ბახსანს მცხოვრებელთა, რათა დღეს იქით არღარა გვაძლევდნენ ჩვენი იგინი მამულის ჩვენისა შემოსავალს, რომლითაცა გვისარგებლნია და არც ჩვენი სამემკვიდრეო და მამულნიცა დასწერა მათ ზედ“ (ხაზგასმა ჩემია, ა. გ.) [62,246]. დიგორხანის თხოვნა, როგორც იტყვიან, დარჩა ქალაქდზე, სვანეთმა კი რუსეთის „წყალობით“ დაკარგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორია. XIX ს. დასასრულის ერთ-ერთი წყარო თითქოს შემაჯამებლად გვაუწყებს: „Все земли по истокам Кубани и Терека занятые горцами, Сванети считают своими. В доказательство своих прав, они ссылаются на то обстоятельство, что лет 20-30 тому назад они,

Сванети, брали с горцев Северного Кавказа арендную плату за земли по истокам Терека; плата это прекратилась с покорения Кавказа русскими“ [72, №4719].

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მდ. ყუბანის და ბახსანის, ჩეგემის, ჩერეკის და სხვ. სათავეების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ყარაჩაის მხრით – ლაბგვიარი – ახლანდელი ულუკამის ხეობა და ყაბარდოს მხრით – თეგენი, XIX ს. პირველ ნახევარში – 1834 წლამდე – სვანეთის საკუთრებას წარმოადგენდა, რისთვისაც სვანები იღებდნენ სათანადო გადასახადს იქ გადასახლებულ ყაბარდო-ბალყარელებისაგან. 1834 წ. ეს ტერიტორია ჩამორთმეული იქნა და სვანეთმა იგი დაკარგა. ცხადია, ეს იყო საქართველოს დანაკარგი ტერიტორია ჩრდ. კავკასიაში. საზღვრად კი დარჩა კავკასიონის მთავარი ქედი.

რაც შეეხება სვანეთ-სამეგრელოს საზღვარს, იგი სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მიერ ანექსიამდე უნდა ყოფილიყო სოფ. ჯვარი [73,425]. იგი უშუალოდ ცხვიმზაგარს, საარქივო წყაროს ენით კი „ცხვიმზაგელას“ ქედს მიეყვებოდა. ამის დასტურს, გარდა დაბა ჯვარში მცხოვრებთა გადმოცემისა, ვხედავთ შემდეგ საარქივო ცნობაში: „სამეგრელოს მხრიდან ოდეს გამოვლენ აქაური მცხოვრებნი (სამეგრელოს, ა. გ.) მთასა ცხვიმზაგარსა, მაშინ იმათ ვართმევთ პირუტყვისა თვის საბალახოსა და სხუა რაც სამსახურსა. ამა საზღვრებსა იქეთ მდებარეობს სოფ. ჯვარი, რომელიც არის და ეკუთვნის თავად დადიანს კაციასა და ვამეყს და ნიკოს და ნათესავთა მათთა“ [62,246]. აქედან ჩანს, რომ გვიან შუა საუკუნეებში სვანეთ-სამეგრელოს საზღვარი ყოფილა ჯვართან ახლოს. მის აღმოსავლეთით მდებარე ცხვიმზაგელის ქედის (მთის) გაყოფებაზე.

რუსეთის მიერ სამეგრელოს სამთავროს ანექსიის შემდეგ, რუსეთი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდების, ზოლო საბოლოოდ ყველა მათგანის ხელში ჩაგდების მიზნით, მხარს უჭერდა სამეგრელოს და ამის გამო სვანეთ-სამეგრელოს მთავრებს შორის სასაზღვრო დავა წამოწყებულა, ამას მოგვიანებით დაერთო დავა საბალახო ადგილებისთვის და მკვლევარ რ. კანდელაკის ცნობით, „მთელი XIX საუკუნის მანძილზე არ შეწყვეტილა დავა დადიანებსა და დადიშგელიანებს შორის საძოვარი ადგილების „სკიმერიის“ ცხვირზაგელას“ (უნდა იყოს „ცხვიმზაგარას“, ა. გ.) -ურულაპის“, „საცხენის“, „დიდელელეს“, „თაბავორჩელის“, „ომიაჟის“, „კვარკვალის“ და სხვ. ადგილების გამო“ [44,149-150].

1834 წელს, რუსეთის მზაკერული პოლიტიკის ძალით, მანამდე სოფ. ჯვართან ახლოს მდებარე სვანეთ-სამეგრელოს საზღვარი-ცხვიმზაგარის ქედი – შეიცვალა მდ. ეცი (მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადია, ა. გ.), ტყა-ბედნიერით და ბუგურჯელით [62,246]. სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ეს იყო „25 ვერსის“ ფართობი. ამიერიდან სვანეთის დასავლეთი საზღვარი ასეა საარქივო დოკუმენტით: „От реки Эци через гору Акара и дальше горы Рачи и его продолжении потом до верховья реки Гамызга и от него выше этой реки до границы Абхазии“ [74,2].

ჩრდილოეთ კავკასიაში დაკარგულ ტერიტორიასთან შედარებით, რა თქმა უნდა, სამეგრელოსათვის მიწის ამ ნაწილის გადაცემა ნაკლებ მტკივნეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ სვანეთის მთავრები მაინც ვერ ურიგდებოდნენ მას. თუ სამეგრელოს მხარე ამ ადგილებით ისარგებლებდა, თავს ესხმოდნენ და მდგომარეობა ნელ-ნელა იძაბებოდა. მართალია, 1839 წელს სვანეთ-სამეგრელოს საზღვრებთან დაკავშირებით მომხდარ დავის შედეგად სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს სვანეთის მთავრისათვის დაუთმია საბალახო მთები „ნაბეჭვორი, ტყებელა, კაცლეთი, ოჯორხე ასევე მდ. თხეიშის (ხაიშის) ლელე“ [75,10], მაგრამ XIX ს. 50-იან წლებში ორივე მხრიდან მაინც ადგილი ჰქონდა აღამიანთა და პირუტყვთა „წარტაცებას“ [75,7830]. ეკატერინე ჭავჭავაძის ბრძანებით, ზუგდიდის, მურის, ჯვარის და ლაილაშის მაზრის გამგებლებს აეკრძალათ სვანთა შემოშვება მათ ტერიტორიაზე [76,7839]. შესაბამისად კონსტანტინე დადიშგელიანამაც აკრძალა, რომ „სამეგრელოს მცხოვრებლებს არ გადმოეღაზათ საბატონო სვანეთის საზღვრები“ [77, 7844]. დავა საზღვრებისა და საბალახოებისათვის გრძელდებოდა, ხოლო საბოლოოდ რუს მოხელეთა განსაზღვრული საზღვარი დარჩა ძალაში. როგორც ვხედავთ, რუსეთის მზაკერულმა პოლიტიკამ ლამის ერთმანეთს გადაჰკიდა ისტორიულად სამაგალითო მეგობრობით მცხოვრები ორი ძირძველი ქართული ტომი.

რაც შეეხება აფხაზეთისა და სვანეთის საზღვარს, იგი წებელდას მთიან ზოლს – ახლანდელ კოდორის ქედს მიჰყვებოდა. რომ არაფერი ვთქვათ უძველეს დროზე, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (კოდორის ხეობა და სხვ.) სვანეთს ეკუთვნოდა, XIX ს-ში აქაც სადავოდ რჩებოდა თელტობის, ლარაკვაკვას, დარჩვიჭენჭოლის მთები, რომელთაც საბალახოდ იყენებდნენ აფხაზები, ხოლო საბატონო სვანეთის მთავრები შესაბამის გადასახადს ე. წ. „საბალახოს“ თხოულობდნენ. დავა აფხაზეთსა და სვანეთს შორის ასევე გრძელდებოდა მთელი XIX ს-ის მანძილზე.

§2. სვანეთის მოსახლეობა XIX საუკუნეში

XIX საუკუნის სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის ირგვლივ დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში დავა არ შეწყვეტილა და, შეიძლება ითქვას, ამ საკითხში საკმაო სხვაობა და გაურკვეველობაა, რასაც, ჩვენი აზრით, ძირითადად იწვევს ამ კუთხის, როგორც კომლთა რაოდენობის, ასევე კომლში მცხოვრებთა საშუალო რაოდენობის არასწორად განსაზღვრა. ეს უკანასკნელი კი მომდინარეობს საკვლევი პერიოდის მანძილზე მთელ საქართველოში, და მითუმეტეს, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და, კერძოდ, სვანეთის, მოსახლეობის აღრიცხვის მოუწესრიგებლობით. რუსეთის სამხედრო თუ სამოქალაქო უწყებთა მოხელეები საქართველოს მოსახლეობას აღწერდნენ მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით – თუ „რამდენი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო მას საჭიროების შემთხვევაში (როცა აღრიცხვაში ხვდებოდა მხოლოდ მამაკაცები და ისიც არა ყველა ასაკის) [1,34-94]; [2,466] ან „გადამხდელი მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად“ [3,10].

XIX ს-ის საზღვარგარეთელი – ევროპელი თუ რუსეთის იმპერიის, მათ შორის ქართველი ისტორიკოსები, მოგზაურები და დამკვირვებლები, ცალკეული შემთხვევების გარდა, აღნიშნული კუთხის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მხოლოდ ზედაპირულ, მიახლოებით ცნობებს იძლეოდნენ. უფრო მეტიც, ერთი და იმავე ავტორის მიერ მოყვანილი მიახლოებითი მონაცემები სხვადასხვა ავტორთა მიერ უცვლელად მეორდებოდა ათეულობით წლების მანძილზე.

სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში [3,10] და შეიძლება ითქვას „XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს ყველა მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრადიციული დიდი ოჯახი. ასეთ ოჯახში ძალიან ხშირად ცოლშვილიანი მამაკაცი თავის შვილებთან და ძმებთან ერთად ცხოვრობდა“ [4,43]. აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ამ ფაქტს მიაქცია ყურადღება და მიგვანიშნა, რომ საქართველოში „სახლობა მრავალრიცხოვანიცაა და პატარაც ყოფილა“ [5,269]. მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის კვლევისას ამ ფაქტს არ უთმობს ჯეროვან ყურადღებას, რაც ჩვენ არაობიექტურად გვესახება, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ეს იწვევს ამ ძირძველი ერთ-ერთი ქართველური შტოს ხელოვნურად

დაკნინებულად წარმოჩენას, რომელსაც ჩვენი ერის ისტორიაში, უთუოდ, ეკუთვნის საპატიო ადგილი.

გარდა აღნიშნულისა, არასწორად განისაზღვრებოდა მამაკაცებსა და ქალებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობაც. სათანადოდ არ ითვალისწინებდნენ XIX ს. მანძილზე საქართველოს, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს და მისი მთიანეთის – რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მოსახლეობისადმი რამდენჯერმე თავსდატეხილ ჭირიანობის გამო გამოწვეულ მსხვერპლს.

ისიც შესაძრწნევია, რომ ზოგიერთი მკვლევარი XVIII ს. მოსახლეობის რაოდენობასთან, XIX ს. მოსახლეობის ზედაპირული შედარებით, ხან ამცირებს, ხან აღიღებს XIX ს. ამა თუ იმ მონაკვეთის მოსახლეობას, რაც არასწორ მეთოდად გვესახება.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, XIX ს. სვანეთის წარსულით დაინტერესებული ამ კუთხის ავტორთა ნაშრომები შედარებით მაინც სანდო ცნობებს შეიცავენ.

ასევე საყურადღებოა კამერალური აღწერების, სტატისტიკური კრებულების, ცხრილებისა და განსაკუთრებით 1886 წ. კომლობრივი, 1897 წ. რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერის მასალები.

ზაზგასმით გვსურს აღნიშნოთ, სვანეთის ისტორიის პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა (გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, შ. ჩართოლანი, რ. კანდელაკი, დ. ონიანი, ვ. ჯაოშვილი, გ. გულბანი, ა. ჩარკვიანი და სხვ.) ნაშრომების მნიშვნელობა. მათში მოცემული სამართლიანი კრიტიკა, ობიექტური მსჯელობანი და ფრიად გააზრებული მიგნებები გზას გვიკვალავდნენ ამ საინტერესო საკითხის კვლევის პროცესში.

სვანეთის XIX ს. მოსახლეობის რაოდენობის გასარკვევად პრინციპული მნიშვნელობა აქვს იქ ცალკეულ კომლში მცხოვრებთა საშუალო რაოდენობის, თუნდაც არაზუსტი (რაც ყოველად შეუძლებელია), მისაღები რიცხვის დადგენას მაინც.

მოვიშველიოთ ფაქტები.

XIX ს. დამდეგის ისტორიკოსი ს. ბრონევსკი სვანეთში ერთ კომლზე 5 სულს ვარაუდობდა [6,60]; შახოვსკი – 8 სულს [7,218]; ნემიროვიჩ-დანჩენკო – „მთელ რიგ ოჯახებში 30-40 სულს“ [8, №44]; ლობანოვ-როსტოვსკი 6 სულს [3,19], დ. ბაქრაძე – 7,5 სულს [9,28, 40]; ვ. ტეპცოვი – 7 სულს [10,40]; პ. უსლარი ზემო სვანეთის სოფ. ფარში – 3,5 სულს, კალაში – 9, აღიშში – 8, მულახში – 8, მესტიაში – 16,6, ლენჯერში – 30, ლატალ-

ში – 24, წერიმში – 9,2, ელიში – 9. საშუალოდ – 12 სულს [11,14-15]; რ. კანდელაკი – 8-9 სულს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ „გაყოფა დიდ უბედურებად ითვლებოდა, რამდენიმე მოდგმა ერთად ცხოვრობდა და 12-15 სულისაგან შემდგარი ოჯახი ჩვეულებრივი მოვლენა იყო“ [12,154]; გ. გულბანი – 8 სულს. მისივე აზრით, „არა ერთი ოჯახი შეიძლება დაეასახელოთ XIX ს. პირველ ნახევარშიც კი, სადაც 30-ზე მეტი სული ცხოვრობდა“ [13,16]. დ. ონიანი 8 სულს [14,15], საარქივო ცნობა – 8 სულს [15,72]; ეგ. გაბლიანი 10-15 სულს [16,70]; გაზ., „ნოვოე ობოზრენიე“ – ხან 7 [17], ხან 5 სულს [18]; მთხრობელი – 15-20 სულს [19]; ვ. ჯაოშვილი და მ. შენგელია – 5-6 სულს [20,64] და სხვ. ასეთია XIX ს. სვანეთის ერთ კერძო ოჯახში მცხოვრებ სულთა საშუალო რაოდენობის ამსახველი, როგორც ძველ, ასევე თანამედროვე მკვლევართა, ოფიციალურ პირთა, მოხელეთა, ასევე საარქივო, პრესის და სვან მთხრობელთა მიერ წარმოდგენილი მონაცემები. თუ აქედან საშუალო რაოდენობას გამოვიყვანთ, იქნება 11,9 სული. ამავე მონაცემებით, XIX ს. 20-იან წლებში ე. წ. დიდი ოჯახის გაუთვალისწინებლად იგულისხმება 5-10 სული. 30-იან წლებში – 8-9 სული, 40-50-იან წლებში – 6-8 სული, 60-70-იან წლებში 8-9 სული და 80-90-იან წლებში 6-8 სული. თუ ამ მონაცემებს დაეუმატებთ შედარებით მრავალრიცხოვან ე. წ. დიდ ოჯახთა რაოდენობას, მაშინ საშუალოდ უნდა ვიგულისხმოთ არანაკლებ 9 სულსა.

საკვლევი რეგიონის უხუცესებისა და საკითხში ჩახედულ პირთა მიერ მოწოდებულმა ცნობებმა დაგვარწმუნა, რომ XIX ს. სვანეთში საშუალო ოჯახი წარმოუდგენელი იყო დედ-მამისა და 5-6 შვილის გარეშე. დედა და მამა – ორი სული, მათ 5-6 შვილს, ხომ ეყოლებოდათ თითოეულს ორ-ორი შვილი მაინც და, საერთო ჯამში, 10 სული მაინც უთუოდ იქნებოდა.

მართალია, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს საკვლევე პერიოდში ბევრჯერ დაატყდა თავს შავი ჭირი („ჭირობა“, „მაზგარობა“), ზოგან მთელი სოფლებიც კი ამოწყდა, მაგრამ გარკვეულ დროში მდგომარეობა სწორდებოდა და ცხოვრება კალაპოტში დგებოდა.

ასე, რომ XIX ს. სვანეთის საშუალო ოჯახში საშუალოდ 9 სული სრულებითაც არ უნდა წარმოადგენდეს გადაჭარბებულს.

შედარებისა და საერთო ჯამში ნათელი სურათის წარმოსაჩენად დავიმოწმით პროფ. თ. ბერაძის შემდეგი ცნობა: „მეთურამეტე საუკუნის დასასრულს რაჭაში დაახლოებით ხუთი ათასი კომლი ცხოვრობდა. მთის რაჭაში და რაჭის სხვა მაღალმთიან სოფლებში ყოველი კომლი ე. წ. „დიდ ოჯახს“



ბესი ლიპარგელიანი 115 წლის,
სოფ. ჰველიერი, ქვემო სვანეთი.



ქემზა შორგუანი 125 წლის, ჰკილიანარი,
ზემო სვანეთი, სოფ. ბერო.



მურათბი კობულანი 102 წლის, მამერი,
ზემო სვანეთი, სოფ. ბერო.



ალექსანდრე გარდაფხაძე 112 წლის,
სოფ. თეკალი, ქვემო სვანეთი.



ომანა ჩხეგიანი და მისი მეუღლე მართა
ვიბლიანი, XIX ს. II ნახ. სოფ. ეცერი, კალამი.

ალექსანდრე კვანჭიანი XIX ს.
II ნახევარი, სოფ. იდლიანი.



ას წელს მიღწეული არღევან გელოვანი და მისი მეუღლე ოლღა დავითიანი,
სოფელი იდლიანი.

წარმოადგენდა, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და მათი ვაჟიშვილები ოჯახებით. „დიდი ოჯახი“ საშუალოდ ოცი სულისაგან შედგებოდა. რაჭის დანარჩენ სოფლებში „დიდი ოჯახები“ კომლთა დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ, ამიტომ მთელს რაჭაში საშუალოდ ათი სული უნდა ვიანგარიშოთ“ [21,135].

გაზ. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში კი ვკითხულობთ: „ამათში (რაჭაში, ა. გ.) გაყოფა ადვილი საქმე არ არის, ამიტომ ერთ ოჯახში ოცდაათიდგან ორმოცდაათ სულამდე ხშირად მოიპოვება“ [22, №160]. იგივე შეიძლება ითქვას აჭარაზე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზეც. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დიდი ოჯახების არსებობის ფაქტები მოგვყავს მოსახლეობის კვლევის მიზნით და ამაში სრულებითაც არ ვხედავთ ხსენებულ რეგიონში საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილობის ნიშანს. როგორც ჩანს, „დიდი ოჯახების“ სულადობრივი მრავალრიცხოვნობა მთის სპეციფიკურობიდან, კერძოდ, კლიმატურ-ეკონომიკურ მძიმე პირობებიდან, ასევე საქართველოს მთაში პოლიტიკური არეულობით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე პირველყოფილობით. ამიტომ, უაზრობაა ასეთი მაგალითებით საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილობაზე მსჯელობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ქრისტეშობამდე და არც ქრისტეშობის შემდგომ პერიოდში XVII ს. მეორე ნახევამდე სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ რეალური ცნობა არ მოიპოვება.

XVII ს. მეორე ნახევრის ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, რომელიც პატრიარქ მაკარიოს ანტიოქიელს ეკუთვნის, „სვანეთის საეპისკოპოსო შედგება 60-ზე მეტი დიდი სოფლისაგან, რომელთაგან ყველაზე პატარა სოფელში ცხოვრობს ოთხასი კომლი. მაგრამ არის ისეთებიც, რომლებშიც ექვსასი და მეტი კომლია და, საერთოდ, ეპარქიას შეუძლია გამოიყვანოს თორმეტი ათასი მეომარი“ [23,42-43]. ამ ცნობის მიხედვით, სვანეთში სულ მცირე ოცდაოთხი ათასი კომლი ცხოვრობდა. თუ ერთ კომლში საშუალოდ 9 სულს მაინც ვიანგარიშებთ, მაშინ მოსახლეობის რაოდენობა ორასთექვსმეტ ათასს მიაღწევდა, რაც გადაჭარბებული და ზერელეა. მითუმეტეს, რომ, ის მხოლოდ ცაგერის საეპისკოპოსოში მოქცეულ სვანეთს ეხება. ვფიქრობთ, საქმე გვაქვს ავტორისეული გადმოცემის არასწორ გაგებასთან ან წიგნის მთარგმნელის მიერ დაშვებულ შეცდომასთან. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, მაგრამ შესაძლებლად გვეჩვენება, რომ „კომლის“ ნაცვლად იქნებოდა „სული“. მაშინ ასე იქნებოდა – 60 და მეტ სოფელში ზოგში ოთხასი, ზოგში კი ექვსასი და მეტი სული ცხოვრობდა – თუ ამას მისაღებად ჩავ-

თვლით, მაშინ, აღნიშნულ ეპარქიაში სვანეთის მოსახლეობა იქნებოდა ოც-დაათი ათასი სული, რაც, ჩვენი აზრით, საეხებით რეალური უნდა იყოს.

მეორე ცნობა, რომელიც იოჰან ანტონ გიულდენშტედტს ეკუთვნის, ასახავს სვანეთის მოსახლეობის რაოდენობას XVIII ს. 70-იან წლებში, რომლის მიხედვით, მაშინდელი სვანეთის მოსახლეობა „არ აღემატებოდა ზუთი ათას კომლს“ [24,329]. თუ მოცემულ რიცხვს 9-ზე გავამრავლებთ, მივიღებთ ორმოცდახუთ ათას სულ მოსახლეს.

XIX ს., კერძოდ, 1809 წ. გამოცემული წიგნი, რომელიც გიულდენშტედტის მოგზაურობის მონაცემებს ეყრდნობა, სვანეთის მოსახლეობის რაოდენობას ასევე „ზუთი ათასი კომლით განსაზღვრავს“ [25,367].

საკვლევი საუკუნის სვანეთის მოსახლეობის საკითხს ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ისტორიკოსი ს. ბრონეუსკი, რომლის მიერ „ზეპირი და წერილობითი წყაროების“ მიხედვით შედგენილი მონაცემებით, 1820-1823 წწ. სვანეთის მოსახლეობა „სამიათას კომლს“ უდრიდა [6,60]. რაც, ჩვენი დაანგარიშების მიხედვით, ოცდაშვიდ ათას სულს შეადგენს. მოსახლეობის ასეთი მკვეთრი შემცირება უნდა დაეკავშიროთ 1811-1812 წლებში მძინვარე ჭირიანობასთან, რომლის შესახებაც შედარებით ზუსტ ცნობებს გვაწვდიან იმ დროის ავტორები: ი. დებუ [26,401]; ლ. ისარლოვი [27,313]; ი. გაგემეისტერი [28,71] და სხვ. ასევე უხვადაა დაცული ცნობები საარქივო მასალებში, რომელთა მიხედვით, შავმა ჭირმა თითქმის გაანახევრა იმერეთის მოსახლეობა. იგივე დღე დაადგა რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთსაც [29,34]; [30,4]; [31,89] და სხვ.

1830 წ. 10 აპრილს გენერალმა კარლ ჰესემ დაავალა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს „სრულიად საიდუმლოდ ეცნობებინა...“ „ენგურისა და ცხენისწყლის სვანეთიდან ყაბარდოში მიმავალი გზებისა და სვანეთისაგან გამოსაყვანად შესაძლებელი ჯარის რაოდენობის შესახებ“ [32,46-48]. მიღებული პასუხის საფუძველზე გენერალი ჰესე პასკევიჩს მოახსენებდა, რომ სვანებს „საჭიროების შემთხვევაში თავდასაცავად შეუძლიათ გამოიყვანონ სამი ათასი მოლაშქრე“ [33,9]. როგორც ჩანს, ლ. დადიანმა გენერალს ცნობა მხოლოდ ენგურის მოსახლეობის თაობაზე მიაწოდა, რადგან სწორედ აქედან გადიოდა გზა ყაბარდოსაკენ.

ამავე წელს ეკუთვნის უცნობი მიმომხილველის ცნობა, ე. წ. „სადადიშკელიანო სვანეთის მოკლე აღწერა“, რომლის თანახმად, სადადიშკელიანო სვანეთში ორივე სქესის თერთმეტი ათასი სული ითვლებოდა, ხოლო ე. წ. „თავისუფალ სვანეთში“ ამაზე ნაკლები არ ცხოვრობსო [13,12]. გამოდის,

რომ მთელს ზემო სვანეთში ცხოვრობდა ოცდაორი ათასი სული. ამას თუ დაეუმატებთ ქვემო ანუ ე. წ. სადადიანო სვანეთის ხუთ-ექვს ათას სულს, მივიღებთ ოცდაშვიდ ათასამდე მცხოვრებს. მაგრამ ეს დაანგარიშების ევროპული მეთოდით, ხოლო 9 სულზე გადაანგარიშებით, ალბათ, ოცდათორმეტ-ოცდაცამეტ ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

1831 წ. 7 იანვარს გრაფ პასკევიჩის პატაკში სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი მოყვანილი ცნობების მიხედვით, სვანეთის მოსახლეობა „არ აღემატება ოთხი ათას კომლს“, რაც კომლზე ცხრა სულის გადაანგარიშებით უდრის ოცდათექვსმეტ ათას სულს [34,404].

1832 წ. დეკემბერში შედგენილი საარქივო დოკუმენტით, სადადიანო სვანეთში „ხუთას ორმოცი, თავისუფალ სვანეთში – „ათას სამასი“, სადადიშგელიანოში – „ათასი“ კომლი ცხოვრობდა [35,30], რაც ცხრაზე გადამრავლებით ოცდახუთიათას ხუთას სამოც სულს უდრის. ამავე წლის მეორე ცნობით, ზემო სვანეთში მოსახლეობის რაოდენობა იგივეა, ხოლო ქვემო სვანეთში ორმოცი კომლით ნაკლები [13,13].

1835 წ. 15 ივნისს ბარონ როზენის მიერ ფინანსთა მინისტრ ე. კანკრინისადმი მიწოდებული ცნობით, სადადიშგელიანო სვანეთის ციოყის სამფლობელოში – ოთხი ათასი სული, თათარყანის სამფლობელოში – ხუთი ათასი, ხოლო თავისუფალ სვანეთში რვა ათასი სული ცხოვრობდა [36,524]. გამოდის, რომ მხოლოდ ზემო სვანეთში ჩვიდმეტი ათასი მცხოვრებია. თუ ამას დაეუმატებთ ქვემო სვანეთში მცხოვრებ ექვსი ათას სულს, მივიღებთ ოცდაოთხი ათას სულს. ეს ცნობებიც, როგორც სხვა შემთხვევაში, კომლზე მცირე რაოდენობითაა დაანგარიშებული. ან, როგორ შეიძლებოდა ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ბალსზემო სვანეთში სამიათას შვიდასი ადამიანი დახოცილიყო?

1834 წ. შტაბსკაპიტანმა შახოესკიმ, ზემო სვანეთის სოფ. ეცერში შედგენილი ცნობების მიხედვით, ბალსზემო სვანეთის მოსახლეობა თექვსმეტ ათასზე მეტი სულით წარმოგვიდგინა [33,218]. მოკლე დროში, მანვე გაუგზავნა ბარონ როზენს მიმართვა, სადაც სვანეთში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა გამრავლებული აქვს საშუალოდ რვა სულზე და აცნობებს, რომ ამ დროისათვის სვანეთში ოცდაცხრა ათას რვაასი სული ცხოვრობდა [12,152].

1835 წ. ო. ევეცკიმ გამოსცა წიგნი „ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკური აღწერილობა“, რომლის თანახმად, ამ წლისათვის მთელს სვანეთში ოცდაათი ათასი სული ცხოვრობდა [37,169].

საქართველოს ისტორიის ნარკვევის მიხედვით, მხოლოდ ზემო სვანეთში ოცდაოთხ-ოცდახუთი ათასი სული ცხოვრობდა [38,845]. თუ ამას ქვემო სვანეთის მოსახლეობასაც მივუმატებთ, მთელს სვანეთში მივიღებთ ოცდაცხრა-ოცდაათათას სულ მცხოვრებს.

დასკვნითი სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ XIX ს. 30-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა ოცდაცხრა-ოცდაათათას სულს შეადგენდა. ყოველ შემთხვევისათვის, სხვა უფრო სანდო წყაროების უქონლობის გამო, ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით ვამტკიცოთ გაცილებით მეტის ან გაცილებით ნაკლების არსებობა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა კვლავ მცირდება.

1839 წ. კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ გამოსცა ამიერკავკასიის მმართველობის დებულების პროექტი. ამ ოფიციალური დოკუმენტით, სვანეთის მამრობითი სქესის მცხოვრებთა რიცხვი 12 ათასს არ აღემატებოდა (მაშინდელი აღრიცხვიანობა XIX ს. 40-იან წლებში „კავკასიის ოპერაციებში“ მოსახლეობის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული). მკვლევრები სრულიად სამართლიანად ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ მაშინ მამაკაცთა რიცხვი ჭარბობდა ქალთა რიცხვს დაახლოებით 9-10%-ით და ვარაუდობენ, რომ ამ წლისათვის სვანეთის მოსახლეობა ოცდაორი-ოცდასამი ათას სულს აღწევდა [12,152]; [39,18]; [20,64]. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო 1838 წ. ხოლერის ჭირთან საქართველოში [40,89]. კიდევ უფრო დიდი ჭირიანობა და მსხვერპლი ყოფილა 1841-1843 წლებში [41,4,89]; 1846-1848 წლებში [41,4]; ასევე 1851-1852 წლებში [41,4]. ზედიზედ ასეთი ჭირიანობა, ცხადია, საკუთარი სახალხო მედიცინის ამარა მიტოვებულ სვანეთში დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა.

მოსკოვის საისტორიო არქივებში დაცულია მ. ბ. ლობანოვ-როსტოვსკის ფართო მოხსენება ვორონცოვისადმი. 1846 წ. დაწერილ ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტით, სვანეთის მოსახლეობა ასეა წარმოდგენილი: ქვემო სვანეთის ლენტეხის თემში ცხოვრობდა 120 კომლი, ჩოლურში – 100, ლაშხეთში – 200, ხელეთში – 20, სულ 440 კომლი (ავტორის შეჯამებით – 450 კომლი). კომლში იგი გულისხმობდა 6 სულს. საერთო ჯამში, ქვემო სვანეთში ცხოვრობდა 2700 სული. საბატონო სვანეთში: კონსტანტინეს მამულში 16 სოფელი – 245 კომლით, ნიკოლოზის მამულში 18 სოფელი – 270 კომლით. კომლზე 6 სულის დათვლით საბატონო სვანეთში გამოდიო-

და 3000-მდე სული. თავისუფალ სვანეთში: უშგულში – 103, კალაში – 40, პალიშში – 9, წვირმსა და ლჰკაში ერთად – 60, იფარსა და ბოგრეშში ერთად – 66, მუჟალში – 39, მულახში – 90, მესტიაში – 86, ლენჯერში – 80, ლატალში – 110 კომლი. სულ მისივე დაანგარიშებით 683 კომლი. 6 სულზე გადამრავლებით თავისუფალი სვანეთის მოსახლეობა 4000 სულს აღწევდა. ე. ი. ლობანოვ-როსტოვსკის დაანგარიშებით, ზემო სვანეთში ყოფილა 1648 კომლი – 9700 სული მცხოვრებით [3,7-19]. ამასთან ერთად, ლობანოვ-როსტოვსკი აღნიშნავდა: „ამბობენ, რომ სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის დათვლა ოჯახების მიხედვით არ შეიძლებაო, რადგან თითოეული ოჯახი ციხე-სიმაგრეს ჰგავს და იქ ცხოვრობს განუყოფლად მთელი ნათესაობა. ეს მართალია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ოჯახ-სიმაგრეთა ნაწილის მხოლოდ ნაგრევებილა დარჩენილი და იქ აღარავინ ცხოვრობს, აქ, ვფიქრობ, რომ 6 სული თითოეულ ოჯახზე საკმარისია წარმოვადგინოთ“ [3,7]. იმავე მოხსენების საკმარად შემცირებული ვარიანტი მან გამოაქვეყნა 1852 წელს გაზეთ „კავკაზში“, სადაც მოსახლეობის შემცირება სვანეთში იგივე მიზეზითაა ახსნილი [43, №16...]. ამასთან ერთად საინტერესოა მეორე ფაქტი. 1846 წელს ისევ გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა შახოვსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ცნობები სვანეთის მოსახლეობის შესახებ, სადაც კომლთა რაოდენობა ზემო სვანეთში უდრის 500-ს და თითოეულში ნაგულისხმევია 30-40 სული მცხოვრები [44, №44].

1847 წ. მ. სელეზნიოვის მონაცემებით, ზემო სვანეთში 500 კომლი ცხოვრობდა [45, 140].

1855 წლისათვის ა. ლავრენტიევის აღნიშვნით, რომელიც, ალბათ, საკმარად უზეიროდ დაესესხა ლობანოვ-როსტოვსკის მონაცემებს, „სვანეთში 12000-მდე სული ცხოვრობს. აქედან სადადიანო სვანეთის სოფ. ჩოლურში – 100 და ხელეთში – 12 კომლი, სულ 440 კომლი [46,225]. ე. ი. 1846 წლიდან 1855 წლამდე სადადიანო სვანეთში არც დაბადებულა ვინმე და არც გარდაცვლილა, ხოლო 440 კომლში საშუალოდ თურმე 2,1 სული უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც XIX ს. ორმოცდაათიანი წლებისათვის, კერძოდ, 1855 წ. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვემო სვანეთის მოსახლეობას 1000 სულით განსაზღვრავენ, ან ეს რიცხვი „სინამდვილესთან უფრო ახლოს მდგომარეობს“ ესახებათ [4,66-67].

როგორც აღვნიშნეთ, XIX ს. ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი იყო წინამორბედი ავტორის მონაცემების ხელალებით გადალება და გან-

მეორება. ზემოთ ჩვენს მიერ მოყვანილი ა. ლავრენტიევის ცნობა, რომელიც ლობანოვ-როსტოვისკისგან იყო ნასესხები, მალე გაიმეორეს ისტორიკოსმა ა. ბერეჟემ [47,3], გაზ. „კავკაზ“ -მა [48, №2], გ. რადემ [49,68] და სხვა მრავალმა.

სვანეთის მოსახლეობის რაოდენობის ირგვლივ შედარებით უფრო სანდო საარქივო ცნობის თანახმად, XIX ს. 60-იან წლებში „სადადიანო სვანეთში ცხოვრობდა 4676 სული“ [50, 4-5] 7 სათანადო კვლევის შედეგად დ. ონიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პერიოდში „სადადიანო სვანეთში“ ცხოვრობდა 528 კომლი – 4554 სულით [14,15]. თუ ამ მონაცემებს მისაღებად ჩავთვლით, მაშინ ზემო სვანეთის მოსახლეობის თუნდაც 11000-ის მიმატებით, მთლიანად სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 15676 სულს. ამ შემთხვევაში ყურადღებიდან არ უნდა გამოვგრჩეს, რომ სწორედ XIX ს. შუა ხანებიდან დაიწყო სვანთა ხელახალი ჩასახლება ე.წ. აფხაზეთ-სვანეთში, კერძოდ, დალის ხეობაში (ძველი სვანური მოსახლეობის ადგილზე). პროფ. გ. გასვიანის აღნიშვნით, „XIX ს. შუახანებში აფხაზეთის სვანეთში 100-მდე კომლი გადასახლდა“ [51,19]. ე. კალკეიტის ცნობით, ჩუბეხევიდან დალში გადასახლდა 184 კომლი [52,63-64]. გადასახლების ფაქტებს ამტკიცებენ თ. მიბჩუანი [53,131], გ. გულბანი [13,15] და სხვ. ჩვენს მიერ მიგნებულ საარქივო ცნობებისა და მთხრობელთა გადმოცემით გაირკვა, რომ აღნიშნული პერიოდიდან დალის ხეობაში აყრილი ძველი სვანების ადგილზე გადასახლებულა არა ნაკლებ 200-250 ოჯახი [54,9].

XIX ს. შუა ხანებში, კერძოდ, 1855 წ. აპრილში საბატონო სვანეთის სოფ. ლახამულაში კონსტანტინეს უმცროსი ძმების ისლამისა და თენგიზის ხელმძღვანელობით და სოფ. ლახამულის გლეხობის ხელშეწყობით, მოკლულ იქნა თავადი ჯანსოხ (ჯანსუყ) დადიშგელიანი. კონსტანტინეს სამთავროს შემადგენლობაში მყოფ ჩუბეხევის ცალკეული სოფლები და განსაკუთრებით ლახამულა, მანამდეც ცნობილი იყო, როგორც „ბატონთა ურჩი“. მკვლელობის შემდეგ ეცერის სამთავრო სახლის წარმომადგენლები მკვლელობაში მონაწილეობისათვის სამუდამოდ გადაემტერნენ ამ სოფლის მოსახლეობას [55,89-96]. ყოველნაირი შევიწროებისაგან შეწუხებული მოსახლეობა ტოვებდა სოფელს და ხუდონ-ლახამულას მონაკვეთზე მდ. ენგურის გადაღმა-გადმოდმა სახლდებოდა. ამ ტერიტორიის ათვისება ლახამულის მოსახლეობას XVIII ს. ბოლო პერიოდიდან ჰქონდა დაწყებული, მაგრამ პროცესი დაჩქარდა XIX საუკუნეში, განსა-

კუთრებით ხსენებული მკვლევარების შემდეგ. ასე გაჩნდნენ და შემდეგ რიცხობრივად მომრავლდნენ სოფლები: იფარი, ღიზი, ჯორკვალი, ჭერი, ლაკანი, ტობარი, ლუხვი, გაღმა-გამოღმა ხაიში, ვედი, სკორმეთი, ნაკი, ციცხვარი, იდლიანი, შვედი, ნალქოლვარი, თოთანი, ბარჯაში, ხულონი და ცალკეული პატარ-პატარა დასახლებები ამ სოფელთა ირგვლივ [56]. XIX ს. მოსახლეობის აღრიცხვიანობაში, გარდა ლახამულისა, არც ჭუბერის და არც ზემოთ დასახლებული სოფლების მოსახლეობა არ ხედებოდა, არადა, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უხუცესების გადმოცემით, აქ XIX ს. მეორე ნახევრიდან ცხოვრობდა არანაკლებ 30-40 ოჯახი [57]. თუ ოფიციალურად აღრიცხული მოსახლეობის რაოდენობას დაუმატებთ აფხაზეთ-სვანეთში და ლახამულიდან ლენკეხის ტერიტორიაზე ჩასახლებულთა სულ მცირე 360-ზე მეტ სულს, მაშინ XIX ს. 50-60-იანი წლების სვანეთის მოსახლეობა თექვსმეტ-ჩვიდმეტ ათასზე ნაკლები არ უნდა ვივარაუდოთ.

XIX ს. 60-იან წლებიდან ამავე საუკუნის 80-იან წლებამდე სვანეთის მოსახლეობაზე გვაქვს შემდეგი ცნობები: 1860 წ. გ. ფილიმონოვის ცნობით, ბალსქვემო სვანეთში და ბალსზემო სვანეთში ცხოვრობდა ათიათასი სული [58,3]. დ. ბაქრაძე, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა სვანეთის ბოქაულის მიერ მიწოდებულ მონაცემებს და გამოტოვებული აქვს იელისა და ადიშის საზოგადოებანი, თვლიდა, რომ ზემო სვანეთის მოსახლეო-



ხაიში (საუკუნეების მიღმა სვანთა საცხოვრისი და შემდეგ XIX საუკუნეში ხელახლა გაშენებული სოფელი)

ბა უდრიდა თერთმეტი ათას სულს [60,84]. გაზეთ „დროებას“ თანახმად – ათი ათას სულს [61, №190]. 1880 წ. სტატისტიკის მონაცემებით – ცხრა ათას ხუთას ოცდაშვიდ სულს [62]. გაზ. „შრომას“ მიხედვით – თორმეტი ათას მცხოვრებს [63, №10]. 1886 წ. სტატისტიკური მონაცემებით, ზემო სვანეთში 91 სოფელი, 1175 კომლი, 9527 სულია, ხოლო ქვემო სვანეთში – 2048 სული. სულ სვანეთში 11570 სულია [64, VIII]. დამოწმებული მონაცემების მიხედვით, ზემო სვანეთის მოსახლეობა ათიდან თორმეტ ათასამდე მერყეობდა, მაგრამ მოსახლეობა აქაც შემცირებულია [13,14]. მკვლევარ თ. ღვინიაძის მართებული მტკიცებით, აღნიშნულ პერიოდში „სვანეთის მოსახლეობა არ აღემატებოდა 15,2 ათას სულს“ [20,64]. ვ. ჯაოშვილის მიხედვით, 1886 წ. სვანეთის მოსახლეობა 15000 სულს უდრიდა [4,66]. ე. ი. ამ პერიოდის მოსახლეობა სინამდვილეში თექვსმეტ ათასამდე მაინც იყო. ეს იმიტომაც, რომ XIX-ის 90-იან წლების ებიდემიის შემდეგაც კი წყაროები ამაზე ნაკლებ რაოდენობას არ აჩვენებენ.

XIX ს. 90-იან წლებში, რუსეთის იმპერიასა და, კერძოდ, საქართველოში კვლავ იფეთქა ხოლერის ჭირმა. დასავლეთ საქართველოს მთიანეთში რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ხოლერასთან ერთად მძვინვარებდა „მუცლის ავადმყოფობა“, „ყვავილი“, „წითელა“, და სხვ. ამას დაემატა მოუსავლიანობა, პირუტყვის მასობრივი დაცემა და სხვა მრავალნაირი უბედურებანი [65,20].

1890 წ. „ივერია“ გვამცნობდა: „ავერ რამდენიმე ხანია რაც მომეტებული ნაწილი იწერიისა (ეცერიისა – ა. გ.) და პარის (ფარის, – ა. გ.) საზოგადოების მცხოვრებნი იტანჯებიან მუცლის ავადმყოფობით, ბევრი მათგანი კიდევ გამოესალმა წუთისოფელს, შველა კი არსაიდან ჩანს. მულახსა და იფარის საზოგადოებაში მძვინვარებს ყვავილი, რადგან არსად არც ექიმია და არც წამალი“ [66, №203].

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ქვემო სვანეთში. აქ სოფ. სასაში ხოლერი-საგან თითქმის განადგურდა [66,203]. 1892 წ. „ივერიის“ თითქმის ყველა ნომერში ნახავთ ცნობებს ხოლერისა და სხვადასხვა ავადმყოფობისაგან განაწამები და განადგურებული მოსახლეობის შესახებ [67, №232]. ერთ-ერთ ნომერში ხოლერით მიყენებული ავებლობა შაჰ-აბასის შემოსევებთანაა შედარებული [68, №207]. „სამწუხაროდ ხოლერამ არც ჩვენი მაზრა დატოვა უნახავად. აქაც იჩინა თავი და ისეთ ალაგს, სადაც სრულიად არ

წარმოვიდგენდით“, – წერდა ქალბატონი ქ. გელოვანი, – ლეჩხუმ-სვანეთის მდგომარეობის გამო. იგივე კორესპონდენტი აღწერს, თუ რა ზიანი მიაყენა 70000-იან რაჭის მცხოვრებლებს და 17000-იან ლეჩხუმს ამ მძიმე სენმა [69, №226]. „მაგრამ ხოლერა რა არის იმ ჭირთან, რომელიც მესამე წელიწადია გაჩენილა სადადიანო სვანეთში?... ერთი სვანი არ დაუტოვებია ფეხზე... ლეჩხუმმაც ხომ ბევრი ზიანი ნახა ამ სენისაგან, რა სენია ვერ გაიგეს“, – წერდა ვინმე დ. ა. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში [70, №249]. როგორც ირკვევა, ხოლერის გარდა არსებობდა სხვა ავადმყოფობანიც. ამ დროს ძლიერ დაზიანდა სოფლის მეურნეობაც. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ვენახები განადგურდა [71, №222]. ზემო სვანეთში დაიხოცა პირუტყვი. იღვა მოუსაველიანობის ყამი [72, №3412].

როგორია მოსახლეობის მაჩვენებლები XIX ს. ბოლო ათწლეულში?

1890 წ. ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგმა ვ. ტეპცოვმა მოიარა სვანეთი და აღნიშნა, რომ მოსახლეობა უდრიდა 15000 სულს [10,39]. მეორე თვითმხილველის მ. კოვალევსკის აღნიშვნით, მაშინდელ სვანეთში მამაკაცები ქალებზე 17%-ით ნაკლებს შეადგენდნენ. ამასთან ერთად იგი დასძენდა, რომ ზოგ ოჯახში 40 წევრიყო.

ი. პანტიუხოვის მიხედვით, მხოლოდ ზემო სვანეთში მოსახლეობა უდრიდა 11254 სულს [74,24]. ამავე წლის სტატისტიკით, სვანეთში 11254 სულია [64]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წელს გამოცემული სტატისტიკური ცნობარი ეყრდნობა 1886 წ. აღწერას და იმეორებს მას. ამდენად ისიც სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს. იმავე წელს ი. აკინფიევმაც გამოსცა ნაშრომი და სვანეთის მოსახლეობა 14000 მცხოვრებით წარმოგვიდგინა [75,100].

ვ. მავესკის მიერ ქუთაისის გუბერნიის სამხედრო სტატისტიკური აღწერის მიხედვით, 1893 წ. ლეჩხუმის მაზრაში 50928, ხოლო სვანეთში 15438 სული ცხოვრობდა [76,263]. ამავე წლის „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი ნომრის ჩვენებით, „სვანეთში 14035 სულია“ [77, №3410].

1897 წ. პირველი საყოველთაო აღწერის დროს სვანეთში ცხოვრობდა 15669 სული. აქედან მამაკაცები 7813, ქალი – 7856.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სვანეთმა XX ს-ში ისე შეაბიჯა, რომ „ქალები რაოდენობით ჭარბობდნენ კაცებს“ [78, VIII].

1897 წ. მეორე ოფიციალური დოკუმენტის მონაცემებით, ზემო სვანეთში ცხოვრობდა 11 964 სული, ქვემო სვანეთში – 5902, ხოლო მთელს სვანეთში 17596 სული [79,271].

1905 წ. აღრიცხვით, ქვემო სვანეთში – 6221, ზემო სვანეთში 12194 სული ცხოვრობდა [80,22-23].

ყოველივე ზემოთ თქმულით შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის ბოლო ათეული წელი განვლო და XX ს-ში სვანეთმა შეაბიჯა 17-18 ათასი სული მცხოვრებით.

ასეთია XIX ს-სა და მისი წინა პერიოდის სვანეთის დემოგრაფიული სურათის კომპლობრივი და სულადობრივი რაოდენობის მაჩვენებლები და აგრეთვე სხვადასხვაობა, რომელიც ზოგჯერ დრო და ჟამის ცვლილებებითაა განპირობებული, ზოგჯერ ზედაპირული მიდგომით ან შესაბამისი ცნობების უქონლობით, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე სათანადო აღწერა-აღრიცხვიანობა იშვიათად თუ წარმოებდა [81,162].

როგორც ვხედავთ, სვანეთმა XVIII ს. დაასრულა და XIX ს. დაიწყო 30-35 ათასი სული მცხოვრებით, ხოლო XIX ს. დაასრულა და XX ს-ში შეაბიჯა 17-18 ათასი სული მცხოვრებით.

ეს გარკვეულწილად, გარდა ავსენიანობით, აგრეთვე შურისძიებით გამოწვეული მკვლევლობებისა, განპირობებული იყო იმითაც, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, საქართველოს ბარში ადგილი ჰქონდა შეუწყვეტელ ბრძოლებს, როგორც ქვეყნის შიგნით ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის, ასევე უცხოელ დამპყრობლებთან და სვანეთი ამჯობინებდა ადგილზე საცხოვრებლად დარჩენას, მაგრამ შემდგომ პერიოდში, შედარებით მშვიდობიან დროს, მთას ტოვებდა და მშობლიურ საქართველოს ბარის რაიონებში სახლდებოდა.

II თავი დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) სოციალური ურთიერთობა და ეკონომიკური მდგომარეობა XIX ს.-ში

I ქვეთავი სვანეთის სოციალური ურთიერთობა XIX საუკუნეში

1. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის) ზოგად ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული დახასიათება

აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა, რომ „ერთი მაგალითის ნიადაგზე შედარებითი შესწავლის გარეშე, წარმოდგენილი მრავალგონივრული დაკვირვებანი უკეთეს შემთხვევაშიაც კი მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებული რჩებიან“ [1,375]. ამ მისაღებ და სამართლიან შენიშვნიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, სვანეთის ზოგიერთი საკითხის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, ერთი პატარა ქვეთავი დაგვეთმო დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ზოგად ასპექტში შედარებითი დახასიათებისათვის.

✓ XIX ს. დამდეგს დასავლეთი საქართველო შედგებოდა იმერეთის სამეფოსა და ოთხ: სამეგრელოს, გურიას, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროსაგან. რაც შეეხება მის მთიანეთს – რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს – შემდეგი მდგომარეობა იყო.

რაჭის საერისთავო, რომლის არსებობას მკვლევარები ვარაუდობენ X საუკუნიდან [2,69], როგორც ცნობილია, 1769 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I გააუქმა. მისი უდიდესი ნაწილი სახსოდ გამოაცხადა, ხოლო საერისთავოს მამულები უხვად გადასცა წერეთლებს იმ დახმარებისათვის, რაც უკანასკნელებმა გაუწიეს მას როსტომ ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე „საწულოები“ აღუდგინა როსტომ ერისთავის მიერ გაძევებულ წულუკიძეებს. ამის შედეგად, აბაშიძეებისა და ერისთავების ორი დიდი სათავადო ფაქტობრივად გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა ორი სათავადო წერეთლებისა და წულუკიძეების, რომლებიც უშუალოდ სოლომონ მეფეს ემორჩილებოდნენ.

1784 წ. სოლომონი გარდაიცვალა და ტახტი დაიკავა დავით II (1784-1789 წწ.), რომელმაც რაჭის საერისთავო აღადგინა და ერისთავად ანტონ გიორგის ძე დასვა. პროფ. თ. ბერაძის სამართლიანი შენიშვნით: „რაჭის საერისთავოს აღდგენა განსაკუთრებით წულუკიძეებსა და წერეთლებს ეწყინათ, რადგან მათ სოლომონ I-საგან ბოძებული ერისთავთა კუთვნილი ყმა-მამული უკან უნდა დაებრუნებიათ“ [3, 106].

1785 წ. გიორგი და ბერი წულუკიძეებმა სცადეს რაჭის თავიანთ ერთგულებაზე დაფიცება, მაგრამ უშედეგოდ. მალე, დავით II-მ ანტონის ნაცვლად რაჭის ერისთავობა მამამისს გიორგი როსტომის ძეს უბოძა. ამას მოჰყვა დიდი ბრძოლა, სადაც მეფე გამოვიდა გამარჯვებული. აჯანყებული ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი მეფეს დანებდნენ.

1787 წ. დავით მეფის წყალობა კვლავ ანტონ გიორგის ძეს ზედა წილად და მას ებოძა ერისთავობა, მაგრამ 1789 წ. იმერეთის სამეფო ტახტის ახალმა მესაჭემ სოლომონ II საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო.

1801 წელს რუსეთმა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია.

1803 წელს რუსეთმა დას. საქართველოს პოლიტიკური ერთეულებიდან ხაფანგში პირველად გაახვია სამეგრელოს სამთავრო, მასთან ერთად ლეჩხუმიც და ე. წ. „სადადიანო სვანეთიც“, ხოლო 1804-1810 წწ. ძალდატანებით ხელში ჩაიგდო უფრო დიდი ნადავლი – იმერეთის სამეფო, მასთან ერთად გურია და რაჭაც, ბოლოს 30-40-იანი წლებიდან ზემო სვანეთი (სვანეთის სამთავრო და ე. წ. თავისუფალი სვანეთი, აგრეთვე დალიცი, ე. წ. აფხაზეთის სვანეთი).

1811 წ. იმერეთის სამთავროში გატარებული რუსული რეფორმების შედეგად იქმნება რაჭის ოკრუგი, რომელმაც მოიცვა მთელი რაჭა, რომლის ცენტრად სხვადა იქნა შერჩეული [3,107].

რუსეთის მრისხანე კოლონიზატორული სუსხი იგრძნო საქართველოს მოსახლეობამ, ეკონომიკამ, პოლიტიკამ, ეკლესიამ და სხვ. ცნობილია, რომ იმპერიის შოვინისტური პოლიტიკით ბოლო მოეღო 1811 წ. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალიას. საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიას დაექვემდებარა. 1815 წ. რუსეთის სამღვდელთა ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელმაც რუს საეკლესიო მოხელეთა ხელში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია მოახდინა, რასაც მთელი ადგილობრივი სამღვდელთა წინ აღუდგა. მალე ის იმერეთის აჯანყებაში გადაიზარდა. „აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს რაჭა წარმოადგენდა“ [3,107]. რაჭაში ეს პირვე-

ლი შემთხვევა არ იყო. პროფ. ალ. ბენდიანიშვილის აღნიშვნით – „რაჭას ადრეც არაერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა მთავრობის ღონისძიებისათვის [4,34]. აჯანყების დამარცხების შემდეგ კოლონიზატორებმა რაჭაში „მუამბოხე ფეოდალების ციხე-სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს, ხოლო ისინი რუსეთში გადასახლეს. უფრო მკაცრად დაისაჯა აჯანყებაში მონაწილე გლეხობა და სამღვდელთა...“ რაჭის ოკრუგის ცენტრი სხვაგვადან ხოტევიში გადაიტანეს [3,107]. ამასთან დაკავშირებით ფრანგი მოგზაური ჟაკ ფრანსუა გაბა ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის – „რაჭის დამარცხების შემდეგ ჩამორთმეული ხმლები და ხანჯლები... ლურსმნებად და საკეტებად გადაუდნით და ხოტევიში ახლახან აგებული ყაზარმებისათვის გამოუყენებით“ [5,192].

1846 წ. 26 დეკემბერს, იმპერატორის ბრძანებით, ახლადშექმნილი ქუთაისის გუბერნია [6,1] გაიყო: „ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის და ახალციხის მაზრებად [7,3]. რაჭის მაზრა დაყოფილი იქნა ონისა და ამბროლაურის საბოქაულოებად“ [8,19]. იმპერატორისვე ბრძანებით „რაჭის მაზრის სამმართველო უნდა მოთავსებულიყო ონში, სადაც უნდა დაექირავებინათ თავად გიორგი წერეთლის მემკვიდრეთა სახლი“ [9,29]. 1867 წ. უკვე 1857 წელს გაუქმებული სამეგრელოს სამთავროს მემკვიდრეს ნ. დადიანს წაართვეს დადიანობა და უბოძეს გვარი „მენგრელსკი“, მისცეს 1 მლნ. ფულადი ანაზღაურება, რის შედეგად ხელი ააღებინეს მთავრის უფლებებზე [10,3-4]. მისი სამფლობელო მიწები ქუთაისის გუბერნიას შეუერთეს. ამის გამო ლეჩხუმიც ცალკე გამოცხადდა მაზრად, რომელსაც სვანეთის საბოქაულოც შეუერთეს და ყველა ერთად მიაკუთვნეს ქუთაისის გუბერნიას. ლეჩხუმის მაზრაში აგრეთვე შედიოდა ალპანისა და ცაგერის საბოქაულოები.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში შემავალ თითოეულ საბოქაულოს განაგებდა მაზრის უფროსის მიერ დანიშნული ბოქაული. საბოქაულოები, თავის მხრივ, იყოფოდნენ სასოფლო საზოგადოებებად.

XIX ს. 50-იანი წლების შემდგომი დროის სტატისტიკური მონაცემებისა და საარქივო ცნობების შეჯერებით დგინდება, რომ რაჭის მაზრას განეკუთვნებოდა არა ნაკლებ 35 სასოფლო საზოგადოება [11,96-97]. ხოლო ლეჩხუმის მაზრას, სვანეთის ჩათვლით – 25 [12, 422-426]. სასოფლო საზოგადოებას ფაქტობრივად სათავეში ედგა ბოქაულის მიერ დანიშნული, ხოლო ფორმალურად „ხალხის მიერ არჩეული“ მამასახლისი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი იყო მაშინდელი პოლიციური რეჟი-

მის ადგილობრივი წარმომადგენელი და დასაყრდენი. იგი უფლებებით არ იყო შეზღუდული. მას უნდა მოეგვარებინა გლეხთა უსიტყვო მორჩილება ხელისუფლებისადმი. ბოქაულისათვის გამოყოფილი იყო მისი სამყოფელი ადგილ-რეზიდენცია, ჰყავდა ორი თანაშემწე და ექვემდებარებოდა „რუსის კამანდა“. თავის დროზე უფრო დაწვრილებით გაეცნობით, მაგრამ ამჯერად შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ზემო სვანეთშიც ასე მოიქცა რუსეთი. იქ 1847 წ. შექმნილ თავდაპირველ ე. წ. „Ипаро-Мулахский приставство“-ს რეზიდენცია იყო იფარში. მისი პირველი ბოქაული დაუმორჩილეს რაჭის მაზრის უფროსს, ხოლო შემდეგ სვანეთის საბოქაულოს ცენტრი გადაიტანეს სოფ. ბეჩოში, რაჭაში კი საბოქაულოები იყო ონსა და ამბროლაურში. სვანეთში მამასახლისის როლს თავდაპირველად ასრულებდნენ ე. წ. „მახვიები“ (უხუცესები), სანამ იქ 1869 წელს არ დააწესებდნენ მამასახლისობას. ამაზე ქვემოთ.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს საკვლევი პერიოდის აღნიშნულ რეგიონთა მოსახლეობის სტატისტიკაც.

უკ ფრანცუა გამბას ცნობით, XIX ს. 20-იან წლებში რაჭის მაზრაში ცხოვრობდა 2964 კომლი ანუ 11307 მამაკაცი და 9467 ქალი. სულ 20774 სული. [5,214]. გამბა რაჭის მოსახლეობის საერთო ფონზე ანგარიშობდა და თვლიდა რომ ერთ კომლზე საშუალოდ 6,2 სული ცხოვრობდა. ჩვენი აზრით, რაჭის მოსახლეობა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ამის დასტურს ეხედავთ ცნობილი მკვლევრების ვ. ჯაოშვილის და თ. ბერაძის შენიშვნებში. ვ. ჯაოშვილი აღნიშნავს, რომ „საუკუნის რეფორმამდე პერიოდში საქართველოს ყველა მხარეში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრადიციულად „დიდი ოჯახი“. ასეთ ოჯახში ძალიან ხშირად ცოლშვილიანი მამაკაცი თავის მშობლებთან ან ძმებთან ერთად ცხოვრობდა.“ [13,34] პროფ. თ. ბერაძე წერს: „მეთვარამეტე საუკუნის დასასრულს რაჭაში დაახლოებით ხუთი ათასი კომლი ცხოვრობდა. მთის რაჭაში და რაჭის მაღალმთიან სოფლებში ყოველი კომლი ე. წ. „დიდი ოჯახს“ წარმოადგენდა. „დიდი ოჯახი“ საშუალოდ ოცი სულისგან შედგებოდა, რაჭის დანარჩენ სოფლებში „დიდი ოჯახები“ კომლთა დაახლოებით ნახევარს შეადგენდნენ. ამიტომ მთელს რაჭაში ყოველ კომლზე საშუალოდ ათი სული უნდა ვიანგარიშოთ. ასე, რომ, – დაასკვნის პატივეცემული მკვლევარი, გასული საუკუნის დასაწყისში რაჭაში 50 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა“. [3,135].

„საქართველოს მოამბის“ ცნობით, 1863 წლისთვის რაჭაში 43992 სული მცხოვრებია“ [14,196]. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით,

1865 წლისათვის რაჭაში ცხოვრობდა 49800 სული. [15,10-11], ხოლო 1886 წ. 64300 სული [12].

მკლევარ შ. ჯაფარიძის სათანადო დაანგარიშებით, XX ს. დასაწყისში... რაჭის მაზრაში იყო 7993 კომლი 64255 მცხოვრებით, ხოლო ლეჩხუმის მაზრაში 6157 კომლი 46300 მცხოვრებით“ [16,13].

მაეესკის სტატისტიკით, 1886 წ. ლეჩხუმის მაზრაში ცხოვრობდა 46300, ხოლო 1892 წელს კი 50925 სული [17,263]. 1897წ. რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერით, ლეჩხუმის მაზრაში 47779-მდე სულია [18, VIII]. ამ მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის დასასრული-სათვის რაჭაში ცხოვრობდა 65000-მდე, ხოლო ლეჩხუმის მაზრაში 46 000-მდე სული. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი პრესა რიგ შემთხვევაში გადაჭარბებულად წარმოადგენდა რაჭის მოსახლეობას, მაგალითად, გაზეთ „ივერიის“ მონაცემებით, 1890 წლისათვის რაჭის მაზრაში 70 000 სული ცხოვრობდა [19,191], ხოლო XX ს. დამდეგს კი გაზეთ „კოლხიდას“ ცნობით – 105 000 სული [20,22].

ნათელია, რომ XIX ს. მანძილზე მრავალგზის მძვინვარე ჭირიანობა რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მოსახლეობას მნიშვნელოვნად ამცირებდა. როგორც სვანეთში, ისე რაჭა-ლეჩხუმშიც, XIX ს. დასაწყისის მოსახლეობის შემცირება 1812-1813 წ. ჭირიანობამ გამოიწვია, ამავე საუკუნის 40-იანი წლებისა 1842-1843 წლებში ხოლერის [21,89], 90-იანი წლების, 1891-1893 წლების ისევე ხოლერის ჭირმა [22,4]; [23, 147-188]. XX ს. დამდეგისა და 1897 წლის სენიანობამ. 1897 წელს რაჭის მაზრაში ყვავილისგან გარდაიცვალა 87 კაცი, წითელასგან – 48, ქუნთრუმისგან – 94, ლეჩხუმის მაზრაში იმავე წელს ქუნთრუმამ 123 ადამიანის სიცოცხლე იმსხვეპლა [16,16]. ანალოგიური მდგომარეობა იყო სვანეთშიც.

საინტერესო სურათს გვიჩვენებდა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის წოდებრივი სტრუქტურა. „წოდების მიხედვით რაჭისა და ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ: რაჭაში ცხოვრობდა 225 თავადი, 4215 აზნაური, 1064 სასულიერო წოდების პირი, ქალაქად (დაბა ონში) ყველა წოდების მცხოვრები იყო 987. გლეხობა შეადგენდა 6937 კომლს 57854 მცხოვრებით.

ლეჩხუმის მაზრის 46300 მცხოვრებიდან თავადი იყო 440, აზნაური 3823, სასულიერო წოდების პირი 629, ქალაქად მცხოვრები 592, გლეხო-ბა 5249 კომლი 40810 მცხოვრებით“ [16,13], საბატონო გლეხი კი 3284 სული [24,357]. გლეხთა კატეგორიები იყო: მსახურნი, აზატები, მებეგრენი

და მოჯალაბეები. ეს კატეგორიები ბატონყმობის გაუქმებამდე ასე დარჩნენ. ამ კატეგორიათა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მებეგრე გლეხები. ყველაზე პრივილეგირებულში კი – აზატები. ისინი ფაქტობრივად გლეხთა ზედა ფენას ეკუთვნოდნენ. ამ კატეგორიას შეადგენდა მსახურთა ფენა, რომელიც რაოდენობით ჭარბობდა აზნაურებს. აზატები განთავისუფლებული იყვნენ გადასახადებისაგან, მაგრამ რიგ შემთხვევაში ყმას აძლევდნენ მებატონეს. მსახურეული გლეხობა შინამოსამსახურის მიცემით, ლაშქრობაში ზღებით იყვნენ ვალდებულნი. მებეგრე გლეხობა იხდიდა ნატურით გადასახადს. მათგან დგებოდა მოახლე, შინაყმა, მზარეული, მეჯინიბე და სხვა.

მებეგრეებს რაჭა-ლეჩხუმში ქვემო და ზემო სვანეთში, ადგილობრივი სპეციფიკურის გარდა, ფაქტობრივად ერთნაირი გადასახადი ეკისრათ. თავისთავად ცხადია, რომ იმ ნატურალურ გადასახადს, რომელიც არსებობდა რაჭა-ლეჩხუმში, მაგრამ არ არსებობდა სვანეთში, სვანი მებეგრე ვერ გადაიხდიდა. მაგალითად, ღოძს, ღვინოს, ნედლ აბრეშუმს, თუთიის ფოთოლს, სიმინდს, სამაგიეროდ მებატონის სასარგებლოდ ყველა დანარჩენ სამუშაოს ასრულებდა. ის გადასახადს იხდიდა, ბარის, თავის კატეგორიის გლეხთან შედარებით, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში. მაგალითად, მებატონის პირუტყვის გამოკვება სვანეთის ზამთრის ხანგრძლივობის გამო, უფრო დიდი ხნით (6-7 თვე) უხდებოდათ. თანაც დასავლეთ საქართველოს ბარის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სვანი მებატონეები ძროხის გამოზამთრების შემდეგ, მას ნამატთანად იბრუნებდნენ უკან. თუ რაჭაში „კუამლის თავსა“... თითო ურემი შეშა უნდა დაემზადებინა მებატონისათვის [3,140], სვანეთში 5 ულელი ხარი გამხმარი ხის მორი ან ხორად დამზადებული 5-6 მარხილი უნდა მიეტანა, რომელიც დაჭრა-მომზადების შემდეგ 2-3 საუენს („საჯენს“) უდრიდა და სხვ. [25], რომელზედაც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა.

საერთოდ, უწყებრივად გლეხობა რაჭა-ლეჩხუმში შემდეგნაირად ნაწილდებოდა, „რაჭის მაზრაში სახაზინო გლეხობა იყო 2233 კომლი 18011 მცხოვრებით, საბატონო გლეხობა 1682 კომლი 13848 მცხოვრებით, მიწის მესაკუთრენი და ხიზნები – 3022 კომლი 25995 მცხოვრებით.

ლეჩხუმის მაზრაში სახაზინო გლეხობას შეადგენდა 1194 კომლი 9383 მცხოვრებით, საბატონოს 2508 კომლი 19428 მცხოვრებით, მიწის მესაკუთრენი და ხიზნები 1547 კომლი 11956 მცხოვრებით [16,13-14]; [11]; [12].

შეიძლება აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მემამულეების დიდი უმრავლესობა მცირემიწიანი იყო. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მცირე მიწიანი იყო გლეხობა.

ნატურალური გადასახადი (ღალა) რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთის სადა-დიანო და საბატონო ნაწილში ერთმანეთისაგან მოცულობით საკმაოდ განსხვავდებოდა. ის დამოკიდებული იყო გლეხური მეურნეობის ხასიათსა და მასშტაბურობაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარს ყურადღებიდან არ უნდა გამოორჩეს მასშტაბურობის მნიშვნელობა, ამ მხრივ მთა და ბარი სერიოზულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მოსახლეობის ვალდებულება – გადასახადები მკვეთრად იცვლება ბატონყმობის გაუქმების შემდგომ პერიოდში. უფრო ადრე მებატონისადმი ნატურითა და შრომით ხდებოდა, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა შეიცვალა ფულადი გადასახადით, მაგრამ არა ყველგან.

ყმა-გლეხები თითქმის სამივე რაიონში მოვალენი იყვნენ მებატონისათვის (სხვადასხვა რაოდენობით) ყოველ წელს მიერთმიათ პირუტყვის, ფრინველის და მარცვლის სახით; ხარი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ქათამი, კვერციხი (43 ცალზე მეტი რაოდენობით სვანეთში), პური, ღვინო (სვანეთში ღვინის ნაცვლად არაყი), სიმინდი (სვანეთში მას არ იხდიდნენ), ღომი (სვანეთსა და ლეჩხუმში მას არ იხდიდნენ), კანაფი, ქერი, ცვილი, აბრეშუმი (ლეჩხუმ-სვანეთში მას არ იხდიდნენ) და სხვა, რომლებზეც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა.

XIX ს. 60-იან წლების რეფორმამდე მებატონის სასარგებლოდ გლეხთა გარკვეული კატეგორია საკუთარ სახლშიც ასრულებდა შემდეგ სამუშაოს: ბატონის პირუტყვის შენახვა-გამოზამთრება: „ხარის ჩაბმა“, „ძროხის ჩაბმა“ (სვანეთში, „ქალიწე“) [26], მეჯინიბობა (ცხენის შენახვა), ახოსალარობა (ჯორის შენახვა), კურზუალობა (მობარებული ძაღლების შენახვა). „ვის ძაღლები ებარა, კურზუალები ერქვა“ – მიგვანიშნებდნენ ლეჩხუმელი სოფ. ნაკულარემის მცხოვრებნი 109 წლის ივანე ყურაშვილი და 115 წლის საჩინო ჩიქოვანი [27,359]. ასევე ამზადებდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს: ხეჭურჭელს, ღობისთვის სარს, შენობების დასახურავად-ყავარს, ხის გასაპობ სოლებს და სხვა მრავალს. ქალები ქსოვდნენ მებატონის საჭიროებისა და მოთხოვნის დროს წინდებს, აკეთებდნენ ქულებს, კერავდნენ ტანსაცმელს და სხვა.

საერთოდ ბატონის კარზე ყმათა („მკვიდრი“, „ნასყიდი“, „ნაწყალობევი“ „თავშეწირული“ და სხვა) მეშვეობით სრულდებოდა ყველა სამუშაო: საველე სამუშაოები, პირუტყვის მოვლა, ტვირთის ზიდვა, მეჯინიბეობა, მზარეულობა, ხაბაზობა, მეწისქვილეობა, მეძიძეობა, მეციხოვნეობა, დურგლობა, მჭედლობა, კალატოზობა, ზუროობა და სხვ. მაგრამ თავადები ყმათა „გამორჩევასაც“ ეწეოდნენ, ზოგიერთ საქმეს მხოლოდ შერჩეული (სვანეთში „ქალგთიშ“) პირები ასრულებდნენ, რაც რიგ შემთხვევაში მემკვიდრეობის ხასიათს ატარებდა. მაგალითად, ე. წ. საბატონო სვანეთში პირუტყვის მომვლელი ყმა გლეხები თითქმის კატეგორიებად იყოფოდნენ და შედარებით მიჯაჭვულნი იყვნენ თავთავიანთ საქმეს: „მგნნი“ – (ხამთარში პირუტყვის მკვებავი), „მებმალი“ (წესის დაცვით პირუტყვის დამბმელ-ამშვები), „მკვნწალი“ (ნაკელის გამტანი), ცალკე იყო გამოყოფილი არამეწვეელი თუ მეწვეელი საქონლის მწყემსი. იგივე ხასიათით სრულდებოდა მებატონის სამეურნეო სამუშაოები, სამზარეულო და სახაბაზო საქმე და სხვა, რომელთა შესახებაც დაწერილებით სპეცთავში ვისაუბრებთ. ასე, რომ საკვლევ რეგიონშიც შინაყმობასთან დაკავშირებული შრომითი ბეგარა, გარკვეულწილად გლეხურ კომლექსს შორის ნაწილდებოდა, რაც მთელ დასავლეთ საქართველოსათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო [28,304], [29,89].

მიუხედავად ბალსზემო ანუ თავისუფალი სვანეთის თემებში XVII-XIX სს-ში მომხდარი ერთგვარი გადატრიალებისა (ე. წ. „მეთემეთა რევოლუციისა“), რომლის შედეგად გლეხთა უმრავლესობამ აზნაურთა („ვარგთა“) გავლენას დააღწია. თავი, აქ ყიფიანების, ჩარკვიანების, ქურდიანების, იოსელიანების, ყორჟოლიანების, ჯაფარიძეების, გოშთელიანების მიმართ გლეხთა ნაწილს რეფორმამდე კვლავ რჩებოდა ვალდებულება, რომელიც ნაღობაში, ნატურით გადასახადში, გამასპინძლებაში, მგზავრობისას გაცილებაში და სხვა მოვალეობაში გამოიხატებოდა. ასე ვთქვათ, ეს შედარებით მსუბუქი ვალდებულება – უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა [30].

რაჭა (განსაკუთრებით მთის რაჭა-ლეჩხუმი), ქვემო და საბატონო სვანეთი, ისევე როგორც მთელი ფეოდალური საქართველო, საკვლევ პერიოდში გლეხთა ფენის შინაგანი სიჭრელითა და კატეგორიათა სხვადასხვაობით ხასიათდებოდა. საქართველოს საისტორიო დოკუმენტების მიხედვით: „ზუსტად ისევე, როგორც ლეჩხუმის მთელ მაზრაში, ქვემო, ანუ სადადიანო სვანეთშიც არსებობდა გლეხთა სამი ჯგუფი: აზატი, მებეგრე მოჯალაბე, [31,376].“ სამეგრელოს გლეხობაც იყოფა სამ თანრიგად: მოჯალა-

ბე, მებეგრე, და აზატი [31,392]. იგივე დოკუმენტების თანახმად, მთის რაჭაში (გლოლა, ჭიორა) გლეხთა იგივე კატეგორიებია და იგივე დამოკიდებულებაა მემამულეებთან, როგორც სადადიანო სვანეთში [31,377]. რაც შეეხება სადადიშგელიანო სვანეთს, აქ გლეხობის „უმაღლესი წოდება, სულ მცირე, ოთხ ფენად იყოფა: მებეგრე გლეხები, აზატები, (ანუ ნაწილობრივ კერძო მესაკუთრე გლეხები, რომლებიც შედარებით თავისუფალი იყვნენ), მსახურები (მცველთა რაზმი, გადასახადის ამკრეფი, ქონების გამრიგენი და სხვ.) და შინა ყმები“ [31,232]. შინა ყმათა რიგში ირიცხებოდნენ: „ფამლი“, „ჯალჩი“, „ხასა“, „ქორსმედრე“, „ქორმესგვრე“ და სხვ.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი სამეგრელოს, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მებეგრე თუ სხვა კატეგორიების გლეხთა სოციალური მდგომარეობის არსის ახსნისას მიმართავს ზედმეტ ნიველირებას. რაც სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. დასტურისათვის მიემართოთ ფაქტებს. სამეგრელოს სამთავროს ბეგარა-გადასახადების სისტემის ჩამონათვალში თანამედროვეთა მიერ დაფიქსირებულია 35-37 სახეობა. აქედან ლეჩხუმში იხდიდნენ 25-ს, ხოლო ე. წ. ქვემო სვანეთში 19-ს. [29], [30] [32], [33]. სერიოზული სხვაობა იყო თვით გადასახადთა საწყაოს, წონას, ფასსა და სიდიდე-რაოდენობაშიც. [28, 462-265], [30, 378-287], [33, 104-110], [34, 240-242] და სხვ. წყაროები მიუთითებენ რომ მეგრელი მოჯალაბე განსხვავდებოდა ლეჩხუმელ მოჯალაბესაგან. მეგრელი აზატი, ლეჩხუმელ აზატისაგან, ეს უკანასკნელი კი სვან აზატისაგან, ლეჩხუმში სულ არ იყო გლეხთა კატეგორია მინდობილებისა და ა. შ. საგულისხმოა ის ფაქტიც რომ, თვით რუს მოხელეთა მიერ შედგენილ ზემოთ დასახელებულ „დოკუმენტშიც“ არის ამდაგვარი ნიველირების საწინააღმდეგო ცნობები. მათივე განცხადებაში ვკითხულობთ: „ზემოთ მოხსენებული სოფლების (ლეჩხუმისა და ცხენისწყლის სვანეთის, ა. გ.) სხვა გლეხებთან შედარებით საკმაოდ უმნიშვნელოდ იყვნენ დაბეგრილები“ [28, 492-493]. სხვათა შორის ამ მოსაზრებას თავის დროზე იზიარებდნენ: ლიტვინოვი, ლობონოვ-როსტოვსკი, კ. ბოროზდინი, მ. დუბროვინი, ა. ლავრენტიევი და სხვ. მრავალნი. ამ მოსაზრებისაა თანამედროვე მკვლევართა საკმაოდ რაოდენობაც.

გრძელდება დავა XIX ს. ბალსზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და მისი სოციალური სტრუქტურის ირგვლივ. აქ საბოლოო ეჭვმუშევალი სიტყვის თქმა ძალზე ძნელია. მაგრამ ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ვიტყვით ჩვენს მოსაზრებას. ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ

XIX ს. ბალსზემო ანუ ე. წ. „თავისუფალი სვანეთი“ იყოფოდა დამოუკიდებელ სოფლებად. აქ არ ცხოვრობდნენ თავადები, ცხოვრობდნენ ისტორიის ავტელთ „ჩამომცრობილი“ აზნაურები და გლეხები. ამ უკანასკნელთა ფენიდან ნაწილი ასრულებდა აზნაურთა სასარგებლოდ მსუბუქ ვალდებულუბას, ხოლო ძირითადი ნაწილი სრულიად თავისუფალი იყო. მცირე რაოდენობით შეინიშნებოდა ნაყიდ შინაყმათა არსებობაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში რატომღაც საერთოდ არ მახვილდება ყურადღება მებატონეთა მხრიდან ისეთ სასტიკ სასჯელზე, როგორც იყო „ჩამომცრობის“ და დამცირების მიზნით გვარის ჩამორთმევა-გამოცვლის ფაქტები. არადა, ზეპირსიტყვიერებაში მთელ საქართველოში არსებობს ასეთი გადმოცემები. აღნიშნულ სასჯელს მართლაც ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოს მთიანეთშიც.

ზემო რაჭის სოფლების წედისისა და ქვედის მცხოვრებლები 81 წლის სპირიდონი, 89 წლის თედორე და 105 წლის დათო მაისურაძეების გადმოცემით, მებატონეებს მათი წინაპრებისათვის გვარი დიდძეები ჩამოურთმევით და მაისურაძეობა მიუციათ იმ მიზეზით, რომ „რატომ რკინეულს სულ მე არ მიზიდავთ“ [27, 351] და სხვ. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა სვანეთშიც [35, 95]. [36, 94-95], [37, 778].

XIX ს. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ასევე ადგილი ჰქონდა „ტყვეთა სყიდვასა“ და ყიდვა-გაყიდვას. სვანეთში ეს საზარელი პროცესი აღნიშნული საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა. 1857 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სვანეთის მფლობელებს ოფიციალურად მოსთხოვა „ადამიანებით ვაჭრობის შეწყვეტა“ [38, 355]. მაგრამ იგი ამით არ აღმოფხვრილა. 1869 წ. ქუთაისის გენ. გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს კვლავ შესჩიოდა სვანთა ამგვარი საქმიანობის გამო [39, 6]. რაც შეეხებოდა რაჭასა და ლეჩხუმს, იქ XIX ს. 40-50-იან წლებიდან წყდება ამგვარი საქმიანობა [40, 37].

დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, გარდა ბალსზემო სვანეთისა, ყველგან ადგილი ჰქონდა მებატონეთა მხრიდან „პირველი ღამის“ უფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

მთის რაჭაში მებატონე არეშიძენი მეტად ავიწროებდნენ ღებელებს საბეგრო გადასახადებითა და ყმური სამსახურით. ბოლოს ისე გაკადნიერებულან, რომ „პირველი ღამის“ უფლებაც მოუპოვებიათ, რაც ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ასეა გადმოცემული:

„ორთა ძმათა არეშიძეთა
ნუ წყალობს პირი ღეთისაო;
არ ნაზოგავენ ქვრივ-ობოლთ,
ცოლებს ნართმევენ ყმებსაო“ [41,30].

ამავე ლექსში გაისმის საყვედური:


„ჯვარს იწერთ, ცოლები მოგყავთ,
უწინ ბატონთან მიგყავთო“ [41,30].

იგივე მდგომარეობა იყო სვანეთის სამთავროშიც, რასაც ქვემოთ დაწვრილებით შევხებით.


როგორც სვანეთი, ასევე რაჭაც პირობით (გეოგრაფიულად) სამ: ქვემო, ზემო და მთის რაჭის ნაწილად იყოფოდა.

ისტორიკოსებისათვის ცნობილია, რომ XV საუკუნისათვის დღევანდელი მთის რაჭა სვანეთის კუთვნილება ყოფილა და ის იმერეთის მეფეს წაურთმევია თავადი ჯაფარიძის მკვლელობის საბაბით. ამის შემდეგ რაჭაში მოხდა სვანების სწრაფი გაიმერლება ანუ მათი შერწყმა რაჭულ-იმერულ მოსახლეობაში (რაჭის სვანების საბოლოო ქართიზაცია).


მას შემდეგ, რაც აღნიშნულ საუკუნეში სვანეთს სისხლის საფასურად რაჭველი ჯაფარიძეებისათვის დიდი მიწა [42,31-34], მათ შორის დღევანდელი მთის რაჭა, მიუცია: „სვანური მოსახლეობა... რაჭის გაძლიერებით



დუროიანი სახლი, სოფელი ლები.



სოფ. ლები XIX საუკუნის დასასრულს.



ორბელის ციხე.



ეკლესია ჭიორანში

შესუსტებულა და ბოლოს აყრილა და სვანეთში გადასახლებულა... ხოლო ნაწილი რაჭულ მოსახლეობასთან ერთად დამკვიდრებულა უმთავრესად სამ სოფელში: ღებში, ჭიორასა და გლოლაში". [5,24]. ღები თავისი საცხოვრებელი და სამეურნეო ყოფით, კოშკებითა და სახლებით XIX საუკუნეში არაფრით განსხვავდებოდა ტიპიური სვანურისაგან. აქ სვანური გეარებიც ბოლომდე შემორჩა.

არსებობს ზოგადი კანონზომიერება, რომ ბარის საზოგადოება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით წინ უსწრებს მთიანეთის საზოგადოებას, რასაც განაპირობებს, როგორც გეოგრაფიული გარემო, ასევე მრავალი სხვა ფაქტორი. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ერთი და იმავე ქვეყნის ბარის სხვადასხვა კუთხეებს შორისაც არსებობდეს სხვაობა. ჩვენს შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – მთის რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს შორის იყო გარკვეული სხვაობა, მაგრამ მათ შორის გაცილებით მეტი იყო მსგავსება ცხოვრების ყველა ასპექტში, ვიდრე სხვაობა. ასეთი სხვაობა შეიძლება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებს შორის, როგორც განსახლების აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მაგალითად, ერთის მხრივ, კახეთში ქიზიყსა და დანარჩენ მხარეებს თუ თემებს შორის, ასევე კახეთის ბარსა და იმერეთსამეგრელოს შორის და ა. შ. მაგალითად, თემური მიწათმფლობელობის

ფორმა ისე თვალსაჩინოდ არამც თუ საქართველოს ბარის სხვა რეგიონში სადმე შეიჩნევა, არამედ მთაშიც კი (სვანეთში, მთის რაჭასა და სხვაგან) არსად. ასეთივე მკვეთრი განსხვავებაა საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ მთიანეთს შორის, კერძოდ, თემურ და კერძო საკუთრების თვალსაზრისით, ასევე სოციალური სტრუქტურით, კულტურის თვალსაზრისით და ა. შ. მაგალითად, სვანეთში (საქართველოს ყველაზე მთაძალალ კუთხეებში) მე-13 მე-16 საუკუნეებში სახნავ-სათესი მიწა, ახლომახლო სათიბები და ტყეები კერძო-საოჯახო საკუთრებაშია (მოძრავი ქონება, სახლ-კარი და ა. შ.) და მისი ყიდვა-გაყიდვა (სათანადო საბუთებით) გაბატონებული. აქ ცხოვრობდნენ საყოველთაოდ აღიარებული ფეოდალური გვარეულობები: რიჩგვიანები, გელოვანები, დადიშგელიანები, გარდაფხაძეები (გალფხანები), ყიფიანები, ჩარკვიანები და სხვა. ასევე სვანეთში მე-7 – მე-9-ე საუკუნეებიდან ჩანს ქრისტიანული საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება განვითარებული, რასაც მოწმობს არქეოლოგიური მონაცემები; ასევე ათეულობით ეკლესია-მონასტრის საღად შემორჩენილი ნაგებობა და მისი ნაშთებიც. როგორც ამ საკითხის სპეცთავში დავინახავთ, საქართველოს ამ პატარა კუთხეში XIX ს-ში 200-მდე ეკლესია-მონასტერი და მისი ნაშთი შემორჩა, ასევე გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ვ. ბერიძის, ექ. თაყაიშვილის და მათი მოწაფეების შეფასებით, სვანეთში მაღალ დონეზე იდგა ოქრო-ვერცხლის მჭედლობა (ამის დამადასტურებელია აქ შემორჩენილი უამრავი ჯვარ-ხატი და სხვ.), ასევე მონუმენტური მხატვრობა, ასევე ქვითხურობისა და ხითხურობის ძეგლები (ციხე-კოშკები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები და სხვა). ასევე სასულიერო მწერლობა (სვანეთში დღემდე შემორჩა 35-მდე სახარება-ოთხთავი, რომელთა ნაწილი სვანი მწიგნობრების მიერაა დაწერილი საქართველოს საეკლესიო ცენტრში ან იერუსალიმში. ამ მწიგნობართა 50-ზე მეტი სვანური გვარია დღემდე ცნობილი, სვანეთში შემოგვენახა ერთ-ერთი უძველესი ქართული მე-9 საუკუნის ჰადისის ოთხთავი და სხვ.). ყველაფერი ეს სვანეთისა და, საერთოდ, მაღალმთიანეთის ჩამორჩენილობაზე როდი მეტყველებს, როგორც ამას ძველი ეთნოგრაფები ხატავდნენ, არამედ მთისა და ბარის განუწყვეტელ ურთიერთგანვითარებაზე, რაზედაც სხვა მრავალი ფაქტი და არგუმენტი მიგვანიშნებს...

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა ითქვას ისიც, რომ სავაჭრო მდგომარეობა, გარე სამუშაოზე გასვლა, საოჯახო მრეწველობა, სამედიცინო მდგომარეობა, სოფლის მეურნეობა, სწავლა-განათლება, და სხვ. მთელი

საკვლევე პერიოდის მანძილზე, რომლებზეც უფრო დაწვრილებით გზადაგზა გვექნება საუბარი, მთის რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში მასშტაბურობაში მცირე სხვაობის და რამდენიმე დარგის სხვაობის გარდა, ერთნაირ ელფერს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. რუს და არა მხოლოდ რუს მოხელეთა, ასევე საბჭოური ხანის ზოგ კალმოსნის ნაშრომს, წითელ ზოლად გასდევს აღნიშნულ რეგიონებში ხსენებული დარგების ზედმეტად ჩამორჩენილობისა და განუვითარებლობის მტკიცება, შეიძლება ითქვას, რომ ეს დარგები დროის შესაფერისად, როგორც ამას დავინახავთ, საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული და მასშტაბურობისა და დროის მიხედვით გარკვეულწილად პასუხობდნენ შესაბამის მოთხოვნებს.

§ 2. სოციალური ურთიერთობა XIX საუკუნის ქვემო ანუ „სადადიანო სვანეთში“

ქვემო ანუ ე.წ. „სადადიანო სვანეთი“ XVIII საუკუნიდან ნაწილობრივ სამეგრელოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი „სამეგრელოს სამთავროს მიერ ლეჩხუმის დაქვემდებარება ითამაშა“ [1, 25-26]. მართალია, დავა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დაქვემდებარებისათვის შემდეგშიც გრძელდებოდა, ხშირად ამ ორ უკანასკნელთა პოზიციაც იცვლებოდა, მაგრამ 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რუსეთმა, რომლის გავლენა დასავლეთ საქართველოზეც საკმაოდ გაძლიერდა, ფაქტობრივად სცნო ლეჩხუმი კაცია მეორე დადიანის სამფლობელოდ [2, 579]. ამას ადასტურებს იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ცნობაც, რომ: „მხარე ლეჩხუმისა, რომელიც ძველთაგანვე იმერეთს ეკუთვნოდა, აღარ აქვს იმერეთის მეფე სოლომონს, არამედ უჭირავს სამეგრელოს მთავარს, კაციას“ [3, 325]. რუსეთი შემდეგშიც დადიანს უჭერდა მხარს და XIX ს. დამდეგს, 1803 წ. სამეგრელოს სამთავრო „სადადიანო სვანეთთან“ ერთად ხელთ იგდო კიდეც. უძველეს დროიდან უცვლელად ერთ სამაგისტრალო გზაზე [4, 114, 141-144] არსებული ეკონომიკურად და პოლიტიკურად თითქმის ერთმანეთის მსგავს ბედქვეშ მყოფი ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი XVIII საუკუნეში კვლავ დაუბრუნდნენ „ლაზიკას“. ამ ისტორიულმა ფაქტმა დიდი როლი ითამაშა ქვემო სვანეთის ეკონომიკურ მდგომარეობისა და სოციალურ ურთიერთობათა ფორმირე-

ბაზე. სამეგრელოს გავლენა შედარებით უფრო საგრძნობი გახდა XIX ს. პირველ ათეული წლების შემდეგ, რადგან მანამდე, როგორც ირკვევა, დადიანების ძალაუფლება იქ მტკიცე არ იყო. იმერეთის მეფეებს, რომლებიც ენერგიულად და ხშირად წარმატებითაც იბრძოდნენ სამეგრელოს სამთავროსაგან ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გამოტაცება – ხელში ჩაგდებისათვის, ისინი ამ რეგიონების დაკარგვის შიშში ჰყავდათ. ამიტომ დადიანები იძულებულნი იყვნენ იქაური მოსახლეობისათვის საგრძნობი შელავათები მიეცათ. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. საერთოდ, მთავარი და მთავარი, რითაც სვანეთის დამოკიდებულება იზომებოდა საქართველოს ბარის რაიონებთან, ამ შემთხვევაში სამეგრელოს სამთავროსთან, ეს იყო ეკონომიკური დამოკიდებულება. ეს ასე იყო ისტორიულად და ასე დარჩა XIX საუკუნეშიც. ამ მოსაზრებას ადასტურებს აკად. დ. მუსხელიშვილის შენიშვნა, რომელსაც პატივცემული მეცნიერი აკეთებს სვანეთსა და ლაზიკის (იგივე ეგრისის) სამეფოს ჯერ კიდევ VI საუკუნის ურთიერთობის განსაზღვრისას, რომ „სვანეთ-მეგრელთა პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო“ [4, 142]. აკადემიკოსი იქვე აკეთებს ფრიად საინტერესო და სამართლიან დასკვნას, რომ „არსებითად, ეკონომიკური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარს შორის ათასწლეულის მანძილზე არ შეცვლილა“ [4, 143]. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ „ბუნება მბრძანებელი“ იყო და დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დამოკიდებულებაში, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თავისებურ მყარ როლს ასრულებდა. სვანეთს მშობლიურ საქართველოს ბართან, გარდა ქართული სულის ყივილისა, სწორედ ეკონომიკური სიღუბჭირე აკავშირებდა – იგი ბარის მუდმივი ვასალი იყო.

XIX ს. გარიჟრაჟზე საქართველოს ცხოვრებაში მომხდარმა დაღდამ-სმელმა ცვლილებებმა თავისი ნიშანი დაატყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს. შეიცვალა მათი ურთიერთდამოკიდებულება. მართალია, ლეჩხუმში და ქვემო სვანეთი სამეგრელოსთან ერთად გახდნენ რუსეთის ხელქვეითნი, მაგრამ სამეგრელოს მთავრის მიმართ მათი არასრული, ორჭოფული მორჩილების პოლიტიკა, დროის შესაფერისად, ვიდრე იმერეთის სამეფო არ გაუქმდა, მაინც გრძელდებოდა. ამ მომენტს აქ იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ სადადიანო სვანეთში სოციალური მდგომარეობის ფორმირების გასარკვევად ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მივმართოთ ფაქტებს:

XVIII ს. 70-იან წლებში ი. გიულდენშტედტის ცნობით, „დადიანი „ლენ-ტეხის“ სვანეთში მხოლოდ ერთგვარი უფლებით სარგებლობდა“ [3, 325]. მისივე მეორე ცნობით, „დადიანი ჩემულობს ერთგვარ ბატონობას“ [5, 179]. პროფ. გ. გასვიანის შენიშვნით, აღნიშნული პერიოდისათვის დადიანი ქვემო სვანეთზე მხოლოდ „ნაწილობრივ“ ავრცელებს თავის გავლენას [6, 138]. XIX ს. დასაწყისშივე, 1804 წ. რუსეთის სახელმწიფოს სპეცმრჩეველი პ. ლიტვინოვი, ციციანოვს მოახსენებდა რომ „დადიანი ფლობს... სვანეთის რომელიღაც ნაწილს, მაგრამ მისი უფლებები იქაც კი ძალზე სუსტადაა განმტკიცებული“ [7, 408]. თვით გრ. დადიანის განცხადებით, ლეჩხუმის თავადებზე „მისი უფლებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათდამი ბრძანებლობას ის ვერ გაბედავს“ [7, 408]. რუსეთის საიმპერატორო კარის დავალებით ციციანოვმა პ. ლიტვინოვს მოსთხოვა დაწვრილებით შეესწავლა დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარება და ამ საპასუხისმგებლო პასუხშიც ამ უკანასკნელმა კვლავ აღნიშნა – „დადიანს (სადადიანო სვანეთში, ა.გ.) ეკუთვნის მხოლოდ რამდენიმე კომლი, რომლებიც ცნობენ მის უფლებებს“ [8, 409]. სხვათაშორის, იმ დროს ლეჩხუმს ეკუთვნოდა 11 ციხესიმაგრე. აქედან 5 ეკუთვნოდა იმერეთის მეფეს, 3 – დადიანს და დანარჩენი კი თავადებს. ამ თავადებიდან ზოგი მორჩილებდა მეფეს, ზოგი – დადიანს. ბერი გელოვანი, რომელიც „ფაქტობრივად მართავდა მთელს ლეჩხუმს“ სწორედ იმ დროს უგზავნის წერილს სოლომონ მეორეს და სწერს: „თქვენ ჯარი გამოგვიგზავნეთ და ჩვენ მზად ვართ ლეჩხუმი კვლავ დაგიბრუნოთ სვანეთთან ერთად“ [9, 183].


რუსეთის მიერ იმერეთში მეფობის გაუქმებამდე ლეჩხუმ-სვანეთის საკითხი იმერეთ-სამეგრელოს ურთიერთობაში არ შეცვლილა. ს. მაკალათიას სამართლიანი შენიშვნით, „ამის შემდეგ (იგულისხმება რუსეთთან სამეგრელოს შეერთება, ა.გ.) ლევანს (გრ. დადიანის მემკვიდრე (1814-1844 წ.წ.) ლეჩხუმის დასაკუთრებაში იმერეთის მხრით საფრთხე აღარ მოელოდა“ [10, 152].

სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით, სამეგრელოს სამთავროს მხრიდან ლეჩხუმ-„სადადიანო სვანეთში“, სერიოზული ცვლილებები არც ლევან დადიანის მმართველობაში მომხდარა. ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა დავით დადიანის (1840-1853 წწ.) მართველობის წლებში. დავითმა თავისი სამმართველო დაყო 8 მაზრად. აქედან ლეჩხუმი და სადადიანო სვანეთი განეკუთვნენ ლაილაშისა და მურის მაზრებს, რომელთაც განაგებდნენ მდივანბეგები. „ევროპულად“ მოწყობილ ქვეყანას – სამეგრე-

ლოს – დიდი ფული სჭირდებოდა, რისი ამოღებაც დავითმა „გლეხის ათ-კეცი დაბეგვრის ხარჯზე გადაწყვეიტა. დავითის მმართველობამდე გლეხობას თუ ოცი ძველი ბეგარა აწუხებდა, მას ოცი – ახალი კიდევ შეემატა“ [11, 3]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „თუ მანამდე ბატონების სასარგებლოდ ბეგარის სახით მომუშავე ყმებს ბატონი აძლევდა ხარჯს (საჭმელ-სასმელს), ამიერიდან მან (დავითმა, ა.გ.) აიძულა ყმები თავიანთი ხარჯით ემუშავათ მებატონეთა სამუშაოზე“ [11, 3]. მის დროს იქნა შემოღებული ე.წ. „საუდიერო“ გადასახადი, როგორც მთელს სამეგრელოში, ისე ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში [10, 157]. სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით მასვე ეკუთვნის საყურადღებო ღონისძიებანი. მან აკრძალა „კაცის სულის გაყიდვა სამთავროს გარეშე“, ... აკრძალა გლეხების დატყვევება და გალახვა მებატონეთაგან“ ... მოშალა მემკვიდრედ დარჩენილის ქალის მამულის ჩამორთმევა მებატონეთაგან... ალაგმა ტყვეთა სყიდვა“ [12, 38]. ეს ღონისძიებანი შეეხო როგორც ლენტეხის, ასევე ლაშხეთისა და ჩოლურის თემებსაც, რადგან ამ უკანასკნელებმა, XIX ს. დამდეგიდან, უკვე აღიარეს დადიანის უზენაესობა, თუმცა ლენტეხის სოფლის მცხოვრებლები მაინც რჩებოდნენ დადიანებისადმი ყველაზე დაქვემდებარებულ თემად [13, 416].

საერთოდ, ქვემო სვანეთში დადიანების მფლობელობა ასეთი სახით გამოიყურებოდა. მათ ხელში იყო ლენტეხის თემი მასში შემავალი სოფლებით: გულიდა, კახურა, ყვედრიში, ლექსურა, მელურა, ფაყი, რცხმელური, ზოფური, ხელედი, წანარი, წიფლაკაკი და ჩოლური-138 კომლით და 2043 მცხოვრებით [14]. ლაშხეთის თემიდან: სოფ. სასაში – რომელიც დიდ ფართობს მოიცავდა და შედგებოდა 4 უბნისაგან: ფარი, ლომბრა, გოშჭერალი და ლუჯი. აქ მათ ეკუთვნოდათ 26 კომლი [14]. აქვე აშენებული ციხე-სიმაგრით, სადაც მათი მეციხოვნეები („მეცხვანარ“)ეყენათ და ჰქონდათ ორი საცხოვრებელი სახლი ყმებისთვის [15, 35]. ლაშხეთიდან ყოველწლიურად მათ სამეგრელო-ლეჩხუმის გორდის საგაზაფხულო რეზიდენციის მცველად გაჰყავდათ 3 მამაკაცი [16, 83]. სხვათა შორის, ზემო სვანეთის სოფ. ლატალი, ლენჯერი და კალის მცხოვრებლები იმ პერიოდში დადიანს უხდიდნენ თითოეულ კომლიდან 2 კათხა თოფის წამალს წელიწადში [17, 11]. ამის პირობა აღნიშნულ სოფლების მხრიდან წერილობით იქნა დადებული 1854 წელს [18, №7302]. ციხე-სიმაგრე დადიანებს აშენებული ჰქონდათ ლენტეხის თემის სოფ. ზოფურში, სადაც ცხოვრობდა 8 კომლი 71 სული მცხოვრებით [19, 9].

ლუჯის ციხე. დადიანების
ციხე-სიმაგრე ქვემო ანუ
სადადიანო სვანეთში.



ლაშხეთის თემში ბატონობდნენ გელოვანები. ამ თემში შედიოდა 12 სოფელი სოფ. სასაშის გამოკლებით. ეს უკანასკნელი დადიანებს ეკუთვნოდათ. ეს სოფლებია: ღობი, ჯახუნდერი, ლეკოსანდი, ლემზაგორი, ხეჭია, მარგვიში, მახაში, მებეცი, მელე, ნაცული, ჩიხარეში, ჩეკული და შგელი. გელოვანები სვანეთის ყოფილ ერისთავ-გელოვანების შთამომავლები იყვნენ, რომლებიც საერთოდ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. საარქივო დოკუმენტის მიხედვით, მათი უფლებები ვრცელდებოდა თავისუფალი სვანეთის კალისა და უშგულის თემებზე. ასევე გავლენით სარგებლობდნენ რაჭაში. „მათი გვარის რაოდენობა ათას კომლს აღწევდა“ [20, 8]. ლაშხეთში ცხოვრობდნენ აზნაურები – ნემსაძეები და დევდარიანები, რომლებიც გელოვანებს ემორჩილებოდნენ. თვითონ გელოვანები კი დადიანების ვასალებად ითვლებოდნენ. გელოვანებს ევალებოდათ შეესრულებინათ დადიანების მიერ არჩეული სარდალ-მოურავის (ან მოურავ-მდივანბეგის ან მოურავ სახლთუხუცესის) ბრძანება. მოურავებად დადიანები გელოვანებს ნიშნავდნენ. მოურავის მოვალეობა იყო გადასახადების აკრეფა, საჩივრების გარჩევა და სხვა. გელოვანების სასახლე იდგა ლაშხეთში – შგელში და იქიდან განაგებდნენ საქმეებს.

ჩოლურის თემში ბატონობდნენ გარდაფხაძეები („გალფხანარ). მათ ეკუთვნოდათ აზნაურები – ქურდიანები და ჟორჯოლიანები. ამ თემის სოფლები

იყო: ჭველირი, ჭველფი, მუწდი, ბულეში, საყდარი, შტვილი, ტვიბი, თეკალ-ლეუშერი – 1.252 სული მცხოვრებით. გარდაფხაძეები ფლობდნენ აღნიშნულ სოფლებში საუკეთესო მიწებს და განაგებდნენ გლეხებს ბატონყმური უფლებით. თვით გარდაფხაძეები ცხოვრობდნენ თეკალსა და ლეუშერაში. მათი ერთი ოჯახი ესახლა სოფ. ქველფში (ჩოლურის უბანი), მეორე სასაშში, ხოლო მესამე შგედში (ლაშხეთი). საარქივო ცნობით, ისინი ფლობდნენ 126 მებეგრე ოჯახს, 13 კომლ მოჯალაბეს და 13 შინაყმას [21. 11-12]. უნდა აღინიშნოს, რომ გელოვანებისა და გარდაფხაძეების სასახლეები, სხვებთან შედარებით, საკმაოდ მდიდრულად გამოიყურებოდნენ. ისინი დადიანების დაუკითხავად ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა გადასახადებს აწერდნენ. გარდაფხაძეებმა ლატფარის უღელტეხილზე გადასვლა-გადმოსვლისათვის დააწესეს ბეგარა („ბეგარ“).

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი იმის ირგვლივ თუ სად იყო ფეოდალიზმის პროცესი უფრო ღრმად განვითარებული – ქვემო თუ საბატონო სვანეთში. აქედან გამომდინარე შეინიშნება ამ რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონის რამდენადმე ხელოვნური-ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებული მოსაზრების შექმნაც.

ვებებით რა ამ საკითხს, ჩვენი მიზანია ყველა მათგანი გავაშუქოთ არა ტენდენციურად, არა წინასწარ აკვიატებულ რაიმე იდეის ჭრილში, არამედ კონკრეტული ვითარების, კონკრეტული ფაქტების ღრმა გაანალიზებითა და, თუ შეეძლებოდა, ობიექტური დასკვნების გაკეთებით.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ყოველმხრივ სწორად ახსნა არც თუ ისე იოლია. ამ საკითხის ნათლად დასურათებისათვის არ კმარა არც საარქივო წყაროები, არც ეგოდენ მაღალ დონეზე შესრულებული სამეცნიერო ლიტერატურის მოშველიება. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული მონღომება და ჯაფა, ენის ცოდნა და დიდი ხნით თვით სვანეთში მუშაობა, სვანი კაცის ბუნებაში ჩახედვა, მისი ფსიქოლოგიის გათავისება, ე.ი. პრობლემის შიგნიდან შეხედვა, რადგან სვანეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური ვითარების წყალობით, საქართველოს ისეთი თავისებური რეგიონია, სადაც არა მხოლოდ ქვემო და ზემო სვანეთი, არამედ თითოეულ მათგანში თითოეული სოფელიც კი ზოგჯერ განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ამ ფონზე სრულიად მართებულად გვეჩვენება ისტორიკოს ი. კონეცკის შემდეგი განცხადება: „ბოლოდის მოვიხდი მკითხველის წინაშე, სვანთა ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე ჩემი ნაჩქარევი და არას-

რულყოფილი ნარკვევისათვის. ამასთანავე თავს ნებას მივცემ საერთოდ შევნიშნო, რომ ამ ორიგინალური და თავისებური ხალხის ყოფა-ცხოვრების ნათელი სურათის შექმნას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც ცხოვრობს მათთან ერთად, თანხედება ყოველდღიურად მათ ინტერესებს და იზიარებს ამ უკანასკნელს და რაც მთავარია, იცის ამ ხალხის ენა... ამ პირობების გარეშე... თუ გნებავთ ორთვიანი მგ ზაერობა ამ ქვეყანაში... მოგვცემს მხოლოდ ზედაპირულ მსჯელობებს, უსიცოცხლო თხრობას, მშრალ უძველო ჩამონათვალს ამა თუ იმ ჩვეულებების შესახებ, რომლებიც ვერასგზით ვერ ასახავენ ამ ხალხის ტიპიურობას, ხასიათსა და ცხოვრებას“ [22, 158].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის სვანეთისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ თუ სად იყო უფრო ღრმა ფეოდალური ურთიერთობა „სადადიანო“ თუ „საბატონო“ სვანეთში. ეს განსხვავებანი შედარებით უფრო გამოიკვეთა, ერთის მხრივ, პროფესორების: რ. ხარაძის, ალ. რობაქიძის, მ. დუმბაძისა და, მეორეს მხრივ: პროფ. გ. გასვიანის, ალ. ჩარკვიანის, რ. კანდელაკის შრომებში.

პროფ. რ. ხარაძე და ალ. რობაქიძე „სადადიანო“ სვანეთში ფეოდალური ურთიერთობის უფრო მაღალ განვითარების დამამტკიცებლად ეყრდნობიან იმ მოტივს, რომ რუსეთის მთავრობამ საგლეხო რეფორმის „სადადიანო“ სვანეთში გატარების დროს, სამეგრელოსა და ლეჩხუმის გლეხობისაგან განსხვავებით, რაიმე გამოწვევის დაშვება გამორიცხა, რასაც არ ჰქონდა ადგილი საბატონო სვანეთის მიმართ.

პატივცემული მკვლევარები აღნიშნავენ: „XIX ს-ის დამდევისათვის სვანეთის... სხვადასხვა კუთხე საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ნიშანს ატარებდა“. ამ დებულების ერთ-ერთ დამამტკიცებელ ფაქტს ხედავენ იმაში, რომ „XIX ს-ის ორმოციანი წლების ერთ-ერთი საბუთი ქვემო სვანებს უწოდებდა „მორჩილებს“, ბალსქვემოურებს- „ნახევრად მორჩილებს“, ხოლო ბალსზემოურებს — „ურჩებს“. (შესაბამისად: „«покорные», «полупокорные» — «непокорные»“), [23, 89]. ავტორთა შენიშვნით „ყველაზე თვალნათლივ ეს გარემოება (ე.ი. განსხვავება, ა.გ.) მოჩანს საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებულ მასალაში, საკუთრივ საგლეხო რეფორმის ჩატარების კონკრეტულ პირობებში“ — ქვემო სვანეთში საგლეხო რეფორმა იმავე დროს და იმავე პირობებში ჩატარდა, როგორც სამეგრელოში“, რადგან „ქვემო სვანეთი გლეხების პირად თუ საადგილმამულო ვალდებულებათა მხრივ, თითქმის არ განსხვავდებოდა სამეგრელოსგან“ [23, 89-90]. „ბალსქვემო სვანეთში, — წერენ პატივცემული მკვლევ-

რები, – მდგომარეობა განსხვავებული აღმოჩნდა“. იგი „გამოირჩეოდა საქართველოს სხვა სამთავროებისაგან მთავრებსა და გლეხებს შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობით პირად და სააღვლამამულო ვალდებულებათა სფეროში – თავისებურება იმაშიც მდგომარეობდა, რომ ბალსქვემო სვანეთში აზნაურობა არ არსებობდა“ [23, 90].

დავიწყეთ პირველი მოსაზრებით, რომ მკვლევართა დამოწმებული საბუთი ქვემო სვანებს უწოდებს „მორჩილებს“, ბალსქვემო სვანებს – „ნახევრად მორჩილებს“ და ბალსზემო სვანებს – „ურჩებს“. ჩვენის აზრით, ეს საბუთი ეხება არა სვანეთში ფეოდალური დონის სხვადასხვაობის დასაბუთებას, არამედ, საერთოდ სვანეთის დამორჩილების ასპექტს რუსეთისადმი. ცნობილი ფაქტია, რომ სადადიანო სვანეთი არც რუსეთთან შეერთებამდე არც შეერთების შემდეგ რუსეთს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. მოვუსმინოთ, სწორედ რეფორმების გატარების პერიოდში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ლევაშოვს, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალ მ. რომანოვს ასე უხასიათებდა ქვემო სვანებს „Во всей Дадиановской Сванетии настроение жителей спокойное (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) и появление между ними войск не произвело никаких недарозумений“ [24, 520]. ქვემო სვანეთის შეერთება – დამორჩილება მოხდა სამეგრელოს სამთავროსთან ერთად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და, რა თქმა უნდა, რუსეთის სამხედრო მგლური პოლიტიკის თვალში იგი „მორჩილ“ რაიონს წარმოადგენდა. რაც შეეხება ბალსქვემო ანუ საბატონო სვანეთს, მის დასაპყრობად მათ მეტი ძალისხმევა დასჭირდათ. რუსეთის მოხელეთა დავალებით და საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, სამეგრელოს მთავრებმა რა ხერხს არ მიმართეს, რომ დადიშგელიანები დაექვემდებარებინათ რუსეთისათვის: აგზავნიდნენ იქ მღვდლებს ვითომ „გაქრისტიანების“ საბაბით [25, 80], [26, 743], ჯარს ითხოვდნენ მათ დასაპყრობად [27, 631]. მიმართავდნენ ქორწინებით ურთიერთობას [28, 81], [10, 14-15], [29, №27]. იყენებდნენ დადიშგელიანთა ორ შტოს შორის არსებულ მტრობას [30, 14]. დამპყრობლებს სიმშვიდე ვერც სვანეთის ამ ნაწილის შეერთებამ (1832-1833 წწ.) მოუტანა. დადიშგელიანთა დაუმორჩილებლობის ფაქტი შემდეგში უფრო გამოამჟღავნა: დადიშგელიანები არ ცხადდებოდნენ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად [31, 13-14], [32, 258]. მერე ქუთაისში დატრიალდა ე.წ. „სისხლიანი დრამა“, როცა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი სიცოცხლეს გამოასალმა კონსტატინე დადიშგელიანმა და სხვ. ალბათ, ყოველივე აქედან გამომდინარე, სამხედრო მოხე-

ლეთა თვალში ბალსკეემო ანუ საბატონო სვანეთი ჩანდა, როგორც „ნახევრად მორჩილი“. ხოლო ბალსკეემო ანუ თავისუფალი სვანეთისაგან რუსეთი წააწყდა ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. 1834 წ. დადიშგელიანებისათვის სახელისუფლებო ტიტულების გადაცემისთანავე შტაბსკაპიტანმა შახოვსკიმ სცადა მათთან საერთო ენის გამოწახვა, მაგრამ ვერას გახდა. მისივე წაქეზებით, რუსეთის დიპლომატიამ ეს საქმე დადინებს მიანდო და თან რჩევას იძლეოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თავისუფალი სვანები „იარაღის ძალით“, „სამაგალითოდ“ დაესაჯათ. „ურჩების“ მოსათვინიერებლად რუსეთის ადმინისტრაციამ საჩუქრებიც კი გაიღო, მაგრამ სვანებს მორჩილების გაგონებაც არ უნდოდათ. მაშინ საქმეში ჩართეს სამღვდლოება, მაგრამ რამდენჯერმე სვანეთში ასული დელეგაცია იქიდან გამოაძევეს. 1840 წელს თავისუფალ სვანებისაგან მოახერხეს მძევალიც კი წაეყვანათ, მაგრამ მალე უკან დაიბრუნეს. 1842 წელს სვანეთში გაიგზავნა პოლკოვნიკ ბრუსილოვის ექსპედიცია, მაგრამ თავისუფალმა სვანებმა ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში გადასასვლელი ლატფარის უღელტეხილი ჩაკეტეს და ზემო სვანეთში არ შეუშვეს. გამოძევებულ იქნა 1843 წლის დელეგაციაც. 1847 წ. რუსეთმა შესძლო იქ საბოქაულოს დაარსება, მაგრამ 1849 წ. იძულებული გახადეს ის გაეუქმებინა, რაც პროფ. შ. ჩხეტიას დასკვნით, გამოწვეული იყო „სვანების „ურჩობით“ [31,93]. ალბათ ამიტომ ეწოდებოდათ მათ დაუმორჩილებელნი. საერთოდ ცნობილია, რომ რუსეთის რეაქციული პოლიტიკის ოფიციალური მსახურნი და სხვა მათი მიმყოფნი, რომლებიც „უსიერ ბურუსში“ ახვედნენ ჩვენი ქვეყნის წარსულს (ნ. ბერძენიშვილი), საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებს და მათ შორის სვანებს – „ურჩებს“ უწოდებდნენ [33, 325]. მაგრამ მათ ამ ცნების ქვეშ ძირითადად მათდამი დაუმორჩილებლობა ჰქონდათ ნაგულისხმევი და არა ქართველ მებატონესა და გლეხს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

ჩვენ კანონზომიერად გვეჩვენება სამეგრელოს სამთავროსა და სადადიანო სვანეთში საგლეხო რეფორმის ერთდროული გატარება, რადგან 1867 წლამდე, ვიდრე ნ. დადიანს ხელს აალებინებდნენ მის უფლებებზე, ლეჩხუმიც და სადადიანო სვანეთიც, სამეგრელოს ორბიტში რჩებოდნენ. რატომ უნდა გატარებულიყო რეფორმა ზემო სვანეთთან ერთად? აქ გასარკვევად გვრჩება ამ თეზისის მეორე მხარე – შეესაბამება თუ არა სიმართლეს, რომ „ქვემო სვანეთი გლეხის პირად და საადგილმამულო ვალდებულებათა მხრივ თითქმის არ განსხვავდებოდა სამეგრელოსაგან“. ჩვენი გონსაწიერით, არც ეს ასახავს მთლიანად სინამდვილეს.

მიემართოთ ფაქტებს:

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისათვის გამართული ჭიდილის გამო, სამეგრელოს მთავრები იძულებულნი იყვნენ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მანც მიეცათ საგრძნობი თავისუფლება სადადიანო სვანეთის გლეხობისათვის. ეს შედარებითი თავისუფლება იგრძნობოდა მთელ რეფორმებამდე ზანაში. ამის დასტურს გვაძლევს როგორც საარქივო წყაროები, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში შემონახული თვითმხილველთა ცნობები. მაგალითად, 1846 წელს შედგენილი ერთ-ერთი საარქივო ცნობა მიგვანიშნებს, რომ „სამეგრელოს მთავრისადმი გადასახადებითა და სამსახურით სადადიანო სვანები გაცილებით მსუბუქად არიან დაბეგრული ვიდრე ოდიშის გლეხები (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.). გარდა პირადად დადიანის კუთვნილ მცირე ნაკვეთების დამუშავებისა და სასაზღვრო-საგუშაგო სამსახურისა, მთელ რიგ სოფლებისაგან მთავარი იღებს მხოლოდ რამდენიმე – 5-7 სულ პირუტყვს წელიწადში“. იქვე ნათქვამია: „მეგრელი დადიანები ყოველთვის ეფერებოდნენ თავიანთ მამაც და ერთგულ სვანებს. წინანდელ დროში მათგან ირჩევდნენ პირად მცველებს“ [34, 8]. ვ. ივანენკოს გადმოცემით, „Даднани, лаская этих храбрых горцев, которые служили их телохранителями, значительно облегчили крепостные повинностями Свапет, положение которых было, таким образом, гораздо легче, чем коренных подданных“ [35, 510]. იგივე აზრისაა ისტორიკოსი ნ. დუბროვინი [36, 92] და სხვა.

ქუთაისის გუბერნატორი ლევაშოვი კავკასიის მეფისნაცვალს მ. რომანოვს მოახსენებდა: „В прежнее время они (სადადიანო სვანეთის გლეხები, ა.გ.) не были обьязаны никакими натуральными повинностями в пользу помещиков и вся зависимость их выражалась небольшими денежными оброками“ [24, 521]. იმავეს იმეორებს ოფიციალური ისტორიკოსი ს. ესაძე [37, 415]. ა. ლავრენტიევის განსჯით, დადიანი ფლობდა მხოლოდ ლენტეხის თემს, ზოლო ჩოლურსა და ლაშხეთში ბატონობდნენ გარდაფხაძეები და გელოვანები. მისივე შენიშვნით, „სადადიანოს სვანეთი არის რაღაცნაირად ფორმალურ დამოკიდებულებაში სამეგრელოსთან და იქ მართველობენ ადგილობრივი თავადური გვარები“ [38, 234].

თანამედროვე მკვლევართან ამ მოსაზრებას იზიარებენ: გ. გასვიანი, რ. კანდელაკი, მ. დუმბაძე და სხვ.

გ. გასვიანის აღნიშვნით, „იმერეთის სამეფოსაგან საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ ლენტეხის თავისუფალი თემის გლეხობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დადიან-ჩიქოვანებმა დაიმორჩილეს“ [39, 231]. ხოლო, „ქვემო სვანეთის ნაწილი – ჩოლურისა და ლაშხეთის თემები დადიანს არ ეკუთვნოდა და გარდაფხაძეებმა და გელოვანებმა დადიანის უზენაესობა მხოლოდ XIX ს. დასაწყისში აღიარეს“ [40, 37]. რ. კანდელაკის შენიშვნით – „გრ. დადიანი, რომელმაც ხელში ჩაიგდო მთლიანად ცხენისწყლის სვანეთი, ფაქტიურად ლენტეხის თემის მფლობელად ითვლებოდა. ლაშხეთის თემი წარმოადგენდა თავად გელოვანების, ხოლო ჩოლურის თემი თავად გარდაფხაძეების საკუთრებას“ [41, 94]. მ. დუმბაძის განსჯით, სამეგრელოსადმი ქვემო სვანეთის მორჩილება ნომინალურ ხასიათს ატარებდა. იგი „სვანეთის მხოლოდ მცირე ნაწილზე ავრცელებდა თავის გავლენას“ [32, 152]. ასეთი ხასიათის ცნობების მოტანა კიდევ შეიძლება.

ქვემო სვანეთში დადიანის შეზღუდული ფორმით ბატონობას განაპირობებდა ამ რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა, რის გამოც დადიანები მათდამი ყოველდღიურ მეთვალყურეობას ვერც ახერხებდნენ.

გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის გათვალისწინება აუცილებელია მთისა და ბარის ურთიერთობის განსაზღვრის ყოველ ასპექტში, მიუხედავად იმისა, ხელს გვაძლევს თუ არ გვაძლევს ჩვენი ნაფიქრალის დასამტკიცებლად.

თუ ეკონომიკის სხვადასხვაობა სოციალური ურთიერთობის განმსაზღვრელია, მაშინ ამ პრინციპიდან გამომდინარე, მთისა და ბარის, ამ შემთხვევაში ქვემო სვანეთისა და სამეგრელოს სამთავროს სოციალური სტრუქტურის ნიველირება უმართებულოა.

იმის გამო, რომ ცარიზმის ერთგულმა სატრაპებმა, თავიანთი რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის ბოლომდე მიყვანის მიზნით, ბატონყმობა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე პირობებში გააუქმეს სამეგრელოსა და ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, ამ უკანასკნელისათვის რაიმე განიკლისის დაშვების გარეშე, არ უნდა ნიშნავდეს ობიექტურ მკვლევარისათვის ქვემო სვანეთისა და სამეგრელოს სამთავროს სოციალური სტრუქტურის ნიველირებას.

ზემოთ დამოწმებული ცნობების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ რომ ქვემო სვანეთში ფეოდალური ბატონობა არ ძალაობდა.

XIX ს. 60-იან წლებში დადიანების ბატონობის უღელი ედგა ლეჩხუმში, ლაილაშში, დეხვირში, მურსა და ლუხვანოში გლეხთა უმრავლესობას, კერძოდ, 249 კომლს, რომელთაგან 11 მოჯალაბე იყო. ლენტეხსა და სასაშში 196 კომლს, რომელთაგან 6 მოჯალაბე იყო – ხუთი მოჯალაბე ლენტეხში და 1 სასაშში [42, 384-386]. 1858 წლის თებერვალში შედგენილი „სამეგრელოს მთავრის უძრავი ქონების საინვენტარო დავთრის“ მიხედვით, დადიანები ფლობდნენ 138 მებეგრე კომლს და 1 მოჯალაბეს, სასაშში 26 კომლს და 1 მოჯალაბეს. ამავე დოკუმენტით წლიური შემოსავლის ჯამი უდრიდა 1106, 851/2 მანეთს. [43, 1-2]. ლენტეხში დადიანის საკუთრებაში იყო 20 დლიური, ხოლო გლეხებს ეკუთვნოდათ 414 დლიური მიწა. ლაშხეთში სოფ. სასაშში დადიანის მფლობელობაში იყო – 100, ხოლო გლეხობისაში 390 დლიური სახნავი მიწა. აქ მთავარი 52 მანეთ ფულად თანხას იღებდა ბეგარის სახით [41, 95].

ბ. კოვალევსკის ცნობით, „ყოველწლიურად სამი საუკეთესო ვაჟკაცი ლაშხეთიდან ვალდებული იყო დაეცვათ დადიანების საგაზაფხულო რეზიდენცია გორდში“ [16, 83]. რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის აღნიშვნით, ლაშხეთის თემი დადიანებს უხდიდა: ხორცს გარკვეული რაოდენობით, 10-15 კგ სანთელს, 5-6 მკლავის სიგრძის მოქსოვილ კანაფს, ასევე 5-6 გასროლის ტყვია წამალს“ [23, 79]. ასევე დადიანებს ეკუთვნოდათ საუკეთესო სამოვრებისა და ტყეების გარკვეული რაოდენობის ფართობები [16, 83].

ცხადი ხდება, რომ დადიანებისადმი ბეგარა-ვალდებულებით ყველაზე მეტად ლენტეხის თემის და ლეშხეთის თემის სოფ. სასაშის მოსახლეობა იყო დატვირთული, მაგრამ ამასთან ერთად, საინტერესოა აღინიშნოს რომ აქაური მოჯალაბეები მთავრის კარზე შრომას ეწეოდნენ არა ყოველდღე, არამედ მხოლოდ მთავრის მოთხოვნის დღეებში [43, 1-2].

საერთოდ, „როგორც ლეჩხუმის მთელ მაზრაში, სადადიანო სვანეთშიც არსებობდა გლეხთა სამი ჯგუფი: აზატი, გლეხი, მოჯალაბე“ [42, 376]. აქედან ლენტეხში: აზატი, მებეგრე და მოჯალაბე. ჩოლურში: მებეგრე, აზატი და შინაყმა, ხოლო ლაშხეთში საზოგადოების სოციალური შემადგენლობის თვალსაზრით შედარებით რთული სურათი იყო, აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონობდნენ გელოვანები. „ცხოვრობდნენ აზნაურები და სულ მცირე სამი კატეგორია გლეხობისა, რომლებიდანაც რიცხოვნობივად პირველ ადგილზე მებეგრე გლეხები იდგნენ, შემდეგ „თავისუფალი“ გლეხები და ბოლოს მსახური და შინაყმა მოდიოდნენ“ [39, 231-232].

რამდენადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ქვემო სვანეთის საგადასახადო ბეგარა-ვალდებულებანი გაიგივებულია სამეგრელოს სამთავროს შესაბამის სისტემასთან, ამიტომ ჩვენ შევეცდებით მეტი ყურადღება გავამახვილოთ განმასხვავებელ სპეციფიკურ მომენტებზე.

– ლენტეხის თემში ადგილობრივი თავადები და აზნაურები XVIII-XIX სს-ში უკვე არ არსებობდნენ, რადგან ამ თემს უშუალოდ ფლობდნენ დადიანები.

– დადიანები ქვემო სვანეთში არ ცხოვრობდნენ. ისინი აქ ფლობდნენ მხოლოდ თავიანთ ადმინისტრაციულ პუნქტებს.

– სვანეთსა და ლეჩხუმში მოჯალაბე არ ასრულებდა სამეგრელოს სამთავროს სხვა მხარის მოჯალაბეთა მსგავსად ღომის ცეხვას („ღუმუშ ჩხვარუა“), რაც ყველაზე უღირს სამუშაოდ ითვლებოდა.

– ქვემო სვანეთში მოსახლე მებეგრე გლეხობა არ იხდიდა ღვინის, ხორბლის, ბოსტნეულის, ხილის და სხვა გადასახადებს.

სვანი გლეხობა აბრეშუმისა და თუთის ფოთოლთან დაკავშირებულ სამუშაოს არ ასრულებდა და არც გადასახადს იხდიდა და სხვ.

სამეგრელოს სამთავრო მებეგრე გლეხების საგადასახადო სისტემაში შემავალ 35-ზე მეტ დასახელებიდან ქვემო სვანეთის გლეხობა ან არ ასრულებდა, ან არ იხდიდა 13 დასახელებას [24], [42], [33], [44, 105-110]. გ. გასვიანის ობიექტური შენიშვნით, „თავისი მთური მდებარეობის გამო სვანეთში მეურნეობის მრავალი დარგი არ არსებობდა;... ამიტომ, ბუნებრივია, აქ ბეგარა-გადასახადების ნომენკლატურაც შეზღუდული იყო“ [39, 140]. მკვლევარი განმარტავს რომ: სვანეთში ნატურათი ბეგარის ოდენობა, რომ ნაკლები ჩანს ეს სვანეთის სპეციფიკით აიხსნება, რომ სვანეთში იყო „სახმარი მიწის სიმცირე“, არსებობდნენ „ნაკლებ მოსავლიანი კულტურები“, რის გამოც სვანეთში საარსებო პირობები მეტად მძიმე, ხოლო ზედმეტი პროდუქტის შექმნა მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო“ [39, 140].

სერიოზული სხვაობა იყო გადასახადთა საწყაოს, წონას, ფასს, სიდიდესა და რაოდენობაში [24, 462-465], [44. 104-110].

წყაროების მიხედვით, მეგრელი მოჯალაბე განსხვავდებოდა ლეჩხუმელი მოჯალაბისაგან, ეს უკანასკნელი კი – სვან მოჯალაბეთაგან [44, 86-89], [42, 393-395]. მეგრელი აზნატი – ლეჩხუმელისაგან, ლეჩხუმელი კი – სვან აზნატისაგან [44, 102-104], [42, 406-407]. ლეჩხუმში საერთოდ არ არსებობდა გლეხთა კატეგორია მინდობილისა [44, 407], [42, 104]. მართა-

ლია, ქვემო სვანეთში ჩოლურსა და ლაშხეთში ცხოვრობდნენ აზნაურები, მაგრამ ისინი გარდაფხაძეებისა და გელოვანების ხელში იმდენად „ჩამომცრობილნი“ გახდნენ, რომ აღარ წარმოადგენდნენ, სამეგრელოს აზნაურების მსგავსად, „სიუხერენსა და მიწის მოქმედს შორის დამაკავშირებელ რგოლს“ (ნ. ბერძენიშვილი) და ძველი დიდების, მათი ისტორიული წარსულის გადმონაშთებსა წარმოადგენდნენ. ისინი გაძლიერებულ სვან გლეხთა ოჯახებისაგან ვერაფრით განსხვავდებოდნენ.

მკვლევარები მხედველობიდან ტოვებენ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორც იყო სამეგრელოს სამთავროს ბარის რაიონებში არსებულ ფიზიკურ დასჯა-დამახინჯების („ხუნდზე დასმა“, „ბორკილ-ქანჩების დადება“, „ჯაჭვით დაბმა“, „გახურებული შანთებით პირისახის და თვალების ამოწვა“, „დილეგში ჩაგდება“, „ხელ-ფეხის, ყურის, ცხვირის და ზოგჯერ თავის მოკვეთა“) [45, 17] ქვემო სვანეთში არ არსებობას და სხვ.

თუ მკვლევარი დააკვირდება ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადებს, რომელთაც ქვემო სვანეთის მებეგრე გლეხობა ვერ იხდიდა, მას უნდა ენიშნოს, რომ ქვემო სვანეთის ფეოდალური ურთიერთობა სამეგრელოსთან შეუძლებელია ყოფილიყო იდენტური. შეუძლებელია ქვემო სვანეთი, როგორც მთის ეკონომიკური ბაზის (რასაც არ იხდიდა, ის სვანეთში არც არსებობდა, მაგრამ სამეგრელოში ხომ იხდიდნენ?) მქონე რაიონი – მცირე მიწის, მკაცრი გეოგრაფიული კლიმატის პირობების რაიონი, რომელიც იძულებული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტი გარე სამუშაოზე და ყველაზე მეტად სამეგრელოში გასვლით ერჩინა თავი, შედარებოდა სამეგრელოს ეკონომიკას და, იქ, მთის პირობებში, საადგილმამულო ვალდებულებანი და პირადი დამოკიდებულება იგივე ან „თითქმის იგივე“ ყოფილიყო.

§3. სოციალური ურთიერთობა ზემო სვანეთში

დაღიშვალნიანთა გვარის წარმომავლობა,
ეტიმოლოგია და ბინეალოგია

XIX საუკუნეში სვანეთი (ადგილობრივი სახელწოდებით „შუან“, „შვან“...) – იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად. ერთი იყო ქვემო სვანეთი („ჩუბე შვან“) დღევანდელი ლენტეხის რაიონი და მეორე – ზემო სვანეთი („ჟიბე შუან“) – დღევანდელი მესტიის რაიონი. ქვემო სვანეთს წყაროები:

„ცხენისწყლის“, „ცხენისწყლის ხეობის“, „ცხენისწყლის სათავის“, „ლენტეხის“, „ლენტხას“ [1, 1], „ლენტეხას“, უფრო ხშირად „სადადიანო სვანეთის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ. ზემო სვანეთს კი – „ენგურის“, „ენგურის ხეობის“, „ენგურის სათავის“ სახელწოდებით. ზემო სვანეთი, თავის მხრივ, ორ: – ბალსზემო“ [2] – („ბალუნეში“) და ბალსქვემო („ბალუნჩიში“) სვანეთად იყოფოდა. უფრო ადრინდელ საბუთებში კი ბალსზემო სვანეთს – „ზემო კეჟის“, ბალსქვემო სვანეთს – ქვემო კეჟის – სახელწოდებითაც ვხვდებით [3, 37, 38]. ბალსზემო სვანეთი, XIX ს. 30-იან წლებიდან დაწყებული, რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკიდან გამომდინარე, მისმა მოხელეებმა [4], მანამდე არარსებული სახელწოდებით – „თავისუფალი“, „უბატონო“, ხოლო ბალსქვემო სვანეთი – „საბატონო“, „სადადიშკელიანო“ სვანეთად მონათლეს. ერთ-ერთმა მათგანმა კიდევაც აღნიშნა: „Самим сванетам деление это („თავისუფალი“ და „საბატონო“, ა.გ.) не известно. Они знают деление на общество и называют Княжскую Сванетию «Чубе хеви», а Вольную «Джабе хеви» т.е. Верхняя и Нижняя далина“ [5]. ფ. სობოლმა კი ყოველგვარი მოსახვევების გარეშე აღნიშნა, რომ „რუსეთის მეფის ადმინისტრაციამ ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილს უწოდა თავისუფალი სვანეთი“ [6,8]. ამასვე გვაძნობენ: ვ. ოლდეროვე [7,11], ს. ავალიანი [8,51], ე. ფინი [9,15] და სხვ. „სვანურ ენაში და თვით სვანეთში „თავისუფალი სვანეთის“ სახელწოდება არ არსებობდა. იგი რუსებმა გვიწოდეს“. გადმოგვცემს ზემო სვანეთის სოფ. კალაში მცხოვრები ხანდაზმული პედაგოგი ჟ. ქურდიანი [10]. „ეს სახელწოდება, – პროფ. გ. გასვიანის განმარტებით, – სვანურად არ არსებობს. ეს სახელწოდება მეფის მოხელეებმა და ოფიციალურმა ისტორიკოსებმა XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიღეს და დაამკვიდრეს“ [11,17], დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც თანამედროვე იყო ამ ფაქტისა, აღნიშნავდა: „სვანებმა სახელწოდებანი საბატონო და თავისუფალი არ იციან. ეს რუსეთის ხელისუფლების დროიდან იქნა შემოღებული [12,33]. ბ. ნიჟარაძემ 1888 წელს დაწერილ ერთ-ერთ სტატიკაში სახელწოდება „თავისუფალი სვანეთი“ გვაძნობს, როგორც „ახლანდელი“ შემოღებული [13,87]. ამრიგად, ირკვევა, რომ XIX საუკუნეზე უფრო ადრინდელ სვანეთისათვის სახელწოდებანი – „თავისუფალი“ და „საბატონო“ არ არსებობდა და ეს ფორმა მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა შემოღებული რუსეთის მოხელეთა მიერ.

ცნობილია, რომ ბალსქვემო სვანეთში XIX საუკუნეში გაბატონებულნი იყვნენ დადიშგელიანები [14]. ზემოთ მოტანილი „თავისუფალი“ და „საბატონო“ სვანეთის სახელწოდებათა შემოღებაც კი უშუალოდ უკავშირდება ამ გვარის ისტორიას. უფრო მეტიც, მთელი XIV-XIX საუკუნეების სვანეთის ისტორია მთლიანად დაკავშირებულია ამ გვართან, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ გვარის წარმომავლობის, მისი ეტიმოლოგიისა და გენეალოგიის საკითხების შესწავლა, რითაც საქართველოს ამ განუკვეთავე – სვანეთის რეგიონის ისტორიის ბევრ საკითხს ნათელი შეიძლება მოეფინოს.

დადიშგელიანებიც, ისევე როგორც შუა საუკუნეებში ყოველი დიდი თავადის გვარი საქართველოში, თავიანთ უცხოურ წარმოშობას ამტკიცებდნენ (მ. ლორთქიფანიძე) და თვლიდნენ, რომ ისინი წარმოშობით არიან დაღესტნიდან, უფრო ზუსტად, სამამხლოდან და სვანეთში იქიდან არიან მოვლენილნი. დ. ბაქრაძე შენიშნავდა: „О происхождении Дадишкелианов мы не имеем никаких сведений. Кажется, они сами производят свой род от Шамхала-Тарковского“ [12,33]. დადიშგელიანების მიერ თავიანთ წარმოშობაზე შექმნილი გადმოცემა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყოველგვარი ანალიზის გარეშე აიტაცეს რუსეთის აგენტ-კოლონიზატორთა წარმომადგენლებმა და დადიშგელიანები არა სვანებად ე.ი. არა ქართველებად მონათლეს. გუსტავ რადემ პირდაპირ მიუთითა: „Их (დადიშგელიანები, ა.გ.) почти нельзя и считать Сванетами по происхождению“ [15,18]. მბ. ლობანოვ-როსტოვსკიმ [16,6], ს. ესაძემ [17,112], მ. კოვალევსკიმ [18,17], ნ. დუბროვინმა [5,89], ვ. ივანეკომ [19,512] და სხვა მრავალმა დადიშგელიანთა „დაღესტნელობა“ მისაღებად ჩათვალეს და ამ სავალალო გადმოცემის კონსტატაცია მთელ XIX საუკუნეში გაგრძელდა და შემდეგშიც მიმდინარებოდა.

სვანეთში, აღნიშნულ გვარს: „დაჩქელანებს“, „დაწქელანებს“, „დადერქელიანებს“, „დადიშგელიანებს“, „დადეშგელიანებს“ და სხვა მრავალ ფორმით მოიხსენიებენ.

საერთოდ, ეს გვარი სამეცნიერო ლიტერატურაშიც მეტისმეტად მეტამორფოზირებულია. ამას მოწმობს მკვლევარი ა. ჩარკვიანის მიერ გამოქვეყნებული ერთი „ნასყიდობის წერილი“, რომელსაც სამი ძმა აწერს ხელს და სამივე სხვადასხვა ფორმით: „არდევან დადეშგელიანი, კოწია დადეშქელიანი, თენგიზ დადიშგელიანი“ [20,264]. პრესაში ვხვდებით ამ

გვარის საინტერესო კონგლომერატულ ფორმასაც: „დაგდაშდან გიელან“ [21,255] და სხვ.

დადიშგელიანების სვანეთში გამოჩენა-გაბატონებასთან დაკავშირებით გადმოცემის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი ვარიანტი ინახება საქ. მეც. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომელიც ეკუთვნის ამ გვარის წარმომადგენელს თათარხან დადიშგელიანს, მას 1887 წელს ჩაუწერია ეცერელ უხუცესებისაგან [22,1-15]. ორი ვარიანტი გამოაქვეყნა და კარგად გაანალიზა პროფ. გ. გასვიანმა [23,7-12]. საკმაოდ განსხვავებული ვარიანტი ჩაუწერია ა. კოჭენიკოვს, [24,99-103]. შედარებით უცნობი და საინტერესო ვარიანტი ჩაიწერეთ ზემო სვანეთის სოფ. ლახამულაში მცხოვრები კონსტანტინე (კოწია) კვანჭიანისაგან [25]. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ გადმოცემათა ყველა ვარიანტი ამახინჯებს დადიშგელიანთა გვარის წარმოშობას, თუმცა, ერთ რამეში ეს გადმოცემანი თითქმის ერთმანეთს ემთხვევიან, რომ ძველისძველად („გუნ ჯვინალდ“) ეცერში ჩრდილოეთის მხრიდან შემოსასვლელი გზით მოსულა გოლიათი პიროვნება და როცა მას ადგილზე დამხდურმა ხალხმა ჰკითხა ვინაობა, გოლიათმა თავის ენაზე უპასუხა: „და-თეშ-კელ“, რაც ნიშნავდა „აი ასე მოვედი“-ს [24.100] და ხელით აჩვენა სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან შემოსასვლელი გზა. ლეგენდის მიხედვით „სვანებმა ამ სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაიგეს“, მაგრამ იქ დამსწრე ყმაწვილებმა დაიწყეს სტუმრის სიტყვების გამეორება „და-თეშ-კელ“, „და-თეშ-კელ“ და ხალხში ამ გოლიათის გვარიც დარჩა „დადიშგელიანის“ ფორმით. მერე ეს გოლიათი შეუყვარდა სოფლის მღვდლის ქალიშვილს, რომლის ვედრებითაც, მამამისმა ჩაისიძა ის კაცი და თან სოფლის მოსახლეობას იგი გაეცნო წმინდა გიორგის („ჯგგრაგვიშ“) ძალით მათთან მოვლენილად, რომელსაც ყველამ უნდა აღმოუჩინოს დახმარება. ეს პიროვნება მოხერხებულიც გამოდგა, გზაც გაიკაფა, გამდიდრდა და ბოლოს „ფუსლი“ – ბატონიც შეიქმნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცხოური და თვით ღვთიურ წარმოშობაზე მტკიცებაც კი, იმ დროის ყველა სოციალურად გაბატონებული გვარის ჩვეულება იყო (მ. ლორთქიფანიძე). რომ არაფერი ვთქვათ ბაგრატიონებზე, ციციშვილებზე, ამილახვრებზე და სხვ. თავიანთი გვარის უცხოეთიდან მოვლენის მტკიცებაში არავის ჩამორჩებოდნენ ორბელიანები, რომლებიც თავიანთ წინაპრებად ჩინელებს თვლიდნენ. არაგვისა და ქსნის ერისთავები – ოსეთს, ფალავები – ადიღელებს [26,187], წერეთლები – დაღესტანს [26,

150], ხან კი სვანეთს [26, 149] გარდაფხაძეები – ოსეთს [13, 89] და ა.შ. ამ მხრივ გამონაკლისი არც დადიშგელიანები იქნებოდნენ, მაგრამ მათი არაქართული-არასვანური წარმომავლობა დოკუმენტურად არ დასტურდება. ზემოთ ხსენებული გადმოცემათა მთელი წყება თუნდაც იმიტომ არის უსაფუძვლო, რომ: ჯერ ერთი, თვით სვანი კაცის ბუნებაში არ ზის ისეთი თვინიერება სრულიად უცხო ტომის წარმომადგენლის მიმართ, რომ შემთხვევით მოსული პიროვნება იქ, სადაც ერთ გოჯა მიწას სისხლის ღვრის გარეშე არაეინ თმობდა, უსაფუძვლოდ და ბრმად მიეღოთ და შემდეგ ბატონად ექციათ. მეორე – დადიშგელიანების მოსვლა სვანეთში მათივე გადმოცემით, XIV ს. მოხდა. თუ ეს ასეა, როგორ ავხსნათ, რომ ადგილზე ძირფესვ გამაგრებულმა და ისეთმა ძლიერმა გვარებმა: ერისთავ ვარდანისძეებისა (XI-XIV სს.), ერისთავ გელეჯანებისა (XIV-XV სს.), ორჩვეიანებისა და სხვ., უცხოეთიდან – ყულმიყიდან – მოსულს, სვანეთში ძლიერების საფუძველს ყოველმხრივ მოკლებულ ერთ კაცს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ამ უკანასკნელმაც თითქოს დაუდო საფუძველი სვანეთში დადიშგელიანებს. მესამე – ამ გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულ გადმოცემებიდან, ეცერში ჩამოსული გოლიათის ორი პასუხია ცნობილი. ერთი ვარიანტის მიხედვით, ეცერელთა დასმულ კითხვაზე სტუმრის ვინაობისა და სადაურობის გასარკვევად, სტუმარი პასუხობს: „და-თემ-კელ“-ს, მეორე გადმოცემის მიხედვით, მან ეცერელ მღვდელს – კახიანს ასე მიუგო: „დაგ-დაშდან-გელან“. ავტორთა განმარტებით, პირველი პასუხი ნიშნავს „ასე მოვედის“ [24.100], ხოლო მეორე – „მოვედი ამ მთებიდან“ [27,64]. შინაარს რომ თავი დავანებოთ, როგორ მოხდა, რომ ამ ორი ფორმით ფრიად განსხვავებულ სიტყვებიდან საბოლოოდ მიღებულ იქნა ერთი კონგლომერატი – „დადეშქელიანი“. ასეთი მეტამორფოზი, მართლაც შეუძლებელი უნდა იყოს. ეს ეკლექტიურია. სამწუხაროდ, გოლიათის საპასუხო სიტყვების შემასილოვებით არაეინ დაინტერესებულა. მათ არც ერთ დაღესტნურ ენათა დიალექტში ეტიმონი არ გააჩნია. ამ ფორმით სიტყვები არ არსებობს. არსებობს მსგავსი სიტყვა „დაგდასდელ-დეილან“ – რაც გულისკარნახს ნიშნავს, ხოლო მეორეს მსგავსი სიტყვა დაღესტელ-გადაგდებულს, მოძველებულს, მიტოვებულს, „კელ“-სიტყვა ცალკე ნიშნავს – დაბლობს, მაგრამ ეს გადმოცემა ამ კუთხითაც არამართებულია. გადმოცემის მიხედვით, სტუმრის პასუხი – „დაგ-დაშდან გელან“ – დაკავშირებულია იმასთან, რომ თითქმის იგი „დათვის კვალს გამოჰყვა სვანეთში“. „დაშდუ“ – სვანურად მართლაც ჰქვია დათვის, მაგრამ

როგორ დაეუკავშიროთ სვანური დათვის სახელი დაღესტნურ ენას? ან რატომ არის აქ გარეული სიტყვა „გელან“? ის ხომ „გელიდან“ წარმოქმნილი გვარების: გელაძე, გელაშვილი, გელენავა, გელოვანის, გელუკაშვილის და სხვა ამ ფორმის გვართა ეტიმონია.

ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს სხვა გარემოებასთან.

სვანეთში უხსოვარ დროიდან განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ დიდი დედის – ბებიის აღმნიშვნელი სახელი „დადა“ და მისი მეტამორფოზი – „დადი“, „დადიშ“ და სხვ. რომლებიც შემდეგში ანთროპონიმებად იქცნენ. ე.ი. საკუთარ სახელებად ჩამოყალიბდნენ და დღესაც ფიგურირებენ მთელ სვანეთში. სხვათაშორის, დადაშ „სახელს ატარებდა საქართველოს 1924 წლის აჯანყებაში გმირულად დაღუპული ფილოსოფოსი დადაშ ანდროს ძე გელოვანი [28, 12]. „დადაშ“ ჰქვია სახელად ზემოთ ჩვენს მიერ მთხრობელად დასახელებულ ქალბატონის ე. ქურდიანის ვაჟს. „დადი“ ერქვა სახელად ამ ნაშრომის ავტორის ბებიას და რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

სვანეთში „დად“ და „დიდ“ საწყისით ჯერ კიდევ XIII საუკუნის მეორე ნახევარში გვხვდება, როგორც გვარები, ასევე სახელები. მაგალითად, გვარი „დადიშ“ [3.132]. „დადისშვილი“ [3.134], [3, 139], „დადი“ [3, 135], „დადისძე“ [3, 137] და სხვ. სახელის სახით გვხვდება, ჩვენთვის საინტერესო გვართან ყოველმხრივ მიახლოებული ფორმა „დადიშგელა“ [3.132]. მეცნიერებაში ცნობილია, რომ „ყველაზე ხშირად გვარი ნაწარმოებია სახელისაგან“ [29, 35]. ე.ი. ეპინომიურია. თუ ეს ასეა, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ზემოთ მოტანილი სახელიდან „დადიშგელა“ წარმოქმნილიყო გვარი დადიშგელიანი – „იანი“ (იან) სუფიქსი ქართულში ხომ თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად [29, 149]. ის ხომ სვანური წარმოშობის გვარების დაბოლოებაა. ან მეორენაირად, – „დადიშ“-იდან მასზე „გელანის“ ან „გელიანის“ დამატებით მიგველო ფორმა დადიშგელიანი. მკითხველს უნდა შევახსენო ისიც, რომ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში სვანეთში გვარი: „გელიანი“ [3.82], „გელანი“ [3. 100], „გელოვანი“ [3.17] (სვანურად: „გელოვანარ“, „გელვანარ“) „აღზევებული გვარია“ [30]. ამ გვარის ერისთავობა აღნიშნულ რეგიონში XIV-XV საუკუნეებში მტკიცებას არ საჭიროებს. პირველობისათვის ბრძოლაში ჩართულ დადიშგელიანებისათვის ამ გვარზე ფორმირება ურიგო არ იქნებოდა. ამ მოსაზრებას ამაგრებს ე. გაბლიანის ცნობა რომ: „ზოგიერთის მტკიცებით, დადიშქელიანების გვარი სვანეთის უკანასკნელი ერისთავის დადაშ გელოვანის (ხაზგასმა ავტორისაა)

სახელისა და გვარის შეერთებით შესდგაო“ [27,63]. ისტორიკოსმა ს. ესაქემ ეკვმიუტანლად განაცხადა, რომ „სვანეთის გელოვანებისაგან მომდინარეობს თავად დადიშკელიანების გვარი“ [17, 100]. იგივეს კვითხულობთ პროფ. შ. ჩხეტიას რედაქციით შედგენილ საქართველოს ისტორიის დოკუმენტებში [31]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, როცა დადიშკელიანების წარმომადგენლები თავის გვარს „გელანის“ დამატებით გვამცნობენ. მაგალითად, ლენხუმელი კორესპონდენტი ლევან დადიშკელიანი თავის სტატიებს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად „დაგდაშდან-გელან-სვანი“ სახელწოდებით აქვეყნებდა [11.140], [21.255]. ისიც ნიშანდობლივია, რომ გელოვანების სადროშო გერბი დადიშკელიანებს არ შეუცვლიათ და მათ ერთი საერთო გერბი ჰქონდათ [28,1]. ამ მოსაზრების შემაგრებად მიგვაჩნია ისიც, რომ 1503 წელს დაწერილ დოკუმენტში [32] „წიგნი სასისხლო საქმისა ბელას ზემო სუანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“ – დადიშკელიანთა გვარის შემდეგში ცნობილ ყველა სპირანტიდან გვხვდება მისი თავდაპირველი ფორმა „დადიშკელიანი“ [3.32]. დადიშკელიანი იგივეა, რაც დადიშგელიანი. სვანურში „შგ“, „შკ“ და „შქ“ ძალზე ხშირად ცვლიან ერთმანეთს. მაგალითად: უ[შქ]ული, უ[შკ]ული, უ[შგ]ული. სვანეთის საისტორიო ძეგლებში თქვენ შეხვდებით სოფლის ამ არსებითი სახელის სამივე ფორმას: „უშქულსა და ლალვერს შვა საგალობელი“ [3.5], „ლალვერს და უშქულს შუამან“ [3.7]. „ვინცა უშქულს ამას კრებას მოეგება“ [3.159] და სხვ; „ჩვენ ჯეუმან ერთობილმან უშგულსა და ლალვერსა შუა“ [3.9], „დედისა ღმრთისა უშგულისა“ [3.37], „დედაი ღთისა უშგულისა“ [3.71] და სხვ. „ყოვლად წმინდა უშკულისა“ [3.37], „ლალვერსა და უშქულს შუა“ [3.26] და სხვ. მცენარე უშქერის სვანური სახელწოდებაც ამის თვალსაჩინო მაგალითია. იგი გვხვდება „შქერის“, „შქერის“ და „შქერის“ სახით [33]. სიტყვა – „მაშინ“ გამოითქმის სამნაირად: „ეშქას“, „ერქას“, „ეშგას“, [39] და სხვ.

სვანეთის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარის პროფ. გ. გასვიანის მოსაზრებით – „დადიშკელიანი, რომელიმე ხსენებული სახელიდან წარმოიშვა. ანდა შესაძლებელია ის იგივე ეცერ-ცხუმარის მცხოვრები დადისშვილის სვანური ფორმაა“ [23.11]. ამ საგულისხმო მოსაზრების გვერდით, შეიძლება საინტერესო იყოს XIX ს. ცნობილი სწავლულისა და ლინგვისტის დადიშკელიანთა საგვარეულოს გენეალოგიის შემდგენლის პ.კ. უსლარის მინიშნებაც, რომ „აფხაზეთში, სვანეთსა და სამეგრელოში ხშირად შეხვდებით საკუთარ სახელებს წარმოშობილს სიტყვა „გელ“-ადან [34,460]. დადიშკელიანთა გვარის ირგვლივ უსლარის შენიშვნებს რომ გაეცნო, ისტორიკოსმა ნ.

დუბროვინმა თავის მხრივ განაცხადა: „Самое же верное предложение о происхождении Дадишкелианов принадлежит, по нашему мнению, П. К. Услару, который предполагает, что фамилия это произошла от прибавления весьма употребительного в картвельских наречиях слово «Дадаш» к родному имени Гелуани“ [5.89].

დადიშკელიანთა გვარის ეტიმოლოგიის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელოვანი ქართველი მეცნიერის აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას. პატივცემული მეცნიერი, გვარი დადიანის ეტიმოლოგიის დადგენისას მიუთითებდა, რომ: „სვანეთში საშუალო საუკუნეებში... დად საკუთარი სახელი იყო და კანონზომიერია დადიშკელიანი აქედან გვარსახელი „დადიანის“ წარმოება [35,341]. გვარის დადიშკელიანის განსაზღვრას აკადემიკოსი გაკვრით შეეხო საგვარეულო არშინის განმარტებისას. იგი წერს: „საგვარეულო სახელწოდება „არშინი“ წარმოსდგება არა საპატრონო ციხიდან „არიში“, არამედ ადამიანის („სახლის მეთაურის“) საკუთარ სახელისაგან არიში, ისევე როგორც დადიანი, დადიშკელიანი (ხაზგასმა ჩვენია, ა.გ.), ბედიანი, ბედელიანი, გვიშიანი... და სხვ. წარმოსდგება ადამიანთა საკუთარ სახელისაგან: დად, დადიშკელ, ბენდ, ბენდელ...“ [35, 343]. ამავე დროს აკად. ნ. ბერძენიშვილმა არ გაიზიარა დადიანების გვარის არაქართული წარმოშობა. დადიანები ხომ „თავიანთი საგვარეულო სახლის წარმოშობას შუმერ-ასურელთა ჭექა-ქუხილის ღმერთს – ადალს უკავშირებდნენ“ [36,18]. მან უკუავადო ეს ვერსია და საკითხი გადაწყვიტა ქართულ ენობრივ ნიადაგზე, რომელიც მან მისებურად მოხდენილად შეუფარდა დადიანების კავშირურთიერთობას სვანეთის სალოცავებთან. იგი წერდა: „დადიანის სვანთა ერისთაობა“ მის სვანურ (ფიზიკურად) წარმოშობილებაზე მიუთითებს (ამასვე მოწმობს დადიანთა დაკავშირებულობა სვანეთის სალოცავებთან. ხაჟვ დადიანი XIV ს-ში სეტისმთავარ მოწამეს სწირავს მეგრულ გლეხებს (შენიშვნა ავტორისაა), ხოლო ძველი ქართული სიტყვაწარმოება „დადიანი“ ტიპიურია ამ დროს სვანეთისათვის (გარკვეული პირობების გამო დღემდე შერჩენილი... დად (შდრ. დადიშ, დადიშქ, დადიშკელ) აქ საკუთარი სახელი ჩანს (ასევე, როგორც ჯაფარ, ჩხეტ, ჟორჯოლ, ვახტანგ, აფაქ და სხვ.), ხოლო იან, ან, კუთვნილებითი სუფიქსი...“ ერთი სიტყვით, მკვლევარმა გზა გაგვიხსნა დადიშკელიანთა გვარის ეტიმოლოგიის გასარკვევად.

პროფ. თ. ბერაძემ დადიანი გვარის ეტიმოლოგიის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ მაღალ დონეზე შესწავლა-გაანალი-


ზების შემდეგ დაასკვნა: „დადიანი სვანური წარმომავლობის გვარი უნდა იყოს და ნიშნავს დადის შთამომავლობას“ [37,152].

მ. ჯანაშვილმა, ჯერ კიდევ 1907 წელს დაწერილ სტატიაში „ახალსენაკიდან სოფელ ჯიხაზურგამდე“, გარკვეულად თქვა: „Из этого же корня (როგორც გვარი ბედია ან ბედიანი წარმოიქმნა სახელწოდება „ბედიისაგან“ ა.გ.) образовалась фамилия князей Сванети Дадишкелиани“ [38,23]. საინტერესოა ამ მხრივ ისიც, რომ XVII-XVIII საუკუნეებისათვის, როცა აღნიშნული გვარი, შედარებით, მომრავლდა და განმტკიცდა, დადიშგელიანის ფორმით დიდი როლდენობით გეხვდება. იგი დადიშგელიანის ფორმით, სვანეთის საეკლესიო კრების მეორე მატჩიანეში 15-ჯერ მეორდება. მაგალითად, „ისლამ დადიშგელიანი“, „სათუთ დადიშგელიანი“, ჭყყან დადიშგელიანი, ციოყ დადიშგელიანი, ათიულ დადიშგელიანი, ყაზმაჭკვა დადიშგელიანი და სხვ. [39,117,121].


ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული გვარის ყველაზე მისაღები ფორმა არის დადიშგელიანი.

დადიშგელიანთა საბავარეულო გენეალოგია

(დაახლოებით XIV-XIX ს.ს.)



დიდიოთარი
(XV ს. ნახევარი)



„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

ლევანი

თათარყანი
(ნიკოლოზი)

ოთარი
(ვაჟა-ფშაველას 1839 წ.)

ლუაზი

ბეჭარი

ახლაში

ცოყო

კომიტატინე
(მურზაყანი)
(1841-1857)

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

შენიშვნა: ბაბა ცოიცი მთავრობის შემდეგ ლეჩხუნი გაიყო უსურ-გუჩოს შორის და ის ცალკე არ არსებობს.

ოთარი

ჯანუხი

თეგუზი

გულა

ბეჭარი

შოსოსტრი

შოსოსტრა

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

ლევანი

თათარყანი
(ნიკოლოზი)

ისლამი
მოკლეს 1830 წ.

თათარყანი
1850 წელს
გარდაიცვალა

ლევანი
მოკლეს 1833 წ.

„ბეჭარი“
1822 წ.
გარდაიცვალა

შოსოსტრი

ცოყო

ახლაში

თეგუზი

კომიტატინე
(მურზაყანი)
(1841-1857)

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

ჯანუხი
მოკლ. თათარყანმა

გულა
მოკლეს

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

„ბაბა ცოიცი“
(1736-1812)

ბურზაყანი

ლევანი

ცოყო

კომიტატინე
წლებს დახსრულ
XIX ს. 50-იან

„სტრასურდამა“

კომენტარები
(მურზაყანი)
(1841-1857)

ლევანი - რჩება ბეჩოში, ხოლო ბეჭირბი ისლანი და ცოცი, მამადიანობის მხლებს ვაზო გადასახლება უპარზომი, საიდანაც დაბრუნდა ბეჭირბი - რომელიც ბეჭირბი XIX ს. 70-იან წლებიდან XX ს. დასაწ.

კომენტარები
(მურზაყანი)
(1841-1857)

* თენგიზი - XIX ს. 60-90-იანი წლები.

* XX ს. დამდგეს ევროში ცხოვრობდნენ: თათარჯან თენგიზის ძე, ბეჭირბი კანაულის ძე, მოსოსტრი მოსოსტრის ძე.

ბლესკანდრე

კომენტარები
(მურზაყანი)
(1841-1857)

* კომენტარები 1857 წ. ქუთაისს გენერალ-გუბერნატორის ა. ი. ბაგარინის მოკვლასათვის დახვრიტეს. მისი ძეხვი ისლანი თენგიზი და ცოცი (?) რუსეთში გადასახლეს. კომენტარებს დაურა ვაჟები: მოსოსტრი, ოთარი, ლევანი, მურზაყანი - გადასახლეს რუსეთში. კალიშვილები: კესარია, გიგობანი, დოურხანი, მიწანი - გადასახლეს სვანეთში.

XIX ს. 50-იან წლებში დასარულ

XIX ს.
60-90-იან წლები

შენიშვნა:

1. სვანეთის მოქალაქის თანამეგობარს თენგიზს კანაულის ძე დადიშგულიანს მიერ შედგენილ საბატონო სენატიის თავადაზნაურთა სიის მიხედვით XIX ს. 70-იან წლებში (1866 წ.) აღნიშნულ რეგიონში ცხოვრობდნენ: N1 ოჯახი: ზიკოლოზ ლევანის ძე დადიშგულიანი (31 წლის), მისი ძმები - მიხეილი (26 წლის), ალესკანდრე მოსოსტრის ძე (ზიდაშვილი), ნიკოლოზი შვილი, ივანე (11 წლის). კომენტარები (9 წლის), გიორგი (7 წლის), დავითი (5 წლის), ალესკანდრე (3 წლის); N2 ოჯახი: ბტასკატიანი პავლე კეჩიბის ძე დადიშგულიანი (60 წლის); N3 ოჯახი: კაფუა ხოდაჩუკის ძე დადიშგულიანი (50 წლის), მისი ძმა მურზაყანი (45 წლის); N4 ოჯახი: ლევან ოთარის ძე დადიშგულიანი (36 წლის); ლევანის ძმები: ბეჭირბეი (25 წლის), ლევანი ოთარი (1 წლის), ლევანის ძმის შვილები: ცოცი და კანაუცი.
2. წინამდებარე გენეალოგია მოზავალში უფრო დაიხვეწება.

ანალოგიური მდგომარეობა იმერეთის თავად ნიჟარაძეების წარმომავლობასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადმოცემით, ნიჟარაძეები თავიანთ წარმომავლობას ხან სპარსეთს [26,150], ხან დაღესტანს [26.150], ხან სვანეთს [26.149] უკავშირებენ. მაგრამ ბოლოს მეცნიერებმა სვანეთის ისტორიის დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, სადაც მოხსენიებულია სახელი „ნიჟარაი“, ამ გვარის სვანური წარმომავლობა უფრო სარწმუნოდ მიიჩნიეს [26.150].

ყოველ შემთხვევისათვის ჩვენი დასკვნა ასეთია: დაღიშგელიანების გვარის სუბსტრათი ადგილობრივი სვანურ-ქართულია და მათი უცხოური წარმომავლობა სინამდვილეს არ შეესაბამება.

XV-XVII საუკუნეებში მიმდინარე ბრძოლები დაღიშგელიანებს, გელოვანებს, რიჩგვიანებსა და არა მხოლოდ მათ შორის, არამედ სხვა მძლავრ გვარებს შორისაც, დაღიშგელიანების გამარჯვებით დაგვირგვინდა. პროფ. გ. გასვიანის სამართლიანი დასკვნით, „XVII ს. დასასრულსა და XVIII საუკუნეში სვანეთში დაღიშქელიანთა სამთავრო ჩამოყალიბდა“ [23.44].

ახლა შევეხოთ ამ გვარის გენეალოგიას.

თათარხან დაღიშგელიანის ხელნაწერი საბუთის მიხედვით, რომელიც დღეს ინახება აკად. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, დაღიშგელიანთა გვარის თავდაპირველ წარმომადგენლებად დასახელებულნი არიან თანმიმდევრობით: დაჩკელან, ჩერბლან, ხოშა (დიდი) ისლამ, თენგიზი და მერე ლეგენდარული „ფუთა“, რომელიც მოკლული იქნა უშგულში [22,1-15]. ამავე ხელნაწერის პირველი ვარიანტის მიხედვით, ავტორი „დაჩკელანის“ შემდეგ რიგს პირდაპირ ფუთათი იწყებს. ხოლო შემდეგ დასახელებული არიან ისლამბერარი, ისლამაზი, დიდი ისლამი, ოთარი, სორთმანი, დუდაუ, ქერიმი. [22,1-15] დასახელებულ ზოგიერთ პირთა ირგვლივ ცნობები მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში. ბ. ნიჟარაძის ცნობა იმის შესახებ, რომ „ფუთა შვილი იყო ისლამბერისა“ და ამავე დროს ისლამბერს დარჩა სამი შვილი ოთარი, სორთმანი და დუდა“ [13.98] არალოგიკური და არამართებულია. პირიქით, თ. დაღიშგელიანის მიერ შედგენილ გენეალოგიის მიხედვით, ისლამბერია ფუთას მემკვიდრე [22.15], ეს დასტურდება მკვლევარ რ. კანდელაკის მიერ თავის საკანდიდატო დისერტაციაზე დართულ სათანადო ტაბულის მიხედვითაც [40]. მცდარ ცნობას გვაწოდის ეგ. გაბლიანიც, როცა ის ძმებად წარმოგვიდგენს დიდ ოთარს, სორთმანსა და დუდაუს [27,66]. საარქივო ცნობა ამ-

ტკიცებს, რომ „დიდი ოთარი“ მამაა „კარგი ოთარის“, სორთმანისა და დუდაუსი [1,792]. ჩვენი აზრით, მკვლევარი რ. კანდელაკიც უშვებს ერთგვარ შეცდომას, როცა იგი დიდი ოთარის, სორთმანისა და დუდაუს მამად „დიდი ისლამს“ ასახელებს [39]. დიდი ისლამი პატივცემულ მეცნიერს ორჯერ აქვს განმეორებული. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ დიდი ოთარის ნაცვლად მას კარგი ოთარი უნდა დაესახელებინა, შემდგომ კი ამ უკანასკნელის ძმები სორთმანი და დუდაუ. ამას ცხადყოფს ისევ საარქივო ცნობა, რომელიც შედგენილ იქნა იმპერატორ ალექსანდრე II-ის დავალებით, რომლის მიხედვითაც „დიდი ოთარი“ დასახელებულია კარგი ოთარის, სორთმანისა და დუდაუს მამად [42,792]. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელთა სახელების მიხედვით: კარგი ოთარის ნაშვიერებს („ნაბარწყს“) ეწოდათ „ოთარშა“ – ე.ი. ოთარისიანები. „სორთმანშა“ – სორთმანისიანები და „დუდაუშა“ – დუდაუსიანები [43].

სანკტ-პეტერბურგის (ყოფილი ლენინგრადის) საისტორიო არქივში დაცულია ზემო უკვე ხსენებული სწავლულის პ. უსლარის მიერ შედგენილი თავად დადიშგელიანების საგვარეულოს სქემა, რომელსაც აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ამ სქემითაც მტკიცდება, რომ კარგი ოთარი, სორთმანი და დუდაუ დიდი ოთარის შვილებია [41]. ისიც ცნობილი ხდება, რომ „გასული საუკუნის (ე.ი. XVIII ს., ა.გ.) 60-იან წლებში საბატონო სვანეთი შედგენილია დადიშგელიანთა სამძმას შორის ოთხ ნაწილად გაყოფილ სამამულო ერთეულისაგან. მათ შორის უმცროს ძმას კარგ ოთარს ეკავა ეცერისა და ჩუბეხევის ტერიტორია, თავად სორთმანს – ბეჩო, ხოლო უმცროს ძმას თავად დუდაუს კი ლეჩყანი“ [41,97]. თუ ეს ასეა, მაშინ მისაღებად გვეჩვენება ეგ. გაბლიანის ცნობა იმის შესახებ, რომ „დიდი ოთარი“ განაგებდა სვანეთს XVIII ს. პირველ ნახევარში“ [27,66]. აღნიშნულ სამძმიდან კარგ ოთარის ჰყავდა ორი ვაჟი: როსტომხანი და თენგიზი, სორთმანს კი ხუთი ვაჟი: გელა, თენგიზი, კეჩიშა, ციოყი და თენგიზი. დუდაუს კი – აზნაური და მურზაყანი. აქედან აზნაურს ჰყავდა: თენგიზი, ციოყი და ქერიმი. ხოლო მურზაყანს – ბექუ და მურზაყანი. ამ უკანასკნელს ეყოლა ორი შვილი: ხატაყუნი და სორთმანი. სორთმანი უმემკვიდრეოდ დაიღუპა, ხოლო ხატაყუნს 3 ვაჟი ჰყავდა: ხანუხი, მურზაყანი და სორთმანი. კარგი ოთარის მეორე შვილს – როსტომხანს ჰყავდა ორი ვაჟი – ოთარი და ჯამსუხი. აქედან ოთარს ჰყავდა შვილი ისლამი და შვილიშვილები: აზნაური, გელახსანი, გელა და ჯამბულათი. როსტომ-

ხანის თაობათა მესამე რიგის წარმომადგენელს აზნაურს, ეყოლა ისლამი და ქერიმი, ხოლო როსტომხანის მეორე შვილს ჯანსულს, სამი შვილი: ოთარი, თათარყანი და მურზაყანი. პ. უსლარის სქემის მიხედვით, ოთარმა მოკლა საკუთარი ძმა თათარყანი [41].

კარგი ოთარის მესამე ვაჟის – თენგიზის შვილები და შვილთაშვილები ყველაზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდნენ. თენგიზს ჰყავდა შვილები, ციოყი, რომელიც წყაროების მიხედვით ცხოვრობდა XVIII ს. მეორე ნახევარში [22.6] და გარდაიცვალა 1812 წელს „უამიანობისას“ [43]. მას „ბაბა ციოყის“ სახელწოდებითაც ვხვდებით – მერე გელა და ჯამბულათი. „ბაბა ციოყს“ ჰყავდა ექვსი ვაჟი: თენგიზი, ჯამსუხი, გელა, ლევანი, ისლამი და თათარყანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული პირები, ჩვენი საკვლევი – XIX საუკუნის დამდეგის დადიშგელიანთა ის თაობაა, ერთმანეთში რომ ჰქონდათ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა პირველობისათვის. დასანანი კია, რომ ქართველი ერის ამ ღირსეულ შტოს ნაშიერთა უმრავლესობა, შესაძლებელია მათგან საუკეთესონი, ამ ყველაზე გამაუბედურებელი ბრძოლის მსხვერპლი ხდებოდნენ, რაც ისედაც არ აკლდა იმდროინდელ საქართველოს და, რა თქმა უნდა, სვანეთსაც, 1811-1812 წლებში მძევნარე შავი ჭირის გამო. „ბაბა ციოყის“ შვილებიდან ჯანსუხი მოკლეს. მას შემკვიდრე არც დარჩენია, ისლამიც უმემკვიდრეოდ დაიღუპა. უფროს ვაჟს – თენგიზს ჰყავდა: მოსოსტრი და მურზაყანი. მოსოსტრს ჰყავდა ციოყი (მიხეილი), რომელიც 1842 წ. რუსეთის სამხედრო სამსახურში დაიღუპა, ხოლო მურზაყანს – ლევანი. რომელიც 1833 წ. მოკლულ იქნა ისე, რომ მემკვიდრე არ დარჩენია. ციოყს ჰყავდა: კონსტატინე (მურზაყან) (1841-1857 წწ.) [44]. სვანეთის უკანასკნელი მთავარი; ალექსანდრე (ბექერბი), რომელიც რუსეთის სამხედრო ძალების გენერალ-მაიორი გახდა და შესანიშნავი მეცნიერ-მკვლევარიც იყო [45, 161-166]. ისლამი, თენგიზი და ციოყი [46, 4] კონსტანტინეს დახვერეთის დროს დარჩა ოთხი ვაჟი: მოსოსტრი 12 წლის, ოთარი – 9, ლევანი – 8 და მურზაყანი – 3 წლის, ქალიშვილები: კესარია, გიგოხანი, დოურხანი და მინახანი [47, 97]. პ. უსლარისა და რ. კანდელაკის სქემებში დასახელებულია ყველაზე უმცროსი შვილი – ეცერბი. საარქივო ცნობებში ეცერბის ნაცვლად დასახელებულია მურზაყანი [48, 97]. ვფიქრობთ, რომ ეცერბი მისი მოფერებითი ზედმეტი სახელი უნდა ყოფილიყო. კონსტანტინეს შვილები რუსეთის სხვადასხვა მხარეში გადაასახლეს კოლონიზატორებმა.

„ბაბა ციოყის“ შუათანა ვაჟს – ლევანს, რომელსაც მძლავრ მთავრად მოიხსენიებენ წყაროები [49], ჰყოლია ორი ვაჟი: თენგიზი და ქელეშბი, რომელთა შესახებ ცნობები არ შემონახულა, როგორც ჩანს, ისინიც ფეოდალური შინააშლილობის მსხვერპლნი გახდნენ.

„ბაბა ციოყის“ შვილს – თათარყანს (ნიკოლოზს) (1821-1850) [50] ჰყავდა სამი ვაჟი: ოთარი, ჯანსუხი და მოსოსტრი [51,4]. საარქივო ცნობით, მოსოსტრი 1846 წ. როგორც კავალერიის პოდპორუჩიკი, ქუთაისის გუბერნატორის გამოუძახებია სამხედრო ერთევიანი კურსების გასაველეად, სადაც ავად გამხდარა, რის გამოც გაუთავისუფლებიათ, მაგრამ სვანეთში დაბრუნებული მალე გარდაცვლილა [52,19]. ჯანსუხი 1855 წელს მოკლულ იქნა [53,14]. ჯანსუხს დარჩა ვაჟები: თენგიზი, მიხეილი და ალექსანდრე [54]. თენგიზი მამის დალუპვის დროს 18 წლის ყოფილა, რომელიც შემდეგში – კონსტანტინეს დახვრეტის შემდეგ (1857) სვანეთში დაწესებულ საბოქაულოს თანაშემწე გახდა. თენგიზს ჰყოლია ძმები: მიხეილი და ალექსანდრე და დები: სალდათხანი და მარიამი. სალდათხანი 1860 წ. გათხოვილა თავად ადინგერ ურუსბიევზე, რომლისაგანაც ჰყოლია ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი [13.139], ხოლო მარიამის შესახებ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. თათარყანის ვაჟს ოთარს ჰყოლია შვილები: ლევანი, რომელიც სვანეთის სამთავროს გაუქმების დროს 25 წლის ყოფილა, ბექირბი – 19 წლის, ციოყი – 14 წლის და ისლამი [55,304]. ისტორიაში ოთარის ოჯახის შემადგენლობა „ოთაროვების“ სახელწოდებით გვხვდება. საქმიანობაში იყო, რომ ოთარმა თათარყანის გარდაცვალების შემდეგ სამემკვიდრეოდ მიიღო ბეჩო. მისმა მემკვიდრეებმა მიიღეს მუსლიმანობა, რისთვისაც რუსეთის მთავრობამ მათ სვანეთიდან ყაბარდოში გადასახლება მიუსაჯა. ლევანი, როგორც ქრისტიანი, სვანეთში ცხოვრობდა, ხოლო ბექირბი, ციოყი, ოთარის ქალიშვილი დოურხანი – თავისი ორი შვილით – რომანოზითა და მურზაყანით გადასახლეს ბალყარეთში სოფ. ბასლონბაში [56,163].

ბექირბი მერე ბრუნდება ბეჩოში.

დიდი ოთარის მეორე ვაჟს – სორთმანს ჰყავდა: გელა, გელას – თენგიზი, თენგიზს – ნეცში. ნეცში მოკლეს, მაგრამ დარჩა ორი ვაჟი: ციოყი და თენგიზი. ეს უკანასკნელი 1853 წ. გარდაიცვალა [57,92].

XIX ს. დასასრულს დადიშგელიანთა შტოდან სვანეთში აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ: თენგიზი [5,92], ბექირბი, გელა, საკმაოდ ხნიერი ივანე ლევანის ძე [20.95] და სხვები [59,119-129].

სვანეთის საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ XV საუკუნემდე ზემო სვანეთში ყველგან ერთნაირი სურათი იყო. როგორც საერთოდ საქართველოს ბარსა და მთის ზოგიერთ რაიონში, ასევე სვანეთშიც ფეოდალური წოდება აზნაურით — „ვარგ“ — ით გამოიხატებოდა. არ უნდა იყოს გამორიცხული ისიც, რომ მათ შორის მცირე ნაწილი დიდებული აზნაურიც ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს XIV-XV ს. პირველ ნახევარში „დაწერილი ქვეყნისა სამაგრობელი სრულიად სვანეთისა კევისა“, სადაც ვკითხულობთ: „ქ. მთავარ მოწამისა სეტიისა თავდებობითა და შეამდგომლობითა და (ვ)წერეთ [და] დაედევით დაწერილი ესე სრულიად სვანეთისა კევისა ვუშქულსა და ლალვერსა შვა სამაგრობელი ჩვენ ერთობილმან კეკმან, ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან, უქვედაესმან, ყველამან...“ [3,15] როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტით „ერთობილი ქეუ“-ი გულისხმობს ტერიტორიას უშქულსა და ლალვერს შორის ე.ი. მთელს ზემო სვანეთს [60,111,115]. ამავე დროს მოიხსენიება „ვარგი“, როგორც გლეხისაგან განსხვავებული სოციალურად დაწინაურებული ფენის წარმომადგენელი. ვარგი აქ აზნაურის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახშიარი. ამაზე მიგვანიშნებს საეკლესიო მრავალგზის წარწერებში აზნაურთა მოხსენიება. მაგ., მკვლევარების ნ. ალადაშვილის, გ. ალიბეგაშვილის და ა. ვოლსკაიას აღნიშვნით, „სვანეთის საეკლესიო წარწერათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ წარწერაში“, რომელიც 1096 წლით თარიღდება, და რომელიც, კალის საზოგადოების სოფ. იფრალის მთავარანგელოზის ეკლესიას ეკუთვნის, ნათქვამია: „ქ. სახელითა ღმრთისაითა მოიხატა და შეიმკო წმინდაი ესე ეკლესიაი [სალოცველად აზნაურთა ამის კევისა, ყოველთა დიდთა და მცირეთა...“ [61,30]. ასევე, აღნიშნული ავტორები 1112 წლით ათარიღებენ კალის წმინდა კვირიკეს ეკლესიის წარწერას, სადაც ვკითხულობთ: „ქ. სახელითა ღმრთისა[ითა] [მო]იხატა და შეიმკო წმინდაი ესე ეკლესიაი... სადიდებლად და სალოცველად... ამის კევისა ა[ზნა]ურთა... და ყოველთა, რომელნი აშენებ[დ]ენ...“ [61,31]; იფარის საზოგადოების სოფ. ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიის 1130 წლის წარწერაში აზნაურები ასე მოიხსენიებიან: „[ქ.] სახელითა ღმრთისაითა მოიხატა და შეიმკო საყდარი ესე წმინდისა გიორგისი სადიდ[ებლად] და სალოცველად სულ[ისა] აზნაურთა [ამისა] კევისათა ყოველთა“ [61,32].

„აზნაურნი დიდი და მცირე“ – მოიხსენიება ამავე ხანის ქვემო სვანეთის სოფ. ჩუკულის ეკლესიის ხატის წარწერაში. აზნაურები მოიხსენიებიან ამავე რაიონის სოფლების: ჩიხარემის, ჯახუნდერის, ჩოლურის და სხვ. ეკლესიათა წარწერებში [62,9-12].

ზემოთ მოტანილი ფაქტები, ალბათ, იმის მაუწყებელია, რომ XIV-XV საუკუნეებში მთელს ზემო სვანეთში მოსახლეობის სოციალური დაყოფა აშკარა ფაქტი იყო.

XV საუკუნიდან სვანეთის ზოგიერთ ნაწილში თავადებიც გაჩნდნენ. მაგალითად, ბალსქვემო სვანეთში – დადიშგელიანები, ჩოლურის თემში – გარდაფხაძეები („გალფხანარ“) ლაშხეთში კი გელოვანები. სხვაგან კი ეკონომიკის ანუ მეურნეობის შეზღუდულობის პირობებში ვერც ერთი აზნაური ვერ გათავადდა. ასე ვთქვათ თავადური მეურნეობის წარმოშობის პირობები არ არსებობდა.

ამჟამად, ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ XIX ს-ში ბალსქვემო სვანეთში ბატონყმობის გაუქმებამდე ბატონობდნენ დადიშგელიანები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გარკვეული და დაზუსტებული თუ რის საფუძველზე აღმოცენდა ბატონყმობა სვანეთში. პროფ. გ. გასვიანი წერს: „ძნელია იმის დადგენა, თუ სვანეთში ბატონყმობა უპირატესად მიწის საღალოდ გაცემის, თუ ძალით დაქვემდებარების საფუძველზე აღმოცენდა. სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვქონდეს როგორც ერთ ისე მეორე გარემოებასთან. თუ ჩვენ ამ ორიდან ერთ-ერთ რომელიმეს გამოვრიცხავთ, მაშინ ძნელი გასაგები იქნება ბატონყმობის აღმოცენების მიზეზის დადგენა, რადგან მიწის მემამულური საკუთრება პოლიტიკური ბატონობის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო პოლიტიკური ბატონობა – მიწის საკუთრების გარეშე. საფიქრებელია, – განაგრძობს ავტორი, – რომ ბატონყმობის ჩასახვის დროს მიწის გარკვეული ნაწილი მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მასასაც ეკუთვნოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში მწარმოებელი მასის პოლიტიკურ დამორჩილებას, მისი მიწისადმი ხელის დადებაც მოჰყვა, საბოლოო ჯამში, მცირე მიწის მესაკუთრეც და მემამულის მიწაზე დასახლებულიც მემამულისადმი ერთნაირ-ეკონომიურ და პირად-ვალდებულებაში მოექცა“ [63, 116-117].

გ. ძიძიგურის აღნიშვნით, „შუასაუკუნეების სვანეთის საზოგადოების სოციალურ დიფერენციაციას დღეისათვის არავინ უარყოფს, მაგრამ კვლავ სადავო რჩება ძირითადი საკითხი: რა წარმოადგენდა საზოგადოების დაწინაურებული ფენის უპირატესობის საფუძველს – ძალა, ქონება თუ წო-

დება“ [64, 103]. ავტორი ასეთ პასუხს იძლევა, „მინც რა წარმოადგენდა „ახნაურთა“ უპირატესობის საფუძველს – ძალა, ქონება თუ წოდება? ვფიქრობ, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, როგორც საფუძველზე, მითითება საკმარისი არ უნდა იყოს. ალბათ გაცილებით სწორედ მოვიქცევით, „ახნაურთა“ უპირატესობის საფუძველად სამივე ფაქტორს თუ მივიჩნევთ“ [64, 104].

საკითხის ახსნა სცადეს შახოვსკიმ და ნემიროვიჩი-დანჩენკომ, რომელთა აზრით, „სევანეთში წოდებრივი სხვაობის წარმოშობა მოხდა საზოგადოებრივი განვითარების იმ წესით, როცა ძალა იკავებს სიმაღლესა და უპირატესობას... ძლიერი იძენს ზეგავლენას სუსტზე და თუ გარკვეულ დროის განმავლობაში ძლიერი ამ უფლებას არ დაკარგავს, მაშინ იგი იღებდა კანონის ძალას. აი ამის საფუძველზე წარმოიშვა დადიშკელიანთა უფლებები მიწებზე, მერე შენარჩუნება ამ უფლებებისა... და საბოლოოდ, არავის მისცეს უფლება მათ ტოლფასოვან ძალისთვის მიეღწია“ [65, №44] სწორედ ძალის პოზიციებიდან ახსნეს სევანეთში წოდებათა წარმოშობა მ. კოვალევსკიმ [18, 14-15], ვ. ტუპცოვმა [66, 75] ა. ლავერენტიევა, რომლის განცხადებით – „ძალის კანონი ერთადერთი კანონია, რომლითაც სევანეთის თავადები ბატონობენ თავიანთ ქვეშევრდომებზე“ [67, 213] ნ. დუბროვინმა [5, 90] დასახელებულ რუს ავტორთა და სხვა მათ თანამზრახველთა მიერ დადიშკელიანთა ძალის პოზიციებიდან გაბატონების ახსნა ჩვენთვის გასაგებია იმიტომ, რომ მათ დადიშკელიანები დაღესტნიდან მოვლენილად მიაჩნით და თვლიან, რომ XV საუკუნეში, როცა ეს უკანასკნელნი სევანეთში ჩამოდიან, მიწა უკვე კერძო საკუთრებაში იყო და ბატონობის მისაღწევად მხოლოდ უზეში ძალა იყო დარჩენილი, მაგრამ, მეორეს მხრივ, საფიქრებელია, რომ სევანეთში, საქართველოს ამ თავისებურ კუთხეში ფეოდალური ბატონობის მისაღწევად, იქნებოდნენ ეს გელოვანები, დადიშკელიანები, ჯაფარიძეები, გარდაფხაძეები თუ სხვა, შესაძლებელია მიწის, როგორც ფეოდალური ექსპლუატაციის მთავარ წყაროს მეტისმეტად სიმცირის წყალობით, პარალელურად საჭირო გამხდარიყო პოლიტიკური ძალაც, ქონებაც და წოდებაც, მაგრამ ჩვენ ამ საკითხზე ფართო მსჯელობის საშუალებას ამჯერად მოკლებული ვართ და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ამ საკითხს ნათელი მოეფინება.

გარკვეული მიზეზების გამო, დაზუსტებული სახით არც დადიშკელიანების საკუთრებაში შემავალი მიწის ფონდია ცნობილი, რადგან მათი მთელი მამულები იურიდიულად – წერილობით არავის გაუფორმებია და არა-

ვის გაუზომია. შედარებით უფრო ნათელი ცნობები მოგვეპოვება სოფ. ბეჩოში მათ კუთვნილ მიწებზე.

სვანეთში დადიშგელიანთა ბატონობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის მოხელეებმა გადაწყვიტეს დადიშგელიანთა გადასახლება სვანეთიდან. ბერძნ მფლობელ ოთარ დადიშგელიანისათვის ყაბარდოში გადასახლების შემთხვევაში უნდა მიეცათ იმ ზომის მიწის საფასური, რამდენსაც ის ფლობდა ბერძნში. აღმოჩნდა, რომ „ოთარის მამული შედგებოდა 300-მდე ღესეტიანა სახნავ-სათიბი მიწისაგან“ [68,3-11,23].

გვაქვს მეორე ცნობაც. ქუთაისის საგუბერნიო მმართველობისა და საგლეხო საგუბერნიო დაწესებულებების გაერთიანებულ საკრებულოს დაანგარიშებით 1893 წ. „ოთაროვების“ ყოფილი მამული ბერძნში შეადგენდა 7397 ღესეტიანა სხვადასხვა სავარგულ მიწის ნაკვეთს, რომლიდანაც მაშინ ბერძნში მცხოვრებ დადიშგელიანების ოთხ ოჯახს ეკუთვნოდა მხოლოდ 38 ღესეტიანა სახნავ-სათიბი და ტყე-სამოვრები [20,96-97].

ეცერის სადადიშგელიანო ნაწილში შემავალ სხვა სოფლებში დადიშგელიანთა მიწებზე მცირე და ისიც არაზუსტი ცნობები მოგვეპოვება. ფსოლოლის მონაცემებით – „ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეცერისა და ცხუმარის მიწათმფლობელმა თ. დადიშგელიანმა გლეხთა ოჯახებს, რომელთა შემადგენლობა უდრიდა 164 სულ მამაკაცს, გადასცა 709,4 ქვევა მიწა ე.ი. 290,6 ჰა, რამაც შეადგინა დაახლოებით 2,2 ჰა ანუ 4 ქვევა კომლზე“ [6,15]. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, არ შემოგვენახა რაიმე მონაცემები მიწის იმ გამოსადეგი ნაწილის შესახებ, რომელიც დაიტოვა თავისთვის მებატონემ. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ 1914 წ. მხოლოდ ეცერის საზოგადოებაში გლეხებმა დაამუშავეს თავიანთი და დადიშგელიანების საჯაროდ სახნავი მიწები 438,1 ჰა-ს რაოდენობით, სათიბ და სხვა სავარგული მიწების ჩათვლელად, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბატონს თავისთვის დაუტოვებია ნახევარზე მეტი, ვიდრე მან გლეხებს გადასცა 1871 წელს“ [6,15].


მართალია, ზემოთ მოტანილი ცნობები ეხება XIX ს. მეორე ნახევარს, მაგრამ ისინი გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნიან დადიშგელიანთა მიწებზე სოფ. ბერძნში, ეცერსა და ცხუმარში. შედარებით კიდევ უფრო მიახლოებითი ცნობებია შემორჩენილი ფარის სადადიშგელიანო ნაწილში არსებულ მამულების რაოდენობაზე. სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებში დასახელებულია მხოლოდ სოფლების ან დამოკიდებულ გლეხთა რიცხობრივი მონაცემები და არაფერია ნათქვამი მიწების ზომებზე. მაგ,

XIX ს-ის პირველი ნახევრის სვანეთის სამთავროში მცხოვრები მოსახლეობისა და დადიშგელიანთა კუთვნილ სამფლობელო მიწებზე ლობანოვროსტოვსკი წერდა: „დაკავებული ფართობის მიხედვით თავადი კონსტანტინეს მამული გაცილებით მეტია ნიკოლოზის (თათარყანის ა.გ.) მამულზე, მაგრამ კონსტანტინეს მამული ტვიბის ხეობიდან, ლენ კერის ერთ-ერთ სოფლის გარდა, მთლად დაუსახლებელია. კონსტანტინეს მამულს განეკუთვნება 16 სოფელი 245 კომლით, ხოლო ნიკოლოზისა – 18 სოფელი 270 კომლით. სულ სვანეთის სამთავროში 515 კომლია“ [69,11]. არსებობს მსგავსი სხვა ცნობებიც, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სვანეთის სამთავროში მემამულეთა პირად კუთვნილებაში მყოფი მიწების სიდიდისა და ყმათა რაოდენობის ზუსტად დადგენა არ ხერხდება, თუმცა არსებული მცირედი ფაქტორებითაც შეიძლება ითქვას, რომ მთავრებს მთლიანი რაოდენობის უმეტესი ნაწილი ჰქონდათ მისაკუთრებული და ამა თუ იმ ფორმით მოსახლეობის ფართო ფეოდალურ ექსპლუატაციას ეწეოდნენ.

დაუჯერებლად მრავალგვაროვანი, უძძიმესი და თავისებურებებით სავსე იყო, საბატონო სვანეთის გლეხობის ბეგარა-ვალდებულებანი.

საარქივო ცნობების თანახმად, საბატონო სვანეთის სოფ. ბეროში თითოეული გლეხის კომლი ვალდებული იყო მებატონის კუთვნილ მეურნეობაში თესვის დროს სამი დღის ვადით გამოეყვანა ერთი კაცი უღელი ხარით [70,195], ხვნის დროს 4 დღით ერთი კაცი უღელი ხარით, მკის დროს 5 დღით ერთი კაცი უღელი ხარით, პურის აღების დროს 10 დღით თითო კაცი უღელი ხარით [70,14]; ლეწვის დროს 6-10 დღე ერთი კაცი უღელი ხარით, თივის ან ძნის ზიდვის დროს 2-3 დღე უღელი ხარით თითო კაცი [70,195]. გლეხს უსასყიდლოდ უნდა დაემზადებინა საღობე სარი და წკნელი, რომლის რაოდენობა 6 საუენამდე აღწევდა [70,87]. გლეხებს უნდა შემოეღობათ ყანები, გაენოყიერებინათ ნიადაგი. სხვათა შორის ნაკელის გატანა, როგორც ეს თავის დროზე გვექნა აღნიშნული, საბატონო სვანეთში ერთ უღელი ხარით 15-30 დღეს გრძელდებოდა [71,37] ნაკელის გატანა ამდენს ხანს გრძელდებოდა რაჭა-ლეჩხუმშიც [72,52].

გლეხები ვალდებული იყვნენ აღებული მოსავალი დაებინავებინათ, ხორბლეული გაესუფთავებინათ და დაეფქვათ [23,46]. გლეხებისათვის ერთ-ერთ უძძიმეს სამუშაოს წარმოადგენდა მებატონის მომარაგება შეშით, რადგან დადიშგელიანების ოჯახში, სადაც უამრავი სტუმარი და მომსვლელი წამსვლელი იყო, ცეცხლი სულ ენთო. ხანგრძლივი ზამთარი და ყოველივე ეს, შეშის დიდ მარაგს მოითხოვდა. სვანეთის ამ თავისებურებიდან გამომ-



დადიშგელიანების ციხე-კოშკი ეცერში.

დინარე, გლეხები მებატონის მიერ იგზავნებოდნენ ტყეში ადრე გაზაფხულზე, სადაც ამზადებდნენ საშუშე ტყეს და გახზობის მერე „ნოემბრისათვის I საყენი რაოდენობის უნდა მიეტანათ თითოეულ კომლს“ [70,195]. ერთ-ერთ უმძიმეს ბეგარად იყო ქცეული გლეხების მონაწილეობა დადიშგელიანთა მრავალსახის მშენებლობის პროცესში. ეგ. გაბლიანი აღნიშნავს: „როცა ბატონი სახლის აშენებას მოისურვებდა ის იწვევდა „გელდამს“ ანუ მთელ ხალხს ქალიან-კაციან-ხარიანად და ერთ დღეს მოატანინებდა მთელ საჭირო მასალას“ [73,124]; საქმე იმაში იყო, რომ გლეხობას „სამშენებლო მასალა უნდა მოეტანა უსასყიდლოდ“ [70,13]; მებეგრე გლეხებს გაჰყავდათ არხები მებატონის სათიბების და საჭიროების შემთხვევაში ფეტვის მარცვლეულის მოსარწყავად, უვლიდნენ და პატრონობდნენ ამ არხებს. მიწის სიმცირის გამო მებატონის სათიბების მოვლა, გაწმენდა და დასუფთავება, სახნავის დაცვა, გლეხს ავალდებულებდა მუდმივად თვალყური ედევნებინა შესაბამის სამუშაოებისათვის. რუსეთის მოხელეების აღნიშვნით, ყანების შემოღობვა მაღალ დონეზე იდგა სვანეთში. მებატონეები კი მოითხოვდნენ მებეგრე გლეხებს მიეტანათ თითოეულ კომლიდან რამდენიმე საყენი სარი [70,198]. ხენა-თესვის პროცესში მებატონეებს შერჩეული ჰყავდათ

შინა ყმები, რომელთაგან ზოგს ევალებოდა ნაკელის გატანის („მგჰწალი“), ზოგს მთესავის („მგლაში“), ზოგს მხენელის („მგჰნი“) ზოგს ხარ-გუთნის გამზადების ორგანიზაცია. ასევე იყო მოსავლის დაბინავების დროსაც. ასეთ ყმებს „საპატიო“ ყმებს უწოდებდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დადიშგელიანებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯოგები ჰყავდათ. როგორც მიწათმოქმედებაში ასევე მეცხოველეობაში რიცხვმრავალი ყმა გლეხობა იყო დასაქმებული. მათ, მწყემსთა და მომვლელთა სხვადასხვა კატეგორია ჰყავდათ: არა მეწველ საქონლის („დუმეყ“) მწყემსს „დუმეყი მელდველ“ ეწოდებოდა, რომელიც როგორც ბარში ისე მთაზე არამეწველ საქონელს მწყემსავდა. საერთო მწყემსებს („მეჯგეგ“) მეჯოგე ეწოდებოდათ, მეხბორეს კი – „მუნარი“ და სხვ. [74] მოტანილი თივის დამბინავებებსა და ზამთრის დროს საქონლის მკეებავენს – „მგნი“.

მებეგრე გლეხები ვალდებული იყვნენ „თავადის ორი ძროხა ან ხარი, ან ცხენი თუ ჯორი, გამოეკვება საკუთარი თივით ხანგრძლივი ზამთრის პირობებში. როცა მდიდარი გლეხი სხვა გლეხს გაატანდა გამოსაზამთრებლად ძროხას, ეს სხვა, ნამატს გამოზამთრების საფასურში იტოვებდა, მებატონეები კი ნამატიანად იბრუნებდნენ უკან. თუ გლეხს პირუტყვი მოუკვდებოდა სამაგიეროს იხდიდა [18,19]. თუ გლეხი ვერ ასრულებდა მებატონის პირუტყვის გამოკვებას, მაშინ მოჰქონდა უსასყიდლოდ 4 ფუთი ხორბალი [73,194] ან წინასწარ 1 დიდი თივის ზვინი [73,23].

სოფ. ბეროს მებეგრე გლეხები ვალდებული იყვნენ „ყოველ მომდევნო წელს თითოეულ კომლიდან მებატონესათვის მიეყვანათ ძროხა დისაკლავად“ [75,13], ხოლო საბატონო სვანეთის სხვა სოფლებიდან კი ერთი ძროხა სამ წელიწადში [76,194].

სოფ. დოლისა და ქართვანის მებეგრე გლეხები მებატონეს მოსამსახურედ აძლევდნენ 1 კაცს, თუ ეს ვინმესათვის შეუძლებელი იყო, მაშინ იხდიდნენ ორ ძროხას ან მის საფასურს [76,1]; წესად იყო ქცეული, რომ „კარგი ხარი, მეწველი ძროხა ან ცხვარი ვინმეს სახლში თუ ბატონს მოეწონებოდა, ბატონს მიჰყავდა და უარის თქმა გლეხს არ შეეძლო“ [73, 124].

მემამულის მიერ ნაყიდი პურის მოზიდვა გლეხთა მოვალეობას შეადგენდა [30, 87]. რ. ხარაძისა და ალ. რობაქიძის აღნიშვნით – „წისქვილების დიდი ნაწილი დადემშქელიანების საკუთრებას შეადგენდა და გადასახადს მათ წელიწადში ერთ მანეთს უხდიდნენ [77,109]. მთავარს მსახურეული გლეხობა თან ახლდა ყოველნაირ მგზავრობის დროს. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მივაგენით ერთ საინტერესო ცნო-

ბას, რომ 1855 წ. ჯანსუხ დადიშგელიანის მკვლელობის შემდეგ სვანეთი-დან გადახვეწილ მის მეუღლეს თან ახლდა „ოთხმოცზე მეტი სული მსახური“ [22, 35], ხოლო 1858 წ. გენ. გაგარინის მკვლელობამდე სამი დღით ადრე, მთავარ კონსტანტინეს მეუღლე შვილებითა და 40 სვანით ჩავიდა ქუთაისში [78, №27].

მთავრის დაძახებისთანავე გლეხობა ვალდებული იყო გამოცხადებულყო სალაშქროდ. ჩვეულებრივ კომლიდან მოჰყავდათ ერთი მამაკაცი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი [19, 194]. ამ პროცესს სვანეთში „კენჭობა“ ეწოდებოდა. ომის შემთხვევაში საბატონო სვანეთის ქალები ვალდებული იყვნენ საომრად მიმავალ მამაკაცებისათვის შეეკერათ და მოექსოვათ სანათაღო ტანსაცმელი და მოეზადებინათ გამძლე სპეც-საჭმელი („ლევიზ“).

ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, სვანეთშიც საგლეხო ვალდებულებანი წერილობით (ადათ-წესის ხასიათს ატარებდა) არ იყო განსაზღვრული, ამას გარდა, ზემო სვანეთი და, კერძოდ, ბალსქვემო სვანეთი, იმყოფებოდა სახელისუფლებო კონტროლს გარეშე, დადიშგელიანები მიშვებული იყვნენ თავიანთ ნებაზე და ლაგამამოუდებლად ძარცვავდნენ ყმა გლეხობას. ესეც ამ რეგიონის ბატონყმობის თავისებურებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს. ამ მხრივ იგი განსხვავდებოდა დას. საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებისაგან. მაგ., დადიშგელიანებმა დააწესეს უცნაური გამოსაღები „ლამშვიარ“ – რომელიც ავალდებულებდა მებეგრე გლეხებს დადიშგელიანების სტუმართა გასამასპინძებელი პურ-მარილის მოტანას. თვითმზილველი სტოიანოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, მებატონეთა სახლი ყოველდღიურად საესე იყო სტუმრებით, როგორც ადგილობრივ თემებიდან ისე ლეჩხუმიდან, ყარაჩაიდან, ოსეთიდან, სამეგრელოსა და აფხაზეთიდან [79, 342-343]. გლეხები ამის პარალელურად ვალდებულად ითვლებოდნენ, დახმარება გაეწიათ თავიანთი ბატონისათვის პირადი ვალის გადახდაში. ესეც ვერ იკმარეს და გლეხობა ჩართული ჰყავდათ „წორის“ (სისხლის საფასურის) ამ ყველაზე მძიმე და ავის მომტან გადასახადში. რამდენადაც მებატონე დადიშგელიანებს შორის შეუწყვეტლივ წარმოებდა სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა, ხშირი იყო მკვლელობის ფაქტები, ხშირი იყო „წორის“ გადახდაც. მ. კოვალევსკი შენიშნავდა – „Должен был князь уплатить цор или плату за кровь и или у него не хватало к тому средств, крестьяне складывались между собою и пополняли недостачу“ [18, 19-20]. ასეთ ვალდებულებას მხოლოდ სვანი გლეხობა ასრულებდა.

მებატონის „წორის“ გადახდა ხშირად იწვევდა ყმათა უმოწყალო მსხვერპლს. მაგ., 1843 წ. ეცერის თავადი თ. დადიშგელიანი თავისი შვილების ჯანსუხის და ოთარის თანხლებით თავს დაესხა ფარის სათავადო სახლს, რომელიც კონსტანტინეს ეკუთვნოდა, რასაც 17 ყმა შეეწირა [80,41], ხოლო 1851 წ. როდესაც მოხდა მათი შერიგება, კონსტანტინეს 1843 წელს მიყენებულ ზარალში სხვა საფასურთან ერთად გადაუხადეს 29 ყმა გლეხი [81,12]. ყმათა მდგომარეობა კი გაზეთმა „კავკაზმა“ ასე გადმოსცა – „За прежние же убытки и обиды расплатились они (დადიშგელიანები, ა.გ.) ходячей сванетской монетою — крестьянами“ [82, №2]. ასეთი შემთხვევები საბატონო სვანეთში საკმაოდ ხშირი იყო.

მებევრე გლეხი იხდიდა სპეცგადასახადს – „სამასპინძლოს“ – 1 წელიწადში 4 ოჯახს ევალებოდა 7 მან. ღირებულების სადილის მოწყობა და თავადისათვის 10 მანეთის საჩუქრის მირთმევა [75,13]. თუ გლეხი რაიმე ქეიფს იხდიდა, ის ვალდებული იყო დაეპატიჟა ბატონი და „გამასპინძლებოდა მის ამაღასაც“ [18, 19]. თუ ბატონის ქალი თვით სვანეთში გათხოვდებოდა, გლეხებს უნდა დაესაჩუქრებინათ ან 1 ცხვარით ან მისი საფასური ნატურით [18,19]. თუ ქალს შორს გაათხოვებდა ბატონი თან აყოლებდა საჩუქრად თავის ყმებს და ზოგჯერ ყმის მთელ ოჯახსაც. მაგ., 1860 წ. „თენგიზ დადეშქელიანმა მიათხოვა თავისი და სალდათხანი ყარაჩაელ თავადს აღინგერ ურუსბიევს და მისცა მზითვად რამდენიმე ოჯახი“ [73,122].

დადიშგელიანები რელიგიურ, სამელოვიარო თუ სამხიარულო დღესასწაულებისათვის იღებდნენ გადასახადებს. ი. ივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის ცნობით, „ძღვენის სახით ყოველ ახალ წელს მებევრეები მთავარს მიართმევდნენ 20 მანეთის საფასურ საჩუქარს“ [83,607]. ყოველი წლის აგვისტოში უნდა მიეტანათ 50 კაპ. ღირებულების არაყი [20,87] წესად ითვლებოდა რომ „არაყის ნათავედი ანუ წინწანაქარი („ნალთხუშ“, ა.გ.) მთავრისა იყო“ [73,124]. „ბეჩოში ვერც ერთი კომლი ვერ გადაიხდიდა ქელებს ისე, თუ მთავარს არ მოუტანდა 60 პურს, 6-7 ზეკა [84] არაყს [84,19]. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, მცირე მიწიან და ნაკლებ მოსავლიან სვანეთში, სადაც პურეულის ნაკლებობას ხალხი საქართველოს ბარის რაიონებიდან შემოზიდვით ივსებდა, 60 პური დიდი გადასახადი იყო, რადგან ეს არ იყო ჩვეულებრივი პური, არამედ თითოეული პურის წონა უდრიდა 12 გირვანქას [85,14].

მიცვალებულის დაკრძალვისას, რაც სვანეთში არსებული დამამძიმებელი ტრადიციის გამო, ეკონომიკურად აჩანაგებდა მოსახლეობას, გლეხს

მთავრისთვის უნდა მიერთშია 190 ე.წ. „სამარხი“ გამომცხვარი პური და 6 დოქი არაყი; ქელების გადახდისას, შენიშნავს დ. დობროვოსლკი, – ანუ საღეთოდ ხარის დაკვლისას, საუკეთესო ნაჭერი უნდა გაეგზავნათ მთავრისთვის [86,206]. ეს ნაჭერი უნდა ყოფილიყო არანაკლები მთლიანი ხორცის მეოთხედისა და 6 ცალი პური, 6 დოქი არაყით [20,87].

დადიშგელიანები იღებდნენ „სანათლიო“ გამოსაღებს 1 ჯამი კანაფის მარცვლის ოდენობით [20,87].

ყმა გლებთა უბედურ მდგომარეობას დადიშგელიანები თავიანთ გასამდიდრებლად იყენებდნენ. თუ გლები დაქვრივდებოდა იხდიდა „საქვრივოს“ 60 მანეთს ან მის საფასურს ნატურით, თუ ქალი გათხოვდებოდა გლების ოჯახიდან ან ცოლს მოიყვანდა, ამისთვისაც იხდიდა 120 მანეთს [69,11], [70,195].

დ. დობროვოსლკის შენიშვნით, „ქალის მოტაცებისათვის მთავარი ისეთ ჯარიმას ახდევინებდა, რომ მომტაცებლებს ამისი სურვილი ეკარგებოდათ“ [86,206]. მისივე აზრით, „დადიშგელიანებს ჰქონდათ უცნაური გადასახადი. თუ ქვრივი დანიშნულ დროში არ თხოვდება, მაშინ მთავარს უხდის 10 ძროხას ან მის საფასურს, თითო ძროხაზე 6 მანეთის რაოდენობით, თუ გაჰყვა ქმარს მაშინ იხდის ისევ მფლობელის სასარგებლოდ რამდენიმე ძროხას“ [86,206-207]. უცნაური იყო ისიც რომ „თუ ოჯახში ძმები გაიყრებოდნენ მათაც უნდა გადაეხადათ მფლობელის სასარგებლოდ 6 მანეთის ღირებულება“ [87, №44]; [70, 195]. საერთოდ, ვერც ერთი უნებართვო ქორწინებითი ქმედება ვერ დარჩებოდა ჯარიმის გარეშე.

გლებობა სახლის მშენებლობის დროს ერთ საკირეში იხდიდა 30 მანეთს, ხის სახლის ან წისქვილის აშენებისას – 10 მანეთს. სხვათაშორის ყურნალ „კვალის“ ერთ-ერთ ნომრის ცნობით, ხის სახლების მშენებლობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო გაძვირებულა [88, №40].

სუანეთის სამთავროში არსებობდა მთავრის სასარგებლოდ გადასახდელ ჯარიმათა მთელი სისტემა.

მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე მთავარს უხდიდა ჯარიმას 120 მანეთთან შესაბამის საფასურს ნატურით, მსუბუქად დაჭრისათვის – 60 მან; მძიმედ დაჭრისათვის – 100 მან; ქურდობისათვის 200 მან [16,194-199]. ჯოხით ცემისათვის – 4 ძროხას, ხმლით დაჭრისათვის – 10 ძროხას და სხვ [41,214].

ბ. კოვალევსკი, ვ. ივანიუკოვი და სხვები ბეჩოს საზოგადოებაში მკვლელობისათვის ჯარიმას 300 მანეთის საფასურს ასახელებენ, მაგრამ სხვა

წყაროებითა და ადგილზე შეკრებილი ცნობებით დაკრწმუნდით, რომ აღნიშნული ჯარიმა არც ბეჩოში აღებამატებოდა 120 მანეთს. მთავარი, ჯარიმას იღებდა უბრალო „წაკინკლავებისათვის“ („ლიბანძლიელ“), „მუშტი-კრივის“ ანუ „სამჯილო“ და ბრიყვეული საქციელისთვისაც.

ჯარიმათა რიგში ყველაზე არაადამიანური ჯარიმა იყო უმემკვიდრეოდ გადაშენებული ოჯახის ქონების მისაკუთრება მთავრის მიერ და ამით სიცოცხლეში ყმად მსახური პირის, სიკვდილის შემდეგ სულ აღგვა პირისაგან მიწისა.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებიდან ჩანს, რომ სვანეთის სამთავროში ყმა გლეხთა მდგომარეობა უმძიმესი იყო. კლასიკური ბატონობის ქვეყნის – რუსეთის მოხელეებიც კი დადიშგელიანთა ბატონობას მიიჩნევდნენ არაადამიანურ, საშინელ მმართველობად. ერთ-ერთ საარქივო ცნობაში ვკითხულობთ: „შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს უფრო საშინელი და შეუბრალებელი მმართველობა ვიდრე სვანი მთავრებისაა. მე ვფიქრობ, რომ შეუძლებელია ინახოს სადმე ხალხი ამდენად უბედური და გაძარცვული.

დადიშგელიანის გლეხი ამ ქვეყნად ვერ მონახავს ისეთ ნივთს, რომელსაც თავისას უწოდებს: ვერც ლუკმას, ნაშოვნს უმადურ მიწაზე წამებული შრომით, ვერც საკუთარ ოჯახს, ვერც მამულს, ვერც სიცოცხლეს...

მოხდება რაიმე სამხიარულო ან სამწუხარო საქმე თავადის სახლში, ძარცვავენ გლეხს. დაიბადება, იქორწინებს თუ მოკვდება ვინმე თავადის სახლში, კვლავ ძარცვავენ... მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ გლეხი ისეა გაღარიბებული, რომ მას აღარაფერი დარჩა გასაძარცვი“ [16,11].

ლეგენდის მიხედვით [89,61-79], დადიშგელიანები ბატონობას იწყებენ წმინდა გიორგის („ჯგგრაგ“) სურვილითა და ნებართვით [90,2,2V]. ეს იდეოლოგია კარგად მოერგო ქრისტიანულ სვანეთს, სადაც წმინდა გიორგი განსაკუთრებულია.

თავადნი, აქედან გამომდინარე, მოითხოვდნენ მოსახლეობისაგან, რომ სადაც კი მათ დაინახავდნენ თავყვანი ეცათ ქუდის მოხდით, თავადთა ეზო-კარის ახლომახლოც კი, ამხედრებულს არ გაეველოთ, საუბრის დროს დაეფიცათ მთავრის თვალები და სხვ.

გათამამებულ მთავართა მხრიდან ადგილი ჰქონდა პირველი ღამის უფლების მოპოვების მცდელობასაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს აღუწერელი უწყესობა ხალხის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა, რაც კარგადაა ჩანს სვანურ პოეზიაში. ერთ-ერთ ლექსში „ვიცბილ-მაცბილ“ ვკითხულობთ:

„საბრალ დოლარე ლეჟრი დოლარე
ტეფნამსადუ ალ ეცარალე
ამჟი ეცრალს დეშ ლოგჭენიდ
ბობშარს ჰაკენარშუ გველშგაღდეხ
ლახხვას გვიშგევი ხელყურენეხ“.

„საბრალო დოლელებო, საცოდავო დოლელებო,
პურის ქერქი ეცერლები,
ასე ეცერლებს ვერ გაუძლებთ,
ბაეშვებს აკენებით გვართმევენ,
ჩვენ ცოლებთან ისინი წებებან“ [91,196,199].

მეორე ლექსი „ცანაშ დაშდულდ“ („ცანას დათუნა“), პროფ. გ. გასვიანის სამართლიანი შენიშვნით, ასევე გადმოგვცემს „მებატონე დადიშქელიანების მიერ პირველი ღამის მცდელობის წინააღმდეგ ბრძოლას“. გამოთქმულია საჩივარი, რომ „კარგი ქალიშვილები მათ უწევანან“... რომ „ცოლები ჩვენ ჩვენთვის გვინდა“ და სხვ [92, 52-53].

ეცერელ მებატონეთა, კერძოდ, თათარყანის უზნეობა არა ერთი საარქივო დოკუმენტშია აღნიშნული. ერთ-ერთ მათგანში პირდაპირაა მინიშნებული, რომ მას „უკანონო შვილები ბევრი ჰყავსო“ [93,74]. იგი გამორჩევით არის დახასიათებული, როგორც სასტიკი დესპოტი: მ. კოვალევსკი მას ასე ახასიათებდა: „რაც შეეხება თათარყან დადიშქელიანს, არა მგონია აღმოსავლეთის რომელიმე დესპოტი თუ სარგებლობდა XIX ს-ში ისეთი განუსაზღვრელი უფლებებით, როგორითაც ის სარგებლობდა თავის ეცერის მამულში“ [18,87].

დესპოტიზმი და უზნეობა დას. საქართველოს მთიანეთის მებატონეთათვის საერთო დამახასიათებელი თვისება იყო. ასე უჩიოდა მებატონე არეშიძეებს რაჭის მოსახლეობაც, რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი [94, 30].

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რატომღაც დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება მებატონე დადიშქელიანების მიერ მოსახლეობის სოციალური ჩაგვრის ისეთი ფორმისათვის, როგორიც იყო „ურჩ“ გლეხთა და აღზევებად აზნაურთა დასჯა გვარის გამოცვლის შეურაცმყოფელი წესით. ეს იმდენად მტკივნეული საკითხია, რომ თანამედროვე ადგილობრივმა პრესამ საგანგებო ყურადღება დაუთმო მას.

მკვლევარებმა: ვ. ფილფანმა, ჯ. ცხვარვაშელმა, ს. ჭკადუამ და სხვ. თანთან სტატიებში ნათლად გამოამჟღავნეს დადიშქელიანთა ბოროტული საქმიანობა ამ სფეროშიც. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ვ. ფილფანისა

და ჯ. ცხვარვაშელის აღნიშვნით, ეცერში მცხოვრებ იოსელიანებს გვარი გამოუცვალეს და მისცეს მურღვლიანების გვარი. ავტორთა აღნიშვნით, „საქმე იქამდე მივიდა რომ ამ გვარის (იოსელიანების, ა.გ.) წარმომადგენლები საეკლესიო წიგნებში საბატონო ყმებად გაატარებინეს; ფარში მცხოვრებ წულუკიძეებს, რომლებიც აზნაურობდნენ, გვარი წულუკიანად გადაუქეთეს და ამგვარად ჩამოაცილეს აზნაურის პრივილეგიებს [95, №95]. დღემდე გრძელდება დავა დადიშგელიანებსა და აფრასიძეებს შორის იგივე საკითხზე [96]. ყველასთვის ცნობილია, რომ დადიშგელიანები ამ მხრივ საკუთარ თანამოგვარეებსაც არ ინდობდნენ. გაძლიერებულნი სუსტებს სვანეთიდან ხალისით მიერეკობოდნენ. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, გიორგი დადიშგელიანის წინაპრები სვანეთიდან გაუძევებიათ თანამოგვარეებს და ისინი რაჭაში – ამბროლაურში დასახლებულან. გვარი დადიშქელიანი კი დათაშიძედ გადაუქეთებიათ [97, №1069].

1855 წ. თავადი ჯანსუხ დადიშგელიანის მკვლევლობაში, მისი ბიძაშვილების ისლამისა და თენგიზის ხელშეწყობისათვის, ეცერის თავადებმა აითვალისწინეს სოფ. ლახამულის გლეხობა და ხელი მოკიდეს მათ ყოველნაირ შევიწროებასა და ჩაგვრას. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეუტანია ჯანსუხის შვილს თენგიზ დადიშგელიანს, რომელიც თან ახლდა მამას ლახამულაში მისი მკვლევლობის ჟამს, ლახამულელთა უხუცესების გადმოცემით, რაც დასტურდება სამეცნიერო პუბლიკაციებშიც, მას სოფ. ლახამულის სხვადასხვა გვარის: დავითიანების, საბანიძეების, ჭკადუების, კვანჭიანების, ქობალიების, მიშხელანების [12, 60-62], ზამაძეების, კვირიკაძეების, გელოვანების, ზოიძეების, სუმაძეების, მოსიძეების და სხვადასხვა საძმოს: ბეჩერაშვილების, ნუაშვილების, მოსეშვილების, გიოშვილების, ხაიდაშვილების, ბეტაშვილების, დუდიშვილების, ყოჯაშვილების, ხერგიანშვილების, ძივაშვილების, გოჩუშვილების, სავასტანშვილების, სუმაშვილების, მაბეშვილების, თობეშვილების, თუთაშვილების, დაკეშვილების, კეტიტშვილების, შეყმანშვილების და სხვათა – ერთი სიტყვით, ძირითადად, რამდენი გვარიც არსებობდა იმდენი საძმოს წარმომადგენლობების აბსოლუტურ ოჯახთა უმრავლესბისათვის ერთი გვარი – ჭკადუა – გაუტარებია.

თვითმხილველთა გადმოცემით, თავად თ. დადიშგელიანის, როგორც შურისძიების ატმოსფეროში გაზრდილი პიროვნების, საერთო დამახასიათებელი თვისება ყოფილა – „ფარული აზრი“, „შურისძიება“ (ა. სტოიანოვი), „ცბიერება“ და „ნიჭიერება“ (ბ. ნიჟარაძე). ლახამულელთა ზიზღს

მას ისიც უმატებდა, რომ ლახამულაში მამის მკვლელობის პროცესში მიყენებულ ჭრილობისაგან ცალი მკლავი მოკლე ჰქონდა და აქედან გამომდინარე ამ თემის დაჩაგვრა მის სასიცოცხლო ამოცანად ქცეულა. მის მიერ სხვადასხვა გვარის ერთ გვარში მოქცევა-გატარებას ასე გადმოგვცემს გაზეთი „ახალი სვანეთი“: „იმ პერიოდში, როცა ლახამულელებსა და ეცერის დადემქელელებს შორის უმკაცრესადაა გაღვივებული წინააღმდეგობა, სვანეთში ქუთაისიდან მოდის სამღვდელოების წარმომადგენელი გვარების აღსაწერად. გვარების აღმწერი ეცერიდან ლახამულაში არ გაუშვიათ. სწორედ უკარნახეს ლახამულელთა სახელი, მამის სახელი, გვარი კი ყველას ერთი – ჭკადუა მიუწერეს“ [95,95]. მიზანი კი ის იყო რომ ამ არასვანური წარმოშობის გვარის მქონე თემთან სხვა თემებს ნაკლები კავშირ-ურთიერთობა ექნებოდათ. ამასთან ერთად, იყო მეორე გარემოება. სოფ. ლახამულა თავისი მოხერხებული მდებარეობისა და მიწის მეტისმეტად სიმცირის გამო აქტიური იყო ვაჭრობაში. ვაჭრობას მამინ სვანეთში მომსვლელი ებრაელები, სვანურად „ურიები“ ეწოდნენ. ვაჭრობის მოყვარე ლახამულელ თემებს ზეპირსიტყვიერებაში ხანდახან „ურიებსაც“ წამოსძახებდნენ. ამის გამო, სრულიად უსაფუძვლოდ გაჩნდა წარმოდგენა თითქოს ლახამულა დასახლებული იყო ებრაული წარმოშობის ხალხით. ქართველი ერის გაქრობის მსურველმა რუსმა კოლონიზატორ-მოხელეებმა მეპატონეთა შეთხზული ეს უსაფუძვლო რამ აიტაცეს და სვანეთზე გამოცემულ წიგნებში ლახამულელები ებრაელებით დასახლებულ თემდაც კი მოიხსენიეს.

ზემოთ დასახელებული სოფ. ლახამულის ისტორიულ გვარებიდან, რომელიმე გვარის არაქართულ წარმოშობის მტკიცება, მათზე სხვა ეთნიკური კუთვნილების მიწერა, სხვა რომ არა, უბრალოდ გულუბრყვილობაა. ჭკადუა ხომ მეგრულად მჭვდელია. ის წარმომდგარია ხელოსნობიდან. იგი ქართულ-მეგრული გვარია და ცნობილია ისტორიაში, როგორც მჭვდელი და ქრისტიანული ეკლესიის მსახური [98]. „თვით სვანეთში XIX ს. მეორე ნახევარში სოფ. ეცერის თემის-ულვალის წმინდა გიორგის ეკლესიის მეკლიტე („მეკილ“) და მლოცველი („მემზირ“) ლახამულელი მღვდელი ფგრელა ჭკადუა ყოფილა [98,31-34] თვით „სოფ. ლახამულაში წმინდა გიორგის ეკლესიის მსახურნი და მეპატრონენი ამ გვარის წარმომადგენლები ყოფილან“ [99,54]. აღნიშნული თემის თითოეული მცხოვრები დღესაც მწარედ განიცდის მათი ისტორიული გვარების ბატონყმური ძალადობით შეცვლას. სწორად შენიშნა ეთნოგრაფმა ზ. შანშიევმა, რომ „Происхождение

этото «остракизма» лахамульцы приписывают наветам княжеского рода Дадешкелиани“ [100,143].

ეს „საგვარეულო“ (ჭკადუები, ა. გ.) 3886 სულს ითვლის (ზუგდიდი – 1059, მესტია – 973, თბილისი – 470) და სხვა იგი შესულია საქართველოს 25000-ზე მეტი გვარიდან ყველაზე გავრცელებული ათასი გვარის სიაში და როდენობის მიხედვით 156-ე ადგილზეა“ [101, 438] და არსად არც ისტორიაში და არც ამჟამად ის არ ითვლება უცხოური წარმოშობის გვარად. მაგრამ ერთი რამ მაინც ცხადია, რომ მებატონე დადიშგელიანების მხრივ სხვა გვართა აღზევების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე ეს მეთოდი გამოყენებული ყოფილა. ამისი ცოცხალი ფაქტი ისიცაა, რომ ლახამულის მცხოვრებლებიდან საკმაოდ ბევრს შენახული აქვს თავისი გვარის დამამტკიცებელი საბუთები [102] (მაგ., გელოვანების გვარისა იხ. გვ. 117-118) და დღეს, რამდენიმე უკვე აღიდგინა ისტორიული გვარი [99,56], ხოლო სვანთა ეთნიკური კუთვნილების გამყალბებელი ყველა სახის თქმულებები და რეციდივები საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა გაკრიტიკებული: პროფესორების: მ. ქალდანის, გ. მარგინის, გ. გასვიანის, მ. მამისთვალისშვილის და სხვათა მიერ.

XIX ს. სვანეთის სოციალური სტრუქტურის სურათის შესავსებად აუცილებელია აღინიშნოს შემამოფოთებელი და ავადმოსაგონარი მოვლენის შესახებ როგორც იყო „ტყვეთა სყიდვა“. სვანეთი არც ამ საქმეში „ლალატობდა“ დედასამშობლოს.

თავიდანვე უნდა განვაცხადო რომ ჩვენ „ტყვეთა სყიდვა“ არ გვესახება მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის ჩარჩოებში მოქცეულ მოვლენად. ის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოს მთისა და ბარისათვის. მასში მონაწილეობას იღებდნენ არა მხოლოდ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, არამედ ყველა-ერი, ბერი, დიდი თუ პატარა. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ – „ტყვეებს ყიდნენ ყველანი: მეფეები, მღვდელმთავრები, მთავრები, თავადები, აზნაურები და გალატაკებული გლეხებიც“ [103,342-343].

ამ საკითხს ამჟამად ფართოდ ვერ განვიხილავთ. მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ რომ მას ადგილი ჰქონდა საკვლევი პერიოდის მთელ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის სვანეთის სამივე ნაწილში.

მივმართოთ ფაქტებს:

XV ს-ის დასასრულის ერთ-ერთ საისტორიო ძეგლში ნათქვამია: „ვინ კაცი ოუსეთს გაჰყიდოს... ერულმც არს სული და ხორცი მისი“ [3,37]. ასევე, დაგმობილია კაცის „შეპყრობა“ [3,5]. აქედან ჩანს, რომ ტყვის შეპყრო-

1891. Bericht über den Verlauf

Die Arbeit wird hierin 2 Wochen früher abgeschlossen
 sein, als in dem ursprünglichen Plan angegeben
 wurde. Die Ursache dafür ist die Beschleunigung der
 Arbeit durch die Beschäftigung von mehr Arbeitern
 und durch die Beschleunigung der Ausführung der
 einzelnen Arbeiten. Die Beschleunigung der Arbeit
 wurde durch die Beschäftigung von mehr Arbeitern
 erreicht, indem die Arbeiter in mehreren Schichten
 beschäftigt wurden. Die Beschleunigung der Ausführung
 der einzelnen Arbeiten wurde durch die Beschäftigung
 von mehr Arbeitern erreicht, indem die Arbeiter in
 mehreren Schichten beschäftigt wurden. Die Beschleunigung
 der Arbeit wurde durch die Beschäftigung von mehr
 Arbeitern erreicht, indem die Arbeiter in mehreren
 Schichten beschäftigt wurden. Die Beschleunigung der
 Ausführung der einzelnen Arbeiten wurde durch die
 Beschäftigung von mehr Arbeitern erreicht, indem die
 Arbeiter in mehreren Schichten beschäftigt wurden.

9 Handwritten text 10 Handwritten text
11 Handwritten text 12 Handwritten text

Handwritten text in German script, possibly a list or notes.



ბას და სყიდვას უკვე ადგილი ჰქონდა XV ს-ის სვანეთში. ეს ასახულია სვანურ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, პროზასა და პოეზიაში. ჩვენ ზემოთ დასახელებული გვაქვს ლექსი „ვიციბილ-მაციბილ“, სადაც სოფ. დოლის მცხოვრებლები პროტესტს უცხადებენ ეცერელ თავადებს ბავშვთა სყიდვის გამო, რომ ისინი „ბავშვებს აკენებით გვართმევენო“.

„ბატონებისათვის საჭირო საგანი რაც სვანეთში არ მოიპოვებოდა, ამას ის იძენდა ყმების გაყიდვით: აფხაზეთში, ყარაჩაში და ყაბარდოში, სადაც მათ ცვლიდნენ: ცხენებზე, ხარებზე, ძროხებზე, ცხვრის ჯოგებზე, შალეულობაზე და სხვა საჭირო საგნებზე“. მოგვითხრობს ეგ. გაბლიანი [73, 121].

გ. გასვიანი სრულიად მართებულად განმარტავს, რომ „მეზობელ მხარეთა მემამულეების მსგავსად დადეშქელიანები... ყმებით ვაჭრობდნენ [63,266]. ამავე დროს, ის სრულიად დამაჯერებლად აკრიტიკებს აკად. პ. გუგუშვილს იმ მოსაზრების გამო, თითქოს XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. 70-იან წლებში „ხევსურეთსა და სვანეთში ტყვეებით ვაჭრობა სავსებით უცნობი იყო“, რომლის მიზეზად პატივცემული მეცნიერი იქ მუსულმანური ქვეყნების გავლენის შეუღწევადობასა და გეაროვნულ-პატრიარქალურ ყოფიერებას ასახელებს“ [104,271].

მ. დუმბაძე აღნიშნავს, რომ „სვანეთის მთავრების შემოსავლის ერთი სერიოზული წყარო იყო ტყვე-ადამიანებით ვაჭრობა„, [105,81]. ამავე საკითხზე გ. ხაჭაპურიძე მიუთითებდა: „ისინი (სვანი ფეოდალები, ა.გ.) ყმების ყიდვა-გაყიდვასაც აწარმოებდნენ, როგორც შიგნით თვით სვანეთში, ისე მის გარეშეც“ [106,130].

საკვლევი ხანის სვანეთში ტყვეთა სყიდვის ცნობები დაცულია საარქივო მასალებშიც. ერთ-ერთი მათგანი შენიშნავს: „თავადს მიჰყავს მისი (გლეხის, ა.გ.) ცოლი ან ვაჟიშვილი ან ქალიშვილი ან თვითონ გლეხი და ყიდის მათ ყარაჩასა და ბახსარში“ [69,10]. 1852 წელს ლობანოვ-როსტოვსკიმ კვლავ აღნიშნა: „ყარაჩიდან დიგორამდე მოსახლე თათარ-ჩერქეზთა ტომებთან ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი საგანი ყმა გლეხის გაყიდვაა, რასაც თავადი დადიშკელიანები ეწოდნენ“ [107, №16].

„თავადებმა მიისაკუთრეს უფლება, რომ მთებში მონებად ყოველწლიურად გაყიდონ ქალი ან კაცი“. მიუთითა ნ. დუბროვინმა [5,91]. „დადიშკელიანები ყიდნენ ადამიანებს ხარებზე და ცხვრებზე“ – წერდა სტროიანოვი [79,367]. ამასვე იმეორებს ფ. სობოლი [6,11]. ჰაკისტ-ჰაუზენის ცნობის თანახმად, ბიჭებს ყიდდნენ 300-400 მანეთად ვერცხლით, ხოლო გოგონებს

ამის ნახევარ ან მესამედ ფასად“ [108,135] და სხვ. ასეთი ცნობების მოტანა პრობლემას არ წარმოადგენს.

სვანეთშიც „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ მთავარ მებრძოლ ძალას წარმოადგენდა ეკლესია.

სვანეთის სამთავროს სოციალური შინაარსი გამოხატული იყო მებატონე თავად დადიშგელიანებსა და მათდამი დაქვემდებარებულ გლეხთა კატეგორიებში: მებევრე, აზატი ანუ მსახური და მოჯალაბე (ფამლი). მებატონეთა დაქვემდებარების ხაზით ამ უკანასკნელს პირველი ადგილი ეკავა „ფამლის“-ის ანუ მოჯალაბის კატეგორია აერთიანებდა შინაყმათა სხვადასვა სახეს: „ქორს მერდე“ (სახლში მყოფი), „ქორს მესგვრე“ (სახლში მგდომი), „ლედიანე“ (დროებით ვალდებული), „ლახირ“ (შეხვეწილი) – „ჯალჩი“ – (პიროვნება, რომელსაც ყველანაირ სამუშაოს ასრულებინებდნენ), ხასა (მოახლე ქალი).

სვანეთის სამთავროში ბატონყმობის გაუქმებიდან მხოლოდ 6 წელი იყო გასული, რომ თ. დადიშგელიანს ესტუმრა მისი შვილის პედაგოგი ა. სტოინანოვი. როგორც თვითმხილველი, გვამცნობს, რომ „თენგიზის სახლს მოაწყდა ბევრი შინა ყმა („дешажд“). რომელთა შორის 86 მამაკაცი იყო, ხოლო ქალები უამრავი, რომელთა დიდი ნაწილი ემსახურებოდა მას მხოლოდ გამოკვებისათვის“ [79,301]. ავტორმა ნახა თუ როგორ ტრიალებდნენ იქ მოჯალაბები, თუ როგორ ჯორივით მუშაობდნენ, ჩეხდნენ შეშას, ათბობდნენ სახლს, გვიდნენ და სხვ.“ [79,327]. მან თავის თვალთ ნახა კოჭლი მეწისქვილე და სხვები, რომლებიც მხოლოდ ლუკმა-პურისათვის თავაუღებელი მუშაობდნენ.

„ფამლი“ სვანეთში ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობიდან დგებოდა. ხანგრძლივი ზამთრის პირობებში, რიცხვმრავალ და თან ღარიბ ოჯახს საკვები რომ გამოეღეოდა, შიმშილისა და, მისგან გამომდინარე, ოჯახის სხვა წევრთა სიცოცხლის შენარჩუნების გრძნობა, არც თუ ისე იშვიათად, აიძულებდა ოჯახს, გაეძეკებინა „ზედმეტი მოლუკმე“ ოჯახიდან, რომ მან რაიმე საშუალებით ირჩინოს თავი სხვაგან. ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ვ. ოლდეროგეს, როცა მან ეცერში სოფ. სვიფში, თავისი თვალთ ნახა დადიშგელიანების ეზოში მუხაზე მიბმული ორი კოჭლი ახალგაზრდა. ავტორის მტკიცებით, ასეთ პირთა „გაძეკება“ სახლიდან სვანეთში ხდება ზამთრის მეორე ნახევარში, როცა ოჯახში საკვები ილევა და ახალ და ისიც, მცირე შემოსავლამდე, საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი [105,14]. ჩვენის

აზრით, ყმად გახდომის ერთ-ერთი წყარო სწორედ ასეთი დაუძღვრება იყო. რომელიც დადიშგელიანების თავადურ ქვაბიდან „ფამლის“ ლუკმის წილ-ხვედრისათვის ნებისმიერ საგლახო სამუშაოს ასრულებდა.

ფამლის ცნება მოიცავდა სხვადასხვა ფორმით ყმურ მდგომარეობაში ჩაყარდნილ ადამიანთა კატეგორიებს. მაგ., „ქორს მესგერე“ – „ქორ“ – სახლი – „მესგერე“ ე.ი. სახლში მჯდომი – ეს ყმის ის კატეგორიაა, რომელიც მებატონის ოჯახში ყოველნაირ სამუშაოს კისრულობს, რადგან სხვაგან არც ჰყავს ვინმე, თავის რჩენა სხვაგან არ შეუძლია და ბატონის სახლში მყარად ზის. „ქორს მერდე“ – კი მებატონესთანაა. იგივე სამუშაოს ასრულებს, მაგრამ თუ გაუჭირდა, ჰყავს პატრონი და წავა. „ლახირ“ (შეხვეწილი) რაიმე დანაშაულის ჩამდენი, რომელიც ბატონს აფარებს თავს. ვიდრე ის ბატონთან იმყოფებოდა, ასრულებდა ბატონის ნებისმიერ ბრძანებას, „ლედინანე“ – მთავარს წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურებით რამდენიმე დღით, კვირით ან წლით მიჰყავდა. იგი მთავრის ხელში მხოლოდ წინასწარმოლაპარაკებულ და იშვიათ შემთხვევაში კი შედარებით ღირსეულ სამუშაოს ასრულებდა, მაგრამ „ფამლიდ“ მაინც ითვლებოდა. ის მთავრის საქმეში ისე ვერ ერეოდა, როგორც „ქორს მერდე“. იყო ყმის ისეთი სახე, რომელსაც ხალხი „ჯალჩი“-ის ეძახდა. ეს იყო ყველაზე გაუბედურებული, მებატონესთან ლუკმა-პურსათვის სამუშაოდ მისული ყმა. „ხასა“ – მებატონის ყმად მსახური ქალი. ხასას შეილებს სვანეთში ბუშარს („ნაბიჭვარს“) ეძახდნენ. რომლებიც ბატონის კარზე მემკვიდრეობით ყმათა რიცხვს ავსებდნენ. ყმად იზრდებოდა აღსაზრდელად ბატონის სახლში „შემოგდებული“ ბავშვი, ასევე ბრძოლის დროს „ტყვედქმნილი“. სისხლის წორში ყმად მიცემული პირები ან სხვა ბატონისაგან, ამ შემთხვევაში ფარის სადადიშგელიანო სახლიდან ეცერის სადადიშგელიანო მთავრის სახლში გაქცეული პირები [69,4] და ა.შ.

XIX ს. ბალსქვემო სვანეთში ფიგურირებენ მებეგრე გლეხები – აზატები ანუ მსახურები, რომლებიც კერძო მესაკუთრენი იყვნენ და, შედარებით ყმა გლეხებისაგან, თავიანთი თავისუფლებით გამოირჩეოდნენ. რომელთა მოვალეობაში შედიოდა მთავრის სამსახური – დაცვა, გადასახადების აკრეფა და სხვ.

დაბოლოს, ყმა გლეხობის, რომლის სიაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მონურ მდგომარეობაში მყოფნიც კი, არსებობის წყაროს ადგილობრივი ფეოდალური ურთიერთობა წარმოადგენდა.

სოციალური ურთიერთობა ბალსზემო სვანეთში

ბალსზემო ე.წ. თავისუფალი სვანეთის საზოგადოებრივი წყობილების, მისი ბუნების, მისი სოციალური განვითარების სტადიალური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დადგენა-განსაზღვრა მკვლევართა დიდ ინტერესს და, შესაბამისად, დავას იწვევს. ამ საკითხის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა XIX ს-შივე დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება.

ჩვენ არც გვაქვს და არც შეიძლება გვეჩინდეს დიდი პრეტენზია საკითხის საბოლოო გადაწყვეტის შესახებ. ჩვენი მიზანია შეძლებისამებრ წარმოვაჩინოთ XIX ს. ბალსზემო სვანეთის სოციალური სახე. აღნიშნულ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ისიც შეიძლება ითქვას, რომ წერილობითი საისტორიო წყაროები სვანეთში საზოგადოების სოციალურ-ფეოდალურ წოდებად დაყოფაზე ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ ბალსზემო სვანეთზე მოგვეპოვება.

ბალსზემო სვანეთი „იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანაში... იხდიდა მეფის ხაზინის სასარგებლოდ წელიწადში 3 ბათმან თოფის წამალს“ [110,197]. ხოლო ამ სამეფოს გაუქმების შემდეგ იგი ფაქტობრივად განცალკევდა და ამ უმცირესს გადასახადსაც აღარ იხდიდა. მისი პოლიტიკური ატმოსფერო შედარებით თავისუფალი იყო. სამხრეთ-დასავლეთით მას უკვე რუსეთის მიერ სამეგრელოსთან ერთად ანექსირებული ქვემო სვანეთი, დასავლეთით – სვანეთის სამთავრო, ნაწილობრივ ლეჩხუმში, ჩრდილოეთით – კავკასიის მთავარი ქედი და მისი მიმდგომი ბალყარეთი ესაზღვრებოდა.

ბალსზემო სვანეთის მოსახლეობა 11 თემის ანუ საზოგადოებისაგან შედგებოდა, სადაც დაახლოებით 800-მდე კომლი ცხოვრობდა.

XIX ს. დამდეგისათვის ბალსზემო სვანეთის მდებარეობაზე და იქ მცხოვრებ ბალსზე, რა თქმა უნდა, სოციალურ ურთიერთობაზე, თვით ისტორიკოსებს და ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებსაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

XIX ს. დამდეგიდან, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ფონზე თითქოს ყინული გალღვაო და ქართულ თუ რუსულ ლიტერატურაში ნელ-ნელა გაჩნდა ცნობები საქართველოს ამ საინტერესო კუთხეზეც.

რუსულ ისტორიოგრაფიაში, რუს სამხედრო მოხელეთა „წყალობით“, იგი მონათლა მანამდე არ არსებული სახელწოდებით „თავისუფალი“ სვანეთი. გაჩნდა ცნობები მისი სოციალური ურთიერთობის ირგვლივაც.

ჩვენც წარმოვადგინოთ XIX ს. თვითმხილველ დამკვირვებელთა ცნობები ამ რაიონის სოციალურ ურთიერთობის ირგვლივ და მერე გავაანალიზოთ.

ამ საკითხს ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო რუსეთის სამხედრო უწყების შტაბსკაპიტანი შახოვსკი, რომელმაც გვამცნო რომ „Вольная Сванетия состоит из 7-ми ущелии, из коих некоторые населены дворянами, а другая черным народом“ [111,466]. ე.ი. ავტორი ბალსზემო სვანეთის აზნაურებსა და გლეხებს წოდებრივად ერთმანეთისაგან განასხვავებდა.

მოსკოვის არქივში ინახება ლობანოვ-როსტოვსკის 1846 წ. ოფიციალური მოხსენება: „სვანეთის კლიმატური პირობებისა და მოსახლეობის“ შესახებ, სადაც იგი კავკასიის კომიტეტს და პირადად ვორონცოვს თავისუფალი სვანეთის აზნაურებად წარუდგენდა: „ყიფიანებს – წვირძმისა და იელიდან, ქურდიანებს – იფარ-ბოგრეშიდან, დეედარიანებს, ჟორჟოლიანებს და იოსელიანებს – მულახიდან, ჯაფარიძეებსა და გოშთელიანებს – მესტიიდან და ვორკვიანებს (უნდა იყოს ჩარკვიანი, ა.გ.) ლატალიდან“ [3,19], რომლებიც გლეხებისაგან განსხვავებით „ერთ მათგანზე ორი უბრალო ადამიანის სისხლს თხოულობენ“ და სარგებლობენ პატივისცემით“ [69,19]. 1852 წ. 23 თებერვალს გაზ. „კავკაზმა“ გამოაქვეყნა ლობანოვ-როსტოვსკის სტატია „სვანეთი“, სადაც იგი სხვათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი შენიშნავდა რომ „При грузинских царях в Сванети существовали князья и дворяне, владевшие на феодальном праве. В междоусобных драках, последовавших отпадения от Грузии народ отказался от повинности им и большая часть деревень вырезавших своих князей и дворян, стала жить независимо и образовала теперешнюю Вольную Сванетию“ [112, №14].

ციტირებულ მოსაზრებას კომენტარი გაუკეთა პროფ. გ. გასვიანმა და, ჩვენის აზრით, სამართლიანად აღნიშნა, რომ ბალსზემო სვანეთში მემამულეები საუკუნეთა მანძილზე ფეოდალური უფლებით ბატონობდნენ და მოსახლეობამ აჯანყების გზით მოიპოვა თავისუფლება [63,234].

გამოჩენილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის დაკვირვებით, ბალსზემო სვანეთის მოსახლეობა ერთფეროვანი არ ყოფილა; მეკომურთა რიცხვში შედიოდნენ აზნაურთა მოღმის ანუ შთამომავლების (Потомки азнаурских) – ყიფიანების, ჩარკვიანების, ჯაფარიძეების, დეედარიანების, იოსელიანების, ქურდიანების და ჟორჟოლაძეების (უნდა იყოს ჟორჟოლიანების, ა.გ.)

კომლექსი [12,47]. სხვათა შორის დ. ბაქრაძე აზნაურთა გვარეულობებს შორის არ ასახელებს გომთელიანებს, რომელთა აზნაურობის დამამტკიცებელმა სიგელმა ჩვენამდე მოაღწია [3,113].

დ. ბაქრაძის აღნიშვნით, აზნაურების უმეტესობა ცხოვრობდა მულახსა და მესტიაში, ზოლო ლენჯერის, იელის, ადიშის, კალის და უშგულის საზოგადოებებში არ იყო არც ერთი მათგანი და ახლა ეს საზოგადოებანი „სრულიად დემოკრატიული არიან“ [12,47]. მისივე დახასიათებით, აზნაურებს აცვიათ სუფთად, სასიამოვნოდ, მოყვრობენ მხოლოდ ურთიერთშორის და თავად დადემქელიანებთან, გარდაფხაძეებსა და გელოვანებთან. მათი ცოლები არ ეცნობიან უბრალო ხალხის ცოლებს. ჰყავთ მონები, რომელთაც ყიდულობენ ყაბარღო-ბაღყარეთიდან. გარდაცვალებულს ისინი მარხავენ უბრალო ხალხის სასაფლაოსაგან განცალკევებით. უბრალო ხალხზე აქვთ ზოგიერთი უფლებები. გლეხები მათ უმასპინძლებიან ერთჯერ წელიწადში, მათი სისხლი ერთიორად ფასობს. გარდა ამისა, – შენიშნავდა მკვლევარი, – აზნაურები მეთემე გლეხებისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან“ [12,48]. აეტორი ამის პარალელურად მიგვანიშნებს იმაზეც, რომ „უეჭველად მოხდა გადატრიალება იმერეთის მეფეთა ძალაუფლებისა და გელოვანების დასუსტების შედეგად“ და, ფაქტობრივად, XIX ს. აზნაურებს თვლის ისტორიული გადატრიალების შემდეგ ჩამომცრობილ ერთეულებად და არა, ვთქვათ, XIX საუკუნეში გააზნაურების გზაზე ახლადშემდგარ ელემენტებად.

დ. ბაქრაძის პარალელურად XIX ს. 60-იან წლებში სვანეთი მოიარა დ. დობროვოლსკიმ, რომელმაც ასევე აღნიშნა ბალსზემო სვანეთში „გლეხებთან ერთად აზნაურთა გვარების ცხოვრება, რომელთაც ჰყავთ ყმა გლეხები ნაყიდი სვანეთს გარეთ, რომლებიც წარმოადგენენ მეპატრონის მიწაზე დაუბინავებელ შინამოსამსახურეებს“ [86,211].

ამავე ხანებში სვანეთი მოიარეს ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალენსკიმ. აი მათი აზრი: „XV საუკუნემდე თავისუფალი და საბატონო სვანეთი ერთ ბედს ქვეშ იყვნენ და ცხოვრობდნენ ერთნაირად. ორივე მათგანს ნომინალურ უფლებით განაგებდა ერისთავი, რომლებდაც, როგორც წესი, ინიშნებოდნენ გელოვანები, წარმოშობით ქართველები. როგორც ჩანს, ისინი ყოველმხრივ ეხმარებოდნენ სვანეთში მოსულთ და ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მათ დროს თანდათანობით დაწინაურდნენ, როგორც თავისუფალ ისე საბატონო სვანეთში ზოგიერთი ოჯახის წარმომადგენლები, რომელთაც ებოძათ აზნაურობა. ასეთები თავისუფალ სვანეთში იყვნენ, სხვათა შორის, ჯა-

ფარიძეები. მათ შესძლეს თავისუფალი სვანეთის მესტიის საზოგადოებისა ვის დაედგათ ბატონყმური დამოკიდებულების უღელი, ისეთივე როგორიც ეს იყო საქართველოში. გლეხებს, რომლებიც ფლობდნენ მიწას კერძო მესაკუთრის უფლებით, ე.ი. „მებეგრე“ გლეხებს იმავე დროს დაადეს საბატონო ბეგარა და სხვადასხვა ნატურალური გადასახადი. ისინი ვალდებული იყვნენ დაემუშავებინათ მებატონეთა მიწები, გაეწიათ მათვის საოჯახო სამსახური, თან გააყოლოდნენ ბრძოლასა და მგზავრობაში. გაეწიათ მათი შვილებისათვის ძიძაობა და ბოლოს გაეღოთ ყოველწლიურად თითო კვილოლი (გოდორი, ა.გ.) ხორბალი (კვილოლი 2 ფუთზე ცოტათი მეტია, განმარტ. ავტ.) თითო კომლიდან. ამითაც უკმაყოფილო აზნაურები თავისთავს აძლევენ უფლებას გაყიდონ გლეხები სხვაგან, არა იშვიათად განემორებინათ ცოლ-ქმარი, შვილები მშობლებისათვის. ასევე დაიწყეს მოთხოვნა, რომ უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი გლეხის ქონება გადასულიყო არა ერთმოგვარეთა, არამედ პირადად აზნაურის ხელში“ [83,602]... ეს ვერ აიტანა გლეხობამ და ამოხოცა ჯაფარიძეები. აღნიშნულ ავტორთა აზრით, თავისუფალ სვანეთში ჯაფარიძეების მსგავსად მოვიდა და გააზნაურდა ბევრი გვარი და ამით აიხსნება ის უცნაური ფაქტი, რომ სვანეთში ძალიან მომრავლდნენ აზნაურები. მაგალითად, მულახში 939 კაციდან 295 აზნაურია, მესტიაში 537-დან 234 აზნაურია და სხვ [83,604]. როგორც ვხედავთ, ი.ივანიუკოვისა და მ. კოვალენსკის აზრითაც, აზნაურთა უფლებების შეზღუდვა და გლეხთა თავისუფლების მოპოვება მომხდარა სოციალური ბრძოლის გზით. თავისუფალი სვანეთის თვითმხილველმა ისტორიკოსმა ნ. დუბროვინმა ფაქტობრივად ასევე ახსნა XIX ს. სვან აზნაურთა ისტორია და მისივე დაკვირვებით თავისუფალი სვანეთის მოსახლეობის მესამედს აზნაურები შეადგენდნენ [5,88-86].

ვ. კლიმენტიევი შენიშნავს: „ქართველ მეფეთა ნაცვლები — ერისთავები სვანეთისა გელოვანები, ყოველნაირი სარგებლობისა და უპირატესობის მიცემის გზით, ხელს უწყობდნენ სვანეთში აზნაურთა ფენის წარმოქმნას. აზნაურებმაც თანდათან ხელთ იგდეს გლეხთა მიწები და მერე დაადგეს მათ პირადი დამოკიდებულების უღელი“ [113,45]. მაგრამ მერე მოხდა სვან მთიელთა ბრძოლა მებატონეთა წინააღმდეგ, რომელიც ავტორს მოაგონებდა „ისეთსავე ცხარე ომს, რომელსაც ეწეოდნენ გლეხთა თემები მთის შვეიცარიაში ავსტრიის მებატონეთა წინააღმდეგ“ [113,47].

პროფ. მ. დუმბაძემ ყურადღება მიაქცია თავისუფალი სვანეთის გლეხობის ვალდებულებებს აზნაურებისადმი და აღნიშნა, რომ „თავისუფალი სვა-

ნეთის ნ თემის გლეხთა ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, გარკვეული ნატურალური ბეგარით-პურითა და ქერით იყვნენ ვალდებულნი აზნაურებისადმი. გარდა ამისა, თუ აზნაური რომელიმე თავისუფალ სვანს (რომელიც მის აზნაურობას სცნობდა) ეწვეოდა, გლეხი მას უმასპინძლდებოდა. ასეთი ვალდებულება ეკისრა თავისუფალი სვანეთის გლეხთა გარკვეულ უმცირესობას. მათი ძირითადი ნაწილი კი სავსებით თავისუფალი იყო და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა“ [105,119].

ისტორიკოსი ს. ავალიანის საინტერესო ცნობით, თავისუფალი სვანეთის აზნაურების მიერ ყმად მოსამსახურე გლეხთა ყიდვა ხდებოდა ძალიან ძვირ ფასებში 600-800 მანეთად. მაგრამ ავტორის აზრით, ეს ყმა გლეხები თავისუფალ სვანეთში წარმოადგენდნენ იგივე კატეგორიას შინაყმებისას, როგორც საბატონო სვანეთში მოჯალაბეები, ხოლო მოჯალაბეებად თავისუფალ სვანეთის აზნაურებს ჰყავდათ ტყვედქმნილი პირებიც [8,49]. აქედან ირკვევა, რომ XIX ს. ბალსზემო სვანეთში აზნაურთა მიერ ყმის წყაროდ გამხდარი იყო ორი გზა – ერთი ყიდვა და მეორე ტყვედ მოყვანა.

ა. ჩარკვიანის სამართლიანი განცხადებით, „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებისა და ქვეყნის დაშლის პერიოდში, ბალსზემო სვანეთის წერილმა აზნაურებმა, რომელთაც სათანადო დახმარებას ვეღარ უწევდა ცენტრალური მთავრობა, მარცხი განიცადეს ყმა გლეხებთან გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაში და თავიანთი სამამულო-საბატონყმო უფლებები თითქმის სრულიად დაკარგეს... ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, – განაგრძობს ავტორი, – რომ თავისუფალი სვანეთის აზნაურებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს ზოგი წოდებრივი პრივილეგია და გარკვეული გავლენა გლეხთა ერთ ნაწილზე... თავისუფალ სვანეთში გლეხთა ერთ ნაწილს აზნაურთა სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულებანი აწვა“ [20,84].

ეთნოგრაფი ი. მარგიანის ცნობის მიხედვით, ბალსზემო სვანეთის აზნაურობას უპირატესობა ენიჭებოდა სვანური მოსამართლეობის შემთხვევაშიც. მისი განცხადებით, სამართალში ერთი აზნაურის საპირისპიროდ მეორე მხარეს ორი გლეხი უნდა გამოეყვანა [85,141].

საგლეხო რეფორმის დროინდელი დოკუმენტების მიხედვით: „თავისუფალი სვანეთის ლენჯერის, მულახის, მუჟალის, იფარის, ადიშის და კალის გლეხობის ნაწილი, ვალდებულნი არიან, აზნაურებს: ჯაფარძიეებს, ქურდიანებს, იოსელიანებს და დევდარიანებს, გადაუხადონ ხორბალი და ქერი, თითო კომლიდან 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე საფასურის“ [114,517-

518]; [115,9]. გლეხთა ამ რაოდენობის გადასახადის არსებობას აღნიშნავს XIX ს. ბევრი დამკვირვებელი, მაგრამ უფრო დაზუსტებულ ცნობებს აზნაურთა სასარგებლოდ არსებულ გადასახადებზე ვერ მივაგენით. თუმცა მკაცრ ბუნებრივ პირობებში მცხოვრებ გლეხობისათვის აღნიშნული გადასახადებიც საკმაოდ მძიმე იყო. სხვა ვალდებულებებთან ერთად, ეს გადასახადებიც, მეტყველებენ ბალსზემო ნაწილის აზნაურთა გარკვეულ უფლებრივ პრივილეგიებზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. გასვიანმა თავისი გამოკვლევებით ბევრ მნიშვნელოვან საკითხში გზა გაუკვლია მკითხველს თავისუფალი სვანეთის სოციალურ ურთიერთობათა გასარკვევად. მისი აღნიშვნით: „ყამთა ცვალებადობის შედეგად, XIX საუკუნისათვის ე.წ. ბალსზემო სვანეთში გლეხთა ნაწილმა თითქმის სრული თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ნაწილს აზნაურთა მიმართ კვლავ გარკვეული (ზოგიერთს მსუბუქი, ზოგს კი სიმბოლური) ვალდებულება ეკისრა“ [63,273]. მკვლევარი, გარდა აღნიშნული გადასახადებისა, თვლის რომ XIX ს. პირველ მეოთხედში მინც, არსებობდა შრომითი ბეგარაც. პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში ძირითადად გადმოცემებს ყვარნობა, მაგრამ ბ. ნიჟარაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მართალია გადმოცემა დაწერილ ისტორიულ ფაქტსავით არ არის შესაწყნარებელი, მაგრამ იმისთანა ხალხში, როგორნიც არიან სვანები, რომელთა არა აქვთ ლიტერატურა და დაწერილი ისტორია, ამგვარი გარდმოცემანი ცოტათ თუ ბევრად დაწერილ ისტორიის მაგიურობასა სწევენ“ [13,75]. მას ღიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ღიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც სპეციალურად შეიმუშავა შესაბამისი „მასალების შეგროვების წესი“ [116, 22]. ასე რომ, გადმოცემას შეუძლია ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები გააცოცხლოს და მისი შეაზნეული წერტილებიც შედარებით გაანათოს.

გ. გასვიანის აღნიშვნით, აზნაურ ყოფიანებს XIX ს. პირველ ნახევარში მორჩილებაში ჰყოლიათ სხვადასხვა გვარეულობა, რომლებიც გადასახადების გადახდის გარდა „ვალდებული ყოფილან ყოფიანების მიმართ შრომითი ბეგარა შეესრულებინათ... თითოეული ყმა გლეხის ოჯახი ხენის, თიბვის და სხვა სამუშაოებისას იძულებული ყოფილა საკუთარი გამწვევი ძალით, იარაღებითა და ხარჯით კვირაში რამდენიმე ღლე უსასყიდლოდ ემუშავა ყოფიანის მამულში. ამასთან ერთად, არც ერთ გლეხს არ შეეძლო მემამულისათვის უარი ეთქვა სხვა სამუშაოს (მაგალითად: მშენებლობის, საშენი მასალის, ხე-ტყის დამზადების, შინ მიზიდვის, გზებისა და ხიდების

გაკეთებაზე და სხვ.) შესრულებაზე... იმ შემთხვევაში, როცა ყიფიანები ვინმეს მტრობდნენ, ყმა გლეხობა ვალდებული ყოფილა მებატონესთან შეიარაღებული გამოცხადებულიყო და მხარში ამოდგომოდა. გლეხები ყიფიანებს მგზავრობისას აცილებდნენ და საომრად მიჰყვებოდნენ“ [63,274-275]. ავტორი, ასევე დამოკიდებულებით წარმოგვიდგენს ყმა გლეხობას აზნაურების: დეეღარიანების, იოსელიანების, ჟორჯოლიანების, ჯაფარიძეების, ქურდიანების, გოშთელიანების და ჩარკვიანების მიმართ, რომელთაც ყმებიც ჰყავთ და სათანადო ბეგარასაც ასრულებენ [63,275-277].

შესაძლებელია ამ გადმოცემებში, სინამდვილესთან შედარებით, გლეხთა ვალდებულებანი გადაჭარბებულად იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ერთი რამ მაინც ნათელი ხდება, რომ XIX ს. ბაღსზემო სვანეთში არსებობენ აზნაურები, როგორც პრივილეგირებული წოდება და გლეხთა ორი კატეგორია – აზნაურებზე დამოკიდებული და დამოუკიდებელი.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აზნაურებს ჰყავდათ ძვირად შეძენილი შინაყმები. საარქივო ცნობით, – „აზნაურებს ჰყავდათ მონურ მღვთმარებაში მყოფი ყმები, რომლებიც ნაყილნი იყვნენ ძალიან ძვირ ფასებში სამეგრელოში, გურიაში, ლეჩხუმსა და აფხაზეთში“ [117,4], ქუთაისის საისტორიო არქივში დაცული ცნობის მიხედვით, 1853 წ. ბაღსზემო სვანეთის აზნაურს ვინმე ბექმურზას უყიდნია გოცაძის ქალი ასულითურთ“ [118,6], სხვა საარქივო ცნობებიდანაც ჩანს, რომ აზნაურებს ყმები ჰყავდათ, როგორც ნაყიდი, ისე მონატაცები [119,242].

XIX ს. თავისუფალ სვანეთში აზნაურების გარკვეული ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი გავლენის შენარჩუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ საუკუნის მანძილზე მეფის მოხელეებთან უშუალო მოლაპარაკებას ძირითადად ისინი ედგნენ სათავეში. მაგალითად, 1830 წელს ბარონ როზენტან, [120,9]. 1831 წ – პასკევიჩთან [121,403], 1842 წ. – პოლკოვნიკ ბრუსილოვთან [121,743], 1848 წ. – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან, [122,1-2], 1857 წ. – პოლკოვნიკ-უსლართან [123, 370] და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც კი, აზნაურები ხელმძღვანელობდნენ ყველა საგარეო საჭირბოროტო საქმეებს.

აზნაურები ედგნენ სათავეში ბარის რაიონებთან მოლაპარაკებებსაც.

გავიხსენოთ ის ფაქტი რომ 1850-იან წლებში, როცა სამეგრელოსა და სვანეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა და ამ სამთავროთა შორის ყოველგვარი მიმოსვლაც კი აიკრძალა, თავისუფალი სვანეთის სოფ. იფარის აზნაურების ბერი და სულთან ქურდიანების ხელმძღვანელობით დაიდო

„უტყუარი პირობა“ სამეგრელოს მთავარ დავით დადიანთან სამეგრელოს სამთავროსთან კეთილი ურთიერთობისა და „მოუშლელი ვაჭრობის“ შესახებ [124, 7410]. ასევე, „ჩემდს (1854) წელსა აგვისტოს კვს (26) დღესა, ესე უტყუველ პირობის წერილს“ უგზავნიან სოფ. ლატალის „მცხოვრებელნი“ დავით დადიანს, რომელსაც, სხვა შუამდგომ თავადებთან: დ. ჩიქოვანთან, ი. ჩიქოვანთან, ა. ახვლედიანთან, ისლამ დადიშეკელიანთან და სხვებთან ერთად, როგორც პასუხისმგებელი პირი, ხელს აწერს პირველ რიგში აზნაური ილიმთან ჩარკვიანი და მერე რამდენიმე გლეხი [125, №7302].

XIX ს. მეორე ნახევარში არ მომხდარა რაიმე ისტორიული ხასიათის მოვლენა, რომელშიც აზნაურებს წამყვანი სიტყვა არ ეთქვათ.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს. რეფორმამდელ ხანაში, რიგ შემთხვევაში რეფორმის შემდეგაც, თავისუფალი სვანეთისათვის ტყვეთა ყიდვა და „სყიდვა“ ისევე დამახასიათებელი იყო, როგორც საბატონო სვანეთისათვის. ამ საქმეში ადგილობრივი აზნაურები ზოგჯერ დადიშეკელიანებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ. ამას ადასტურებს მრავალი სათანადო დოკუმენტი. მაგ; ბალსზემო სვანეთის მკვიდრი დ. მარგიანი წერდა: „ძალიან ხშირად აზნაურები ურთიერთშორის დებდნენ პირობას და ერთგულების ფიცს, შემდეგ თავს ესხმოდნენ ღამით, ზოგჯერ დღისითაც, მცირერიცხოვან გლეხთა ოჯახებს, კლავდნენ ხნიერ მამაკაცებს... მიჰყავდათ ქალები და ბავშვები, ზოლო შემდეგ ყიდდნენ ყაბარდოში და მათ ქონებას ინაწილებდნენ“ [126, 76]. 1846 წ. დათარიღებულ ერთ-ერთ საარქივო საბუთში ვკითხულობთ: „მთებს იქით მაჰმადიანებთან ისე წარმოებს ადამიანთა გაყიდვა თავისუფალ სვანეთიდან, როგორც საბატონოდან“ [16, 3].

იმდროინდელ სვანეთში კაცის დაჭერა და გაყიდვა, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში, თავის დროზე მაინცდამაინც სამარცხვინო საქმედ არ ითვლებოდა. „კაცს რომ დაიჭერდნენ დარწმუნებული იყვნენ, რომ მას ჭირისუფალნი გამოისყიდდნენ, — წერდა ი. მარგიანი — ამისთანა შემთხვევისათვის დადებული იყო ე.წ. „ტყვემიშ“ (ტყვის დასახსნელი), რომელიც ზოგან 24 მანეთს უდრიდა, ზოგან კი მეტს [85, 139].

აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „ხშირად მთაში საარსებო რესურსების სიმცირის კომპენსაცია ხდებოდა აბრაგობით — მეზობლებზე შეიარაღებული თავდასხმებით, რის შედეგადაც ხდებოდა საქონლისა და სხვა სიმდიდრის ხელში ჩაგდება, ხალხის დატყვევება, რომელთაც შემდეგ სიამოვნებით ყიდდნენ მონებად მონების

ბაზარზე“ [127,168]. პატივცემული მეცნიერის ეს შენიშვნა სვანეთის ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა. XIX ს. პირველ ნახევარში ბალსზემო სვანეთის ზოგიერთი თემი თუ სოფელი სათანადო მიზეზით თუ უმიზეზოდ ზოგჯერ თავს ესხმოდა მეზობელ კუთხეებს და იტაცებდა ადამიანებს და პირუტყვსაც. „სვანეთის მხარის ხალხნი... არა იშვიათად გვაიწროებენ სხუათა და სხუათა სახით და პირუტყვის წარტაცებით“ – წერდნენ ვორონცოვს რაჭის სოფ. ჭიორას მცხოვრებლები“ [128,4], „ჟორჟოლიანებს ტყვედ მოუტაცნიათ რაჭის სამი მცხოვრები, – აღნიშნულია საარქივო საბუთში [129, 272]. 1848 წ. სოფ. იფარის მცხოვრებლებს ტყვედ მოუტაცნიათ რაჭველი გლეხი მამუკა რეხვიაშვილი და მის გამოსასყიდად 1000 მანეთი ვერცხლითაც არ უკმარებიათ [130,1]. 1850 წ. კავკასიის სამოქალაქო საქმეების უფროსი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს წერდა, რომ სოფელ უშგულის მცხოვრებლებს რაჭიდან მოუტაცნიათ გ. გობეჯიშვილი, თ. მეტრეველი და ი. ხიდაშელი, [131, 1]. 1846 წ. 200 ლატალელს მეგრელი მწყემსებისათვის წაურთმევიათ 1500 სული ცხვარი [132,23] და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა ითქვას, რომ „ტყვის სყიდვა“ – გაყიდვა შენეღდა სვანეთში მხოლოდ 1857 წლიდან, როცა იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით „სვანეთის მფლობელებს“ ოფიციალურად მოეთხოვათ „ადამიანებით ვაჭრობის შეწყვეტა“ [133,355].

სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო ცნობების შეჯერებით, შესაძლებლობა გვეძლევა, ჩამოვაყალიბოთ ის პრივილეგიები, რომლებიც შენარჩუნებული ჰქონდათ ბალსზემო სვანეთის აზნაურებს XIX ს-ში:

1. გლეხი იხდის აზნაურის სასარგებლოდ 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე თანხის საფასურს ნატურით ან ფულად;
2. გლეხი პატიჟობს წელიწადში ერთხელ აზნაურს (რომელსაც სცნობს აზნაურად) და უმასპინძლებდა;
3. აზნაურის ცოლები არ ეცნობიან გლეხთა ცოლებს, აზნაურები არ ემოყვრებიან გლეხთა ოჯახებს;
4. აზნაურებს ცალკე აქვთ სასაფლაოები;
5. აზნაურები იცვამენ გლეხებისაგან გამორჩევით ტანსაცმელს, განსხვავდებიან ცხოვრების წესით“ [63,278].
6. აზნაურის სისხლი გლეხის სისხლთან შედარებით ერთი ორად ფასობს;
7. აზნაურებს უპირატესობა აქვთ სვანური სამართლის მიხედვით. ერთი აზნაურის ხმა ტოლფასოვანი იყო ორი გლეხის ხმისა;

8. აზნაურთა ნაჭკვლაში, ორი გლეხის ნაჭკვლამს უდრიდა; [5,278].

9. გლეხი აზნაურს მიჰყვება მგ ზავრობაში წელიწადში ერთჯერ;

10. აზნაურების უმეტესობა ფლობს საკუთარ ყმებს, ნაყიდს და მონატაცებს.

11. აზნაურები ფაქტობრივად ხელმძღვანელობდნენ თავისუფალი სვანეთის საგარეო პოლიტიკას.

სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოა სვანეთის აზნაურთა („ვარგ“-თა) წარმოშობის საკითხი. მაგრამ რადგანაც ეს საკითხი ჩვენი საკვლევი თემის ჩარჩოებს სცილდება, მასზე სპეციალურად ვერ შეეჩერდებით. ზოგადად კი შეგნიშნავთ, რომ სვანი „ვარგი“ ადრიდანვე მეფის სამსახურში თავგამორჩენილი, ვარგისიანი და დამსახურებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ვარგ“-ი ანუ აზნაური არის მთის საზოგადოებაში დაწინაურებული ბარის სოციალური წყობის წარმომადგენელი პიროვნება. ამ შემთხვევაში ჩვენი საფუძველი გახლავთ აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სვანები ითვლებოდნენ უმთავრესად მეფის ერთგულ მოლაშქრეებად [39,438]. ავტორის მტკიცებით, სვანების მიერ ლაშქრობაში კარგ მოღვაწეობას მოჰყვა ვარდანიძეების გაძლიერება მეფის კარზე და სვანი ვარგების გააზნაურება დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში. სვანი ვარგების „წინაპრები იყვნენ, – აღნიშნავდა პატივცემული ნ. ბერძენიშვილი, – ის მეომარი ვაჟკაცები, ბელადს (ერისთავს, განმარტ. ავტ.) რომ მიჰყვებოდნენ ბარში საშოვარზე – ზოგი ვინმე მთაშივე ბრუნდებოდა, სხვები ბარში სხდებოდნენ აზნაურებად [134,439].

ჩვენის აზრით, XIX ს. ბალსზემო სვანეთის აზნაურები გააზნაურების გზაზე ახლად შემდგარი „ჩენილები“ კი არ არიან, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მიაჩნია, არამედ „რევოლუციის გზით“ „ჩამომცრობილი“, მაგრამ ჯერ კიდევ გარკვეული აზნაურული უფლებების მქონე – სიმბოლური სოციალური ფენა აღნიშნული საუკუნის თავისუფალ სვანეთში, რომელთაც სვანეთის გამოცალკეევებით ადრევე დაკარგეს მეფის მფარველი ხელი. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ბალსზემო სვანეთს ასეთ განცალკეებულ პირობებში დიდხანს რომ დასცლოდა ყოფნა, შესაძლებელია მათ საერთოდ დაეკარგათ ის მცირედი პრივილეგიებიც კი, რომლითაც ისინი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ სარგებლობდნენ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ბალსზემო სვანეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სერიოზულ როლს თამაშობდნენ ე.წ. „მახვში“-ები ანუ იგივე გამოჩენილი ხანდაზმული ადამიანები. ყოველ კერძო ოჯახს ხელმძღვანე-

ლობდა „ქორა მახვი“, მაგრამ მას ოჯახის წევრები კი არ ირჩევდნენ, არამედ ეს იყო ამ ოჯახის გაკლენიანი ხანში შესული მამაკაცი (გარდაცვალების შემთხვევაში დედა, კაცი), რომელიც ასევე არჩევის გარეშე განაგებდა ოჯახს.

მკვლევარ ა. ჩარკვიანის აღნიშვნით: „ოჯახის „მახვი“ არ ინიშნებოდა, არ ირჩეოდა. ის თვითონ ზღებოდა ოჯახის მეთაური“ [20,67]. ამ საკითხზე სათანადო დასკვნები გააკეთა პროფ. გ. გასვიანმა და აღნიშნა, რომ „მართალია, სამსო სისხლით ნათესავ ოჯახებს აერთიანებდა, მაგრამ იგი შედგებოდა ცალკეულ დამოუკიდებელ ოჯახებისაგან, რომელთაც თავ-თავისი უფროსი ანუ „მახვი“ ჰყავდათ. გვარს (რომელიც, როგორც სისხლით ნათესაობაზე და სამეურნეო ერთიანობაზე აგებული ერთეული, დაშლილი იყო და არა ნათესავ განშტოებებისაგან შედგებოდა) არც შეიძლებოდა ჰყოლოდა ერთი „მახვი“, რომელიც თავის ბრძანებას დაუქვემდებარებდა მთელ გვარს, მით უფრო თემს, რომლის მოსახლეობა არამარტო სხვადასხვა გვარეულობისაგან შედგებოდა, არამედ სხვადასხვა წოდების გვარებისაგანაც“ [11,77]. ევ. გაბლიანი შენიშნავდა, რომ „იქნებოდა სვანის ოჯახი მრავალრიცხოვანი თუ მცირე, სულ ერთია, მას აუცილებლად უნდა ჰყოლოდა „ქორა მახვი“ – იგივე ოჯახის უფროსი. ოჯახის უფროსობა სვანური ჩვეულებით დღემდე ეკუთვნის ოჯახში ხნით ყველაზე უფროსს. მაგრამ თუ ის საუფროსოდ შესაფერისი არ არის, „მახვიობა“ ანუ უფროსობა მის შემდეგ ხნით უფროს მამაზე ან შვილზე გადადის“ [73,58]. ასე რომ „ქორა მახვი“ არ წარმოადგენდა აუცილებლად პატრიარქალური წესწყობილების გამომხატველ ფიგურას.

XIX ს. ბოლომდე შემორჩენილი დიდი ოჯახი ჩვენ არ გვესახება როგორც საოჯახო თემის გადმონაშთი. რადგან ოჯახი საერთოდ არის საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული და განვითარებული ინსტიტუტი და იგი ვერ თავსდება თავისი ბუნებითა და არსით პირველყოფილ პატრიარქალურ დაჯგუფებაში, რადგან ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს სოციალურად ჩამოყალიბებულ საზოგადოებას.

ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია მკვლევარ თ. იველაშვილის მოსაზრება, რომ „შუქმლებელი იყო საოჯახო თემი, ანუ დიდი ოჯახი იმ სოციალურ-შინაარსობრივი დატვირთვით არსებულისა საქართველოში, როგორც მას ქართველი ეთნოგრაფები განმარტავენ მორგან-ენგელსისეული ზოგადი მოდელების მორგებით. დიდი ოჯახი არა რაიმე გადმონაშთური სახეა უძველესი დროის სოციალური ინსტიტუტისა, არამედ საკმაოდ გვიანდელი წარმონაქმნია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და მას არავითარი კავშირი არ აქვს არაისტორიულ პერიოდში არსებულ ინსტიტუტთან“ [135,212].

მართალია, დიდი ოჯახი ამჟღავნებს მსგავსებას საოჯახო თემთან მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებში, მაგრამ ეს ძისი არსის გარეგნული ფორმაა. შინაგანად კი დიდი ოჯახი სხვაა და საოჯახო თემი სხვაა. დიდ ოჯახში ოჯახის ცალკეულ წევრებს აქვთ კერძო საკუთრება, მაგალითად, რძლების მზითვეი, სხვადასხვა საჩუქრები და სხვ. რომელიც ოჯახის გაყოფის შემთხვევაში გასაყოფ ქონებაში არ შედის.

დიდი ოჯახი საქართველოს მთიანეთში თითქმის ყველგან იყო შემორჩენილი. მას განაპირობებდა არა საზოგადოებრივი განუვითარებლობა და პარველყოფილობა, არამედ ობიექტური მიზეზები. პირველ რიგში, ნატურალური მეურნეობა და მთის პირობები, – მასთან დაკავშირებული მთელი რიგი სირთულეები. მაგალითად, სვანეთში, როგორც ეს თავის დროზე აღვნიშნეთ, ადგილი ჰქონდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზურ განვითარებას, რომელიც მუშახელის დიდ რაოდენობას და აუცილებლად გაერთიანებას მოითხოვდა. სვანეთის მძიმე გეოგრაფიულ კლიმატურ პირობებში, სადაც პატარა ოჯახისათვის რთულ და მრავალდარგოვან მეურნეობის წარმართვა შეუძლებელი ხდებოდა, დიდი ოჯახი უფრო სასურველი იყო. დიდ ოჯახს ღირსეული ხელმძღვანელი უნდა ჰყოლოდა. მახვილობის მიღწევა მხოლოდ დამსახურებით, საყოფაცხოვრებო წესების დაცვითა და საქმით შეიძლებოდა. „მახვში“ დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მისთვის ცალკე იდგა საპატიო სკამი „საკურცხილ“, რომლით სარგებლობა მხოლოდ „მახვის“ ნებართვით შეიძლებოდა. მისი სიტყვა კანონი იყო ოჯახის ყველა წევრისათვის. საოჯახო გაყოფის დროს მას ეძლეოდა ე.წ. „ნამხოშერ“ – ერთი დღიური ყანა [73,59].

საზოგადოებრივად ურთიერთდამაკავშირებელ რგოლს „თემობს“ უწოდებდნენ. თემის არსის გასარკვევად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის: [136,185,186,196], [137,112-118], [138,14-26], [60,108,114,120-], [73,60-62], [11,77] და სხვ. გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ თემს სვანეთში უწოდებდნენ ერთი გვარის შტო-ნაყარ სამძოთა გაერთიანებას – ერთი დიდი წინაპრის ზაზიდან განშტოებათა გაერთიანებას. თუ ვიმსჯელებთ სისხლით ნათესაობის თვალსაზრისით, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ სვანური გვარები დაყოფილი იყვნენ ე.წ. „სამხუბ“-ებად – სამძოებად. თითოეული სამძოს წევრები ითვლებოდნენ მოძმეებად („მეხუბარარ“). ასეთები იყო, მაგალითად, XIX ს. მესტიის საზოგადოების სოფ. სეტის მცხოვრები ჯაფარიძეების გვარი, იყოფოდა სამ სამძოდ: „ყანსაშუშერ“ (ყანსავეისიანები), „მახამეთშერ“ (მახამეთისიანები) და „მურზაყანშერ“ (მურზაყანისიანები) [139, VIII]. ლატალში – ფარჯიანების გვარი: „ათუაშერ“ (ათუასიანები) და „ნუაშერ“ (ნუასიანები).

ლახამულაში – დავითიანების: „ქაცბაშერ“ (ქაცბასიანები) და „თუთაშერ“ (თუთასიანები), ლახამულაში – ჭკადუების: „ბეჩერშერ“ (ბეჩერისიანები), „მომიშერ“ (მომისიანები), „ნუაშერ“ (ნუასიანები), „სევასტანშერ“ (სევასტისიანები), „დუდიშერ“ (დუდისიანები), „კაბეშერ“ (კაბესიანები), „შეყმანშერ“ (შეყმანისიანები), „შარდენშერ“ (შარდენისიანები), „ხერგიანშერ“ (ხერგიანისიანები), „ბეტაშერ“ (ბეტასიანები), „გიოშერ“ (გიოსიანები) და სხვ. [140]; ბეროში – კვიციანების: „მალუშერ“ (მალუსიანები), „ბალათურშერ“ (ბალათურისიანები), „ბაბაშერ“ (ბაბასიანები); ლენჯერში – გულედანები: „ბექმერზაშერ“ (ბექმერზასიანები), „ტატიშა“ (ტატისიანები), „გუალშა“ (გუალისიანები), „სულთანშა“ (სულთანისიანები), „გიეშა“ (გიოსიანები), „თამანიშა“ (თამანისიანები), „ჭაუშერ“ (ჭაუსიანები) და „ჰანდრაშა“ (ჰანდრისიანები) [141] და სხვ. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი გვარი თავისუფალ სვანეთში, მაგალითად მულახში მცხოვრები გუჯეჯიანები იმდენად მრავალსამშუბიანი არიან, რომ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რ. თოფჩიშვილის აღნიშვნით, მათი „მთლიანი გენეალოგიის შედგენა არ ხერხდება“ [142,84]. ისინი განშტოებულნი არიან მთელს სვანეთში. განა მათ ერთი არჩეული მახვი მიყავთ? ერთი შეხედვით, „სამშუბ“ ანუ სამძო გვაროვნულ ერთეულს მოგვაგონებდა, მაგრამ ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამძოს თითოეულ წევრს ცალკე ოჯახი ჰქონდა და კერძო საკუთრება გააჩნდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტია მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა. ამით ჩვენ იმის მტკიცება კი არ გვსურს, თითქოს ბალსზემო სვანეთში, ან საერთოდ სვანეთში, არ არსებობდა თემური ცხოვრების რაიმე ფორმის გადმონაშთი. გვაროვნული გადმონაშთების შესახებ თეორიები, თანაც განხილულნი „კარჩაკეტილობის“, „შეუღწევლობის“ და სხვა ამგვარ ცნებათა ფონზე აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა უარყო თავისი 1964 წელს გაკეთებულ დასკვნით წერილში სვანეთის განვითარების შესახებ და ამჟამად „ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად სამართლიანად მოიხსნა თეზისი შუა საუკუნეების სვანეთის „გვაროვნულობის შესახებ“ [143,96], მაგრამ აქ უპრიანი იქნება მოუხსინოთ აკადემიკოს ს. ჯანაშიას, რომ „გვაროვნული წყობილების ნაშთებს ჩვენ ფეოდალური საზოგადოების განვითარების მთელ სიგრძეზე ვხედავთ. ისინი კაპიტალისტურ საზოგადოებასაც გამოჰყვებიან და ზოგჯერ ჩვენს დროშიც იჩენენ თავს, ბევრად შესუსტებული სახით, რა თქმა უნდა“ [144,138].

თემს ანუ საზოგადოებად („ობშესტვა“) წოდებულ კრებულს, სვანეთში საერთო „მახვი“ არ ჰყავდა. არასწორია „გადმოცემა, რომ თითქოს „თემს“ (საკვარეულოს) XIX საუკუნეში ჰყავდა ამორჩეული, ან კიდევ დანიშნული



სოფ. ლახამულის მკეიდრი ე. წ.
„ბეჩერმერების მახვში“, ცნობილი
მედიკოსი ფილომონ ჭკალუა
(1864-1953)



XIX ს. მეორე ნახევრის სვანეთის ცნობილი
მედიკოსი. სვანეთის სახელით რუსეთის
ხელისუფლებასთან მოლაპარაკების ერთ-
ერთი აღიარებული ხელმძღვანელი
ნესტორ ბაღოს ძე კვანჭიანი (სოფ. იღლიანი).

„მახვში“. რა თქმა უნდა, გვარში, თავისი ასაკით, გამოცდილებითა თუ გავლენით გამოირჩეოდნენ პირები, რომელთა მოსაზრებას ნათესაობაში განსაკუთრებული ანგარიში ეწეოდა, თუმცა გვარს თუ საგვარეულოს ოფიციალური, რეალური, ე.წ. საერთო „მახვში“ არ ჰყოლია.

თემი ანუ „თემ“ – ხშირ შემთხვევაში ეწოდებოდა ამა თუ იმ სოფელს ან მის საზოგადოებას.

XIX ს. ბაღსაშვილი სვანეთის საზოგადოებრივ მმართველობაში არსებობდა ე.წ. „ლუზორ“, – რასაც სხვანაირად შეიძლება ეწოდოს „სოფლობა“. ეს იყო ამა თუ იმ თემის ან საზოგადოების ან სოფლის თავყრილობა. მას ესწრებოდა აღნიშნული საზოგადოების ყველა წევრი. აქ, სოფლის „სეიფ“-ში ანუ სოფლის ცენტრალურ ადგილას, რაც უმეტეს საზოგადოებაში ეკლესიის ეზოში ტარდებოდა, წყდებოდა სოფლის მნიშვნელოვანი საკითხები. აქ ხდებოდა ამა თუ იმ სასოფლო საზოგადოების მეთაურის არჩევაც. სასოფლო საზოგადოებათა ყრილობას „ლუზორს“ უწოდებდნენ. „ლუზორ“ საგანგებო შემთხვევაში იკრიბებოდა. აქ საკითხები წყდებოდა ხმის უმრავლესობით. სხვანაირად მას „ხევობ“-ა ერქვა. აქ წყდებოდა სოფლის საჭირობო საკითხები. იგი იყო „უზენაესი ინსტანცია იურიდი-



დავით გელოვანი, სვანური
სამართლის მცოდნე და ცნობილი
მედიატორი, სოფელი იღლიანი,
მგელი, XIX ს. II ნახევარი.



მებაგონეთა ურზობაში ცნობილი შარშეთ
სიშხარის ძე გელოვანი, სოფ. ლახამულის
თემში აღიარებული მედიატორი და
განთქმული მონადირე.
XIX საუკუნის 90-იანი წლები




აჩი ცინდელიანი, სვანური სამართლის
აღიარებული მცოდნე, ცნობილი ჭუბერელი
მედიატორი. XIX ს. II ნახევარი.



აჩი ჭკალუა, ცნობილი ლახამულელი
მედიატორი, XIX საუკუნის მეორე
ნახევარი.



ღაბაშელის თემის ენობილი მედიკოსორები დავით დავითიანი და პლატონ გელოვანი



სვანეთის „მახეშიების“ შესუელრაზე

ულს წესწყობილებაში. ხევობის გაცდენა არავის ეპატიებოდა. ევ. გაბლიანის ცნობით, „კომლზე თვითო ქუდოსანი – („ფაყვა მგემო“) ვალდებული იყო გამოცხადებულიყო ყრილობაზე“ [73,63]. ამ ყრილობას, საჭიროების შემთხვევაში, ესწრებოდნენ ქალებიც. „ხევობ“-ს გამოჰქონდა საშინაო თუ საგარეო საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილება და თავის მოქმედების ანგარიშში არავის წინაშე პასუხს არ აგებდა. აღსანიშნავია, რომ ყრილობას უშუალოდ ემორჩილებოდა სამღვდლოება. მას შეეძლო საეკლესიო ღირსების შელახვის შემთხვევაში „ბაპი“ გაენთავისუფლებინა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, რომ უძველეს დროიდან XV საუკუნემდე არსებობდა სრულიად სვანეთის თემთა საკავშირო ყრილობა, რომელსაც „შვანია ხევობ“ ეწოდებოდა, მაგრამ მე-15 საუკუნიდან სვანეთი გაიყო „ბალსზემო“ და „ბალსქვემო“ ნაწილებად და, ალბათ, მერე საერთო ყრილობის მოწვევა შეწყდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ლუზორის“ მოწვევამდე სადავო საკითხებს მედიატორები („მორვალ“ ანუ „მორვარ“) არჩევდნენ, რომლებიც ამა თუ იმ საკითხს სვანური ადათწესების მტკიცე დაცვით იზილავდნენ და სჯიდნენ. ზოლო განსაკუთრებული წინააღმდეგობების მომცველ საკითხებს ეკლესიის ძალით წყვეტდნენ. აქ აზნაურებს უპირატესობა ჰქონდათ. ივ. მარგიაანის აღნიშვნით: „ერთი აზნაური უდრიდა ორ გლეხს და მის მაგიერ მეორე მხარეს ნება ჰქონდა ორი გლეხი გამოერჩია მოსამართლედ“ [85,141], მაგრამ არც მედიატორობის დროს და არც ყრილობაზე გადამწყვეტი ძალა უკვე აღარ ჰქონდათ.

საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქრისტიანული ეკლესია. ფიცის ძალით ძალიან სასარგებლო საქმეები გვარდებოდა. არსებობდა ორნაირი ფიცი „ლინბანალ“ და „გგრცამ“. სვანს ფიცის განსაკუთრებით სწამდა. მის „გამტეხს საზოგადოებიდან გარიყვა – „აღკვეთა“ ელოდა.

მაგრამ, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს გ. გასვიანი – „XIX საუკუნისათვის სვანეთის ეკლესიების ნაწილი დაკნინებულია, ზოლო მათი მამული შემცირებული, რასაც, თავისთავად, ეკლესიათა მღვდელ-მსახურების რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოუწვევია. XIX საუკუნეში სვანეთის ეკლესია ფაქტიურად უკვე აღარ გვევლინება, როგორც ძლიერი ექსპლუატატორი“ [63,229]. თუმცა XIX ს. სვანეთში ეკლესიას თავისი მიწები მაინც გააჩნია. დ. ბაქრაძის აღნიშვნით, „მაშინაც კი როცა კალაში მშენებლობისათვის არა აქვთ მასალა, წმინდა კვირიკესა და ივლიტას მონასტრის კუთვნილ ტყეს ხელს ვერავინ ვერ ახლებს. საეკლესიო მიწაზე

ტყის მოჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოჭრილი მასალა განკუთვნილია ეკლესიის მშენებლობისათვის.“ [12,51]. მისივე ცნობით, აღნიშნულ მონასტერს და მრავალ სხვასაც ჰყავს თავისი გლეხები – დაბეგრძილი ეკლესიის სასარგებლო გადასახადებით [12,52].

საინტერესო ცნობაა დაცული გაზეთ „დროების“ მიერ, რომ სვანეთში გარდა შერვაშიძეებისა, რომელთაც გადმოცემა მიაწერს შალიანის ანუ შალიანის ხატის მოტანას სვანეთში, ეკლესიაში შალიანის ხატზე დაფიციების წინ ეკლესიისათვის უნდა მოეყვანა ერთი ძროხა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა უფლება დაეფიცებინა“ [145, №8].

დ. დობროვოლსკის აღწერით, „ეცერში სოფ. ბარში არის წიწვიანი საუკეთესო ტყე, სადაც ხეები ბერდებიან და ლპებიან. ეს ტყე ეკუთნის ეკლესიას. ამ ტყით სარგებლობასა და ყიდვასაც კი ცოდვად თვლიან. ამ ტყის მოჭრა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო სარგებლობისათვის“. მისივე აღნიშვნით, ასეთი ნაკეთები საეკლესიო მიწებისა, სვანეთში საკმაოდ ბევრია“ [8,198]

საეკლესიო ტყისადმი ასეთი დამოკიდებულების პრინციპმა ბევრი სტუმარი, თვითმხილველი, დამკვირვებელი გააოცა, მათ შორის ბატოლომეიც [146,15-16].

როგორც ზემოთ მოტანილ ცნობებიდან ჩანს, ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ტყისა და მიწისადმი სვანეთის მოსახლეობის დამოკიდებულება ერთნაირია სებატონო და თავისუფალ სვანეთში. საეკლესიო მიწა ხელშეუხებელია როგორც ერთგან, ისე მეორეგან, ეს, ერთის მხრივ, რელიგიურ რწმენასთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც ჩანს, რომ ეკლესიას საკუთრებაში აქვს ტყე და სახნავ – სათესი, ჰყავს მებეგრე გლეხები.

მართალია, სვანეთის თითოეულ სოფელს თუ თემს ჰქონდა თავისი ეკლესიები, მაგრამ „ლაგურკა“ მთელი სვანეთის უძლიერესი სალოცავი ეკლესია იყო. ექ. თაყაიშვილის თქმით, ეს ისეთივე იყო მთელი სვანეთისათვის, როგორც დელფოს ტაძარი საბერძნეთისათვის. ირკვევა, რომ ამ ტაძარს ასეთივე დიდი გავლენა გააჩნდა ერისთავ გელოვანების დროიდან. XIX ს-ში და დღესაც, ამ ტაძრის მნიშვნელობა ყველასთვის ცნობილია. აქ წყდებოდა სვანეთის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მას მიწები გააჩნდა, როგორც ბალსზემო ისე ქვემო სვანეთშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია, ჩვენის აზრით, სამართლიანი მოსაზრება, რომ „კვირიკესა და ივლიტას მონასტერი ანუ „ლაგურკა“ ყმა-მამულს არა მარტო ადგილზე ფლობ-

და, არამედ მთელ სვანეთში, კერძოდ, ლაშხეთსა და ჩოლურის თემებშიც, ამიტომ, ბუნებრივია, საეკლესიო მიწის მფლობელი ყმა გლეხი სათანადო ბეგარასაც იხდიდა და ეს ბეგარა არ შეიძლება სხვა რამ ყოფილიყო, თუ არა ფეოდალური ბეგარა“ [63,143].

როგორც ჩანს, XIX ს. ბალსზემო სვანეთში მთავარი მწარმოებელი ძალა თავისუფალი გლეხი იყო (რომელსაც კავშირი არა აქვს გვაროვნული წყობის თავისუფალ-მეთემე გლეხთან), ესაა კერძო მესაკუთრე – ინდივიდუალური მიწის მფლობელი, წარმოქმნილი, ძირითადად, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ მესამედში განხორციელებულ ანტიფეოდალური რეაქციის შედეგად. საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ეს იყო პროგრესული ნაბიჯი, რადგან სამეფო ხელისუფლებას მოკლებული, განცალკევებული და მძიმე გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები მცირე მიწიანი სვანი გლეხი უფრო დაინტერესდა საკუთარი მეურნეობის წინსვლით. უფრო დაუკავშირდა ბარსა და გარე სამუშაოს მეოხებით იუმჯობესებდა საკუთარ ცხოვრებას. ებმებოდა და თვითცნობიერდებოდა ფეოდალური ცხოვრების შემდგომ კაპიტალისტურ ურთიერთობათა გზაზე. ამ მოვლენის სწორი შეფასება, პირველ რიგში, მოგვცა გ. გასვიანმა და შემდეგ სხვებმაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში, სვანეთის და, განსაკუთრებით, თავისუფალი სვანეთის საზოგადოებრივი განვითარების აღსანიშნავად მრავალგვარი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებანი არსებობს.

ამჟამად „ქართულ ისტორიოგრაფიაში“ სრულიად სამართლიანად მოიხსნა თეზისი შუასაუკუნეების სვანეთის „გვაროვნულობის“ შესახებ [64,96]. ისიც აღიარებულია რომ „XIX საუკუნის ბალსზემო სვანეთში შექმნილი ვითარება გვაროვნული საზოგადოების უშუალო გაგრძელებას... არ წარმოადგენდა“ და იგი „ანტიფეოდალური რეაქციის შედეგი იყო“ [64,108].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბალსზემო სვანეთის გლეხოზა გარკვეულ გადასახადს უხდიდა გარდაფხაძეებს ლატფარის უღელტეხილით სარგებლობისათვის [47,148].

„კალის თემის ყოველ ოჯახს დადიანის სასარგებლოდ სადადიანო სვანეთის მიწაზე გავლისათვის ლენტეხის მორუავისათვის უნდა მიეცა 2 გირვანქა გვარჯილა“ [40,107]. მოსკოვის არქივში დაცული ცნობის თანახმად, უშგულისა და კალის საზოგადოება უხდიდნენ თავად გელოვანებს თოფის წამალს 2 კათხას რაოდენობით [148,18].

ლატალიისა და ფარის საზოგადოებანი სამეგრელოს მთავარ დ. დადიანს თითო კომლიდან უხდიდა 2 კათხა თოფის წამალს [124,№7410] და სხვ.

ერთი სიტყვით, ბალსზემო სვანეთის გლეხობა მძიმე გეოგრაფიული გარემოს წყალობით, იძულებული იყო გარესამყაროსთან კავშირურთიერთობისათვისაც ეხადა გადასახადი.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ აზნაურთა შინაყმები.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე XIX ს. ბალსზემო სვანეთის სოციალური სტრუქტურა შემდეგნაირად გვესახება.

1. აზნაურები, როგორც პრივილეგირებული და გაბატონებული წოდება;
2. თავისუფალი გლეხობა;
3. დაბეგრული გლეხობა;
4. შინა ყმები.

ასეთია ძირითადად XIX ს. ბალსზემო სვანეთის სოციალური სახე.

5

II ძველთაჲ. სვანეთის ეკონომიკური მდგომარეობა XIX საუკუნეში

§ 1. მიწისმფლობელობა, მიწისმოხარება, მიწისმოხარება, მიწისმოხარება

სვანეთის ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრა შეუძლებელია მისი კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

როგორც პირველ თავში იყო აღნიშნული, სვანეთი თითქმის ყველა მხრიდან მთაგრებიანებით შემოსაზღვრული კუთხეა. საქართველოს სხვა კუთხეებისაგან მისი განმასხვავებელი ნიშანი მაღალმთიანობა და მაღალი ჰიფსომეტრული მდებარეობაა [1,7].

სვანეთთან შედარებით, მისი სამხრეთითა და სამხრეთ – აღმოსავლეთით მდებარე რაჭა-ლეჩხუმის „კლიმატური რეჟიმი რამდენიმედ უფრო კონტინენტურ ხასიათს ატარებს“ [2,149]. თუმცა იქაც დასახლება საქმაოდ მაღალმთიანია. ძირითადად რაჭა-ლეჩხუმში სოფლები 700-დან (მუხლი, გოგოლეთი, წესი და სხვ.) 1000 მეტრის ფარგლებშია განსახლებული [3,10-12]. სხვათა შორის, საკვლევი საკითხის უფრო ნათელი გააზრებისათვის მიზანშეწონილია განიმარტოს, რომ ტერიტორიული მეზობლობის, როგორ-

რაფიული ურთიერთკავშირის, ბუნებრივი და სამეურნეო მსგავსების გამო რაჭა-ლეჩხუმი ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთობლივ რაიონად არიან ჩათვლილი [2,148].

კლიმატურ-გეოგრაფიული და სამეურნეო წარმოების მიხედვით, ქვემო და ბალსქვემო სვანეთი უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს. მათგან გარკვეულწილად განსხვავდება ბალსზემო სვანეთი. აქ კლიმატი უფრო მკაცრია და მეტი რელიეფურობით გამოირჩევა. ბალსქვემო და ქვემო სვანეთში კლიმატი შედარებით რბილია. ეს განსხვავებანი, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად აირეკლება მცენარეულ საფარშიც. ეს განსხვავება საკვლევი და შემდგომი დროის დამკვირვებელთა ყურადღებას იქცევდა. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანის შენიშვნა.

რუსი მოხელე ლობანოვ-როსტოვსკი, რომელმაც 1846 წელს, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ფეხდაფეხ“ მოიარა სვანეთი, ბალსზემო და ბალსქვემო ნაწილთა შორის კლიმატურ სხვაობათა შესახებ ვორონცოვს მოახსენებდა, რომ „40-50 კმ-ის მანძილზე უშკუულიდან ლატალამდე ნიადაგის განოციერებისათვის კლიმატი იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ მის გამოსარკვევად საჭიროა ყოველ ნაბიჯზე ჩაინიშნო განმასხვავებელი თავისებურებანი“ [4, 20]. ვ. ტეპცოვის დაკვირვებით – „სვანეთში შემოსავლის რაოდენობა და მისი ხარისხი უკუპროპორციულია ადგილის სიმაღლისა... ყველაზე ნაკლებ მოსავლიანი უშკულისა და კალის საზოგადოებანი მდებარეობენ მდ. ენგურის სათავეებთან, დაახლოებით 7200 ფუტ სიმაღლეზე, მაშინ, როცა ყველაზე ნაყოფიერი ეცერი და ჩუბეხევი არის მხოლოდ 3200-მდე ფუტის სიმაღლეზე“ [5,26]. მისივე შენიშვნით, ბალსქვემო სვანეთში „ხარობს თბილი ქვეყნის მცენარეულობა“ [5,30]. დ. ბაქრაძის აღნიშვნით, „საბატონო სვანეთი მდებარეობს არაუმეტეს 3000 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ამიტომ აქ ტემპერატურა ზომიერია. აქ თითქმის ყველგან ხარობს სამხრეთის მცენარეულობა... თავისუფალ სვანეთში კი კლიმატი თანდათანობით მკაცრდება და ყველაზე შორეულ თემებში ის იღებს ჩრდილოეთის ქვეყნების კლიმატის ხასიათს“ [6,25]. სახელოვანი მეცნიერი ნ. კეცხოველი, როცა ბალსზემო სვანეთიდან ბალსქვემო სოფ. ლახამულაში ჩამოვიდა, იმდენად კლიმატური სხვაობა იგრძნო, რომ თავის დღიურში ჩაწერა: „თითქოს უეცრად გახურებულ თონეში მოვხვდით, ისეთი სიცხე ვიგრძენით“... იგი მეტისმეტად გააკვირვა ჩუბეხევის სოფლებში ნახულმა, საქართველოს ბარისათვის დამახასიათებელმა მცენარეულობამ [7,92]. ასეთი ფაქტების მოყვანა უხვად შეიძლება, რომლებიდანაც შე-

იძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ სვანეთის რელიეფი იყო ის ბუნებრივად გადაულახავი ძალა, რომელიც განაპირობებდა ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთის შორის სამეურნეო მდგომარეობის მეტ-ნაკლებ განსხვავებლობას და არამხოლოდ აღნიშნულ ერთეულთა განსხვავებლობას, არამედ მთელ იმ თავისებურებათა კომპლექტს, რაც სვანეთისათვის იყო დამახასიათებელი: სასარგებლო სამიწათმოქმედო ფართობის სიმცირეს, ტერიტორიულ დაქსაქსულობას, სამიმოსვლო საშუალებების მოუწყობლობას, ნაკლებ მოსავლიანობას და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის ნაკლებ დონეს, მკაცრ საზამთრო პირობებს, რაც ძირითადად აფერხებდა ბარის რაიონებთან მჭიდრო კავშირს, ამუხრუჭებდა მესაქონლეობის უფრო მაღალ დონეზე განვითარებას და სხვ.

ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებიდან ყველაზე ნაკლებ მტკიცებას მოითხოვს ის ფაქტი, რომ სახნავ-სათესი მიწის სიმცირე დამახასიათებელი იყო როგორც სვანეთისათვის, ასევე რაჭა-ლეჩხუმისათვისაც. მოვიყვანთ მონაცემებს, რომ მთელი სვანეთის ტერიტორია შეადგენს 4841 კვ.კმ-ს. აქედან 1521 კვ.კმ. ეკუთვნის ქვემო სვანეთს, ხოლო 3320 კვ.კმ-ზემო სვანეთს. აღნიშნული მთლიანი ფართობის 45,7% – ტყესა და ბუჩქნარს უკავია. საკმაოდ დიდია გამოუყენებელი მიწის ფართიც. ზემო სვანეთში იგი აღწევს 31,6%-ს, ქვემო სვანეთში კი 21%-ს. „სადოვრების ფართობი მთელს სვანეთში 70000 დესეტიანას აღწევს“ [8,29]. სახნავ-სათესად გამოყენებულია მხოლოდ 4536 ჰა ანუ მთელი ფართობის დაახლოებით 1,1% [1.105]. მაგრამ ასეთ მცირემიწიანობას, მძიმე კლიმატურ პირობებს, სვანეთმა დაუპირისპირა მიწის დამუშავების საოცრად მაღალი კულტურა. აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, სვანეთი ხასიათდებოდა „მაღალი ხელოვნებით შემუშავებული, სასოფლო სამეურნეო წესებით“ [9,67] ადგილობრივი პირობების ფარგლებში, სწორედ ამან განაპირობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე XIX საუკუნისათვის. მიწის სიმცირე ბუნების ნებაა, მაგრამ ბუნების მკაცრი პირობებისა და მიუხედავად, მისგან შესძლო მიიღო ის, რისი მიცემაც კი შეუძლია, ეს არის მიწათმოქმედების დონის განმსაზღვრელი ფაქტორი.

სამწუხაროდ, ზოგ მკვლევარს, სვანეთის მიწათმოქმედების დახასიათებისას, ახსენდება მხოლოდ „სვანეთის მთარეხილებით შემოსაზღვრულობა“, „ჩაკეტილობა“, უმკაცრესი კლიმატური პირობები და სხვ. რის გამოც უყურადღებოდ რჩება ამ მთების შემოზღუდულობის მცირე, მაგრამ გარკვეულწილად გასათვალისწინებელი დადებითი მხარე მეურნეობის გან-

ვითარებისათვის. მკვლევართა მეორე ნაწილს სამართლიანად მიაჩნია, რომ სწორედ გარსშემორტყმული მთები იცავენ სვანეთს „ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან“, ზღვის გავლენის შედეგად „ჭარბგანესტიანებისაგან“ და სვანეთი „საკმაოდ რბილი, უქარო, ზომიერად ნესტიანი ჰავით და სუსტი ყინვებით ხასიათდება“ [2,26]. სპეციალისტების დაკვირვებით, „სვანეთში არ იცის მძლავრი გამყინვარება“, იშვიათია სეტყვა, „გვალვიანობა“, „ქარიშხალი“ და სხვ [8,8]. ბალსზემო სვანეთის მკვიდრის, ცნობილი ეთნოგრაფის ი. მარგანიის შენიშვნით, სვანეთში „სიცოვეები იცის, მაგრამ არც იმდენად სასტიკი, როგორც რუსეთში... დიდ თოვლიანობისას კი მაინცდამაინც სასტიკი ყინვები არ იცის... გვალვა კი ნაკლები მოვლენაა. ნიადაგი მიწისა ბევრგვარია და საზოგადოდ კი ნაყოფიერი“ [10,138]. 1897 წლის „ნოვოე ობოზრენიეს“ №4719-ში სვანეთის კლიმატური პირობები ასევე დადებითად არის დახასიათებული. ნ. ანისიმოვი ხაზს უსვამს რომ, „ზემო სვანეთში მიწათმოქმედებისათვის კლიმატური პირობები გაცილებით უკეთესია ვიდრე მისი ნიადაგები“ [11,60]. ამ მხრივ ნიშანდობლივია აკად. ნ. კეცხოველის დაკვირვება, რომ ზემო სვანეთის სოფ. ლახამულაში ვაზი ზღვის დონიდან 1250 მ. სიმაღლეზე კარგად ხარობს, მაშინ, როცა შვეიცარიაში იტალიური ვაზი მხოლოდ 1150 მ-ს აღწევს [7,92] ასევე შედარებას ახდენს პატივეტყეული მკვლევარი უშგულის პურეულზე და წერს: „აი პურის ნათესიც 2000 მეტრის სიმაღლეზე, შვეიცარიის ალპებში 1800 მეტრზედაც ძლივს მოდის“ [7,114]. არქეოლოგი შ. ჩართოლანის დაკვირვებითაც „მიწათმოქმედების განვითარებისათვის სვანეთში არსებობს როგორც შემზღუდველი, ისე ხელშემწყობი ფაქტორები“ [12,151]. ზემოთ მოტანილი მაგალითებით ჩვენ გვსურს მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ სვანეთში მიწათმოქმედების განვითარებისათვის არსებობდა საკმაოდ შემზღუდველი პირობები, მაგრამ არც ისეთი ძალისა და ფორმის, როგორც ეს ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომშია წარმოდგენილი. ეს რომ ასე არ იყოს, სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელიც იქნებოდა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის მთელ მანძილზე, თვითმპყრობელურ – მზაკრული პოლიტიკით დაგეშილი აგენტ-მოგზაურები, მკვლევარები, ისტორიკოსები და სოფლის მეურნეობის მცოდნე რუსი თუ არარუსი მოხელეებიც კი იძულებული ზდებოდნენ, ელიარები-ნათ სვანეთში მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი დონე, არაჩვეულებრივი კულტურა და მოსავლიანობა. „ლენჩხუმსა და ქვემო სვანეთის მიწების განსაკუთრებულად ნაყოფიერების“ განცხადებამ პირველად 1804 წელს ციციანოვის მიერ ეორონცოვისადმი მიწერილ წერილში გაიჟღერა [13,5].

1834 წ. შტაბსკაპიტანი შახოვსკი თავის პატაკში ბარონ როზენისადმი წერდა: „სვანები ნიჭიერნი და გერგლიანები არიან მიწის დამუშავებაში, რაშიც მათ დიდად გაუსწრეს მათ ირგვლივ მცხოვრებ ყველა ტომს“ [14,467]. ათი-ოდე წლის შემდეგ ლობანოვ-როსტოვსკი აღნიშნავდა, რომ „პურზე სადა-ლიანო სვანები უკმარისობას არ გრძნობენ... აქ ხორბლისაგან არაყსაც ხდიან“ [4.8]. 1858 წელს ლავრენტიევმა შენიშნა, რომ სვანეთში რამდენიმე ადგილის გამოკლებით... პურის თესვა კარგ მდგომარეობაშია. თავისუფალი სვანეთის დიდ ნაწილში, გარდა უშგულისა, ყველგან მოდის ხორბალი, თუმცა ზოგან არა საკმარისად“ [15,85]. ს. ანისიმოვის შენიშვნით, „სვანეთის მთავარი კულტურა არის საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, მეორე ადგილზე ქერი, მესამეზე – სიმინდი.. [11,62]. მისივე გადმოცემით – „თავისუფალ სვანეთში ყოველწლიურად რჩებათ მცირე რაოდენობით ნამეტი პური“ [11,86]; „მათი (სვანების, – ა.გ.) მხარე საკმაოდ ნაყოფიერია. მთელს საბატონო სვანეთში მოდის ყურძენი, ხორბალი, ქერი...“ დასძენს 1864 წ. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე [6,43].

1871 წ. გამოცემულ ნ. დუბროვინის წიგნში ნათქვამია: „სვანები უფრო გადახრილები არიან მიწათმოქმედებისაკენ. მათ თავიანთი მიწები მოვლილი აქვთ და დასვენებული ნაწილი სრულიად უმნიშვნელოა“. სვანეთი საკმაოდ დასახლებული და უკეთესად დამუშავებული მხარეა ვიდრე ბევრი სხვა მთიულეთი. მრეწველობის უკიდურესობამდე სისუსტემ აიძულა აქაური ხალხი ხელი მოეკიდა გამოკვების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებისათვის – მეხორბლეობისათვის და, უნდა ითქვას, მიწათმოქმედთა შრომა კიდევაც ნაზღაურდება საკმარისად. ავტორი იქვე განმეორებით განმარტავს რომ „აქ (სვანეთში, ა.გ.) მიწათმოქმედება არის მოსახლეობის მთავარი სიმდიდრე“ [16,86].

1876 წ. ა. სტოიანოვი შემდეგი სიტყვებით შეაქებს სვანების სამიწათმოქმედო საქმიანობას: „სადაც კი შესძლებს სვანი ფეხი დადგას, იქ ან სახნავია ან სათიბი“... მიწის თითოეული გოჯი დამუშავებულია... ნათესი საუკეთესოა“ [17,391]. 1886 წ. გამოსულ ჟურნალში „ვესტნიკ ვეროპი“, ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი წერდნენ: „სვანეთში ფეხისდასადგმელი ადგილი ან სახნავია, ან სათესი, მთის ციცაბოთა განშტოებებიც კი მოფენილია დამუშავებული მიწის ნაჭრებით. როდესაც ენგურის მჭიდროდ დასახლებული ხეობით მიდინარ და შენს თვალწინ ხედავ შემოღობილ და საგულდაგულოდ მოვლილ მიწის მცირე ნაკვეთებს, გეჩვენება, რომ იმყოფები მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში“ [18,591].

ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობის განყოფილების ვიცე-პრე-

ზიდენტის ს. ხოჯაევი, 1894 წ. თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „მე ვიყავი სვანეთში მიმდინარე წლის ბოლოს და ვნახე რიგი საზოგადოების მომცრო მინდვრები... რომლებიც დამუშავებულია ისე როგორც საჭიროა. შეტანილია ნაკელი, შემოღობილია ერთმანეთზე დაწყობილი ქვის ღობით. მიწის არც ერთი გოჯი, რომლის დამუშავებაც კი შესაძლებელია არ არის დარჩენილი დაუშვავებლად. ვინც ნახა ყველაფერი ეს და დამატებით ისიც იცის, რომ სვანი მიდის ათეული თუ ასეული კმ-ს, რომ იშვოვოს და მერე ზურგით მოიტანოს მარილი და რკინეული, ის ალბათ ვერ გაბედავს უწოდოს მათ ზარმაცები“ [19,3473]. იგივე აზრია გატარებული 1897 წლის „ნოვოეობოზრენიეს“ ერთ-ერთ ნომერში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ სვანები მიწას ნაკელით ანაყოფიერებენ და არა აქვთ დამსვენებელი მიწები. რომ იქ ყანა ყოველწლიურად მუშავდება [20,4719]. 1911 წ. ე. კალვეიტმა, რომელიც საკმაოდ კარგად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის საკითხებში, შენიშნა რომ „სვანეთში მოგზაურობისა და დათვალიერების დროს ჩემი პირადი დაკვირვებით მე შემიძლია ვთქვა, რომ ცუდი ნათესები იშვიათია, თითქმის ყველა სახნავი, რომელიც დავათვალიერე, ახდენდა ისეთ სასიამოვნო შთაბეჭდილებას, რომ მოსალოდნელი იყო სრულიად დამაკმაყოფილებელი, ანდა ძალიან კარგი მოსავალი“ [8,20]. მისივე აღნიშვნით, „სვანეთში მიწას ანოყიერებენ ორჯერაც და სამჯერაც კი“ [8,21].

3. პანიუტინის დაკვირვებით – „მთელი სვანეთი წარმოადგენს... დამუშავებულ ხეობას... თითოეული გოჯა მიწისა გამოყენებულია და ძვირადაც ფასობს“ [21,16] ს. ანისიმოვი წერდა: „სვანები უძველესი მიწათმომქმედი ხალხია. თავიანთ ჩაკეტილ ქვეყანაში მათ შექმნეს მიწათმომქმედების კულტურა... ისინი „უხსოვარ დროიდან თესდნენ როგორც საგაზაფხულო ისე საშემოდგომო ხორბალს, ჭვავს, შვრიას, ქერს, ფეტვს“ [11,59-63]. მისივე დაკვირვებით, „სვანეთში სამმინდვრიანი სისტემა“ [11,64]. ცნობილი მკვლევარი პროფ. გ. გასვიანი წერს: „ვარგისი მიწის სიმციროს გამო, სახნავად გამოიყენებოდა არა მარტო ვაკე და შედარებით ფერდობი ადგილები, არამედ ვიწრო ხეობათა დაქანებული მცირე ფერდობებიც... მცირე მიწიანობა და მეტადრე სახნავი მიწის სიმცირე გლეხობას აიძულებდა ყველაფერი ეღონა მიწათმომქმედების მაღალი კულტურისათვის... ეს კუთხე ცნობილია მრავალმინდვრიანი სისტემის არსებობით. მართალია, მცირემიწიანობის პირობებში მიწის დასვენებას ნაკლებად ეწეოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ თესლობრუნვის სისტემას გლეხები საუკეთესოდ იყვინენ დაუფლებულნი“ [22,22-23].

მაღალმთიანი სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურის დონის დახასიათებისას მკვლევარი გ. ძიძიგური შენიშნავს: „ასეთი დონე არათუ იმავე, არამედ გაცილებით უკეთეს გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობის კავკასიის მთიანეთის არც ერთ რეგიონში არ დასტურდება. სვანების ცნობილი „მოსარეწელად სიარულის“ შედეგად ბარის მეურნეობის ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები იმთავითვე ცნობილი ხდებოდა მაღალმთიანი სვანეთისათვის. ამ გზით სვანები ამდიდრებდნენ არა მარტო საკუთარ სამეურნეო გამოცდილებას, არამედ სრულიად ბუნებრივად ხელს უწყობდნენ აღნიშნული გამოცდილების გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთაც“ [23,113].

„სვანეთის მოსახლეობამ, როგორც ირკვევა, ადრიდანვე მიაგნო მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელშემწყობ ბუნებრივ და ხელოვნურ საშუალებებს, როგორცაა სამიწათმოქმედო ადგილებისა და ნიადაგების შერჩევა, ახოს ალების გზით მისი ფართობის გადიდება, ნიადაგების დასვენება და ხელოვნური განაყოფიერება, თესლბრუნვა, ხალხური სამეურნეო ფენოლოგია, ხალხური აგრარული კალენდარი და სამუშაოთა თანმიმდევრობის სიზუსტე, ოპტიმალური სამუშაო იარაღები და სხვა საშუალებანი“, – წერს ცნობილი არქეოლოგი პროფ. შ. ჩართოლანი [12,152]. ასეთი შეფასებების მოტანა კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. ყველა ამ ცნობათა მომწოდებელი სვანეთის თვითმხილველია და ისინი დამაჯერებლად მეტყველებენ იმაზე, რომ XIX საუკუნეში სვანეთი მიწათმოქმედების საკმაოდ მაღალი დონით ხასიათდებოდა. ამ საუკუნეშიც, ისევე როგორც წინა პერიოდში, მიწის ნაყოფიერების გასადიდებლად უმთავრესი საშუალება იყო სასუქის-ნაკელის შეტანა. ისტორიული გამოცდილების მქონე სვანი მოსახლეობა ძალზე დაკვირვებულად იცავდა სასუქის შეტანის ვადებს, ნორმებს და ფორმას. იგი მონდომებით ეკიდებოდა ნაკელის შეგროვებას. თითოეული ოჯახის ბოსელს გაკეთებული ჰქონდა ხვრეტილი, საიდანაც იყრებოდა ნაკელი დღეში 2-ჯერ დილა-სალამოს. ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში ნაკელი გროვდებოდა ერთ ადგილას და შემდეგ გაჰქონდათ ყანაში. საარქივო ცნობით, „ერთ დესეტინაზე გაჰქონდათ 1500-დან 2000 ფუთამდე ნაკელი“ [24,37]. სხვათაშორის მკვლევარ ი. ბახტაძის ცნობით, „რაჭაშიც საშუალოდ ერთ დესეტინაზე 1600-დან 2134 ფუთი ნაკელი შეჰქონდათ“ [25,52]. „ნაკელის გატანა ერთ უღელი ხარით 15-30 დღეს გრძელდებოდა“, როგორც სვანეთში ასევე რაჭა-ლეჩხუმშიც [24,37;25,52]. როგორც

სვანეთში, ასევე რაჭა-ლეჩხუმშიც სასუქად შეჰქონდათ ნაკელი, მაგრამ როცა ტყიანი ადგილის ყანად ქცევა ხდებოდა, („მოლაშ ლიკვეშე“ – სვანეთში, „ახალპირის ალება“ – რაჭაში) მაშინ ტყის ნამწვი – ნაცრად ქცეული, ასევე გამოიყენებოდა სასუქად. კალკეიტის დაკვირვებით, სვანეთში სასუქი შეძლებულ ოჯახს – ყოველ წელს, ნაკლებად შეძლებულს – ორ წელიწადში, ხოლო ღარიბებს სამ წელიწადში ერთხელ შეჰქონდათ [8,21]. სხვათაშორის, სვანი გლეხი სასუქის შეტანის პროცესში ერთმანეთისაგან ასხვავებდა მსხვილფეხა და წვრილფეხა (თხა, ცხვარი) საქონლის ნაკელს. თხისა და ცხვრის ნაკელის გატანა ძირითადად თებერვალ-მარტში ხდებოდა, უფრო ადრე ვიდრე მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, რადგან ის უფრო მჩატე იყო და თოვლშიც კი ხერხდებოდა მისი გატანა. საერთოდ კი დიდთოვლიანობის პირობებში ბოსლიდან ყანამდე ხდებოდა გზის გაკვალვა ხარ-ულლით გასატანად და შემდეგ დანიშნულ ადგილას მიტანილს, მიმოაბნევდნენ თოვლზე ზემოდან, რაც, ერთის მხრივ, აჩქარებდა თოვლის დნობას, ხოლო, მეორეს მხრივ, დნობის პროცესში მიწა ადვილად შეიწოვდა მას. სვანეთში მიწათმოქმედების თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს თოვლის დნობის დაჩქარება მიწის თოვლზე მიმობნევის საშუალებით. ეს ასე ხდებოდა. ზამთრის დადგომამდე ყანებში ზვინავენდნენ მიწას, შემდეგ ადრე გაზაფხულზე მას, ისევე როგორც ნაკელს, მიმოაბნევდნენ თოვლზე, რაც მალე აღნობდა თოვლს. ამ პროცესს სვანეთში „ლიდსვე“ ეწოდებოდა.

XIX ს. სვანეთში მიწათმოქმედებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ყველა სახის იარაღი რაც საჭირო იყო, ადგილზევე მზადდებოდა. „ლანწუიშ“ – სახვნელი, „მგკრა“ – სახნისი, „ულვა“ – ულელი. ეს უკანასკნელი რამდენიმე სახის იყო. მისი სიგრძე განსხვავდებოდა იმის მიხედვით, თუ რა სახის მიწა იხვნებოდა, ფერდიანი, უფერლო, ჩვეულებრივ სახნავი თუ საზიდი და ა.შ., „ნაშოქ“ ანუ „ნაშდაქ“ – ნამგალი, „ბარ“ – ბარი, „ბერგ“ – თოხი, „ლაჭადი – ფარცხი“, „კაუირ“ – კევრი, „კაჰდა“ – ნაჯახი, „გაჩ“ – დანა, „მერჩილ“ – ცელი, „წაკატ“ – წალკატი და სხვ. მრავალი.

XIX ს. სვანეთში, რაჭასა და ლეჩხუმში, მთავარი გამწვევი ძალა იყო ხარი. კამეჩი და ცხენი ზენა-თესვის პროცესში აღნიშნულ რევიონებისათვის არ იყო დამახასიათებელი. ცხენი, ჯორი და ვირი გამოყენებული იყო მხოლოდ აკიდულ ტვირთსაზიდად. გადასაზიდად გამოიყენებოდა ადგილობრივად დამზადებული „სავ-ჩავ“ – მარხილი და ძარი – გადაზიდვის ბორბლიანი სისტემა დას. საქართველოს მთიანეთში არ იყო ხმარებაში.

ბალსქვემო და ქვემო სვანეთში გამოყენებული იყო ნაძვის („ლუმრიშ“) ხისაგან დამზადებული სარის ღობე, რომელიც ხელსაყრელი იყო ყანების ძნელად დასაცავ ადგილების შემოსაღობავად [26,370-371]. ყანები საგანგებოდ იყო დაცული პირუტყვისაგან. ყანა ყოველწლიურად ორჯერ სუფთავდებოდა ქვებისაგან. ს. ანისიმოვის აღნიშვნით, „სახნავ მიწას სვანები „უვლიან საგულდაგულოდ: აგროვებენ რიყის ქვებს, კენჭებს, წვრილქვებს, წმენდენ მათ ჩამონაწოლ-ჩამონანგრევებისაგან, ღობავენ, გააპატივებენ, ზოგ შემთხვევაში გაპყავთ მათზე სარწყავი არხები, რწყავენ, წმენდენ მანვე მცენარეებისაგან“.. [11,69-70].

სვანი გლეხი საგანგებო ყურადღებას აქცევდა თესლბრუნვის საკითხს, რომლის ადრინდელ პერიოდში გამომუშავებული წესი XIX ს-შიც ძალაში რჩებოდა. საარქივო ცნობით, „სასუქით განოყიერებული ნაკვეთები მუშავდებოდა ყოველწლიურად. ამასთან, პირველ რიგში, ითესება სიმინდი (სადაც ის მოდიოდა), მეორე წელს საზაფხულო ქერი და მესამე წელს საზამთრო ხორბალი. გაუნოყიერებელი მიწის ნაკვეთები ითესება: 1 წელს – ქერით, მეორე წელს – ისევ ქერით, ან უმეტესად ხორბლით. მესამე წელს ტოვებენ დასასვენებლად, მე-4 წელს მიწა იხვნება, მაგრამ არ ითესება. მე-რე მე-5 წლიდან კვლავ ხნავენ და თესავენ იმავე წესით“ [27,37].

ახლა მოვუსმინოთ ს. ანისიმოვის: „სვანები არახელსაყრელ ნიადაგის და პრიმიტიულ იარაღის პირობებში იღებენ არანაკლებს, პირიქით, მეტ მოსავალს, ვიდრე ჩვენ შავი ზღვის ზოლში. ამასთან სვანური მემინდვრობის სისტემა თავისთავად იოლად ვითარდება. აქაც სამმინდვრიანი სისტემაა. (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.). სასუქი ეყრება მიწას 3 წელიწადში ერთხელ. მთელი ნაკელი გააქვთ ყანაში. სასუქიან ნაკვეთზე ითესება ხორბალი, მეორე წელს მას ცვლის ქერი ან ჭვავი, მესამე წელს იმავე ნაკვეთზე ვიწრო-ზოლებად ითესება – კარტოფილი, სიმინდი ან ფეტვი და ცეროვნები“ [11,70]. მისი დაკვირვებით, აქ „სამმინდვრიანი სისტემა“ [11,64].

აგრონომი დ. ღობროვოლსკი, რომელიც 1868 წ. ჯერ კიდევ სვანეთში ბატონყმობის გაუქმებამდე სტუმრად იყო თენგიზ დადიშგელიანთან, წერს: „თენგიზი კარგი მეურნეა, რომელიც ეწევა შემდეგნაირ თესლბრუნვას: 1) საშემოდგომო ხორბალი აუცილებლად სასუქმეტანით; 2) ქერი..., 3) ფეტვი ან ცერცვი..., თესლბრუნვა სამმინდვრიანია შესუვენებლად“ [28,187] ამავე დროს იგი, როგორც სპეციალისტი სოფლის მეურნეობის დარგში, ხაზს უსვამს – „სვანეთში სახნავი და სათიბი მიწების ბრწყინვალე კულტივირებას“ [28,185].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მიწის დამუშავების ყადრი სვანმა მეურ-
ნემ კარგად იცოდა საახლო მიწათმოქმედების შემთხვევაშიც. გ. ჯალაბა-
ძის დაკვირვებით, ახლად გატეხილ ნაკვეთზე „პირველ წელს, როგორც წე-
სი, ქერს ან სიმინდს თესავდნენ... მომდევნო წლებში უკვე პურს დათესდნენ.
ახალი მიწა 5-6 წელს კარგ მოსავალს იძლეოდა, შემდეგ დასვენებას საჭი-
როებდა. მისი ხანგრძლივობა პატრონის შეძლებაზე იყო დამოკიდებული“
[29,12-13].

პროფ. გ. გასვიანის შენიშვნით: „ეს კუთხე (სვანეთი, ა.გ.) ცნობილია მრავალ-
მინდვრიანი სისტემის არსებობით“ [22,22-23]: ა. ჩარკვიანის აზრითაც
„ჯერ კიდევ რეფორმამდელი ხანის სვანეთში, როგორც წესი, სამმინდვრი-
ანი სისტემა არსებობდა, ხოლო რეფორმის შემდეგ მრავალმინდვრიანი სის-
ტემის არსებობა დასტურდება“ [30,127]. იმავეს იმეორებს ქვემო სვანეთის
წარმომადგენელი ს. გასვიანი [31,74]. სვანეთში „სამმინდვრიან თესლბრუნ-
ვას“ აღნიშნავდნენ ი. ივანიუკოვი და მ. კოვალეცკიცი [18,531].

„ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ქვემო სვანეთში
ხორბალს თესავენ როგორც საგაზაფხულოს ისე საშემოდგომოს. საგაზა-
ფხულოს უწოდებენ „კვეცენს“, საშემოდგომოს „ხუგულს“. ასევე ორნაირი
ხარისხის ითესება ფეტვი, ქერი, ოსპი. სიმინდი მოყავთ სამი ხარისხის: „ოდე-
სა“, „გრანცია“, „მახურულა“ და სხვ [32,2303]. იმავეს იმეორებს ნ. დუბ-
როვინი [16,86], რ. ერისთავის შენიშვნით, „თუ სვანს აქვს 10 ქცევა მიწა,
მაშინ ის ანაწილებს სათესს მიწას. ერთ ნაწილში თესავს ხორბალს, მეო-
რეში – ცერცეს. მესამეში – ჭვავს, შემდეგ ქერს და ა.შ.“ [33,24]. იმავეს
იმეორებს ბ. ნიჟარაძე [34,64].

აკად. ნ. კეცხოველი წერს: „დღემდე გამეგონა: სვანეთში ქერის მე-
ტი არაფერი მოდისო. მაგრამ ეს მართალი არ აღმოჩნდა. არა თუ ქე-
რი, არამედ აქაურ პურის ნათესებში თხუთმეტი სხადასხვა ჯიშის
პური დავთვალე, მათში შავი დიკაც, რომელიც საქართველოს სხვა
ნაწილში იშვიათია, ხოლო საქართველოს გარეთ არსად მოიპოვება“
[7,86]. სახელოვანი მეცნიერის ამ განცხადებას ადასტურებს არქეოლოგი-
ური მონაცემებიც. „ყურადღებას იქცევს ის გარემოება, – წერს პროფ. შ.
ჩართოლანი, – რომ სვანეთმა „მახას“ გარდა თითქმის დღემდე შემოგვინახა
ძველი ხორბლეულის ზოგიერთი სახეობა. მაგალითად: დიკა, დოლისპური,
ჭვავი, ფეტვი და სხვ. სვანეთის ყანებში დიკას თითქმის ყველა ცნობილი
სახეობაა დამოწმებული“ [12,154]. ჯერ კიდევ ვ. ბატონიშვილი გვამცნობ-
და რომ „უბასა სთესენ სამეგრელოსა სამთავროსა სვანეთსა, აქვს ნაყოფი

მომცემლობა უხვი ერთი ათად“-ო [35,148].

პროფ. მ. გეგეშიძის აღნიშვნით – „ზემო სვანეთის მოსახლეობის უძველეს საქმიანობას მიწათმოქმედება შეადგენს_ ხანგრძლივი დამუშავების შედეგად სახნავ ნაკვეთებში ჩამოყალიბდა ე.წ. გაკულტურებული ნიადაგები, რომელზედაც ადამიანს შედარებით მრავალმარცვლოვანი და ამასთან მაღალი მოსავალი მოჰყავდა“ [36,114].

სვანეთის სამიწათმოქმედო სისტემაში: გარკვეული როლი ეთმობოდა მოწრყვას. აკად. ნ. ბერძენიშვილი სვანს ახასიათებდა როგორც „არხის ოსტატს“ [37,430], როგორც „სამეფო არხების გაყვანის ოსტატს“ [37,438]. მ. გეგეშიძე წერს, რომ „ზემო სვანეთში, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, მორწყვა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მისი წარმოების წესები და ხერხები ხალხის საფუძვლიან და ხანგრძლივ საწარმოო ცოდნა-გამოცდილებაზეა დამყარებული“ [36,117].

როგორც საარქივო, ასევე სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, როგორც წინა ეპოქებში, ასევე XIX ს-ში, სვანეთში არსებობდა სარწყავი მიწათმოქმედება. მკვლევართა გარკვეული ნაწილი საეჭვოდ მიიჩნევს ამ მოსაზრებას, ზოგს სარწყავი სისტემის არსებობა „აბსურდადაც“ ეჩვენება. მოუხმთ ფაქტებს. სვანეთში „მორწყვა საუკეთესოდაა“ – წერდნენ ი. ივანიუკოვი და მ. კოვალეუსკი [18,591]; დ. დობროვოლსკი წერდა: „მუჟალში... სარწყავი არხები გეგმაზომიერია“ [28,163], მესტიაში, „ძალიან ბევრია საუკეთესოდ მორწყული მდელოები. წყალს იღებენ დიდ ნაკადულიდან, რომელიც მოედინება მთავარი ქედის დასავლეთ ფერდობიდან. არხი გამოყვანილია 4 კმ-ის სიგრძეზე. სხვათაშორის ერთ-ერთი არხი გაყვანილია ძალიან მთაში, რომელიც რწყავს მუჟალის 4 კმ სიგრძისა და 2 კმ სიგანის სათიბებს“ [28,164-165]. სვანების მორწყვის ხელოვნებას იგი ასე აფასებს: „მდელოები ირწყვება. მათი სიბრტყეები გადასერილია დიდი და პატარა არხებით, რომლებიც მოხერხებულად ანაწილებენ წყალს. ჩანს მორწყვის დიდი ხელოვნება ამ ქვეყანაში (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.)_ რაც იძლევა ორჯერ კარგ მოსავლის მოთიბვის საშუალებას“ [28,191]. მისივე დაკვირვებით, „მოსარწყავ წყალს იღებენ მთის წყაროებიდან და გამოჰყავთ არხებით 3 კმ-ზე. არხი ზოგჯერ გადაყავთ ერთ მთიდან მეორეზე. ქვებს ისე მოხერხებულად უდებენ, რომ არხს მიჰყვება შუკაც. ხის ღაროებს იშვიათად თუ გამოიყენებენ_ წყლის სიმცირის შემთხვევაში არხით სარგებლობენ რიგ-რიგობით. ჩვეულებრივ წყალი გამოჰყავთ გამოსაყენებლად უვარგის ადგი-

ლებით ან დამუშავებულ ნაკვეთების საზღვარზე ან პირდაპირ გზაზე. ასეთი ფორმითაა გამოყვანილი არხებიც. მე კვითხე თუ რა უფლებით გააჰყავთ არხები სხვის ტერიტორიაზე და პასუხი ასეთი იყო: ეს სარწყავები ძველთა ძველია (ზაზგასმა ჩემია, ა.გ.) და მათზე უარს ვერავინ იტყვის, მაგრამ ახალი არხები გამოგვყავს მხოლოდ შეთანხმებით... ყველაზე კარგი სარწყავები რთულ სისტემით ვნახე მესტიაში, იქ მდებლობეც საუკეთესოა“ [28,192]. დ. დუბროვინი იყო აგრონომი, ამავე დროს თივთმხილველი ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა XIX ს. 60-იან წლებში. ამავე საუკუნის 90-იან წლებში „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთ კორეესპონდენციაში ვკითხულობთ: „სვანეთი ძალიან მდიდარია სარწყავებით“ [20]. სხვა ნომერში კი ნათქვამია: „მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს სვანეთში, განსაკუთრებით სიმინდის, ფეტვის, ოსპისა და მდელოებისათვის. საბატონო სვანეთში პურეულიდან მორწყვას მოითხოვს მხოლოდ ფეტვი და ოსპი, რწყავენ, იმისდამიხედვით თუ რა დონის სიმშრალეა – ერთ ან ორჯერ ზაფხულში“ [32].

არქეოლოგი პროფ. შ. ჩართოლანის შენიშვნით, „ფეტვის კულტურის გავრცელება სვანეთშიც ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპიდან შეიძლება ვიგულისხმოდ“ [12,156]. თუ ეს ასეა, და გავითვალისწინებთ მისსავე განცხადებას, რომ „სვანეთში ფეტვის ხელოვნური მორწყვის ფესვები მეტად შორეულ წარსულში მოჩანს“ [12,9], მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ კულტურის მორწყვასაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ე. კალვეიტის მიხედვით, სვანეთში „საუკეთესო მდელოები განეკუთვნება ცენტრალურ სვანეთს – განსაკუთრებით კი მულახს, მესტიას და ნაწილობრივ ეცერის საზოგადოებას... მათი მორწყვა ხდება საგანგებო მონდომებით [8,26-27].

გ. გასვიანის სამართლიანი შენიშვნით: „სვანეთში სოფლის მეურნეობის ინტენსიურ ზასიათს ოდითგანვე ადასტურებს უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი სარწყავი სისტემის ნაშთები, რომლებიც თითქმის ყველა თემში გვხვდება“ [22,31]. მისივე დაკვირვებით, სვანეთში, XIX საუკუნეშიც არსებობდა სარწყავი სისტემა“ [22,32]. მართლაც, გ. რადემ „ბრწყინვალე სარწყავები“ ნახა (1866 წ.) სოფ. ლახამულაში და ეს იმ სოფელში, რომელიც მიწის სიმცირეს მეტისმეტად განიცდიდა [38,154]. ზემო სვანეთის უკიდურეს დასავლეთით მდებარე სოფ. ილლიანში (ისტორიულად აქ უძველესი დასახლება ყოფილა), რომელიც XIX ს. პირველ ნახევრის პირმშოა, დღესაც შემორჩენილია სარწყავი არხის ნაშთები. მკვლევარი ნ. დევიძეს ცნობაც ამასვე ადასტურებს რომ „სათიბ-საძოვრების მორწყვა სვანეთში, ხელოვნური არხების საშუალებით წარსულშიც იყო გავრცელებული, გან-

საკუთრებით მდინარე ენგურის შუა და ქვემო წელში“ [39,107].

მკვლევარ დ. ონიანის ცნობით, „სვანეთში მაღალ ღონეზე იღვა მორწყვის კულტურა, რომლის ტრადიციებიც სვანებს ძველთაგანვე მოსდევთ“ [40,17]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სათიბებში სასუქის შეტანა, გარდა მათზე პირდაპირი დაყრისა, წყლის მეშვეობითაც ხდებოდა, რისთვისაც წინასწარ მზადდებოდა ორმოები იმ სათიბების სათავეებში, რომლებშიც უნდა შეეტანათ სასუქი, ჩააყენებდნენ მასში წყალს, რომელშიც ხსნიდნენ ნაკელს, შემდეგ წყალს ორმოს გავლით გაატარებდნენ სათიბებში და ამ ფორმით წესრიგდებოდა სასუქის შეტანა. ერთ-ერთ წყაროს ცნობით – „უხვად მორწყვა, სადაც ის გამოყენებულა, იძლევა ორჯერ მოთიბვის საშუალებას. ერთს ივლისის დასაწყისში, მეორეს 15 აგვისტოდან. 1 ცხვადიშზე თიბავენ, თითოეულ თიბვისას, ორ-სამ მარხილს – თითოეულს 7-8 ფუთი წონით. ასე, რომ ცხვადიშზე ორჯერ მოთიბვა იძლევა 30-40 ფუთს მთის თივას“ [41, №2322]. მ. გეგეშიძის აღნიშვნით, „აქაურ სათიბებში ერთი გაზაფხულის განმავლობაში, როგორც წესი, ორი მოსავალი აიღება, ცალკეულ შემთხვევაში სამიც. ამ გარემოებას კი მხოლოდ მორწყვა განაპირობებს“ [36, 117]. მისივე ცნობით, მესტიის, მულახის და ეცერის სათიბები ირწყვება, ხოლო სარწყავ სათიბებში ზაფხულის განმავლობაში ბალახი ორჯერ ითიბება [36, 114]. მკვლევარის შენიშვნით, მორწყვა არ ხდებოდა მხოლოდ კალასა და უშგულში [36, 120]. ნ. კეცხოველმა მესტიიდან მულახისაკენ მიმავალმა დაინახა „მთის წვერზე გამოყვანილი არხი, რომლითაც „მულახის მინდვრები და სათიბები ირწყვებოდა“, აღნიშნა: „მართლაც თუ არ ცხოვრების დიდი სიღუბჭირე სხვა ვერაფერია აიძულებდა კაცს, რომ ამ სიმაღლეზე და უსიერ კლდეზე ყოველივე გამოეზომა და არხი გაეჭრა“ [7,110].

ზემოთ მოტანილი ცნობების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში სარწყავი მიწათმოქმედების და მისი სისტემის, თუნდაც გადმონათობის სახით არსებობა, არც ისე „აბსურდულია“, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება [29,36].

ახლა შევეხოთ მიწათმოქმედების შედეგიანობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, საგაზაფხულო ხორბალი ორი ჯიშისა იყო: „ხილკულ“ და „ლიცხაკულ“. მათ „ერთ ცხვადიშში თესდნენ 2 1/2 ფუთს და იღებდნენ 4,5 კვიდოლს [42] ე.ი. 12-15 ფუთს – 5-ჯერ მეტს. საშემოდგომო ხორბალი „კვეციენ“ უფრო შემოსავლიანი იყო. მას ერთ ცხვადიშზე თესდნენ 3 ფუთამდე და იღებდნენ 18-20 ფუთს. ე.ი. 6-7-ჯერ მეტს. ფეტვს თესავენ 1/2 ფუთს ცხვადიშზე და იღებდნენ 7-8 კვიდოლს ე.ი. 8-9-ჯერ მეტს. ქერი 1 ცხვადიშ

მიწაზე ითესებოდა 1 კვილოლი და იღებდნენ 6-7 კვილოლს, მუხუდო 2 კვილოლზე იძლეოდა 7-8 კვილოლს და სხვ [41].

სანკტ-პეტერბურგის არქივში დაცულ ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, სვანეთში თითოეულ დესეტინა მიწაზე მოდიოდა 96-115 ფუთამდე ხორბალი, 115-იდან 134 ფუთამდე ქერი, 144-დან 172 ფუთამდე სიმინდი, 96-დან 115 ფუთამდე ფეტვი [43,216]. XIX ს. 90-იანი წლების სვანეთის ეკონომიკური ნარკვევის ავტორის გადმოცემით ირკვევა, რომ ცალკეული კულტურების მიხედვით ზემო სვანეთში აღებული მოსავალი თესლს აღმატებოდა: საშემოდგომო ხორბალი – 9-ჯერ, ჭვავი – 3-ჯერ, საგაზაფხულო ხორბალი – 4-ჯერ, შვრია – 4-ჯერ. ქერი – 9-ჯერ, სიმინდი 11-ჯერ [20].

სვანეთის მკვიდრი დ. მარგიანის ცნობით, ხორბალი თესლთან შედარებით იძლეოდა 5-6-ჯერ მეტს, ქერი 8-10-ჯერ მეტს, ცერცივი 8-12-ჯერ მეტს [44,72]. შედარებისათვის საინტერესოა ი. მეუნარგიას ცნობა, რომ „ზემოსა მეგრელიასა ლეჩხუმს ითესებიან ხორბალი შემოდგომისა ტომისანი: ა) იფქლი, ბ) მახა, გ) ზანდური, დ) ხულუგო, ე) ქუბა. იფქლი მისცემს ხუთგზის სიმრავლით და ითესება შემოდგომაზედ. მახა ითესების შემოდგომაზედ და ერთი სამად მზგაესად იფქლისა... ზანდური ითესვის მარტის თვეში... ქერი... ერთს ათ თხუთმეტამდე“ [45,98-99]. რაჭაში მოდიოდა ექვსი სახის პურეული ქერი, ხორბალი, დიკა, სიმინდი, ღომი, ფეტვი. ოთხი სახის ხორბალი: მახა, ზანდური, „ხულუგო“ და პური. სიმინდი 4 სახის: „კომოლა, გრანიცული, „თეთრი“, „მთის სიმინდი“. ეს უკანასკნელი როგორც სვანეთში, რაჭაშიც მთის სოფლებში ვერ ხარობდა. მკვლევარ ი. ბახტაძის ცნობით, „ზემო რაჭაში საშუალოდ ერთ ქცევიდან იღებენ ხორბალს 10-16 კოდს, ქერს 10-12 კოდს, სიმინდს 18-20-ს, ფეტვს 2-8 კოდს... ერთ დესეტინიდან: ხორბალს 53-85 ფუტს, ქერს – 53-64 ფუტს, სიმინდს – 96-106 ფუტს, ფეტვს 10-43 ფუტს. მკვლევარი ასკენის, რომ რაჭაში პური თესლთან შედარებით იზრდება სამჯერ-ოთხჯერ, ქერი – ორჯერ-სამჯერ, სიმინდი კი 30 ჯერ და 40-ჯერაც [25,52-59].

რა თქმა უნდა, ჭარბი პროდუქტის მისაღებად დასავლეთ საქართველოს მთიანეთში ბევრი ხელშემშლელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობდა. ეს განსაკუთრებით ეხება სვანეთს. საკუთარი პურეული, ცალკეული შემთხვევების გარდა, მას ვერ აკმაყოფილებდა და მისი დანაკლისის შევსება უხდებოდა საქართველოს ბარის რაიონებიდან შემოტანით. იგივე მდგომარეობა იყო ზემო რაჭაში. ზემო რაჭა ყოველწლიურად ყიდულობს პურს. უწერა, გლოლა, ჭიორა კარგი მოსავლის დროსაც ცხოვრობენ ნაყი-

დი პურით, რისთვისაც დადინან ქვემო რაჭაში, იმერეთში, კავკასიის იქეთა მხარეშიც კი – აღნიშნავს ი. ბახტაძე [25,60]. ერთ-ერთ საარქივო წერილში, სოფ. ჭიორაში მცხოვრები 50 კომლის წარმომადგენლები, მ. ვორონცოვის ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სწერდნენ: „ამას სოფლისადმი კუთვნილნი სახნავ-სათესნი ადგილნი, შეძკველი თვის შორის ფრიად მცირისა სივრცისა არის მწირე და უნაყოფო... თვინიერ ერთის ქერისა არა რაითმე მოიმუშაების და ესე ქერიცა არის მცირე მოსავალი, რომლიდგანაც ძლიეს შესაძლო არს მივიღოთ ნახევრის წლის საზრდო, ხოლო ხანდისხან ნახევარი წლის საყოფსაც ვერა მივიღებთ... ამისა გამო იძულებულ ვართ არა იშვიათად სვლად სხვადასხვა ადგილებთა შინა საქართველო იმერეთსა და სამადლოდ თხოვნად საზრდოთა...“ [46,4-5]; რა თქმა უნდა, რაჭის ბარის სოფლებში მთლად ასეთი მდგომარეობა არ იყო. რაჭაშიც, ისევე როგორც სვანეთში, ვერტიკალური ზონალობა თავის გამოძახილს პოულობდა.

საკვლევი რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის წარმოსაჩენად ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მიახლოებით მაინც დადგინდეს პურეულის ის რაოდენობა, რასაც იღებდა ერთი სული მთელი წლის განმავლობაში XIX ს-ის სვანეთში.

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, „სვანეთში მცხოვრებ თითოეულ სულს წელიწადში უწევს 9 ფუთი პური. ე.ი. 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე რუს ჯარისკაცს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 22 ფუთი პური წელიწადში“ [41]. იგივე რაოდენობას გვთავაზობს ვ. ტეპცოვი [5,24]. ა. ლავერენტიევის დაანგარიშებით კი საბატონო სვანეთის ერთი მოსახლე წელიწადში ჭამს 2-დან 8-მდე კოდს [47,1255] ანუ საშუალოდ ხუთ კოდს [15,86]. მაშინდელ დროში ე.ი. XIX ს. 60-იან წლებში, ერთი კოდი საშუალოდ უდრიდა 72 კგ-ს. ხუთი კოდი კი 360 კგ-ს. ფუთი უტოლდებოდა 16 კგ-ს. გამოდის რომ ერთი სული სვანეთში წელიწადის განმავლობაში ხმარობდა 20 ფუთზე მეტ პურეულს. პროფ. გ. გასვიანის დაკვირვებით, „თითოეულ სულზე საშუალოდ 10 ფუთი მარცვალეული მოდიოდა“ [22,25]. თუ ამ მონაცემებიდან საშუალოს გამოიყვანთ, მაშინ აღნიშნულ პერიოდში ერთ სულზე შეიძლება ვივარაუდოთ 13 ფუთი პურეული. 13 ფუთი უდრის 208 კგ-ს. გამოდის, რომ წელიწადის 365 დღეში ერთი სულზე იხარჯებოდა 208 კგ, რაც დღეში 0,5 კგ პურს უდრის – დღეში 2 ჯერ ჭამის შემთხვევაში ერთ ჭამაზე 250 გრამი, სამ ჭამაზე 166 გრამი. რაც მძიმე ფიზიკური შრომის პირობებში მყოფ ადამიანისათვის სრულიად არასაკმარისია. სწორედ ეს უბიძგებდა სვანეთის მოსახლეობას გარე სამუშაოზე გასვლით დაეკმაყო-

ფილებინა თავისი ადგილობრივი ტრადიციებისათვის საჭირო მრავალმხრივი მოთხოვნილებანი.

XIX საუკუნის სვანეთში მოჰყავდათ: ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია, ცერცვი, ბარდა, ოსპი, მუხუნლო, კანაფი, კარტოფილი, სიმინდი, ლობიო და სხვ. უფრო მოგვიანებით, ამავე საუკუნის 60-იან წლებიდან სვანეთის ცენტრალურ ზოლის სოფლებში შემოდის: კიტრი, პომიდორი, ნესვი, საზამთრო და სხვა მრავალი სახის ბოსტნეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის დაიმკვიდრა ადგილი იმ აზრმა, რომ XIX ს-ის სვანეთში კარტოფილის, კომბოსტოს, ხახვის, პომიდორის კულტურა შემოიტანეს რუსმა ჯარისკაცებმა. მაგალითად, ა. ლავრენტიევის ცნობით (1858 წ.) „ათი წელია რაც აქ (სვანეთში, ა.გ.) გაეცვენ კარტოფილს“ [15,86]. იგივე გაიმეორეს: (1866 წ.) გ. რადემ [38,68] ნ. კალვეიტმა [8,45], დ. ჯალაბაძემ [29,26], ა. სტოიანოვმა [17,297] და სხვ. მაგრამ კარტოფილის სვანეთში გავრცელებაზე არსებობს მეტად საინტერესო ვარაუდიც, რომელიც ეთნოგრაფ ივ. ქაეთარაძეს ეკუთვნის: „ლინგვისტური და ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გერმანული წარმოშობის სიტყვა კარტოფილი ქართულში შემოვიდა რუსული გზით. ამ კულტურას პირველად უნდა გასცნობოდა საქართველოს მთის (სვანეთი, ხევი, ხევსურეთი) მოსახლეობა არა უგვიანეს მე-18 ს. 90-იან წლებისა“ [48, 333]. მისივე დასკვნით, პომიდორიც ამ დროს ვრცელდება კახეთში და მალე მთელ საქართველოში [48,330]. შესაძლოა ამ ვარაუდმა მომავალ სპეცკლევების პროცესში უფრო დაიმკვიდროს ადგილი, მაგრამ ამჟერად მასზე მსჯელობას ვეღარ გავაგრძელებთ. ცხადი კი ის არის, რომ XIX საუკუნეში კარტოფილი ფართოდ გავრცელდა მთელ სვანეთში და ერთ-ერთი უმთავრესი ადგილიც დაიმკვიდრა. მას ამჟამად თესავენ არა მხოლოდ ბარში, არამედ ტეხენ ყამირ მიწებს მისთვის აღბურ ზონამიც. მოსახლეობა მთის საძოვრებზე საქონლის აყვანისთანავე თესავს მას და შესანიშნავ მოსავალსაც იღებს. სვანეთში წარმატებით მოჰყავდათ და მოჰყავთ როგორც „წითელი“ ასევე „თეთრი“ და ე.წ. სვანური კარტოფილი, რომელსაც „სვანურ ღრმათვალას“ უწოდებენ.

საქართველოში და, მით უფრო სვანეთში, სიმინდის კულტურის შემოტანის დროის ირგვლივ ასევე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ძირითადად მაინც XVII ს. მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ XVII ს-დან სამეგრელოში გავრცელებულ სიმინდის სხვადასხვა ჯიშებს შორის იყო ე.წ. „სვანური ჯიშის“ სიმინდიც [49,63]. როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ქვემო სვანეთში

ადრიდანვე მოჰყავდათ სამი ჯიშის სიმინდი: „ოდესა“, „გრანიცა“ და „მახურულა“. ეს უკანასკნელი ადგილობრივ ჯიშად ითვლებოდა. იგი გამორჩეოდა წვრილი მარცვლით და დროულად მწიფდებოდა. ერთ-ერთი ცნობით, „ზორბლის ალების შემდეგ, ზოგჯერ, ამ ჯიშს თესვენ და ამ გზით მოსავალს ორჯერ იღებენ... ჩოლურში მოჰყავდათ სიმინდის მხოლოდ ეს სახეობა, რადგან აქ დამწიფებას მხოლოდ ეს ასწრებს“ [36]. ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში, კერძოდ, სოფ. ლახამულაში მოჰყავდათ „გრანციის“ ჯიში, რომელიც ტანად მაღალი იყო და 2-3 ტაროს იხამდა. ზემო სვანეთში სიმინდი XIX ს. მეორე ნახევარში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს მთელ ლენკერის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით კი სოფლებში: დიზი, ჯორკვალი, ჭუბერი, ხაიში, ველი, სკორმეთი და იდლიანი. ამ ახლად დასახლებულ (ისტორიულად აქ ძველისძველი ნასახლარები იყო) სოფლებში მიწა ნაყოფიერი და სიმინდის კულტურის მოსაყვანად შესანიშნავი კლიმატური პირობებია. ზემო სვანეთის ბალსზემო ნაწილში ზოგიერთ სოფლებში სიმინდი დამწიფებას ვერ ასწრებდა, ამიტომ ის საბატონო სვანეთში უფრო გავრცელებული იყო. სიმინდთან ერთად მოჰყავდათ ლობიო, კვახი, ზოგან კანაფიც. სიმინდის ნაყოფს ტაროთი ინახავდნენ სასიმინდეებში, დაფქვის შემდეგ კი კიდობნებში. მისგან აშუადებდნენ: მჭადს, ჭვიშტარს, ლომს და სხვ. ის გამოიყენებოდა პირუტყვმოზარდების, ქათმების, ღორების გამოსაკვებად. მისი ღერო („ჭა“) და ფუჩი („ფურჩა“) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკვებს წარმოადგენდა.



არღევან გელოვანი შვილიშვილებთან
(უკანა ფონზე სიმინდის ყანა).

ზორბალთან, კარტოფილთან და სიმინდთან ერთად XIX ს. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქერი, ფეტვი, ჭვავი, ცერცვი, ლობიო, კანაფი. ეს უკანასკნელი სვანეთის „მკვიდრთა ყოფაში ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა“ [50,78]. მას სვანურად „ქან“ ეწოდებოდა. ის სანაკელე ადგილებში, ბოსტნებში ლობის გაყოლებით ითესებოდა. მის თესლს „გიმბაშ“-ს ეწოდებდნენ. მისგან მზადდებოდა საკვები ზეთი. მას იყენებდნენ, როგორც დასალევე ისე წასასმელ წამლების დასამზადებლად. ქანს აცლიდნენ კანს, რომლისაგანაც მზადდებოდა თოკი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სვანეთის მეურნეობაში: მარხილის გამართვა, თივის ზიდვა, პირუტყვის დაბმა, მგზაურობა – ნადირობის თუ ალპინიზმის საჭიროებისათვის. მას იყენებდნენ ძაფის („ქიპ“-ის) მაგივრად ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის და, საერთოდ, კერვის დროს. მისგან მზადდებოდა უხეში ტილო-ესოდენ საჭირო XIX ს. სვანეთში. კანაფს საერთოდ როგორც სამეურნეო, ისე საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. „საკუთარ მოთხოვნილებას გადარჩენილი კანაფი კი ადგილობრივი ბაზარზე გაცვლის ან ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო“ [50,89].

მართალია, მთელს სვანეთში, მითუმეტეს უშგულში, კალაში, იფარის მაღალმთიან სოფლებში ქერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ XIX საუკუნისათვის, როცა სვანეთს ახალი კულტურებიც შემოემატა, გადაჭარბებულად გვეჩვენება პროფ. მ. დუმბაძის განცხადება, რომ „სვანეთში სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით, მარცვლეული კულტურებისაგან უპირატესი ადგილი ჰქონდა ქერს“ [51,57]. ასევე არამართებულაა პატივცემული მკვლევარის მიერ მთელ დასავლეთ საქართველოს ფონზე გაკეთებული დასკვნები სვანეთში მრავალმინდვრიანი სისტემის არარსებობის, აგრეთვე ის, რომ დასავლეთელ გლეხს „საქონლის ნაკელით მხოლოდ საბოსტნე ნაკეთის განოყიერება შეეძლო [51,59] და სხვა, რომელთა შესახებ გზადაგზა გვეჩვენება საუბარი. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჩვენის აზრით, ზემოთ მოყვანილი შესაბამისი ფაქტები ამ მცდარ დებულებათა უარყოფის სანდო ცნობებს შეიცავენ.

სვანეთის ეკონომიკის თავისებურება კარგად მოჩანს იმ ფონზე, რომ მის ცალკეულ კუთხეებში მარცვლეული კულტურების სხვადასხვაობის გარდა, მათი მეტ-ნაკლები ზომით გავრცელება იკვეთება. ზემო სვანეთის ე.წ. უშგულის ზონაში – (უშგული, ადიში, იფარი, კალა) უპირატესობა ეკუთვნოდა: ქერს, ქუბას, ღიკას, ცერცვს. სადაც ბ. ნიჟარაძის ცნობით, „ქერი ეძლეოდა ერთს – ცამეტად – ქუბა ერთს – რვად, ღიკა ერთს – ექვსად“

[52,24]. აქა-იქ ითესებოდა კარტოფილი, ჭლაკვი, ჭარხალი, ნიორი და თუთუნი [52,25]. შესაბამისად ქვემო ანუ „სადადიანო სვანეთის“ ზედა სოფლებში მოდიოდა: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ოსპი, ცერცვი, ჭვავი, სიმინდი-განსაკუთრებით „მახურულა“, კარტოფილი, ლობიო და სხვ. ზემო სვანეთის შუა ზოლის (მულახი-ბეჩო) სოფლებში: საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ფეტვი, ქერი, ლობიო, ჭვავი, შერია, სიმინდი, კანაფი, ბარდა და სხვ. ქვემო სვანეთის ქვედა სოფლებში ძირითად ადგილს იკავებდა სიმინდი, შემდეგ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ლობიო, კარტოფილი და სხვ. სხვათა შორის, რაჭის მთიანეთშიც იგივე კულტურები ხარობდა [25,54]. ზემო სვანეთის უკიდურეს დასავლეთ სოფლებში ლახამულა-ხუდონის ზონაში მოჰყავდათ: ხორბალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი, ლობიო [8,25], კვახი [8,25], მუხულო, კანაფი, ცერცვი, ოსპი და სხვ.

მეზოსტენობა

XIX ს. სვანეთში მისდევდნენ მცირე მეზოსტენობას. მოჰყავდათ „ოხრაზვიშ“ – ოხრაზუში, „ნივრა“ ნიორი – „სოხ“, „ხახვ“ – „ხემად“ – წვრილი ხახვი, ქინძი, ჭარხალი, ქონდარი, კომბოსტო, პიტნა, ბოლოკი და სხვ. აგრონომი დ. დობროვოლსკი, რომელიც სვანეთს 1862 წელს ესტუმრა, წერდა, რომ „სვანეთის ბოქაულს ფარში თავის ბოსტანში ეთესა: კარტოფილი, ჭარხალი, ხახვი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, მზესუმზირა, სალათი, ოხრაზუში და სხვ. ყველაფერი ეს მოდის აქ ძალიან კარგად“ [28,191]. სტოიანოვმა ქვემო სვანეთში იხილა: ხახვი და ქინძი [17,258], ბეჩოში: კიტრი, ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო [17,297] და სხვ. კალევიტმა კი ჩუბებეცში: ლობიო, კვახი, თუთუნი, სტაფილო და სხვ [8,25]. რ. ერისთავმა სვანეთში მეზოსტენობა დაახასიათა, როგორც „პრიმიტიული“, სადაც თესვენ ხახვს, ჭარხალს, ნიორს და სხვ [52,24]. XIX ს-ის შემდეგ მეზოსტენობამ მთელ სვანეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი.

მეზოსტენობას შეიძლება დაეუკავშიროთ და სვანების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დღემდე შემოგვინახეს ველური მცენარეების ისეთი სახეების საკვებად გამოყენება, როგორიცაა: დუცი („ღეჰი“), ბუერა („ბირღუ“), „შიშვილ“ (ტყის ნიორი, სხვანაირად ჯიშვი ან ლანძილი), რომელიც გამოიყენება როგორც საკვებად ისე წამლებისათვის, „ლაკოდა“ – გარეული სტაფილო, „ლეცირ“ (წართხალი), „ჰარდელ“ – ჰარდალი, „მუხთხვალ“ – მუხთხვარი, „ჩიჩვლა“ (ღიცი) და სხვ.

მებალეობა-მევენახეობა

XIX ს. სვანეთში შედარებით ნაკლებ როლს ასრულებდა მებალეობა და მევენახეობა. მაგრამ ამ ორ დარგს თავისებური ისტორია მაინც აქვს. გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ VI ს-ში, როცა სვანეთი ლაზიკის მეფის სამფლობელოს ეკუთვნოდა, „გადასახადის მაგიერ სვანები ყოველწლიურად ზილეულობას (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.), თაფლსა და ნადირის ტყავებს უგზავნიდნენ ზოლმე ლაზიკის ბატონს“ [53,299]. სვანეთის მკვიდრი ივ. მარგინის ცნობით, ყაბარდო-ბალყარეთში, „სვანს მიაქვს მსხლის ჩირი, რომელსაც სვანები „ლუბხველე“-ს ანუ „ლუბადეს“ ეძახიან [10,149]. სხვათა შორის, სვანეთში სახმარად შემოღობული იყო ფქვილი, რომელიც მზადდებოდა პანტა მსხლისა და ვაშლის ჩირის გახმობის შედეგად. ფქვილს ამზადებდნენ მოხარშულ და შემდეგ გამხმარ წაბლისაგანაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სვანური მსხლის ჯიში „ბებანი“, რომელსაც ა. სტოიანოვმა ეცერში ყოფნისას მიაქცია ყურადღება [17,335], საქართველოს არც ერთ კუთხეში არ შემორჩა გარდა სვანეთისა. იგივე ითქმის ვაშლის ერთ-ერთ ჯიშზე „ანთროლ“-ზე, რომელიც კიტრა ვაშლის სვანური ნაირსახეობაა. ის არც სვანეთშია ყველგან. იგი ხარობს ჩუბეხევის და განსაკუთრებით ლახამულა – ხუდონის ტერიტორიაზე. XIX ს. ერთ-ერთ წყაროს ცნობით, „სვანეთში ხარობს და კარგადაც მწიფდება მსხალი და ვაშლი. ეს უკანასკნელი სვანეთში ბევრი ხარობს, მაგრამ განსაკუთრებით ორი ჯიშის, ერთი მსხვილი აღნაგობისა და მომჟეოა, მეორე პატარა, ყვითელი და ტკბილი“ [53]. სვანეთში ვაშლის ერთ-ერთ სახეობას „სანაფს“ უწოდებდნენ. ის მთელს სვანეთში ხარობდა და ხარობს ამჟამადაც. სვანეთში XIX ს-ის მანძილზე ხარობდა ასევე „კაკ“ (კაკალი, ნიგოზი) „ჰებ“ (ბალი), „ქირვად“ (ქლიაი), „ბარყენ“ (ტყემალი) და სხვ. ტყეში ბლომად იყო „ცხეკიშ ჰებ“ (ბალამწარა), „შღიხ“ (თხილი), – ამ უკანასკნელის სახელიდანაა წამომდგარი სოფლების „შღიხირ“-ის სახელწოდებაც; „გვიჯ“ (წაბლი), „ცხეკიშ ანუ „გოწო“ ვისგვ“ (მაჟალო), „ცინყა“ (მოცვი) „ვიღვ“ (მაყვალი), „ბასყ“ (მარწყვი), „მანცხალდ“ (მოცხარი). „წყევ“ (წყავი), „შგერი“ (დეკა), „მევეგმულ“ ანუ „მელგმელ (შალშავი), „ინლა“ (ყოლო), „კვარი“ (ასკილი), „ზუნტი“ (ზღმარტლი), „ცანცი“ (კუნელი) და სხვ. ქვემო ანუ ე.წ. „სადადიანო სვანეთის“ სოფლებში სოგდარი, ჩოლუხი, ხელედური და სხვა, ა. ლავრენტიევის ცნობით, ხარობდა ყურძენი [15, 87].

ს. გასვიანის აღნიშვნით, „მევენახეობა ქვემო სვანეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დარგი იყო. ქვემო სვანებს ვენახები ჰქონდათ ლეჩხუმში“ [31,78], მკვლევარის ეს ცნობა დასტურდება დ. დობროვოლსკის იმ განცხადებით, რომ „ქვემო სვანები აქ (ლეჩხუმში ა.გ.) ყიდულობენ ვენახებს“-ო [28,157]. საერთოდ, ქვემო სვანეთში ხარობდა „ოდესისა“ და „ნაკუტნაურის“ ჯიშები. რაც შეეხება ზემო სვანეთს, იქ ლახამულა – ხუდონის ზონაში ხარობდა ორი ჯიშის ყურძენი ე.წ. „შავი“ და „სვანური“. ამ ფაქტს ადასტურებენ XIX ს-ის მოგზაურ-დამკვირვებლები ნ. ზაიდლიცი [54,226], მ. ფილიმონოვი [55,8], კონდარატენკო [56], ა. სტოიანოვი [17,335]. დ. დობროვოლსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ „ლახამულაში მოჰყავთ ყურძენი და მისგან ამზადებენ მცირედ ღვინოს, თუმცა არა სახარბიელოს“ [28,185] და სხვ.

ს. მაკალათიას გადმოცემით, ქვემო სვანეთსა და ლახამულაში მოდიოდა მსხვილმარცვლიანი მაღლარი ყურძენი, რომელსაც სამეგრელოში „შონური“ (სვანური) ეწოდებოდა [57,189].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „შონური“ ანუ სვანური, რომელიც მთელ სამეგრელოში ოჯალემის სახელით იყო ცნობილი, ღონიერ ვაზს, მაგრამ ნაკლებმოსავლიან ვაზს წარმოადგენს“ [58,464].

საინტერესოა აღინიშნოს რომ სვანეთში – ლენკერის ტერიტორიაზე – აქა-იქ დღესაც კი შეიმჩნევა გარეული ვაზი, რომელსაც ამჟღავნაფიულად უსურვაზი ან კატაბარდა ეწოდება. მაგალითად, სოფ. იდლიანის ერთ-ერთ ადგილას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ფხიჭარს“ უწოდებენ, დღესაც ხარობს კატაბარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყურძნის ჯიშები „ფრანგულა“, „ოდესა“ და „ოჯალეში“, ამ ზონის ყველა სოფელში ამჟამადაც კარგად არის გავრცელებული და საკმაოდ კარგი ხარისხის ღვინოსაც აყენებენ. ლახამულაში ყურძენს საოჯახო მნიშვნელობა ჰქონდა. მას კრეფდნენ „კვიდოლებით“, დაწურვა ხდებოდა საწნახელით ანუ სვანური ენით „უჭნახვ“-ით, ზოგი ხის გომებში („რაც“) წურავდა, რომელსაც ძირში ღვინის გამოსაშვებად ხერელი ჰქონდა. სარწყულად ე.წ. „კათხს“ იყენებდნენ. ვისაც შესანახი ღვინოც მოსდიოდა, ისინი წაბლის ხის ბოჭკებში ინახავდნენ. აქ ღვინოს თავლითაც ატკობდნენ, რასაც „რანგს“ უწოდებდნენ. ნ. კეცხოველი, რომელმაც იხილა სოფ. ლახამულა, წერდა: „არ შევმცდარვარ, როდესაც ხუმრობით ვთქვი: აქ ვაზი იქნება-მეთქი. ამბულატორიის წინ ვაზების მშვენიერი ფანჩატური იყო გამართული – ვაზი მწიფდება და არც იყინება თურმე. ადგილი ამდენი არ არის, თორემ ვენახიც გაშენდებო, – მეუბნებიან – ვაზი იზაბელა აღმოჩნდა. ანეროიდს დაეხედე – 1250 მ. მიჩ-

ვენა. შვეიცარიის ალპებში იტალიის ვაზი 1150 მ-ს აღწევს, ჩვენში კი უფრო მაღლა აღის“ [7,92]. იმავე შინაარსის ცნობებს გვაწვდის ა. კალვეტიც [8,14]. როგორც ირკვევა, სვანეთის ამ უკიდურეს დასავლეთ ნაწილში ვაზი ხარობდა, მაგრამ მის ფართოდ გაშენება-გაფართოებას ისევ მცირემიწიანობა ელოებოდა წინ.

§ 2. მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, ნადირობა, მეთევზეობა

სვანეთის მეურნეობაში მიწათმოქმედებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა მეცხოველეობა. საინტერესო დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ეს დარგი უწინდელი დროის სვანეთში, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საკმაოდ კარგად ყოფილა განვითარებული. რასაც მოწმობს თუნდაც XV ს. ერთ-ერთი საისტორიო ძეგლი – „წიგნი სასისხლო საქმისა ბალას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის“, რომელიც გვამცნობს რომ, მაშინ ბალსზემო სვანეთიდან ლეჩხუმში ერთ ბაზრობაზე 400 ცხენი ჩაიყვანეს [59,31], „ცხრა ჯორი საჩუქრად“ გაუგზავნეს მამია დადიანს ალექსანდრე იმერეთა მეფესთან შუამდგომლობისათვის [59,32], თან სისხლის ფასად გადაიხადეს „სამასი ჯორი, სამასი კარგი ულაყი“ [59,33], „სამასი ნებიერი და ათასი ცხუარი“ [59,34]; თუ რა მდგომარეობა იყო ამ დარგში XIX ს-ში, ამისთვის უპრიანი იქნებოდა სიტყვა XIX ს-ით სვანეთის წარმომადგენლებს მივცეთ. ერთ-ერთი მათგანი ბ. ნიჟარაძე, სვანეთის მესაქონლეობის საკითხს განმარტავდა უშგულის მაგალითზე. „უშგულში, – წერს იგი, – როგორადაც სხვაგან სვანეთში, ჯოგები არ იციან. ამის მიზეზია ხანგრძლივი ზამთარი და თივის სამყოფად ვერ შენახვა, თორემ ზაფხულში უშგულის საბალახოები რამდენიმე ათ ათას პირუტყვს ჰყოფნის... ის უშგულელი ცალკე ცხოვრებას ვერ გაჰბედავს, რომელსაც არა ჰყავს ერთი უღელი ხარი, ერთი ძროხა, და სამი-ოთხი თხა-ცხვარი და ღორი. შეძლებულ ოჯახებს – კი ჰყავთ 10-12 ძროხა. ამდენივე ხარი, 2-3 ცხენი, 30 თხა-ცხვარი და 15-20 ღორი. ამაზე მეტი პირუტყვის შენახვა უჭირს მოსახლეობას ზამთრობით. უშგულში ამჟამად ითვლება (1888 წ. აგ.) 165 საულელე ხარი, 209 მეწველი ძროხა და 52 ცხენი“ [34,71]; ივ. მარგიანის ცნობით, სვანებს „დაუდისთ დიდძალი საქონელი საძოვრად“ [10,184], სამწუხაროდ მას „დიდძალი საქონლის“ ირგვლივ სხვა ცნობები არ მოჰყავს.

ევ. გაბლიანი წერდა: „მესაქონლეობას შეუძლია დაიჭიროს სვანეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ ხანგრძლივი 7-8 თვიანი, სუს-ხიანი ზამთარი, სათიბების სიციწროვე, ბევრს ადგილას სათიბად ვარგისი მთების სიშორე და უგზობა ხელს უშლიან ამ საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებას“ – მიუხედავად ამისა, ღარიბ გლეხს ჰყავს 1-2 ხარი, ორიოდ ძროხა, საშუალოს – 2-3 ხარი, 4-5 ძროხა და მდიდარს – 4-8 ხარი და 7-9 ძროხა“ [60,164].

თანამედროვე მკვლევარ დ. ონიანის შეფასებით, „რეფორმამდელი პერიოდის სვანეთის სახალხო მეურნეობის დარგთა შორის მეცხოველეობას წამყვანი ადგილი ეკავა“ [40,18]. შედარებით განსხვავებული მოსაზრებისაა ა. ჩარკვიანი: „მესაქონლეობა, – წერს ის, – გლეხის მეურნეობაში თავისი ხვედრითი წონით მიწათმოქმედებას თუ არ აღემატებოდა, ყოველ შემთხვევაში არ ჩამორჩებოდა. ეს საერთოდ. ცალკეულ კუთხეებში კი ზოგან ერთი აჭარბებდა, ზოგან მეორე“ [30,127]. გ. გულბანის აზრით, სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მემინდვრეობა, კერძოდ, მარცვლეული კულტურები წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი სოფლებიც იყო, სადაც მეცხოველეობა იდგა წინა პლანზე“ [61,20]. ურყევი პოზიცია ამ საკითხშიც ეკუთვნის გ. გასვიანს, რომელიც თვლის რომ „სვანეთში ბუნებრივ-კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც იზღუდებოდა, მაგრამ მიწათმოქმედება მაინც მეურნეობის წამყვანი დარგი იყო“ [22,30]. იგივე მოსაზრებისაა მკვლევარი რ. კანდელაკი – „XIX საუკუნის პირველი ნახევრის სვანეთში წამყვან და ძირითად დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა... რევოლუციამდე მესაქონლეობა სუსტად იყო განვითარებული“ [62,36,47].

მკვლევარების: პროფ. რ. ხარაძისა და ა. რობაქიძის შენიშვნით, „სვანთა განვითარებულსა და მრავალპროფილიან ეკონომიკურ ცხოვრებაში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ძველად, სვანეთის მაღალმთაში, ისევე როგორც ევროპის ალპებში, მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო“ [63,33]. პროფ. მ. დუმბაძის განცხადებით, „სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობა, რომელიც შედარებით უფრო დიდ როლს ასრულებდა აფხაზეთის სამეგრელოსა და სვანეთის ეკონომიურ ცხოვრებაში“ [51,57]. მკვლევარ ნ. დევიძეს მიაჩნია, რომ სვანეთის „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაპროფილებელ დარგად, როგორც წინათ, ისე ახლაც, მეცხოველეობა დარჩა“ [39,105]. იგივე აზრისაა მკვლევარი ა. თამლიანი [64,25].

ახლა მოვიყვანოთ XIX საუკუნის სვანეთის სტუმარ-თვითმხილველთა მოსაზრებანი, რომელთაგან სვანეთში მესაქონლეობის დონის საკითხს ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ლობანოვ-როსტოვსკი. მოსკოვის არქივში დაცულ მის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო პატაკში, რომელიც 1846 წელსაა დაწერილი, იგი წერდა: „საქონელი სვანეთში, მისი შენახვის სიძნელის გამო საერთოდ ცოტაა“ [65,8]. მისივე აღნიშვნით: „მესაქონლეობა „სადადიანო სქანეთთან“ შედარებით კიდევ უფრო უმნიშვნელოა საბატონო სვანეთში. საგაზაფხულო საძოვრები, განსაკუთრებით კონსტანტინეს მამულში ძალიან ბევრია, მაგრამ საზამთროდ თივის მომარაგება ძალიან მძიმდება, რადგან სათიბები შორსაა და თივის ჩამოტანა მთის ციცაბოებითა და დამრეცი ხეებით თითქმის შეუძლებელია“ [66,9]. იგივე აზრია განმეორებული ამავე პერიოდის სხვა საარქივო საბუთში [67,9]. აღნიშნული საუკუნის 60-იან წლებში დ. ბაქრაძე წერს: „სვანების მთავარი სიმდიდრე მიწათმოქმედებაა“ [6,44]... „მესაქონლეობას ისინი ძალიან ცოტას მისდევენ“ [6,45]. იგივე აღნიშნეს ამავე პერიოდში ე. კოვალენსკიმ [68,126]; ნ. დუბროვინმა [16,86-87]. ე. კალვეიტმა [8,20-21,26-28] და სხვ. ს. ანისიმოვის დასკვნით „Скотоводство до революции давало сванам меньше, чем полеводство, — примерно 40%-ов сельскохозяйственного дохода“ [11, 68]. უფრო ადრე, 1929 წელს, ისევ სვანეთზე გამოშვებულ წიგნშიც ის მიუთითებდა: „Скотоводство стоит здесь намного ниже... и даёт Верхней Сванети, примерно, 2/3 того, что даёт полеводство. Его доля в сельскохозяйственном доходе составляет не более 40%“ [69,71] და სხვ.

როგორც ვხედავთ, მკვლევართა ერთი ნაწილი სვანეთში სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად თვლის მიწათმოქმედებას, ხოლო მეორე კი — მეცხოველეობას, ამასთან ერთად ზოგს მიაჩნია, რომ მესაქონლეობა XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში უკეთესად იყო განვითარებული, ზოგიც კი თვლის, პირიქით — XIX ს. მეორე ნახევარში. გარკვეულ ნაწილს მერყევი პოზიცია უჭირავს. ჩვენ ამ საკითხის ამ ასპექტში განხილვა ე.ი. რომელი დარგი — მეცხოველეობა თუ მიწათმოქმედება — იყო წამყვანი XIX ს. სვანეთში, არა სწორად და არა მართებულად გვეჩვენება. ჩვენ ვთვლით, რომ სვანეთში ეს ორი დარგი ამ რეგიონის ისტორიაში და XIX საუკუნეშიც ტყუპი ძმებით ერთმანეთს ავსებდნენ და უერთმანეთოდ არც ერთ მათგანს განვითარება არ შეეძლო. სვანეთის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ამაში იყო. სხვა საქმე იყო ბარის რაიონებში. იქ მესაქონლეობა და მიწათმოქმედება (მარცვლეულის მოპოვება) შეიძლებოდა ცალ-ცალკე დარ-

გად, მეტ-ნაკლებად, არატოლფასოვნად განვითარებულიყვნენ. ამისი საშუალება იყო, მაგრამ სვანეთში ეს შეუძლებელი გახლდათ. აქ ამ ორი დარგის არსებობაც კი მხოლოდ შერწყმულობით, მხოლოდ ტოლფასოვნად, ერთმანეთის განმპირობებულობით შეიძლებოდა. ამიტომაც პატივცემულ მკლევართა ვერც ერთ მხარეს ამ შემთხვევაში სოლიდარობას ვერ გამოვუცხადებთ. სვანეთში მიწათმოქმედება ავითარებდა მესაქონლეობას და პირიქით. უბრალოდ ავიღოთ ხარის როლი. ის როგორც საქონელი, ამავე დროს მიწათმოქმედების სიმბოლო იყო. მისი როლი სვანეთში მაინც, ამ უკანასკნელის ბართან სუსტი კავშირის წყალობით, ფასდაუდებელი იყო. ის განუყოფლად წარმოადგენდა როგორც ცხოველს, ასევე მიწათმოქმედს. ის იყო გამწვევი ძალა მხენელი, ტვირთშიდავი, რის გარეშეც ვერც თივას მოიმარაგებდი და ვერც მიწას მოხნავდი. ე.ი. ვერც მეცხოველეობა განვითარდებოდა და ვერც მიწათმოქმედება შესრულდებოდა. საერთო ჯამში ადამიანიც ვერ გამოიკვებებოდა. ამიტომაც ხდება ის, რომ მკლევართა გარკვეული ნაწილი მერყევ პოზიციებზე რჩებოდა – ვერ აჩვენებს აშკარა უპირატესობას ორ დარგს შორის.



სვანეთი ზამთარში.

მაინც რა ფაქტორები უშლიდნენ ხელს XIX ს. სვანეთში მესაქონლეობის განვითარებას უფრო მაღალ დონეზე: ეს იყო შემდეგი: ხანგრძლივი ზამთარი (6-7 თვე ბაგური კვება) – საზამთრო საძოვრების არ არსებობა; მცირე სათიბები და მოუხერხებელი გზები, რომლებიც განაპირობებდნენ თივის მოუმარაგებლობას; ზამთარში დაბინავების სიძნელე (სწორედ ამ მიზეზების გამოა, რომ დღევანდელ პირობებშიც კი, შატილში შემოდგომობით, საქონელს ანა-

ხვერებენ, კლავენ და ხორცად აბარებენ, რომ ზამთარში შიმშილით არ დაეხოცოთ). და, რა თქმა უნდა, ბატონყმობის ექსპლუატაციის (გარდა ბალს-ზემო სვანეთისა) მძიმე, უხეში ფორმები, რაც, რიგ შემთხვევაში, პირუტყვის ყოლის ხალისს უკარგავდა გლეხობას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა, სვანეთში, შესაძლებლობის ფარგლებში, მიწათმოქმედების პარალელურად მეცხოველეობაც საკმაოდ კარგ დონეზე იდგა. არაერთი XIX და XX საუკუნეთა მკვლევარი აღნიშნავდა რომ სვანეთში პირუტყვი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. მართალია, ყმა გლეხობას და საერთოდ გლეხთა სხვა კატეგორიებს დიდი ჯოგების ყოლა და მოვლა-პატრონობა არ შეეძლოთ, მაგრამ მებატონე დადიშგელიანებისათვის დიდი ჯოგის ყოლა, ჩვენის აზრით, უცხო არ უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ XVII-XVIII საუკუნეებში რიგით თავად დადიშგელიანს შეეძლო ეკლესიისათვის შეეწირა რიცხვმრავალი ხარი. მაგ., სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატინანეში ერთგან ვკითხულობთ: „... ლ(მერთ)ო! აკ(ურთ)ხე და ა(ა)შენე სახლი და საყოველი სორთმან დადიშქელიანისა, კრება შეგყარეს ოცდახუთმეტი კარი (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) შესწირეს და სხ(უა)მ უმრ(ა)ვლი კიდევ“ [70,120]. XIX ს მეორე ნახევარში თ. დადიშგელიანთან სტუმრად მყოფმა ა. სტოიანოვმა თავისი თვალთ ნახა თუ როგორ „ბრუნდებოდა საძოვრებიდან ცხვრების, ძროხების და თხების უშველებელი ჯოგი“ [17,313]. დამამტკიცებლად იმისა, რომ რეფორმამდელ სვანეთშიც მებატონეებს დიდი ჯოგები ჰყავთ, სტოიანოვს ეცერში აჩვენეს რძის დიდი სადინარი ღარი, რომლიდანაც ოდესღაც გადმოჩქეფდა რძის მასა – მოწველილი უთვალავ ძროხებისაგან“ [17,306]. ან როგორ ხდებოდა, რომ „სვანი მებატონეები ყოველდღე უკლავდნენ საპატიო სტუმრებს ხარებს და ცხვრებს“, სადაც „სადილად სადილი არ ითვლებოდა თუ სუფრაზე არ გამოიტანებოდა ახლად დაკლული საქონლის შემწვარი გულმკერდი“ [17,336]. ერთ-ერთ წყაროს თანახმად, „თენგიზის სახლში სტუმრები მთლიანად ჭამენ ძროხას და ასევე რამდენიმე ცხვარს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა პირუტყვზე“ [71,23]. ბ. ნიჟარაძის ცნობით, საბატონო სვანეთის საბალახოები თ. მურზაყანს ყოველ წელს აძლევდა 500-800-მდე თხა-ცხვარს [34,101]. ი. ივანიუკოვისა და მ. კოვალევსკის ცნობით, „ბოლო წელს დადიშგელიანებმა აფხაზეთსა და სამეგრელოსაგან მიიღეს... 460 სული თხა და ცხვარი“ [18,575]. იმავეს აცხადებს დ. დობროვოლსკი [28,195]. საბალახო ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში მებატონე დადიშგელიანები რეფორმამდელ პერიოდში ტა-ციაობით ართმევდნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს მწყემსებს საკმაოდ დი-

დი რაოდენობის პირუტყვს და ამ გზითაც ამრავლებდნენ თავიანთ ჯოგებს. ამის მაგალითებს მკვლევარი შეხვდება როგორც საარქივო მასალებში, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთ საბუთში წერია რომ „სვანებს ისლამ და აღექსანდრე დადემშველიანების განკარგულებით წარუტაცნიათ – ოთხიათასი სული ცხვარი და თხა“ [72,6]. მეორე ცნობით, „განკარგულებათა კონსტანტინე და აღექსანდრე მიხეილის დადიშეღიანისათა – წარუტაცნიათ – ჯვარისა და ნაგუროვის შემოსავალის მთიდან რიცხვით ჩვიდმეტი ცხენი, ათას ორას ოთხ ნაკლებ ცხვარი“ [72,6]. დადიშეღიანების განკარგულებით მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქიანი საქონლის გატაცება და მითვისება ფიგურირებს სხვა საარქივო საბუთებშიც [73,19]. ზემოთ აღნიშნულ ცხოველთა გატაცება, მაშინ საბალახო და სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებულ დავის გამო ხდებოდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს იმ ასპექტში, რომ დადიშეღიანებს საკუთარი ჯოგები აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ. ამას ამტკიცებს ისიც რომ მებატონე დადიშეღიანებს მხოლოდ ყმა გლეხობიდან ყოველწლიურად ასობით მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ემატებოდათ. იგივე მდგომარეობაში იყვნენ გარდაფხაძეები და გელოვანები, მათ ამ ჯოგების შესანახი უხვად გააჩნიათ მთასა და ბარში. ა. ჩარკვიანის ერთ-ერთი ცნობით: „ეცერელ თათარყან დადემშქელიანს (სოფ. ბარში) ეკუთვნოდა 4439 დესეტინა სხვადასხვა სახის სავარგული, ბეჭირბი დადემშქელიანს (სოფ. სვიფი) – 1032 დესეტინა, მოსოსტრ დადემშქელიანს (ლაღრერი) – 1032,5 დესეტინა. ქვემო სვანეთში: ჩოლურელი გარდაფხაძეების ხელში იყო 6000 დესეტინა სხვადასხვა სახის სავარგული, მათ შორის საბალახოებიც. ლაშხეთის გელოვანებს ეკუთვნოდათ ნაცულის მთა 600 დესეტინა ფართობით, გელოვანების მეორე ოჯახს (ჯახუნდერი) – ასევე 600 დესეტინა მთის საძოვრები და ტყეები. გელოვანები და გარდაფხაძეები ფლობდნენ დადიშის მთას – 1000 დესეტინა ფართობით: გელოვანების იყო ჩუკულის მთა – 1000 დესეტინა. დ.კ. და ა. გელოვანებს ეკუთვნოდათ 1000 დესეტინა ტყიანი, და საბალახო მიწები, ერთ-ერთ გელოვანსაც – „მელეს მთა“ 400 დესეტინა ფართობით“ [30,139]. ასეთი სათიბების მეპატრონეებს, ალბათ შეეძლოთ საქონლის ჩვეულებრივ რაოდენობაზე მეტის ყოლა და პატრონობაც. იქნებ მართალია დ. ყიფიანი, როცა გვამცნობს, რომ ქვემო სვანეთის მოჯალაბეები ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც აგრძელებდნენ ჯოგების მწყემსაობას [74,28].

მართალია, სვანეთის მკაცრი საზამთრო პირობები ბატონებს რაიმე შელავათს არ აძლევდა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი ხერხს მიმართავდნენ. თა-

ვიანთ პირუტყევს გამოსაზამთრებლად გლეხებს ატანდნენ და ავალებდნენ მათ მოვლა-პატრონობას. ამ გზით ისინი ღიდმაღლ პირუტყევს ინარჩუნებდნენ. მათ ზომ სათესი და სათობი მიწებიც ბევრი ჰქონდათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მკლევართა მცირედი ნაწილი იმის მტკიცებასაც ცდილობს, თითქოს „რეფორმამდელ ხანაში სვანეთში მესაქონლეობას გლეხურ მეურნეობაში უფრო მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე მომდევნო ხანაში“ [30,138] [29,18]. სამწუხაროდ, ამ მოსაზრების დამტკიცებას ცდილობენ ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის შემდგომი, კერძოდ, XX საუკუნის პირველი ათეული წლების სვანეთის მეცხოველეობის მიახლოებითი რიცხობრივი მონაცემებით. მაგალითად, აჩარკვიანი და მასზე დაყრდნობით გ. ჯალაბაძე, ამ მოსაზრებას 1906 და 1910 წლების მონაცემებით ამტკიცებენ, რაც, ჩვენის აზრით, მთლად მართებული არ უნდა იყოს. მითუმეტეს, როცა თვით მოსაზრებაც საეჭვოა. მიემართოთ ფაქტებს.

XIX ს. 30-იან წლების დასაწყისშივე, როცა რუსეთი ზვერავდა სვანეთის სამხედრო შესაძლებლობებს, მისმა მოხელეებმა, იმის წყალობით რომ სვანეთში მეცხენობის დარგი არ იყო მოწოდების სიმალლეზე, დაადგინეს, რომ სვანებს „ცხენოსანი ლაშქრის გამოყვანა არ შეუძლიათ.“ [75,10]. გავიხსენოთ XIX ს. რეფორმამდელი სვანეთის თვითმხილველები: შტაბსკაპიტანი შახოვსკი, ნემიროვიჩ დანჩენკო, ლობანოვ-როსტოვსკი, რომელთა მტკიცებით – სვანეთში მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან შედარებით მეორე ხარისხოვან დონეზე იდგა. სწავლული მაგრამ რეაქციონერი რუსი მოხელე პ. უსლარის ცნობებით, 1857 წ. თავისუფალ სვანეთში მდიდარ ოჯახებს ჰყავდათ 3 უღელი ხარი, 7 ძროხა, 20-მდე ცხვარი, 6 თხა, 20 ღორი, ხოლო ღარიბებს 3 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 3 ცხვარი, 2 ღორი. მთელს საზოგადოებაში კი არის 250-მდე მსხვილფეხა პირუტყვი და მიახლოებით 300 ცხვარი. მისივე ცნობით, კალაში იყო სულ ორი ცხენი, ლატალში ცხენი საერთოდ არ ჰყავდათ. ლატალში თითოეულ ოჯახზე მოდიოდა: მსხვილფეხა პირუტყვი – 28, ცხვარი – 26, თხა – 19, ღორი – 12, მულახში შესაბამისად – 2 უღელი ხარი, 4 ძროხა, 16 ცხვარი [76,2-4]. შტაბსკაპიტანი ა. ლავრენტიევის ცნობებით, XIX ს. 50-იანი წლების ბოლოსათვის სვანეთში „თითოეულ კომლს ჰყავდა 5-7 ცალი მსხვილფეხა რქიანი და 10-20-მდე წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. ვირები, ჯორები და განსაკუთრებით ცხენები ძალიან ცოტაა. ეს უკანასკნელი ჰყავთ მხოლოდ მებატონე თავადებს“ [16,102]. აღნიშნულ დროისათვის სხვა ცნობებით სვანეთში 12-15 სულისაგან შემდგარ ოჯახს ჰყავდა ერთი უღელი

ხარი, 4-დან 12-მდე ძროხა, ამდენივე ცხვარი, 4-დან 10-მდე თხა და 12 ღორი [28,196]. შედარების მიზნით უნდა ითქვას, რომ ცხენების, ჯორებისა და ვირების რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმშიც ცოტა იყო. ისინი შედარებით მეტი ჰყავდათ მთის რაჭაში, მაგრამ აქაც ძალზე ნაკლებად. მთელს რაჭაში ამ დროისათვის იყო სულ 620 ჯორი და ცხენი და 12 ვირი [25,67-72].

სვანეთში ბატონყმობის გაუქმების წელს – 1871-ში ნ. დუბროვინმა კვლავ აღნიშნა, რომ სვანეთში პირუტყვთა რაოდენობა მცირეა, რადგან გრძელი და მკაცრი ზამთრის გამო შენახვა ჭირს [16,87]. ახლა გადავხედოთ რეფორმის შემდგომ ხანას და გავისხენოთ მისი 1876 წლის ერთ-ერთი პირველი თვითმხილველ – დამკვირვებელი ა. სტოიანოვი, რომელმაც თ. დადიშგელიანის ოჯახში ნახა „Огромная стада баранов, каров и козв“. მისი გადმოცემით, „ცხენები არც ისე იშვიათობაა სვანეთში“ და მან პირადად ნახა „ძალიან ბევრი ცხენი არა მხოლოდ საბატონო, არამედ თავისუფალ სვანეთშიც“. 1886 წ. ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალენსკიმ სვანეთის მესაქონლეობის რაოდენობა გამოსახეს ქვემოთ მოცემული ცხრილით:

პირუტყვის რაოდენობა თითოეულ კომლზე					
საზოგადოება	სიდიდის თანრივი	მიწების რაოდენობა ქვევებში	ხარი და ძროხა	ცხენი	ცხვარი, თხა, ღორი
მესტია	მაქსიმუმი	20	14	5	20
	საშუალო	16	8	3	12
	მინიმუმი	13	6	2	20
ეცერი	მაქსიმუმი	20	15	4	25
	საშუალო	5	11	2	15
	მინიმუმი	4	4	1	6
იფარი	მაქსიმუმი	12	9	3	15
	საშუალო	4	6	1	10
	მინიმუმი	2	2	—	6

როგორც ამ ცხრილით ირკვევა, მესტიის საზოგადოებაში თითოეულ ოჯახზე მოდიოდა 6-14 ხარი და ძროხა, 2-5-მდე ცხენი, 10-დან 20-მდე თხა და ცხვარი და ამდენივე ღორი; ეცერიში: 4-15-მდე ხარი და ძროხა, 1-4-მდე ცხენი, 6-25-მდე თხა, ცხვარი და ღორი. იფარის საზოგადოებაში 2-9 – ხარი და ძროხა, ცხენი 1-3-მდე. 6-15-მდე თხა, ცხვარი და ღორი [18,590]. ამავე პერიოდის სხვა მონაცემებით სვანეთში თითოეულ ათას სულ მოსახლეზე იყო 50 ცხენი, 10-მდე ჯორი და ვირი, 384 – ძროხა, 376 – ხარი, 581 – ცხვარი, 672 – თხა და 447 – ღორი [77, №4752].

1888 წელს გამოვიდა ვ. ტეპცოვის წიგნი, რომელიც ასახავს XIX ს. 90-იან წლებში ზემო სვანეთის მეცხოველეობის რაოდენობრივ სურათს:

საზოგადოების დასახელება	ცხენი	ჯორი და ვირი	ძროხა	ხარი	ცხვარი	თხა	ღორი
უშკული	38	2	123	162	242	44	128
კალა	31	—	116	152	121	109	128
იფარი	35	—	463	485	613	330	496
ეცერი	78	9	457	420	675	619	639
ფარი	29	15	314	237	620	648	346
ლენჯერი	27	—	192	191	384	410	297
ჩუბეხევი	28	55	432	412	150	1704	211
ბეწო	62	1	282	237	350	292	407
ლატალი	40	2	594	497	1064	1370	776
მულახი	69	6	428	470	849	452	527
მესტია	41	1	269	286	405	390	318
სულ	478	91	3670	3519	5473	6368	4273*
ათას სულ მოსახლეზე	50,1	9,5	384,9	376,0	581,4	672,2	447,1

ვ. ტეპცოვის ამ მონაცემებს მთლიანად ემთხვევა ი. ი. პანტიუხოვის ცნობები, განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ღორების რაოდენობაშია. ი. პანტიუხოვის ჩვენებით, ღორების რაოდენობა უდრიდა 3427 ცალს და შესა-

ბამისად – მათი რაოდენობა ყოველ 1000 სულ მოსახლეზე – 344 ცალს [78,29].

სათანადო ცნობებით ირკვევა, რომ რეფორმამდელ და რეფორმის შემდგომ პერიოდში სვანეთის მეცხოველეობა თითქმის ერთნაირ სურათს გვიჩვენებდა. იგი დაახლოებით ასეთი იყო.

ადგილი	ხარი	ძროხა	სხედასხვა მსხვილფეხა საქონელი	თხა	ცხვარი	ლორი	ცხენი	ჯორი	ვირი
თავისუფალ სვანეთში:									
შედლებულ ოჯახს	2 ულ.	7	8-10	15-25	15-25	20	1-2	1	
საშუალო ოჯახს	1-2 ულ.	3	4-8	10-15	10-12	12	1	—	
ღარიბ ოჯახს	1 ულ.	1-2	3-5	6-10	6-8	6	1	—	
საბატონო სვანეთში									
შედლებულ ოჯახს	2 ულ.	8-10	10-12	20-40	15-20	20-25	2-3	2-3	
საშუალო ოჯახს	1-2 ულ.	6-8	8-10	15-20	12-18	15-18	2	2	
ღარიბ ოჯახს	1 ულ.	2-4	6-8	6-12	6-10	6-10	1	1	

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეფორმამდელ სვანეთში ცხენები, ჯორები და ვირები, სვანეთის ბალსზემო სოფლებთან შედარებით მეტი იყო ბალსქვემო და, განსაკუთრებით, ჩუბეხევის სოფლებში. რეფორმის შემდგომ პერიოდში აღნიშნულ პირუტყვთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა ბალსზემო სოფლებში, რაც ნათლად ჩანს XIX ს. 90-იან წლების ქუთაისის გუბერნიის სამხედრო კანცელარიის ცნობებით. ამ დროისათვის ბეროში იყო – 34 ცხენი, იფარში – 37, კალაში – 19, ლენჯერში – 18, მესტიაში – 15, მულახში – 41, ფარში – 22, უშგულში – 19, ჩუბეხევი – 51, ეცერში – 49; ქვემო სვანეთში, კერძოდ, ლენტეხში – 119, ჩოლურში – 50, ლაშხეთში – 182 [79, №27]. სხვათა შორის აღნიშნულ პირუტყვთა რიცხვმა ლეჩხუმის მაზრაში მიაღწია – 1952, ხოლო ზემო რაჭაში 1427-ს [78, №27]. საგრძნობლად იმატა ხარების რიცხვმაც. დანარჩენი მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის რაოდენობა უმნიშვნელოდ მერყეობდა და ფაქტობრივად ერთნაირ დონეს ინარჩუნებდა. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანეთში საქონლის მოვლა ისევე პირველხარისხოვან საქმედ ითვლებოდა, როგორც მიწათმოქმედების საქმე. პირუტყვი და, განსაკუთრებით, ხარი დიდი სიყვა-

რულით სარგებლობდა. ხშირად მას ლეთიურ სახელთან „ფუსდ“-თან აკავშირებდნენ და „ფუსდას“ უწოდებდნენ. ხარების უფრო ხშირი სახელწოდება იყო ასევე – „ქარა“, რაც დიდი რქების პატრონ ხარს ერქმეოდა. სვანეთში ადგილობრივთან ერთად ჰყავდათ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოყვანილნიც, რომლებიც შედარებით დიდტანოვანი იყვნენ. ხარს სვანეთში განსაკუთრებით კარგად კვებავდნენ. თითოეულ ხარზე ზამთრის გამოსაკვებად მზადდებოდა 3-5 მარხილი ანუ 15-20 ფუთი თივა, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო, მაგრამ მეტის შესაძლებლობა არ არსებობდა. დ. დობროვოლსკის ცნობით, XIX ს. სვანეთში კარგი მეწველი ძროხა დღეში იწველიდა ნახევარ ვედრო რძეს, ხოლო მთელი წლის განმავლობაში 60 კედროს. ძროხის გამოსაკვებად იხარჯებოდა ხარზე გაცილებით ნაკლები თივა – 8-15 ფუთი. ვერც მისი მოვლა იყო ხარის ტოლფასოვანი და ამიტომაც თივის ნაკლებ სოფლებში გამოზამთრების შემდეგ ზოგჯერ „ხელით ასაყენებელი და საძოვარზე გასატანი ხდებოდა“ [28,195]. ძროხის ფასი ზოგან 6, ზოგან კი 16-20 მანეთს აღწევდა.

თხა შედარებით მომრავლებული იყო ეცერ-ჩუბეხევის საზოგადოებაში. თხის გამოკვება აქ უფრო იოლი იყო, რადგან ზამთარში ის თივას იშვიათად საჭიროებდა და ძირითადად მოჭრილი ან ჩამოტოტილი ხის ნაყოფით იკვებებოდა. დოლის პერიოდში მისთვის საყვარელი საჭმელი ფითრიც („ჭაგე“) ბლომად იშოვებოდა. ცხვარი კი უფრო ბალსხემო სოფლებში ჰყავდათ. თხა და ცხვარი თითო-თითო ნამატს იძლეოდა. ცხვარს სვანეთში არ წველიდნენ. მისგან განსაკუთრებით სარგებლობა მოჰქონდა მატყლს და ხორცს. თხა დღეში 1,5-2 ლიტრ რძეს იწველებოდა. ცხვრის მატყლისაგან მზადდებოდა შალი, რაც ტანსაცმლის წყაროს წარმოადგენდა. ცხვრისა და თხის ტყავისაგან ამზადებდნენ მოხდენილ ქურქებს. ცხვრისა და თხის ფასი 4-5 მანეთს აღწევდა. სვანეთში საკმაო რაოდენობით იყო მომრავლებული ღორი. იგი შესანახად ძნელი იყო და ამიტომაც უფრო მეტად ქვემო სვანეთსა და ბალსქვემო სოფლებში იყო მომრავლებული, სადაც მისთვის რკო, წაბლი თუ სიმინდი ნარჩენებით უფრო იპოვებოდა.

ცხენებით სვანეთი სამეგრელოდან და შედარებით ფართოდ ჩრდ. კავკასიიდან მარაგდებოდა. ჯორი და ვირიც სამეგრელოდან შემოჰყავდათ. მათი მთავარი დანიშნულება იყო საპალნე ტვირთზიდვა. XIX ს. პირველ ნახევარში ჯორებით, ვირებითა და ცხენებით უფრო მდიდარი იყო ჩუბეხევის საზოგადოებანი, ხოლო XIX ს. მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით 90-იან წლებიდან მათმა რიცხვმა საგრძნობლად იმატა თავისუ-

ფალ სვანეთში. ცხენი და ჯორი 40-60 მანეთი ფასობდა, ხოლო ვირი 15-20 მანეთი.

რძის ნაწარმიდან სვანეთში მზადდებოდა: ყველი – სულგუნის და ე.წ. ბოჭკის, ხაჭო, ნადული, მაწონი. მკვლევარ ნ. თოფურიას აღნიშვნით, – „ქვემო სვანეთში ხშირად აკეთებდნენ „ლუსდგუგ ლგმარეს“ – დაწნულ სულგუნს, რომელიც უფრო სასტუმროდ იცოდნენ“ [80,52]. ზემო სვანეთის ჩუბეხევის სოფლებში ამზადებდნენ ე.წ. „ნარჩვიშ“ ანუ ბოჭკის ყველს. ადგილზე დამზადებული რძის ნაწარმი, მათ შორის ყველიც ადგილზევე იხარჯებოდა.

სვანეთში მესაქონლეობის ფართოდ გავრცელებას მძიმე ბუნებრივი პირობების გამო წინ ეღობებოდა სხვადასხვა ავადმყოფობანი, განსაკუთრებით: „თურქული“ (ფეხების გასიება), ყვავილი, ციება, ჭირი და სხვა [81, №3473]. მიუხედავად ამისა, მეცხოველეობა სვანეთში, ჩამორჩენილ დარგს არ წარმოადგენდა და იგი მიწათმოქმედების მხარდამხარ, ტოლფასოვნად ასრულებდა მნიშვნელოვან როლს სვანეთის ისტორიულ ცხოვრებაში. ა. ლავრენტიევის მისაღები დასკვნით, „მესაქონლეობა სვანეთში ვითარდებოდა თანაზომიერად მიწათმოქმედებისა“. (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) [15,102]. მართალია, პროფ. გ. გასვიანი სვანეთში მიწათმოქმედებას „მეურნეობის წამყვან დარგად“ აღიარებს, მაგრამ მკვლევარს არც ის გამოჩენია ყურადღებიდან, რომ „მიწათმოქმედების აუცილებელი კომპონენტი მესაქონლეობა იყო, რომ „მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელი იყო არა მარტო გამწვევი მუშა პირუტყვის გარეშე, არამედ ბუნებრივი სასუქის გარეშეც“ [22,30]. აი აქ ერთხელ კიდევ მინდა მკითხველი ჩავაფიქრო შემდეგ ზე. აბა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ სვანეთის მიწათმოქმედება, თუ იქ არ იქნებოდა მესაქონლეობა, ან პირიქით. ეს ხომ შეუძლებელია. ეს ხომ სვანეთის თავისებურებაა. ამიტომაც არის რომ მკვლევარები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სვანეთში მესაქონლეობას უპირატესობა ჰქონდა ან პირიქით, ზოგჯერ საწინააღმდეგო მოსაზრებასაც თვით გვთავაზობენ. მოვუსმინოთ ა. ჩარკვიანს: „უხუცეს მთხრობელთა გადმოცემით, მესაქონლეობა სვანეთში მიწათმოქმედების (მარცვლეულის წარმოების) ტოლფასოვანი დარგი იყო“ [30,144]. მკვლევარი გ. ჯალაბაძე, რომელიც ა. ჩარკვიანთან ერთად სვანეთში მესაქონლეობის უპირატესობას თავეამოდებით ამტკიცებდა, ერთგან აცხადებს: „მინდვრის კულტურებიდან მიღებული, ბზე, ნამჯა, ჩალა, ძენძო – საკვების ეს კომპონენტები რომ არა, გაჭირდებოდა პირუტყვის ბაგაზე 5-6 თვით შენახვა. როგორც კი მთაში შემინდვრეობა მოიშალა პირუტყვის შენახვა გაჭირდა და მესა-

ქონლეობაც დაეცა“. (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) [29,36-37]. როგორც იტყვიან, კომენტარები აქ ზედმეტია. მკვლევარი გ. გულბანი წერს: „სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგები მემინდვრეობა და მეცხოველეობა იყო. თუ საერთოდ ავიღებთ, მთელ სვანეთში მემინდვრეობა სჭარბობდა მეცხოველეობას, მაგრამ ისეთი სოფლებიც იყო, სადაც მეცხოველეობა იდგა წინა პლანზე. „სვანეთში ეს ორი დარგი უერთმანეთოდ არ არსებობდა: (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) ორგანული სასუქის გარეშე სვანეთში მოსავალი არ მოდიოდა, ხოლო თუ მოსავალს ადგილზე არ მოიწვედნენ ძირითადად, ისე მისი შეტანა ძნელი იყო უგზობის გამო“ [61,31]. ჩვენის აზრით, სრულ სინამდვილეს შეესაბამება მკვლევარ შ. შუკვანის მტკიცება რომ: „სვანეთის სინამდვილეში მეურნეობის ორივე ხსენებული დარგი (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ა.გ.) ისტორიულად შეფარდებული იყო ადგილობრივი ბუნებრივი პირობების ხასიათთან, ურთიერთს განაპირობებდა, სიმბიოზურად (შერწყმულად) ვითარდებოდა და ცალკეულად რომელიმე აღნიშნული დარგის ერთგვარი გამოყოფა, მისთვის წამყვანი და გაბატონებული მნიშვნელობის მინიჭება ამ მხარის მკვიდრთა სამეურნეო ცხოვრებაში, ძნელი სავარაუდოა, მით უფრო ფეოდალურ ხანაში“. (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) [82,112-113]. საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სვან მშრომელს ისევე როგორც მთის რაჭველს, ბარში საშოვარზე წასვლა უხდებოდა არა რომელიმე ცალკეული დარგის ნაკლოვანებებისათვის, არამედ ორივე დარგის შესავსებად. ყიდულობდა და მოჰქონდა მარცვლეული, ყიდულობდა და მოჰყავდა პირუტყვიც.

მეფუტკრეობა

XIX ს. სვანეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მეფუტკრეობა („ლილბური“, „ლილობ“, „ლალობ“). ისტორიული გამოცდილების წყალობით, იმ დროს სვანებმა კარგად იცოდნენ ფუტკრის მოვლა-პატრონობა და მის გამრავლებასთან დაკავშირებული წესები. ფუტკრის გამოყრის პროცესს „ლიმგრინე“ ეწოდებოდა. ფუტკრის პატრონი „ჯგგრანგ ნენჩაშს“ (ტყის წმინდა გიორგის) ეხვეწებოდა – რათა არ გაქცეოდა განაყარი. ფუტკრის ჩასასახლებლად მზად ჰქონდა გეჯა („ბეჰ“), რომელსაც შიგნით წაუსვამდა თაფლიან წყალს, რათა მიეზიდა ფუტკარი, ან ჩასვამდა ფუტკრის ღედას („ღის“), თან ახმაურებდა რკინას, რასაც ჭეჭა-ქუხილის სიმულაციის დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ზოგჯერ ნაცრით ამტვერიანებდა

გარემოს, ხან წყალს მოაკურებდა გამონაყარი ფუტკრის ირგვლივ, რათა ფუტკარს წასვლა დაზარებოდა და სხვა [83,271-272]. საღამოს მზის ჩასვლისას მას სათანადოდ აბინავებდა. გათვალვის საწინააღმდეგოდ საფუტკრეში მუდმივად ეკიდა ცხენის თავის ქალა.

მეფუტკრეობა რომ ტრადიციული დარგი იყო ამას ამტკიცებს ერთხელ უკვე დამოწმებული ცნობა, რომ VI ს.-ში გადასახლდა შორის ლაზიკის მეფეს სვანეთი ყოველწლიურად თავლს უგზავნიდა [53,299]. ამასვე ამტკიცებს ის, რომ საახალწლო ლოცვის პროცესში ფუტკარი მთელ ხვასტაგთან ერთად აუცილებლად უნდა დალოცვილიყო [84,141]. ამას გარდა სვანეთში ფუტკრის ირგვლივ არსებობს მრავალნაირი გადმოცემა და ლეგენდა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ფუტკარი წმ. გიორგის (ჯგერაგვის) მიერ დალოცვილ – ადამიანსა და ღმერთის შუამავალ მსახურ მფარველადაა ჩათვლილი [85,122-123].

სვანეთში შეკრებილი ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მეფუტკრეობა XIX ს. მთელ სვანეთში ყოფილა განვითარებული. აღნიშნულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ დარგში დაწინაურებულან XIX ს. პირმშო ლენკერის სოფლების: თოთანას, ნაკის, იდლიანის მოსახლეობა. ისტორიულად კი: – ლატალი, ბერო, ცხუმარი, ეცერი, ფარი და ლახამულა.

სვანეთის „ფუტკარი მაღალნაყოფიერებით, ხოლო თავლი საუკეთესო არომატითა და თვისებებით ხასიათდებოდა“, – აღნიშნავს გ. გასვიანი [22,32]. „ერთ სკიდან, ე. კალკეიტის ცნობით, – იღებენ 5-6 ფუნტ თავლს“... ცვილი მიდის საეკლესიო სანთლების გასაკეთებლად“ [8,40]. ცვილი სვანეთში გაცვლა-გამოცვლის საგანსაც წარმოადგენდა. მას კარგი მეფუტკრეები ყიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბაზრობაზე. იგი ფართოდ იყო გამოყენებული სამკურნალოდ. სარაჯის გამოღებისთანავე დიასახლისები ყველაზე წმინდა ჭურჭელში მოათავსებდნენ მას, შემდეგ ოდნავ შეთბობით გამოწურავდნენ თავლს და ინახავდნენ წამლად. მას აძლევენ მელიოგინე ქალებს, რძენაკლულ დედებს, ხმარობდნენ კუჭ-ნაწლავის დაჩირქების, ღრძილების ანთების, კანის გასკდომის, მეხსიერების დაქვეითების და სხვა შემთხვევებში. წამალთა შემადგენლობაში ცვილი თითქმის ყოველთვის ფიგურირებდა.

ეგ. გაბლიანის შენიშვნით – „ბევრია სვანეთში ისეთი მოსახლე, რომელსაც 100-ზე მეტი ძირი (სკა) ჰყავს – თითოეულ სკიდან შეუძლია წელიწადში გამოიღოს 1 ფუთი თავლი. სვანური თავლი გირვანქა ღირს უკანასკნელი 30 კ, ასე რომ თითოეული სკის მოსავალი ფულზე რომ გავყიდოთ, მივიღებთ

12 მ, ხოლო 100 სკიდან – 1200 მ, ამას მიემატება ნაყარი, სანთელი და სხვ. ასეთ გლეხს სახნავ-სათესი ადგილიც რომ არ ჰქონდეს... შეუძლია 1200 მან. წლიურად მიიღოს და მშვენიერათ იცხოვროს“ [61,163-164]. როგორც ჩანს, სვანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში მეფუტკრეობა საკმაოდ დადებით როლს თამაშობდა. მის განვითარებას წინ ელოებოდა ბაღსკეპმო და ქვემო სვანეთში არსებული ბატონყმური ცხოვრება. სხვათაშორის თაფლი და ცვილი XIX ს-ში საბატონო გადასახადებში ირიცხებოდა [86,101].

ა. კალეიეტი და ევ. გაბლიანი არასწორად აღწერენ სვანეთში სკიდან თაფლის გამოღების პროცესს. მათი გადმოცემით, თაფლის გამოღებისას ფუტკრის კბენისგან თავდაცვის მიზნით სკას აფლობდნენ წყალში და ახრჩობდნენ. რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. სვანებმა უხსოვარ დროიდან იცოდნენ და დღესაც გრძელდება თაფლის გამოღების წესი. დილით მზის ამოსვლამდე მეფუტკრეს შექქონდა საფუტკრეში ჯამ-ჭურჭელი, დანა და დახურული ჯამი, რომელშიც ათავსებდნენ ხის გამხმარ ფოჩხს ან გამხმარ ნაკელს, რომელიც მებერვის შემდეგ აყენებდა ბოლს, რომლითაც ფუტკარს გადარეკავდნენ სკის მეორე მხარეს და შემდეგ უვნებლად იღებდნენ თაფლს. მერე საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ სკას მოიყვანდნენ წესრიგში, დაახურავდნენ გეჯის ზედა სახურავს. სხვა მწერებისაგან, ან რაიმე საფრთხისაგან დაცვის მიზნით, გეჯის ზედა და ქვედა სახურავის შეერთების შემდეგ დარჩენილ პატარ-პატარა ხვრელებს ამოლესავდნენ „ნალწუნში“, რომელიც მზადდებოდა ნაცრისა და ნაკელის ნაზელისაგან. თაფლის გამოღების დროს აუცილებლად იცავდნენ დოზას, რათა დარჩენილი თაფლის ნაწილი ფუტკრის ოჯახის გამოსაკვებად სრულიად საკმარისი ყოფილიყო. კარგი მეფუტკრე თაფლს უზომოდ არასდროს არ გამოუღებდა, რადგან იცოდა, რომ სვანეთის ხანგრძლივი ზამთრის პირობებში ფუტკარს საკვები მეტი სჭირდებოდა.

სამწუხაროდ, ზუსტი ცნობები XIX ს-ის სვანეთში ფუტკრის სკათა რაოდენობის შესახებ არ ვიცით. მთხრობელთა გადმოცემით, ზოგ შეძლებულ ოჯახს თავისუფალ სვანეთში ჰყავდა 50-100 სკა ფუტკარი, საბატონო სვანეთში – უფრო მეტიც. ჩუბე ხევში: თაისავ ჭკადუას, დავით გელოვანს, შარვან გელოვანს, ვასილ და ნესტორ კვანჭიანებს, რომანოზ ჭკადუას, გაუ ჭკადუას – 200-300 სკა [87]. ე. კალეიეტის ცნობით, რომელიც XX ს. დამდეგს ასახავს, სვანეთში სულ ჰყავდათ 4590 სკა, აქედან 1500 მოდიოდა ჩუბეხევზე [8,40].

უნდა აღინიშნოს, რომ სვანეთის ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მეფუტკრეობის დარგის განვითარებას დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამისთვის სვანეთში ყველა პირობა არსებობს.

მეზრინვაელება

XIX ს. სვანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც თავისებურად საჭირო როლს თამაშობდა მეფრინველეობა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს დარგი რატომღაც კვლევის ობიექტად არავის გაუხდია.

მეფრინველეობა სვანეთისათვის ტრადიციული და უძველესი დარგია. ამას ამტკიცებს ქვემო სვანეთში ლენტეხის ციხე-სიმაგრის არქეოლოგიური გათხრების დროს სხვა შინაური ცხოველების ძელებთან ერთად ქათმების ძვლების აღმოჩენა [31,36]. ამას ამტკიცებს ასევე ის უძველესი ტრადიციები, რომელიც XIX საუკუნეშიც და რიგ შემთხვევაში დღემდე არის შემორჩენილი. როგორცაა სხვაგან ე.ი. სვანეთს გარეთ გარდაცვლილი პიროვნების სულის მის ოჯახში მოსაბრუნებლად მამლის თანწყაყვანისა და ამასთან დაკავშირებულ ცერემონიალში მისი გამოყენება. ასევე საახალწლო ოჯახის ხვასტაგის დალოცვისას სხვა პირუტყვათა შორის აუცილებლად ღვთისადმი თხოვნა მეკვლეს მიერ ამა თუ იმ ოჯახში ქათმების გამრავლების შესახებ. რომ ამ ოჯახში აივსოს საქათმე ქათმებით („ლაქთალარ ქათლარშუ“), „საბატე ბატებით“ („ლაბტირ ბატარშუ“) [84,164-165,116,172-173]. პროფ. ვ.ბარდაველიძის დაკვირვებით, სვანის წარმოდგენაში ყოველ ოჯახს თავისი „მეზირი“ – მფარველი ჰყავდა და ამ მეზირთა შორის ფიგურირებდა თეთრი „მამალი (ყური)“ და „ოქროს დედალი (დადუ)“ [84,162]. ამ მხრივ ისიც საყურადღებოა რომ მამალი, ხართან, ვერძთან, ვაცთან, ტახთან ერთად ითვლებოდა და ითვლება საღვთო საკლავად. ისევე, როგორც სხვა საღვთო საკლავნი, მამლის დაკვლის უფლება მხოლოდ მამაკაცს ენიჭებოდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მხარის ზღაპრებში ძალიან ხშირად მამალი და დედალი სასწაულმოქმედთა როლშია გამოყვანილი და სხვ.

XIX ს. სვანეთში მეფრინველეობის დარგის ირგვლივ საკმაოდ გაკვირვითი ცნობები მოგვეპოვება: ივ. აკინფიევის, ა. ილინას, რ. ერისთავის, ა. სტოიანოვის, დ. დობროვოლსკის, ვ. ტეპცოვის და სხვათა შრომებში. თანამედროვე მეკვლევეართაგან ამ საკითხს ეხება რ. კანდელაკი, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ XIX ს. პირველ ნახევარში ამ რეგიონში გავრცელებული იყო ქათამი, ბატი, იხვი და ინდაური [62,48]. მეკვლევეარის ცნობით, გლეხის ოჯახში ჩვეულებრივ იყო 1-3 ფრთა ქათამი, იშვიათად ბატი და იხვი. ინდაური გლეხებს არ ჰყოლიათ და საერთოდ, მეფრინველეობის სუსტი განვითარება დამახასიათებელი იყო იმდროინდელი სვანეთის სამივე ნაწილისათვის [62,53]. ადგილზე შეკრებილი ცნობების მიხედვით კი ზემო სვანეთის საბატონო ნაწილსა და ქვემო სვანეთში იშვიათად იყო ოჯა-

ხი, რომელსაც 5-6 დედალი, 1-2 მამალი და 10-დან 15-20-მდე წიწილა და ვარია რომ არ ჰყოლოდა [88]. იგივე დაგვიდასტურა 103 წლის ვერა (ვერინქა) ძუბას ასულმა ჭკადუა-გელოვანისამ [89]. სოფ. ილიანში მცხოვრებმა ყუყუნა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ „სვანეთში დიდ სირცხვილად ითვლებოდა რელიგიურ, კერძოდ, სულის მოსახსენებელ დღეებში, კვერცხის უქონლობა, ამიტომ აქ ქათამი შეძლებულ ოჯახს ყოველთვის ჰყავდა“ [90]. რაფიელ გულბანის გადმოცემით – წინათ, ჩვენს სოფელში (მულახი – მუჟალი, ა.გ.) 10-15 ფრთა ყველა ოჯახში იყო. ბაბუაჩემის მოყოლით კარგად მახსოვს რომ „მეპერიელ“ (ფრთოსანი) ოჯახში სიცოცხლის სიმბოლოდ ითვლებოდა და ამიტომ მათ მომრავლებას ხალხი ცდილობდა“ [91]. იგივე ფაქტს გაუსვია ხაზი სოფ. ჭუბერის მცხოვრებმა რომან შოთას ძე ვიბლიანმა და სხვ. ვ. ტუპკოვის აღნიშვნით, სვანეთში „ბატებსა და იხვებს ნახავთ მხოლოდ მღვდლებთან და თავადებთან“ [5,39]. დ. ლობროვოლსკის ცნობით, „თენგიზის (იგულისხმება თენგიზ დადიშგელიანი) სამფლობელოს ერთ-ერთ სოფელში ჰყავთ ინდაურები და მხოლოდ აქ მისდევენ მათ მომრავლებას“ [28,166]. ე. კალვეიტის შენიშვნა XX ს. დამდეგს ეკუთვნის, სადაც ნათქვამია რომ: „მეფრინველეობა სვანეთში სრულიად უმნიშვნელოა. ყველა ოჯახში ვერ ნახავთ ქათმებს. სადაც კი არიან იქ 1-2 ფრთა ქათამია. კიდევ ნაკლებ როლს ასრულებენ ბატები და იხვები... როგორც მე მითხრეს, ინდაურები მთელს სვანეთში 4 ცალია და ისიც ჰყავს ერთ-ერთ თავად დადემუკელიანს“ [8,39-40]. რ. ერისთავს ყურადღება გაუმახვილებია ქათმების გამრავლებისათვის და მიუთითებს რომ სვანეთში „დედალი 20 კვერცხიდან ჩეკდა 6-10 წიწილას [52,23]. ი. აკინფიევის მიხედვით, ზემო სვანეთის სოფ. ბეჩოში ქათამი ღირდა 20 კაპ [92, 101-102]. როგორც ირკვევა, XIX ს. სვანეთის მეფრინველეობაში მთავარ როლს ქათამი ასრულებდა, რომელიც თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა, რა თქმა უნდა, შეძლებულ ოჯახებს მეტი, ხოლო ღარიბებს ნაკლები რაოდენობით. მებატონეებს და სამღვდელეობებს ჰყავდათ ბატი, იხვი და ინდაურიც. ქათმის ხორცი, კვერცხი და ბუნტყლი მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა დანიშნულებისამებრ. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ბალსქემო და სადადიანო სვანეთში რეფორმამდელ ხანაში მეფრინველეობის განვითარებას გარკვეულწილად აფერხებდა ბატონყმობა, რადგან ისედაც მძიმე ბუნებრივ პირობებში ძნელად შესანახ ქათმების კვერცხი დაბეგრული იყო. მებატონეებმა წესად აქციეს დღესასწაულებზე გლეხობიდან კვერცხის მიტანის აუცილებლობა. საქართველოს საისტორიო დოკუმენტებში ერთგან აღნიშნულია: „ყველის

კვირეულის დროს განსაკუთრებით სვანებს ახდევინებდნენ 30-დან 40-მდე კვერცხს“ [93,403]. ლეგენდარულად, ზემო სვანეთში მებატონე დადიშგელიანებმა კვერცხით დაიწყეს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და სხვ. ერთი სიტყვით, მეფრინველეობა XIX ს. სვანეთში თუმცა მცირე, მაგრამ თავისებურად საჭირო როლს ასრულებდა.

ჩვენის აზრით, მეფრინველეობის შემდგომი განვითარებისათვის დღევანდელ პირობებში გაცილებით უკეთესი საშუალებანი არსებობს და მომავალში ამ დარგის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

მონადირეობა და მითივჭეობა

„ეჟ მარე ეჭკალი მეთხვიარ ლემარ,
ერე კოჯისგა ნათხვიარს დემ ხაცრუნა“.

„ის კაცი ისეთი მონადირე ყოფილა რომ
კლდეს ნადირს არ შეარჩენდა“.

ხალხური

XIX საუკუნის სვანეთში მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად ნადირობა ამ რეგიონის გარკვეულწილად საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში თუმცა ჭარბი შეფასებით მაგრამ, შემთხვევით არაა ნათქვამი, რომ „სვანებს სინამდვილეში არსებობა არ შეუძლიათ ნადირობის გარეშე, რადგან ის აძლევს მათ როგორც საკვებს, ისე ტანსაცმელსაც“ [94,44-45]. მეორე საარქივო წყაროში კი ნადირობა სვანეთის ისტორიულად დამახასიათებელ საგმირო საქმედ აღწერილია [95,11]. მართლაც, ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე სტრაბონი შენიშნავდა, რომ კოლხიდის ზემოთ მდებარე მთებში მცხოვრები ერთ-ერთი ტომი მოსინიკებისა „იკვებებიან ნადირის ხორციით“ [96,204]. არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება, რომ ამ რეგიონში ეს დარგი „თითქმის ყველა დროისათვის არის დამახასიათებელი“ [12,176]. მთელი წლის წარმატებით ნადირობის სამზადისი, მონადირეთა მიერ ახალი წლის დღესასწაულებზე მათი შესაბამისი ლოცვებითა და ნიშანში სროლით იწყებოდა. ნადირობის დღეს მათ თან მიჰქონდათ შესაწირავი პური „ლემზირ“, ცოტა არააყი და სანთელი. სანადირო კლდეების ძირში „ლამზურ ბაჩართან“ ანთებდნენ სანთელს და ევედრებოდნენ „წმინდა გიორგის“, „დალაკოჯაშს“ და „აბსათს“ ანუ „აფსადს“ (ფრინველთა ღმერთი) მიეცა ნადირი. კარგი მო-

ნადირე „ჩვეულებრივ იმ კლდეების ფერ ტანსაცმელს იცვამდა, სადაც იგი ეწეოდა ნადირობას“ [5,24]. მათ განსაკუთრებით უყვარდათ ნადირობა: ჯიხვზე და არჩვზე. ასევე ნადირობდნენ დათვზე, ლორებზე, ირმებზე, კვერნაზე, მელიებზე, მგლებზე (იშვითად), ასევე ფრინველებზე: შურთხზე, მწყერზე, როჭოზე, ტყის ქათამზე და სხვ. რ. ერისთავის ცნობით, 1888 წელს სვანეთში მოუკლავთ 200-ზე მეტი არჩვი [33,101]. სვანეთში მამალ ჯიხვს „კვიცრას“ უწოდებდნენ, დედალს – „ღვაშ“-ს. მათი ხელში ჩაგდება ყველა მონადირის ოცნება იყო. „თეთრ კვიცრას“ მოკვლა ავის მომასწავებლად ითვლებოდა და ამიტომ მას არ კლავდნენ. მონადირეები კვერნას ხაფანგის მეშვეობით იჭერდნენ. ე. კალვეიტის ცნობით, 15-20 მონადირეს ზოგ შემთხვევაში კვერნაზე ნადირობა წელიწადში აძლევს 2000 მანეთს შემოსავალს [8,41]. მისი ტყავი საქართველოს ყველა ბაზრობაზე გაჰქონდათ და ყველგან ძვირად 15 მან. იყიდებოდა. და ეს მაშინ, როცა მელიას ტყავი ღირდა 3 მანეთი, ხოლო დათვისა 5-7 მანეთი [8,41].

ბ. ნიჟარაძის ცნობით, სვანეთში ყოველ წელიწადს იხოცებოდა 218 ჯიხვი [97, №84]. ტუბცოვი ქებით მოიხსენიებს უშგულელ და ჩუბერეველ მონადირეებს. იგი წერდა: „უშგულელი მონადირეები ცნობილი არიან როგორც პირველები არჩვებზე, მაგრამ ჩუბერეველები არ ჩამორჩებიან, რომელთა ნადირობა განთქმულია დათვებზე... ჩუბერეველები დათვის თათებით აღამაზებდნენ თავიანთ სახლის კედლებს... ერთ-ერთ მონადირის სათვალაეში 15 წლის ნადირობის შედეგად რამდენიმე ასეული დათვია [5,24]. გ. რადეს აღნიშვნით კი „ნადირობაში განთქმულნი არიან ლახამულელები. მათ და საერთოდ სვანებს, წესად აქვთ სხვადასხვა ნანადირევის რქების მიჭედვა საცხოვრებელი სახლების ფასადზე და იქ სახლების უმრავლესობაზე ნახავთ ასეთ სურათს“ [38,154]. იგივე გაიმეორა მან გაზეთ „კავკაზ“-ის ერთ-ერთ ნომერში [98, №1]. დ. დობროვოლსკის სვანეთში მგზავრობის დროს თან ახლდა სვანი სახელად ლემი, რომელსაც, ავტორის გადმოცემით, მოუკლავს 30 დათვი და 150-ზე მეტი არჩვი [28,176].

ეგ. გაბლიანის ცნობით, სვან მონადირეებს „მიაქვთ ყოველწლიურად ბაზარზე გასასყიდად 500 მეტი კვერნა, მელა, მგელი, დათვი, რომლებსაც სცვლიან ან პირდაპირ ფართალზე ან ჰყიდნიან ფულზე და ამ ფულით ყიდულობენ ცხოვრებისათვის პირველ საჭიროების ნივთებს“ [60,165].

XIX ს. სვანეთში წესად იყო ჯიხვისა და არჩვის ტყაეებისაგან ქურქების შეკერვა. რქებს ან ეკლესიას სწირავდნენ ან ყიდდნენ. ზოგიც გააკრავდა კედელზე და მისი ვაჟკაცობის დამამტკიცებელ ფაქტად თვლიდა.

სრულიად სამართლიანად შენიშნავს გ. გასვიანი, რომ სვანეთში „ნადირობა ვაჟკაცურ და რაინდულ საქმედ ითვლებოდა. იგი ფიზიკურ ამტანობასთან ერთად სიმარჯვეს მოითხოვდა“ [22,32]. სვანეთში, როგორც ჩანს, ადრინდელ ეპოქაში სანადიროდ მშვილდ-ისარი იყო გამოყენებული, შემდეგ კაჟიანი თოფი, რომელიც XIX საუკუნეში ჯერ კიდევ რჩებოდა ძალაში. შემდეგ გამოყენებული იყო ე.წ. „ყვრმილ“ (ყირიმული), მას ყიდულობდნენ ჩრ. კავკასიაში ბალყარებსა და ყარაჩაელებთან. მერე „ბერდანკებმა“ შეცვალეს. მონადირეს ეცვა ბანდულები, ზოგჯერ ბანდულებზე დამაგრებული თოკის წრიაპები, ზურგზე ეკიდა ხბოს ან თხის ან არჩვის ტყავისაგან დამზადებული გუდა. სხვათაშორის გუდას ბალსზემო სვანეთში – „გუდნარს“, ბალსქვემოში – „ხალთს“ უწოდებდნენ. გუდაში ეწყო „ლევიზ“ (საგზალი) და კანაფისაგან დამზადებული თოკი, ნაბადი და კვესი ცეცხლის დასანთებლად. ტანთ ეცვა ადგილობრივი წარმოების შალის შარვალი, მოკლემკლავიანი ჩოხა, რომელსაც წვიმისაგან იცავე-



განთქმული მონადირე ზემო სვანეთის სოფელ ვედიდან კონსტანტინე ჭკაღუა.

XIX საუკუნის 90-იანი წლები და XX საუკუნის დამდეგი.



XIX საუკუნის 70-იანი წლები. ცნობილი სვანი მონადირე ქემზა კახიანი, მულახის თემი, სოფელი ეაბეში.

და ქურქი. ხელთეპყრა „მუჯერა“. ეს იყო სპეციალური რკინის წვერიანი ჯოხი, რომელსაც მონადირე მისი სიმაღლის მიხედვით ითლიდა, და იყენებდა როგორც მოძრაობის დროს შემმაგრებლად, ისე თოფის სამიზნედ. მონადირე ვერავითარ შემთხვევაში სანადიროდ ვერ წავიდოდა იმ დღეს თუ მას ცოლთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა. იგი, მთელი ჯოგი რომ შეხვედროდა, ზომაზე მეტს არ კლავდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნადირობა სვანეთში მესაქონლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან დანამატს წარმოადგენდა. იგი სერიოზულად აუმჯობესებდა როგორც კვებას ასევე ტანთშემოსილებასაც. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ, ნ. პონტიუხოვის დაკვირვებით, თითოეული სვანი წელიწადში მიირთმევედა 150 გირვანქა ხორცს [99,24].

ნადირობასთან დაკავშირებული იყო მეთევზეობაც. ისინი ისტორიულად ერთმანეთის შემავსებლად გვევლინებიან. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის თ. ბერაძეს. იგი წერს: „მესათხველე“ თევზის უძველესი სახელწოდებაა, იგი „თხველა“-დან მოდის, რაც თავდაპირველად თევზის ჭერასთან ერთად ყოველგვარ ნადირობას ნიშნავდა. „ნადირი“ და „მონადირე“ ქართულ ენაში შედარებით გვიანაა დამკვიდრებული. ამ სიტყვების ქართული ენის ლექსიკონში შესვლის შემდეგ ტერმინი „თხველის“ მნიშვნელობა დავიწროვდა და მხოლოდ თევზისჭერას აღნიშნავდა. ზოგადი მნიშვნელობა „თხველამ“ მხოლოდ სვანურში შემოინახა, სადაც „მეთხუარ“ დღესაც მონადირეს ნიშნავს“ [100, 105]. ამ და სხვა ცნობებითაც ირკვევა, რომ სვანები მეთევზეობას აღრიდანვე მისდევდნენ. ოდესღაც შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებ სვანებს მეთევზეობა უცხო საქმედ არ მიაჩნდათ. სვანეთში დღესაც შემორჩენილია სიმღერა, რომ ოდესღაც ისინი „ზღვას თევზს არ არჩენდნენ“. („ძღვას ცუიზს მამ ხაცრუნახ“). ნ. ბერაძენიშვილის სწორი შენიშვნით, თვით „სვანეთში მხოლოდ კალმახი იპოვება“ [37,431]. დ. ბაქრაძის აღნიშვნით, XIX ს. სვანეთში „მდინარეები სავსე იყვნენ კალმახით“ [6,43]. ხოლო კალევიტმა დასძინა: სვანეთის ქარიშხალივით მდინარეებში არის სიმდიდრე ერთადერთ შესანიშნავი თევზის – კალმახისა. სვანები იჭერენ მას ძალიან იშვიათად უბრალოდ ბადეების უქონლობის გამო“ [8,42]. მთხრობელთა გადმოცემით, მდინარეები ეცსა და კვაკას წყლებში თევზჭერის გამო XIX ს. დამდეგიდანვე უქმყოფილება იყო სამეგრელოსა და ლენქერის მოსახლეობას შორის [101]. საარქივო ცნობამ ისიც შემოგვინახა, რომ გარდა თევზჭერისა „მეგრელ მწყემსებსა და სვან მონადირეებს შორის წარმოებდა ბრძოლა მთებისათვის. მეგრელებს

პირუტყვისათვის სჭირდებოდათ, სვანებს კი სანადიროდ და ერთმანეთს არ ანებებდნენ. ამას ისიც ართულებდა რომ სვანებს ნადირობის გარეშე არ შეეძლოთ... ამიტომაც არ თმობდნენ და ზოგჯერ საქმე მკვლევლობითაც მთავრდებოდა“ [102,44]. ყოველივე ზემოთ თქმული კი იმის ნიშანია, რომ მონადრეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანამატი დარგი იყო როგორც საკვებით, ასევე ტანსაცმლით ნაკლულ სვანეთის ცხოვრებაში, რაშიც კიდევ უფრო დაერწმუნდებით XIX ს. სვანეთის ვაჭრობის საკითხის განხილვისას. ნადირობას ასევე წარმატებით მისდევდნენ ზემო რაჭის სოფლების: ღების, გლოლას და ჭიორას მცხოვრებლები, რომლებიც სანადიროდ დადიოდნენ ურავიისა და ლიხეთის მთებში. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, მათ სხვა გარეულ ცხოველებთან ერთად ძალიან ეხალისებოდათ შურთხებზე ნადირობა, რომელსაც „ჯიხვის ინდაურს“ უწოდებდნენ [97].

§ 3. საოჯახო მრაველობა, ბარა სამუშაოზე ბასვლა და აღზამიცემობა XIX ს. სვანეთში

XIX ს-ის სვანეთში გლეხის რთულ სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი იარაღი ადგილზევე მზადდებოდა. იშვიათად თუ ნახავდა ადამიანი ქარხნულ ნაწარმს. საამისოდ ადგილზევე არსებობდა სათანადო პირობები. ეს კუთხე მდიდარი იყო სასარგებლო წიაღისეულით. აქ ჩანს მეტალურგიული წარმოების უძველესი კვალი. ს. ტრეტიაკოვის შენიშვნით, უძველეს დროში ოქროს საბადოები არსებობდა ზემო სვანეთის სოფ. ჭუბერის ტერიტორიაზე და მას უკავშირებს თქმულებას არგონავტების შესახებ. იგი მოიხსენიებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ „ოქროს სადნობ ქვაბებს“ და „მონეტებს ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებით“ [101, 47,52]. ვ. კლიმენტიევი კი წერს, რომ „ათასზე დიდი ხნით მეტი წლის წინათ რომაელები ენგურის ხეობაში ქვისმზარეველი მოწყობილობით ანგრევდნენ მარმარილოს და შემდეგ აგზავნიდნენ მას ქალაქების ფაზისისა და სებასტოპოლისის მშენებლობისათვის. მისივე შენიშვნით, ენგურის აუზში, განსაკუთრებით იქ, სადაც მდინარე ნენსკრა ერთვის ენგურს, იღებდნენ ოქროს“ [102, 17]. იგივე ფაქტებს გეთავაზობს დ. კოვალეცკი და მრავალი სხვა. XIX საუკუნის არა ერთმა რუსმა თუ ევროპელმა მოგზაურ-მკვლევარმა დაგვიტოვა ცნობები სვანეთის საბადოების შესახებ [103,94-95]; XVIII ს. 70-იან წლებში საქართველოში ჩამოდის ანტონ იოჰან გიულდენშტედტი.

მან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში სვანეთი დაახასიათა როგორც სასარგებლო წიაღისეულებით მდიდარი კუთხე. იგი აღნიშნავდა, რომ სვანებს „აქეთ ტყვიისა და სპილენძის საბადოები და იციან ორივეს ღნობა. აგრეთვე შეუძლიათ თოფის წამლის დამზადება, მაგრამ არ იციან რკინის ღნობა“ [104,331]. ამავე პერიოდის მოსკოვის სახელმწიფოსთან იმერეთის მეფეთა წერილებში ხშირად აღნიშნავდნენ სადადიანო სვანეთში „არც ისე მცირე რაოდენობით არსებული ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, კალის და სხვა მადნების შესახებ.“ [105,10;1-4]. საინტერესო ცნობებს მივაკვლიეთ მოსკოვის [106], ლენინგრადის (სანკტ-პეტერბურგის) [107] და თბილისის [108] არქივებში. სვანეთის საბადოების ირგვლივ საინტერესო ცნობები ეკუთვნით მუსინ-პუშკინს, ციციანოვს, ლიტვინოვს, ინგლისელ ინჟინერ მაკსევინს, შახოვსკის, ლობანოვ-როსტოვსკის და მრავალ სხვას. აღნიშნულ საარქივო ცნობებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზით ირკვევა, რომ სვანეთი საკმაოდ მდიდარი ყოფილა ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, გრანიტის, კვარცის, შავი შიფერის და სხვ. საბადოებით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი მოიპოვებდნენ მათ და ამზადებდნენ კიდევ საჭირო ნივთებს. 1846 წლის გაზეთ „კავკაზის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „სვანები ელბრუსის ძირში მოანგრევენ ნედლეულს და ამზადებენ წამალს ღიდი რაოდენობით, რომლითაც ამარაგებდნენ სხვა მთიელებს. თითოეული კომლი ამზადებს ტყვიას“ [109, №44]. ლობანოვ-როსტოვსკის განცხადებით – „სვანური თოფის წამალი ზარისხით ჯობნის რუს ჯარისკაცისას“ [106]. მისივე აღნიშვნით, „ქვემო სვანები ტყვიას ყიდიან თავისუფალ და სადადეშკელიანო სვანეთში და მათგან ყიდულობენ წამალს“ [106,8]. სვანეთის ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას რუსი სამხედრო მოხელეები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ სვანეთის სიმდიდრეს ამ მხრივ. მაგალითად, გენერალი გესე მეორე პასკევიჩის სწერდა, რომ „სვანეთის მრეწველობა განისაზღვრება ტყვიისა და წამლის კეთებით“ [110,9]. ამის საფუძველზე პასკევიჩმა ჩერნიშევის ამცნო „სვანეთი არის ერთ-ერთი უმდიდრესი ტომი კავკასიის ხალხთა შორის, რომლებიც მისდევენ ტყვიისა და წამლის დამზადებას“ [111,404]. ესეც რომ არ იყოს, სვანეთი ისტორიულად თოფის წამლით ეხმარებოდა როგორც იმერეთის სამეფოს, ისე სამეგრელოს სამთავროსაც. იმერეთის სამეფოსადმი ამდგვარი დახმარება-ვალდებულების მოხდა ცნობილია, მაგრამ სამეგრელოსადმი ნაკლებად ფიგურირებს სამეცნიერო ლიტერატურაში. არა და ეს ფაქტი XIX საუკუნეში აშკარა იყო. აი ფაქტები: 1854 წ. ლატა-



ლის საზოგადოების სახელით სამეგრელოს მთავარ ნ. დადიანთან მიწერილ წერილში აღნიშნულია შემდეგი: „... ნიშნად ჩუენის მორჩილებისა ყოველს წელს თითო ოჯახმა თითო კათხა თოფის წამალი მოგართუათ, რომელიც წინეთაც გვემართა“ [112, №7302]; 1857 წლის დ. ყიფიანის ჩანაწერში ნათქვამია, რომ თავისუფალი სვანეთის სოფლების: ლატალის, ლენჯერის და კალას თითოეულ კომლი 2 კათხა თოფის წამალს უხდის სამეგრელოს მფლობელს [113, 12] და რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. სვანეთში საკვლევე პერიოდში სხვადასხვა მადნისაგან ამზადებდნენ სპილენძს, ბრინჯაოს, ვერცხლს და ნაწილობრივ რკინას. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დამშვენებულია სვანეთის საბადოების საფუძველზე სვანეების მიერვე დამზადებული თოფებით, ხმლებით, ხანჯლებით, სხვადასხვანაირი დანებით, სასოფლო სამეურნეო თუ საომარი ტიპის იარაღებით, რკინის დასამუშავებელი დაზგებით და სხვ.

სახელოვანი ისტორიკოსი აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი შემთხვევით როდი ახასიათებდა სვანებს როგორც ოჯახურ ხელოსნებს, ოქრო-ვერცხლის მჭედლებს და რკინის მდნობელ-მჭედლებს [114, 436]. მართლაც, XIX ს. სვანეთში მჭედლები პასუხობდნენ ადგილობრივ მოთხოვნებს. ისინი თითქმის მთელი სვანეთის სოფლებში იყვნენ და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. დავიმოწმებთ ა. სტოიანოვს, რომელიც ქებით იხსენიებს სვან მჭედლებს და ერთგან აღნიშნავს, რომ „სამჭედლო ხელოსნობით ლახამულელებს შეუძლიათ დაიტრაბახონ“-ო [17, 448]. მათი ხელით თეინიერდებოდა „მაგიური რკინა“ და მზადდებოდა: გუთანის, სახნისი, ბარის, თოხის, ნაჯახის, ცელი, კევრის, ნამგალის, ცული, წალდის, წაკატის, ლომის, საკეეთელი (კაეწვერა), ნიჩაბის, ჯაჭვის, ნაჭა, კა-ეკრა, ნალი, წერაყინის, ხერხის, დანის, სხვადასხვა სახის საჭრეთელი და სახვერეთელი, წერაქვის, ჩაქურჩის, ქაფჩის, მუჯერას წვერის, რკინის წრიაპების, გაზის, ქვაბის (სპილენძისაგან), ნალი (ცხენებისათვის) და სხვ.




განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს ოქრომჭედლობა. „საზოგადოთ ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა“, – წერს აკად. ექ. თაყაიშვილი, – მისი სამართლიანი შენიშვნით, „არაფერი ისე არ ახასიათებს საზოგადო კულტურის აყვავებას თუ დაცემას, როგორც ოქრომჭედლობის ევოლუცია. კლასიკური დროის შემდეგ ეს ხელობა თანდათან ეცემა სვანეთში, ისე როგორც საქართველოში, მაგრამ უაღრესად მისი დაცემა ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს. ეს ერთგვარად ახასიათებს როგორც სვანეთს, ისე ლეჩხუმსაც“ [115, 435]. აღ-

ნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ XIX ს. მეორე ნახევრიდან სვანეთში ამ დარგმა ტრადიცია ვერ გააგრძელა, მაგრამ XIX ს. მანძილზე მაინც ამშვენებდა ამ მხარეს წარსულში ადგილობრივი მოპოვებული ოქროს საეკლესიო თუ საერო ნივთები, ჯვარ-ხატები და ფუფუნების საგნები.

სვანეთის მთავარი სიმდიდრე – ტყე – დურგლობისა და საერთოდ ხით ხურობის უზომოდ გამოყენება-განვითარების საშუალებას იძლეოდა. ადგილობრივი ხელოსნები ამზადებდნენ: უღელს, მარხილს, ხისგუთანს, კავს, კევრს, ტაპიკებს (ლასმანარ), გეჯას (ბეკ), კეხს (ლაკ). მზადდებოდა საოცრად ლამაზი ჯამ-ჭურჭელი-საოჯახო დგამი. ხის ჯამები („ფაკნი“), აკვნები, კოვზები („ყეშ“), წყლის დასალევად („კობულ, კათხ“), პურის გამოსაცხობი ხის ფართო მოცულობის ჯამი („მისერ“, „ჯარ“) ოხარო-წყლისათვის, სხვადასხვა ზომის გობები, არყის გამოსახდელი – სორგო. „ფიჩხ“ – მაგიდა სტუმრისათვის, „საკურცხილ“ – სკამი მახვილისათვის, „ბოჯგ“ – სამფეხა სკამი, „ლეგიმ“ – გრძელი ზურგმისაყუდებელი დივანისებური ფართო ხის სკამი, „ბანდარ“ – გრძელი ოთხფეხა, ერთიანი ფიცხის საჯდომსაწოლი, „ლეგინ“ – მოჩუქურთმებული ლოგინი, „ტაბაგ“ (ტაბაკი), კილობანი, სკივრი, რომლებიც მოჩუქურთმებული იყო მზის, მთვარის, ჯვრის და სხვა საღვთო გამოსახულებებით. კარგ სკივრებსა და კილობნებს მზითევშიც ატანდნენ. წნავდნენ: კალათებს, გოდრებს („ცხინკ“, „კვიდოლ“), ჩავს („ჩელტა“), ძარს და სხვა მრ. დურგლების ხელით მზადდებოდა სახურავეები, კარ-ფანჯარა, ჭერი, იატაკი; აკეთებდნენ ყავარს, სარს, ურდულეებს, სხვადასხვა ზომის კიბეებს; წითელი ხის, წაბლისა და ბლის ხისაგან ამზადებდნენ ულამაზესად მოჩუქურთმებულ სახატე ჩარჩოებს და ეკლესიის კარებს. ხელოსნების ხელით აიგებოდა ჯებირები, გაიდებოდა როგორც პატარა „ჭოკი“ („ჭეკი“) ბოირის ტიპის, – ასევე დიდი ხის ხიდი. რომელიც ზოგჯერ 15-25 მეტრის სიმაღლეზე იყო გადებული. ბალსქვემო და სადადიანო სვანეთისათვის XIX ს-ში დამახასიათებელი იყო ხის იმერული ტიპის სახლები. სადადიანო სვანეთში ასეთი სახლების ამშენებელს „ოსტატს“ უწოდებდნენ, ხოლო ქვის შენობის დამდგმელს – „ხელვანს“ [26,366]. ხის ოსტატები გარდა ხის სახლებისა, აშენებდნენ: სასიმინდეებს, კარპანებს, („ცალმაგ“) საღორე – საქათმეებს, წისქვილებს, რომელიც მუშაობდნენ წყლის ძრავით და „დღე-ღამეში, ა. კოყეენიკოვის მცდარი გადმოცემით, – 16-24 კგ ფქვავენენ [116,83], ქვემო სვანეთსა და ლახამულაში, სადაც ვაზი ხარობდა, თლიდნენ საწნახელს, ასევე პურის ბელელს, ხით ხურობის განსაკვიფრებელი ნიმუში ს. ჯანაშიას სახ. თბილისის მუზეუმშია: ჩუკულის



ხის მოზეკურთმეობული საოჯახო კურკელი (XIX ს).



კარები, საბძელი, ასევე თლიდნენ დამნაშავეს ან ტყვედქმნილი პიროვნების შესაბორკად ხუნდებს.

XIX ს. სვანეთში კოშკებს აღარ აშენებდნენ, მაგრამ ისინი იდგნენ როგორც სვანური კალატოზობის და ქვითხუროობის საუკეთესო ნიმუშები. იგივე ითქმის სამეურნეო, თავდაცვითი და საკულტო სხვა ნაგებობებზე. გ. გასვიანის აღნიშნით: „კალატოზობის მაღალკულტურული ტრადიციებით სვანეთი საქართველოს სხვა კუთხეთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა“ [117,256]. „ნოვოე ობოზრენის“ ერთ-ერთ ნომერში განმარტებულია, რომ სვანეთში კედლის კარგ მშენებლებს ხელოსან ენციკლოპედისტებს უწოდებდნენ, რამდენადაც მათი ხელობა მართლაც მოითხოვდა დიდ გამოცდილებასა და ცოდნას [118, №4731].

ვ. კლემენტიევის ცნობით – „სვანები საკმაოდ გემოვანი ხელოსნებია თიხის ჭურჭლეულობის მომზადებაში“ [119,53]. მართლაც, სვანეთში მზადდებოდა საუცხოო თიხის ჭურჭელი, იცოდნენ თიხის იატაკის კეთება, კალოს მოპირკეთება, სხვადასხვანაირი ფორმის ქოთნების დამზადება და სხვ.

XIX ს. სვანეთში ითვლებოდა სამი საკრავი „ჩანგი“, „ჭუნირი“ და „დაირა“. მთხრობელთა გადმოცემით – „ფანდური“ აღნიშნულ ხანაში არ იყო ხმარებაში.

სვანეთში მზადდებოდა სამი სახის საპონი: სარეცხისათვის, ტანსაცმელისა და თავსაბანისათვის. სამივე სახე მზადდებოდა ნაცრის ტუტისაგან. მომზადებაში გამოიყენებოდა ცხიმი, ნაცარი და ზოგი სხვადასხვა ბალახეულის წვესაც გაურევდა სასიამოვნო სუნისათვის.

სვანეთში არაყს ხდიდნენ ზოგიერთი სახის მარცვლეულისა და ხილისაგან.

საკმაოდ განვითარებული იყო ფეიქრობა. ქალები ამზადებდნენ შალეულს, ზოგან მას „ხაშქს“ უწოდებდნენ, ზოგან კი „კულის“, რომლისაგანაც კერავდნენ ჩოხებს, შარვლებს, ამზადებდნენ ქუდებს, ქეჩებს, ნაბლებს, ტილოს. ქსოვდნენ წინდებს და ხელთათმანებს. ასევე იკერებოდა საცვლები, პერანგი, პაიჭები, სამუხლეები, რომლებსაც პაიჭებს ზემოდან მუხლზე იცვამდნენ. კანაფის ძაფისაგან იკერებოდა ქალამანი („ჩაფგლ“, „ჯაბირ“, „ბანდულ“), რომელსაც შემოუჭერდნენ ჩაცმულზე წვრილთასმიან კანაფის „ღებარარს“ – ზონარს, რომ არ გახდილიყო. ქალებს ეცვათ პერანგი, შალის კაბა, ხავერდის ქათიბები და გულზე ნაქარგი ე.წ. „ჩაფრასტარი“. ფეხზე ეცვათ შედარებით ნაზად დამუშავებული რბილი ქალამნები. შეძლებულთ ყელზე ეკეთათ მძივები ქარვისა და გიშრისაგან. ასევე ატარებდნენ ბეჭ-

დებს, საყურეებს, სამაჯურებს, რომლებიც ძირითადად ადგილზე იყო დამზადებული. „ქალს სვანეთში აუცილებლად უნდა სცოდნოდა ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა და სხვა საოჯახო საქმე. ამიტომაც დედები თავიანთ ქალიშვილებს დიდი მონღომებით ასწავლიდნენ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს ცოდნა“ [120,11].

საოჯახო მრეწველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტყავის დამუშავება, რომლის ქიმიური დამუშავებით მზადდებოდა ქალამნები, ქურქები, თასმა. ქალამნებად იყენებდნენ ხარის ზურგის ტყავს. შედარებით ღარიბები ქალამნებს ღორის ტყავისაგანაც იკერავდნენ. განსაკუთრებული გამოყენება ჰქონდა ქურქს. მას საჭიროების შემთხვევაში კაცების გარ-



სვანური ქურქი

და ქალები და ბავშვებიც კი იცვამდნენ. ის სატარებლად მსუბუქი, ადვილად ჩასაცმელი და წვიმა გაუმტარი იყო. მას ამზადებდნენ არჩვის, თხის, ცხვრის და ზოგჯერ ხბოს ტყავისაგანაც. ი. ივანიუკოვის და მ. კოვალენსკის ცნობით – „გარდა რკინისა, მარილისა და ჩითეულისა, სვანები თვითონ ამზადებენ ყველა საჭირო ნივთს... კანაფისაგან ტილოს, ნანადირევის ტყავისა და მატყლისაგან – ტანსაცმელს, ტყავისაგან – ფეხსაცმელს, ასევე ამზადებენ ბეწვეულს, ქერის პატარა ქუდებს, საოჯახო საჭირო ნივთებს, იარაღს, უნაგირს, აღვირებს, სამიწათმოქმედო იარაღს და სხვ [18,591].

ირკვევა, რომ XIX ს. სვანეთში მეტალურგია, ქვით ზურობა და ოქრომჭედლობა ვერ შეედრებოდა ადრინდელ დონეს.

* * *

საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთ ეკონომიკური დამოკიდებულების საკითხი მკვლევართა საკმაო ინტერესს იწვევს. ამ ჭრილში დას.

საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელ გარე სამუშაოზე გასვლის საკითხის განხილვას ერთგვარი შუქის შეტანა შეუძლია.

აკად. დ. მუსხელიშვილი დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთდამოკიდებულებაზე მსჯელობისას, ერთგან [121,217] ძალზე მორგებულად იმოწმებს ვ. ბატონიშვილის მიერ ფშავე-ხევსურეთის ბართან დამოკიდებულების გამო გამოთქმულ აზრს, რომ „მიწის სიმწირისათვის მონებენ ვისცა უყრავსთ თიანეთი, რამე თუ იზრდებიან მუნიდამ“ [122,533]. ეს ფორმულა ძალზე მოხდენილია დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ბართან დამოკიდებულების ასახსნელად. იქაც მიწის სიმცირე იყო ძირითადი წყარო ბართან მორჩილი დამოკიდებულებებისა. დასავლეთელი მთიელი, კერძოდ, სვანი, როგორც ეს ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ყველა ღონეს ხმარობდა: აუმჯობესებდა მემინდვრეობის აგროწესებს, სამუშაო იარაღს არგებდა ადგილობრივ პირობებს, ეწეოდა სანიმუშო თესლბრუნვას, ნაკელის შეტანას, რწყავდა ე.ი. იყენებდა თითქმის ყველა შესაძლებელ ხერხს, რომელსაც შეეძლო მიწის ნაყოფიერების გაზრდა. ასევე ეფერებოდა, უვლიდა, საკუთარ სახლში აბინაებდა პირუტყვს, ყველაფერს აკეთებდა მისი მოვლა-პატრონობის მიზნით, მაგრამ მცირე მიწიანობას და მკაცრ ბუნებრივ პირობებს მაინც თავისი გაჰქონდა – სასურველი შედეგი არ ჩანდა. ამიტომაც აკითხავდა საქართველოს ბარს, „რამე თუ იზრდებოდა მუნიდამ“. ამიტომაც იყო იგი იძულებული გარე საშოვარზე წასულიყო. იგივე მიზეზი უბიძგებდა გარე სამუშაოზე გასვლისაკენ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობასაც [123,5] [25,60]. თვით შვეიცარიაშიც კი მიწის სიმცირის გამო „იმ სოფლებიდან, სადაც სულ 300-მდე მცხოვრებია, 200 კაცზედ მეტი უცხო ქვეყანაში მიემგზავრება ფულის საშოვნელად“ [124, №252].

XIX ს. სვანეთიდან შეძლებული მოსახლეობის მამაკაცთა დიდი ნაწილი სამუშაოდ მიდიოდა საქართველოს ყველა კუთხეში. ამიტომაც აქვს ნაბრძანები აკად. ნ. ბერძენიშვილს რომ „... სვანი, ზომ მიწის მუშას ნიშნავს, არხის ოსტატს, მკის ოსტატს, კახეთის, ქართლის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის მეურნეობა დიდად დავალებულია ამ „სვანებით“ [37,430]. სამუშაოდ წასული სვანები ძირითადად მიწასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებს ასრულებდნენ. კერძოდ, ბარავდნენ ბალ-ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს, სარწყავ არხებს, გაჰყავდათ გზები, რწყავდნენ ყანებს, იღებდნენ მოსავალს, თიბავდნენ თივას, ასევე ჩეხავდნენ ხე-ტყვს, ამზადებდნენ შეშას, ღობავდნენ, ხერხავდნენ საშენ მასალას და, საერთოდ, ასრულებდნენ მეტად მძიმე სამუშაოებს.

მკვლევართა გარკვეულ ნაწილს რატომღაც მიაჩნია, რომ რეფორმამდელ პერიოდში სვანეთიდან გარე სამუშაოზე გასვლას „შემთხვევითი“ ხასიათი ჰქონდა [40,88]. ჩვენის აზრით, ეს მთლად სიმართლეს არ შეესაბამება. მართალია, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, რეფორმის შემდგომ და განსაკუთრებით XIX ს. 90-იან წლებიდან სვანეთში გარესამუშაოზე გასვლას უფრო რეგულარული, უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მანამდე სვანები გარესამუშაოზე „შემთხვევით“ გადიოდნენ. მაგალითად, XV საუკუნის ერთ-ერთ სვანურ ე.წ. ჯაფარიძეთა „სასისხლე“ სიგელის განხილვის შემდეგ აკად. დ. მუსხელიშვილი აკეთებს სრულიად მართებულ დასკვნას: „ირკვევა, რომ სვანები საარსებო სახსრების საშოვნელად ანუ „საჯამაგიროდ“, მარილისა და ღვინის საყიდლად – „სამუშაოდ“ რეგულარულად (ხაზგასმა ჩემია, ავ.) დადიოდნენ არა მარტო რაჭა-ლეჩხუმში, არამედ გურიაში, სამცხეში და კახეთშიც კი“ [121,143]. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი XVII ს. თვითმხილველი მოწმეა იმისა, რომ ოჯახის საჭიროების საშოვნელად სვანები „ზაფხულის დასაწყისს მუდამ (ხაზგასმა ჩემია, ავ.) ჩამოდინან ჯგუფ-ჯგუფად“, მუშაობენ სამეგრელოში „მოსავლის აღებამდე“, მერე „ბრუნდებიან შინ“, ხოლო ზამთარი რომ დადგება სვანები ჩამოდინან ოდიშში“ და არიან იქ „ზამთრის დასასრულამდე“ [125,167] ე.ი. საშინაო აუცილებელი სამუშაო დროის გარდა, ისინი გარე სამუშაოებზე იმყოფებოდნენ „რეგულარულად“, „მუდამ“ და თანაც ჯგუფ-ჯგუფად. ამ მოსაზრების დასტურს ვხედავთ იმ ფაქტში, რომ XIX ს. 40-50-იან წლებში, როცა სამეგრელოსა და საბატონო სვანეთის მთავრებს შორის დაიძაბა ურთიერთობა და ერთმანეთთან ყოველგვარი კავშირი და მიმოსვლა აიკრძალა, თავისუფალი სვანეთის სოფ. იფარის აზნაურები ბესი და სულთან ქურდიანები, რამდენიმე გლეხთან ერთად, იძულებულნი გახდნენ „უტყუარი პირობის დადებით“ ეთხოვნათ სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისათვის უფლება სამეგრელოში „თავისუფალი მსვლელობისა“ და „მოუშლელი ვაჭრობისა“ [126,7410]. XIX ს. ეს საბუთი გარკვეულწილად პარალელს პოულობს XV ს. ზემოთ ნახსენებ „სასისხლე წიგნთან“. XV ს. ეს „უნიკალური დოკუმენტი“ (დ. მუსხელიშვილი) იმას გვაძენობს, რომ თავისუფალი სვანეთი თავად ჯაფარიძეთა მკვლევლობაში მონაწილეობისათვის 12 წლის განმავლობაში გზაჩაკეტილი იყვნენ, ბარად არ უშვებდნენ და მათი ჩენილების განცხადებით, „შეწყდელნი“ იმყოფებოდნენ. მძიმე დღეში ჩავარდნილმა ხალხმა ბალსზემო სვანეთმა ქმნა და ჩენილები გაგზავნეს ეცერში რუჩაგაიანთან და დადიშკელიანთან, შეეხვეწნენ გაგზავნებოდათ დადიანთან, თან გაატანეს სა-

ჩუქრად 7 ჯორი, რათა ამ უკანასკნელს რამეფრად მიედწია იმერეთის მეფის ალექსანდრესგან გამოეთხოვა მათთვის ბარად გაშვების ნებართვა. ალექსანდრე მეფე ბრძანებს რომ „თუ ჯაფარიძის სისხლს გადაიხდინანო, სუანთ გზას მივცემო“. ერთი სიტყვით, ბარად გაშვება ბალსზემო სვანეთს დაუჯდა აუარებელი ქონება და დიდი მიწა-წყალი ზედ მცხოვრებლითურთ [59,31-32]. ეს კი იმას მოწმობს, რომ სვანეთს მოკლე დროითაც არ შეეძლო არსებობა ბარის რაიონებიდან საზრდოობის გარეშე და ამიტომაც ბართან მათ რეგულარული კავშირი ჰქონდათ. ბარში სამუშაოდ რეგულარულ კავშირს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ სვანეთის რიცხვმრავალ ოჯახებში შრომა ისე იყო დანაწილებული, რომ გარე სამოგარზე („ლჰქმა“) წასულ ადამიანს საშუალება ეძლეოდა სამუშაოდ დარჩენილიყო იმდენ ხანს რამდენსაც ისურვებდა. „ზოგიერთი ზამთარ-ზაფხულს სულ სამუშაოდ ბარად იმყოფებოდა, – მოგვითხრობს ავთანდილ არსენას ძე ცალანი, – და შინ მხოლოდ ნადავლის („ნაქიმიშ“) მოსატანად ბრუნდებოდა. ოჯახის მონახულების უმაღ გუდანაბადს ისევე ბარისაკენ აიკრავდაო“ [127].

მთელი XIX ს. მანძილზე სვანეთიდან ასევე დადიოდნენ სამუშაოდ ჩრდ. კავკასიაში – ყარაჩაი – ბალყარეთში, ადიღე-ჩეჩენეთსა და ოსეთში, ასევე რუსეთშიც [85,80]. აქ ისინი მუშაობდნენ მთიბაკებად და მოსავლის აღებაზე. გ. გასვიანის აღნიშვნის თანახმად, „სამუშაოდ გასვლა ფართო მასშტაბებს იღებდა ჩრდ. კავკასიაშიც, სადაც სათიბავად თითქმის ყოველი მესამე მამაკაცი დადიოდა [117,258]. საარქივო ცნობით, „ქვემო სვანეთიდან ზაფხულობით გარე სამუშაოდ მიდიან ჩრდ. კავკასიაში, ხოლო შემოდგომაზე ყაბარდოში, ჩეგემისა და ბაქსანის ხეობაში, სადაც შრომის გარდა ეწევიან ვაჭრობასაც“ [128,20]. იგივე ფაქტს იმეორებს „ნოვო ობოზრენიეს“ ერთ-ერთი კორესპონდენტი [32].

რეფორმის შემდგომ პერიოდში, როცა ბატონყმური წესი ვერ აბრკოლებდა ბარად სამუშაოდ წასვლას, მითუმეტეს თავისუფალ სვანეთიდან, გარე სამუშაოდ წასვლამ უფრო საყოველთაო ხასიათი შეიძინა. 1888 წლის ერთ-ერთ წერილში ბ. ნიჟარაძე წერდა: „სვანეთის ყველა სოფლიდან დიდ ძალი მუშა ხალხია წასული სამუშაოდ რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთ-სამეგრელოში. ყველაზე მომეტებული პროცენტი უშგულის საზოგადოებას ხვდება. ამჟამად აქ, სადაც 500 სული მცხოვრებია, – მცირეწლოვანთ გარდა – მამრობით სქესიდან მხოლოდ 54 მამა-კაცია შინ. ამ რიცხვში 18 კაცი მოხუცია, რომელთაც სამუშაოდ გასვლა არ შეუძლიათ და მარტო შინაურობაში გამოდგებიან. 6 კაცი სოფლის მოხელე, რომელნიც საზოგადოებას ვერ მოს-

ცილებიან და ერთი დიაკონი“ [129,125]. ამ ცნობიდან სამი მნიშვნელოვანი ფაქტი ჩანს: პირველი. სვანეთის მცირე მიწიან სოფლებიდან მეტი მუშახელი გადიოდა. მეორე, გარე სამუშაოზე გასვლა უფრო საყოველთაო იყო და მესამე, გარე სამუშაოდ გადიოდნენ არა მხოლოდ ღარიბი გლეხები, არამედ შეძლებული გლეხებიც. ა. ჩარკვიანი ერთგან შენიშნავს, რომ „გარე სამუშაოზე მიდიოდნენ როგორც ღარიბი ოჯახებიდან, ისე შეძლებული გლეხური ოჯახებიდანაც“ [30,163]. სათანადო ფაქტების უქონლობის გამო მტკიცებისაგან თავს ვიკავებთ, მაგრამ შესაძლებელია გარე სამუშაოზე გასვლაში, ამა თუ იმ ფორმით, ბალსზემო სვანეთის აზნაურებსაც მიეღოთ მონაწილეობა. სვანები გარე სამუშაოზე „ჯგუფ-ჯგუფადაც“ დადიოდნენ, გაყავდათ რთული სარწყავი და სხვა ტიპის არხები და ასრულებდნენ კალატოზურ სამუშაოებს, რაც საჭიროებდა მეტ ცოდნასა და პასუხისმგებლობას, სადაც, ალბათ, აზნაურების მონაწილეობა უპრიანი იქნებოდა. სხვანაირად, ალბათ, ლოგიკას მოკლებულია მათი ზრუნვაც, მაგალითად, სამეგრელოს სამთავროში თავისუფალ სვანეთიდან სამუშაოდ მომსვლელთა „თავისუფალი მიმოსვლისა“ და „ვაჭრობის“ ნებართვის მისაღებად.

სვანეთიდან ჩვეულებრივ, გარე სამუშაოზე მიდიოდა ფიზიკურად შეძლებული მძიმე სამეზავრო პირობების ამტანი და შრომის უნარიანი 18-50 წლამდე ასაკის მამაკაცობა. ეგ. გაბლიანის ცნობით, ზამთრობით სამუშაოდ წასულთა რიცხვი 2000 კაცს აღწევდა, გაზაფხულზე 1250 კაცამდე... ხოლო მარიამობისთვეში ჩრდილოეთ კავკასიისაკენ სამუშაოდ წასულთა რიცხვი 500-1000 კაცს აღემატებოდა [60,167]. ს. ანისიმოვის მიახლოებითი ცნობით, ყოველწლიურად გარე სამუშაოზე გამსვლელ სვანთა რიცხვი 1500-2000 კაცს აღწევდა [69,76]. მართალია, ეს ცნობები XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცეულ წლებს ეკუთვნის, მაგრამ ისინი მაინც ქმნიან გარკვეულ წარმოდგენას საკვლევ პერიოდში გარე სამუშაოზე გამსვლელთა რაოდენობის შესახებ. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სვანები სამუშაოს ასრულებდნენ კეთილსინდისიერად და დროულად, ამიტომაც მათ სამუშაოს დამკვეთნი არ აკლდათ.

უნდა ითქვას, რომ გარე სამუშაოზე გასვლის საკითხი ხელუხლებელ საკითხთა რიცხვს არ ეკუთვნის, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლები ყურადღებაა დათმობილი ამ სამუშაოს შედეგიანობაზე სვანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საარქივო მასალების და სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ გარე სამუშაოზე გასვლა სვანეთის ეკონომიკური

ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. მხოლოდ გარე სამუშაოზე გასვლის გზით ავსებდა სვანი თავისი ოჯახის ბიუჯეტის იმ დანაკლისს, რაც სვანეთში ან არ კმაროდა, ან საერთოდ არ იყო.

თვით სვანეთში XIX ს. მეორე ნახევარში აქა-იქ ადგილი ჰქონდა დაქირავებულ შრომას. მაგალითად, ი. ივანიუკოვის და მ. კოვალეცკის დაკვირვებით, „დაქირავებული მუშა სვანეთში შეძლებულ ოჯახისაგან იღებს საკვებს და 10 კაპ. ფულს“ [18, 591]. ე.ი. თვეში ასეთი მუშა აკეთებდა მხოლოდ 3 მანეთამდე ფულს. ამიტომაც ყველა შეძლებული მამაკაცი სვანეთს გარეთ გადიოდა სამუშაოდ. იგივე მდგომარეობა იყო რაჭა-ლეჩხუმშიც. ი. ბახტაძე წერდა, რომ გარე სამუშაოზე გასვლა იყო რაჭველი გლეხის „ლამის ერთადერთი არსებობის საშუალება... თითქმის ყველა სოფელში კითხვაზე: „ვინ სად წავიდა“, გლეხები ლაკონურად პასუხობდნენ: „ყველა და საითაც გინდა“ [25, 72]. „და აი, – განაგრძობს ავტორი, – თქვენ მას ხელავთ ხან ბათუმში, ხან სოხუმში, ფოთში, სევასტოპოლში, ქერჩში, თბილისში, ქართლის სოფლებში, კახეთში და დასავლეთ საქართველოში. ყველგან თან ატარებს იგი თავის ცხენისებურ ძალას სუფთა პირუტყვული მოთმინებით და ერთადერთი სურვილით – შეიძინოს კაკეკი“ [25, 73]. როგორ მოგვაგონებს ეს სიტყვები ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიას, სადაც ნათქვამია: „ამდენ ხანს თუ სვანი ისე მოკვდებოდა, რომ ლეჩხუმსაც კი ვერ იხილავდა, დღეს მას დასავლეთ საქართველოს რომელ სოფელში ვერ შეხვდებით თოხნითა და ნიჩბით შეიარაღებულს და თვალგაფაციცებით სამუშაოს მაძიებელს...“ [№19]

ბ. ნიჟარაძის შენიშვნით, საქართველოს ბარში „დღიური ქირა მუშა სვანისა – 15-20 კაპეკია და 6 შაურს ძვირად ასცილდება“ [129, 126]. მაგრამ არსებობს ამის საწინააღმდეგო ცნობებიც, რომ ზოგ შემთხვევაში სვანი მიწის სამუშაოზე ორ თვეში 9 თუმანს, ხოლო ტყის სამუშაოზე 6 თუმანს იღებდა [130, 39]. კისლაკოდსკა და ესენდუკში სვანის ორკვირიანი შრომა 5-8 მანეთი ღირდა [85, 80]. ჩრდ. კავკასიაში, კერძოდ, ყაბარღოში, ყარაჩაი-ბალყარეთში, ოსეთში („ყარაჩაში“, ყაბარღოსა და სავიარ-ში) ორ თვიან შრომაში იღებდა სამი წლის მოზვერს და ვერძს [85, 128], ყარაჩაში 2,5 თვის მუშაობაში, მაშინ როცა კვება დამქირავებლისა იყო, – 50 მანეთს“ [8, 62]. სამეგრელოში სხვადასხვა საზამთრო სამუშაოებზე, კვების გამოკლებით, სვანი 15-20 მანეთს, ზოგჯერ მეტსაც აკეთებდა – თვეში. საერთო ჯამში გარე სამუშაოზე გასული სვანის წლიური ხელფასი 100 მანეთს ჭარბოდა. მაგალითად, 1899 წელს საშოვარზე წასული გლეხის გამომუშავე-

ბა... 130-350 მანეთს შორის მერყეობდა, ხოლო 1898 წელს ის – 140-380 მანეთს უდრიდა“ [30,161].

ა. კალეიტი უფრო კონკრეტულ ანგარიშს გეთავაზობს. მისი დაანგარიშებით, ცაგერიდან სვანეთში ერთი მარხილი ტვირთის (6 ფუთი) მოტანა ჯდება 6 მანეთი, ქუთაისიდან კი – 8-10 მანეთი, სამეგრელოდან ლენკერის გზით – 1 მან. 50 კაპ., ყოველწლიურად სვანეთის თითოეული კომლი საშუალოდ ყიდულობს 6 ფუთ სიმინდს და იგივე რაოდენობის მარილს. 1500 კომლით დასახლებულ სვანეთს, ასეთი ანგარიშით, შეაქვს 9000 ფუთი სიმინდი და 9000 ფუთი მარილი – ხოლო სვანეთიდან გარე სამუშაოზე გასულთა მიერ შექმნილი წლიური თანხა არის არანაკლებ 60000 მანეთისა. ყიდვა-ამოტანაში, თუ ცაგერში ფუთი სიმინდი ნაყიდი იქნა 70 კაპ., და მისი მოტანა დაჯდა 1 მანეთი, მარილის ფასი ქუთაისში – ფუთი 35 კაპ., და მოტანა 1 მან და 45 კაპ., მაშინ სიმინდის მოტანა დაჯდება 15300 მანეთი და მარილისა 16200 მან., ორივესი კი 31500 მან. თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ მარილისა და სიმინდის მოტანა ხდება ადგილობრივი ცხენებით, მაშინ ფაქტობრივად თანხა გახდება $6300+3150=9450$ მანეთი ე.ი. 1/7 ნაწილი სვანთა წლიური ნაშოვნი თანხისა. თუ ჩვენ საერთო 60000 თანხას გამოვაკლებთ 9450 მანეთს ე.ი. იმას რაც მოტანა დაჯდა და გამოვაკლებთ სახელმწიფო და მიწის სხვა წლიურ გადასახადებს – 2135 მანეთს, მაშინ სვანეთს დარჩება 48415 მანეთი თანხა ე.ი. საშუალოდ 33 მანეთი კომლზე ანუ 4 მანეთი სულზე [8,61-64].

მართალია, ასეთი მცირედი თანხა ბევრს არაფერს არ წარმოადგენდა, მაგრამ სვანეთის საპეციფიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გარე სამუშაოზე გასვლას მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შემდეგ, უმნიშვნელოვანესი როლი ეკავა სვანეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარე სამუშაოზე გასვლის მნიშვნელობა მარტო ამით როდი შემოიფარგლებოდა. სვანეთი ბართან დაახლოების შედეგად „უძრავი და ერთ წერტილზე გაყინული არ ყოფილა“ (ნ. ბერძენიშვილი), იგი სწავლობდა მშობლიურ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც, როგორც სასოფლო-სამეურნეო ისე სხვა დარგის მიღწევებს და იყენებდა მას საქართველოს განუკვეთავი კუთხის – სვანეთის ქართულ საერთო განვითარების ფერხულში ჩასაყენებლად. გარე სამუშაოზე გასვლა გლეხებს უდიდეს გამოცდილებასა და ცოდნასაც სძენდა, რადგან ბარში მიღებულ ცოდნასა და მოწინავე კულტურულ ჩვევებს თავის მხარეში აერთელებდა და ამკვიდრებდა.

XIX საუკუნის სვანეთში გარე სამუშაოზე გასვლა ნიშნავდა ვაჭრობასაც. ესეც სვანეთის ერთგვარი დამახასიათებელი თავისებურება იყო. ს. ჯანაშიას განსაზღვრით, სტრაბონის ცნობები სვანეთის შესახებ ეკუთვნის ჩვ. წ. ა-მდე პირველი საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც შავი ზღვის სანაპიროზე დიოსკურიაში 70 ენოვან სავაჭრო ბაზარში ფიგურირებდნენ სვანი ტომის წარმომადგენლები [131,118-119]. იმ დროიდან დაწყებული „არსებითად, ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარს შორის ათასწლეულის მანძილზე არ შეცვლილა“ [121,143]. ამისი უტყუარი ფაქტები მოგვეპოვება IV-VI საუკუნეებისათვის და შემდეგაც. XV ს. საისტორიო ძეგლი მოგვითხრობს რომ სვანეთიდან ლეჩხუმის ბაზრობაში ერთჯერად ჩასვლაზე მონაწილეობა მიუღია რვაას კაცს „ოთხასი საპალნე ცხენით“ [59,31]. XVII ს. თვითმხილველმა ა. ლამბერტიმ აღნიშნა, რომ „ქუთაისში... მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაკვთ თავისი შინაური ნაწარმოები, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებსა და ცხვრებს“ [125,10]. მსგავს ცნობებს შეიცავს ამავე საუკუნის ფრანგი მოგზაურის ეან შარდენის თხზულება „მოგზაურობა“, XVIII ს-ში ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობანი საქართველოში“ და სხვ. სხვადასხვა ცნობებიდან ირკვევა, რომ ძველ დროში სვანებს მთელ საქართველოს ბაზრობებზე გაჰქონდათ: ტყვია, დენთი, გვარჯილა, თაფლი, სანთელი, აღსანიშნავია, რომ XV ს-ში თავისუფალმა სვანეთმა რაჭის თავად ჯაფარიძის მკლევლობის გამო იკისრა „სამასი ლიტრი სანთელი“ [59,34], ასევე, ჯიხვის რქები, ბეწვეულობა, შალეული, კანაფისაგან დამზადებული ტილო, ხის ჭურჭლეულობა – ჯამები, პატარა მაგიდები, დანები, ხილი, დამუშავებული ტყავები, ბაწარი, ქქრის პატარა თუ დიდი ქუდები და სხვ. XIX ს. დასაწყისიდანვე „განსაკუთრებულად რეგულარული იყო შინა ვაჭრობა და საქონელ გაცვლა იმერეთის, გურიას, რაჭის, სამეგრელოსა და სვანეთს შორის“ [132,49]. სვანეთი მთელი XIX საუკუნის მანძილზე რეგულარულად ვაჭრობდა ჩრდილოეთ კავკასიასთან. მოვიყვანოთ ფაქტები. XIX ს. 40-იან წლების საარქივო ცნობით: „სადადიანო სვანები... დათვის, მელიის, კვერნის, უგერგილოდ გაკეთებულ ტყავებს, არჩვის რქებსა და სხვა ყიდიან ლეჩხუმში, რაჭაში, ქუთაისში. იქვე ყიდულობენ რკინას, მარილს, წითელ ფართალს უმთავრესად ჩითეულს, რომელთაც მთლიანად ყიდიან შემდეგ სადადიშკელიანო და თავისუფალ სვანეთში; იქვე ყიდიან ტყვიას, ხოლო ყიდულობენ თოფის წამალს, ნაბდებს, ღართებს, ჩერქეზულ მაუდს, და სხვა“ [133,8]. მეორე საარქივო ცნობის თანახმად, როგორც სადადიანო, ისე ზე-

მო სვანეთის წარმომადგენლები აქტიურ ვაჭრობაში იყვნენ ჩარეული ქუთაისის, ონის, ხონის, ლაილაშის, ცაგერის, ზუგდიდის, ჯვარის, ლიის, სენაკის, ილორის და სხვა სეზონურ ბაზრობებზე [134,11] სენაკის, ზუგდიდის, მურის „იარმურკობაზე“, ასევე ჯვარის, დაბა მარანსა და ლაილაშში, ახალჭალასა და ცაგერის ბაზრობებზე სვანების მონაწილეობას ადასტურებს აკად. პ. გუგუშვილი [135,383-391]. „ყარაჩელებისა და ბალყარელებისაგან სვანები მცირე ფასებში ყიდულობენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ცხვრებს, თხებს, ასევე ნაბდებს, ქეჩებს, ჩერქეზულ ცხენებს, შალეულს და ორმაგ ფასებში ყიდიან სადადიანო სვანებთან, ხოლო ლეჩხუმში ან სადადიანო სვანეთის ბაზრობებზე ნაყიდ ჩითეულით და წითელი საქონლით სვანები ამარაგებდნენ ყარაჩელებსა და ბაქსანელებს. სადადიანო სვანები კი ზემო სვანეთში ყიდიან მარილს, ტყვიას და რკინას“ [136,20]. სხვათაშორის, სვანებს ყარაჩაი-ბალყარეთში გარდა აღნიშნულისა, მიჰქონდათ გასაყიდად მსხლისა და ვაშლის ჩირი („ლგბადე“), ლამაზად დაწნული ხის კალათები და იქ ცვლიდნენ ადგილობრივ ნაწარმზე – მატყლზე, საფენ და მოსასხამ ნაბდებზე, თხა-ცხვარზე და სხვ [10,149]; [5,34]. აღსანიშნავია, რომ სვანებს ჩრდ. კავკასიაში შრომასა თუ ვაჭრობაში ხელს უწყობდა იქაური ენების ცოდნა. ეთნოგრაფ ი. მარგიაანის ცნობით – „სვანმა თათრული (ასე ეძახდნენ სვანები ჩრდ. კავკასიურ ენებს, ა.გ.) ზედმიწევნით იცის“ [10,149]. მკვლევარი მ. სამსონაძე სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ XIX ს. დასაწყისიდან „საერთო ქართულ საქონელ გაცვლაში, აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის ყველაზე შორეული მთიანი პროვინციებიც“. რომ, „არა ერთი წყარო მიუთითებს სვანების მონაწილეობას დასავლეთ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ცენტრების ბაზრობებში. ის ფაქტი, რომ სვანური პროდუქცია (გვარჯილა, ტყვია და სხვ.) აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე შორეულ პროვინციებშიც კი იყიდებოდა, მეტყველებს ამ კუთხეში სასაქონლო მეურნეობის ჩასახვის პროცესზე. როგორც ჩანს, – დაასკვნის ავტორი, – სვანები ფართო საშუაშავლო ვაჭრობას ეწეოდნენ საქართველოს ბარსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა პროვინციებს შორის.“ [132,55-56]. ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. გ. გასვიანიც [117,257].

აკად. დ. მუსხელიშვილი წერს: „ძველად არა მარტო ჩქუმის, არამედ მთელი ლეჩხუმის სავაჭრო ადგილი ხონი ყოფილა. იქ მოჰქონდათ ღვინო, ხილი და მიჰყავდათ საქონელიც. ყიდულობდნენ მარილს, ფართლეულს, ტანისამოსს.

ქვემო სვანეთიდანაც სავაჭროდ ხონში ან ქუთაისში დადიოდნენ. ხონიდან უმთავრესად მარილი ამოჰქონდათ, ქუთაისიდან – ტანისამოსი, გასაყიდად საქონელი ჩამოჰყავდათ.

ზემო სვანეთიდან (უშგული და ქვედა თემებიც ლატალ-ლენჯერამდე), რომელიც მრავალი გზით არის დაკავშირებული ქვემო სვანეთთან, სავაჭროდ დადიოდნენ ლეჩხუმში – ცაგერსა (ცხენისწყლის ხეობა) და ლაილაშში (ლაჯანურას ხეობა). ჰყიდდნენ ყველს, საქონელს. ხონში ყიდულობდნენ ცხენებს, ქუთაისში – ქემარაილს და სხვ. [121,143].

როგორც გარე სამუშაოზე გასვლამ, ასევე ვაჭრობამაც ახალი ბიძგი განიცადა რეფორმის შემდგომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. საქართველოს ბარში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც ითრევედა აღნიშნულ რეგიონს ახალი ფულადი ურთიერთობის ძალით აღდუღებულ ისტორიულ ქვაბში. ფულზე მოთხოვნილების გაზრდამ სვანეთშიც გზა გაუკაფა მევახშეობას. ხოლო ამ უკანასკნელის გაღრმავება დააჩქარა ნატურალურ გადასახადთა კომუტაციამ. მოსახლეობა, როგორც ქვემო, ისე ზემო სვანეთში, ამჯობინებდა „ნატურალური გადასახადის შეცვლას ფულადი გადასახადით“ [137,519]. რადგან ფულს გარე სამუშაოდ წასვლით შოულობდა. თვით სვანეთში ადგილი ჰქონდა ნატურით გაცვლა-გამოცვლას, რიგ შემთხვევაში ფულიც იყო მიმოქცევაში, მაგრამ ძირითადად ვაჭრობა ბარიდან ამოსულ ებრაელებისა და სომხების ხელში იყო. მათ მოჰქონდათ სვანეთის სოფლებში: ჩითი, ნარმა, ფეხსაცმელი, ნემსები, სავარცხლები, მახათები, შაქარი, ჩაი, ყავა, თუთუნი, ქალის სამკაულები, ქაღალდი, ჭურჭლეული, ძფი, სათითურები, მაკრატლები, სხვადასხვა საღებავები და სხვ. ყიდდნენ ფულზე, მაგრამ თუ მყიდველს ფული არ აღმოაჩნდებოდა, მაშინ ძალიან იაფად გამოართმევდნენ კვერნის, მგლის, მელიის, დათვის ტყავებს, ზოგჯერ ჯიხვის რქებსაც, სანთელს, თაფლს და შემდეგ საქართველოს ბარის ბაზრობაზე ყიდდნენ. სვანეთსა და სამეგრელოს შორის არც ისე იშვიათი იყო ცხენებით ვაჭრობა. საარქივო ცნობით – „სამეგრელოში ყველა წოდებაში ადგილი აქვს ცხენებით ქურდობას, რომელთაც მერე ადვილად გადაცვლიდნენ ან გაყიდნენ... სვანეთში“ [138]. XIX ს. 90-იან წლებიდან ვაჭრობაში ნელ-ნელა ებმება ადგილობრივი მოსახლეობა. „პირველ ხანებში ასეთ ვაჭრებად ცნობილი იყვნენ: კალის თემში: გ. ხარძიანი და ვ. მარგველანი; იფარის თემში – გ. ზვისტანი, ლ. კორძაია და სხვ; მულახის თემში – ლ. იოსელიანი, გ. დევდარიანი და სხვ. ჩუბეხევის თემში – მ. ჭკადუა, ი. ჭკადუა (ქალი), გ. წულუკიანი და სხვ.“ [30,149].

მიუხედავად ამისა, მთელი XIX ს. მანძილზე აღებმცემობა მაინც სუსტად იყო განვითარებული. რაიმე ორგანიზებულ სახელმწიფო ვაჭრობას იქ ადგილი არ ჰქონია. ყოველივე ეს ჩამორჩენილი საკომუნიკაციო მიმოსვლითაც იყო განპირობებული. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, XIX ს. 80-იან წლებში ბეჩოში იყო ერთი დუქანი, რომლის „პატრონი მეგრელი იყო. როდესაც სვანეთში მიმავალი გზები შეკრული არ არის, მაშინ ამ დუქანში იბოვება შაქარი, ჩაი, მაგარი სასმელები, საპონი, წუმწუმა, სანთელი, ხანდახან ღვინოც და მომეტებულად სვანური არაყი... ამ ერთი დუქნის მეტი არც წინათ და არც შემდეგში სვანეთში არასოდეს ყოფილა“ [34,99-100]. იგივე აზრია გატარებული სამეგრელო-სვანეთის მმართველის ჩანაწერებშიც [139,13]. XIX ს. ბოლოს ქვემო სვანეთში – ლაშხეთსა და ლენტეხში ადგილობრივი ვაჭრების გ. ონიანის, ევ. ლობჯანიძის, ნ. ჯაფარიძის და სხვათა მიერ გახსნილი ყოფილა სავაჭრო დუქნები, რომლებიც კონკურენციას უწევდნენ ლაილაშელ ებრაელებსა და სომხებს [34,149].

საერთოდ, სვანეთში, ისე როგორც წინანდელ საქართველოში, ვაჭრობა ხალხის თვალში სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. მიაჩნდათ, რომ ეს არასვანური, არატრადიციული საქმე იყო. ვინც ვაჭრობას მისდევდა, მას უსიმაპთიოდ უყურებდნენ და უპატივცემლოდ ექცეოდნენ. 1877 წ. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ნათქვამია: სვანები „ძალიან ემდურიან იმ კაცებს, რომლებიც სვანეთში დადიან სავაჭროდ და ჰრქიან საქონელს, ცხენებსა და ცხვრებს ჰყიდიან. სვანეთში ამისთანა ვაჭარს ხალხის სრულებით არავითარი პატივისცემა არა აქვს“ [140, №25]. იმის გამო, რომ სვანეთში ვაჭრობას ეწეოდნენ ებრაელები, რომელთაც სვანები ურიებს უწოდებდნენ და სომხები, ამიტომ თავის მოხერხებულ სავაჭრო ადგილას მდებარეობასა და ამიტომაც ვაჭრობაში აქტიურად ჩართულ სვანეთის XIII ს-იდან სვანურ-ქართული გვარებით, ტრადიციებით და ჩვეულებებით, სარწმუნოებით მცხოვრებ სოფელ ლახამულის მცხოვრებლებს ებრაულ ტიპებს, ზოგჯერ ებრაელებსაც უწოდებდნენ. საკმარისი აღმოჩნდა ეს ყოვლად საფუძველს მოკლებული რამ გაეგოთ „ქართველი ერის მოსაშლელად, მის გასაქრობად“ (ნ. ბერძენიშვილი) გამზადებულ ახირებულ, აგრესულად განწყობილ ცარიზმის აგენტმოხელეებს, რომ ეს სოფელიც, ისევე როგორც „გურულები, მესხები, კლარჯები, შავშები, აჭარლები, აღმოსავლეთ-კახელები (ინგილოები), მეგრელები, სვანები“ „არა ქართველებად“ ელიარებიანთ [141,280-281]. ამასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ და სერიოზული შეცდომა დაუშვა პროფ. მ. დუმბაძემ, რომელმაც სოფ. ლახამულა, ქართველი ერის მოსაშლელად გამზადებულ რეაქციონერ რუს

მოხელეების მიბაძვით და მათზე დაყრდნობით, ყოველგვარი გაანალიზების გარეშე, ლახამულა „ებრაელი ვაჭრებით დასახლებულ სოფლად“ მონათლა [51,65]. უფრო მეტიც, თურმე ლახამულელ ვაჭრებისაგან გარკვეული ფულადი შემოსავალი უნდა ჰქონოდათ“ დადიშგელიანებს [51,18]. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა პირველწყაროსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ არც ლახამულელები ყოფილან უცხო ხალხის წარმომადგენლები და არც ფულადი შემოსავალს აძლევდნენ მებატონე დადიშგელიანებს [142].

• აღნიშნულ პერიოდში ვაჭრობა იმავე ხასიათს ატარებდა რაჭა-ლეჩხუმშიც. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ჭარელები და ლებელეები უფრო ვაჭრობას მისდევენ; ყიდულობენ რუსეთში (მოსკოვში, ნიჟინოვგოროდში და სხვ.) ფართალს, მოაქვსთ, ჩრდილოეთ კავკასიაში, იქ გაცვლიან ოთხფეხზედ (თხა-ცხვარზედ, ცხენებზე და ხარებზე) და ან ჩოხა-ნაბაღზე. ყოველივე ეს გადმოაქვთ სამხრეთ კავკასიაში და ასალებენ სხვადასხვა დაბებსა და ქალაქებში“ [143, №160]. იგივე წყარო განაგრძობს, რომ „ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმორეკილ ჯოგს აქ ასუქებენ მთელი ზაფხული და შემდეგ გასაყიდად წამორეკენ ქუთაისისაკენ... შემოდგომის პირზე ისინი ასალებენ ჯოგებს და ფულად აქცევენ“ [143, №160]. რაჭველები, ისევე როგორც სვანები, ასევე წარმატებით ვაჭრობდნენ ოსებთან [144,1]. რაც შეეხება ლეჩხუმს, იქ სვანეთისაგან განსხვავებით არსებობდა შიდაბაზარი. ერთ-ერთი საარქივო ცნობა გვატყობინებს, რომ „ლეჩხუმში საზაფხულო ბაზრობა იმართება ლაილაშში, სადაც იყიდება: ხორბალი, სიმინდი, ღვინო, თაფლი, ცვილი, რქოსანი და ფროსანი ცხოველები, ასევე ჩოხები და ნაბდეები ჩამოტანილი სვანეთიდან. ამ ბაზრობას დიდი მნიშვნელობა აქვს მთიელ სვანებისათვის. ამით მყარდებოდა საბაზრო კავშირი ქუთაისთან.. ლეჩხუმში იარმუკობა იმართება 7 მაისს ახალჭალაში მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირზე და მეორე 13 სექტემბერს ცაგერში. ამ უკანასკნელ იარმუკობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სადადიანო ისე თავისუფალ სვანეთისათვის, რომლებიც აქ ყიდულობდნენ საზამთროდ მარილს და რკინეულობას“ [145,13]. იგივე ცნობებს გვაწვდის გაზეთი „ივერია“ [146, №190].

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული პოლიტიკური ერთეულები სვანეთი, მთის რაჭა და ლეჩხუმში მისდევდა ე.წ. მცირე ვაჭრობას. მართალია, ბარის რაჭასა და ლეჩხუმში ვაჭრობის უკეთესი პირობები იყო და იგი ფართო ხასიათს ატარებდა, მაგრამ სვანეთიც აყოლილი იყო იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამებოდა მის პირობებს.

თავი III დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) დაპყრობა და შეერთება რუსეთის მიერ

§ 1. ძვემო ანუ სადადიანო სვანეთის დაპყრობა და შეერთება რუსეთის მიერ

საქართველოს მიმართ რუსეთის მხრიდან ადრე დაწყებული ანექსიურ-კოლონიზატორული პოლიტიკის პროგრამის ფაქტობრივი განხორციელება XIX ს-ის გარიჟრაჟზე, ვერ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთის) 1801 წელს, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს, პირველ რიგში, სამეგრელოს სამთავროს და მასთან ერთად სადადიანო სვანეთის 1803 წ. ანექსიით დაიწყო.

ისტორიული სვანეთის შემადგენელი ქვემო (ლენტეხის) ანუ სადადიანო სვანეთის ანექსია რუსეთის მიერ, ზემო სვანეთისაგან გამოცალკეებით, გაცილებით ადრე და ისიც სამეგრელოს სამთავროსთან ერთად მოხდა, ამას, ამ ორი მხარის თავისებური სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ედო საფუძველად. სამწუხაროდ, ამ საფუძველების შესწავლა დღემდე არავის დაუსახავს მიზნად, რის გამოც სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თემის ბევრი მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური დეტალი გაურკვეველია და, რიგ შემთხვევაში, საერთოდ, არასწორადაა წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის (XIV-XV სს.) შედეგად წარმოიშვნენ ცალკეული სამეფო-სამთავროები, რომლებმაც თავისთავადობა დაიჩემეს. ასეთმა ვითარებამ სვანეთიც სეპარატიზმის გზაზე დააყენა, თორემ, აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით – „სვანეთს სასეპარაციო, სათავისთავადო არა ჰქონდა რა“ – სვანეთისათვის „ეს იყო ღრმა რეაქცია, ჩიხი“ [1,438].

სვანეთის თავდაპირველი განცალკეების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს თათარხან დადიშგელიანის ჩანაწერი ეცერელ უხუცესებისაგან, შესრულებული 1887 წელს, რომელიც დღეს ინახება აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (რომლის მიხედვითაც „სვანეთის განცალკეებას საფუძველი ჩაეყარა XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, – დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი არეულობის შედეგად“ [2,9].

მართლაც, იმერეთის სამეფოს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლის გზაზე პირველი ნაბიჯი XIV ს-ის 20-იან წლებში გადაიდგა, როცა დავით ნარინის (1249-1293 წწ.) [3] მემკვიდრეებს – კონსტანტინესა და მიქაელს შორის დაიწყო უთანხმოება. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო მიიღო მეფობა კონსტანტინე, პირმშობებისა ძლით, რომლისა მეფობასა წინა აღუდგა ძმა მისი მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო... და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს“ [4,295].

„იხილა დადიანმან გიორგიმ ესევეითარება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთავო ცხომისაცა და დაიპყრა თვთ სრულიად ოდიში ანაკოფიამდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) და განიძკვდრეს თქსად და არლარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყენენ მეფეთასა“ [5,801]. უფრო მეტიც, განდგომილებმა ამავე დროს „დაიპყრნეს საზღვარნი თქსნი“ [6,383], ე.ი. დაშლილობის სერიოზული ბზარი უკვე გაჩნდა და ამიერიდან იგი მხოლოდ დროთა ვითარების მიხედვით განიცდიდა ცვლილებას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ როდი ნიშნავდა სრულ თავისუფლებას. ისინი კვლავ რჩებოდნენ „მორჩილებასა ქუეშე მეფეთასა“. ამისი თვალსაჩინო მაგალითია ბაგრატ V (1360-1393 წწ.) დროს მომხდარი ფაქტი. ბაგრატის „მეფობისა მეორესა წელსა... უკუ-დგნენ სუანნი გარდამოვიდნენ, მოსტყუევენეს ქუთათისი და მოწუეს. სცნა რა ესე ბაგრატ მეფემან, მსწრაფლ მოვიდა ქუთათისს. მუნ შემოიკრიბნა სრულიად სპანი გიორგიისანნი და ჰერ-კახთა, წარუძღუნა რაჭველნი და უბრძანა მათ მისვლა რაჭიდამ და დადიანი, გურიელი და აფხაზნი და სომხითარნი მოგზავნა ოდიშიდამ ეცერსა ზედა; ხოლო თვთ წარიძღუნა ლეჩხუმელნი და მიატანა მესხნი, კლარჯნი და იმერით-ამერით მიჰყვა თვთცა და შევიდა ესრეთ. არამედ მხილველნი სუანნი ძლიერებისა მისისანი ვერლარა წინა აღუდგნენ. მაშინ მეფემან ურჩნი და შემცოდენი თქსნი მოსწყდნა, მოსტყუევენა და დაიმორჩილნა ნებასა შინა თქსსა, აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი და უმეტეს პირველისა მორჩილ ჰყვენა (ხოლო იტყჳან, მაშინ იყო ერისთავი სუანთა ვარდანიძევე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომად, რაოდენთამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთავოდ და სუანთა ერისთავად დასუა სხუა, რომელსა იტყჳან გელოვანსა) მოხარკედ და მსახურ სასახლისა თქსისა და უკ-მოიქცა გამარჯვებული ქუთათისს“ [7,261].

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ახსნილი თუ რატომ დაესხნენ სვანები ქუთაისს. ჩვენი აზრით, არასრულყოფილი, მაგრამ ჩამაფიქრებელ პასუხს ამის შესახებ სვანური ხალხური გადმოცემა იძლევა, რომლის თანახმადაც – „სვანეთის აღშფოთება გამოიწვია „ხელმწიფეთა“ მიერ ყოველწლიურად სვან მოლაშქრეთა გაწვევის მოთხოვნამ“ [2,10]. აჯანყებულმა სვანებმა ერთ-ერთ ჯარში გაწვეული მოლაშქრის დედის მოწოდებით „გაწყვიტეს მთელ სვანეთში „ვარგები“ (მეუფეები, განმარტ. ავტ.), რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გაწვევას“ [2,10].

როგორც ჩანს, სვანეთი ერთიან საქართველოს მეფემ კვლავ „მორჩილ ჰყენა“ და აქცია „მოხარკედ“ და მსახურად სასახლისა თჳსისა“. ასეთივე „მორჩილების“ ხანა იდგა სამეგრელოშიც და სხვაგანაც. მეფის მიმართ მათი მორჩილება გამოიხატებოდა ხარკის მიცემითა და სამხედრო სამსახურით. ეს მდგომარეობა უცვლელი რჩება XV ს-ის 60-იან წლებამდე. გავიხსენოთ 1463 წლის ბრძოლა ჩიხორთან, რომლის წინ „განზრახთა ყუარყუარე ათაბაგისათა იწყო ზრახუად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძემან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ, და აღუთქვა თავისუფლება (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) დადიანსა, გურიელსა, შარვაშიძეს და სუანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ ამისი ესრეთ ყოფა და მისცეს მას პირი მტკიცე და ჰყვეს მეფედ იმერთა“ [8,285]. ზემოთ ხსენებულ ბრძოლაში გიორგი VIII დამარცხდა, ხოლო ქუთაისში გამარჯვებით დაბრუნებულ ბაგრატს „მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ“ [9,806]. ბაგრატი იძულებული გახდა დანაპირები აესრულებინა: „ამისთჳს აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თჳსი და განთავისუფლდნენ (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.), თნიერ ლაშკრობისა, და ქუეგანწესებისა მეფისა და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ“ [9,806]. პროფ. ნ. ასათიანის სამართლიანი შენიშვნით, „ეს იყო არა იმდენად მეფობის მაძიებელი ბაგრატის გამარჯვება, რამდენადაც საქართველოს დაშლის მომხრე ძალების წარმატება“ [10,242]. ამ არასასურველ აქტის მერე ფაქტობრივად კვლავ მოხერხდა აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულთა დამორჩილება და ისინი განზე გადაგნენ. როგორც ჩანს, სხვებთან ერთად განზე დგას სვანეთიც, მაგრამ ამ უკანასკნელის მდგომარეობა საკმაოდ განსხვავდებოდა სხვებისგან. სეპარატიზმი მის ცხოვრებისეულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც მას ბარის რაიონები-

საგან მოწყვეტა და განზე გადგომა ხელს არ აძლევდა. ეტყობა, რომ ამიერიდან დაწყებული სვანეთის სამთავრო ნელ-ნელა იწყებს ჩამოყალიბებას, რომლის შემადგენლობაში, ბუნებრივია, შედიოდა ქვემო ანუ ლენტეხის სვანეთიც. XV საუკუნის შემდეგ, ზემო სვანეთი ორ – ბალსზემო („ბალუნეთი“) და ბალსქვემო („ბალუნჩი“) ანუ XIX საუკუნეში რუს კოლონიზატორ მოხელეთა მიერ შემოღებულ სახელწოდებით თუ ვისარგებლებთ, „თავისუფალი“ და „საბატონო“ სვანეთად დაიყო [11,31]. თავდაპირველად ზემო სვანეთი მართლაც განყენებული ჩანს, ხოლო სადადიანო სვანეთი თავიდანვე იმერეთის სამეფოს ფარგლებში რჩება. ბერი ვენატაშვილის ცნობით, XV ს-ის ბოლოს იმერეთს ეპყრა: „წედისის მთის-აქათი, დიგორის მთის აქათი. ლენტეხი (ხაზგასმა ჩემია, ავ.) და თაკუერი, რომელსა აწ ჰქქან ლეჩხუმი“, – ხოლო დადიანს ეპყრა: „ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმს ქუე მთი, სუანეთი მთის გარდმოღმართი“ - [4.349]. გასათვალისწინებელია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნულ დროისათვის იმერეთის საზღვრების ზემოთ მოტანილი განლაგება მისაღებად მიაჩნდა [12,150]. თ. დადიშ-კელიანის ცნობითაც, „ცხენისწყლის სვანეთი თავიდანვე იმერეთს განეკუთვნა და იგი უფრო ლეჩხუმის ნაწილი იყო, ვიდრე ზემო სვანეთისა“ [2,10].

მიუხედავად რიგ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავ ცნობების არსებობისა, სვანეთი მთელი XV-XVII საუკუნეების მანძილზე, ძირითადად, რჩებოდა იმერეთის მეფის „მწედ“ და ასრულებდა „მოლაშქრობით“ და „ხარკის მიცემით“ ვალდებულებას. მაგრამ არც იმის თქმა იქნებოდა მართებული, რომ სვანეთს აღნიშნულ პერიოდშიც კი მხოლოდ იმერეთის სასარგებლო პოზიცია ეკავა. მისი დამოკიდებულება იმერეთისა და სამეგრელოსადმი ცვალებადი ხასიათისა იყო. ამას ამტკიცებს, როგორც XV-XVII საუკუნეების, ისე შემდგომი პერიოდის სვანეთის საგარეო პოლიტიკის ისტორია. რაც შეეხება სამეგრელოს სამთავროს, მისი დამოკიდებულება იმერეთის სამეფოსადმი უფრო ურჩი იყო. XVI ს-ის შუა ხანებისათვის სამეგრელომ, ფაქტობრივად, თავი დააღწია იმერეთის მეფისადმი წინათ დაწესებულ „ლაშქრობისა და ქვევანწყების“ ვალდებულებას. 1545 წლის სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ მეფის (1510-1565 წწ.) „ჰპატივის“ მიუხედავად „დადიანმა არ ულაშქრა“. ეს კი იმერეთის მეფისადმი ყოველგვარ ვალდებულებაზე ხელის აღებას ნიშნავდა.

იმერეთის მეფეები ცდილობდნენ სვანეთი მუდმივ ხელქვეითად ჰყოლოდათ. მაგრამ გაუთავებელ ლაშქრობებში მონაწილეობითა და ხარკის გადახდით შევიწროებული სვანეთი, რიგ შემთხვევაში, განცალკევებისა-

კენ იხრებოდა. შემთხვევით როდი შენიშნავდა იტალიელი მისიონერი ბერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც XVII ს-ის დამდეგს თექვსმეტი წლის განმავლობაში სამეგრელოში ცხოვრობდა, რომ „სვანები ცხოვრობენ იმ მთებზე, რომელიც არის ოდიშის პირდაპირ და აგრეთვე იმ მთებზე, რომელნიც იმერეთს დაჰყურებენ. პირველნი დადიანს ეხმარებიან ომის დროს და მეორენი იმერეთის მეფეს“ [13,167]. ჩანს, რომ XVII საუკუნის დამდეგიდან იმერეთის მეფეთა გავლენა სვანეთზე შესუსტდა. ამას დაემთხვა მეორე გარემოებაც. მთელ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური სასწორი ლევან დადიანის (1611-1657 წწ.) მხარეზე გადაიხარა, რომელიც 20-30 წლის განმავლობაში იმერეთის მეფეებს გასაქანს არ აძლევდა. ბერი ევნატაშვილის ცნობით: „დადიანი ლევან მდიდარი საუნჯითა აურაცხითა და სპითა მრავლითა დიდად მძლავრობდა მყრობელსა იმერეთისასა ალექსანდრეს: ესრეთ იყოფებოდა ქუთათის [ს] აღმშენებელი ზღუდისა, და მჯდომარე იყო მას შინა თოთ და ძმანი მისნი და თავადნი ჩინებულნი იმერთანი დედაწულითურთ, ყოველნივე თანა ჰყვეს გარე – შეზღუდვილსა მას შინა შიშისათვის დადიანისა, რამეთუ ფრიად მძლავროდა შურით მკდომი და ივარ-მყოფელი სანახებსა იმერთასა ზემოთა და ქუემოთა, არსადა დაშთა დაბანი და შენობანი და სიმაგრენი, რომელ არა მიემძლავრა“ [4,428]. ლევანს მორჩილებაში ჰყავდა აფხაზეთიც, გურიაც და მისი საზღვრები გადაჭიმული იყო რიონიდან კოლორამდე [13,5]. არ შეიძლება რომ ლევან II დადიანის საკმაოდ ზანგრძლივ ბატონობას მთელ დასავლეთ საქართველოში, გავლენა არ მოეხდინა სადადიანო სვანეთზე, რადგან მას, ისევე როგორც მთელ სვანეთს, ბართან ურთიერთობა განუწყვეტლივ ესაჭიროებოდა.

1648 წ. ლევან II დადიანი დიდი ლაშქრითა და ზარბაზნებით შეიარაღებული მიადგა ქუთაისს. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის ციხე-სიმაგრეთა დამცველებს შორის იყვნენ ლენტეხელებიც [14,411], ამ ბრძოლაში ლევანმა სასტიკად დაამარცხა იმერთა მეფის ძალები და თვით სასახლეც დაუნგრია. ამიერიდან დაწყებული ქვემო სვანები ლევანის სამთავროს წინააღმდეგ მებრძოლებად არ ჩანან. პირიქით, ირკვევა, რომ „ლევანი ... ემეგობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სუანთა, რათა მწე ეყონ“ [15,826]. ლევანს ქვემო სვანეთი, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში კიდევ შემოუმტკიცებია, რისი დასტური ამ ამბების თვითმხილველის, არჩილ მეფის ცნობაში უნდა გვქონდეს. არჩილი აღწერს ლევანის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის მეფის ალექსანდრეს სამეგრელოს სამთავროზე გალაშქრებას და დასძენს, რომ

ალექსანდრემ დაიჭირა „სრულ სვანეთი საქვეითო“ [16]. ცხადია, ქვემო სვანეთი რომ დადიანის მხარეზე არ ყოფილიყო, ის იმერეთის მეფეს ამ ხანებში დასაპყრობი არ გაუხდებოდა. საფიქრებელია, რომ ქვემო სვანეთი იმერეთის მეფის ხელში მცირე ხნით დარჩენილა, რადგან 1660 წელს იმერეთის მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ვამეყ დადიანს სადადიანო სვანები ისევ გვერდში უდგანან. ამაზე უნდა მეტყველებდეს არჩილ მეფის ცნობა:

„წამოდგა მეფე ქართლისა და ვამეყ დადიანიცა,
იმერეთზედა ილაშქრეს, მთიდან ალაღდა სვანიცა;
დამოყვრდნენ, შუა გაიყვეს
მთა-ბარი, შუაგანიცა“ [16,124].

ჩვენი აზრით, აქ ნაგულისხმებია სადადიანო სვანეთი, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ სულ მალე, ვამეყი მარცხდება იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში და „განივლტო სუანეთს“ [5,836], სადაც „ბრძანებითა მეფისათა შეუჩინა ლაშხისშვილმან ზოსიამ კაცი, და მოკლეს დადიანი მუნ“ [17,449]. ცხადია, რომ სადადიანო სვანეთი იმერეთის მომხრე ყოფილიყო, იმერეთის მეფის მიერვე დევნილი ვამეყ დადიანი იქ ვერ გაბედავდა თავშეფარებას. შემთხვევით არ უნდა იყოს ვამეყ III მიერ ბიჭვინთვის ეკლესიის შეწირვის წიგნში თავისთავის გამოყვანა „სვანეთის პატრონად“. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვამეყ III სამთავრო ტახტზე ძალზე ცოტა ხანს იჯდა, და ისიც დინასტიურ ბრძოლაში გაატარა, და თუ არა, ლევან II დადიანის დროინდელი გავლენა, ის ვეღარც მოასწრებდა სვანების კეთილგანწყობას. ფრანგი შარდენი, რომელიც საქართველოს ესტუმრა XVII ს-ის 70-იან წლებში, წერდა: „მისი ციხე-სიმაგრე (დადიანებისა – ა.გ.) კარგად იყო დაცული სვანების მიერ, რომლებიც მისმა ვეზირმა გამოუგზავნა და, რომლებიც დადიანზე უფრო თვლიდნენ თავს ციხის ბატონ-პატრონად“ [18,250].

პროფ. გ. გასვიანის ვარაუდით: „დადიანისა (იგულისხმება ლევან II დადიანი, ა.გ.) და სვანეთის დამოკიდებულება ორმხრივ ვალდებულებაზე ყოფილა დაფუძნებული“ [19,139]. რაც, ჩვენი აზრით, ვასალური დამოკიდებულების საწყის ეტაპისთვის მისაღებ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს.

ზემოთ მოტანილი ცნობებით, რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ სვანეთი, კერძოდ, სადადიანო სვანეთი, ლევან II დადიანის შემდეგ მუდმივად დაქვემდებარებული იყო და სამეგრელოს სიუზერენობას აღიარებდა, მაგრამ შესაძლებლად ვთვლით, რომ ვასალური მდგომარეობა შეიძლება ლევანის დროს დაწყებულიყო.

ცნობილია, რომ სადადიანო სვანეთი და ლეჩხუმი, უშუალო მეზობლობის წყალობით, ხშირად ექცეოდნენ საგარეო პოლიტიკის ერთ ორბიტაში. ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის სრულყოფისათვის საჭიროა გაირკვეს, თუ როდის დაეპატრონნენ ლეჩხუმს დადიანები. საარქივო წყაროები ამაზე ასეთ პასუხს იძლევიან: „Лечкум сделался уделом Дадианов с того времени, как князь Чиковани, владетель Лечькума.. овладел Одишею и отложась от повиновения к царю Имеретинскому, которого он был сардалом, сделался независимым, соединяя Одиши и Лечькум под единую власть; с того времени сии две области были нераздельно в повиновении одного Дадиани“ [20,25] ეს ეხება იმერეთის მეფე ბაგრატ IV (1660-1681 წწ.) და ლეჩხუმის მებატონე კაცია ჩიქვანს. თუ ეს ასეა, ლეჩხუმის დაპატრონება დადიანების მიერ მომხდარა XVII ს-ის 70-იან წლებში. სხვა დოკუმენტში ნათქვამია: „ქვემო სვანეთი სამეგრელოს მფლობელობაში ლეჩხუმთან ერთად შევიდა და მას შემდეგ მუდმივად სამეგრელოს განეკუთვნებოდა“ [21,1].

პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრებით: „ცხენისწყლის სათავის სვანეთი ოდიშის მებატონეთა ხელში გადასვლის შემდეგ დაემორჩილა დადიანებს და ამის შემდეგ დაერქვა სადადიანო სვანეთი“ [22,197]. იმავეს აღნიშნავდნენ ა. ბერუე [23,11], ვ. მავესკი [24,179], ა. ლავრენტიევი [25,21], ნ. კოლუბაკინის ცნობით – „ლევან II დადიანმა გააძლიერა რა თავისი ერთგული რაზმები აფხაზებით, ჯიქებითა და სვანებით, ბოლომდე გაანადგურა იმერეთის მეფე [26,25]. ფრანგი მოგზაური და მეცნიერი რაფაელ ბარნოვილი „სადადიანო სვანეთის სამეგრელოს ვასალად გახდომას“ ათარიღებს XVI საუკუნით“ [27,36]. ცნობილი ისტორიკოსი ს. ესაძის ცნობით – „XVII საუკუნის დასასრულს ცხენისწყლის სვანეთი რჩებოდა (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) სამეგრელოს მფლობელობაში“ [28,111]. გერმანელი მოგზაური და ეთნოგრაფი გ.ი. რადეც იგივე მოსაზრებისაა [29,68]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დადიანებისადმი ქვემო სვანეთის ვასალურ დამოკიდებულებას საფუძველი ჩაეყარა ლევან დადიანის დროს. ე.ი. XVII ს-ის შუახანებში და შემდეგ ეს პროცესი ნელ-ნელა გრძელდებოდა.

სამეგრელოსადმი სადადიანო სვანეთისა და ლეჩხუმის დაქვემდებარებას არასდროს შერიგებია იმერეთის სამეფო.

ჩიქოვანების დადიანებად გამოცხადებას არ შეუსრულებია გადამწყვეტი როლი სამეგრელოსადმი ლეჩხუმის შეერთებაში. ეს პროცესი ადრე და-

იწყობ, ვიდრე ისინი თავს დადიანებად გამოაცხადებდნენ. ამ საქმეში თავდაპირველი და გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა XVII ს-ის 60-იან წლებში, როცა ჩიქოვანების პირველმა წარმომადგენელმა „... ლეჩკომის. და. საინასარიძის. და. სალიპარტიანოს. პატრონმან. დიდისა. კელმწიფისა. მეფისა. და. დადიანისა. ვაზირმან. იმერეთისა. ოდიშისა. თაუშმან. და სარდალმან. ჩიქოვანმან. კაცია“ [30,121,190], როგორც, როგორც ჩანს, იმერეთის სარდალი იყო და ხელთ ეყრა ლეჩხუმში, მიატოვა იმერეთის მეფის სამსახური და მისი ძმის ევდემოსის – ჭყონდიდელის ხელშეწყობით დაეუფლა სალიპარტიანოსაც. ეს უკანასკნელი სამეგრელოს მთავართა უმცროს შტოს კუთვნილ ადგილს წარმოადგენდა. როგორც ირკვევა, კაცია ჩიქოვანისადმი სალიპარტიანოს მიცემა მომხდარა ლევან III დადიანის ლეჩხუმზე გავლენის გავრცელებისა და დაპყრობის საკომპენსაციოდ. ამაზე უნდა მეტყველებდეს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ „ევდემოსმა, მოიყვანა ძმა თჳსი კაცია და აზრაზა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმცა ლევან დადიანმან“ [15,842]. კაცია, ჯერ კიდევ ლევანის სიცოცხლეში შეიქმნა სამეგრელოს ფაქტობრივი ბატონ-პატრონი [31,191]. ლევან III 1680 წ. გარდაიცვალა. კაცია კიდევ უფრო „განიდიდა“. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, ლევანის გარდაცვალების შემდეგ „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და გამგე მათი. ამან მოსრნა მრავალი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშარნი... ამით მოიყვანა ოდიში ქუეშე თჳსსა“ [15, 845]. კაცია 1681 წელს უნდა გარდაცვლილიყო, როცა ლეჩხუმი და სამეგრელო უკვე მისი შვილის გიორგი ლიპარტიანის ხელში იყო. მართალია, გიორგიმ 1683 წ. ლევან III-ის უკანონო შვილი ლევან IV (1683-1694 წწ.) მთავრად გამოაცხადა, მაგრამ ტახტს თვითონ განაგებდა, გიორგისაგან შეეიწროებულმა ლევან IV ოდიში მიატოვა და 1694 წ. ოსმალეთში – სტამბულში გარდაიცვალა [15,856]. „დაიპყრო ოდიში ლიპარტიანმან და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადვე და თავობდა ლეჩხუმსაცა“ [15,856]. ამით დასრულდა ძველი დინასტია და სამეგრელოსა და ლეჩხუმში დამყარდა ჩიქოვანების მმართველობა [32].

1704 წელს გიორგი ჩიქოვან-ლიპარტიანმა თავისი შვილი – კაცია დადიანად გამოაცხადა. ეს იყო ლეჩხუმ-ოდიშზე მათი ბატონობის იურიდიული გაფორმების დასტური.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ი. გიულდენშტედტი უფლებამოსილი იყო განეცხადებინა, რომ „მხარე ლეჩხუმი, იმთავითვე ეკუთვნოდა იმერეთს,

მაგრამ დიდი ხანია მას მოსწყვიტეს და სამეგრელოს მმართველთა ხელში ჩავარდა“ [33,325]. ხოლო „სვანები... ვინც ცხენისწყალზე ცხოვრობენ... ჰყავთ მღვდლები ლეჩხუმის ეპისკოპოსის ანდა ცაგერელი ეპისკოპოსისაგან. ესენი ახლაც დადიანს ჰყავს მორჩილებაში“ [33,329]. სხვაგან გიულდენშტედტმა უფრო დააზუსტა თავისი ცნობა და აღნიშნა: „პროვინცია სვანეთი, რომელიც ძველად ასევე იმერეთის მეფეს ეკუთვნოდა, ამჟამად უმეტესწილად მთლად თავისუფალია და არა ჰყავს ბატონი (იგულისხმება – თავისუფალი სვანეთი, ა.გ.), მხოლოდ დადიანი ჩემულობს ერთგვარ ბატონობას სვანეთის ზოგიერთ, ლეჩხუმის მოსაზღვრე მხარეზე“ (იგულისხმება სადადიანო სვანეთი, ა.გ.) [34,179].

ზემოთ მოტანილ ფაქტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII ს-ის დამდეგიდან ლეჩხუმი სამეგრელოს ხელშია, ხოლო სადადიანო სვანეთი აგრძელებს ვასალურ დამოკიდებულებას. ლეჩხუმი, და სავარაუდოა, სადადიანო სვანეთიც XVIII ს-ის დამდეგიდანვე ისევ იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის ბრძოლის ხლართში მოექცნენ. ყოველი ახალი ხელისუფლის მოსვლა იმერეთისა და სამეგრელოს სათავეში იწვევდა მათ ახალ დამოკიდებულებას ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისადმი. სამეგრელოს მთავრები იმერეთის სამეფოში და ასევე პირიქით, ეძებდნენ მოწინააღმდეგის ბანაკში მონახათ მათთვის სარგო პირები და მათზე დაყრდნობით გამოეთხარათ ძირი მოწინააღმდეგისათვის. ასე დაიმეგობრა გიორგი ლიპარტიანმა იმერეთის მეფის წინააღმდეგ მებრძოლი გიორგი აბაშიძე, რომელმაც „შეკრიბა იმერნი, გათხარეს მთა რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანი და შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩნი მოსწყუნეს, მოსტყუენეს და დაუმორჩილა ლიპარტიანსა“ [15, 860-861]. მალე გიორგი ლიპარტიანს ლეჩხუმის ჩამორთმევა მოუწოდოა მისმა ძმამ იესემ, მაგრამ გიორგიმ ის გამოდევნა ლეჩხუმიდან. შექმნილმა სიტუაციამ მას ახალ საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისაკენ უბიძგა. მან იესეს ლეჩხუმიდან გამოძევების შემდეგ მის უფროს ვაჟს კაციას მისცა დადიანობა და ამით ოდიშიში საკუთარი ბატონობა გაინაღდა, მეორე შვილს – ბეჟანს ჩააბარა ლეჩხუმი, ხოლო ყველაზე უმცროსს უბოძა ჭყონდიდლობა. თვითონ ამით დარჩა როგორც სალიპარტიანოს გამგებელი და სადადიანოს უმაღლესი მმართველ-ზედამხედველი. მაგრამ საქმე ვერაგულად წარიმართა. მალე მამას შეილება მოუნდომეს ოდიშიდან გაძევება. უმაღურობაში ყველას აჯობა ბეჟანმა, რომელმაც მამის დასამარცხებლად იმერეთის მეფე გიორგი VI (1703-1720 წწ.) სთხოვა ხელი შეეწყო მისი გადადიანებისთვის, რისთვისაც 4000 მარჩილი გადაი-

ხადა და ბოლოს და ბოლოს შესძლო მამის დაპატიმრება და ციხეში ჩასმა, საიდანაც ის ცოცხალი არ გამოსულა. ბეჟანის შემდეგ 1728 წელს ოდიშის თავი გახდა ოტია (1728-1744 წწ.). ამ დროს იმერეთის მეფეა ალექსანდრე V (1721-1752 წწ.). ალექსანდრე კვლავ განაგრძობდა ბრძოლას ლეჩხუმის დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ. მომდევნო მეფე სოლომონ I (1752-1784 წწ.) თავისებური ჭკუამახვილობით შეეცადა ლეჩხუმის დაბრუნებას, მაგრამ მას სათანადო წინააღმდეგობა გაუწია ოდიშის მთავარმა კაცია II დადიანმა (1764-1788 წწ.). სოლომონი კაციას თავის ქვეშევრდომად თვლიდა, ეს უკანასკნელი კი არ სცნობდა სოლომონის უპირატესობას. კაციამ ეკლესიაც კი გამოყო იმერეთისაგან და ოდიშის საკათალიკოსო ჩამოაყალიბა. ამ ვითარებაში დაიწყო რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი. რუსეთი ცდილობდა ორივე მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩათერია. იმერეთი საკომპენსაციოდ სამეგრელოს მისაღმი დაქვემდებარების აღიარებას მოითხოვდა და კაცია II ყოველნაირად უშლიდა ხელს რუსეთთან კავშირის დამყარებას, მაგრამ კაციაც სათანადოდ მოქნილი აღმოჩნდა. მან ომის დასაწყისშივე პრორუსული ორიენტირი აიღო და რუს დიპლომატთა შორის „რუსეთის მომხრე“ პიროვნების სახელიც მოიხსენიებდა [35,276,284]. იმერეთის მეფის საწინააღმდეგოდ, მისთვის რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას მუდმივად მზად ჰქონდა საშეი ასტრახანში რუსეთის ხელისუფლებასთან შესახვედრად [35,284]. კაცია II ამავე დროს იყო რუსული ორიენტაციის მქონე ერეკლე II-ის სიძე. მას ცოლად ჰყავდა თეიმურაზ II-ის ასული ელისაბედი. ეს კიდევ უფრო აორკეცებდა რუსეთის ნდობას კაცია II-ისადმი.

1770 წელს ტოტლებენის რუსეთის ჯარით საქართველოში შემოსვლის შემდეგ საქართველოს მეფე-მთავრები შეუდგნენ თადარიგს ლაშქრობის მოსაწყობად. ტოტლებენის ღალატისა და საქართველოს მეფე-მთავრებს შორის არსებული უთანხმოების გამო, შეუძლებელი გახდა ერთიანი სამხედრო ოპერაციების წარმოება ოსმალების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, „კაცია დადიანი თავდაპირველად სოლომონის მტრობით ოსმალეთს ეხმარებოდა“, მაგრამ შემდეგ, როცა ტოტლებენი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ფოთის გარემოცვას შეუდგა, იგი შეუერთდა ტოტლებენს და ბრძოლაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო [36,140-141]. რუსეთს, ომის მსვლელობის დროს, ხელს არ აძლევდა იმერეთსა და სამეგრელოს შორის არსებული წინააღმდეგობა, რაც ძალების დაქსაქსევას გამოიწვევდა. მაგრამ ამ საქმის მოსაწყისრიგებლად მის მიერ გატარებული ღონისძიებანი სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

1774 წ. 10 ივლისს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ყიუზუყ-ყაინარჯის [37,154] ხავეა „ვერ შეასუსტა იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის დავა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისათვის“ [38,131-132]. რუსეთის მოხელეების აღნიშვნით, მათ ვერ გამოიყენეს „ის ბედნიერი შემთხვევა“, როცა მათი შერიგებისათვის ზრუნავდა რუსეთი, არამედ პირიქით. „ქიშობამ და შულმა კვლავ იფეთქა და გაგრძელდა“ [39,54]. ომის მსვლელობიდან დაწყებული რუსეთის სიმპათია კაცია II-კენ იხრებოდა. ეკატერინე II სოლომონ I-ზე უფრო მეტად კაცია დადიანს წყალობდა. იმპერატორმა ის დააჯილდოვა ალექსანდრე ნეველის ორდენით და შესაბამის მინაწერში ლეჩხუმი და მისი მხარე სამეგრელოს სამფლობელოდ იყო ჩათვლილი [40,579].

1784 წ. გარდაიცვალა სოლომონ I, ხოლო 1788 წელს – კაცია დადიანი. სამეგრელოს მთავარი გახდა კაციას შვილი გრიგოლ დადიანი (1784-1804 წწ.) და იმერეთის ახალ მეფესთან, ჯერ დავით II (1784-1789 წწ), ხოლო შემდეგ სოლომონ II (1789-1815 წწ) ისევ გაგრძელდა ბრძოლა.

1794 წ. ნოემბერში იმერეთის მეფემ სოლომონ II წერილი მისწერა გენერალ გუდოვიჩს, სადაც აშკარად ჩანს გრიგოლ დადიანსა და მას შორის არსებული წინააღმდეგობანი. როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი ალ. მიქაეა: „სოლომონი ცდილობდა სამეგრელოსათვის წაერთმია ლეჩხუმი და მისი მომიჯნავე სადადიანო სვანეთის ნაწილი, რომელსაც დადიანი იჩემებდა“ [41,7]. მაგრამ რუსეთმა დადიანს დაუჭირა მხარი. სოლომონის წერილს გაეცნო ეკატერინე II, მაგრამ მეფეს ლეჩხუმ-სვანეთზე უარი ეთქვა, რადგან, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ეკატერინემ ლეჩხუმი კაცია II დადიანს მიაკუთვნა.

✓ XVIII ს. დასასრულს სოლომონ მეფე დასავლეთ საქართველოს ხელმწიფობაზე პრეტენზიას აცხადებდა. იგი გრიგოლ დადიანს სამთავროს მიმტაცებლად თვლიდა. მისგან მოითხოვდა სრულ მორჩილებას. გრიგოლ დადიანს კი, პირიქით, თავისი თავი მიაჩნდა ოდიშის, აჭარის, ლეჩხუმის, სვანეთის, აფხაზეთის და სხვათა „მიწების მპყრობელად“ [42,6] და „ბატონად ვიდრე შავ ზღვამდე“ [43,1069].

1801 წელს რუსეთმა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია. ამ აქტით დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყო ახალი უაღრესად რეაქციულ-დაღდამსმელი ხანა. იმერეთის მეფის გეგმები შეიცვალა. მან გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოს მთლიანობის აღდგენა და აღმოსავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნება, რაც

მისი მესვეურობით უნდა განხორციელებულიყო. ამ საქმის მოსაგვარებლად იგი საგარეო მტრულ ძალებთან კავშირსაც არ ერიდებოდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. გრიგოლ დადიანი კი რუსეთის ერთგულების მიღებაზე ოცნებობდა და სოლომონის მეტოქედ გამოდიოდა. ამას კარგად გრძნობდა, როგორც მეფის რუსეთი, ისე სოლომონ მეფეც. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა ლეჩხუმ-სვანეთის წართმევით შევიწროებინა „ურჩი“ მთავარი და ჩაეშალა სამეგრელო-რუსეთის ურთიერთობა. იგი მოულოდნელად თავს დაესხა სამეგრელოს, დაამარცხა გრიგოლ დადიანი, ჩამოართვა ხელისუფლება და იგი გადასცა გრიგოლის ძმას – მანუჩარს. საქმეში ერეკლე მეფე ჩაერია. სოლომონი და გრიგოლი შეარიგა, მაგრამ დავამ ლეჩხუმ-სადადიანო სვანეთზე კვლავ ახალი ლაშქრობა მოითხოვა. სოლომონმა ამჯერადაც დაამარცხა გრიგოლი და მთავრად ისევე მანუჩარი დასვა. გრიგოლი კი თავშესაფარს დაეძებდა. 1802 წ. 18 დეკემბერს ამის შესახებ პოლკოვნიკი სიმონოვიჩი გენ. მაიორ ლაზარეუს მოახსენებდა: „იმერეთის მეფემ ისე შეავიწროვა დადიანი, რომ ის იძულებული გახდა თავსაფარი ფოთსა და აჭარაში ეძებნა“ [40,580]. ბოლოს იგი ლეჩხუმის ციხე უსახელოს შეეხიზნა, მაგრამ სოლომონმა მას მიაგნო, თავს დაესხა და დაამარცხა. თვით სოლომონის განცხადებით: „ავიღეთ შვიდნი ციხენი და სიმაგრენი ლეჩხუმისანი: ციხეთა შინა შევაყენეთ ღარნიზონნი ჩვენნი და დავიპყარით სოფლები მათი; ჩვენ ლაშქართა ჩუნთა შემოვედით საშუალ ლეჩხუმისა პირის-პირ, სადაცა თვით იმყოფება ვერსსა ნახევარსა, რომელიც ვედრებით ითხოვს ჩვენგან შეწყალებას და ფიცით აღგუითქუამს მონებასა ერთგულსა“ [40,II,573]. აქტების მიხედვით, ამ ბრძოლაში სოლომონს ემხრობოდნენ „გურულები, აფხაზები, სვანები და ლეკები“ [40,579]. საარქივო საბუთი კი ასეთ საინტერესო ცნობას შეიცავს: „ოდეს მოადგა ჯარი... სოლომონისაგან გრ. დადიანსა და შეავიწროა... ეთხოვნა შეწვენა... სვანეთის მთავარ თენგიზისათვის... და შემწეობის მიცემის ჟამს, რადგან დახოცოდა მას ომში კაცნი, ამისთვის გრ. დადიანს მიეცა რამდენიმე გლეხნი სოფელსა ჯვარსა [44,246]. აქ კარგად ჩანს, რომ დადიანს ეხმარებოდნენ საბატონოს სვანეთის მთავარ თენგიზ დადიშელისანის მოლაშქრეები, ხოლო იმერეთის მეფეს – სადადიანო, შესაძლებელია „თავისუფალი“ სვანეთის მოლაშქრენი. ეს ცნობა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ის ქმნის ნათელ სურათს თუ როგორ ყოფილა დაქუცმაცებული თვით სვანეთი იმ დროს...“

სოლომონ მეფის მხარეზე სადადიანო სვანების გამოსვლას ამტკიცებს ისიც, რომ გრიგოლ დადიანმა დამარცხების შემდეგ თავი შეაფარა არა სა-

დადიანო სვანეთს, რაც სამეგრელოს მთავრებს შესაბამის სიტუაციაში წესად ჰქონდათ, არამედ სხვაგან ეძებდა თავშესაფარს. თან, შესაძლებელია, ეს აქტი სადადიანო სვანების მხრიდან გრ. დადიანის პრორუსული ორიენტაციის საპროტესტო რეაქციაც იყო.

თუ რუსეთის მზაკვარ პოლიტიკოსთა ხელში შედგენილ დოკუმენტებს დაუვუჯერებთ, გრიგოლ დადიანი მეფის რუსეთს სთხოვდა მფარველობას. რაც გარკვეულწილად მისთვისაც მისაღები იყო. 1802 წ. 5 ოქტომბერს იგი თავის მოყვარე დავით ბატონიშვილს ევედრებოდა, ეშუამდგომლა პ. ციციანოვთან სამეგრელოს რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე [45,79]. ამავე წლის 20 დეკემბერს რუს დიპლომატ სოკოლოვისადმი გაგზავნილ წერილში გრიგოლ დადიანი მოითხოვდა ან მიეღოთ მფარველობაში, ან მიეცათ მისთვის ნება, რომ მთელი თავისი ოჯახითა და მამულით მიეღო ოსმალეთის ქვეშევრდომობა [45,79].

ცხადია, რუსეთის დიპლომატთა შთაგონებით გზააბნეული გრიგოლ დადიანი ჩქარობდა რუსეთის მფარველობის მიღებას, რათა ამ უკანასკნელის დახმარებით მიეღწია საწადელისათვის. იმერეთის მეფე გაცილებით ფრთხილ პოლიტიკას ადგა, მაგრამ რუსეთს შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროზე ფეხის მოკიდებისათვის იმჯერად სამეგრელოს მთავრობისათვის მხარდაჭერა უფრო აძლევდა ხელს. მას ფოთის დაკავება პირველი რიგის ამოცანად ესახებოდა, რადგან იქიდან შეიძლებოდა ახალი კომუნიკაციის გახსნა და დასავლეთ საქართველოზე შემდგომი შეტევის განვითარება. ამ მიზნის მიღწევაში რუსეთის წარმატებას ხელს უწყობდა სპარსეთისა და ოსმალეთის სისუსტე და, რაც მთავარი იყო, საფრანგეთსა და ინგლისს შორის არსებული წინააღმდეგობანი.

მკვლევართა მხრიდან სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ის მოსაზრება, რომ რუსეთს სადადიანო სვანეთის ხელში ჩაგდებისათვის ეკონომიკური მიზანიც ამოძრავებდა. და ის ფაქტიც, რომ მას სვანეთი იმ დროს ამ მხრივაც საკმაოდ შესწავლილი ჰქონდა. მიემართოთ ფაქტებს: 1639 წელს მოსკოვის სახელმწიფოს ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარაიევი ყაბარდოლდან სვანეთის გავლით ჩამოდიან სამეგრელოში. აღსანიშნავია, რომ თერგიდან სამეგრელოს საზღვრამდე მგზავრობას მათ მოანდომეს 45 დღე და დროის ამ მონაკვეთიდან 15-16 დღე დაყვეს სვანეთში. თავიანთ ჩანაწერებში მათ მითითებული აქვთ, რომ გაიარეს დონდუზ-ორუნის უღელტეხილი, სვანეთის სოფლები „ლეშკარაშ, ესკარა“ – მერე ზუდონი და სამეგრელო. სამეგრელოში ისინი დარჩნენ 1640 წლის მაისამდე, ამ ხნის მან-

ძილზე ელჩებს საშუალება ჰქონდათ სათანადო ცნობები შეეგროვებინათ სვანეთის შესახებ. მათ ხომ დავალება ჰქონდათ შეეცნოთ „პოლიტიკური და ეკონომიკური ანკეტა“ იმ მხარის შესახებ, სადაც კი ექნებოდათ მოხვედრის საშუალება. ელჩინი და ზახარიევი ისევე სვანეთის გზით დაბრუნდნენ სამშობლოში. ყოველ შემთხვევაში, ხსენებული ელჩები მოსკოვის სახელმწიფოს პირველი წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც პირადად ნახეს სვანეთი, მისი სოფლები, ხალხი და გეოგრაფიული მდებარეობა [46,30-38]. სვანეთის შესახებ გარკვეული ცნობები დაცულია იმერეთის მეფეთა და სამეგრელოს მთავართა მიმოწერაში მოსკოვის სახელმწიფოსთან, მაგალითად, 1740 წელს იმერეთის მეფის ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია სადადიანო სვანეთში „არც ისე მცირე რაოდენობით არსებულ ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, კალის და სხვა მადნების შესახებ [48]; XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოდის ანტონ იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც მთელი მონღოლებით აღწერა მთელი საქართველო და გარკვეული სიზუსტით შექმნა ცნობები სვანეთის შესახებაც. მან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე წაკითხული მოხსენებით სვანეთი ცნობილი გახდა, როგორც სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი მხარე. მის შრომებში კარგადაა ასახული, როგორც სადადიანო, ისე საბატონო და თავისუფალი სვანეთი. იგი წერს: „მდინარე ცხენისწყალი სათავეს იღებს სვანეთში... მის სათავესთან არის ტყვიისა და სპილენძის საბადოები“ [33,329]. „მათ (სვანებს, ა.გ.) აქვთ ტყვიისა და სპილენძის საბადოები და იციან ორივეს დნობა, აგრეთვე შეუძლიათ თოფის წამლის დამზადება, მაგრამ არ იციან რკინის დნობა“ [33,331]; „სვანეთში, ზემოთ, ცხენისწყალზე, რომელსაც იქ ლაშხური ჰქვია, სოფ. ლაშესთან (აღბათ ლაშხეთთან, ა.გ.), ლეჩხუმის საზღვართან, მომტკრევისას ჩანს მბრწყინავი ტყვიის კრიალა, რომელიც, აღბათ ვერცხლს შეიცავს, ძარღვის ქანები კვარცია – გვხვდება ჩვეულებრივი უხემ წვეტიანი ტყვიის კრიალა, რომლისგანაც სვანები ტყვიას ამზადებენ საფანტისათვის. არის მშვენიერი ხარისხის ყვითელი სპილენძი [34,31] და სხვა.

1799 წ. საქართველოში გამოიგზავნა პავლე I-ის საიდუმლო მრჩეველი მუსინ-პუშკინი, რომელმაც ასევე მონღოლებით მიუთითა სვანეთის სასარგებლო წიაღისეულებზე [48,10,1-4]; XIX ს. პირველსავე წლებში მეფის კოლონიზატორი მოხელეები უკვე გეგმავენდნენ, თუ როგორ გამოეყენებინათ სადადიანო სვანეთის ტყეები შავი ზღვის გემთმშენებლობისათვის, რომელიც ერთ-ერთი მათგანის აღნიშვნით – „დაფარულია წაბლის შესანიშ-

ნავი სამშენებლო ტყით“ [45]; იგივე მოხელე რუსეთის ხელისუფლებას აცნობებდა – „სვანეთში, რომელიც ეკუთვნის დადიანს, არის უმდიდრესი საბადოები. მართალია, ლეჩხუმის საბადოები შედარებით მცირეა, მაგრამ მათი დამუშავება შედარებით ნაკლები დაგვიჯდება“ [50,50]. 1808 წელს მეფის პირადმა მრჩეველმა, საქართველოდან რუსეთს დაბრუნებულმა პ. ლიტვინოვმა იმპერატორ ალექსანდრე II წარუდგინა თავის შენიშვნები „ამიერკავკასიის მმართველობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული „ლეჩხუმისა და სადადიანო სვანეთის საბადოებზე და ტყეზე, რომელიც რუსეთს უნდა გამოეყენებინა გემთმშენებლობისათვის“ [46,10]. სვანეთში სასარგებლო წიაღისეულის აღმოჩენისათვის საძიებო სამუშაოებს რუსი მოხელეები სამხედრო ძალების დაცვის ქვეშ ეწეოდნენ. ციციანოვის უშუალო განკარგულებით, 1802 წ. ლეჩხუმსა და სადადიანო სვანეთში გაიგზავნა ინგლისელი ინჟინერი მაკსევინი, რომელსაც თან ახლდა ერთი ოფიცერ-მეთაური და 20 ჯარისკაცი. მათ თავად გელოვანების სამფლობელოში – ლაშხეთში უმდიდრესი საბადო ნახეს, რომლის სინჯიც შემდეგ რუსეთის ლაბორატორიაში იქნა გაგზავნილი [52,28], სვანი მოსახლეობა ასე თუ ისე ერკვეოდა რუსეთის ეკონომიკური ანექსიის პოლიტიკაში, და, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მოლაღატე ფეოდალს, არ აწვდიდა ცნობებს მის მოხელეებს საბადოების ადგილმდებარეობის შესახებ [53.XXVIII]. სხვათაშორის, უფრო მოგვიანებით, ლობანოვ-როსტოვსკიც შესჩივლებს კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვს: „სადადიანო სვანეთში, არც ისე შორს, ლაშხეთიდან არის ტყვიის საბადო, როგორც ჩანს, ძალიან მდიდარი, რადგან ამ სოფლის მცხოვრებლები... მთელს სვანეთს იქაური ტყვიით ამარაგებენ. მაგრამ, როცა მე განუცხადე მათ ჩემი სურვილი იმ საბადოს ნახვის შესახებ, მათ მიპასუხეს, რომ გასულ წელს ჩამონგრეულმა კლდემ დაფარა ეს საბადო. ეს იყო ტყუილი, რადგან დღემდე მთელი სვანეთი კვლავ მარაგდება ლაშხეთის ტყვიით, ყველა ჩემს შეკითხვაზე – განაგრძობს იგი, – არის თუ არ არის ლითონის საბადოები მთებში, ისინი უარით მიპასუხობდნენ, მაშინ, როდესაც ბევრ ადგილას ვსვამდი რკინის წყალს.. [54,4].

რუსეთიდან საბადოების აღმოსაჩენად და ტყის ვარგისიანობის დასადგენად „საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში... შორეულ სვანეთში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში და სხვა იგზავნებოდა სპეციალური ექსპედიციები“, მაგრამ ხალხის წინააღმდეგობის შიშით, „თვით ციციანოვიც ვერ ბედავდა ლითონის ახალ საბადოების სანა-

ხავად მისვლას თავდაცვის საკმაო სამხედრო ძალების თანხლების გარეშე“ [53. XXVII]. ჩვენი აზრით: აქაც ჩანდა ქართველი ხალხის და მათ შორის სვანეთის მოსახლეობის თავისებური პროტესტი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ერთ-ერთ დოკუმენტურ ნარკვევში კარგადაა გადმოცემული: „რუსი გენერლები, რომლებიც ცდილობდნენ ბოლომდე დაეპყროთ მთელი მხარე (საქართველო; ა.გ.), იცოდნენ რა, რომ მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით შეიძლებოდა ამის მიღწევა, რუსეთის ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე, ეძებდნენ ყოველნაირ შესაძლებლობას ადგილზე მოეწყობა შეიარაღებისათვის საჭირო წარმოება და განეხორციელებინათ მათი მიზანი – ადგილობრივ ლითონითვე „დაეპყროთ“ „დაუპყრობელი“ ადგილობრივი მოსახლეობა“ [53. XXVII]. ასე რომ, რუსეთის მოხელეებმა, სამეგრელოს სამთავროს ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლის პროცესში ნათლად იცოდნენ, თუ რა სარგებლობას მოუტანდა მათ სადადიანო სვანეთის დამორჩილება.

რუსეთ-სადადიანო სვანეთის ურთიერთობა რუსეთ-სამეგრელოს ურთიერთობის ფონზე წყდებოდა.

იმპერატორმა ალექსანდრე I და მისმა ერთგულმა მსახურმა პ. ციციანოვმა იცოდნენ, რომ იმ დროს თურქეთის სულთანი მათ უარს ვერ ეტყოდა სამეგრელოს შეერთებაზე, მაგრამ მაინც ფრთხილობდნენ.

1803 წ. თებერვალში, ციციანოვმა რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში იტალინსკის დაავალა, გამოერკვია, ჩათვლიდა თუ არა ოსმალეთის მთავრობა რუსეთთან სამეგრელოს „შეერთებას“ 1774 წლის ყიუჩუყ-ყაინარჯის ზავის დარღვევად. როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალეთის მთავრობა იძულებული გახდა დათანხმებოდა. პარალელურად, ციციანოვი აგრძელებდა მოლაპარაკებას სოლომონ II-სთან, მაგრამ ამაოდ.

კონსტანტინეპოლიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, ციციანოვმა არ დააყოვნა მისთვის სასურველი, მაგრამ საქართველოსთვის მორიგი ავადმოსაგონარი აქტის გაფორმება.

(ციციანოვმა, როგორც რუსი დიპლომატებისათვის იყო დამახასიათებელი, თვითონ შეადგინა ე.წ. „სათხოვარი“ ანუ „თხოვნის პუნქტები“. სოლომონ მეფე კი ყველა ღონეს ხმარობდა ამ საქმის ჩასაშლელად, გზას უკეტავდა. მაგრამ ვერას გახდა. სამეგრელოს რწმუნებულები ლენტეხის გზით აღწევდნენ ციციანოვთან [55, 192]. მოლაპარაკება მაინც წარმატებით დამთავრდა.)

„თხოვნის პუნქტებს“, რომლებიც 1803 წლის 21 აგვისტოს იყო შედგენილი ციციანოვის მიერ, გრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა 1803 წლის 2 დეკემბერს. 4 დეკემბერს გრიგოლ დადიანმა სოფ. ჭალადილში სამეგრელოს თავადებთან ერთად დაიფიცა რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე, ხოლო 1804 წლის 4 ივლისს ეს პუნქტები დაამტკიცეს პეტერბურგში. ხსენებული პუნქტებით ლეჩხუმი და სადადიანო სვანეთიც, სამეგრელოს მთავრის სამემკვიდრეო კუთვნილებად ჩაითვალა. ამავე დროს, მეფის ხელისუფლება „ვალდებულებას კისრულობდა“, რომ ლეჩხუმისა და სადადიანო სვანეთის მადნებიდან მიღებული (ოქრო, ვერცხლი, ტყვია და სხვა.) შემოსავლის ნაწილს სამეგრელოს მთავარსაც უწილადებდა.

მთავარი ის იყო, რომ მეფის რუსეთმა ჯარები შეიყვანა და სამეგრელოს სამთავროს მთელ ტერიტორიას დაეპატრონა. აგრესორ რუსეთის მხრიდან ეს აქტი ისე ჩანდა, თითქოს ამ ჯარებს დადიანის სამთავრო უნდა დაეცვათ სოლომონ II-ის ძალთა შემოტევებისაგან. სამწუხარო ისაა, რომ გრიგოლ დადიანი ამაში დაარწმუნეს, რაც დასტურდება ამ უკანასკნელის სასაფლაოს ქვაზე შემდეგი წარწერით: — „მეყვანა მხედრობა როსიისა მცველად ჩემდა და სამთავროსა ჩემთა“-ო [36,149]. კიდევ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ რუსეთის მიერ სამეგრელოს ანექსიამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სოლომონ მეფეს სამმხრივ მარცხი მოუტანა: პირველი — რუსეთი მისი პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ძლიერ ძალად დარჩა, მეორე — დასუსტებულ თურქეთისაგან, რომელმაც სამეგრელოს სამთავროს ანექსიაზე თანხმობა გამოუცხადა რუსეთს, — დახმარება გამორიცხული იყო და მესამე — სამეგრელო არა მხოლოდ ვერ დაიმორჩილა, არამედ სამუდამოდ დაკარგა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ აგრძელებდა ბრძოლას ლეჩხუმისა და სვანეთის დასაბრუნებლად.

1804 წლის იანვარში, ე.ი. ერთი თვის შემდეგ, რაც სამეგრელოს ანექსია მოხდა, ციციანოვი ატყობინებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სოლომონის განცხადებას, რომ „ის დადიანს ცნობს, როგორც იმერეთის ქვეშევრდომს და სხვა შემთხვევაში ის არ შეწყვეტს დადიანზე მტრულ თავდასხმებს“ [56,45], რის გამოც საჭიროდ მიაჩნდა „რუსეთის ჯარების განლაგება, როგორც ოდიშში, ისე ლეჩხუმში, სვანეთსა და აფხაზეთში“ [56].

სამეგრელოს სამთავროს ანექსიამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ოდიშ-ლეჩხუმ-სვანეთის მესვეურებზე. ბევრმა მათგანმა ხელათ მიატოვა სოლომონი და გრიგოლ დადიანის მხარეზე გადავიდა, მაგრამ სისხლში გამჯდარი მერყევი პოლიტიკა საბოლოოდ ვერ მოიშალეს და სწორედ რომ

ირყვოდნენ ჩრდილოეთიდან მქროლვარე რუსეთის სუსხიან ქარით. „ვითარ-ცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ამის საუკეთესო მაგალითია ბერი გელოვანი, რომელიც თავის დროზე სოლომონის დახმარებით ლეჩხუმის ხელისუფალი გახდა და ახლა, როცა სამეგრელო რუსეთმა მიიტაცა, მიატოვა და გრიგოლ დადიანს მიემხრო, ბრძოლაში დაეხმარა და ციხე-სიმაგრეებიც ხელში ჩააგდებინა. ამის დასტურს ვპოულობთ ერთ-ერთ წყალობის წიგნში, სადაც ნათქვამია: „ესე წყალობის წიგნი დაგიწერინეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს დიდად ერთგულს და განძლიერების მცდელს და მასრულეებელს გელოვანს ბერს და სხვათა ძეთა და მოძავალთა შენთა... რომე ოდეს ჩვენ მძლავრე მტერთაგან ლეჩხუმის წართმევაზე თქვენ ხელი მოგვიმართე და სხვის ბატონობას ჩვენი ბატონობა და ეთრგულეა არჩიე, ამისა სამაგიეროდ გვიბოძებია წიფერჩის სასახლე თავისი შემავალი გლეხებითა, წყლითა და ტყითა ყოველისავე საქებარ-უმებართა“ [57,86]. ერთი სიტყვით, გრიგოლ დადიანის წყალობით, ბერი გელოვანი გახდა „მთელი ლეჩხუმის მეთაური“ – სარდალი. 1806 წელს, როცა თურქეთ-რუსეთის ომი დაიწყო და სოლომონი კვლავ ცდილობდა თურქეთის გამოყენებას, ბერი გელოვანი ფარულად სოლომონ მეფის მომხრედ გვევლინება. საინტერესოა მისი წერილი სოლომონ მეფისადმი: „მთელი ჩემი შესაძლებლობით ვიზრუნებ თქვენი გაძლიერებისათვის ბატონო ჩემო... შენ ოლონდ ჯარები გამოგზავნე და მე და ერთი ჩემიანი... მზად ვართ ლეჩხუმი სევანეთიანად შენ ჩაგაბაროთ... იჩქარე ბატონო, ჩქარა ჯარები“ [58,183]. ოდიშის, ლეჩხუმის, სევანეთის და თვით იმერეთის სამეფოს გავლენიანი წრეების ასეთი მერყეობა, შეუძლებელს ხდიდა როგორც იმერეთში, ასევე სამეგრელოშიც, ერთი მყარი პოზიცია დამკვიდრებულიყო – საბოლოო-ჯამში კი, ეს მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

სამეგრელოს სამთავროს ანექსიის შემდეგ იმერეთის მეფესა და რეაქციონერ ციციანოვს შორის მოლაპარაკება აღრინდელზე უფრო გააქტიურდა. მრავალჯის ელჩობის, ცალკეულ გავლენიან პირებთა შეხვედრებისა, თუ მოლაპარაკებების მიუხედავად, მოლაპარაკება ყოველთვის ჩინში ექცეოდა ლეჩხუმის საკითხის გამო. იმერეთის მეფე დაუინებით მოითხოვდა ლეჩხუმის გადაცემას მის მფარველობაში, რასაც ციციანოვი უარით პასუხობდა იმ მიზეზით, რომ ის იმპერატორის მიერ სამეგრელოზე მიკუთვნებული. ციციანოვის ცბიერმა დიპლომატიამ შედეგი ვერ გამოიღო – ვერ მოუშალა პატრიოტ მეფეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უნარი, მაშინ გადაჯიშებულმა ციციანოვმა დაძრა ანექსიის პოლიტიკა. იგი 1804

წლის აპრილში ჯარებით მიაღვა იმერეთის საზღვარს სოფ. ვაჰანთან და იარაღის ყელზე მიბჯენით, უნდოდოდა სოლომონისაგან თანხმობის მიღება, მაგრამ მოლაპარაკება ისევ ლეჩხუმის საკითხმა ჩაშალა. 20 აპრილს ციციანოვის ძალები შეიჭრნენ იმერეთში და ძალით დაიწყეს ხალხის დაფიცება იმპერატორის ერთგულებაზე [59,342]. ეს მოქმედება ორივე მხარის შორსმჭვრეტელ გეგმებს ჩაშლით ემუქრებოდა, რის გამოც მოლაპარაკება განახლდა. პროფ. მ. დუმბაძის აღნიშვნით, „ციციანოვსაც საჭიროდ ჩაუთვლია ნაწილობრივ დათმობაზე წასვლა და მეფისათვის ლეჩხუმის დაბრუნების შესახებ საიდუმლო გარანტია მიუცია“ [59,170]. საომარი მოქმედება შეწყდა და 1804 წ. 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში სოლომონ II ხელი მოაწერა საქვეშეკრდომო ტრაქტატს ანუ „თხოვნის პუნქტებს“. ერთ-ერთი მუხლის თანახმად, იმერეთის მეფეს არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა სამეგრელოს სამთავროს მიმართ. 1804 წლის 4 ივლისს „თხოვნის პუნქტები“ იმპერატორმა დაამტკიცა და სოლომონ მეფემ 1805 წლის 19 თებერვალს ამის ოფიციალური საბუთი – ალექსანდრე პირველის სიგელი მიიღო. სოლომონმა იმპერატორის სიგელის მიღების პატივსაცემად წირვა-ლოცვა გადაიხადა, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ გარეგანი, მოჩვენებითი მხარე იყო. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფის გული მუშაობას არ აჩერებდა.

1804 წ. ივნისში სოფ. საჭილაოში სოლომონ II და გრიგოლ დადიანმა ერთად დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. ჩვენის აზრით, ეს იყო რუსეთის მხრიდან ლეჩხუმისა და სადადიანო სვანეთის სამეგრელოსადმი მიკუთვნების ბოლო აკორდი, მაგრამ ლეჩხუმისათვის ბრძოლას კვლავ აგრძელებდა იმერეთის სამეფო.

1804 წ. გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი. მისი ანდერძის თანახმად, რუსეთის იმპერატორმა ოდიშ-ლეჩხუმის მემკვიდრედ დაამტკიცა მისი შვილი ლევან V (1804-1840 წწ.). ლევანის მცირეწლოვანების გამო სამთავროს განაგებდა იმპერატორის მიერ დამტკიცებული ლევან V დედა, დედოფალი ნინო და ოთხი კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომლის ერთ-ერთი წევრი იყო ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი. ამ დროსაც ლეჩხუმის საკითხის სამეგრელოს სასარგებლოდ გადაწყვეტა დაევალა იმ დეპუტაციას, რომელიც მოსკოვში იქნა გაგზავნილი. დედოფალი ნინო ინტრიგების ქსელს უკეთესად ქსოვდა და ხლართავდა, ვიდრე სამთავროს მმართველობა. იგი მთელი შესაძლებლობით უწყობდა ხელს რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობას. 1806 წ. ოქტომბერში იგი გუდოვიჩს სწერდა: „ახლა გაქვთ

ყველაზე კარგი დრო, რომ იმერეთს დაეუფლოთ“ [58, 136]. მისივე დასმენით, გენერალი რიკგოფი გენერალ გუდოვიჩს 1807 წლის 17 აგვისტოს ატყობინებდა: „იმერეთის მეფე დიდი ხანია უკმაყოფილოა დადიანებისა და ახლა ეძებს დროს აღასრულოს თავისი ბოროტი ჩანაფიქრი, რაც გამოიხატება სადადიანო სვანეთისა და ლეჩხუმის მფლობელთა მის მხარეზე გამობირებაში საჩუქრების საშუალებით და საბოლოოდ მთელი სვანეთის მის სამფლობელოდ გადაქცევაში [58, 138] (გენერალი გუდოვიჩი კი თავის მხრივ „სადადიანო სვანეთისა და ლეჩხუმის მის მხარეზე გადაყვანის მცდელობისათვის“ საყვედურს უთვლიდა სოლომონ მეფეს [57, 139]. სოლომონი II 1804-1810 წლებში შეუწყვეტილი უმტკიცებდა რუს მოხელეებს, რომ ლეჩხუმი და სვანეთი ისტორიულად იმერეთის კუთვნილება იყო, რომელიც იმერეთს წაერთვა კაცია I-ის მიერ, მაგრამ ამაოდ.

1810 წელს მოხდა იმერეთის ანექსია რუსეთის მიერ. სოლომონ მეფე 1815 წ. ტრაპიზონში გარდაიცვალა. ლეჩხუმი და სადადიანო სვანეთი რუსეთის იმპერატორმა კვლავ ლევან V-ს დაუმტკიცა.

ამრიგად, რუსეთის რეაქციულ-აგრესიული საგარეო პოლიტიკის ორბიტში სვანეთიდან პირველი მსხვერპლი სადადიანო სვანეთი იყო.

§2. ზემო სვანეთის დაპყრობა და შეერთება რუსეთის მიერ

(რუსეთის მიერ ქვემო სვანეთის ანექსიის დროისათვის სხვა ვითარება იყო, ვიდრე ზემო სვანეთის ანექსირებისას.

ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში XVIII ს. შუახანებში ხელისუფლების სათავეში მოექცა დიდი ოთარი, რომელიც ერთპიროვნულად განაგებდა ბალსქვემოთ მდებარე თემებსა და სოფლებს ანუ სვანეთის სამთავროს. სამთავროს შემადგენლობაში მოქცეული იყო ეცერის (მთავრის რეზიდენცია), ცხუმარის, ბეჩოს, ლეჩყანის და ჩუბეხევის თემები [1, 11].

დიდი ოთარის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნულ სამთავროს ანუ ფაქტობრივად სათავადოს (ფეოდალურ სამფლობელოს) მიწა-წყალი შვილებს ოთხ ნაწილად დაუყვიათ. ეცერს და ჩუბეხევს უფროსი შვილი „კარგი ოთარი“ დაპატრონებია, ბეჩოს-შუათანა შვილი – სორთმანი, ხოლო ყველაზე უმცროსი – დუდას ლეჩყანი შეხვედრია წილად [2, 12].

XVIII ს-ის 70-იან წლებში დადიშგელიანთა გვარი სამ სამხოდ (განშტოებად) დაყოფილა: ოთარის შტოს „ოთარშერ“ – ოთარისიანები, სორ-

თმანის შტოს – „სორთმანშერ“ – სორთმანისიანები, ხოლო დუდას შტოს „დუდაშერ“ – დუდასიანები ეწოდებოდათ.

„კარგ ოთარს“ დარჩენია ორი ვაჟი როსტომხანი და თენგიზი. როსტომხანს, როგორც მემკვიდრეობით უფროსს, თავისთვის ეცერი დაუტოვებია, ხოლო მორჩილების არამსურველ უმცროს ძმისათვის – თენგიზისათვის ჩუბეხევი ცალკე გამოუყვია [3,303]. რის გამოც ეცერისა და ჩუბეხევის მფლობელებს შორის ქიშპი და სამტრო ურთიერთობა გაღვივებულა.

როსტომხანს ჰყოლია ორი მემკვიდრე ოთარი და ჯანსუხი, ხოლო თენგიზს – სამი: ციოყი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით „ბაბა ციოყის“ სახელწოდებით [4,92], გელა და ჯანბულათი [1,12]. მათ შორის თავისი ძალადობით თავი გამოუჩენია ბაბა ციოყს, რომელსაც „მოწინააღმდეგეთა ნაწილი სვანეთიდანაც კი გაუბეგებია და ბალსქემო სვანეთში ერთმართველობა აღუდგენია“ [5,12].

ბაბა ციოყს ჰყოლია ექვსი ვაჟი: თენგიზი, გელა, ლევანი, ჯანსუხი, ისლაში და თათარყანი [6,12]. მისი გარდაცვალების შემდეგ (1812 წ.) [7,93], სამთავროს ერთმართველობა კვლავ დარღვეულა. დადიშგელიანების გვარის სამივე შტოს წარმომადგენლებს, ბაბა ციოყის შვილებსა და შვილიშვილებს შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა კვლავ გაგრძელებულა. ვე. გაბლიანის სიტყვით რომ ვთქვათ, დადიშგელიანები „პირველობის მოპოვებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ერთმანეთთან დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ და ძმათა სისხლის ტბაში იხრჩობოდნენ“ [8,122]. ხოლო, საარქივო ცნობით, „თითოეული მათგანი იტაცებდა იმას, რაც შეეძლო და ყველა საშუალებით ცდილობდა ხელთ ეგდო ყველაზე ახლობლის სამფლობელოც კი“ [9,6]. ამგვარი ბრძოლის შედეგად ჩუბეხევს დაპატრონებია ბაბა ციოყის უფროსი შვილი თენგიზი, ეცერს – ოთარის შვილიშვილი აზნაური [10], ცხუმარს – როსტომხანის შვილიშვილი ოთარი, ბეჩოს – სორთმანის მემკვიდრეები, ხოლო ლეჩყანს – დუდას მემკვიდრეები.

XIX ს. პირველსავე ორ ათეულ წლებში სვანეთის სამთავროს ხუთივე საზოგადოებას თავისი მფლობელი გასჩენია [11,7]. გარკვეული მიზეზების გამო ბრძოლის დაწყებამდე ადწერისაგან თავს ვიკავებთ და აღვნიშნავთ, რომ ციოყის ექვსი ვაჟიდან ერთ-ერთი – თენგიზი გადასახლებულა სოფ. ფარში, ხოლო ლევანი გაბატონებულა ეცერში [12]. დანარჩენ ძმებს ვერ მოუსწრიათ წილის მიღება. მალე თენგიზი დაღუპულა და დარჩენია მცირეწლოვანი შვილები მოსოსტრი და მურზაყანი. ამით უსარგებელია ეცე-

რის მფლობელ ლევანს და ფარიც ხელში ჩაუგდია. ლევანი ფრთხილი და დაუნდობელი პიროვნება ყოფილა. მას ფარის ხელში ჩაგდების შემდეგ, ბალსზემო სვანეთის სოფ. ლატალის დაპყრობაც მოუწოდებია. საარქივო ცნობით: „Леван... покорил с. Латал, заковавши в кандалы 86 из латальцев. т. е. по одному с каждого двора, позванных им к себе в гости“ [13,7].

საარქივო ცნობით ისიც ირკვევა, რომ ლევან დადიშგელიანთან კეთილი განწყობა ჰქონია სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანსაც. ამ უკანასკნელს მისთვის სოფ. ხელეთი უჩუქნია. ლევან დადიშგელიანის ბატონობით განაწყნებულ მის ძმას – ისლამს, როგორც კი ლევანი გარდაცვლილა, მოუკლავს მისი ვაჟი და სამფლობელო ახლებურად დაუნაწილებია. თენგიზის შვილები, მოსოსტრი და მურზაყანი, ფარში დაუსვამს, ხოლო თათარყანისათვის ბეჩო მიუკუთვნებია. მისი ძმის ჯანსუხისა და მეორე ძმის – გელას შვილებისათვის – როსტომისა და ქერიმისათვის ცხუმარი მიუწენია და თვითონ ეცერს დაპატრონებია [14,304]; [13,12].

მთავართა ამ ახალ რიგში ყველაზე ძლიერი გამომდგარა თათარყანი, რომელსაც იარაღის ძალით დაუმორჩილებია ყველა მოწინააღმდეგე [15,112]. მას, ისლამის გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის ცოლი შეურთავს, დაუხოცია ჯანსუხი და ძმისშვილები: როსტომი და ქერიმი და საბოლოოდ ცხუმარი და ეცერი დაუსაკუთრებია [16,303].

ერთ-ერთი მხარე, რომლის დაქვემდებარება ვერ მოუხერხებია, ეს იყო ფარის ანუ ჩუბეხევის სადადიშგელიანო ნაწილი, სადაც მართველობდნენ, ჯერ მოსოსტრი და მურზაყანი, ხოლო შემდეგ, მოსოსტრის ვაჟი ციოყი და მისი შვილი კონსტანტინე.

ამ დროიდან ფარი, ფაქტობრივად, გამოყოფილია ეცერისაგან. ეცერსა და ფარს შორის საზღვარი დაიდო. ეს იყო „ფინის ლელე“ [17,104-105]. ეს საზღვარი, საარქივო ცნობის თანახმად, – „წარმოადგენდა ფართოფოთლოვან ტყის ხევს, რომელიც მთავართა სამყოფელ სოფლებიდან – ფარიდან და ბარშიდან, სათითაოდ 1/2 საათის სამგზავრო მანძილით იყო დაშორებული“ [1,11].

ფინის ლელის აღმოსავლეთით ეცერის, ბეროს, ასევე ენგურის მარცხენა მხარეზე მდებარე ცხუმარის მონაკვეთები იყო თათარყანის კუთვნილება, ხოლო „მთელი ადგილმდებარეობა დასახელებულ ლელედან და უსკვირიდან ყარაჩაის, წებელდას, აფხაზეთის, სამურზაყანოს და სამეგრელოს საზღვრამდე ეკუთნოდა კონსტანტინეს“ [18,55].

ასე, რომ XIX ს. 30-იან წლებში სვანეთის სამთავრო დაყოფილი იყო ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ნაწილად, რომელთაგან ეცერს 30 სოფლით ფლობდა თათარყანი, ხოლო ფარს – დაახლოებით 21 სოფლით – ციოცი.

თათარყანთან ბრძოლაში ციოცს გვერდში ედგა ნიჭიერი და პატივმოყვარე ქალი დიგორხანი [19].

რაც შეეხება ბალსზემო სვანეთს, იქ კვლავ გრძელდებოდა დამოუკიდებელი ცხოვრება. იგი კვლავ იყოფოდა ცალკეულ საზოგადოებებად. იქ ვერც ერთი აზნაური ვერ გათავადდა და ვერც დადიშგელიანებმა და ვერც სხვა თავადმა ის ხელში ვერ ჩაიგდო.

ერთი სიტყვით, სვანეთის პოლიტიკური სურათი XIX ს. 30-იან წლებისათვის ასეთი იყო: ქვემო სვანეთი რუსეთის ხელში იყო და სამეგრელოს სამთავროს ექვემდებარებოდა. ბალსქვემო სვანეთი ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ეცერისა და ფარის საფეოდალო სახლებად იყო გათიშული, ხოლო ცალკე არსებობდა ე.წ. თავისუფალი სვანეთი, რომელიც არავის არ ემორჩილებოდა.

სწორედ ასეთ ვითარებაში განაგრძო რუსეთმა ზემო სვანეთის შემოერთებისათვის აქტიური ბრძოლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მოსაზრება, თითქოს რუსეთმა ზემო სვანეთის შეერთებისათვის ბრძოლა მხოლოდ XIX ს. 30-იან წლებში დაიწყო არამართებულია. ჩვენი აზრით, რუსეთს ქვემო სვანეთის შეერთების შემდეგ ზემო სვანეთის შეერთებისათვის ზრუნვა არ მოუშლია, მხოლოდ ეძებდა უფრო ხელსაყრელ მომენტს.

თუ როდის გადადგა რუსეთმა პირველი ნაბიჯები ზემო სვანეთზე მისი გავლენის გავრცელებისა და შეერთებისათვის, ამის პასუხს წყაროები იძლევიან.

1833 წ. 24 ივნისის წერილში გრაფი ნესელროდე ბარონ როზენს სწერდა: „Еще князь Цицианов через посредство Мингрелии обращал особенно на Сванетов внимание и старался войти в отношение с фамилией князей Дадишкелианов“ [20,80].

ამავე ფაქტს გვამცნობს ისტორიკოსი ს. ესაძე, რომლის თანახმად – „ჯერ კიდევ ციციანოვმა სამეგრელოს მთავრის მეშვეობით დაამყარა კავშირი თავად დადიშგელიანებთან“ [15,112]. პროფ. გ. გასვიანის შენიშვნით – „თვითმპყრობელობამ დადიშგელიანებთან მოლაპარაკებით სცადა ზემო სვანეთის მშვიდობიანი გზით შეერთებაც, მაგრამ ის XIX საუკუნის

პირველ მეოთხედში უშედეგოდ დამთავრდა“ [21,37]. პროფ. მ. დუმბაძის შენიშვნით, „ჯერ კიდევ საქართველოს მთავარსარდალ ციციანოვს უცდია, რომ სამეგრელოს მთავრის მეშვეობით დაემყარებინა კავშირი დადიშქელიანებთან და სვანეთიც თავის გავლენის ქვეშ მოექცია“ [22,253-254]. მკვლევარ გ. გულბანის აღნიშვნით, „სვანეთის დაზვერვას რუსი მოხელეები სამეგრელოს სამთავროს შეერთებიდანვე იწყებენ. ჯერ კიდევ ციციანოვი ცდილობდა დაემყარებინა ურთიერთობა სვანეთთან და კერძოდ დადიშქელიანებთან, მაგრამ იმ დროს ეს არ განხორციელებულა“ [23,138].

1804 წ. სამეგრელოს მთავარი გახდა ლევან დადიანი. მის სახელთან მჭიდროდა დაკავშირებული ზემო სვანეთის შესვლა რუსეთის მფლობელობაში. ცნობილია, რომ ის რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური იყო. აღსანიშნავია, რომ XIX ს-ის 30-იან წლებამდე და შემდეგშიც სვანეთის სამთავროს თუ ე.წ. თავისუფალი სვანეთის რუსეთის მხარეზე გადმობირებისა და ამ საქმეში განსაკუთრებული როლის შესრულებისათვის მან უამრავი მაღლობა დაიმსახურა რუსეთის მხრიდან.

1822 წ. 4 თებერვალს გენ. ერმოლოვს ლ. დადიანმა წერილი გაუგზავნა, სადაც სწერდა: „მე უკვე რამდენიმე წელია (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) მთელი ჩემი შესაძლებლობით ვცდილობდი გადმობირებინა ჩემს საზღვრებთან, შუა კავკასიაში მცხოვრები სვანი დადიშქელიანები რუსეთის ყოვლის მოწყალე მაღალი ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესასვლელად“ [24, 82]; [25,403].

ლევანი მიუთითებს, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, მან ვერ მოახერხა საქმის ბოლომდე მიყვანა და ამაში ბრალს თათარყან დადიშგელიანს სდებდა. ლევანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მას თენგიზ დადიშგელიანის გადმობირება მოუხერხებია, რუსეთის მფარველობაში შესვლაზე დაუთანხმებია და ახლა სთხოვდა ერმოლოვს, რომ მას, თათარყანის ხელში ჩასაგდებად, ჯარი გაეგზავნა, რომელ ჯარსაც თვით ლევანიც დაეხმარებოდა და იმედოვნებდა, რომ თენგიზთან ერთად თვითონ თათარყანს დაამარცხებდა და სვანეთის სამთავრო რუსეთის ქვეშევრდომი გახდებოდა [26,631]. როგორც ვხედავთ, ლევან დადიანს 1822 წლამდე, რამდენიმე წლით ადრე უცდია რუსეთისადმი სვანეთის დაქვემდებარება, მაგრამ ვერას გამხდარა. მაშინ მან სხვა ხერხს მიმართა.

1823 წელს, ლევან დადიანმა მოუთვინიერებელ თათარყანის მოწინააღმდეგე მთავრის ციოყ დადიშგელიანის დაზე-დარეკანზე, დანიშნა თავისი

შვილი – დავით დადიანი. მისი აზრით, ამ დამოყვრების ნიადაგზე შესაძლებელი გახდებოდა ციოყის დათანხმება, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთის მფარველობის მიღებაზე ციოყს თავი შეუკავებია, თუმცა ამ ფაქტმა ციოყის სამფლობელოს რუსეთისადმი დაქვემდებარებაში შემდეგში დადებითი როლი ითამაშა.

(ლევანმა ახლა ბალსზემო სვანეთი მოსინჯა. მან იცოდა, რომ ე.წ. თავისუფალ სვანეთსა და საღალიშველიანო სვანეთს შორის წინააღმდეგობა არსებობდა. მან ამ წინააღმდეგობის გამოყენება სცადა და ბალსზემო სვანეთის სოფ. ლატალის საზოგადოებაში, მოლაპარაკების მიზნით, გაგზავნა ჭყონდიდელი გიორგი და თან გაატანა წერილი, რომლითაც ურჩევდა რუსეთის მფარველობის მიღებას, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე. ლევანი მაინც არ ეშვებოდა და 1829 წ. მან იქ, კიდევე გაგზავნა დავით მიტროპოლიტი, რომელმაც „მუნ მცხოვრებნი... სვანნი მრავლად მონათლა, აკურთხა ეკლესია და დაადგინა მუნ ხუთნი მღვდელნი... მასწავლებლად ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა“ [27,14].

1830 წ. ლევანმა ბალსზემო სვანეთში კვლავ მიავიღა მიტროპოლიტი დავითი. ამჯერად მიტროპოლიტმა აზნაურები შმაგი და მირზა ქურდიანები, ბესი იოსელიანი და სორთმან ჯაფარიძე დაითანხმა და სამეგრელოში ჩამოიყვანა.

(საქმე იმით დამთავრდა, რომ სამეგრელოს მთავარმა, ლეჩხუმის მოურავ ბერი გელოვანის თანხლებით, საჩუქრებით მოთაფლული აზნაურები, წარუდგინა გენ. პასკევიჩს, ვითომ ბალსზემო სვანეთის მიერ რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების სათხოვნელად გამოგზავნილი დელეგატები [8,3]. გახარებულმა პასკევიჩმა დაუყოვნებლივ აცნობა სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს. იგი წერდა: „Обитающие в соседстве с княжеством Мингрельским доселе независимые племена Сванетов изъявили желание покориться Российскому правительству“ [25,403].

მართალია, ეს ცნობა ნაჩქარევი გამოდგა, მაგრამ ამ ნაბიჯით ბალსზემო სვანეთში ნიადაგი მაინც მოსინჯული იქნა, რომელმაც შემდეგში ამ ნაწილის რუსეთთან შეერთებაში ერთგვარი როლი მაინც ითამაშა.

XIX ს. დამდეგიდან, ამავე საუკუნის 30-იან წლებამდე, სვანეთის რუსეთისადმი დაქვემდებარებისათვის გაწეულ თავის ზრუნვას 1833 წ. ოქტომბრის ერთ-ერთ წერილში ლევან დადიანი ასე აფასებდა: „მე აღვასრულე ჩემდამი დადებული ვალი შემოყვანისათვის... სვანეთის მთავრისა თათარყან დადემქელიანისა და რომლის აღსასრულებლად მო-

ვახშარე ყოველი დონე“ [28,130]. მართლაც, ლევანის მცდელობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

XIX ს-ის 30-იან წლებში, როცა რუსეთმა წარმატებით დაამთავრა ომი ირანთან და თურქეთთან, მას სვანეთის ხელში ჩაგდებისათვის ნიადაგი მოზადებული ჰქონდა. ამიტომაც მთლად მართებული არ უნდა იყოს ის მოსაზრება, თითქოს რუსეთი მხოლოდ XIX ს-ის 30-იან წლებში შეუდგა სვანეთის შეერთებისათვის ზრუნვას. პირიქით, XIX ს-ის დამდეგიდან ამავე საუკუნის 30-იან წლებამდე ჩატარებული საამისო ბრძოლა, შეიძლება ჩაითვალოს სვანეთის დამორჩილებისათვის პრაქტიკული ბრძოლის პირველ პერიოდად.)

XIX ს 30-იან წლებში, რუსეთისა და სვანეთის ურთიერთობაში ახალი პერიოდი იწყება. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვსაზღვროთ ცარიზმის მოხელეთა დაინტერესება სვანეთის მიმართ.

(რუსეთის დაინტერესება სვანეთის ხელში ჩასაგდებად, პირველ რიგში, განისაზღვრებოდა მისი სტრატეგიულ-პოლიტიკური, ხოლო შემდეგ ეკონომიკური დანიშნულებით.

სვანეთის სტრატეგიული დანიშნულების შესახებ რუსეთის საკავკასიო პოლიტიკის მესვეური საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. ეს ჩანს სენატორ ლიტვინოვის 1803 წ. შესრულებულ ჩანაწერებში საქართველოს შესახებ [29,93], ეს ჩანს ისტორიული ხასიათის სხვა შრომებშიც [30,15,34,41,116,149]; [31, 147,366,367-368] და, რა თქმა უნდა, ლევან დადიანის მიერ რუსეთის მოხელეებთან მიმოწერაშიც [31,82].

XIX ს. 30-იან წლებში, როცა რუსეთმა გადაწყვიტა ჩრდ. კავკასიის საბოლოოდ შეერთება, კავკასიის სამხედრო კორპუსის სარდალმა გენერალ-ფელდმარშალმა ი.ფ. პასკევიჩ-ერევანსკიმ, გენერალ-მაიორ გესე II-ს, 1830 წ. 10 აპრილს, დაავალა, რომ დაწვრილებითი ცნობები შეეგროვებინა ჩრდ. კავკასიის მთიელთა შესახებ და ამასთან დაკავშირებით შეესწავლა სვანეთის მდგომარეობა და სვანეთიდან ჩრდ. კავკასიაში გამავალი გზები [33,8]. გესე II-მ, ვიდრე სვანეთში გაემგზავრებოდა, ამავე წლის 13 აპრილს, წერილი გაუგზავნა ლევან დადიანს და სთხოვა „სრულიად საიდუმლოდ“ ეუწყებინა მისთვის შემდეგი: „ა. რა გზები მიდიან მინგრელიიდან ყუბანს იქით ხალხთან, ყაბარდას ქვის ზიდებისაკენ, ყუბანზე და მალვას... აგრეთვე კისლავოდსკს, ეკატერინოგრადს, უსაკუთრესად სათავეთაგანმდინარეთა: ინგურისა, ცხენისწყლისა და რიონსა (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.).

ბ. ყოველს დროს წელიწადს გზანი იგი რა მდგომარეობაში არიან და მათზე ვითარ შეუძლიან ასვლა მხედრობათა.

გ. მათ გზათა ზედა რა ხალხი ცხოვრობს და ვითარი კავშირი აქვთ ურთიერთ შორის, მეგობრული თუ მტრული.

დ. რა ხეობებში ცხოვრობენ ხალხნი იგი, ვითარი სახლები აქვთ მათ აღშენებული და რასა შინა მდგომარეობს შინაური მათი შემეცნებაი.

ე. ვითარი იმართვიან ივინი, დროსა მშვიდობისა და ომისა.

კ. რა არის მათი შემეცნება, ზენენ პურს და იყოლიებენ პირუტყვს, რასა შინა მდგომარეობს მათი სიმდიდრე და საჭიროება.

ზ. სადა აქვთ ზამთრისა და ზაფხულის საძოვარი.

თ. ნაწილსა ჩვენის მხედრობისასა თუ შეუძლიან იპოვოს ღონისძიება აჭამოს კაცთა და ცხენთა, სახელდობრ ვითარი შესაძლებელ არს იპოვოს მათში საზრდელი.

ი. ვითარ მრავალ არიან იქ ხალხნი. დასდევ ესე თუგინდ მაგალითად.

პ. რაოდენი შეუძლიან გამოიყვანონ ჯარი თავის თავის დასაცავად, ქვეითი თუ ცხენოსანი და თუ ცხენოსანი ჯარი შეუძლიან იყოლიონ.

ია. ვითარ არიან შეჭურვილნი.

იბ. ვითარს მიიღებენ ჩვეულებათ დასაფარავად ზომათა დასაცვლელად თავიანთი სოფლებისა.

იგ. რა ზნეობა აქვთ მათ ხალხთა, უმთავრესი მიდრეკილება რისადმი აქვს ან ჩვეულება, რჯულითი სარწმუნოება.

იდ. ვითარი დამოკიდებულება აქვთ მათ რუსეთის მმართველობისადმი, რომელთა უმეტეს აქვთ ჩვენდამი განკარგულება ანუ სიძულვილი. ამა უკანასკნელთა შორის სახელდობრ რომელი არიან ჩინებულნი პირნი, ანუ განსხვავდებიან თვისის განკარგულებებითა და სიძულვილით.

.. გარემოება ესე უნდა იყოს დაცული უღრმესსა საიდუმლოსა შ-ა“ [34,46-48].

ლევან დადიანმა დავალება შეასრულა. გვეს II-მაც შეკრიბა ცნობები სვანეთზე და ამის საფუძველზე 1830 წ. 14 ივნისს, პასკევიჩს მოახსენა, რომ სამეგრელოდან ყუბანამდე არის სამი გზა. ერთი იწყება ლეჩხუმში, მიუყვება ცხენისწყლის ხეობას... ლენტეხის ავლით, ზოლო მეორე მიუყვება ენგურის ხეობას ჯვარის გავლით და მიდის სოფ. ეცერში, სადაც ერთიანდებიან ეს გზები და შემდეგ გრძელდება ერთი გზა, რომელიც მიდის ყუბანამდე. მესამე გზა სამურზაყანოს სოფ. ჩხორტოლში იწყება, გადის რამდენიმე მთაზე, ჩრდილოეთის მხრიდან შემოუვლის სვანეთს და მერე მიე-

მართება ყარაჩაელთა ქვეყანაში. მაისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე ამ გზებზე თავისუფალი მოძრაობა შეიძლება მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთათვის, ხოლო დანარჩენ დროს მთებში დიდი თოვლიანობის გამო კავშირი წყდება.

სვანეთში იციან ტყვია-წამლის დამზადება, შეიარაღებულნი არიან ძველი ტიპის თოფებით, ძალიან საჭიროებენ ტანსაცმელს, პურს, მარილს. რუსეთის სამხედრო ძალების ცხენებისათვის საკვები იშოვება ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ ჯარისკაცების გამოკვება შეუძლებელი იქნება, რადგან იქ აქვთ მხოლოდ ყველი და ხორცი და ისიც ძალიან მცირე რაოდენობით.

გესე II-ის აზრით, სვანებს თავდაცვისათვის შეუძლიათ გამოიყვანონ 3000-იანი შეიარაღებული ქვეითი ჯარი, ხოლო ცხენოსან ლაშქარს, პირობების არ არსებობის გამო, არ იყენებენ. მათვე თავდაცვის საჭიროებისათვის იციან საგუსაგოების აგებისა და სამიმოსვლო გზების ჩახერგვის ხერხები.

გესე II-ს ვერ გამოუტანია იმის დასკვნა, თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან სვანები რუსეთის ხელისუფლებასთან. მისი აღნიშვნით, ამის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. ხოლო სვანეთის დაპყრობის თვალსაზრისით იგი შემდეგ დასკვნას აკეთებდა, რომ „სვანეთის დაპყრობა იარაღის ძალით, მისი მოუხერხებელი მდებარეობის გამო დაკავშირებულია მეტად დიდ სიძნელებებთან“, რის გამოც მათი გადმობირება რუსეთის ხელისუფლების მხარეზე უმჯობესია მოხდეს იქაური გავლენიანი პირების („главнейших старшин“) დასაჩუქრების გზით, რომლისკენაც დიდ მიდრეკილებას იჩენენ“ [35,8-11].

ამ მიმოწერებიდან ნათლად ჩანს რუსეთის მიზნებიც და სვანეთის მდგომარეობაც. ცხადია, რუსეთი ყველა საშუალებით ცდილობდა სვანეთის დაქვემდებარებას.

ეს საქმე წარმატებით გააგრძელა პასკევიჩის შემცვლელმა გენერალმა ბარონ გ. როზენმა. მის მიერ სვანეთში ზედიზედ მივლენილ სამხედრო პირთა და აგრეთვე სვან მთავართა მიმოწერაში უხვად არის დაცული ცნობები სვანეთის დანიშნულების შესახებ.

1833 წ. 24 იანვრის წერილში გრაფი ნესელროდე ბარონ როზენს სწერდა: „სვანეთის მთებიდან არის, თუმცა ძნელად გადასასვლელი, მაგრამ პირდაპირი გზები ყარაჩაისა და ყუბანის სხვა ტომებთან“ [36,79].

გენ. მაიორ გორიზოვოსტოვი სვანეთის მთავრის ციოყის დედა დიგორ-ხანთან (გარდაფხაძე-დადიშგელიანთან) მოლაპარაკების პროცესში ბარონ როზენს მოახსენებდა, „დიგორხანის სამფლობელო მთლად ოსეთსა და ყაბარღოსთანაა და საჭიროების შემთხვევაში სვანებს შეუძლიათ მთლიანად მოსპონ ოსები, გაანადგურონ ყაბარღოელები და არ დაუშვან ჩვენი მოქმედება ყუბანისაკენ“ [37,38]. ხოლო ციოყ დადიშგელიანი კი თავის „დედა-აზრში“, რომელიც მას 1834 წ. მარტში დაუწერია, აღნიშნავდა: „მეზობლად მამულისა ჩემისა...“ მესაზღვრენი, სახელდობრ წებელი და ყარაჩაები, რომელნიცა სცხოვრობენ დიდთა სიმაგრეთა შინა და არ არიან არავისა მორჩილებასა ქვეშე... მიპყრდნობიან დიდთა სიმაგრეთა... მათ შინ შესავალნი გზანი მიპყრიან მე, რომლიდამაც ადვილად შესაძლებელ არს დამორჩილება მათი თვინიერ დიდისა ზიანისა“. მთავარი იქვე ასკვნიდა: „თუ წებელი იქნება შემოსული მონებასა ქვეშე რუსეთისა, მაშინ ადვილად შესაძლებელ არს მთელსა ყუბანისა მტკიცე დაპყრობა, რომელიც იწოდებიან ჩერქეზებად“ [38,157].

1834 წ. 24 ნოემბრის წერილში, რომელიც შტაბს კაპიტან შაზოვსკის ეკუთვნის, ვკითხულობთ: „Если провительство достигнет совершенной покорности всей Сванетии..., тогда вся Осетия (Карачаевцы, урус-пиевцы, чечемцы, хуламцы, безингиевцы, (ავტორის განმარტებით, ა.გ.) и малькарцы, как северная, так и восточная Имеретия, Мингрелия и Абхазия будет в совершенной зависимости русских; ибо все сии племена лежат в подножи Ингурского ущелия, откуда во всякое время и совершенно неожиданно можно действовать, употребляя оружие самих Сванет, коих мужского пола необходимо положить до 12-ти т. душ“ მისივე დასკვნით, — „посему и должно рассматривать Сванетию не иначе как только в военном отношении“ [39,466]. ხოლო 1857 წლის 17 აგვისტოს მოხსენებაში ბარიატინსკიმ სვანეთის დანიშნულება ასე განსაზღვრა: „რაოდენ მცირე არ უნდა იყოს თავისთავად სვანეთი, თავისი ცენტრალური მდებარეობით ყაბარღოს, ყარაჩაის, წებელდისა და სამურზაყანოს ტომებს შორის, რომლებიც თუმცა მორჩილნი არიან, მაგრამ ნახევრადველურებია და თავისი სიახლოვით ჩვენდამი არაკეთილად განწყობილ მთიელებთან, სვანეთში ყოველგვარი მღელვარება შეიძლებოდა ჩვენთვის საშიში ყოფილიყო, არა მარტო ჩვენდამი პირდაპირ მტრული, არამედ საეჭვო დამოკიდებულებისასაც. სვანეთი, თავისი ცუდი მისადგომების გამო, ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო ყველა მეზობელი

ყაჩაღების თავშესაყრელი, რითაც სავსებით შეიცვლებოდა ჩვენი მდგომარეობა ამიერკავკასიის მთელს დასავლეთ ნაწილში“ [40,19].

ქუთაისის გენ. გუბერნატორის აღნიშვნით, „მხოლოდ დასავლეთ კავკასიის მთლიან დაპყრობას შეეძლო სვანეთისათვის მოეხსნა ის სამხედრო და პოლიტიკური დანიშნულება, რომელიც მას წინათ (სამთავროს გაუქმებამდე, ა.გ.) გააჩნდა“ [41,352].

შეიძლება აღინიშნოს, რომ რუსი მოხელეები, თუმცა ოდნავ გადაჭარბებულად, მაგრამ საერთოდ, მაინც სწორად განსაზღვრავდნენ მაშინდელი სვანეთის სტრატეგიულ სამხედრო თუ პოლიტიკურ დაინშნულებას.

(ცხადია, რომ სვანეთის ხელში ჩაგდების საკითხი დაკავშირებული იყო, როგორც დას. საქართველოში პოზიციების საბოლოო განმტკიცებასთან, ისე დას. კავკასიის მთიელთა საბოლოო დამორჩილებასთან, ამით დაინტერესებულ რუსეთის პოლიტიკოსთა თვალში სვანეთის სტრატეგიულ დანიშნულებას კვლავ უფრო აღრმავებდა ის, რომ ამ უკანასკნელის დამორჩილებით მათ ხელში უვარდებოდათ გზები, რომლებითაც მყარდებოდა კავშირი იმერეთიდან, სამეგრელოდან და აფხაზეთიდან ე.ი. შავი ზღვის აღმ. სანაპიროებიდან როგორც ყუბანისაკენ, ისე ყაბარდოს მიმართულებით, რაც აგრეთვე დაკავშირებული იყო სვანეთის დიდ სამხედრო მნიშვნელობასთან, მყარდებოდა კავშირი დას. საქართველოსა და ყაბარდოში მოქმედ სამხედრო ნაწილებს შორის, რითაც, ჯერ ერთი, ითიშებოდა მთიელთა ანტირუსული ძალები და, მეორეც, იქმნებოდა მტკიცე ზურგი, რაც მთავარია, უშიშარი და თავისუფალი მოქმედების სწრაფობა. გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოყვანილ ფაქტებიდან ჩანს, რუს მოხელეთა ჩანაფიქრში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა სვანეთის მოსახლეობის დაპირისპირებას მთიელებისადმი და მათი ძალების გამოყენებას მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.)

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მსჯელობის დროს გასათვალისწინებელია სვანეთის ეკონომიკური მნიშვნელობაც, რის შესახებ ჩვენ გვქონდა უკვე საუბარი და აქ აღარ გავაგრძელებთ.

(XIX ს. 30-იან წლებში, როცა რუსეთს დაქვემდებარებული ჰყავდა მთელი დანარჩენი საქართველო და თავისი მახვილი კავკასიის მთიანეთის საბოლოო დაპყრობისათვის წარმართა (სვანეთის სამთავროში მეტად გამწვავებული შინაპოლიტიკური მდგომარეობა იყო.

როგორც აღინიშნა, აქ ერთმანეთს ექიშებოდნენ ეცერის და ფარის სადადიშგელიანო სამთავრო ნაწილების მეთაურნი ციოყი და თათარყანი. ციო-

ყის მდგომარეობა შედარებით გართულებული იყო, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ფარის ნაწილს ეცერისაგან გამოყოფის შემდეგ ციოყის ბაბუა თენგიზი განაგებდა, რომელსაც ჰყავდა ორი ვაჟი მოსოსტრი და მურზაყანი. თენგიზი ლევან დადიანთან კარგ დამოკიდებულებაში იყო. ამ უკანასკნელის გავლენით მისმა შვილებმა აფხაზ თავადის გარდაფხადის ქალიშვილები – დები-მახა და დიგორხანი შეირთეს მეუღლეებად [42,30]. მახას და მურზაყანს შვილი არ ეყოლათ, ხოლო მოსოსტრისა და დიგორხანს ეყოლათ ქალ-ვაჟი ციოყი და დარეჯანი [43,13]. მოსოსტრის გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, თათარხანისაგან სამფლობელოს დაცვის მიზნით, ობლად დარჩენილი მემკვიდრის ციოყის დედა დიგორხანი მურზაყანს შეურთავს ცოლად [44,13]. მაგრამ, მალე, მურზაყანიც გარდაცვლილა. სამფლობელო დარჩენილა ციოყის ამარა. ამას დაემატა მეორე გარემოება. ციოყის და დარეჯანი [45], რომელიც სამეგრელოს მთავარმა ლევან დადინმა 1823 წ. როგორც ზემოთ აღინიშნა, თავის შვილზე დავითზე დანიშნა, მერე ამ უკანასკნელმა ცოლად არ შეირთო და 1831 წ. დააბრუნეს ციოყის ოჯახში [46,13]. რის გამოც ციოყსა და ლევან დადიანს შორის მტრული ურთიერთობა შეიქმნა. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა ლევან დადიანისა და თათარყანის ოჯახთა დამოყვრებად [47,50].

შექმნილ ვითარებას ფხიზელი თვალით შეხედა ციოყის დედამ დიგორხანმა. მან იცოდა, რომ, თუ თათარყანი, რომელიც კარგ ურთიერთობაში იყო რუსეთის ხელისუფლების წინაშე გავლენის მქონე ლევან დადიანთან, ლევანისვე მეშვეობით მიიღებდა სვანეთის ხელში ჩაგდებათ დაინტერესებულ რუსეთის ქვეშევრდომობას, მაშინ მისი შვილი სრულიად დაკარგავდა სამფლობელო მიწა-წყალს და მოსისხლე თათარყანის მორჩილი შეიქმნებოდა. ამით დაშინებული დიგორხანი უყოყმანოდ დაადგა რუსეთთან დაახლოების გზას.

1831 წ. დიგორხანმა რამდენიმე წერილი გაუგზავნა ყაბარდოს სიმაგრეთა ჯარების სარდალს გენ. გ. გორიხვოსტოვს და სთხოვდა მიეღოთ მისი შვილი რუსეთის მფარველობაში [48,29].

დიგორხანი პასუხის მოლოდინში იყო, როცა 1832 წ. თათარყანმა, ლევან დადიანის შუამდგომლობით, მფარველობაში აყვანა ითხოვა იმერეთის მმართველ გენ. ვაკულსკისთან. მაგრამ ამ უკანასკნელმა პასუხის დაბრუნება არ დააჩქარა, რადგან აფიქრებდა, რომ დადიანის მონაწილეობა ამ საქმეში გამოიწვევდა სვანეთის დანარჩენ თავადთა უკმაყოფილებას და წამოწყებული საქმე ჩაიშლებოდა [48,29].

ამასობაში, 1832 წ. დეკემბერში დიგორხანი თანმზლები პირებით, სრულად საიდუმლოდ, გადავიდა ყაბარღოში – ნალჩიკში. იგი მიიღო გენ. გორიხვოსტოვმა, რომელსაც დიგორხანმა დაუდო პირობა რუსეთის ქვეშევრდომობაში ციოყის სამფლობელოს შესვლაზე. გორიხვოსტოვმა ეს ამბავი აცნობა კავკასიისა და შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ძალების უფროსს გენ. ლეიტენანტ ველიამინოვს და ბარონ როზენს [48,27].)

1833 წ. 23 იანვარს, გორიხვოსტოვმა მიიღო პასუხი, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელს ავალბედნენ დაეზუსტებინა იყო თუ არა დიგორხანი სვანეთის მთავრის ციოყის დედა, რადგან გორიხვოსტოვის მიერ გაგზავნილ ცნობებში სვანეთის მთავრის ციოყის დედა, შეცდომით „აფხაზეთის მთავრინად“ იყო დასახელებული (ჩანს გაუგებრობის მიზეზი ის იყო, რომ დიგორხანს აფხაზეთში (კოდორის სათავეებში) მიწა-წყალი ეკუთვნოდა დალის (აფხაზეთის სვანეთად წოდებული) სახით, ასევე კავკასიის ქედის ჩრდილოეთში – ბაქსანსა და სხვაგან. ა.გ.) და თუ ის ნამდვილად ციოყის დედა აღმოჩნდებოდა, იმ შემთხვევაში გაეცნო მისთვის შემდეგი პირობები:

1. რუსეთის ჯარებს ნებისმიერ დროს ჰქონდეთ მათ მიწაზე გავლის თავისუფლება და საჭიროების შემთხვევაში კვების საშუალება;

2. თუ მთავრობის დავალებით, ან რაიმე სხვა შემთხვევის გამო, მათთან მოვიდეს ერთი ან რამდენიმე რუსი, მაშინ დაიცვან მათი სიცოცხლე და აღმთუჩინონ საჭირო დახმარება;

3. არ მიიღონ და არც დამალონ ჩვენგან გაქცეული რუსი ჯარისკაცი ან ტყვეები და ჩააბარონ უახლოეს ადგილობრივ რუს ხელმძღვანელს;

4. არ გაატარონ მათ მიწაზე ჩვენი საზღვრებისაკენ მიმავალი არც ერთი მარბეველი, განსაკუთრებით ჩერქეზები, არ დაეხმარონ მათ რაიმე ბოროტგანზრახვაში და არც თვითონ განახორციელონ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომ სამეგრელოს მიმართ რაიმე მიუღებელი ღონისძიება;

5. მათი მძევალი იქნება თბილისში და მიიღებს შესაბამის კვებას;

6. ამ პირობათაგან, რომელიმეს დარღვევის შემთხვევაში მძევალი მიიღებს სასჯელს ხელისუფლების გადაწყვეტილების მიხედვით;

7. თუ სვანეთი იქნება მუდამ მშვიდად და არ დაარღვევს ამ პუნქტთა მოთხოვნებს, მაშინ... შეუძლიათ მათ ყოველგვარ საჭიროებაზე მიმართონ კავკასიის მთავარ სამხედრო მმართველს“ [50,32]. თუ ამ პირობებზე დიგორხანი დათანხმდებოდა იმ შემთხვევაში გორიხვოსტოვს ნება ეძლეოდა დაეტოვებინა მძევალი და შემდეგ გაეგზავნა იგი თბილისში. გორიხვოსტოვმა გააცნო დიგორხანს ეს პირობები. დიგორხანმა თანხმობა განაცხადა

და ყაბარდოს ლეგიონის მღვდელთან დადო ფიცი რუსეთის ერთგულებაზე. დადებული ფიცის მიხედვით დიგორხანი უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეების „სჯულის მსახური და ყველაფრით მორჩილი“, „ყველა დროის ზიანის... შემტყობინებელი“, ყველა „სიტყვისა და საიდუმლოს“ შემნახველი, მასზე „გამწესებული უფროსის ინსტრუქციით, რეგლამენტით და უკაზებით“ ნაბრძანების განმხორციელებელი.

ფიცის ტექსტი მთავრდება დიგორხანის ტიტულით – „მდინარეების ბაქსანის, ყუბანის, დალისა და ანგურის (ენგურის, ა.გ.) მწვერვალების მბრძანებელი“.

ფიცზე ხელმოწერის შემდეგ გორიხვოსტოვმა დიგორხანი გაგზავნა თბილისში [50,45]. იმ გადაწყვეტილებით, რომ სანამ ციოცი სვანეთიდან თავის შვილს მძევლად არ გამოაგზავნიდა ნაღჩიკში და ციოცის სამფლობელოს მოსახლეობა იმპერატორის ერთგულებაზე არ დაიფიცებდნენ, „სვანეთის მთავრინა“ იქ გაეჩერებინათ.

1833 წ. 29 თებერვალს, მძევლად გაგზავნილი ციოცის 8-9 წლის ვაჟი ბექირბე გორიხვოსტოვთან იყო და მალე გაგზავნილ იქნა თბილისში [51,43].

თბილისში დიგორხანს როზენთან ხშირი შეხვედრის საშუალება მისცეს ამით ისარგებლა დიგორხანმა და სხვა საკითხებთან ერთად თავისი ქალიშვილის დარეჯანის მზითვის უკან დაბრუნების საკითხიც მოაწესრიგა. დარეჯანი როზენის ხელშეწყობით მალე თბილისშივე მიუთხოვებიათ კახელ თავად დავით აფხაზისათვის, წელიწადში 150 ჩერვონეც პენსიის დანიშვნით [52,15].

მძევლის თბილისში ჩაყვანის შემდეგ, როზენმა ლევან დადიანს დაავა-ლა, რომ თბილისიდან მის მიერ გამოგზავნილი ოფიცრების თარხან მოურავისა და ივანე ფალავანდიშვილისათვის გაეამხანაგებინა ბერი გელოვანი და ერთ-ერთი მღვდელთაგანი და თვით ლევანის ყოველმხრივი ხელშეწყობით, გაეგზავნა სვანეთში ციოც დადიშგელიანისაგან ფიცის მისაღებად. ამავე დროს ლევან დადიანს, თავისი ნათესავი გენ. მაიორი ნიკოლოზ დადიანის მეშვეობით, უნდა გაეფრთხილებინა თათარყანი, რომ ამიერიდან, შეეწყვიტა რუსეთის მფარველობაში მიღებული ციოცის საწინააღმდეგო მოქმედება [47,50]. ამავე დროს, სათანადო შეტყობინება გაეგზავნა ციოც დადიშგელიანს, რომელსაც ფიცი უნდა დაედო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე და ხელი უნდა მოეწერა „სათხოვარ პუნქტებზე“ [53,52-54].

(1833 წ. აპრილში ციოც დადიშგელიანმა ხელი მოაწერა 12 მუხლისაგან შემდგარ „სათხოვარ პუნქტებს“. რამდენადაც ეს პუნქტები სამეცნიერ-

რო ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის გაანალიზებული, ჩვენ მათი დაწვრილებით განხილვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ „პუნქტების“ მიხედვით, ციოცი ცხადდებოდა „სვანეთის ერთერთ მფლობელთაგანად“. ფიცის მიღების დღიდან ის უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის „მუდმივი მონა“ და მსახური. მას და მის შთამომავლობას რჩებოდათ მხოლოდ სამოქალაქო საქმეების გარჩევის უფლება, ხოლო სისხლის სამართალთან დაკავშირებული შემთხვევები რუსი მოხელეების მიერ უნდა განხილულიყო. მეფის ხელისუფლება ციოცს პირდებოდა გარეშე მტრებისაგან დაცვას; სასარგებლო წიაღისეულებიდან შემოსავლის წილის მიცემას.

ციოცის ვალდებულებათა შორის განსაკუთრებით უნდა მიეთითოს იმაზე, რომ ის ვალდებული იყო ყოველივე შესაძლებლობა გამოეყენებინა ბალსზემო სვანეთის რუსეთისადმი დასაკვემდებარებლად. საჭიროების შემთხვევაში იგი ყოველნაირად უნდა დახმარებოდა რუს ჯარისკაცებს და შეექმნა სვანეთში მათთვის სათანადო პირობები.

ერთგულების ნიშნად, ციოცს თავისი შვილი ბექირბი მძველის სახით უნდა დაეტოვებინა თბილისში და თხოულობდა თავის მფლობელობის დამდასტურებელ სიგელსა და სხვა ნიშნებს [54, 55-58].

ასე დაკარგა ციოცმა ძირითადი პოლიტიკური უფლებები და ასე შეიქმნა რუსეთის ინტერესების დამცველი და განმხორციელებელი იარაღი.

გაცხარებულმა თათარყანმა, 1833 წ. ივნისში, თავისი შვილი გაგზავნა ლევან დადიანთან, რათა იგი მიეცა მძველად რუსეთის ხელისუფლებისათვის, როგორც კი მფარველობას დაპირდებოდნენ [55, 71]. მაგრამ თათარყანის მოთხოვნების მიხედვით, ის ისეთივე უფლებებით უნდა მიეღოთ მფარველობაში, როგორც მიიღეს აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები. ამასთან ერთად რუსეთის ხელისუფლებას ციოცი მისთვის უნდა დაექვემდებარებინა [56, 77]. თათარყანის ეს მოთხოვნები მხედველობაში არ იქნა მიღებული. ბარონ როზენის განკარგულებით, შეადგინეს „სათხოვარი პუნქტები“ ზუსტად ისეთივე, როგორც ციოცისა იყო“ [57], რომელსაც ამავე წლის 18 სექტემბერს სვანეთში გაგზავნილ თავად ალექსანდრე წერეთლის, სიმონ ჩიქოვანის, პეტრე დადიანის და მღვდელ დავით ჩიხლაძის თანდასწრებით ხელი მოაწერა და ერთგულების ფიცი დადო თათარყანმა.

1833 წ. 9 დეკემბერს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა ხელი მოაწერა ციოცის „სათხოვარ პუნქტებს“, ხოლო 25 დეკემბერს თათარყანის „პუნქტებს“. ამიერიდან ციოცი და თათარყანი იწოდებოდნენ სვანეთის „მფლობელებად“.

ამასთან ერთად ერთსაც და მეორესაც უმოწყალებად ებოძათ „განმშვენებული ძვირფასითა ქვებითა ხმალი, ხანჯალი და ჩინი მაიორისა, ნება მიცემითა ეპოლეტის ქონებისათა“ [39,60]; [58,534]; [15,113]; [59,289].

რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის მიუხედავად, სადადიშგელიანო სვანეთში მშვიდობა მაინც არ დამყარებულა. ყოფილ მთავრებს, ახლა უკვე რუსეთის მოხელეებს ციოყს და თათარყანს, ყველაზე ცხარე ბრძოლა რუსეთისადმი დაქვემდებარების პროცესში ჰქონდათ. ციოყის შესვლა რუსეთის ქვეშევრდომობაში თათარყანმა მთელი სვანეთის ღალატად გააფორმა და ამავე დროს შუაკაცებს უგზავნიდა მას, და თუ ამ საქმეზე ხელს არ აიღებდა, განადგურებით ემუქრებოდა. ამის შესახებ ციოყი ბარონ როზენს სწერდა: „შეიყარნენ მეზობელნი და ნათესავნი ჩემი და შეკრიბეს სვანი მთის ხალხნი და გაიფიცნენ ჩემს მტრობაზედ და მრავალი მოციქულნიც მიგზავნეს, რათა არ მივცე თავი ჩემი ხელმწიფესა და ამაზედ ცდილობდნენ დახმარებასა, მაგრამ ვერა დამაკლეს და დაიშალნენ სირცხვილეულნი“ [60,115].

თავის მხრივ, ციოყიც ცდილობდა თათარყანისათვის ჩაეშალა რუსეთის მფარველობა. როცა თათარყანი თავდაპირველად მძევლად გაგზავნილ ჯანსუხს უკან დაბრუნებას და მის ნაცვლად ლევანის გაგზავნას ცდილობდა, ციოყმა როზენს მისწერა რომ: „თათარყანი სხუას მძევალს რომ გაძლევს ის მოახლის ბუშია და არაინ იცის ვისი შვილია და არ მოგატყუოსო და მანდ რომ მისი შვილი არის, იმას ნუ გამოუშვებთო“ [61,116]. ასეთი ხასიათის ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება.

შუღლი და მტრობა მათ შორის შემდეგაც გაგრძელდა. „ორივე მათგანი უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსეთის მთავრობა მათ უფლებებს მთელს სადადიშგელიანო სვანეთზე არ ცნობდა“. ამას ამტკიცებს ციოყის თხოვნა ბარონ როზენისადმი, რომ „რომელ რაითაცა იქნებოდეს სახელმწიფო სამსახური ყოველივე მე მებრძანებოდეს აღსასრულებლად და არა მას (თათარყანს, ა.გ.), რომელმაც შ-დ ჩემასა შემოიტანეს თავი მონებასა ქვეშე მისი იმპერატორობით დიდებულებასა“. ასეთივე მოთხოვნებს აყენებდა თათარყანიც [62,65].

1833 წ. აგვისტოში დიგორხანი დაბრუნდა სვანეთში და დაუყოვნებლივ აცნობა როზენს თათარყანსა და ციოყს შორის მტრული დამოკიდებულების შესახებ. როზენმა სვანეთის მფლობელთა ამბების მოწესრიგება გენ. ვაკულსკის დაავალა და ამ უკანასკნელმაც დაიწყო დამრიგებლური წერილების გაგზავნა, რომლებითაც შერიგებას ურჩევდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შეელოდა [63,127,193].

როგორც „სათხოვარ პუნქტებიდან“ ჩანს, ფარისა და ეცერის მფლობელებს ევალებოდათ ზრუნვა ბალსზემო სვანეთის რუსეთისადმი დაქვემდებარებისათვის. ისინიც რუსეთის წინაშე გავლენის გაძლიერების მიზნით ერთმანეთის გასწრებით ცდილობდნენ ამას, მაგრამ ბალსზემო სვანები არც დადიშგელიანებს და არც რუსეთის თვითმპყრობელობას არ ემორჩილებოდნენ.

(1834 წ. როზენმა სვანეთში საგანგებო კომისია გაგზავნა, რომელსაც საიდუმლოდ უნდა შეეგროვებინა იმპერიის სამხედრო შტაბისათვის საჭირო ცნობები და დიდი ცერემონიალით აღენიშნა სვანეთის სამთავროს დაქვემდებარება. კომისიაში შედიოდნენ თავადი ვამეყ დადიანი, გიორგი აფაქიძე, მღვდელი დავით ქობულაძე და კომისიის ხელმძღვანელი გენერალური შტაბის კაპიტანი თ. შახოვსკი.) ისინი გაემგზავრნენ სოფ. ჯვარიდან ლენქერის გზით და ესტუმრნენ ციოყს. შახოვსკიმ ხალხის დასწრებით, ციოყს და დედამისს გადასცა იმპერატორის ნაბოძები ფორმულიარი და სათანადო საჩუქრები. იგივე განმეორდა ეცერში თათარყანთან. ასე, რომ ორივე მფლობელმა მიიღო სახელისუფლებო ნიშნები და რაიმე უპირატესობა არც ერთ მათგანს არ ენიჭებოდა.

ამის შემდეგ შახოვსკიმ სცადა ბალსზემო სვანეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება, მაგრამ სოფ. ლატალის „დელეგატებმა“ მოლაპარაკებაში დადიშგელიანების მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. შტაბსკაპიტანი ამის შესახებ ბარონ როზენს შემდეგს მოახსენებდა: „პირველი თემი თავისუფალი სვანეთისა – ლატალი, მე არამცთუ არ მღებულობს, არამედ თავის მამულზე გავლის ნებასაც არ მძღვეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ორი კვირით დადიშგელიანების სტუმარი ვიყავი. დელეგატებმა შემომითვალეს ქვემო ანუ სადადიანო სვანეთიდან შეგვიძლია მოლაპარაკების დაწყებაო“ [64,465]; [64,220].

შახოვსკი მიხვდა, რომ აქ საქმის მოგვარება აზნაურების მოსყიდვით ჯობდა. ამის შესახებ იგი წერდა: „ამასობაში მე დავიბარე საპატიო აზნაურები თავისუფალ სვანეთიდან – ვესაუბრე მათ და ვაიძულე, გამოეთქვათ რუსეთის დაქვემდებარების სურვილი და ახლა მთელი თავისუფალი სვანეთი მზადაა დაიფიცოს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე“ [64, 465]; [64, 220], მაგრამ ფაქტობრივად საქმე ასე არ იყო. შახოვსკის სინამდვილეში ბალსზემო სვანეთში გავლის საშუალებაც არ მისცეს და ლენქერიდან უსგვირის გზით გადავიდა ლენჩუმში და იქიდან კი გორდში, სადაც ლევან დადიანი ელოდა. მათი მოპატიჟებით, აქ ჩავიდნენ შმაგი და მურზა

ქურდიანები, სორთმან ჯაფარიძე და ბერი იოსელიანი, რომლებიც დაითანხმეს თბილისში ბარონ როზენთან წასასვლელად. მათ იფარის, მულახის, მესტიის, კალის და უშგულის საზოგადოებათა სახელით უნდა ეთხოვათ ბალსზემო სვანეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება. თბილისში მათ ფიცი დადეს და ერთგულებაზეც ხელი მოაწერეს, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს.

(1834 წლიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთს უკვე განაღებულნი ჰქონდა ქვემო და ბალსქვემო სვანეთის დაქვემდებარება, აქტიურად ამოქმედდა ბალსზემო სვანეთის დასამორჩილებლად. საამისო რუსიფიკატორული გეგმა და მოსაზრებანი იმავე 1834 წ. შეადგინა შახოვსკიმ, რაც შემდეგში მდგომარეობდა.

1. გაძლიერდეს თავად დადიშკელიანთა ძალაუფლება მათ სამფლობელოში ერთი დაკომპლექტებული ასეულის ჩაყენებით, რითაც შეიძლება დაცულ იქნან თავადები ხალხის თვითნებობისაგან... თუ საბატონო ნაწილში თავს მაგრად არ დავიჭერთ, კვლავ მოსალოდნელი იქნება მოხდეს უკმაყოფილობა თავადებსა და მათ ნათესავეს შორის, ისინი მიეცემიან სრულ თვითნებობას, ხოლო ჩვენ კი გვჭირდება აქ წესრიგი და საქმის მოწყობა... ამავდროს საჭირო იქნება თავისუფალი სვანეთის ძალების დაშლა“.

შახოვსკის მოსაზრებათა ამ მუხლში აშკარად ჩანს, რომ თვითმპყრობელურ რუსეთს მიზნის მისაღწევად ყველაზე სანდოდ ადგილობრივი ფეოდალები მიაჩნდა. ის, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა მათ ხალხის ძარცვაში და, მეორეს მხრივ, აქუცმაცებდა ადგილობრივ ძალებს, რათა ადვილად დაეყო და ებატონა სვანეთში. ეს პოლიტიკა კიდევ უფრო ნათლადაა გამოკვეთილი მეორე მუხლში.

2. „თავისუფალი სვანეთის შეიდ საზოგადოებაში აზნაურები და შავი ხალხია. ამ ორ წოდებათა შორის ამჟამად უთანხმოებაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთიანი ძალით გამოდიან საერთო მტრის წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროა თავისუფალი სვანეთის დაქსაქსვა. მისგან ლატალისა და ლენჯერის თემების ჩამოშორება და სადადიანო სვანეთზე მიწერა... თუ დადიანი იმათაც ისე დაიმორჩილებს, როგორც ქვემო სვანეთის-ლენტეხის, ლაშხეთისა და ჩოლურის თემები დაიმორჩილა... ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა, ხოლო თუ დადიანს რაიმე ურჩობას გაუწყვენ, სასტიკად უნდა დაისჯონ იარაღის ძალით, რათა ამ მაგალითით დაშინდნენ თავისუფალი სვანეთის ის თემები, რომელთაც დღემდის შიშის არაფერი არ იციან.“

3. სვანები თავს ქრისტიანებს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში მისი, არა მხოლოდ ხალხმა, არამედ თვით მღვდლებმაც არა იციან რა... ხალხს კი სურს ოდითგანვე არსებული, მაგრამ ამჟამად დაცემული ქრისტიანული რელიგია. საჭიროდ მიმაჩნია, ავიყვანოთ იქაური მღვდლებისაგან რამდენიმე ბავშვი, ვასწავლოთ მათ ღვთის კანონები რუსულ ენაზე და როდესაც ისინი ადგილზე დაბრუნდებიან მამები სიამოვნებით დაუთმოებენ ადგილს.

4. აუცილებელია სვანეთს მივაწოდოთ მარცვლეული...

5. ... თავისუფალ სვანეთში უნდა იქნეს შემოღებული ხალხის თვითმართელობა. სასამართლო უნდა შესდგებოდეს ხალხის მიერ არჩეული გავლენიანი პირებისაგან, მაგრამ განსაზღვრული უნდა იქნეს მათი დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლებასთან, რომ მოეთხოვებოდეს პასუხისმგებლობა მის წინაშე... სასურველია სასამართლოში შემაჯალ პირთა შვილების მძევლად წამოყვანა იმ სახით, თითქოს მათი სწავლა ანუ სამსახურში მიღება გვინდოდეს“ [65, 365-366].

“რუსეთის მოხელეთა სურვილი ასეთი იყო, მაგრამ ბალსზემო სვანეთის თემები სულაც არ ჩქარობდნენ რუსეთის მფარველობაში შესვლას. ისინი ეურჩებოდნენ და მიცემულ დანაპირებსაც არ ასრულებდნენ.”

იმ დროს ცარიზმის მოხელეები მართლაც საჭიროებდნენ დადიშგელიანების დახმარებას, მაგრამ ამას გარკვეულწილად ხელს უშლიდა ციოყსა და თათარყანს შორის არსებული მტრობა. ისინი ცალ-ცალკე ცდილობდნენ ბალსზემო თემებთან შესაბამის მოლაპარაკებას, მაგრამ ამავე დროს ხელს უშლიდნენ ერთმანეთს, რომ რომელიმე მათგანს არ მიეღწია უფრო დიდ წარმატებისათვის. ამის დასტურს ვპოულობთ ციოყის წერილში როზენინსადმი, სადაც ნათქვამია, რომ მან ურჩია თავისუფალ სვანებს „ისე ჰყონ რუსთა ხელმწიფის მორჩილება“, როგორც თვითონ, რომ მან გამოწახა რამდენიმე შემძლენი კაცნი, რომელთაც ჰქონდათ ჩემთან მოყვრობა და მეგობრობა, ისინიც თანახმა არიან... და არცა აქუსთ ღონე რომ არ აღასრულონ... ვინაიდგან... მიჰყრიან მე გზანი და სიმპარენი, საიდამცა უჯაფოდ შემიძლიან რუსეთისა მხედრობისა მიყვანა მათზედ“ [66, 158]. სხვაგან კი ვკითხულობთ: „გაგვზავნე მშობელი ჩემი მათ თავისუფალ სვანეთსა წ-ა დასაფიცებლად ერთგულებასა თქვენსა ზ-ა და დაიფიცა რამდენიმე მრავალნი აზნაურნი და გლეხნი და მცირეოდენმა უარჰყვეს ფიცი, მაგრამ ღვთის მადლითა ვეცდები მათაც შევასმინო რაიმეთმე და გავადგინო თქვენთა უმაღლესის ტახტის მონებასა“ [67, 201].

ციოცი ასეთივე ხასიათის წერილს სწერდა იმერეთის მმართველს გენ. მაიორ ახმეტოვს, სადაც დასძენდა, რომ მან სცადა თათარყანთან ამ საქმის აღსასრულებლად საერთო ენის გამოჩახვა, მაგრამ ამაოდ. მან ნაცვლად ამისა „ჩამიკეტა გზა თავისუფალი სვანეთისაკენ“-ო [67,201].

ციოცი ამავე საკითხზე ლეკან დადიანს სწერდა: „რა პსცნა მან (თათარყანმა, ა.გ.) წასვლისა აზრი ჩემი, ინება თვითონ უწინარეს ჩემისა, თავისა შეილითა და ძმისწულითა და მათთანავე რამოტელსამე მათის ხალხით ზემო სვანეთში რითამცა დააფიცებინოს. უკეთუმცა მსურდა მეცა წასვლა, მაგრამ ყოველი გზა შემიკრა და აღარ გამიშვა“ [68,188-189]. ანალოგიურ წერილებს წერდა თათარყანიც.

ბოლოს, მეფის ხელისუფალნი დარწმუნდნენ, რომ დადიშგელიანების დამოკიდებულება ბალსზემო სვანეთთან მხოლოდ წყლის ამღვრევა იყო, რის გამოც როზენმა საიღუმლოდ განაცხადა, რომ „თავისუფალ სვანეთზე დადიშგელიანების გავლენა სავსებით უნდა აღიკვეთოს“ [69,215-217], მაგრამ ციოცის და თათარყანის შერიგება, ბალსზემო სვანეთთან რუსეთის მიზნების მისაღწევად, მაინც სასურველად ჩათვალეს, რაც 1834 წ. 4 სექტემბერს კიდევაც განახორციელა შახოვსკიმ.

1834 წ. 21 სექტემბერს, ორივე მფლობელმა მადლობის წერილები გაუგზავნა ბარონ როზენს შახოვსკის გამოგზავნისა და მათი შერიგებისათვის [69,215,217].

მაგრამ ყოველივე ეს ფორმალური მხარე იყო. სინამდვილეში კი ციოცისა და თათარყანს შორის წინააღმდეგობა კვლავ გრძელდებოდა. მოქიშპე მთავრებს არც ბალსზემო სვანეთის თემთა დამორჩილებაზე აუღიანათ ხელი. ისე ჩანდა, რომ დადიშგელიანები ამ უკანასკნელთათვის უფრო საშიში იყვნენ, ვიდრე რუსეთის ხელისუფლება. მოძალადე „მფლობელთა“ თავდასხმის შიშიც განაპირობებდა იმას, რომ 1839 წ. ბალსზემო სვანეთმა აზნაურ დევდარიანის ხელმძღვანელობით, გაგზავნა დელეგაცია იმერეთის მმართველ გენ. ესპეხოსთან, რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების სათხოვნელად. წყაროები არ მიუთითებენ, თუ რა პასუხი მიიღეს დელეგატებმა 1839 წელს, მაგრამ როგორც პროფ. შ. ჩხეტიია აღნიშნავს, თავისუფალი სვანეთი ამ წელს ცალკე საბოქაულოს სახით იმერეთის ოლქს შემოუერთეს [70,61], რაც 1840 წ. კიდევ უფრო განმტკიცდა ბალსზემო სვანეთისადმი სათანადო სიგელების და საჩუქრების გაცემით, ხოლო სვანების მიერ ფიცის მიცემითა და მძევლის დატოვებით. მაგრამ ვერც ამან გააძარტლა. რუსეთი ამ დროს, შამილის მეთაურობით მაჰმადიან მთიელ-

თა მიერ მოპოვებული წარმატებების წყალობით, სვანეთში ფრთხილი პოლიტიკით მოქმედებდა და მათზე თავისუფალ რეაგირებას ვერ ახდენდა. როგორც გენშტაბის III განყოფილების 1848 წლის მოხსენებიდან ირკვევა, სვანებმა 1840 წ. დატოვებული მძევალი დროებით გამოითხოვეს და მერე უკან აღარ დააბრუნეს [71,743], რაც დაქვემდებარებაზე ხელის აღების ნიშანი იყო.

ამრიგად, 1830-1840 წწ. რუსეთმა დაიქვემდებარა სვანეთის სამთავროს ორივე ნაწილი და გარკვეული ურთიერთობა დაამყარა ბალსზემო სვანებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნა, რომ XIX ს. 40-იან წლებიდან რუსეთ-სვანეთის ურთიერთობაში იწყება ახალი, უფრო აქტიური მოქმედების პერიოდი [59,292]. მაგრამ მთელ რიგ ნაშრომებში მისი გამომწვევი მიზეზები ძალზე ზოგადად, ან სრულებით არ არის ახსნილი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის 40-იან წლებში გააქტიურება დაკავშირებული იყო ამ პერიოდში გართულებულ დიდ საერთაშორისო ამბებთან.

რუსეთს, რომელმაც კავკასიაში XIX ს. პირველი ორმოცი წელი ბრძოლაში გაატარა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია, შემდეგში საგარეო ურთიერთობა გაურთულდა.

„შეავიწროვა რა რუსეთის უფლებები ბალკანეთში, ინგლისის მთავრობა დარტყმებს აყენებდა მას კავკასიის პლაცდარმაზე“ [72,166], სადაც მისი უხეში კოლონიური პოლიტიკის წყალობით, მთელი კავკასიის მთიელები ფეხზე დადგნენ. რუსეთის მდგომარეობა აქ განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც „მიურიდიზმის“ სამოსელში გაერთიანდნენ დაღესტნისა და სხვა ჩრდ. კავკასიის ტომები და მათ სათავეში მოექცა შამილი. 1840-1847 წწ. წარმატებულ ბრძოლებში დაამარცხეს რუსეთის დამპყრობელი ძალები ჩრდ. კავკასიის ხალხებმა, რომელთაც ეხმარებოდნენ ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთის სახელმწიფოები და რამაც საფიქრებელში ჩააგდო რუსეთი. ამ უკანასკნელის პოზიციები არ იყო მტკიცე, არც ჩრდილოეთით და არც დასავლეთ კავკასიის მთიანეთში. გავიხსენოთ 1840-41 წლების წებელდისა და 1841 წ. გურიის აჯანყებანი და სხვ.

ასეთი ვითარება აიძულებდა რუსეთს დროზე დაემთავრებინა დასავლეთ საქართველოს მთიანეთის შეერთება, რომ მთელი ძალები გადმოესროლა მის აღმოსავლეთ ნაწილში, რომლის განხორციელებაში სვანეთის შემოერთების დროზე მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სვა-

ნეთის ხელში ჩაგდებით ისპობოდა მათ წინააღმდეგ შეთქმულებისა და თავდასხმის „შესაძლო საბუდარე“)

1842 წ. ბალსზემო სვანეთში გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია, იმერეთის სამხედრო ნაწილების მეთაურის პოლკოვნიკ ბრუსილოვის ხელმძღვანელობით, მაგრამ ბრუსილოვისადმი ბალსზემო სვანთა მიერ წაყენებული მოთხოვნები რუსეთის პოლიტიკისთვის მიუღებელი იყო და საქმე უშედეგოდ დამთავრდა.

მოკლე დროში, კავკასიის მმართველ გენერალ ე.ა. გოლოვინს ეახლნენ ბალსზემო სვანეთის დელეგატები, რომელთაც აუხსნეს ბრუსილოვის სვანეთში არ მიღების მიზეზები და სთხოვეს, რომ გამოეგზავნათ მოსალაპარაკებლად ქუთაისის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ბიკოვი, მაგრამ სანამ ეს საქმე მოგვარდებოდა, ბალსჯევმო სვანეთში კვლავ დატრიალდა ტრაგედია და რუს მოხელეთა ყურადღებაც იქითკენ იქნა მიქცეული.

საქმე იმაში იყო, რომ 1840 წ. აჯანყებამ იფეთქა წებელდასა და დალის რაიონში. გოლოვინის მითითებით, ციოყსა და თათარყანს უბრძანეს საკუთარი ძალებით გამოსულიყვნენ აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობის მისაღებად [73,13], თათარყანმა „რალაც მიზეზის გამო უარი თქვა“, ხოლო ციოყმა შეასრულა ბრძანება და თავისი რაზმით მონაწილეობა მიიღო. 1841 წ. უბიხებისა და შაფსულების (ჩერქეზების) გამოსვლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც თათარყანმა „თავი დაიძვრინა“, ხოლო ციოყმა 40-კაციანი რაზმით კვლავ მიიღო მონაწილეობა [76,54] და თვითონაც დაიღუპა. მას დარჩა ხუთი ვაჟი: კონსტანტინე, ალექსანდრე, ისლამი, თენგიზი და ციოყი და ერთი ქალიშვილი. თათარყანმა განიზრახა, ესარგებლა ციოყის უბედურებით, ხელთ ეგდო იმის სამფლობელო და მიეღწია მთელ სვანეთში გაბატონებისათვის. მან გოლოვინს, ცბიერებით, ციოყის ცოლშვილზე მეურვეობაც სთხოვა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო [73,13].

1843 წ. ჩუბეხეში შავი ჭირი (ეპიდემია) გაჩენილა და დიგორხანს ციოყის ბავშვები, გარდა ქალიშვილისა, სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე მდებარე სოფ. ხუდონში გაუგზავნია. თათარყანს, რომელსაც ციოყის მთელი ოჯახის ამოხოცვა განუზრახავს, არ სცოდნია, რომ ბავშვები ბებიას ხუდონში ჰყავდა გახიზნული და სრულიად მოულოდნელად, 1843 წ. ივლისის ერთ ღამეს, თავისი შვილების ჯანსუხის (ჯანსოყის), ისლამისა და სათანადო რაზმის თანხლებით, თავს დაესხა ციოყის სარეზიდენციო სახლს, დაარბია იგი, მოუკლა 17 მცველი, ცეცხლს მისცა კოშკი, რომელშიც იმალებოდა დიგორხანი და ციოყის ქალიშვილი, საიდანაც გადმოხტომის შე-

დეგად დაიღუპა დიგორხანი, ხოლო ორივე ფეხი მოიტეხა ციოყის ქალიშვილმა. შემდეგ წაიყვანა მძევლები, მათ შორის ციოყის ქალიშვილი და დაბრუნდა ეცერში [76,13]. მთელ სასახლიდან გადარჩა მხოლოდ მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე [77,368-369]. თათარყანმა თავისი შვილები დატოვა ციოყის სამფლობელოში, რომელთაც გაუნადგურებიათ მეფის რუსეთის მიერ ციოყისადმი მიცემული სამფლობელო სიგელი და დაუწყიათ აღვირახსნილი საქმიანობა [78,203]. მთხრობელთა მტკიცებით, მთელ ჩუბეხევის სოფლებიდან ბავშვებს იტაცებდნენ და ყიდდნენ ყარაჩაი-ბალყარეთში [79,203].

კონსტანტინე, რომელმაც შეიტყო თათარყანის ბოროტმოქმედება, ხულონიდან ჯერ ზუგდიდში ჩავიდა და შემდეგ კი თბილისში, სადაც ის აღიარეს ციოყის მემკვიდრედ, მაგრამ კონსტანტინეს მთავარი თხოვნა-დახმარებოდნენ მამულის დაბრუნებაში და თათარყანი დაესაჯათ, რუსეთის მოხელეებმა არ შეასრულეს და მას მხოლოდ ფულადი დახმარება გაუწიეს.

1844 წ. ივნისში, რაიმე დახმარებას მოკლებული კონსტანტინე დაბრუნდა სვანეთში, სადაც ჯანსუხისა და ისლამის ბოროტმოქმედებით („ტყვევთა სყიდვით“) განაწამებ ჩუბეხეველთა დახმარებით შეძლო მამულის დაბრუნება. მისი ძმა ალექსანდრე პეტერბურგში წაიყვანეს და იქ სათავადაზნაურო პოლკში ჩარიცხეს. გარდა ამისა, რუსეთის მხრიდან ამ ტრაგედიას სხვა ხასიათის რეაგირება არ მოჰყოლია.

1845 წ. ივლისში მეფისნაცვალმა ვორონცოვმა სვანეთში მიავლინა მღვდელი ქუთათელაძე (მწიგნობარი ადამიანი ა.გ.), რომელმაც იქ ერთი თვე დაჰყო და დაითანხმა თათარყანი, რომ კონსტანტინეს აღარ შეევიწროვებდა, ხოლო ნიშნად რუსული ხელისუფლების ერთგულებისა, ვორონცოვთან გაგზავნა თავისი უფროსი ვაჟი ჯანსუხი [80,42]. ეს დაპირება გააცნეს კონსტანტინესაც და მასაც იგივე მოსთხოვეს, მაგრამ ქედმაღალ თავადებს ასეთი შერიგება არ აკმაყოფილებდათ.

1846 წ. მარტში კონსტანტინე კვლავ აგზავნის საჩივარს ვორონცოვთან თათარყანის მხრიდან შევიწროების თაობაზე და ითხოვს საქმის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით სვანეთში გავლენიანი კაცის გამოგზავნას.

1846 წ. სექტემბერში სვანეთში გაგზავნილი იქნა ვორონცოვის ადიუტანტი ლობანოვ-როსტოვსკი, რომელსაც დაეაღებული ჰქონდა სვანეთის ყოველმხრივი აღწერა სრულიად საიდუმლოდ [81,12] და მასთან ერთად „სვანეთის მფლობელების“ შერიგების მოგვარება.

ლობანოვ-როსტოვსკის მიერ მაშინ დაწერილი მოხსენება სვანეთის შე-

სახებ, რომელიც მან 1846 წ. 13 ნოემბერს წარუდგინა ვორონცოვს, ერთ-ერთი თვალსაჩინო საბუთია იმისა, თუ რა მისიით იგზავნებოდნენ მაშინ ცარიზმის მოხელეები სვანეთში და რა წარმოადგენდა მათ საბოლოო მიზანს. ლობანოვ-როსტოვსკი სვანეთში თავს ისე აფორმებდა თითქოს მისი დავალება იყოს მშვიდობიანობის დამყარება და სხვა არაფერი, სინამდვილეში კი მთელი მონღოლებით გეგმავდა, თუ რა ხერხებით და რა გზით შეიძლებოდა სვანეთის მორჩილებაში მოყვანა. მან აღწერა გზები, რომლებითაც რუსეთის ძალებს შეეძლოთ სვანეთის დაპყრობა, აღწერა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი და თითქმის შეეხო სვანეთს მთლიანობაში. ამ „გავლენიანმა“ პიროვნებამ კონსტანტინესა და თათარყანს ჩამოართვა პირობის წერილები ერთმანეთში მტრობის შეწყვეტის შესახებ [82,1-25]. იყო ასეთი შეთანხმებაც, რომ სვანეთში გამოეგზავნათ მედიატორ-მოსამართლე, რომელსაც მთავრები გაუამხანაგებდნენ თავიანთ რჩეულ კაცებს და გადაწყვეტდნენ სადავო საკითხებს. ირკვევა, რომ ამ საკითხის სისრულეში მოყვანა დაეკალა ქუთაისის გუბერნატორს, რომელმაც თავის მხრივ დაავალა სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს [83,1].

საარქივო წყაროებიდან ირკვევა, რომ შემრიგებელ მოსამართლედ კონსტანტინე დადიშგელიანს დაუსახელებია სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მდივანბეგი პეტრე დადიანი, მაგრამ ამ უკანასკნელს ასეთი პასუხი გაუცია: „ესე ჩემგან შეუძლებელია და რაც არ უნდა რისხვა მომაგოთ, ვერ შემძლებელ ვარ თავს ვიდვა მათი, ორი დადგეშქელიანთ საქმეში გარევა“ [84,5]. ამის შემდეგ რუსეთის მხრიდან კონსტანტინესა და თათარყანის შესარიგებლად ყურადღება მოდუნდა. თუმცა მთავრობისაგან შერიგების მოლოდინში მთავრებს შორის დროებით შეწყდა მკვლევობა და მშვიდობიანობა შეიქმნა [85,3], მაგრამ ბოროტმოქმედება მაინც არ შეწყვეტილა [86,7-8].

1850 წ. თათარყანი გარდაიცვალა [87]. მას ჰყავდა სამი ვაჟი: ოთარი, ჯანსუხი და მოსოსტრი. თვითმხილველ ლობანოვ-როსტოვსკისა [88,14] და სხვა საარქივო წყაროებიდან ჩანს, რომ თათარყანს 1846 წლამდე თავისი სამფლობელო შეიღებს შორის გაუნაწილებია, სხვანაირად ლობანოვ-როსტოვსკის არ შეეძლო ამის ჩვენება თავის მოხსენებაში, რადგან მოხსენება დაწერილია 1846 წ. ნოემბრის თვეში.

თათარყანის შემკვიდრე გახდა ჯანსუხი, რომელსაც ერგო ეცერის მამული, ზოლო უფროს შვილს ოთარს — ბეჩო, ლეჩყანი კი შუაზე გაიყვეს რაც შეეხება მოსოსტრის, ის თათარყანის ბრალით რაიმე წილის მიღების

გარეშე დარჩა, რაც შემდეგმა მიზეზმა გამოიწვია. თათარყანს განზრახული ჰქონდა ციოყისათვის წაერთმია სამფლობელო და ის მოსოსტრისათვის წილად გაეცა [88,14]. მაგრამ ეს, როგორც ენახეთ, ვერ მოხერხდა, ხოლო მოსოსტრი 1846 წ., როგორც სამხედრო პიროვნება ქუთაისში გამოიძახეს, სადაც აუად გახდა და გარდაიცვალა [89,19]; [89,20,92].

1849 წ. ჯანსუხსა და ოთარს შორის საბოლოოდ მოხდა თათარყანის მამულის გაყოფა, მაგრამ რაიმე ცვლილებები არ მომხდარა. ძველი საზღვრები ძალაში დარჩა.

ამრიგად, XIX ს. 40-იან წლების ბოლოს თათარყანისეული ეცერის სამფლობელო ორ ნაწილად გაიყო. ეცერის ნაწილს დაეუფლა ჯანსუხი, ხოლო ბეჩოს-ოთარი. ე.ი. ამიერიდან სვანეთის სამთავრო ანუ ფეოდალური სახლი სამ: ფარის, ეცერის და ბეჩოს სამფლობელო ნაწილად იყო გაყოფილი.

(თათარყანის გარდაცვალების შემდეგ, სვანური ტრადიციის მიხედვით, კონსტანტინესთან ურთიერთობის მოთავედ, როგორც უფროსი, ოთარი გამოდიოდა.)

1850 წ. ოთარი ჩავიდა თბილისში, სადაც პირადად მიიღო ვორონცოვმა [90,1], [91,13]. აქ ვორონცოვისათვის მოუხსენებია, რომ მას სურს შეურიგდეს კონსტანტინეს, მაგრამ კონსტანტინე თხოულობს მისგან ოცდაცხრა კაცის სულს იმ პირობით, რომ მათზე ჰქონდეს სასიკვდილო უფლება, რის გამოც შერიგების საქმე შეჩერებულა [92,4]. ოთარი ჯერ კიდევ სვანეთში არ იყო დაბრუნებული, რომ კონსტანტინემ მიიღო კავკასიის სამოქალაქო საქმეთა განმგებლის ვ. ბებუთოვის წერილი, რომელშიც ვორონცოვის დავალების თანახმად, მოსთხოვა: „საკმარისად ჩაეთვალა ამ შემთხვევაში ხსენებულ 29 კაცის საუფლებოდ გადაცემა მათ სიცოცხლეზე ხელშეუხებლად“ [93,1]; [94,4].

ვორონცოვისადმი 1850 წ. 10 მაისის თარიღით დაბრუნებულ საპასუხო წერილში, კონსტანტინე ყველაფერში ბრალს ჯანსუხსა და ოთარს სდებდა, რომ მას ამ უკანასკნელთაგან დღესაც არა აქვს მიღებული 1843 წ. მიყენებული ზარალისა და წართმეული 16 ათასი ვერცხლის მანეთის ქონების სამაგიერო [95,7-8].

ამავე წლის 8 აგვისტოს, ბებუთოვისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში კონსტანტინე არ უარყოფს მოწინააღმდეგეებისაგან 29 კაცის მოთხოვნის ფაქტს, ოღონდ თავს იმით იმართლებდა რომ „სასიკვდილოდ არ მომითხოვიან“ [95,12].

1850 წ. 6 დეკემბერს ბებუთოვმა სათითაოდ გაუგზავნა წერილი კონსტანტინესა და ოთარს და კვლავ ურჩია შერიგება [95,13-14].

1851 წელს, სვანური ადათ-წესების საფუძველზე, მოხდა ჯანსუხ-ოთარსა და კონსტანტინეს შორის შერიგება. ეგ. გაბლიანის ცნობით, ოთარმა და ჯანსუხმა „მურზაყანა“ (კონსტანტინეს, ა.გ.) და მის ძმებს დიგორხანის სისხლში, დის დატყვევებაში და სხვა ზარალში გადაიხადეს 24 ყმა და სხვა აუარებელი ქონება [8,123]. ჩვენის აზრით, ეს ცნობა დაზუსტებას საჭიროებს. ჯერ ერთი, კონსტანტინეს და, როგორც აღნიშნული გვქონდა, თათარყანისა და მისი შვილების ბრალით გარდაიცვალა. ამას ამტკიცებს კონსტანტინეს წერილი 1850 წ. 16 ივლისს ევრონცივისადმი, სადაც კონსტანტინეს წერს რომ ნიკოლოზმა (თათარყანმა, ა.გ.) თავდასხმის დროს... „УБИЛ РОДНУЮ СЕСТРУ МОЮ“—, მართალია, და იმ დამესვე არ მომკვდარა, მაგრამ ეცერში ტყვეობაში უნდა გარდაცვლილიყო, რადგან 1850 წ. ის ცოცხალი აღარ არის. მეორეც, აქედან გამომდინარე სისხლის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო, როგორც დიგორხანზე, ისე კონსტანტინეს დაზეც. გარდა ამისა, ყმათა რაოდენობაც საარქივო ცნობებში ყველგან 29 სულია და არა — 24 [95,4,12]. რაც შეეხება „აუარებელ ქონებას“, იგი უდრიდა 16 ათას მანეთს ვერცხლის ფულით [95,7,8].

ეტყობა, რომ ვიდრე კონსტანტინესთან შერიგება მოგვარდებოდა, ჯანსუხი და ისლამი ერთმანეთში არსებულ წინააღმდეგობებს მალავდნენ. სინამდვილეში მათ შორის მტრული ურთიერთობა მას შემდეგ არსებობდა, რაც თათარყანმა მემკვიდრედ ჯანსუხი აირჩია. ეს კარგად შეუმჩნევია ლობანოვ-როსტოვსკის, რომელიც წერდა: „ძმები (ჯანსუხი და ოთარი, ა.გ.) ვერ იტანდნენ ერთმანეთს და მათ შორის სისხლის ღვრის დასაწყისად მამამათის გარდაცვალების დღე იქცა“ [96,18]. მართლაც, ჯანსუხს ბეროს მამულის ხელში ჩაგდება განუზრახავს, რაც ჩანს 1851 წელსვე ოთარის მიერ ევრონცივისადმი პეტერბურგში წასვლის ნებართვის თხოვნასა და 1852 წ. პეტერბურგში ნიკოლოზ პირველთან მამისეული სამფლობელოს მასზე დამტკიცების თხოვნიდან [97,1].

ასეთი იყო დამოკიდებულება ფარის, ეცერისა და ბეროს მთავრებს შორის, როცა რუსეთი ჩაება ყირიმის ომში. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა გავეცნოთ რუსეთის დამოკიდებულებას ბალსზემო სვანეთთან 1842 წლიდან.

რუსეთის მზაკვარმა მოხელეებმა, 1843 წ. კონსტანტინეს სასახლეზე თავდასხმა ნაწილობრივ ბალსზემო სვანეთის მოსახლეობას გადააბრალეს, თითქოს მათ მონაწილეობა მიეღოთ, ჯერ კონსტანტინეს სასახლის აოხ-

რებაში, შემდეგ დაეწყოთ თავდასხმა სამეგრელოზე და დამუქრებოდნენ რაჭის მაზრას [98,12-15]. რა თქმა უნდა, რომ ბალსზემო სვანებს კონსტანტინეს სასახლეზე თავდასხმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. რაც შეეხება სამეგრელოს სამთავროზე თავდასხმას, როგორც ეს 1846 წ. სოფ. ფარის მცხოვრებლების მიერ დავით დადიანისადმი გაგზავნილ ხელწერილიდან ჩანს, ადგილი უნდა ჰქონოდა. ამ წერილში ისინი პირობას დებენ დავით დადიანის წინაშე, რომ „ამიერიდგან არავითარი მტრობა და უწესო საქმე თქვენს სამფლობელოში აღარ მოვახდინოთ, არც მოხტომით და არც მტრობით, არც მტაცებლობით და ქურდობით“ [99, №7410]. მაგრამ ყოველივე ამას რუსეთისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მთავარი კი ის იყო, რომ მას ბალსზემო სვანეთი გამოეყვანა დამნაშავედ და ძალის პოზიციებიდან თავს მოეხვია მისთვის სასურველი მმართველობა.

(1843 წ. ნეიტგარტმა ბალსზემო სვანეთში მიაღწინა რაჭის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი წერეთელი [100,1], რომელსაც ევალებოდა ხალხის განწყობის შესწავლა და სასურველ შემთხვევაში რუსეთის ერთგულებაზე ფიცის დადებინება. წერეთელმა შეძლო გამოენახა საერთო ენა. მან მოსახლეობისაგან ფიცი მიიღო და თან წაიყვანა 12 მძევალი და 60 წარმომადგენელი. პირველნი მან მიაბარა რაჭის მაზრის მმართველობას [100,1], ხოლო მეორენი ჩაიყვანა თბილისში, სადაც იმყოფებოდნენ გარკვეულ ხანს და შემდეგ დააბრუნეს სვანეთში [101,87]. 12 მძველიდან კი ნაწილი შემდეგ გაიქცა, ხოლო ნაწილი გაუშვეს სახლებში [102,5-7]. 1847 წ. ივნისში ვორონცოვის ბრძანებით, სვანეთში გაიგზავნა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის პოლკოვნიკ ნ. კოლუბაკინის სპეც. ექსპედიცია. კოლუბაკინს მოუხსენებია ბალსზემო სვანეთის წარმომადგენლებისათვის, რომ რუსეთის მთავრობას სურს შეიერთოს თავისუფალი სვანეთი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამაში ხელავენ მოგებას. ხალხის წარმომადგენლებმა მოთათბირების შემდეგ თანხმობა გამოუცხადეს. უფრო ზუსტად, გარდა მესტიის, ლენჯერის და ლატალის თემებისა, ყველა დანარჩენმა თემმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. არც მესტიის თემს დაუყოვნებია ქვეშევრდომობის მიღება, რომელიც უწინ კოლუბაკინს თოფის სროლითაც კი შეხვდა.

მეფისნაცვლის განკარგულებით დაწესდა შეღავათები ახლად ქვეშევრდომობაში მიღებულ სოფლებისათვის და უშგულის, კალის, წვირმის, იელის, მუჟალის საზოგადოებებისაგან ჩამოყალიბდა „მულახ-იფარის“ საბოქაულო, რომელიც უშუალოდ რაჭის მაზრას დაექვემდებარა. აღნიშნულ საბოქაულოს ხელმძღვანელად დაინიშნა თავადი პარუჩიკი ალექსანდრე მი-

ქელაძე, რომელსაც დამხმარედ დაუნიშნეს ორ-ორი პირი (старшина) თითოეულ სოფლიდან [103,247], ასევე, თარჯიმანი, მწერალმდივანი და ორი დამტარებელი, რომელთა წლიური ხელფასი იქნებოდა 1260 მანეთი. 1847 წ. სექტემბერში მესტიის თემიც რაჭის მაზრას მიაწერეს.

მულახ-იფარის ე.წ. მცირე საბოქაულოს შექმნას დიდი მოწონებით შეხვდა მეფის ხელისუფლება. სათანადო განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერდა ვორონცოვი, ნათქვამი იყო, რომ ყველას, ვინც ემზობლება თავისუფალ სვანებს, ეს უკანასკნელნი უნდა ჩაეთვალა, როგორც დიდი რუსეთის ქვეშევრდომნი და საჭირო შემთხვევაში აღმოეჩინა მათთვის ყოველნაირი დახმარება [104,18].

საბოქაულოს დაარსებისთანავე, ბალსზემო სვანებმა ხელათ იგრძნეს ცარიზმის მოხელეთა სუსხი, რომ რუსეთს სხვადასხვა დაპირებებით სურს მათი მორჩილებაში მოყვანა და არაფრად აგდებდნენ საბოქაულოს წესრიგს. რის გამოც ბოქაული სვანებს უჩიოდა, სვანები კი ბოქაულს. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ 1849 წელს ვორონცოვის ბრძანებით საბოქაულო გაუქმდა [105,942].

საბოქაულოს გაუქმების მიზეზად დასახელებული იყო ბალსზემო სვანთა „ურჩობა“ და „ველურობა“.

სინამდვილეში საბოქაულოს გაუქმება განაპირობა, როგორც ბალსზემო სვანთა დაუმორჩილებლობამ, ისე რუსეთის ხელმომჭირნე ეკონომიკურმა პოლიტიკამ. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სვანეთის საბოქაულოს შენახვა რუსეთს ყოველწლიურად უჯდებოდა 1260 მანეთი, რომელიც მეტს ნიშნავდა რუს მოხელეთათვის ვიდრე თავისუფალი სვანეთის ფორმალურ საბოქაულოს არსებობა. ამასთან ერთად, უნდა დასახელდეს სხვა მიზეზიც, რომელიც რატომღაც სამეცნიერო ლიტერატურაში არ ფიგურირებს. ეს იყო რუსეთის მხრიდან ე.წ. თავისუფალი სვანების მოქცევა ეკონომიკურ იზოლაციაში. კერძოდ, იმჟამად ჩრდ. კავკასიაში გართულებული მდგომარეობის გამო რუსეთმა შეზღუდა ბალსზემო სვანთა ეკონომიკური კავშირუროთიერთობა მათთან. რაც სვანეთისათვის ყოველად მიუღებელი შეიქმნა [59,300-301].

პროფ. გ. გასვიანი სრულიად მართებულად შენიშნავს რუსეთის მოხელეთა კიდევ უფრო დიდ დანაშაულზე, რომელთაც „მულახ-იფარის“ საბოქაულოს გაუქმებისთანავე – განკარგულება გასცეს „ურჩი სვანებისათვის“ საქართველოს ბართან ურთიერთობის აკრძალვაზე [59,300]. ჩრდ. კავკასიასთან და მშობლიურ საქართველოს ბარის რაიონებთან ურთიერთობის

აკრძალვით სვანეთში შიმშილიანობა ჩამოვარდა. ახლა ეს მდგომარეობა გამოიყენეს რუსეთის მოხელეებმა და ბალსზემო სვანეთის დასაქვემდებარებლად გაიხსენეს ისევ რაჭის მაზრის უფროსი თავადი გ. წერეთელი, რომელსაც 1852 წ. უშგულის საზოგადოებაში გაუგზავნია მოციქულად სოფ. ღების მღვდელი სპილინდო გვააშელიშვილი და ერთი რაჭველი ვილაც აზნაური გრიგოლი. „გ. წერეთელს, – გადმოგვცემს ბ. ნიჟარაძე, – ეთხოვნა მღ. გვააშელიშვილისათვის, რომ მას რამდენიმე უშგულელი მიეყვანა მასთან რაჭას, ვითომ რუსეთის ქვეშევრდომობის სათხოვნელად“ [106,202-203]. ბალსზემო სვანეთის სოფ. უშგულში მღვდელს თავისი მიზანი გაუმხელია და სოფლელებს იგი დაუკავებიან, მაგრამ მერე მანაც მოუხერხებია სხვა საზოგადოებების მონახულებაც, რის შედეგადაც, მართლაც მოისყიდა აზნაურები: დადაში ქურდიანი, გელა იოსელიანი, სიმონ დევდარიანი, სორთმან ქურდიანი, ყასბულათ შერვაშიძე, ნოშრევან ყიფიანი და სხვ. და წაუყვანია რაჭაში გ. წერეთელთან. ამ უკანასკნელს უშვილებია ისინი და როგორც სვანეთის ოფიციალური დელეგაციის წარმომდგენლები, ქუთაისში ჩაუყვანია გუბერნატორთან, რომელსაც დაუთანხმებია ვორონცოვთან წასვლაზე. ვორონცოვს სვანები მოუნათლავს, უხვად დაუსაჩუქრებია და დიდი დაპირებებით გაუსტუმრებია.

1853 წ. ივლისში, მაშინ, როცა რუსეთის საგარეო მდგომარეობა „აღმოსავლეთის საკითხის“ გამო, გართულებული იყო და ბალსზემო სვანეთის თავის გაკლენის გარეშე დატოვება საშიშად მიაჩნდათ, ვორონცოვმა სვანეთში გაგზავნა დიდი ამალა, ცნობილი არქეოლოგისა და ნუმისმატიკის პოლკოვნიკ ი.ა. ბარტლომეის ხელმძღვანელობით, რომელსაც თან ახლდა ყოფილი ბოქაული ამიქელაძე. 26 ივლისს ისინი ჩავიდნენ ჩოლურში, საიდანაც ზემო სვანეთში შეატყობინეს მათი ჩამოსვლის მიზანი. „თავისუფალი სვანების ნებართვით“ ბარტლომეიმ გაიარა ლატფარის უღელტეხილი და ჩავიდა სოფ. კალაში, საიდანაც ვორონცოვის მიერ მონათლული პირების თანხლებით, ჩავიდა იფარში, შემდეგ წვირმში, საიდანაც მოციქულები გაუგზავნა ლატალის საზოგადოებას თხოვნით – შეეშვათ იგი ეკლესიის დასათვალიერებლად. ლატალის საზოგადოება მას დაეთანხმა. მოხარული ბარტლომეი მივიდა ლატალში, სადაც მას „მახვში“ აბი ფარჯიანისა და ჩარკვიანების თაოსნობით 600 კაცი დახვდა.

ბარტლომეის მოსვლის მიზანი ლატალელებს არ გამოჰპარვიათ. მათ საპასუხო სიტყვისათვის აბი ფარჯიანი მოუმზადებიათ, რომელსაც უთქვამს: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ლატალის ხალხი ვერავის ვერ

დაუმორჩილებია. ტყუილად ცდილობდნენ ჩვენი მეზობლები ხერხითა და ეშმაკობით ჩვენს დაპყრობას. მტარვალთა მოძალადეობას ყოველთვის იარაღით ვუპასუხებდით, ხოლო მათ ხრიკებსა და ეშმაკობას დიდი ჯიუტობითა და სიმკაცრით. ბევრი სისხლია დაღვრილი ამ ბრძოლაში ჩვენი მამა-პაპების მიერ და ამიტომაც ლატალის ხალხმა დღემდე შეძლო ასე ბრწყინვალედ თავისი წინაპრების მიერ ნაანდერძევი თავისუფლება და დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნება. ამჟამად ჩვენი საკუთარი სურვილით და ნებით, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი გავლენის გარეშე, ჩვენ გვსურს რუსეთის სახელმწიფოს შევეუერთდეთ, მის მთავრობას დავემორჩილოთ და მთავრობის მიერ გამოგზავნილი პირები მივიღოთ. ლატალელები თქვენი მადლობელი ვართ იმისათვის, რომ ჩვენთან ერთადერთი მოხვედით. რადგან ახლა ვერავინ ვერ იტყვის და გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ ძალით დაპყრობილი ვიყოთ და ყველას ეცოდინებათ რომ ჩვენი საკუთარი სურვილითა და ნებით განვაცხადეთ მთავრობისადმი მორჩილება და არა იძულებით“ [8, 42]. როგორც ჩანს, ლატალის „ურჩმა“ საზოგადოებამ რუსეთის ქვეშევრდომობა თავისი „სურვილით“ მიიღო. მეორე დღეს მათ დაიფიცეს რუსეთის ერთგულებაზე. 10 აგვისტოს იგივე ფორმებში დაიფიცა ლენჯერის საზოგადოებამაც.

ამის შემდეგ ბარტლომეიმ შემოიარა ბალსზემო სვანეთის სხვა სოფლები და დაბრუნდა ქუთაისში.

ეს ამბავი ქუთაისის გუბერნატორმა სასწრაფოდ აცნობა კავკასიის მმართველს, ხოლო ამ უკანასკნელმა – იმპერატორს [107,151].

ბალსზემო სვანეთი რუსეთთან შეერთებულად ჩაითვალა. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც ახსოვდა „თავისუფალ სვანეთის ხშირი თანხმობა და მერე განდგომა“, საბოლოო ნდობით აღარ აღჭურვილა. მათ სვანეთის მეთვალყურეობა აღ. მიქელაძეს დააკისრეს და მისცეს სპეციალური დავალება, კერძოდ, სვანებისათვის საჭირო დახმარება საქართველოს ბარის რაიონებთან კავშირ-ურთიერთობისას; მოხერხებული და ტაქტიანი მიდგომა ქრისტიანობის გავრცელებისათვის; მოწინააღმდეგე მხარეთა შერიგებისათვის ზრუნვა. შემოეღო სპეცუურნალი და ეწარმოებინა აღრიცხვა სვანეთის ამბების მოსავარებლად და წარედგინა იგი რეაგირებისათვის ქუთაისის გუბერნატორთან. გაეგზავნა პირები სამღვდელო სასწავლებლებში: შეეკეთებინა გზები, რათა საჭიროების შემთხვევაში საშუალება ყოფილიყო ჯარების სწრაფი მოძრაობისათვის. თვით მიქელაძეს ზაფხულში უნდა ეცხოვრა სვანეთში ხოლო დანარჩენ დროს იმერეთში. იმე-

რეთ-სვანეთს შორის სამოძრაო ხარჯებისათვის მისთვის უნდა მიეცათ 100 მანეთი, ხოლო სვანეთიდან ქუთაისში საჭირო საქმეებზე ჩამომსვლელ სვანებისა და თვით სვან გავლენიან პირთა მოსამზრობად კი 300 მანეთი.

ცარიზმის მოხელეებმა ჩათვალეს რომ თავდაპირველად ბალსზემო სვანეთში უნდა დაარსებულყო ფორმალური საბოქაულო, რომლის დროსაც საშუალება მიეცემოდათ შეეჩვიათ სვანები რუსულ კანონმდებლობისათვის და ამავე დროს უზრუნველყოთ სვანთა დამოკიდებულების მოსპობა რუსეთის მტრებთან, რაც დასტურს პოულობს ა. გაგარინის შემდეგ სიტყვებში: „თუ რუსეთი სვანეთს არ მოექცევა კეთილსინდისიერად, მაშინ ისინი ჩაბარდებიან ჩვენ მტრებს“-ო [108,941].

: 1854 წ. თებერვალში ვორონცოვი შეცვალა ჯერ გენერალმა რეადიმ, ხოლო შემდეგ მურავიოვმა, რომელმაც მხარი დაუჭირეს ბალსზემო სვანეთში ფორმალურ საბოქაულოს დაარსებას [103,1]. ყოველმხრივ ჩანდა, რომ რუსეთი ბალსზემო სვანეთში ეძებდა იმ „გარდამავალ პერიოდს“, როდესაც იქაური მცხოვრებლები შეერვეოდნენ ახალი მმართველობის რეჟიმს.)

რეალური საბოქაულოს დაარსება ისევ რუსეთის ხარჯების მომჭირნეობამ შეაფერხა. ვერც ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც ფულის გაღება მოითხოვა კავკასიის მმართველობისათვის გადადებულ ხარჯებიდან [110,942], რომელსაც ეს არ აღმოაჩნდა და, ვერც ახალი მეფისნაცვალის გენ. ადიუტანტ მურავიოვის მიერ გაღებულმა 570 მან. უშველა საქმეს და ფორმალური საბოქაულო, რომლის მმართველობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ძალაში დარჩა. მისი გამგებელი იყო ალ. მიქელაძე, რომელსაც მიამაგრეს ოთხი იასაული და ერთი მღვდელი. მას ძალზე სუსტი პოზიცია ჰქონდა და მტკიცე რუსული მმართველობის ფორმა ფაქტობრივად არ არსებობდა.

(XIX ს. 50-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ყირიმის ომი (1853-1856 წწ.). ყირიმის ომი სვანეთის ტერიტორიას უშუალოდ არ შეეხებია, მაგრამ მისმა შედეგებმა სვანეთის მომავალ ბედზე დიდი გავლენა იქონია და შეიძლება ითქვას, რომ სვანეთის ავტონომიის გაუქმებაში ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა.)

ამ ომის კავკასიის ხაზზე საბრძოლო მოქმედების დაწყებისთანავე, რუსეთის სამხედრო მოხელეებმა, რომელთაც კარგად ესმოდათ სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა, სათანადო თადარიგი დაიკავეს.

1853 წ. ოქტომბერში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ეკატერინე ჭავჭავაძემ გაუგზავნა სპეცწერილი, რომელიც მას დაუყოვნებლივ უნდა

გაეგზავნა სვანეთში კონსტანტინე დადიშგელიანისათვის, ამ წერილით კონსტანტინეს ევალებოდა სასწრაფოდ „შეეგროვებინა სვანებისაგან სახალხო მილიციის ასეული და თავისი ძმის პარუჩიკ ალექსანდრე დადიშგელიანის მეთაურობით გაეგზავნა გურიის რაზმში“ [111,1]. ეს წერილი ეკატერინემ გაუგზავნა სოფ. ჯვარის მოურავ თავად ჩიქოვანს, რომელმაც თავის მხრივ „საიმედო კაცის ხელით“ გაუგზავნა კონსტანტინეს. რომელიც 30 ოქტომბერს კონსტანტინემ მიიღო, მაგრამ „ქვეშევრდომთა წინააღმდეგობის“ მიზეზით, ბრძანება არ შეასრულა [112,2]. ამან კონსტანტინეს ირგვლივ შეთხზული ჭორები უფრო განამტკიცა. ამას ზედ ემატებოდა მეორე გარემოებაც. კონსტანტინეს ცოლად ჰყავდა რუსუდანი (ადილხანი) – აფხაზეთის მთავრის მ. შერვაშიძის შვილის ძიძაქალის კესარია შერვაშიძის ასული და ამ გზით ის დანათესავებული იყო მიხეილთან, რომელიც სამეგრელოს მთავრის დავითისა და ეკ. ჭავჭავაძის მოსისხლე მტერი იყო. ლევან დადიანის ასული ნინო ცოლად ჰყავდა ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომელიც 1854 წლის ივლისიდან დანიშნული იყო ქუთაისისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე განლაგებული ჯარების სარდლად და რომელსაც ექვემდებარებოდნენ სამურზაყანო და სვანეთი [113,108]; [114,№52]. ბაგრატიონ-მუხრანსკი ეკატერინეს ოჯახის ხშირი სტუმარი იყო და ეკატერინეს შთაგონებით განწყობილი იყო კონსტანტინეს წინააღმდეგ.



ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბაგონი. ქუთაისის გუბერნიის და სამეგრელოს ჯარების (გურული რაზმების) უფროსი.

ამის გამო კონსტანტინე თავს არიდებდა იმ დავალებათა შესრულებას, რომელშიც ეკატერინეს და მისი ნათესავების ხელი ერია. შესაძლებელია, რომ კონსტანტინემ სწორედ ამ მოსაზრებით თქვა უარი ზემოთ დასახელებული დავალების შესრულებაზე.

რამდენადაც მეფის რუსეთის სამხედრო მოხელეებს, მაშინდელ პირობებში, სხვა გზა არ გააჩნდათ, გადაწყვიტეს სვანეთის სამთავროში მხარი დაეჭირათ ეჭვიმტანილ კონსტანტინეს მოწინააღმდეგე ჯანსუხისათვის, რომელიც მათი აზრით „არც სიმდიდრით, არც ხალხთან კავშირითა და გავლენით არ ჩამოუვარდებოდა თავად კონსტანტინეს და შეედლო მისი ყოველი განზრახვის პარალიზება“ [115,27].

(1855 წ. 7 მარტს 6. მურავიოვის ბრძანებით, სვანეთში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა [115,1]. ამ დროს ალექსანდრე და კონსტანტინე მცირეწლოვანი ვაჟით მფსოსტრითუთრთ თბილისში იმყოფებოდნენ. რათა მოსოსტრი სამხედრო სასწავლებელში მიებარებინათ [115,1]. კონსტანტინეს სამთავრო სახლი დატოვებული იყო ისლამისა და თენგიზის გამგებლობაში. ამის გამო კონსტანტინეს სამფლობელოდან სამხედრო მოვალეობის მოსახდელად არავინ გამოცხადებულა.

(ჯანსუხი კი, 1855 წ. 21 აპრილს, 40 სვანი მილიციონერის და თავისი შვილის თენგიზის თანხლებით. გაემგზავრა სამეგრელოში, მაგრამ არა მთავარი გზით – ქვემო სვანეთით, არამედ ლენკერის ხეობით, რომლის დროსაც ის კონსტანტინეს ძმების ისლამისა და თენგიზის უშუალო ხელმძღვანელობითა და ლახამულელ გლეხთა ხელშეწყობით მოკლულ იქნა სოფ. ლახამულაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანსუხის მკვლელობის მიზეზი საერთოდ შეუსწავლელია. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმაშიც, თუ რომელი მიმართულებით – სვანეთიდან სამეგრელოსაკენ, თუ პირიქით მოგზაურობის დროს იქნა ის მოკლული. ჩვენის აზრით, ამასთან დაკავშირებით სწორი არიან მკვლეელები: გ.გასვიანი, მ. დუმბაძე, შ. ჩხეტია და ა. ჩარკვიანი [117], რომლებიც აღნიშნავენ; რომ ჯანსუხის მკვლელობის აქტი შესრულდა, მაშინ, როცა ის ლენხერის ხეობით მიემგზავრებოდა სამეგრელოში. ამ ფაქტის დამადასტურებელია ჯანსუხის თანმხლები შვილის თენგიზის წერილი ეკ. ჭავჭავაძისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „В. св. угодно было известить нас письменно от 27-го октября прошлого года (1854, А.Г.) и 1-го января сего года (1855, А.Г.), чтобы мы прибыли к вам и кн. Мухранскому по касающемуся до нас делу. По сему поводу я

почтительнейше докладываю в. св., что мы приготовившись, выступили 21-го апреля, чтобы прибыть к вам, но, случаю больших снегов, бывших тогда в горах, отправились Лехерскою дорогою и прибыв во владение двоюродного брата нашего Константина в сел. Лахмури, родные братья его Ислам и Тенгиз, вопреки ожидания нашего, изменили нам и стали стрелять в нас из ружей; отца моего убили они на месте, а меня ранили в руку. С нами было до 40 чел; у которых отняли деньги, вещи и всё, что с нами было, и еще одно ружье, которое предназначалось отцом моим в подарок сыну вашему Николаю; я раненный скрылся в лесу с людьми своими, оставив там тело убитого отца“ [118,944]. ეს ცნობა მრავალგზისა განმეორებული როგორც აქტებში, ისე საარქივო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. ამდენად სინამდვილეს არ უნდა ასახედეს კ. ბოროზდინზე დაყარდნობით, ეგ. გაბლიანის, გ. ავალიანის, გ. გულბანის ცნობები, თითქოს ჯანსუხი მოკლულ იქნა სამეგრელოდან სვანეთში დაბრუნების დროს [120,187-188]. ამ ცნობის არადამაჯერებლობა თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ყირიმის ომის პირობებში, როცა რუსები მარცხს – მარცხზე განიცდიდნენ, ჯანსუხს 40 კაციანი რაზმით შინ არავინ გამოუშვებდა.

ასევე არა ზუსტადაა ნაჩვენები ჯანსუხის მკვლელობის პროცესიც. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ცნობის თანახმად, ჯანსუხის მკვლელობის დროს მოქმედ პირებად გამოყვანილია მხოლოდ მცირეწლოვანი ისლამი და თენგიზი, რაც, ჩვენის აზრით, სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. მართლაც, დამხმარე პირთა თანხლების გარეშე ორი კაცი-სათვის შეუძლებელი იქნებოდა ომში მიმავალ 40 კაციან რაზმთან შეხმა და გაძარცვა. რაც შეეხება მკვლელობის აქტის განსახორციელებლად სოფ. ლახამულის არჩევას, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რადგან 1843 წელს ციოყის სასახლის აკლების შემდეგ ჯანსუხს და მის ძმას ოთარს, როგორც ჩუბეხევის ასევე სოფ. ლახამულის მოსახლეობა აუკლიათ და ბოროტმოქმედებისათვის ისლამს და თენგიზს სათანადო მხარდაჭერა ექნებოდათ [121].

აქვე შეიძლება ეჭვიმუტანლად აღინიშნოს ისიც, რომ ჯანსუხის მკვლელობა არ იქნა შესწავლილი რუსეთის მოხელეთა მიერ და ეს ფაქტი კი მათ გამოიყენეს ისევ სვანეთის სამთავროს გასაუქმებლად.

(ჯანსუხის სიკვდილმა ლახვარი ჩასცა ეცერის სათავადო სახლის ძლიერებას. მას დარჩა სამი ვაჟი: თენგიზი, გელა და ბექირბი [122,1]. მათ შო-

რის ყველაზე უფროსი (18 წლის) იყო. ჯანსუხის მკვლელობა მისმა ნათესაებმა რეაგირების გარეშე არ დატოვეს და სამაგიეროს გადახდა სცადეს. ისინი თავს დაესხნენ ფარის სასახლეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ [123,188]; კიდევ მეტი, თბილისიდან შინ დაბრუნებულმა კონსტანტინემ და ალექსანდრემ ჯანსუხის სამფლობელოც ხელთ იგდეს [124,305]. სვანეთიდან გააძევეს მოწინააღმდეგე ჯანსუხის ოჯახის წევრები, რომლებმაც თავი ჯანსუხის დედობილს ეკ. ჭავჭავაძეს შეაფარეს.

აკად. კ. კეკელიძის სახ. თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ცნობების თანახმად: „ჯანსუყის ქერივი მთელი თავისი შვილებითა და 80-ზე მეტი მოსამსახურით გორდში მყოფ ეკ. ჭავჭავაძეს ხლებია და თავშესაფარი და მფარველობა უთხოვია“ [125,35]. აი რას წერდა დ. ყიფიანი მეფისნაცვალს 1857 წელს „По возвращении маем из Дадиановской Сванети в Лечхум, я застал в сел. Мури семейство убитого князя Джамсуха и сына его князя Тенгиза Дадишкелиани, которое в продолжение трёх лет с прислугой, в числе более 80 душ проживают в доме владельца Мингрелии“ [126,36].

ირაკევამ, რომ ჯანსუხის მკვლელობას რუსეთის ხელისუფალნი, მიუხედავად იმისა; რომ კონსტანტინე მაშინ საერთოდ არ იყო სვანეთში, მაინც მას აბრალებდნენ, „ხოლო ისლამი – მხოლოდ ბრმა იარაღი იყო კონსტანტინეს ხელში“ [123,188].

ჯანსუხის სიკვდილით დიდად განაწყენებული დარჩა ეკ. ჭავჭავაძე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯანსუხის სახით მას ხელიდან გამოაცალეს პიროვნება, რომელსაც შეეძლო კონსტანტინეს „თვითნებობის პარალიზება“. მეორეც, იმიტომ, რომ, ახლა, როცა ჯანსუხი მკვდარი იყო და საომარი ვითარების გამო რუსეთს არ ეცალა, ეკატერინეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, არა მარტო კონსტანტინეს მხრიდან, არამედ თავისუფალ სვანეთზე გავლენის და ქვემო სვანეთის დაკარგვისაც.

ეკატერინემ დაუყოვნებლივ აცნობა აღნიშნული მკვლელობის ამბავი ბებუთოვს და სთხოვა – მიეღოთ სასწრაფო ზომები კონსტანტინეს წინააღმდეგ და ჯანსუხის დაობლებული ოჯახის მოვლა-პატრონობაზეც [123, 44].

ბებუთოვის საპასუხო წერილით ირაკევამ, რომ რუსეთის ოფიციალური პირებისათვის ჯანსუხის მკვლელობა ორი თვით გვიან იქნა ცნობილი [123,44].

რუსეთის მოხელეთა თვალში „Константин сделался явным ослушником и преступником в глазах русского правительства, легко мож-

ნო ბყო ოჟიდატ, ტო ონ ნე ტოლკო ნე ოსანოვიტსა ნა ოტო სკოლზკო მუტი, ნო პრედპრემეტ ჯაოვანო, კაკ დადიანოვსკოი სვანეტი, ტაკ ი ვოლნოი, სტოლ ნედავნო ოშე პრისავსიხ ნად სობოი ვლასტ როსიი. ვსე ოტო ნემინუემო დოლჟნო ბყო ვოვლექ ოგო ვ ტესნეი ოტნოშენიე ს ნაშიმი ვრაგამი“ [127,27].

გენ. ბეგუტოვმა, 1855 წ. 11 ივლისს წერილით, ჯანსუხის მკვლელობის შესწავლა დაავალა ბაგრატიონ – მუხრანსკის [124,944]. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნა: „ეჭვი არ არის, რომ ჯანსუხის ოჯახის ამოწყვეტის შემდეგ კონსტანტინე დადიშკელიანი ასეთივე ხვედრს არგუნებს თათარყანის ოჯახსაც. ის აპირებს თავისუფალი და სადადიანო სვანეთის დაპყრობასაც. ამგვარად, შეიქმნება ყაბარდოს, იმერეთსა და სამეგრელოს შუა მტრული სამფლობელო, რომელიც წებედელთა და ჩერქეზთა შემწეობით ჩვენ ბევრ საგანგებო საქმეს გადაგვიკიდებს“ [124,945]. მას მიზანშეწონილად მიაჩნდა სვანეთში ორი ბატალიონი შეიარაღებული ძალების წაყვანა და კონსტანტინეს საკადრისად დასჯა, მაგრამ სამხედრო სარდლობამ ჯარების გაგზავნა უარყო, რადგან ჯერ ერთი, სვანეთთან დამოკიდებულებაში ზომიერების დაცვა ამჯობინეს, და მეორეც, ეს გამოიწვევდა იმ რთულ საომარ ვითარებაში გურიის სამხედრო ძალების შესუსტებას.

ამის შემდეგ სვანეთში რამდენიმე პირი გაიგზავნა, მაგრამ გარდა იმისა, რომ რუსეთის მოხელეები კონსტანტინეს „ურჩობას“ და „ლაღატს“ ამტკიცებდნენ, რეალურად ვერას გახდნენ. თვით მოხელეთა განმარტებით, ყირიმის ომი მათ არ აღლევდა საშუალებას სვანეთის ამბების რეალურად შესწავლისათვის.

ყირიმის ომის შემდეგ, მეფისნაცვლის პოსტზე



პ. კ. უსლარი (ქუთაისის გენ. შტაბის უფროსი).

დაინიშნა ფელდმარშალი ა.ი. ბარიატინსკი. 1856 წ. ივლისში ქუთაისის გუბერნია გადაკეთდა ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროდ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქუთაისის გუბერნია, სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი. ქუთაისის გენ. გუბერნატორად დაინიშნა ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი, ხოლო შტაბის უფროსად პოლკოვნიკი პეტრე კარლოს ძე უსლარი.

ყირიმის ომის დამთავრების უმაღლესი რუსეთი შეუდგა კავკასიის საბოლოოდ შემოქმედებისა და სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების გაუქმებას.

პირველად გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო.

რუსმა მოხელეებმა სვანეთს დიდი პოლიტიკური სარჩული დაუდეს. ისინი შიშობდნენ, რომ სვანეთის მთავრის ანტირუსული საქმიანობა თუ დროზე არ იქნებოდა ლიკვიდირებული, ეს უარყოფით გავლენას იქონიებდა მეზობელ მთიელებზე და ამით რუსეთის პრესტიჟი ამ მხარეში საგრძნობლად შეილახებოდა. კონსტანტინესა და ალექსანდრეს სასჯელის ნიშნად ჯამაგირი შეუწყვიტეს [128,9], ისლამი და თენგიზი სვანეთიდან გაიქცნენ და დალის მხარეში დაიმაღნენ. ალექსანდრე სამხედრო სამსახურში ვედარ ცხადდებოდა [129,368].

ა. ბარიატინსკის, ეკ. ჭავჭავაძის წყალობით, წარუდგინეს კონსტანტინეს მთელი რიგი დანაშაულის ფაქტები. ერთ-ერთი მათგანი იყო 1856 წ. 6 მაისს ბალსზემო სვანეთის სოფ. ლატალის მცხოვრებთა საერთო წერილი ეკ. ჭავჭავაძისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ კონსტანტინე მათ უგზავნის შუამავლებს და ემუქრება, რომ თუ ნებით არ დაემორჩილებიან, ის დაიკავშირებს წებელდელ მარშანიებს და ძალით შემოიერთებს. ლატალელები ითხოვდნენ „შველასა და ხსნას ძლიერი მტრისაგან“ [124,948]. მეორე იყო ამავე წლის 25 მაისს ეკ. ჭავჭავაძის წერილი მურავიოვისადმი, სადაც ეკატერინე მოითხოვდა კონსტანტინეს წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების გატარებას და თან ამტკიცებდა, რომ „დადიშკელიანების ძალაუფლების გავრცელება სამეგრელოს საზღვრამდე დიდად ემუქრება ლეჩხუმის პროვინციას“ [124,948].

კონსტანტინე კი ცდილობდა თავის მართლებას. 1856 წ. 2 აგვისტოს იგი რუსეთის ხელისუფალთ სწერდა: „მე ჯანსუხის მკვლევლობის შემდეგ მის შეილებთან მთელი შესაძლებლობით ვცდილობდი საქმის მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ ვერაფერს გაეხდით“ [130,310].

კონსტანტინესი არავის სჯეროდა. თვით კონსტანტინე კი თავს დაძნა-

შვედ არ თვლიდა. კონსტანტინეს საწინააღმდეგო ვერსიები განგებ ითხზებოდა. სინამდვილეში კონსტანტინეს არც ყირიმის ომის მსვლელობისას და არც შემდეგ რუსეთის ლაღატი არ ჩაუდენია. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი, რომ 1854 წ, როცა შამილი მთელი შესაძლებლობით ცდილობდა თავის ძალების გაერთიანებას თურქეთისა და მისი მოკავშირე დასავლეთის ქვეყნების ძალებთან, რათა ბოლო მოღებოდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში, „წებელდელ ყაჩაღს“, სიძეს კონსტანტინე დადიშგელიანი-სა ესაუ მარშანას, კონსტანტინესათვის შემოუთვლია, რომ ის გაერთიანებულიყო მასთან და ამავე დროს გზა გაეხსნა შამილის ძალებისათვის ენგურის ხეობით ჯვარისაკენ, კონსტანტინემ უარყო ეს წინადადება და სწრაფად დააყენა ყარაულები მთის ბილიკებსა და მდ. ენგურზე [131,413]. უფრო მეტიც. კონსტანტინეს ამის შესახებ დაწვრილებით მიუწერია გენ. ანდრონიკაშვილისათვის, რომლის ნაცვლად წერილი გაუხსნია გენ. მაიორ ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომელსაც, ამ ცნობის საფუძველზე, გაუძლიერებია ჯვარში მოდარაჯე რაზმები და იმავე დროს გაუფრთხილებია ეკ. ჭავჭავაძის მაზლი გენ. მაიორი გრ. დადიანი, რომელიც ყირიმის ომის დროს სარდლობდა მეგრულ მილიციას. ცხადია, კონსტანტინეს რუსეთის ლაღტი გულში რომ ჰქონოდა, ის ამ მოხერხებულ მომენტს უეჭველად გამოიყენებდა.

სხვა საკითხია კონსტანტინეს მიერ სვანეთის გაერთიანებისა და იქ გაბატონებისათვის ბრძოლა. კონსტანტინე თვლიდა, რომ ეს საქციელი სამართლიანი იყო [132,310].

კონსტანტინეს ბოროტმოქმედებაში დარწმუნებულმა ა. ბარიატინსკიმ, ჯერ მოითხოვა ალექსანდრეს სამხედრო სამსახურიდან გარიცხვა და შემდეგ შეუდგა კონსტანტინესთან ანგარიშსწორებას [133,1].

1857 წ. თებერვალში ალექსანდრე დადიშგელიანი სამსახურიდან ამორიცხულ იქნა [134,9], ზოლო კონსტანტინეს დაუწესეს სპეციალური მეთვალყურეობა [123,116]. ამავე თვეში დანიშნულების ადგილას გამოცხადდა ქუთაისის გენ. გუბერნატორი ა.ი. გაგარინი [120,117]. მან სვანეთის საქმეების მოგვარება დააკისრა პოლკოვნიკ პ.უსლარს [136,19]. მანამდე, ჯერ კიდევ იანვარში, სვანეთში უნდა გაეგზავნათ გენ. ლორის მელიქოვი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. უსლარი კი ერთი იმ რეაქციონერ მოხელეთაგანი იყო, რომელთაც სვანეთის დამოუკიდებლობის გაუქმების დაჩქარება აუცილებელ საქმედ ესახებოდა და გადამჭრელ ზომების მიღებას ითხოვდა [70,92]. მას მიაჩნდა, რომ საჭირო იყო შეიარაღებული ექსპე-

დიციის გაგზავნა ჯვარის ხეობით და სწრაფი მოქმედებით აღმოეფხვრათ სვანეთში „მეამბოხეობისა და შფოთის ბუდე“, თორემ მათ თუ რამე დაუსჯელად შერჩათ, კიდევ უფრო ცუდი თვალით დაუწყებენ ყურებას რუსეთს. ამავე დროს მას ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი ექსპედიციის წარმატებაში, რადგან, მისი აზრით, „რუს ჯარისკაცებს საქმე ექნებოდათ იმ ველურებთან, რომლებსთვისაც უცხო იყო ყოველგვარი სამხედრო გამოცდილება და არასდროს არ ჰქონდათ გაგონილი ქვემეხის სროლის ხმა“ [120,14].

საქმის კიდევ უფრო დაძაბვისა და დაჩქარების მიზნით, მან შეკრიბა ყველა ის ბრალდებანი, რაც კი ოდესმე კონსტანტინეს მიმართ ყოფილა დაწერილი და ხელისუფლებას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც კონსტანტინე გამოყვანილი იყო, როგორც ჯანსუხის მკვლელი, ომერ ფაშასთან კავშირის მქონე, რუსეთის სახელმწიფოს მტერი და მოღალატე, სვანეთიდან ბოქაულის გამძევებული და სხვა.

უსლარის მოსაზრებას იზიარებდნენ ქუთაისის გუბერნატორი, კავკასიის მეფისნაცვალნი, ოღონდ იარაღის გამოყენებას გარკვეული მოსაზრებით ერიდებოდნენ. უსლარი კი თავისას არ იშლიდა.

უსლარის მოთხოვნისა და განხორციელებისათვის მზადების პროცესში, ერთხელ კიდევ იქნა სვანეთში გაგზავნილი ბოქაული მიქელაძე, რომელსაც დაევალა, რომ პირადად ენახა დადიშგელიანები, მოლაპარაკებოდა მათ და დაენიშნა ქუთაისში ჩამოსვლის ვადა. „მიქელაძე წავიდა და რომ დაბრუნდა, მთავრობას მოახსენა, რომ ვერც მოვახერხე დადიშგელიანების ნახვა და თავისუფალ საზოგადოებათა მამასახლისების საშუალებით უწყებები გაუგზავნეო. ამასთანავე გავიგე, რომ ამ საზოგადოებათა მცხოვრებნი კონსტანტინესაგან ისეთი შეწუხებულნი როგორც ამჟამად არიან, თავის დღეში არ ყოფილანო“. უწყებაში აღნიშნული ვადა გავიდა და დადიშგელიანები მაინც არ ჩამოვიდნენ ქუთაისში“ [120,202-203].

(ამიერიდან, რუსეთის ხელისუფლების მაღალ ინსტანციებში, სვანეთის ავტონომიის გასაუქმებლად სამხედრო ექსპედიციის გაგზავნა გადაუდებელ საქმედ იქნა მიჩნეული. სწორედ ამ დროს, 1857 წ. ივნისში, ქუთაისის გუბერნატორმა მეფისნაცვალს ახალი აღმამფოთებული ცნობა მიაწოდა, რომ მთელი თავისუფალი სვანეთის სახელით მასთან გამოცხადდა ორი წარმომადგენელი, რომელთაც მოახსენეს, რომ კონსტანტინემ იძულებით დაიქვემდებარა თავისუფალი სვანეთის ორი საზოგადოება და განზრახული აქვს დაეპატრონოს მთელ თავისუფალ სვანეთსო. ბ. გაგარინის განცხადე-

ბით, თავისუფალი სვანები რუსეთის ხელისუფლების შევლას და დაცვას ემუდარებოდნენ.

ბარიატინსკიმ გადაწყვიტა „ღროის დაუკარგავად“, „ძალით“ მოეყვანა დადიშგელიანები მორჩილებაში.

ა. გაგარინთან შეთანხმების შემდეგ გადაწყდა რომ სვანეთში გაეგზავნათ:

1. სამეგრელოს პოლკი უსლარის ხელმძღვანელობით, 350 მილიციელთა, კაზაკთა ერთი ასეულით, ორი სარაკეტო და ერთი შტუცერთა რაზმით;

2. წებელდის რაზმი კუზმინსკის მეთაურობით;

ბაქსანის ჯარის ნაწილები პოლკოვნიკ ტიმერმანის მეთაურობით, რომლის შემადგენლობაშიაც შედიოდნენ მილიციის სამი ასეული, კაზაკთა ორი ასეული, რომელთა განკარგულებაში იყო ოთხი სამთო ზარბაზანი;

ყარაჩელთა პოლკი პოლკოვნიკ ჟერდევის მეთაურობით, რომელიც შედგებოდა კაზაკთა სამი ქვეითი ასეულისა და მილიციის ერთნახევარი ასეულისაგან. პოლკის განკარგულებაში იყო 2 სამთო ზარბაზანი“ [137,370].

ოპერაციის საერთო ხელმძღვანელობა, ბარიატინსკის ბრძანებით, დაეკისრა ქუთაისის გენ. გუბერნატორს ა. გაგარინს, ხოლო მოქმედი ძალების უფროსობა პოლკოვნიკ პ. უსლარს [138,370].

ეს უკანასკნელი მეფისნაცვალმა გამოიძახა თბილისში და მისცა სამოქმედო მითითებანი. მასვე ბარიატინსკიმ გაატანა წერილი კონსტანტინეს გადასაცემად, სადაც მოითხოვდა რაზმში გამოცხადებას, ყოველივეს ახსნას და შემდეგ, ალექსანდრეს თანხლებით, თბილისში ჩამოსვლას [139,370].

შეკრებილ რაზმებიდან, რომელთა მოქმედება უნდა დაწყებულიყო 15 ივლისს, მთავარი მოქმედება ეკისრებოდათ სამეგრელოსა და ბაქსანის მხრიდან დაძრულებს, ხოლო დანარჩენები უფრო დემონსტრაციული დანიშნულებისა იყვნენ. მათ ევალებოდათ ალექვეთათ სვანებისათვის გარედან დახმარების საშუალება [140,370].

რუსეთის რაზმების მხედრიონი არც ბალსზემო სვანეთს ინდობდა. ამას ადასტურებს ბარიატინსკის მიმართვა სამხედრო მინისტრისადმი: „შეჭრა თავისუფალ სვანეთში ყოველშემთხვევაში აუცილებელი იყო, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მიგველო სანდო ცნობები მხარის ამ ნაწილის შესახებ, სადაც ჯერ არ ყოფილან რუსეთის ჯარები და რომლის შესახებ სრულიად სხვადასხვა აზრი არსებობდა და, მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენი თავი გაგვეცნო ნახევრად ველურ სვანებისათვის, დაგვემკვიდრებინა მათ ცნობიერება-

ში აზრი, რომ იქ იარსებებს ერთ-ერთი ხელისუფლება, რომელიც დამტკიცებულია ჩვენი მთავრობის მიერ“ [141,370].

როგორც ვხედავთ, რუსი სამხედრო მოხელეები სვანების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას მოელოდნენ და სამზადისიც შესაბამისი მოახდინეს.

დანიშნულ, 1857 წ. 15 ივლისს, აღნიშნული ძალები დაიძრნენ სვანეთისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ სამზადისი ტარდებოდა საიდუმლოდ, კონსტანტინესათვის ის მაინც ცნობილი გახდა. როგორც კი ჯარის ნაწილები სვანეთის საზღვრებს მიუახლოვდნენ, კონსტანტინემ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მაშინათვე პატიების სათხოვარი წერილი გაგზავნა კავკასიის მეფისნაცვალთან, ხოლო ალექსანდრე გააგზავნა ქუთაისში გენ. გუბერნატორთან სრული მორჩილების გამოსაცხადებლად [141,370].

ალექსანდრე ჩავიდა ქუთაისში, ეახლა გუბერნატორს და სთხოვა პატიება, მაგრამ გუბერნატორმა ის დააკავა, გაგზავნა მეფისნაცვალთან, რომელმაც ის განაწესა ციმბირს გენერალ მურავიოვ-ამურსკის ხელქვეითად, სადაც გააგრძელა სამხედრო სამსახური.

სამეგრელოდან წასულმა რაზმმა 22 ივლისს მიაღწია ქვემო სვანეთის სოფ. ლუჯში [142,371]. აქ ბალსზემო სვანეთიდან გამოცხადდნენ „ჩენილები“ (старшины) და პოლკოვნიკ უსლარს გადაუხადეს მადლობა ძალების გამოგზავნისათვის. აქედანვე გაეგზავნა წერილი კონსტანტინეს ბარიატინსკის მოთხოვნით.

სამი დღის შემდეგ, რუსეთის ძალებმა დატოვეს ლუჯი და გადავიდნენ ზემო სვანეთში, თითქოს სოფ. კალაში დაბანაკდნენ, თუ დაეჯერება ბარიატინსკის, ის გადმოგვცემს: „Жители встретили отряд с восторгом; они сами, по доброй воле, разрабатывали подчехи и исправляли дорогу: по прибытии же войск на ночлег, старшины, от имени своих обществ, пригнали в лагерь быков, баранов, привезли муки и просили принять этот дар в знак искренней привязанности их к Русским“ [140,370].

მალე აქ გამოცხადდა კონსტანტინეც, რომელმაც უსლარს მოახსენა, რომ „ყველაფერი ეს გაუგებრობის შედეგია, რადგან მე აზრად არ მომხსენია წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლებისათვის“ [70,95].

კონსტანტინეს განცხადება უსლარმა არაფრად ჩათვალა და ის ქუთაისში გააგზავნა. კონსტანტინე რომ ქუთაისში ჩავიდა მისი ძმა ალექსანდრე ქუთაისიდან უკვე გაყვანილი იყო [120, 206].

ქუთაისის გუბერნატორმა კონსტანტინეს თავისმართლება მოისმინა, მაგრამ პასუხისათვის უსლარისათვის დალოდინება არჩია. ამასთან ერთად, გუბერნატორმა უსლართან კაცი გააგზავნა, რათა გამოერკვია იყო თუ არა საჭირო ლაშქრობის გაგრძელება. უსლარისაგან გამოგზავნილ პასუხში ნათქვამი იყო, რომ ლაშქრობის გაგრძელება აუცილებელია იქ დარჩენილი კონსტანტინეს ორი ძმის ხელში ჩასაგდებად, რომლებიც არანაკლებ საშიში არიან კონსტანტინეზე და ამავე დროს კონსტანტინეს თავისუფალი სვანები უჩივიან და თუ ჩვენ მათ არ დავუხმარეთ დაიჩაგრებიანო“ [120,96].

გაგარინმა სვანეთის მთავარი და მის შესახებ უსლარისაგან გამოგზავნილი წერილი მეფინაცვალს გაუგზავნა. 10 ივლისს კონსტანტინე ბარიატინსკისთან გამოცხადდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მისი ნახვა არ ისურვა და ის მიიღო შტაბის უფროსმა გენ. დ. მილიუტინმა.

კონსტანტინე ქუთაისში დააბრუნეს, რომელსაც მეთვალყურედ გამოაყოლეს პოლკოვნიკი ი.ა. ბარტლომეი, რომელიც კონსტანტინეს აბუჩად იგდებდა.

რამდენადაც კონსტანტინე ჩაბარდა, ბაქსანიდან სვანეთში მიმავალი რაზმები, რომელთაც უკვე ღონღუზ-ორუნის მისადგომებამდე მიეღწიათ, წებელდის რაზმებთან ერთად, უკან დააბრუნეს, ხოლო სამეგრელოს რაზმები სვანეთში დატოვეს.

ვიდრე კონსტანტინე და ალექსანდრე მეფის ხელისუფლებას ჩაბარებოდნენ, მეფის ნაცვალს და მის მოხელეებს წინასწარ მომზადებული ჰქონდათ სვანეთის შემდგომი მოწყობის გეგმა.

საქმე შემდეგში იყო. თათარყანის სიკვდილის შემდეგ მისი მამული გაიყო ორმა ძმამ – ოთარმა და ჯანსუხმა, რაც ეწინააღმდეგებოდა „სათხოვარი პუნქტების“ მეორე მუხლს. გარდა ამისა, ოთარმა უღალატა ქრისტიანობას, მუსულმანობა მიიღო და ამ რელიგიაზე აღზარდა თავისი შვილებიც [143,11], რის გამოც, ბარიატინსკის აზრით, გაეძეგებიანთ სვანეთიდან გვარის – დადიშგელიანის ტარების უფლების ჩამორთმევით და ამიერიდან მათ უნდა ეტარებიანთ „ოთაროვების“ სახელწოდება. თათარყანის მამული, რომელიც ამ დროს კონსტანტინეს მიტაცებულად ითვლებოდა, უნდა გადასცემოდა მის შვილიშვილს, ჯანსუხის ვაჟს – თენგიზს, როგორც ქრისტიანს და მასვე დაკისრებოდა ოთაროვების ოჯახზე მეურვეობის გაწევა [144,56,58].

კონსტანტინეს კი, რადგან მთავრობას არ გააჩნდა მისი „პოლიტიკური დანაშაულის დადებითი მტკიცება“ – უნდა დაებრუნებიანთ მისთვის მამული.

ალექსანდრე უნდა აღდგენილიყო წინანდელი ჩინითა და ხელფასის დანიშვნით სამხედრო სამსახურში, ხოლო თენგიზი და ისლამი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ჯანსუხის მკვლელობა... უნდა გადაესახლებინათ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში.

ბარიატინსკის გეგმის მიხედვით, უნდა გამიჯნულიყო როგორც დადიშგელიანთა მამულები, ასევე დაეზუსტებინათ მათი საზღვრები აფხაზეთთან, წებელდასთან, სამურზაყანოსა და სამეგრელოსთან, რისთვისაც უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ თითოეული მხარის დეპუტატები, რითაც ბოლო უნდა მოეხდინათ მათ შორის არსებულ დავასა და უკმაყოფილებას.

ბარიატინსკი საჭიროდ თვლიდა, რომ დადიშგელიანთა უფროს და უმცროს შტოს მეთაურებს კვლავ პქონოდათ СЯТЕНЬНИЙ-ის ეპითეტი [145,373].

რუსეთის მეფემ დასტური მისცა ბარიატინსკის ამ წინადადებებს. იმპერატორის ბრძანებით, ალექსანდრე დადიშგელიანი უნდა გაეგზავნათ ქ. ელიზავეტოგრადში სარეზერვო კავალერიის შტაბში, საიდანაც შემდეგში გადაეყვანათ ხერსონის გუბერნიის სოფ. ოლშანკაში, სადაც იდგა ჩერნოგორიის დრაგუნთა პოლკი, ხოლო თენგიზი და ისლამი უნდა გადაეგზავნათ ქ. ვიატკაში.

როგორც აღნიშნული იყო, კონსტანტინე თბილისიდან ქუთაისში დააბრუნეს, სადაც კ. ბოროზდინის დახასიათების თანახმად „უზარმაზარი, მშვენიერი ტანადი და მოყვანილი, ლამაზი ქერა, გოლიათისებურის ძალ-ლონისა, ასე ოცდაათის წლისა“ კონსტანტინე, თვალეზზე ლიბრგადაკრულ, ძალზე დაბალ და უშნო მოხელის ბარტლომეის დამამცირებელ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა და ზედმეტი ნაბიჯის გადადგმის საშუალებას მოკლებული იყო. კონსტანტინესა და ბარტლომეის შორის ურთიერთობას აძნელებდა ისიც, რომ პირველმა რუსული არ იცოდა და მეორემ ქართული, ხოლო მათი თარჯიმანი ჯამუშობისა და ენისტანიანობაში უფრო დაოსტატებული იყო ვიდრე დავალებულ საქმეში.

კონსტანტინე მეტად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. მან არ იცოდა რა ბედი ეწია მის ოჯახს, მის ძმებს, სამთავროს და ბოლოს, არც ის იცოდა, თუ რა მოელოდა მას თვითონ.

მოგვიანებით, სვანეთიდან დაბრუნდა უსლარი, რომელმაც კონსტანტინეს საწინააღმდეგოდ წარადგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ამტკიცებდა, რომ „კონსტანტინეს კვლავ სვანეთში გაგზავნა ყოველად დაუშვებელი იქნებოდა, რადგანაც ეს უკანასკნელი არავითარ შემთხვევაში

არ აიღებდა ხელს თავის მისწრაფებაზე დაჰკატრონებოდა თავისუფალი სვანეთის თემებს“ [146,223]. ამას ზედ დაემატა ერთი არასასიამოვნო შემთხვევაც.

კ. ბოროზდინის გადმოცემით, რომელიც უცნობი მრჩეველის გავლენით, კონსტანტინეს ვინმე ტოლსტოვისათვის ფრანგულ ენაზე დაუწერიანებია ნაპოლეონ III-ადმი წარსადგენი თხოვნა, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა ალექსანდრე II-თან, რომ ბარიატინსკის მისთვის არ ჩამოერთმია სამთავრო. ეს წერილი „ზედამხედველ ბარიატინსკის“ წყალობით ხელში ჩაუვდია გაგარინს“ [120,215-216]. ეს ამბავი, რომელიც ასევეა მოთხრობილი გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე კირილე წუთისოფლის მიერ [147,№55], უსლარმა კიდევ უფრო გაამწვავა და კონსტანტინეს საქმე მეტიმეტად გაუარესდა. ქუთაისის გუბერნატორს ისიც კი აშინებდა, რომ კონსტანტინეს მეუღლე შერვაშიძის ქალი ადილხანი, შვილებისა და ორმოცი სვანით ჩავიდა ქუთაისში და „ვაითუ სვანებმა გაანთავისუფლონ თავიანთი მთავარი ჩვენის ხელიდან“ [148,№27]. მან სთხოვა მეფისნაცვალს, რომ კონსტანტინე ქუთაისიდან, რომელიც სხვა ქალაქში გადაეყვანათ. გუბერნატორმა მეფისნაცვლისაგან ამისი თანხმობა მიიღო და თან დაავალა რომ კონსტანტინე გადაესახლებინათ ერევანში.

ბრძანების გაცნობის მიზნით, 1857 წ. 20 ოქტომბერს, ეკლესიაში სალოცავად წასული კონსტანტინე, გუბერნატორის კანცელარიის მმართველ იზიუმსკის მიერ გამოძახებულ იქნა გუბერნატორ ა. გაგარინთან, რომელმაც განუცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით მას ჩამოერთვა სვანეთის მფლობელობა და საცხოვრებლად უნდა გადასახლდეს ერევანში. კონსტანტინემ სთხოვა, რომ გაეშვათ სვანეთში ცოლ-შვილთან გამოსათხოვებლად. მაგრამ მბრძანებელმა უკვე იცოდა კონსტანტინეს ცოლ-შვილის ქუთაისში 3 დღით ადრე ჩამობრძანების შესახებ [148,№27] და მისი თხოვნა არ იქნა მიღებული. უფრო მეტიც, მას დამცინავადაც კი უყურებდნენ. კონსტანტინე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის საქმეს არაფერი ეშველებოდა, იმ დროს, როცა გაგარინმა ბრძანა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი კონსტანტინეს განიარაღება, ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა და გენერალს სატევარი გაუყარა მუცელში. ხმაურზე ოთახში შემოვიდნენ ილინი და არდიშვილი, რომელთაც კონსტანტინეს შეპყრობა მოუნდომეს, მაგრამ კონსტანტინემ ისინიც დახოცა. ამ დროს ვიღაც მოხელე მაგიდის ქვეშ შევარდა და კონსტანტინეს ფეხების მოკვეთა მოუნდომა, მაგრამ კონსტანტინემ ისიც შენიშნა, მაგიდას ხანჯალი დაჰკრა, ჩაჭრა, განგმირა ისიც და მერე



ალექსანდრე დადიშგელიანი



ა. გაგარინი. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, რომელიც 1857 წლის 20 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოაასალმა კონსტანტინე დადიშგელიანმა.

ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა. ამასობაში ქუთაისის ჟანდარმერი-ის შტაბის ოფიცერმა მაიორმა ლაბენსკიმ ახლობელ ყაზარმიდან ჯარისკაცთა რაზმი გამოიძახა, რომელთაც ალყაში მოაქციეს ვი-ლაც ბაქრაძის სახლი, რომლის მე-ორე სართულზეც კონსტანტინეს შეეფარებინა თავი [149,377]. ჯარისკაცები ავარდნენ აივანზე და თავშეფარებულს სროლა აუტეხეს და ხელში დაჭრეს. შემდეგ შეანგრიეს კარები, კონსტანტინემ უჩვეულო წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მას ხიშტებით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, დაიჭირეს და ჰაუპტვახტში მოათავსეს.

კონსტანტინეს შეპყრობის სა-მი დღის შემდეგ, მეფისნაცვლის ბრძანებით, ქუთაისში გაიგზავნა გენ. ბეგთაბეკოვი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა იმ სამხედრო-საკვლე სასამართლოსათვის, რომელსაც კონსტანტინესათვის განაჩენი უნდა გამოეთანა. კონსტანტინემ მცველად სამეგრელოს მმართველი ნ. კოლუბაკინი აირჩია, მაგრამ ის ქუთაისში არ იმყოფებოდა და სასამართლოზე მცველად დაუნიშნეს გენ. ივანოვი.

სასამართლომ, 1857 წ. 24 ოქტომბერს, კონსტანტინეს დახვერვტის განაჩენი გამოუტანა, რომელიც მეორე დღესვე იქნა სისრულეში მოყვანილი [150].



კონსტანტინე (მურზაყან) დადიშგელიანი. სვანეთის უკანასკნელი მთავარი.

კონსტანტინე დადიშგელიანის – ქართველ მთავართა უკანასკნელ მოპიკანთაგანის – დახვერეტის შემდეგ რუსეთის ავაზაკები სასწრაფოდ შეუდგნენ სვანეთის ავტონომიის გაუქმებას. აუცილებელ საქმედ იქნა მიჩნეული კონსტანტინეს ახლობლების სვანეთიდან მოშორება და შორს გადასახლება.)

რუსი მოხელეები დაერივნენ დახვერეტელ კონსტანტინეს ცოლ-შვილს და ახლობლებს და არაადამიანურ-შოვინისტური მოპყრობით თავი „ისახელეს“.

1857 წ. 9 ნოემბერს, ბარიატინსკის თხოვნით იმპერიის სამხედრო მინისტრისადმი, კონსტანტინეს ძმა ალექსანდრე სასწრაფოდ უნდა გადაეხალხლებინათ ჩერნიგოვიდან ციმბირის მხარეში ან ბაიკალს იქით, სადღაც შორეულ ადგილას და მისთვის დაენიშნათ სპეცმეთვალყურეობა. ხოლო

კონსტანტინეს უფროსი ვაჟი გაეგზავნათ ციმბირში კადეტთა კორპუსში ან ციმბირის ერთ-ერთ გიმნაზიაში. სხვა წევრების მოშორება უნდა განხორციელებულიყო მათ ხელში ჩაგდებისთანავე.

დადიშგელიანთა უფროს შტოსათვის საერთოდ უნდა აეკრძალათ ჩუბეხევის მფლობელობა და იქ შექმნილიყო საბოქაულო, ხოლო უმცროსი შტო, კერძოდ, ეცერისა და ბეჩოს დადიშგელიანები, ბოქაულზე სრული დაქვემდებარებით დაეტოვებინათ სვანეთში მემამულის უფლებით [149,375].

ამავე წლის 17 ნოემბერს, ბარიატინსკიმ მიიღო ცნობა, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე დადიშგელიანი გადასახლებულ იქნა ირკუტსკში, ხოლო კონსტანტინეს 12 წლის ვაჟი მოსოსტრი, რომელიც თბილისის კადეტთა კორპუსში სწავლობდა, გადაიყვანეს ციმბირის კადეტთა კორპუსში, სადაც უნდა დარჩენილიყო მუდმივ სამხედრო სამსახურში [151,356].

ამავე ცნობის თანახმად, გაუქმდა ციოყისა და თათარყანისათვის თავის დროზე ბოძებული სიგელები და ამ სიგელებით მათზე მინიჭებული უფლებები.

1857 წ. ისლამი, თენგიზი და ციოყი გადაურჩნენ რუსულ სასჯელს. მათ შემოიკრიბეს თავიანთ გარშემო მომხრეები და დაეუფლნენ მამის მემკვიდრეობას [152,97]. ასეთ ვითარებაში 1857 წ. დეკემბერში ქუთაისის გენ. გუბერნატორად დაინიშნა გენ. ლეიტენანტი რაფიელ ერისთავი (ერისტოვი) [153,356] [154,1].

1858 წ. ივნისში მეფის ხელისუფლებამ მოაწყო ახალი ექსპედიცია სვანეთში. ისლამმა, თენგიზმა და ციოყმა, მკაცრი სასჯელის შიშით დატოვეს სვანეთი და დაუმორჩილებელ მთიანეთს შეაფარეს თავი [155,380].

ჯანსუხის მემკვიდრეები, გარდა მუსლიმანობაზე მოქცეულ ლევანისა, მას შემდეგ, რაც უარი თქვეს მთლიანი სამფლობელოს დაჩემებაზე, ხელისუფლებამ დატოვა ეცერ-ბეჩოში ჩვეულებრივი მემამულის უფლებით [156,21].

როცა რუსეთის რაზმები სვანეთიდან წავიდნენ, ისლამი, თენგიზი და ციოყი ისევ დაბრუნდნენ სვანეთში [156,11].

1858 წ. ოქტომბრის დამდეგს რუსმა დამპყრობლებმა მოაწყვეს მეორე ექსპედიცია, რომელსაც მეთაურობდა ერისთავი. ექსპედიცია გაემგზავრა ჯვარ-ლენხერის გზით. ამ ექსპედიციის რიცხვმრავლობამ და თანაც ისეთ-

მა განმარტებულმა საქმიანობამ, როგორც იყო გზის შეკეთება საჭიროების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი ძალების შემოსაყვანად, დიდი გავლენა იქონია კონსტანტინეს ძმებზე, რომელთაც ერისთავს და კოლუბაქინს თავიანთი უმცროსი და სრულიად უდანაშაულო ძმა ციოცი გამოუგზავნეს, რომელსაც რაზმები სოფ. ხულონში შეხვდნენ [157,11]. რუსმა სარდლებმა ციოცი თბილად მიიღეს, დაარწმუნეს რომ მას და მის ძმებს რუსეთის ხელისუფლება არ უპირებს დასჯას, ოღონდ საჭიროა მათი ნებით გამოცხადება და დანებება და უკან გააბრუნეს. მართლაც, 22 ოქტომბერს, მან ისლამი და თენგიზი ჩამოიყვანა, რომლებიც სოფ. ხაიში დაბანაკებულ ხსენებულ ძალებს დანებდნენ.

23 ოქტომბერს კაპიტან პრინციის თანხლებით მეთაურებმა ძმები ბარიატინსკისთან გააგზავნეს [158,29]. ბარიატინსკიმ ისინი პირადად მიიღო და გამოუცხადა, რომ მათი ბედი დამოკიდებულია იმ განაჩენზე, რასაც გამოუტანს იმპერატორი [159,33]. მაგრამ მეფისნაცვალმა იმპერატორისაგან სათანადო პასუხის მიღებამდე ვერ მოითმინა და სამივე ძმა განაწესა დონის კაზაკთა №7 პოლკში, სადაც ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა პოლკის მეთაურს გენ. მაიორ ხრეშატიცკის [160,380]

მიუხედავად იმისა, რომ ძმებმა პირველსავე შეხვედრაზე სთხოვეს ერისთავს და კოლუბაქინს, რომ ისინი არ გაეგზავნათ კავკასიის საზღვრებს იქით, რადგან მათ არ იციან რუსული ენა, ერისთავმა ეს თხოვნა არ შეიწყენარა და მისი რჩევით ბარიატინსკიმ იმპერატორს მისწერა: „Я нахожу необходимым удалить их навсегда с Кавказа, где они не могут преобразовать свои понятия и нравы, где они будут еще питать напрасные надежды на возвращение на родину и даже решаться на какое либо новое нарушение спокойствия в Сванети“ [161,35].

ბარიატინსკი, ამავე დროს, აყენებდა წინადადებას, რომ ისლამი, თენგიზი და ციოცი გადაესახლებინათ აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც მათ უფროს ძმას ალექსანდრეს საშუალება ექნებოდა დადებითი გავლენა მოეხდინა მათზე.

ბარიატინსკიმ ასევე მიუთითა კონსტანტინეს დაობლებულ ოჯახზე, რომელსაც დარჩა გარდა მოსოსტრისა, სამი მცირეწლოვანი ვაჟი: 9 წლის – ოთარი, 2 წლის ლევანი, 3 წლის – მურზაყანი და ოთხი ქალიშვილი: კესარია, გიგოსანი, დოურზანი და მელიხანი, რომლებიც კონსტანტინეს დახვედრის შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, მათმა დედამ რუსულანამ მიმო-

ფანტა თავის ნათესავებში და თვითონაც უმეტეს წილად აფხაზეთში იმყოფებოდა [162,97].

ბარიატინსკის აზრით, კონსტანტინეს ვაჟიშვილები უნდა შეეყვანათ პეტერბურგის ან მოსკოვის საზაზნო სასწავლებელში და მიეცათ მათთვის რუსული აღზრდა, მაგრამ მხედველობაში უნდა ჰქონოდათ, რომ ისინი არასდროს არ დაებრუნებიანთ მშობლიურ მხარეში [163,38-39].

(საბოლოოდ ისლამი, თენგიზი და ციოყი გადააგზავნეს პოლონეთში, სადაც უნდა ემსახურათ კაზაკთა პოლკში, ხოლო კონსტანტინეს შვილები დროებით განაწესეს ქუთაისის გიმნაზიაში [164,101].)

ერისთავმა და კოლუბაკინის რაზმებმა, ისლამის, თენგიზის და ციოყის თბილისში გაგზავნის შემდეგ განაგრძეს გზის შეკეთება და მდ. ნენსკრამდე მიაღწიეს, შემდეგ მათი ექსპედიციის მგზავრობა საჭიროდ აღარ ჩათვალეს და უკან გაბრუნდნენ.

საჭიროება მოითხოვდა, რომ მეფის ხელისუფლებას მოეწესრიგებინა კონსტანტინეს სამფლობელოს საკითხი.

1859 წ. დამდეგიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოლაპარაკება ალექსანდრესა და მის ძმებთან მათ ყოფილ მამულის ხაზინაზე გადაცემის თაობაზე. ბოლოს მიღწეულ იქნა თანხმობა და ამავე წლის 28 ნოემბერს კავკასის მეფისნაცვალმა მიიღო ცნობა, რომ იმპერატორის ბრძანებით კონსტანტინეს მამული უნდა გადაეცეს ხაზინას და საფასურად კონსტანტინეს ცოლ-შვილს და ძმებს გამოეყო 150000 მანეთი ვერცხლის ფული [165,17,323]. აქედან 75000 მანეთი მიაკუთვნეს რუსუდანს და მის შვილებს, რაც მას და მის შვილებს უნდა გადასცემოდათ დროდადრო და გარკვეული რაოდენობით, ხოლო დანარჩენი ნაწილი შეენახათ მანამდე, ვიდრე მცირეწლოვანი ბავშვები არ გაიზრდებოდნენ და ფულის მიღებაზე ხელმოწერას შეძლებდნენ. რასაკვირველია, რომ ამ ფაქტის უკან იმალებოდა აღნიშნულ მცირეწლოვანთა გადაქცევა რუსეთის ხელისუფლების მუდმივ მონა-მორჩილად. დანარჩენი 75000 მან. ასევე უნდა დანაწილებულიყო ალექსანდრესა და მის უმცროს ძმებს შორის. რაც შეეხება ჩუბუხევის მამულს, ის გადაეცა იმპერიის ხაზინას [164,64].

ამასთან ერთად, რუსეთის ხელისუფლება ვეღარ ითმენდა დადიშგელიანების რომელიმე წარმომადგენლის სვანეთში დატოვებას. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „კონსტანტინე დადიშგელიანის ძმების სვანეთი-

დან მოცილების შემდეგ იქ დარჩა ორივე, სახელდობრ ჯანსუხისა და ოთარის შტოს წარმომადგენლები. ჯანსუხის მხრიდან თენგიზი, რომელიც მართავს ეცერსა და ბეჩოს, ხოლო დანარჩენები... კიდევ ცხოვრობენ... სვანეთის საბოლოოდ დაშოშმინების, დავისა და უსიამოვნების თავიდან მოსაცილებლად მეტად სასარგებლო იქნებოდა გაგვეძევეებინა იქიდან რაიმე მოხდენილი საბაბით, თავადები: მიხეილი, ჯანსოხი და ბექირბი დადეშკელიანები... მაგრამ ისე, რომ გაძევებას არ ჰქონოდა იძულების ან დასჯის ხასიათი“ [160,382].

მალე გამოიცა ახალი ბრძანება, რომლის მიხედვით – „კონსტანტინეს მცირეწლოვანი შვილებიც უნდა წაეყვანათ ციბიირის კადეტთა კორპუსში, სადაც უკვე იმყოფებოდა მათი უფროსი ძმა მოსოსტრი, ხოლო რუსუდანი-სათვის მიეცათ წინადადება ან დარჩენილიყო აფხაზეთში თავის ნათესავებთან ან წასულიყო ომსკში მის შვილებთან ერთად“ [164,25].

მაგრამ რუსუდანის თხოვნა იმპერატორისადმი, რომ დროებით ისევ დაეტოვებინათ ის და თავისი შვილები ქუთაისში, შეწყნარებულ იქნა და 1860 წ. 29 დეკემბრის დადგენილებით, ისინი დატოვეს ქუთაისში, ვიდრე შვილები გაივლიდნენ სათანადო მომზადებას სამხედრო სასწავლებელში შესასვლელად [164,127].

1866 წ. კონსტანტინეს მცირეწლოვანი შვილებიც განაწესეს რუსეთის იმპერიის სამხედრო სასწავლებლებში [165,368].

ერთი სიტყვით, რუსეთის თვითმპყრობელმა მოხელეებმა სვანეთში რეალურად მათი პოლიტიკისათვის ხელშემშლელი პიროვნება დადიშგელიანთა შტოდან არ დატოვეს.

ბეჩოში, რომელიც ხაზინის საკუთრებად იყო გამოცხადებული, დარჩენილი იყვნენ ოთარის ვაჟები: ლევანი და ბექირბი, ხოლო დანარჩენები ადრიდანვე გადასახლებულ იქნენ ბალყარეთში სოფ. ბალსანბაშში თავიანთ ნათესავ ურუსბიეებთან [165,161].

ეცერ-ცხუმარს კი ჩვეულებრივი მემამულის უფლებით განაგებდა ჯანსუხის შვილი თენგიზი, რომელიც შემდეგში რუსეთის ერთგული მსახური გახდა.

1859 წ. ბარიატინსკიმ სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც იგი სვანეთის საბოქაულოს დაარსებას თვლიდა საჭიროდ. სამხედრო მინისტრმა ეს მოხსენება გააცნო იმპერატორს, რომელმაც დასტური მისცა, გაიცა ბრძანება სვანეთში საბოქაულოს დაარსების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა რუსეთი მთელი სვანეთის საბოქაულოს დაარსებას წყვეტდა, მას ბალსზემო სვანეთში საქმე მოგვარებული ჰქონდა. უშუალოდ საზოგადოება, რომელიც ეურჩებოდა იქაურ ბოქაულ მიქელაძეს, 1857 წ. პოლკოვნიკმა უსლარმა, ლაშხეთელი მღვდლის სიმონ გაბიანის დახმარებით, კვლავ დააფიცა რუსეთის ქვეშევრდომობაზე [107,88].

1858 წ. აგვისტოში გაუქმებულ იქნა 1833-1834 წლებში გაცემული სამფარველო სიგელები, გაერთიანდა ბალსქვემო და ბალსზემო სვანეთი და დაწესდა ერთი საბოქაულო, „რომლის შტატში ირიცხებოდნენ: ერთი ბოქაული, მისი თანაშემწე, ერთი საქმის მწარმოებელი, ერთი თარჯიმანი, ორი მწერალი და თორმეტი იასაული“ [165,1]; [166,323]. რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ შესაბამის თავში. თუ 1847 წ. დაარსებულ „იფარ-მულახის“ საბოქაულოს ბოქაულს მიქელაძეს უფლება ჰქონდა სვანეთში ყოფილიყო, მხოლოდ გარკვეული დროით, ახლა ახალ ბოქაულს იღია ამირეჯიბს მიეთითა, რომ მისი რეზიდენცია იქნებოდა სოფ. ბეჩოში და იგი ვალდებული იყო მუდმივად იყო ყოფილიყო. იღია ამირეჯიბის განკარგულებაში იყო ორი ცხენოსანი და ათი ქვეითი ჩაფარი [160,249]. შეიქმნა ადგილობრივი სასამართლო, რომელშიც შედიოდნენ ხუთი მდივანბეგი, ერთი თანაშემწე, ერთი დამტარებელი და ორი ცხენოსანი. სასამართლოს გამგებლობა ეკისრებოდა ბოქაულს. იგი განაგებდა სამოქალაქო საქმეებს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები უნდა განხილულიყო ლეჩხუმის მაზრის უფროსის მიერ, რადგან სვანეთის საბოქაულო ლეჩხუმის მაზრაზე იყო მიწერილი [153,109]; [118,317-318].

ასე მოხდა სვანეთის სამთავროს და შემდეგ კი მისი ავტონომიის გაუქმება.)

თავი IV სვანეთი XIX საუკუნის II ნახევარში

§ 1. საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება სვანეთში

როგორც ცნობილია, 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტით რუსეთის იმპერიის რუსულ გუბერნიებში ბატონყმობა გაუქმებულად გამოცხადდა, რისთვისაც მზადება ჯერ კიდევ 1856 წლიდან დაიწყო. პროფ. ალ. ბენდიანიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია— ცდილობდა კვალში მოჰყოლოდა მოვლენების განვითარებას“ [1,74] და კავკასიის მეფისნაცვლის ფელდმარშალ ა. ბარიატინსკის განკარგულებით 1857 წ. შეუდგა საგლეხო რეფორმის მომზადებას საქართველოში. შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1864 წ. 13 ოქტომბერს, იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ უკვე დაამტკიცა „დამატებითი წესები 1861 წ. თებერვლის დებულებისადმი საბატონო გლეხთა განთავისუფლების შესახებ თბილისის გუბერნიაში“. ამავე წლის 8 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში გამოცხადდა ბატონყმობის გაუქმება. ანალოგიური დებულება, გარკვეული დამატებითი წესების დართვით და „დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოციალური წყობის თავისებურებათა გათვალისწინებით“, შემუშავდა დასავლეთ საქართველოსთვის, რომელიც იმპერატორმა დაამტკიცა 1865 წ. 13 ოქტომბერს უპ. ყოვლისა იმერეთის, გურიის, რაჭისათვის, ხოლო შემდეგ 1866 წ. 1 დეკემბერს სამეგრელოსათვის, 1870 წ. 8 ნოემბერს აფხაზეთისათვის, ხოლო 1871 წ. 8 ოქტომბერს სადადიშგელიანო სვანეთისათვის.

სვანეთში საგლეხო რეფორმა ერთდროულად არ გატარებულა.

სამეგრელოსა და ლეჩხუმისათვის 1866-1867 წლებში შედგენილი სათანადო დებულება ითვალისწინებდა მთელ სვანეთში საგლეხო რეფორმის გატარებას, მაგრამ ფაქტობრივად იგი მხოლოდ ქვემო სვანეთს შეეხო და ისიც ქვემო სვანეთის იმ ნაწილს, რომელიც დადიანს სამამულო უფლებებით ექვემდებარებოდა. ეს იყო ლენტეხის საზოგადოება და ლაშხეთის თემის სოფ. სასაში. სათანადო დოკუმენტებში ალბათ, ამიტომაცაა გამოკვეთილად ნათქვამი მხოლოდ ლენტეხზე, რომ „Лентехцы облажени как глехи обыкновенною бегарою и пользуются также как Лечхумцы

землею“ [2, 492], მაშინ, როცა არაფერია ნათქვამი ლაშხეთის დანარჩენ და ჩოლურის თემებზე.

მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ამ მომენტს არ აქცევს ყურადღებას და თვლის, რომ სადადიანო სვანეთში საგლეხო რეფორმა გატარდა ერთსა და იმავე დროს და იმავე ფორმით როგორც საერთოდ სამეგრელოში, რაც მთლად მართებული არ არის.

ამ საკითხთან დაკავშირებულ მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის მოხელეებს სვანეთში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარების პროცესში ამ რეგიონის კონკრეტულ თავისებურებათა შესწავლისათვის შესაბამისი ყურადღება არ მიუქცევიათ და, აქედან გამომდინარე, რაიმე გამონაკლისის დაშვება“, კერძოდ, იქ „ქვემო სვანეთში, მიზანშეწონილად არ ჩაუთვლიათ“ [3, 157].

1863 წ. რუსეთის მთავრობამ მაშინდელ სამეგრელოს მმართველს გ. ვლასტოვს დაავალა – შეექმნა სამეგრელოში საგლეხო რეფორმის კომისია, რომელსაც ასევე უნდა შეესწავლა სვანეთში საგლეხო რეფორმის საკითხიც. კომისიის ადგილსამყოფელი იყო ზუგდიდი. ორი წლის შემდეგ, 1865 წ. ეს კომისია შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ როგორც პროფესორი გ. გასვიანი აღნიშნავს, ვლასტოვს და „მის მიერ შექმნილ კომისიას ოდნავი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა სვანეთის კონკრეტულ ვითარებაზე“ [4, 55].

აღნიშნულმა კომისიამ საქმიანობა სამეგრელო-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთით დაიწყო. პარალელურად ცდილობდა სადადიშგელიანო და ბალსზემო სვანეთის მდგომარეობის შესწავლასაც.

ამ კომისიის საქმეში ჩაუხედავობა და, საქმისადმი რუსეთის ინტერესების კუთხით მიდგომა თუნდაც იმაში ჩანს, რომ საგლეხო რეფორმა ქვემო სვანეთში სამეგრელოს დებულებით მხოლოდ ლენტეხის საზოგადოებასა და, საერთოდ, დადიანის კუთვნილ ნაწილში გატარდა 1867 წელს. დანარჩენ ორ საზოგადოებას კი ეს რეფორმა თავიდან არ შეხებია. მკვლევარ გ. გულბანის სამართლიანი აღნიშვნით, „საგლეხო რეფორმამ მნიშვნელოვნად განსხვავებული ფორმა მიიღო დანარჩენ ორ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ჩოლურში“, სადაც რეფორმა გატარდა ორი წლის მოგვიანებით 1869 წელს [5, 235].

„გარდაფხაძეებმა, – წერს გ. გულბანი, – 1869-70 წლებში გააფორმეს მთელი რიგი ხელშეკრულებანი თავიანთ გლეხებთან და შეადგინეს საწესდებო სიგელები, რომლის ძალითაც ჩამოაჭრეს გლეხებს საუკეთესო მიწე-

ბი. გლეხებს ნადელის სახით დაუტოვეს მწირი სახნავ-სათესი მიწები 1 1/2-2 ქვევის ოდენობით, ხოლო სამოსახლო – 1/3-1 ქვევამდე“, მისივე განცხადებით, – რეფორმამდე ჩოლურის საზოგადოებაში 5 ქვევაზე ნაკლები მიწა თითქმის არც ერთ ოჯახს არა ჰქონია“ [5, 235-236].

ასეთივე მდგომარეობა იყო ლაშხეთშიც, სადაც გელოვანები პირველობდნენ, მაგრამ არც გარდაფხაძეები აკლებდნენ მძლავრობას. 1869 წ. გელოვანებმა ყოველ განთავისუფლებულ მამაკაცზე მიიღეს 25 მანეთი ვერცხლით.

1899 წელს გამოცემულ ე. კონდრატენკოს სტატისტიკური მონაცემების კრებულის მიხედვით, ქვემო სვანეთის გლეხობის 582 კომლმა 387 დესეტინა სახმარი მიწა დაკარგა. ლენტეხის საზოგადოების 194 დროებითვალდებულ გლეხს დადანიისათვის უნდა გადაეხადა 712 მანეთი. გარდაფხაძეებისათვის ჩოლურის თემის 133 დროებითვალდებულ გლეხს უნდა მიეცა 1536 მანეთი, 270 ფუთი პური, 14 ფუთი ღვინო, 143 ფუთი თივა და ჩალა და 8 ფუთი ლობიო. რაც შეეხება ლაშხეთს, იქ 255 დროებითვალდებული გლეხი გელოვანებს უხდიდა 2499 მანეთ ფულად თანხას, 587 ფუთ პურს, 81 ფუთ თივასა და ჩალას და დამატებით 6 ფუთ ლობიოს [6, 167-171].

არსებობს სხვა მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც ლენტეხისა და ლაშხეთის საბატონო გლეხებისათვის განთავისუფლების მომენტში ჩამოუჭრიათ 194 დესეტინა მიწა. ქვემო სვანეთის 449 კომლი დროებითვალდებულ გლეხს ნადელებად მიუღია 744 დესეტინა მიწა. აქედან საკარმიდამო იყო – 50, სავენახო – 57, ხოლო სახნავ-სათესი 637 დესეტინა მიწა. კომლზე საშუალოდ ითვლებოდა 1,8 დესეტინა ნადელი [7, 91]. შედარებისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ „რაჭის გლეხებმა ჩამონაჭრების სახით დაკარგეს რეფორმამდე მათ სარგებლობაში არსებული მიწების მესამედი, რის შემდეგაც კომლზე საშუალოდ დარჩათ 1,9 დესეტინა. ლეჩხუმში ნადელების ფართობი კომლზე საშუალოდ შეადგენდა 2,1 დესეტინას, გურიის კი – 1,3 დესეტინას“. [8,7].

რეფორმით გათვალისწინებული იყო, რომ ქვემო სვანეთის გლეხობას ნადელებით სარგებლობისათვის, მათ გამოსყიდვამდე, უნდა ეხადა მოსავლის მეოთხედი ნაწილი ან მისი შესაბამისი ფულადი გამოსალბები. ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვემო სვანეთის გლეხობამ ჩამონაჭრების სახით დაკარგა მიწის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. თავადაზნაურობამ თავისი (სათავისთავო) ადვილ-მამული უკლებრივ შეინარჩუნა.)

(ასე, რომ ქონებრივი თვალსაზრისით, საგლეხო რეფორმამ კი არ გააუმჯობესა, არამედ პირიქით გააუარესა ქვემო სვანეთის დროებითვალდებულ

გლებთა მდგომარეობა, რასაც გრძნობდნენ და აღიარებდნენ კიდევ რუსეთის მოხელეები. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ლევაშოვი კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ რომანოვს სწერდა: „სამწუხაროდ ვერ დაუმაღლე თქვენს უმაღლესობას, რომ ახლახან შესაძლებლობა მომეცა ახლო მეგრძნო თუ რამდენად მძიმე აღმოჩნდა საგლებო რეფორმა სადადიანო სვანეთის ყოფილ საბატონო გლებობისათვის. წინათ ისინი არ იყვნენ ვალდებული არანაირი ნატურალური გადასახადით მემამულეთა სასარგებლოდ და მთელი მათი დამოკიდებულება გამოიხატებოდა მცირედი ფულადი თანხის გადახდაში, რომლის შედარებაც კი არ შეიძლება ახლანდელთან, რასაც ისინი იხდიან სასოფლო-სამეურნეო შემოსავლიდან არსებული საწესდებო სიგელების მიხედვით“ [9, 521].

მართლაც, საგლებო რეფორმით დროებით ვალდებულ გლებებს ნატურალური გადასახადი იმდენად მძიმე იყო, რომ გლებებმა მოითხოვეს მისი შეცვლა ფულადი გადასახადით [9, 521]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო სვანეთის ყმა გლებები რეფორმამდეც აყენებდნენ მოთხოვნას ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლის შესახებ. „იგინივე იხვეწებთან, – წერდა დ. ყიფიანი, – რომ სამსახური მათი შეცვლილ იქმნეს, გარდეკეთოსთ ფულზედ. რისთვისაც იძლევიან შეძლებულნი კომლზედ 15 მანეთამდის, ზოლო ღარიბნიც თავის შეძლებისდა გუარად“ [10, 28]. საქმე იმაში იყო, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში მათ საშოვარზე გასვლის მეშვეობით ფულის შოვნა უფრო ეადვილებოდათ, ვიდრე მცირემოსავლიან სვანეთში ნატურის სახით ვალის გადახდა.

(XIX ს. 70-80-იანი წლებისათვის, ქვემო სვანეთის დროებითვალდებული გლებობის აბსოლუტური უმრავლესობა იძულებული იყო ღალა ფულით დაეფარა.)

ქვემო სვანეთის დროებითვალდებული გლებები, რომლებიც მძიმედ იყვნენ დაბეგრილი, ცდილობდნენ ნადლეების გამოსყიდვას, მაგრამ ამ პროცესს სხვა ფაქტორებთან ერთად აფერხებდა ძირითადად სამი რამ: პირველი. მათ არ შეეძლოთ მემამულესთან შეთანხმების გარეშე ნადელის გამოსყიდვა, მეორე. სვანეთში მიწა ძალიან ძვირი ღირდა და მისი გამოსყიდვა გლებებს უძნელდებოდათ. მესამე და მთავარი. გლებებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ სანადელო მიწების გამოსყიდვაში მთავრობა დაეხმარებოდა. აი რას ვკითხულობთ მაშინდელ პრესაში: „ამ უკანასკნელ წლებში დიდ სურვილსა და მეცადინეობას იჩენენ გლებები მიჩენილ ადგილ-მამულის გამოსყიდვისას. ბევრმაც გამოისყიდა და გახდა სრული მესაკუთრე. ეს საქმე ერ-

თი ათად წინ წავიღოდა, გლეხებს რომ იმთავითვე შეევნოთ ნამდვილი გარემოება ამ საქმისა და არ გაჰყოლოდნენ უსაფუძვლო იმედებს: უმეტესი ნაწილი გლეხკაცობისა დარწმუნებული იყო, რომ ამ ადგილ-მამულს მთავრობა გამოისყიდის მებატონისაგან, რასაკვირველია, ძლიერ იაფად და ჩვენ გვაკუთნებსო. ამ იმედით გატაცებული გლეხობა დარწმუნდა, რომ ვცდებოდითო, და თვითონ მოკიდეს ხელი, თვითონვე ურიგდებიან ნაბატონარებს ადგილმამულზე და მესაკუთრენი ხდებიან“ [11, №231].

დ. ბაქრაძის განმარტებით, XIX ს. 90-იან წლებისათვის ლეჩხუმის მაზრაში „ადგილ-მამული გამოუსყიდნია და გამხდარა სრული მესაკუთრე-ცხრას ოთხმოცდა ხუთი კომლი. ამათ შეუსყიდიათ მიჩენილი – ადგილ-მამული: თხუთმეტიათას რუაას ოთხმოცდათექვსმეტი ქცევა. ფასი გადაუხდიათ ამისი: ორასოცდარიათას ორას სამოცდახუთი მანეთი. იმ გლეხთა რიცხვი, რომელთაც შინაური ნასყიდობა ჰქონიათ ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებამდის და რომელნიც ბატონთან მოძრიგებლის შუამავლის რჩევით მორიგებულან შეადგენს ათასრუაას ოთხმოცდაცხრა კომლს. ამათ ჰქონიათ ათიათას ექვსას ოთხმოცი შინაური საბუთი. ამ საბუთებში მებატონეებს მიუციათ ნებაყოფლობით გლეხებისათვის საკუთრებად ათას ცხრაას ოთხმოცდა თექვსმეტი ქცევა ადგილ-მამული და გლეხებსაც მოუსპიათ დავა და საჩივარი“ [11, №231].

თუ რამდენმა გამოისყიდა ნადელი ცალკე ქვემო სვანეთში, ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ ვარაუდით შეიძლება დავასკვნათ, რომ XX ს-ის დამდეგამდე ქვემო სვანეთის დროებითვალდებულ კომლთა მესამედმა მაინც მიაღწია სანადელო მიწის ხელში ჩაგდებას.

საგლეხო რეფორმამ, ცხადია, ხელი შეუწყო და უფრო გააღვივა ყოველგვარი სახნავი, სათიბი, საძოვარი მიწის და ტყის ყიდვა-გაყიდვის პროცესი.

გლეხობა ტყესა და საძოვრებს თავადებისაგან ყიდულობდა. ამ უკანასკნელებს კი დიდძალი ადგილ-მამული ჰქონდათ შენარჩუნებული. ერთ-ერთ საარქივო ცნობით [12], 1906 წლისათვის ქვემო სვანეთის თავადები გარდაფხაძეები ფლობდნენ 6000 დესეტინა მიწას. გელოვანებს, გარდაფხაძეებს და რამდენიმე თანამონაწილეს დადიამის მთაზე 1000 დესეტინა ფართობი ეკუთვნოდათ. გელოვანებს ჩუკულის მთაზე – 1000 დესეტ. ათასობით დესეტინა ეკუთვნოდათ ისევ გელოვანებს ნაცულის და მელეს მთებში [13, 376-384]. მემამულეები გლეხობას ტყეებსა და საძოვრებს იჯარითაც აძლევდნენ. იჯარით აძლევდნენ სახნავ-სათიბ მიწებსაც.

ბატონყმური გადმონაშთები საგლეხო რეფორმის შემდეგაც მძიმედ აწ-
ვა ქვემო სვანეთის მოსახლეობას.

* * *

ზემო სვანეთში, კერძოდ, ბალსქვემო ანუ სადადიშგელიანო სვანეთში, საგლეხო რეფორმა 1866 წლამდე დაიწყო, მაგრამ მისი გატარება ქრონო-
ლოგიურად არ დაემთხვა ქვემო სვანეთს. ეს მოხდა არა იმდენად ქვემო და
ბალსქვემო სვანეთში „საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვა-
დასხვაობის“ გამო, როგორც ეს მკვლევართა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია,
არამედ იმის გამო, რომ ქვემო სვანეთი სამეგრელოს შემადგენელი ნაწილი
იყო და იქ რუსეთის ხელისუფლებას საგლეხო რეფორმის იმავე დროს და
იმავე პირობებში გატარება აძლევდა ხელს. რუსეთის მოხელეები კარგად
ხედავდნენ თუ რა წინააღმდეგობა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სვანეთში, ეგ-
რერიგად ძვირად ღირებულ მიწის საკითხის არა მორგებულად გადაწყვე-
ტას, ამიტომაც ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ მოსალოდნელი წი-
ნააღმდეგობანი და თიშავდნენ სვანეთს ერთმანეთისაგან. ქვემო სვანეთი მათ
სვანეთად აღარ ესახებოდათ, მთავარ საფრთხეს ზემო სვანეთში ხედავდნენ.)
ამიტომაც წერდა გ. ვლასტოვი კაკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმარ-
თველოს უფროსს: „При разрешении крестьянского вопроса в крае,...
представляется необходимым обратить особенное внимание на так
называемую Княжескую или Дадешкелиановскую Сванетию... ко-
торая вместе с Вольной Сванетией составляет совершенно особен-
ный мир... Сванеты народ, не легко управляемый, и готовый ока-
зать сопротивление при всяком сопряжении, колеблющем их веко-
вые обычаи. Сопротивление это выражается защитой себя воору-
женною рукою...“ [9, 515]. ამიტომაც თვლიდნენ რომ ზემო სვანეთში
საგლეხო რეფორმის გატარების დაწყება „შეიძლება მხოლოდ იქ სამხედ-
რო ძალების შეყვანისა“ და მათ „სრულ მორჩილებაში მოყვანის“ შემდეგ
[9, 519]. სწორედ აქედან გამომდინარე იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნა-
ტორის ლევაშოვის 1869 წელს სერიოზული ამაღლის თანხლებით მგზავ-
რობა სვანეთში [9, 520].)

ცარიზმის მოხელეთა მიმოწერასა და ანგარიშებში ზემო სვანეთში საგ-
ლეხო რეფორმის გატარების დამაბრკოლებელ ფაქტორებად წარმოდგე-
ნილია: სამიმოსვლო გზების უვარგისობა, მაშინ, როდესაც იმავე მოხელე-
ებს სვანეთში სამხედრო ექსპედიციების მოწყობის პროცესში, არც რეფორ-

მამდე და არც რეფორმის შემდგომ „უგზობა“ არ უშლიდათ ხელს; „მუსულმან დადიშეკელიანების“ საკითხის მოუგვარებლობა; დადიშეკელიანებს შორის არსებული შუღლი და მტრობა, მმართველობისათვის პირობების მოუმზადებლობა, სამეგრელოსა და სვანეთს შორის საბალახოების გამო წამოჭრილი დავა და სხვ.

1866 წ. იანვარში სამეგრელოს მმართველმა გ. ვლასტოვმა დაავალა სვანეთის ბოქაულის თანამშემწეს თენგიზ დადიშეკელიანს, რომ მოემზადებინა საბატონო სვანეთში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის სათანადო დოკუმენტაცია და ჩამოეტანა ზუგდიდში განსახილველად. ამ მასალებში უნდა ყოფილიყო წინადადებანი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო გლეხთა განთავისუფლება, ასევე თავადაზნაურთა წოდების დამადასტურებელი საბუთები, მათი ყმებისა და მამულების რაოდენობა, ცნობები დადიშეკელიანებსა და ყმა-გლეხობას შორის საადგილმამულო ურთიერთობათა საგადასახადო სისტემის შესახებ და სხვ.

ორი თვის შემდეგ, 1866 წ. 14 აპრილს, თენგიზ დადიშეკელიანი ჩავიდა ზუგდიდში სათანადო დოკუმენტაციით. [14] მაგრამ აღნიშნულ წელს გლეხთა განთავისუფლების საკითხი ვერ გადაიჭრა. სხვათა შორის თენგიზი უმტკიცებდა ვლასტოვს, რომ „სანადელო გლეხები სვანეთში უფრო მძიმე გადასახადებს იხდიან ვიდრე სამეგრელოში. მოჯალაბეები, რომლებიც ეწევიან სამსახურს, არ ფლობენ ნადელებს, მაგრამ ნაყიდნი არიან ძალიან ძვირ ფასებში (600-იდან 800 მანეთამდე). თენგიზი სთხოვდა ვლასტოვს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ცნობების სისწორე შეემოწმებინათ ადგილზე – სვანეთში.

თენგიზ დადიშეკელიანის ცნობების მიხედვით, თვით თენგიზი თავის ძმებთან ერთად ფლობდა 132 კომლს, სადაც ითვლებოდა 603 მამრ. სქესის მცხოვრები, ხოლო ბეჟირბი კი 57 კომლს 239 მამაკაცის შემადგენლობით [9, 516]. თენგიზი გლეხთა განთავისუფლების თანახმა იყო ოღონდ „С условием, оставить его фамилии достаточное количество земли для собственного помещичьего хозяйства и с просьбою обеспечить существование их фамилии взамен земли, имеющей быть данной крестьянам, и повинностей, ими платимых“ [9, 517].

რუსეთის მოხელეები თენგიზის თანხმობას ერთგვარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ ძალზე აფიქრებდათ სვანეთში არსებულ მინდობილ ანუ ხიზან გლეხთა და მოჯალაბეთა საკითხი. თენგიზის ცნობებით თავისუფალ ანუ ბალსზემო სვანეთში 31 აზნაურს ჰყავდა 151 სული, როგორც მამრო-

ბითი ასე მდებარობითი სქესის მოსამსახურე, რომლებიც მეპატრონეებს ნაყიდი ჰქონდათ საკმაოდ ძვირ ფასებში. თუ მათ რუსეთის ხელისუფლება განთავისუფლებდა, მაშინ მეპატრონეებისათვის, წესით, უნდა მიეცა იმდენი თანხა, რამდენიც მეპატრონეებმა გადაიხადეს. ეს კი რუსეთის მთავრობის ზაზინას ხელს არ აძლევდა. ისიც გადასაწყვეტი იყო თუ რა ექნათ მოჯალაბეთა და მონდობილთათვის განთავისუფლების შემდეგ. ვლასტოვის აღნიშვნით „Самые освобождённые, не имея ни крова, ни занятия, ни хлеба, ни средств заработать его, и привыкшие, между тем, к горному воздуху, будут поставлены в худшее против у прежнего положение, так что обе стороны будут недовольны разрешением вопроса“ [9, 517].

ვლასტოვის აზრით, მომავალში, ამ რთულ საქმიდან გამოსავალი ერთი იყო: ყველა ახლადშობილი გამოცხადებულყო თავისუფლად ყმობისაგან და სვანეთში და სვანეთის გარეთ, საერთოდ აკრძალულიყო მათი ყიდვა-გაყიდვა.

ვლასტოვის მოსაზრებით, რომელმაც რუსეთის მოხელეთა შემდგომ მოქმედებაში თითქმის მთლიანად დაიმკვიდრა ადგილი, სვანეთში საგლეხო რეფორმის განსახორციელებლად საჭირო იყო შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

– თენგიზ დადიშგელიანისა და მისგან გაუყოფელ ძმების გლეხთა განთავისუფლება უნდა მომხდარიყო მიწიანად, ისე რომ მიწა გლეხების საკუთრებაში გადასულიყო დროებითვალდებულებების გარეშე. მხოლოდ საამისოდ საჭირო იყო მეპატრონეებსა და გლეხებს შორის თანხმობა.

ოთარის მამულები მისი ყაზარდოში საცხოვრებლად გადასახლების გამო უნდა გადასცემოდა ზაზინას.

– უნდა დაზუსტებულიყო ხიზანთა და მოჯალაბეთა მდგომარეობა, მათი რაოდენობა და მემამულებთან დამოკიდებულება.

– უნდა შექმნილიყო ნამდვილი სურათი იმ გადასახადებისა და ვალდებულებების შესახებ, თავისუფალ სვანეთში გლეხთა ზოგიერთი ნაწილი რომ იხდიდა აზნაურთა სასარგებლოდ.

– უნდა შეკეთებულიყო გზა, ჩაეყენებინათ სვანეთში სპეცრაზმი, რაც ხელს შეუწყობდა რუსეთის ხელისუფლების ნორმალურად განხორციელებას და სხვ. [9, 517-518].

სხვათა შორის, მეფის ხელისუფლებას თავისუფალ სვანეთში უკვე დაწყებული ჰქონდა სამხედრო ყაზარმის მშენებლობა, რისთვისაც გამოყო

ფილი იყო თანხა 560 მანეთის რაოდენობით [15, 72] და ასევე მზადდებოდა საპატიმროებიც [16, 78].

საარქივო ცნობის თანახმად, მეფის მოხელეებმა 1867 წლის ბოლოსათვის ზედაპირულად უკვე შეაგროვეს ცნობები სვანეთის გლეხთა რაოდენობის შესახებ, რომლის მიხედვითაც „როგორც საბატონო ისე თავისუფალ სვანეთში იყო 2728 სული მამრობითი და 2131 სული მდედრობითი სქესის სახაზინო, ხოლო 997 მამრობითი და 662 მდედრობითი სქესის საბატონო გლეხი“. [17, 12].

გლეხთა რაოდენობით ასეთი დაინტერესება დაკავშირებული იყო დადიშგელიანების მოთხოვნასთან, რომ ხაზინას მათთვის თითოეული სული განთავისუფლებული ყმა მამაკაცისათვის მიეცა 50 მანეთი. დადიშგელიანები კი თავის მხრივ თანახმა იყვნენ განთავისუფლებულ გლეხისათვის მიეცათ 4 ქცევა სახნავ-სათესი მიწა, იმ პირობით, თუ დანარჩენი მიწა, რაც გლეხებს მანამდე ჰქონდათ ის მათ დაუბრუნდებოდა.

ქუთაისის გუბერნატორს დადიშგელიანის მოთხოვნა მისაღებად მიაჩნდა თუკი ეცერ-ცხუმარის გლეხობა ამის თანახმა იქნებოდა.

ასეთი შეთანხმებაც მოხდა. 1869 წ. მეფის ხელისუფლების შესწავლას ხელთ ჰქონდათ შეთანხმება ეცერის მებატონეებსა და გლეხებს შორის, რომლის თანახმად დადიშგელიანები უთმობდნენ გლეხებს 4 ქცევა სახნავ-სათესს და სათიბ მიწას და კარმიდამოს და ამის შემდეგ ყველა ვალდებული იქნებოდა წყდებოდა. გლეხებს გარკვეულ ფარგლებში შეეძლოთ ესარგებლათ ხე-ტყით და საძოვრებით, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის თითოეულ კომლს უნდა გადაეხადა წელიწადში 5 მანეთი [9, 537].

1869 წ. ივლისში რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით, სვანეთი შემოიარა ქუთაისის გუბერნატორმა ლევაშოვმა. მან დაითანხმა დადიშგელიანები, რომ განთავისუფლებულ გლეხებისათვის მიეცათ 4 დესეტინა სახნავ-სათესი და სათიბი მიწა, სამაგიეროდ დაპირდა, რომ უმაღლეს ხელისუფლებაში აღძრავდა საკითხს თითოეულ განთავისუფლებულ ყმა მამაკაცზე 50 მანეთით ანაზღაურების შესახებ.

ლევაშოვი სვანეთში ყოფნისას დარწმუნდა, რომ იქ საგლეხო რეფორმის ნორმალურად ჩატარებისათვის საჭირო იყო გლეხთა დაუყოვნებლივ განთავისუფლება დროებით ვალდებულებათა გარეშე. რაც მოწონებულ იქნა საგლეხო კომიტეტის მიერ და მიზანშეწონილად ჩათვალა ეცერ-ცხუმარის 132 კომლი გლეხის განთავისუფლება ყოველგვარი დროებით ვალდებუ-

ბულების გარეშე. ამავე დროს, მთავრობა არ უნდა ჩარეოდა გლეხებისადმი მიწის გადაცემის პროცესში.

ეცერ-ცხუმარის მფლობელებს-ჯანსუხის მემკვიდრეებს – თენგიზს, გელას, ბეჭირბისა და მოსოსტრის – კერძო საკუთრებაში უნდა დარჩენოდათ ტყეები, საძოვრები და მათი მამულები და გლეხთა ჩამონაჭრები [9, 523].

რაც შეეხება ფარის ანუ ჩუბეხევის საბატონო ნაწილს – ფარის, ლახამულის და ენგურის ხეობას ხუდონამდე, კონსტანტინეს სიკვდილით დასჯის შემდეგ იქაური მიწები ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა [18, 305]. ერთ-ერთ საარქივო ცნობაში ჩუბეხევის მიწების ხაზინაზე გადაცემასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „Государь император соизволил весми-лостивейше назначить 150.000 руб. сер. из государственного казначества и разделив эту сумму на две равныя части, предоставить одну в пользу жены и детей князя Константина, в вознаграждение за оставленное в казне имение, а другую часть предоставит в пользу братьев взамен содержания, которое обязан был выдавать им князь Константин“ [19, 174]. ასე, რომ საგლეხო რეფორმის საკითხი იქ იმთავითვე გადაწყვეტილი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ბეროს, იქ სხვა ვითარება იყო. როგორც თავის დროზე აღინიშნა, 1858 წ. ოთარ დადიშგელიანმა ცოლად მაჰმადიანი ცოლი შეირთო და თვითონაც გამაჰმადიანდა, რის შემდეგაც ოჯახით ყაბარლოში გადასახლდა. ეს მთავრობამ ღალატად ჩაუთვალა და ბეროს მამულები ჩამოართვა და ხაზინას გადასცა, მაგრამ ყაბარლოდან დაბრუნდა ოთარის უფროსი ვაჟი ბეჭირბი, რომელიც დაეუფლა მამის მამულს და ფლობდა მას 10 წელი [9, 518]. მალე დადიშგელიანთა საგვარეულოდან ხნით უფროსმა ივანე დადიშგელიანმა სთხოვა მთავრობას ბეროს მამულების მისთვის გადაცემა. ვიდრე ეს სადავო საკითხი გადაწყდებოდა, ეცერ-ცხუმარში გატარდა საგლეხო რეფორმა. ეცერ-ცხუმარის გლეხების მსგავსად ბეროს გლეხებმაც შეწყვიტეს დადიშგელიანებისათვის ვალდებულებათა შესრულება.

ბეროს თემში დადიშგელიანთა შორის ატეხილი დავა საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა.

ქუთაისის გუბერნატორი თვლიდა, რომ ბეროს მამულები შედარებით მწირი იყო და საჭიროდ მიიჩნევდა, რომ იქაურ გლეხებს, ეცერ-ცხუმართან შედარებით, მეტი მიწა უნდა გადასცემოდათ, რომ რაიმე უკმაყოფილებას არ ეჩინა თავი. მაგრამ ლევაშოვს, ამასთან ერთად არც რუს ჯარისკაცთა

ოჯახების შესანახად მიწების გამოყოფა ავიწყლებოდა ბეროს მამულების ხარჯზე [9, 528-529].

1871 წ. 11 აგვისტოს, ბეროს გლეხკაცობის განთავისუფლების საკითხი ოფიციალურად იქნა განხილული. ქუთაისის გუბერნატორი თვლიდა, რომ ბეროს მფლობელობაზე ბეჭირბისათვის უარის თქმა საქმეს არ არგებდა. ბეჭირბი ბეროს ყმა გლეხთა განთავისუფლებისათვის საზღაურს დაჟინებით მოითხოვდა. ეს საკითხი დიდხანს დარჩა სადავო საკითხად. ბოლოს, 1898 წელს გამოტანილ იქნა „უმაღლესი ბრძანება თავადთა ოთარაშვილებსა (ბეროს დადიშგელიანებს ასე უწოდებდნენ) [20] და დადიშგელიანებს შორის ბეროდ წოდებულ მამულის გამო ატეხილ დავის შესახებ“, რომელშიც ვკიხთულობთ: „შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების მოსმენის შემდეგ, 1898 წლის 25 აპრილს თავ. ოთარაშვილებისა და დადიშგელიანის დავის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ბეროს მამულის გამო, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1) მიეცეთ „ნადელად“ ბეროს მამული გლეხებს, რიცხვით 114 კომლს, მიწა, თითო კომლს ათ-ათი ქცევა;

2) დაენიშნოს თავად ივანე დადიშგელიანს ჯილდო ზაზინიდან ას-ასი მანეთი თითო მამაკაცის ყმის განთავისუფლებისა და იმ მიწისათვის, რომელიც ამ გლეხებს ნადელად მიეცემათ 363 სულის კვალობაზედ, საერთო რიცხვით სულ ოცდათექვსმეტი ათასი მანეთი.

3) თავად ოთარაშვილის უზრუნველსაყოფელ ფულის რაოდენობად აღნიშნულ იქმნას ოცდათექვსმეტი ათასი მანეთი, ამას გარდა იმათ საშვილიშვილო სამფლობელოდ დარჩენილ იქმნას სადგომი სახლი, რომელიც ბეროს მამულში იმყოფება, ყოველივე შენობებით, სახნავ და სათიბ ადგილებით, სულ 38 დესეტინა 239 ოთხკუთხი საჟ., აგრეთვე ნება მიეცეთ მათ ისარგებლონ თავიანთი კერძო საჭიროებისათვის ტყითა და ბეროს ადგილებით.

4) თავადი ივანე დადიშგელიანისათვის ზაზინიდან მისაცემი ფული, მე-2 მუხლის თანახმად, ოცდათექვსმეტი ათასი მანეთი გადაეცეს იმის, თავად დადიშგელიანის ანგარიშში, თავად ოთარაშვილებს ურთიერთ შორის გასანაწილებლად სამოქალაქო კანონების ძალით.

5) ვიდრე ბეროს მამული თავად ივანე დადიშგელიანს მიეცემოდეს, გამოეკლოს ამ მამულს 44 დეს. 1,138 ოთხ-კუთხი საყენი, რომლითაც ადგილობრივი ეკლესიები სარგებლობდნენ, აგრეთვე ის მიწის ნაწილები, რომელზედაც სახაზინო შენობები და სამოხელეო სახლებია აგებული ადგი-

ლობრივ სასამართლო და საპოლიციო მოხელეთათვის და

6) მიენდოს კავკასიის მთავარ-მართველს, იმ შემთხვევაში, თუ თავ. და-
დიშეკელიანი შუამდგომლობას აღძრავს იმის შესახებ, რომ მომეცეს ჯილ-
დო იმ მიწისათვის საზაზინო შენობასა და სადგომებს უჭირავსო, განსაზ-
ღეროს ამ ჯილდოს რაოდენობა და წარუგზავნოს ეს შუამდგომლობა ფი-
ნანსთა მინისტრს საჭირო განკარგულებათა მოსახდენად.

ხელმწიფე იმპერატორმა, 1898 წ. 29 მაისს, კომიტეტის ესე დადგენი-
ლება უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა“ [21, №214].

როგორც ვხედავთ, ბალსქვემო სვანეთში საგლეხო რეფორმის ბოლო
აკორდი ბეზო იყო.

საგლეხო რეფორმა გარკვეულწილად შეეხო ბალსზემო სვანეთსაც.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზემო სვანეთში საგლე-
ხო რეფორმის გატარების დროს ბალსზემო სვანეთში – ლატალში, ლენ-
ჯერში, მესტიაში, მულაზში, მუჟალში, წვირამში, იფარში, ადიში და კა-
ლაში ცხოვრობდა 31 აზნაურული ოჯახი [9, 517-518; 4, 131; 5, 251, 7,
101]. რომელთაც ჰყავდათ გლეხები, რომლებიც ვალდებული იყვნენ გადა-
ეხადათ ხსენებულ აზნაურებისათვის, კერძოდ, „ჯაფარიძეების, ქურდიანე-
ბის, იოსელიანების და დევდარიანებისათვის“ [9, 517-518] ხორბალი და
ქერი 20 კაპიკიდან 5 მანეთამდე ღირებულების წელიწადში. ასევე წელი-
წადში ერთხელ გამასპინძლებოდნენ და გაეწიათ მეგზურობა. სხვაძირივ
ეს გლეხები არ იხდიდნენ არც საბატონო, არც სამსახურეო და არც სხვა
გვარის გადასახადებს.

აზნაურებს ასევე ჰყავდათ ძალიან ძვირ ფასებში 600-800 მანეთად [22,
50] შესყიდული შინაყმები, რომელთა რაოდენობა, როგორც აღნიშნული
იყო, 151 სულს აღწევდა. აზნაურები რუსეთის ხელისუფლებისაგან მოი-
თხოვდნენ ასეთ შინაყმების განთავისუფლების შემთხვევაში მათთვის აე-
ნაზღაურებინა ის თანხა, რაც მათ ყმებში გადაიხადეს. ეს მთავრობას ხელს
არ აძლევდა და ცდილობდა საქმე ისე მოეგვარებინა რომ ხაზინა არ დაზა-
რალდებულყო.

მთავრობამ ხერხს მიმართა. 1869 წ. სვანეთში ყოფნის დროს ლევაშოვ-
მა მოსთხოვა აზნაურებს წარმოედგინათ შინა ყმები და მათ წინაშე ვალდე-
ბული გლეხები დამამტკიცებელი დოკუმენტაციით რეგისტრაციაში გასა-
ტარებლად. ასეთი საბუთები არც ჰქონდათ და ვერც წარმოუდგინეს აზნა-
ურებმა. ეს კი მოხერხებულად გამოიყენა ხელისუფლებამ თავისი ხაზინის
ინტერესების სასარგებლოდ და, ფაქტობრივად, 1870 წ. 1 იანვრიდან, აღ-

მინისტრაციული წესით, აკრძალა ყოველგვარი ვალდებულებანი გლეხებისათვის აზნაურების სასარგებლოდ. გლეხობას ბალსზემო სვანეთში ხელუხლებლად დარჩა მიწის ის ნაკვეთები, რომელთაც ისინი რეფორმამდე ფლობდნენ. რაც შეეხებოდა შინაყმებს, მეპატრონეებმა ანაზღაურება ვერ მიიღეს და ფაქტობრივად შინაყმებად დარჩნენ.

როგორც ვხედავთ (ბალსზემო სვანეთში არსებითად საჭირო არ შეიქმნა გლეხთა საკითხის გადაჭრა რეფორმის დებულებათა შესაბამისად. აქაური გლეხობა ადრიდანვე მიწის მესაკუთრე იყო და ძირითადად განთავისუფლებული იყო ბატონყმურ უღლისაგან. რეფორმით მოისპო აზნაურთა სიმბოლური ვალდებულებანი და ყმა-გლეხთა ყიდვა-გაყიდვა. აზნაურებისათვის საზღაურის მიცემა კი გადაუჭრელი დარჩა.

ასე განხორციელდა საგლეხო რეფორმა სვანეთში. თუ საქართველოს ბარის რაიონებში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარებაში ასე თუ ისე ჩარეული იყო თავადაზნაურობა, სვანეთში, ფაქტობრივად ეს საკითხი განხორციელდა ადმინისტრაციულ წესით. ამ ღონისძიების თავიდა ბოლო იყვნენ სამეგრელოს მმართველი გ. ვლასტოვი და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ლევაშოვი.

რეფორმის შედეგად სადადიანო სვანეთში ბატონყმურ ურთიერთობიდან განთავისუფლდა 449 კომლი. საბატონო სვანეთში (ეცერ-ცხუმარში) — 132 კომლი, ბეჩოში — 114 კომლი. სულ ზემო სვანეთში ბალსქვემო ნაწილში 246 კომლი, ხოლო მთელს სვანეთში — 795 კომლი.

ქვემო სვანეთში ძალაში დარჩა დროებითვალდებულება, ხოლო ზემოში — არა, რადგან აქ საერთოდ არ იქნა ის შემოღებული.

ბატონყმობა სადადიანო სვანეთის ლენტეხისა და ლაშხეთის თემის სოფ. სასაშში გაუქმდა 1867 წელს, ლაშხეთსა და ჩოლურში 1869-1870 წწ. სადადიშგელიანო სვანეთის ეცერ-ცხუმარში 1871 წ. 8 ოქტომბერს, ბეჩოში 1871 წ. საბოლოოდ კი 1898 წ. თავისუფალ სვანეთში აზნაურთა უფლებები გაუქმდა 1870 წ.

საგლეხო რეფორმის გატარებისას ქვემო სვანეთის თავადაზნაურობამ ფაქტობრივად მთლიანობაში შეინარჩუნა ადგილ-მამული, დიდი რაოდენობით საზნაუ-სათიბი, საძოვარი მიწები და ტყე, ასევე გლეხებისაგან ნაღვლებზე შემოსავლის მეოთხედის უფლება.)

სადადიშგელიანო სვანეთში რეფორმის გატარების შემდეგ ყველა დანარჩენი მიწის ნაწილი, გარდა გლეხებზე გაცემულ ნაღვლებისა, დარჩათ დადიშგელიანებს. 1906 წლის მონაცემებით, — წერდა ა. ჩარკვიანი, — ეცე-

რის სასოფლო საზოგადოებაში თათარყან თენგიზის ძე დადემშქელიანი ფლობდა 4439 დესეტიანა მიწას. ბექირბი ჯანსულის ძე დადემშქელიანი – 1032 დესეტიანას, მოსოსტრი მოსოსტრის ძე დადემშქელიანი – 1032 დესეტიანას და სხვ" [7, 105]. რა თქმა უნდა, რომ სვანეთის პირობებში ამდენი მიწის ფლობა ძალზე დიდია. გლეხებისაგან ტყეებითა და საძოვრებით სარგებლობისათვის დადიშგელიანები განთავისუფლებულ 132 კომლიდან წლიურად 660 მანეთს იღებდნენ.

1871 წ. 8 ოქტომბრის დადგენილებით, ნაცვლად 4 ქცევისა, ეცერ-ცხუმარის გლეხობამ კომლზე 5 ქცევა მიწა მიიღო, რომელშიც შედიოდა სამოსახლოც, სახნავ-სათესიც და სათიბიც. ხოლო საბალახო, ტყე, წყალი და დანარჩენი სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სივრცით უდრის მთელი გლეხობისადმი მიზომილი სახნავ-მიწას, ცნობილ იქნა მებატონის სრულ საკუთრებად. რაც მთავარია, აქ არ ჰქონია ადგილი „დროებით ვალდებულებას“, რაც, რა თქმა უნდა, პროგრესული ნაბიჯი იყო.

(ერთი სიტყვით, საბატონო სვანეთში გლეხთა მდგომარეობა რეფორმამ გააუმჯობესა. მისი უდიდესი დადებითი მხარე იყო ყმა გლეხთა მიერ პირადი თავისუფლების მიღება. ეს იყო ამ რეფორმის პროგრესული მნიშვნელობაც.)

ქვემო სვანეთში გლეხთა გარკვეული ნაწილი მაინც ახერხებდა ნადელების გამოსყიდვას და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას. პროფ. ალ. ბენდიანიშვილის მიერ მოტანილი სათანადო ცხრილის მიხედვით, 1903 წლამდე ლეჩხუმის მაზრაში ნადელგამოსყიდულ გლეხთა რიცხვი უდრიდა 1432-ს. გამოსყიდული მიწების ფართობი – 21758 ქცევას, ხოლო გამოსასყიდად გადახდილი თანხა უდრიდა 384633 მანეთს [8, 103]. სადადიანო სვანეთი, სადაც დროებითვალდებულება ძალაში დარჩა, ლეჩხუმის მაზრას განეკუთვნებოდა, ამიტომ ცალკე სვანეთში ნადელების გამოსყიდვის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება, მაგრამ მოტანილ მონაცემებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვემო სვანეთის გლეხთა 449 დროებითვალდებულ კომლიდან, მესამედი მაინც გამოისყიდოდა ნადელს და გადავიდოდა მესაკუთრეთა კატეგორიაში, რაშიც მათ ხელშემწყობ პირობას გარე სამუშაოზე გასვლა წარმოადგენდა. ამ უკანასკნელმა კი ხელი შეუწყო ასევე სვანეთში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას. ეს კი თავის მხრივ ქმნიდა პირობებს მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის შემდგომ დასაჩქარებლად – აგრარული ურთიერთობის ევოლუციის განსახორციელებლად. სვანეთში მზადდებოდა ნიადაგი სერიოზული ცვლილებებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისეთი მტკივნეული საკითხის შესახებ, როგორც იყო რუსული მმართველობის დანერგვა სვანეთში.

რუსული მმართველობის პირველი სუსხი სვანეთმა 1847 წელს ბალსზემო სვანეთში დაარსებულ „მულახ-იფარის“ საბოქაულოს სახით იხილა. ეს იყო რუსეთის მფლობელობაში ზემო სვანეთის შესვლის შემდეგ, რუსული მმართველობის მოსაგვარებლად გადადგმული პირველი სერიოზული, მაგრამ წარუმატებელი ნაბიჯი.

რუსეთის მოხელეები, დაწყებული ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის კოლუბაკინის მეთაურობით, მძიმე გაჭირვებაში მცხოვრებ, მაგრამ სამშობლოსა და თავისუფლების მოყვარე სვანებს, უტოპიური დაპირებებით თაფლავენენ, რომ მათ ექნებოდათ ნამდვილი მშვიდობიანი ცხოვრება, დაცული იქნებოდნენ გარეშე მტრებისაგან, არ დაწესდებოდა არავითარი გადასახადი, ცხოვრება გაგრძელდებოდა ადგილობრივი ადათ-წესების მიხედვით და მათი სრული დაცვით, ექნებოდათ საკუთარი თვითმმართველობა, გაიხსნებოდა სკოლები, გამოიყვანდნენ ზვას, გაუწევდნენ ყოველნაირ ეკონომიკურ დახმარებას და სხვ.

რუსეთის მთავრობამ იმთავითვე მისთვის მოხერხებული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. იფარ-მულახის საბოქაულო, რომლის რეზიდენცია იფარში იყო, რაჭის მაზრის უფროსს კოცებუს დაუქვემდებარა [24, 1], ვითომ ამით საამო საქმე გაუკეთა ბალსზემო სვანეთს და ისინი ჩამოაშორა არასანდო დაღიშგელიანებსა და დადიანებს, სინამდვილეში კი საბოქაულოს რაჭაზე მიწერა ბალსზემო სვანეთის დაქსაქსვას ისახავდა მიზნად. გავიხსენოთ შტაბსკაპიტანი შახოვსკის 1835 წლის მოსაზრება: „თავისუფალ სვანეთის შვიდ საზოგადოებაში არიან აზნაურები და შავი ხალხი. მათ შორის ამჟამად უთანხმოებაა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მაინც საერთო მტრის წინააღმდეგ შეკავშირდებიან და ერთსულოვნად იმოქმედებენ. ამიტომ საჭიროა თავისუფალი სვანეთის დაქსაქსვა. მისგან ლატალისა და ლენჯერის თემების ჩამოშორება და სადადიანო სვანეთზე მიწერა...“ [25, 467].

სვანეთის აღნიშნულ საბოქაულოს უფროსად 1847 წ. 14 ნოემბერს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის ბრძანებით დაინიშნა თავადი (პროპორშიკი) ალექსანდრე მიქელაძე [26, 12], მის აპარატში შედიოდნენ: თანაშემწე, თარჯიმანი, მწერალი (მდივანი) და ორი დამტარებელი. გამოიყო მათთვის წლიური ხელფასი – 1260 მანეთი.

მალე გაირკვა, რომ ამ საბოქაულოს მმართველობას სვანეთისათვის რაიმე სიკეთის მოტანა არ შეეძლო. სრულიად სამართლიანად შენიშნავს პროფ.

გ. გასვიანი, რომ „რუსეთთან შეერთების შემდეგ მაზრისა და საბოქაულოს მოხელეებმა ხალხს გერაფერი სარგებელი ვერ მოუტანეს. ისინი მოსახლეობის ძარცვას შეუდგნენ, არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ადგილობრივ ადამიანებს, ამასთანავე ათასწიარ ჭორებს ავრცელებდნენ სვანთა ურწმუნოებაზე (ქრისტიანული მრწამსის დაკარგვაზე. სინამდვილეში თვითონ მიჰყვეს ხელი საუკუნის მანძილზე სათუთად დაცულ ეკლესია-მონასტრების ქონების დატაცებასაც“ [27, 45]. შემთხვევით როდი უწოდებდა მიქელაძეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი კ. ბელიაევსკი თავის მოხსენებაში ვორონცოვისადმი „სვანეთისა და სამეგრელოს საქმეებში კომპრომეტირებულ პიროვნებას“ [24, 3]. ამიტომაც ერთი წლის შემდეგ, 1848 წ. მიქელაძე და თავისი თანაშემწე ხალხმა გააძევა და სვანეთში მისვლასაც ვერ ბედავდნენ. მიქელაძე თავისი აპარატით ხან სადადიანო სვანეთში სოფ. ლაშხეთში, ხან კულაშში [24,2] იმყოფებოდა. მაშინაც კი, როცა მას კ. ბელიაევსკმა მოსთხოვა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სვანეთში, მიქელაძემ ავადმყოფობა მოიგონა და ამ მოტივით აიცილინა ბრძანების შესრულება. ბელიაევსკი სწერდა ვორონცოვს: „Приказание это несколько раз было повторено... приставу Микеладзе, который под предлогом болезнью уклонялся... от возвращения обратно“ [24,1]. ამის გამო ბაღსზემო სვანეთში შექმნილი მცირე საბოქაულო მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. ამას დაემატა ისიც, რომ საბოქაულოს ხარჯები მთავრობას, ჯერ არც გააჩნდა და ისედაც უშედეგოდ ეკარგებოდა. ამიტომაც 1849 წ. 23 თებერვალს ვორონცოვის განკარგულებით ფორმალური საბოქაულო გაუქმებულ იქნა [26, 97]; [28, 942]; [29, 40]. ყველაფერი, როგორც წესი, „სვანთა ურჩობას“ გადაბრალებდა. მიქელაძე მაინც არ ჩამოაშორეს სვანეთს. ამ უკანასკნელს, როგორც გამოცდილ მოხელეს 1853 წ. დაუნიშნეს გასამრჯელოდ 100 მანეთი და კვლავ მიაველინეს „ველურ სვანების“ „გასაქრისტიანებლად“, მაგრამ ამჯერად უკვე ბარტლომეისთან ერთად. არც ამ მგზავრობამ, არც სამრევლოების დაარსებამ სვანეთში და არც სხვა ღონისძიებებმა არ გაჭრა. პროფ. შ. ჩხეტიას აღნიშვნით, „მთავრობამ ჩამოაყალიბა სვანეთში ოთხი სამრევლო და სახარების ქადაგება გააძლიერა, რათა ეკლესიასა და სამღვდელოებას სახარებით გაეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც მთავრობამ იარაღით ვერ შესძლო“ [30, 94], მაგრამ ამაოდ.

1854 წ. ვორონცოვმა დიდი ღონისძიება გაატარა სვანეთში ახალ საბოქაულოს დაარსებისათვის, მაგრამ, ფაქტობრივად, აქედანაც რუსეთის ეკონომიკური, კერძოდ, ფულადი თანხის გაღების შეუძლებლობისა და სვანთა

წინააღმდეგობის წყალობით კვლავ ჩაიშალა ეს საქმე [31, 4-5].

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი სვანეთში რუსული მმართველობის შემოსაღებად. ამიერიდან იგი ხელალებული ძალდატანებით იწერებოდა.

ამ ძალდატანებას და რუსულ ველურ პოლიტიკას შეეწირა სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადიშგელიანი, რომელიც 1857 წ. 24 ოქტომბერს აღვირახსნილ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ა. გაგარინის მოკვლისათვის დახვრიტეს. ისტორიამ ამ მოვლენით სამუდამოდ გადაფურცლა სვანეთში დადიშგელიანთა ბატონობის ხანა და გადაშალა ახალი რუსული მმართველობის შემდგომი დამყარებისათვის.

1859 წ. მთელი ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოში შევიდა. ცენტრი გახდა სოფ. ბეჩო. ბოქაულად დაინიშნა ს. ამირეჯიბი. საბოქაულოს აპარატში შედიოდნენ: ბოქაული, მისი თანაშემწე, ორი მწერალი, მთარგმნელი, დამტარებელი, ორი ცხენოსანი და ათი ქვეითი ჩაფარი. საბოქაულოს მმართველობისათვის გამოეყო 2505 მანეთი, ამჯერად ბოქაულს მაზრის უფროსის უფლებები მიენიჭა. რუსეთის მმართველობას რომ ხელი არ შეშლოდა, ჩუბუხევის ყველა დადიშგელიანს აეკრძალა სვანეთსა და საერთოდ კავკასიაში ცხოვრება. სვანეთიდან გადასახლებულ დადიშგელიანებს, 1859 წ. ბოლოს მიღებულ გადაწყვეტილებით, მამულის საფასურად გამოეყოთ 150 ათასი მანეთი (ვერცხლით). ჩუბუხევი კი ზაზინის საკუთრებად გამოცხადდა [32, 95-94]; [33, 323, 334]; [34, 383].

მთავრობამ ახლად დაარსებულ საბოქაულოსთან შექმნა სასამართლო ორგანოც [34, 383]. იგი შედგებოდა 12 ერთეულისაგან, რომელთაგან 5 იყო მდივანბეგი, 4 თანაშემწე, ერთი დამტარებელი და ორი ქვეითი ჩაფარი. სასამართლო ორგანოსათვის განისაზღვრა თანხა 1665 მან. რაოდენობით [34, 249]. ეს იყო ე.წ. „სიტყვიერი სასამართლო“, რომლის თავმჯდომარე იყო ბოქაული. იგი განაგებდა სამოქალაქო საქმეებს. მას დამოუკიდებლად არ შეეძლო განეხილა და განესაზღვრა სისხლის სამართლის საქმეები, რადგან ეს გუბერნიის უწყებას ეკუთვნოდა. სასამართლო ფაქტობრივად რუსული მართვა-გამგებლობის ხაზით მოქმედებდა. ეს კი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. სისხლის სამართლის საქმეები, რაც არც ისე იშვიათად იყო მაშინდელ სვანეთში, ქუთაისში უნდა გადაწყვეტილიყო. ასეთი ტიპის სასამართლო ვერ მოერგო სვანურ ცხოვრებას და ხალხი ისევ თავის ტრადიციულ ადათ-წესის მიხედვით წყვეტდა საქმეს და „მთავრობის სასამართლოს“ არ მიმართავდა. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი პროგ-

რესულ მოვლენას წარმოადგენდა. ახალი სასამართლო კრძალავდა სის-
ხლის აღებას, ძალადობას, ზღუდავდა თავადაზნაურულ უფლებებს და სხვ.

ამ საბოქაულომ გაძლო 1867 წლამდე. 1867 წელს ქუთაისის გენერალ-
გუბერნატორმა სვიატოპოლ-მირსკიმ კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე წა-
მოჭრა საკითხი მთელი სვანეთის ერთიანი საბოქაულოში გაერთიანების
შესახებ.

ამ დროს სვანეთის საბოქაულოსაგან განცალკევებით არსებობდა ე.წ.
„სადადიანო სვანეთი“, რადგან, როგორც ცნობილია, ასე თუ ისე, ის დიდი
ხნის წინ იყო მოქცეული სამეგრელოს მფლობელობაში და სამეგრელოში
რუსული მმართველობის შემოღების დროიდან იგი განეკუთვნა ლეჩხუმის
მაზრას.

სვიატოპოლ-მირსკი თავის ჩანაფიქრს ამართლებდა იმ მოტივით, რომ
სვანეთში, როგორც ქვემო ისე ზემო ნაწილისაგან შემდგარ საბოქაულოში,
რუსეთს ერთიანი მოქმედების განხორციელება ექნებოდა შესაძლებელი, მით
უფრო რომ ერთიანი სვანეთის საბოქაულო შეიძლებოდა დაქვემდებარებო-
და ლეჩხუმის მაზრას. ეს მოსაზრება მოწონებულ იქნა მეფისნაცვლის მი-
ერ, რომელმაც, თავის მხრივ, აცნობა კავკასიის კომიტეტს, რომ თანახმაა
სვანეთის საბოქაულო შეუერთდეს ლეჩხუმის მაზრას, სვანეთის ბოქაულის
მაზრის უფროსისადმი დაქვემდებარების ფორმით. ე.ი. ზემო სვანეთის სა-
ბოქაულო შეუერთეს ლეჩხუმის მაზრას, რომლის შემადგენლობაში უკვე
იყო ქვემო სვანეთი. ამით ლეჩხუმის მაზრის უფროსს დაექვემდებარებოდა
მთელი სვანეთი. აღნიშნულმა კომიტეტმა შესაბამისი შუამდგომლობა აღ-
ძრა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის წინაშე, რომელმაც ეს მო-
თხოვნა დააკმაყოფილა 1868 წელს. ასე შეიქმნა სვანეთის საბოქაულო, რო-
მელიც მოექცა ლეჩხუმის მაზრის შემადგენლობაში.

სვანეთის ბოქაულს მთელი რიგი საკითხების ირგვლივ, მაგალითად,
მთაერობის საწინააღმდეგო მოქმედების შემჩნევის შემთხვევაში და სხვა,
უფლება ჰქონდა ემოქმედა თავისი შეხედულებით. ფაქტობრივად კი იგი
მაზრის უფროსის უფლებებით სარგებლობდა, რადგან სვანეთიდან ლეჩხუმ-
ში და მითუმეტეს ქუთაისში, სადაც უფრო მეტად იმყოფებოდა ლეჩხუმის
მაზრის უფროსი, დაკავშირება და საქმის გარჩევა პრაქტიკულად ვერ ხერ-
ხდებოდა. ყველა სხვა საორგანიზაციო საკითხები, ფინანსები, შტატები და
სხვა ახალ სვანურ საბოქაულოში იგივე დარჩა. ბოქაულის რეზიდენციად
შერჩეულ იქნა ისევე ბერო, სადაც ის მთელი ადმინისტრაციით უნდა ყოფი-
ლიყო ზაფხულობით, ხოლო ზამთარში უფლება ჰქონდა გადაენაცვლა ქვე-

მო სვანეთში. ბოქაულად დაინიშნა კახელი თავადი ზ. ჯორჯაძე, რომელიც ამ თანამდებობაზე ათიოდე წელს იმყოფებოდა. ზ. ჯორჯაძე, ბ. ნიჭარაძის დახასიათებით, განათლებული პიროვნება ყოფილა, მაგრამ მას ხალხში გავლენა არ ჰქონია, რადგან საქმეების გარჩევისას ის ყოველმხრივ მხარს უჭერდა მებატონეებს და ამასთან ერთად, სცოდნია სასტიკი ლანძღვა-გინება, რასაც ამაყი სვანები განსაკუთრებულ შეურაცხყოფად თვლიდნენ [35, 120].

მალე მოხდა ახალი ცვლილება. 1869 წლიდან ზემო სვანეთში დამოუკიდებელი საბოქაულო დაწესდა, ხოლო ქვემო სვანეთი ისევ ლეჩხუმის საბოქაულოს განაკუთნეს.

საბოქაულო მმართველობის შემოღების პროცესში სვანეთში ხორციელდებოდა ახალი სასოფლო-სათემო მმართველობის შემოღებაც. საქმე იმაში იყო, რომ 1861 წ. რუსეთში შედგენილი საგლეხო რეფორმის დებულება ითვალისწინებდა რუსეთის მთელ იმპერიაში და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ახალი სასოფლო-სათემო მმართველობის დაარსებას, რომლის მიხედვითაც სოფლის საზოგადოების უმაღლესი ორგანო უნდა ყოფილიყო გლეხთა ყრილობა, აღმასრულებელი ხელისუფლება იქნებოდა მამასახლისის, ხოლო მართლმსაჯულება სასამართლოს ხელში.

1865 წ. კავკასიის მეფისნაცვალს უკვე ხელთ ჰქონდა სათანადო დებულება საქართველოში ახალ სასოფლო-სათემო მმართველობის შესახებ. ბუნებრივია, იგი უნდა შემოღებულ იყო მთელს სვანეთშიც.

პროფ. ა. ბენდინიშვილის სამართლიანი აღნიშვნით, საქართველოში „ბატონყმობის გაუქმებამდე სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ფაქტიურად არ არსებობდა“ [36, 303]. არც XIX ს. სვანეთი წარმოადგენდა ამ მხრივ განსაკუთრებულ გამოწვევის და არც იქ არსებობდა „სპეციალური სასოფლო მმართველობა“ [27, 61, 64]. მართალია, თავისუფალ სვანეთში ძველი, თავისებური მმართველობის ფორმათა გადმონაშთები შემორჩენილი იყო, მაგრამ, საერთოდ ნებისმიერი გადმონაშთი ახალი დროის სამოსელში იყო გახვეული.

მათ შესახებ ჩვენ წინათავე გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ის კი აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკვლევ პერიოდში, ბატონყმობის გაუქმებამდე და შემდეგშიაც გარკვეულ დროის მანძილზე, ადგილობრივ მმართველობას გაბატონებული ფენის წარმომადგენლები ეწეოდნენ. განა შემთხვევით აღნიშნავდა ი. შახოვსკი, რომ თათარყანს და ციოყს ჰქონდათ „სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება“ [37, 90]. ან ბ. კოვალევსკი, რომელიც წერდა „Что же касается до Татархана Дадешкели-

ანი, თო ვრად ლი კაკოი-ლიბო ვოსტოჩნოი დესპოტ პოლზოვალსა ვ XIX ვეკე თაკოი ნეპრერეკაემოი ვლასტო, კაკ ონი ვ სვოეი ეცერსკოი ვოტჩინე“ [38, 80]. რ. ხარაძის და აღ. რობაქიძის შენიშენით – „ეცერში, სოფ. ბარში – დადუშქელინების რეზიდენციაში – ახლაც მიუთითებენ სვიფს. სოფლის შესაკრებ მოედანს, – სადაც მთავარს ხის ჩრდილში ქვის სკამი ედგა. აქ თათარყან დადუშქელიანი არჩევდა ეცერის მოსახლეობის საქმეებს“ (ხაზგასმა ჩემია, ა.გ.) [15, 90]. გ. გასვიანის განცხდებით, „რეფორმამდელ სვანეთში სასოფლო მმართველობის... საქმეებს მეტატონები (თავადაზნაურები) ან დაინტერესებულ გლეხთა მიერ დროებით არჩეული თავკაცები განაგებდნენ“ [27, 64]. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს იმის შესახებ, რომ ბალსზემო სვანეთში საგარეო საქმეებს სათავეში ძირითადად აზნაურები ედგნენ. ისიც ცნობილი ხდება, რომ სვანურ მართლმსაჯულების პროცესში აზნაურები გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ.

რუსული მმართველობის დანერგვის პროცესში ერთი რამ ცხადზეუცხადესი ხდებოდა, რომ რუსეთსა და სვანებს შორის საერთო ენის გამონახვა არ ხერხდებოდა. რუსული ძალისმიერი „ცივილიზაცია“, სვანურ საუკუნეობით განმტკიცებულ ადათ-წესებთან შეხიდებას ვერ ახერხებდა. სვანეთში რუსული მმართველობისათვის ნიადაგი არ იყო მომზადებული, მაგრამ მოძალადე რუსი მოხელეები მაინც ცდილობდნენ საქმის ბოლომდე მიყვანას.

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 1869 წ. მთელი სვანეთი გაერთიანდა და იგი ადმინისტრაციულადაც გარდაიქმნა. ამავე წელს სვანეთში მოხდა სასოფლო საზოგადოებისა და სასამართლოს არჩევნები. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ლევაშოვი კავკასიის მეფისნაცვალს მ. რომანოვს 1869 წ. 9 აგვისტოს სწერდა: „Сельские управления и суды введены при мне в действие в обеих Сванетиях. Большинство выборов в должностные лица пало на людей сравнительно надежных и влиятельных в обществах и потому должностные все тотчас же были мною утверждены“ [39, 521]. აღნიშნულ არჩევნებში მონაწილეობდა თითქმის ყველა ოჯახის „მახვი“, რომლებიც ამიერიდან შეცვალეს მამასახლისებმა. „მახვი“ სვანეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მმართველობის წარმომადგენელი იყო. იგი 1869 წლამდე ფიგურირებდა სვანეთში. „მახვიები“ წარმომადგენდნენ 1847-1849 წლებში „იფარო-მულახის“ მცირე საბოქაულოს არსებობისას ბოქაულის ა. მიქელაძის დამხმარე ძალას“. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, მიქელაძის მომდევნო ბოქაუ-

ლის ს. ამირეჯიბის დროს, ამ უკანასკნელის „გარშემო ჰგროვდებიან ყველა საზოგადოების მახვშიები, რომელთაც მახვშის სახელის ნაცვლად მდივანბეგები დაერქვათ... შემდეგ ამირეჯიბისა პრისტავად დანიშნეს ი. მამაცაშვილი, ამის შემდეგ თ. ჯორჯაძე და ამათ ხელში მახვშიები, დიამბეგებად წოდებულნი, თან-და-თან ჰკარგავდნენ თავიანთს ადრინდელ მნიშვნელობას და 1869 წ. ეს მდივანბეგობაც ისპობა და, როგორც სხვაგან, ისე სვანეთშიაც შემოღებულ იქმნა ახლანდელი მამასახლისობა და „სასოფლო წესდება“. ამ ახალ წყობილებას მახვში ვერ ითვისებს, ხალხს ეუცხოება და პირველის სამი წლის 1869-1874 განმავლობაში ხდება არეუ-დარევა მამასახლისის და ძველის მახვშის უფლებათა გაუგებრობისა და მოურიგებლობისაგან. ხოლო შემდეგ, როცა ვადა პირველის მამასახლისისა გათავდა და მის ადგილს სხვა ჩადგა, ხალხმაც და მამასახლისმაც ცოტად თუ ბევრად შეითვისეს ახალი წყობილება და ასე მომდინარეობს დღემდის“ [40, 89].

ახალი მამასახლისობისა და ახალი მოსამართლეობის დაწესებას განსაკუთრებით ვერ ეგუებოდნენ მებატონეები. „თავად აზნაურობას სისხლი მოსდიოდათ ყელში, როდესაც გლეხებს ირჩევდნენ სოფლის მოსამართლეთ და იმათ ყურადღებას არ აქცევდა“, – წერდა თვითმხილველი ლ. დადუანი [41, 26].

1869 წლამდე სასამართლოს წარმოება ბალსზემო სვანეთში ძირითადად მსაჯულ-მედიატორების ხელში იყო, რომელთაც მოსახლეობა „მორვარს“ უწოდებდა. „მორვე მარე“. ანუ მოციქულ-მედიატორი, სხვანაირად მსაჯულ-მედიატორი არ იყო მუდმივად ან რაიმე ვადით არჩეული. მათ ირჩევდნენ, ამა თუ იმ საქმის გარჩევამდე – მომჩივანი და მოპასუხე. ტრადიციით, მათი რიცხვი ორზე ნაკლები არ შეიძლებოდა. ხოლო სხვა მნიშვნელოვან საქმეების გარჩევისას, მათი რიცხვი ოცდაოთხამდე და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა. ეს დამოკიდებული იყო იმაზე რამდენად ძნელ საქმეზე ჰქონდათ ხელმოკიდებული. საკითხის განსჯაში მთავარ როლს ეკლესია ასრულებდა, რამდენადაც სვანეთში ღვთის რწმენაზე იყო დამოკიდებული ყოველი სამართალი, ამიტომაც – „ფიცე ხატზე“ – ასრულებდა მთავარ როლს საქმის მოწესრიგებაში. „ამ ხატს, – წერდა ბ. ნიჟარაძე, – ხალხი საკვირველის მოწიწებით და სასოებით უყურებს (ლაპარაკია შალიანის ხატზე, ა.გ.). სვანი დაიფიცებს მაგაზედ, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში... და თუ გასტეხა, გამტეხი დარწმუნებულია, რომ ის ადრე თუ გვიან შთამომავლიანად ამოვარდება“ [41, 51]. მომჩივანი და პასუხმცემე-

ლი პირნი საქმის გარჩევის დაწყებამდე ფიცს დებდნენ ხატთან და მერე ჰქონდათ მხოლოდ მართლმსაჯულობის უფლება. სიმართლის დადგენა ძირითადად ხდებოდა საუკუნეებით განმტკიცებულ თავისებურებათა სრული გათვალისწინებით.

1869 წელს, როგორც აღვნიშნეთ, ლევაშოვმა დაარსა სათემო ანუ სასოფლო სასამართლო, რომლის შემადგენლობაში მოსამართლესთან ერთად სოფლის თავკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ სასამართლოს დიდი უფლებები არ გააჩნდა. იგი წყვეტდა უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეებს. მას შეეძლო ემოქმედა მხოლოდ ასი მანეთის საფასურის საქმის ფარგლებში. ასევე შეეძლო რამდენიმე დღით შრომითი ჯარიმის დადება, მცირედი მატერიალური ზარალის ანაზღაურება და სხვა ამდაგვარი რამ.

სასოფლო საზოგადოებაში ამიერიდან მოსამართლე, მამასახლისი და მისი თანამემწე და სხვ. უნდა არჩეულიყო 3 წლის ვადით, რომელთა დამტკიცება ხდებოდა გუბერნატორის მიერ. ეს აპარატი უშუალოდ ბოქაულს ექვემდებარებოდა. მათი განთავისუფლება შეეძლო მაზრის უფროსსაც, მაგრამ გადამწყვეტ როლს მინც გუბერნატორი ასრულებდა.

სასოფლო მმართველობის რეფორმა, ცხადია, პროგრესული ნაბიჯი იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზის გამო, სვანური ცხოვრების არსში მან სათანადო გარდაქმნა ვერ შეიტანა, რადგან მმართველობის ეს ფორმა ძალდატანებით რუსული, ხალხისთვის გამოუსადეგარი პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა. საქმის წარმოება, როგორც მთელს მაშინდელ საქართველოში, აქაც რუსულ ენაზე ხდებოდა, რაც განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ქმნიდა. ამასთან ერთად, რუსეთის ხელისუფლება არ უწყევდა სათანადო ანგარიშს მოსახლეობის ეკონომიკურ მძიმე მდგომარეობას, არ ხარჯავდა სახსრებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგალითად, ერთ-ერთ საარქივო ცნობით, საგლეხო რეფორმის გატარებისას „მთელ სამეგრელოსა და სვანეთში ორი ექიმი იყო“ [42, 88]. თვითმხილველ ი. მარჯიანის ცნობით – „სვანეთს ჰყავს ერთი ექიმი და ერთი დალაქი... ექიმი გვეწვევა ივნისის დამლევი, მოგვინახულებს... აგვისტოს დამლევის წაბრძანდება ალახმა უწყის სად!“ [41, 128]. არ იღებდნენ სახსრებს სკოლების, საავადმყოფოების, საგაჭრო და სხვა კულტურულ დაწესებულებების ასაშენებლად, მაშინ, როდესაც „ველურ სვანეთში“ თავს „ცივილიზაციის“ შემომტანად თვლიდნენ. ისინი ცდილობდნენ გლეხებისაგან აკრეფილი სახსრებით დაეკმაყოფილებინათ, როგორც ადგილობრივი, ისე თავიანთი მოთხოვნები. რუსეთის ავაზაკი მსახურნი თავიანთი პოლიტიკის

მოწინააღმდეგე გაჭირვებული მოსახლეობის ასალაგმავად აშენებდნენ ყაზარმებს ჯარისკაცებისათვის, ხოლო ციხეებს – ადგილობრივ პატიმართათვის. ყოველივე ეს და სხვა მრავალი, იწვევდა სერიოზულ უკმაყოფილებას, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

§ 2. XIX ს. სვანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის ისტორიიდან

სვანეთის აჯანყება (ხალდეს ტრაგედია)

ხალდეს („ქალდე ქაცობ“), მკვლელობა ხალდეში („ქალდე დაგრობ“) და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენი უფრო საშინელი და შემადრწუნებელი ეპითეტებით დარჩა ქართველი ხალხის მეხსიერებაში XIX ს. 70-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ზემო სვანეთის სოფ. ხალდეში 1875-1876 წლებში დატრიალებული ტრაგედია.

ხალდეს აჯანყება ერთ-ერთი ეპიზოდთაგანი იყო იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალური ბრძოლის ისტორიაში, რასაც ეწეოდა ქართველი ხალხი დამპყრობელი რუსეთისა და ადგილობრივი მებატონეების უღლისაგან თავდასაღწევად.

„ხალდეს ამბოხებისადმი“ ქართული საისტორიო მეცნიერება გულგრილი არ დარჩენილა.

ამ მოვლენას თავის დროზე (1892 წ.) წერილები მიუძღვნა თვითმხილველმა ბ. ნიჭარაძემ [1, 173-199], აჯანყება მიმოიხილა და დოკუმენტების ნაწილი გამოაქვეყნა ა. კოჭლავაშვილმა [2, 124-219]. თავიანთ ნაშრომებში გარკვეული ადგილი დაუთმეს ეგ. გაბლიანმა [3, 93-108], ა. ჩარკვიანმა [4, 172-224], გ. გულბანმა [5, 51-85] და სხვ. განსაკუთრებით შეიძლება ხაზი გაესვას გ. გასვიანის ნარკვევს „სვანეთის გლეხთა აჯანყება“, რომელიც ავტორს შეტანილი აქვს მის წიგნში „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები“ [6, 84-185], სადაც შედარებით ფართოდაა განხილული მოცემული საკითხი და ალ. ბენდიანიშვილის საქართველოს ისტორიის ქვეთავი „სვანეთის გლეხთა 1875-1876 წლების აჯანყება“, სადაც, ჩვენის აზრით, ხალდეს აჯანყება გაანალიზებულია თანამედროვე თვალთახედვით და რომლის საშუალებითაც მკითხველი, როგორც იქნა ეღიროს ამ საკითხის ნორმალურ შეფასებას [7, 99-103].

ხალდეს ტრაგედიას გამოეხმაურა მაშინდელი ქართული პრესა, მოწინავე ქართული ინტელიგენცია.

მნიშვნელოვანი მასალები შემონახულია საქართველოსა და რუსეთის არქივებში, ასევე ე.წ. აქტებში და სხვა. ასე, რომ ხალდეს ტრაგედიის ირგვლივ მსჯელობა ამოწურული არ არის და ამ საკითხს XIX ს. სვანეთის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. ჩვენი მიზანია გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანოთ მის კვლევაში.

დავიწყეთ იმ მიზეზების განმარტებით, რომელთაც განაპირობეს ეს აჯანყება. საფუძველი ამ აჯანყებისა იყო რუსეთის ანტიქართული კოლონიურ-რეაქციული პოლიტიკა, რომელიც ამ შემთხვევაშიც მიზნად ისახავდა სვანეთის, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ დამონებას. პოლიტიკურად რუსეთს სვანეთი ანექსირებული და დაპყრობილი ჰქონდა, მაგრამ იქ მისი კანონები ბოლომდე არ იყო დანერგული, რასაც ის ვერ ურიგდებოდა და ძალის პოზიციებიდან ახორციელებდა ეკონომიკურად, როგორც ეს ზემოთ გვექონდა აღნიშნული, სვანეთის ათვისება მან XVIII ს. დასასრულიდან დაიწყო და ამ უკანასკნელის ანექსიის შედეგად ხელთ იგდო მისი სასარგებლო წიაღისეული, მაგრამ ამით რუსეთი როდი კმაყოფილდებოდა. რუსეთი, საერთოდ, განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებს. მისი მიზანი იყო ამ რეგიონის ათვისებით რუსული კოლონიზაციის ინტერესების ბოლომდე მიყვანა, რაშიც სვანეთიდან გატანილ სასარგებლო წიაღისეულს, ხე-ტყეს [9, 10]; [8, 96] დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შემთხვევით როდი აღნიშნავდა სამეგრელოს მმართველი ვლასტოვი, რომ „სვანეთი რუსეთისათვის უმნიშვნელოვანესი კუთხეა ეკონომიკის თვალსაზრისით“ [2, 131-132]. ისტორიკოსი ს. ავალიანი წერდა: „Сванетия признается краем «первой важности» для черноморского побережья; экономическая особенность края связывались с разрешением крестьянского вопроса и без разрешения крестьянского вопроса немыслимым кажется использование богатств края“ [10, 46].

რუსეთის მესვეურები 1866 წლიდან მოურიდებლად მიუთითებდნენ „ზღვისპირა რაიონებში მეცხოველეობის განვითარების მიზნით სვანეთის საძოვრების და მესაქონლეობის გამოყენებაზეც“ [2, 131-132].

როგორც ცნობილია, რუსეთის დიპლომატიამ ცრუ დაპირებების გზით შეძლო სვანეთის დამორჩილება. მისი აგენტები თავიდანვე პირდებოდნენ სვანეთს ისეთ მტკივნეულ და ისტორიულად საოცნებო საკითხების მოგვარებას როგორც იყო გზის გაყვანა, სკოლების გახსნა, სამედიცინო საქმის

მოგვარება, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა, რომელთაგან შემდეგში რუსეთმა არც ერთი არ შეასრულა. 1867 წლის გაზაფხულზე, 1864 წ. წყალდიდობის შედეგად მწყობრიდან გამოსული საცალფევზო გზა, მომავალი ჯვარიდან მესტიისაკენ, ხელუხლებლად იყო მიტოვებული. ვლასტოვის კი ის აფიქრებდა, რომ გზის უქონლობა საჭიროების შემთხვევაში რუსეთის ძალებს არ მისცემდა საშუალებას საკადრისად დაესაჯათ „ურჩი“ სვანები [11, 71].

სვანეთი მოკლებული იყო ყოველგვარ სამედიცინო მომსახურებას. „მთელს სამეგრელოსა და სვანეთს რუსეთის სამხედრო უწყებიდან ორადორი ექიმი ემსხურებოდა“ და ერთი მათგანი „სვანეთში სეზონზე მხოლოდ ერთჯერ გამოჩნდებოდა“ [11, 81-82]. ნაცვლად დანაპირები სკოლების გახსნისა, შეადგინეს 147 გვერდიანი წიგნი რუსულ ანბანზე და რუსულ-სვანური ლექსიკონი, რომელთა საფუძველზეც უნდა ესწავლათ ბავშვებს და მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლება იკრძალებოდა. ასიმილატორები ამით ცდილობდნენ მთელი სვანეთის გადაგვარებას და რუსულ ყაიდაზე გადაყვანას, მაგრამ საბედნიეროდ სვანები ამ საკითხშიც „ურჩებად“ დარჩნენ.

ნაცვლად სამედიცინო დახმარებისა და ნორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებების აგებისა, რუსეთის კავკასიური ადმინისტრაცია აშენებდა სამხედრო ყაზარმებს დამსჯელი რაზმებისათვის და ციხეებს „ურჩ“ სვანებისათვის. ერთ-ერთ საბუთში ამის შესახებ ნათქვამია: „В Вольной Сванетии начата нынешней осенью (1868, ა.გ.) постройки казармы для казаков на что отпущено 560 руб. сер.“ [11, 72].

(რუსული დიპლომატია ყოველნაირად ცდილობდა ამოეძიკვა ადგილობრივ ადათებზე დამყარებული და ხალხის ჩვევად ქცეული კანონები და დაენერგა სრულიად უცხო რუსული კანონმდებლობა. ისინი აბუჩად იგდებდნენ სვანურ ადათ-წესებს. ხალხს უწოდებდნენ „ველურებს“, ხოლო ადგილობრივ ყოველგვარ მართველობას „ველურ ფორმას“.

(როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, 1869 წ. სვანეთში შემოღებულ იქნა რუსული სასამართლო, რომელიც ცდილობდა ემოქმედნა მხოლოდ რუსული სასამართლოს წესებით და უარყოფდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს.

1871 წ. მთავრობამ ბეჩოში განათავსა სამხედრო ასეული [9, 23], რომლის დანიშნულებას შეადგენდა ხელი შეეწყო ადგილობრივი საპოლიციო აპარატებისათვის „სვანთა ურჩობის“ აღმოფხვრაში.

(1871 წელსვე შემოღებულ იქნა კომლობრივი გადასახადი) რომელიც ჩუბეკსა და ბეჩოში უდრიდა 5 მანეთს (რაც იქ უფრო ადრიდანვე იქნა დაწყებული), ხოლო სხვაგან 1 მანეთსა და 30 კაპიკს [4, 170]; [6, 85]. ამავე დროს შემოიღეს „ერთგვარი გასამრჯელო საქმეთა გარჩევისა და გასამართლებისათვის“ [2, 132].

იმ ხალხისათვის, რომელსაც უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება, აღნიშნული გადასახადები ლეთისრისხვის ტოლფასი იყო.

(1873 წლიდან რუსეთმა გადაწყვიტა სვანებისათვის უკანასკნელი ლუკმაც წაეგლიჯა. დაიწყო და გააჩალა მანამდე ადგილობრივ მოსახლეობისათვის გაუგონარი სხვადასხვა სახის გადასახადების შემოღება.)

როგორც ქუთაისის გუბერნიის „აქციზის სამმართველოს ჩინოვნიკი“, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ხაზით სააქციო საზოგადოების მაშინდელი რწმუნებული კ. სანინელი გვაუწყებს (1873 წელს მკათათევეში, მთავრობამ აქციზი შემოიღო... ე.ი. ოტკასა და თამბაქოს ბაჟი სვანეთში [12, 23]; ადგილობრივ მთხრობელთა გადმოცემით, ბოქაულის ხალხი თითქმის სვანეთის ყველა სოფელში შეუდგა არყის გამოსახდელ ქვაბების აღრიცხვას [13] აგროვებდნენ ცნობებს თამბაქოს („თუთინ“-ის) დასაბეგრადაც. გაზეთ „დროების“ ცნობით, არყის ფასს სამჯერ მოემატა [14, 5].

რუსი მოხელეები არაყზე აქციზის შემოღებას სვანეთში ლოთობასთან ბრძოლის ნიღბით ამართლებდნენ. „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ, რომ „Особенно губит их (სვანებს, ა.გ.) сплошное пьянство водкою (არაკ). Сванеты приучают пьянству своих детей с трехлетнего возраста.“ აქედან გამომდინარე ავტორი თვლის, რომ „Одно из средств уменьшить пьянство... это наложение акцизма“ [15, №3378].

აქციზის შემოღებამ სვანი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, გარდა აღნიშნული მიზეზებისა, სვანთა უკმაყოფილებას ნიადაგს უმზადებდა ყოფილი მებატონეების-თავად დადიშგელიანების თავგასულობაც მართალია, ისინი ბალსზემო სვანეთში თავის დროზე ვერ ეღირსნენ გაბატონებას, მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ისინი და, განსაკუთრებით თენგიზ დადიშგელიანი, გადაიქცნენ პოლიციის წარმომადგენლებად და ახლა ახალ პოზიციებიდან ცდილობდნენ მათ შეეწირობათ. მთავრობა, რა საკვირველია, მათ მხარს უჭერდა.

(მთავრობა ცდილობდა ადგილობრივი მართვა-გამგებლობისათვის გაღებული ხარჯები მოსახლეობიდან ამოექაჩა. ამას ზედ ემატებოდა ბოქაულისა და მისი თანაშემწის თ. დადიშგელიანის არაკანონიერი მოთხოვნა მათ-

თვის უსასყიდლოდ სადილად ან ვახშმად მიპატიჟების შესახებ. /

ადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც თვით იყო წყარო მოსახლეობის უზომო უკმაყოფილებისა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოლიციის აპარატი გაძლიერდა, სრულებით არ უწყევდა ანგარიშს აღნიშნულ უკმაყოფილებას. მკვლევარ ა. ჩარკვიანის განმარტებით – „ბალს ზემო სვანეთის მოსახლეობა ხედავდა, რომ მას ერთდროულად ორი ერთმანეთის გვერდში მდგომი და ერთმანეთთან შეკავშირებული რეალური მოწინააღმდეგე-მჩაგვრელი და მძარცველი – მოველინა მთავრობის მოხელეებისა და დაღუპულიანთა სახით“ [4, 171].

რაც შეეხებათ ბალსზემო სვანეთის აზნაურებს, რომლებიც „დიდად განაწყენებულნი იყვნენ მეფის მთავრობაზე, რომლებმაც საგლეხო რეფორმის გატარების დროს (1869-1871 წ.წ.) მხოლოდ ზოგადად ცნო ე.წ. „თავისუფალი სვანეთის“ აზნაურების ზოგიერთი უფლება და შინაყმათა თუ გლეხთა საბოლოო განთავისუფლებაზე მათ არავითარი გასამრჯელო არ მისცა“ [6, 88-89]. მთავრობის გადასახადების შემოღებას მთელი შესაძლებლობით წინ აღუდგნენ.

ერთი სიტყვით, მთავრობის ლაგამამოუდებელი საქციელი დღითიდღე ზრდიდა ხალხის მრისხანებას, რომლისთვისაც ყოველმხრივ მიუღებელი იყო აღნიშნული რეჟიმი.

(ასეთ ვითარებაში 1875 წელს მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა მოსახლეობის მიწების გაზომვა და აღრიცხვა.) ასეთი ღონისძიება ქუთაისის გუბერნიაში უკვე ჩატარებული იყო და (სვანი მოსახლეობა ადვილად მიხვდა, რომ როგორც სხვაგან ისე სვანეთშიც ამას მოჰყვებოდა სათანადო გადასახადის შემოღება.)

(1875 წლის მაისში, ბალსზემო სვანეთში სწრაფად გავრცელდა ხმა გადასახადის დაწესების მიზნით, სვანეთის მაშინდელი ბოქაულის და მისი კომისიის მიერ მიწების აზომვის შესახებ.) ხალხმა სწრაფად გამოყო გლეხთა წარმომადგენლები თითოეულ სოფლიდან და გაგზავნა ბეჩოში ბოქაულთან სიმართლის დასადგენად. ბოქაულმაც უპასუხა – მთავრობამ ბრძანა თქვენი მიწების გაზომვა, ალბათ საჭიროა, მე კი სათანადო ცნობების წარდგენა მევალება“. ასეთმა პასუხმა ხალხი უფრო დააეჭვიანა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ ჩანს თუ ვისგან – მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლისაგან, თუ შემთხვევით პირებისაგან – გაიგო ხალხმა მიწების გაზომვა გადასახადის შემოღების მიზნით. ამ საკითხში გარკვეული სინათლის შეტანა შეუძლია მკვლევარ ა. ისარლოვის მიერ ჯერ 1876 წ.

გაზეთ „გოლოსში“ გამოქვეყნებულ იმ წერილს, რომელიც მისთვის პირადად გადაუცია ხალდეს აჯანყების მონაწილეს ყაზბულათ შერვაშიძეს. ამ წერილით ირკვევა, რომ თ. დადიშგელიანს გამოუცხადებია ბალსზემო სვანეთის მოსახლეობისათვის გაეზომათ მათი მიწები, „რომლებიც უნდა გადაეცეს ხაზინას“. ამავე დროს მოსახლეობას მისთვის უნდა მიეწოდებინა ცნობები „თუ რამდენი ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი, თხა, ქათამი, ძაღლი და კატა ჰყავს თითოეულს, რომ ყველას ამათ დაეწეროთ გადასახადი“... „ჩვენ ვთხოვეთ ჯერ თენგიზს, – აღნიშნულია ამ წერილში, – შემდეგ კი დაუწვეთ ზეენა ბოქაულს, რათა ხალხის სახელით ვთხოვათ მაღალ ხელისუფლებისათვის, რომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება ამ გადასახადების გადახდისა. მათ კი გვიპასუხეს, რომ ჩვენ არ გამოვხადოთ არაფერი და გადაგვეხადა აქციები თუთუნზე. ჩვენ კიდევ ვთხოვეთ, მაგრამ თენგიზმა უარი გვითხრა, რადგან ამის საშეველი არ არსებობსო“. „შერე გვითხრა, – განაგრძობს ყაზბულათი, – არ გააკეთოთ (ე.ი. არ გადაიხადოთ) ის რაც ჩვენ თქვენგან მოვითხოვეთ, მე თქვენთან ვიქნებიო... შემდეგ მან უარყო თავისი სიტყვა და შემოგვითვალა, რომ მან ჩვენ არაფერი გვითხრა და ჩვენ კი ვჯანყდებით...“ ჩვენ ვუთხარით, რომ გვსურს ენახოთ უმაღლესი ხელისუფლება, გვინდა მოველაპარაკოთ მას. მაშინ მან მოითხოვა ჯარები ქუთაისიდან“ [16, 403].

როგორც ჩანს, თ. დადიშგელიანს ბალსზემო სვანეთის მოსახლეობის აფორიაქებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უთამაშნია.

აფორიაქებული ხალხი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებას ვერ ბედავდა, მაგრამ მთავრობის კომისიის მიერ სოფ. ლატალში მიწების გაზომვის დაწყების ფაქტმა ყველა ეჭვი გაფანტა. იმავდროულად მიწების გაზომვა დაწყებულია მულახსა და მესტიაში, სადაც ადგილობრივი აზნაურების ხელმძღვანელობით კომისია იძულებული გახდა ხალხის მიწების გაზომვისათვის თავი დაენებებინა. ლატალში კი ასეთ რამეს ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე მკვლევარები სამართლიანად თვლიან, რომ (მღელვარების პირველი ნაპერწკალი ლატალში გაჩნდა, ხოლო მულახში აინთო ცეცხლი, რომელიც მთელს ბალსზემო სვანეთს მოედო“ [6, 88]; [4, 177]. ლატალელებმა, როგორც კი დაიწყო კომისიამ მიწის გაზომვა, გაგზავნეს დანარჩენ საზოგადოებებთან თავიანთი წარმომადგენლები და სთხოვეს რომ ერთად გამოსულიყვნენ მიწის გაზომვის წინააღმდეგ. ასევე მოხდა მულახსა და მესტიაშიც.)

ყველაზე ორგანიზებული მანც მულახის საზოგადოება აღმოჩნდა, რომელიც მეორე დღეს შეიკრიბა სოფ. ჭოლაში [6, 90] საქმის გასარკვევად.

ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, როცა ხალხი ყაყანით დაიღალა და დაშობინდა, სიტყვა აიღო, ჩვენს მიერ ზემოთ წერილის ავტორად ხსენებულმა ყასბულათ შერვაშიძემ, რომელმაც თქვა „... ყველამ ვიცით, რაც ბოქაულმა გამოგვიცხადა. არ ვიცი რისთვის გვიზომავენ მიწებს! სხვა რა მიზეზი უნდა იყოს მიწების აღწერისა, თუ არა მათი დაბეგრა?“ ყრილობა აღელდა, გაისმა საშინელი ხმაურობა! ეს არ შეიძლება, თავებს დავიხოცავეთ და მიწების დაბეგრაზე არ დავეთანხმებით... შემდეგ – კრება ასეთ აზრს დაადგა... შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალი სევანეთის დანარჩენ სოფლებს, ვაცნობოთ რომ თუ მთავრობას ნამდვილად განზრახვა აქვს, მიწები დაბეგროს, არზა მივართვათ, არ ინებოს ამის სისრულეში მოყვანა და, თუ თხოვნით არაფერი გავგვივიდეს, მაშინ ძალადობა გავწვიოთ. ყველანი ამის თანახმა გახდნენ“ [1, 173-174]. მულახელთა კრების დადგენილებით 50 წარმომადგენელი მეორე დღეს ჩავიდა მესტიაში, სადაც ასევე მოიწვიეს კრება და იგივე დადგენილება გამოიტანეს. ამ დადგენილებას მიემხრო ლენჯერის და ლატალის თემებიც. საბოლოოდ ოთხივე საზოგადოების 200-მდე წარმომადგენელმა ურთიერთშორის დადეს ერთგულების ფიცი. როგორც კი იფარის, კალის და უშგულის მოსახლეობამ შეიტყო აღნიშნული დადგენილების შესახებ უყოყმანოდ თანხმობა განაცხადეს.

შეთანხმებული მთელი ბალსზემო სევანეთის სრულსაკოვანი და ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა შეიარაღდა და დაიძრა კალისაკენ საყოველთაოდ ცნობილ სალოცავ კვირიკეს ტაძრისაკენ. მათ ადგილზე დახვდათ კალის შეიარაღებული მამაკაცები. ერთიანობისა და ერთგულების ფიცის მიღებამდე კრება მოწვეულ იქნა კალის საზოგადოების სოფ. ლალხოსში. სადაც აღელვებული ხალხი დაუმშვიდებია ლატალელ თავკაცს გინადრუყვ გირგვლიანს, რომლის შემდეგაც ყრილობას ხელმძღვანელად აურჩევია ყასბულათ შერვაშიძე, რომელიც, ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, ხალხში ცნობილი იყო როგორც ჭკვიანი და მჭევრმეტყველი პიროვნება. იგი თავიდანვე ბოქაულის მდივანბეგი, ხოლო 1869 წლიდან მულახის მამასახლისად ყოფილა არჩეული [1, 174]. ჩვენ ვეცდებით მოკლედ გადმოვცეთ ის ისტორიული სიტყვა, რომელიც იმ დღეს ყასბულათ შერვაშიძეს წარმოუთქვამს. „... ჩემზე უფრო მოხუცნი ურევია ამ ყრილობას და ისინი ჩემზე უკეთ გეტყვიან, რომ ვისაც ჩვენი დამონება, ხელში ჩაგდება მოუნდომებია, ყველანი ჩვენი მსხვერპლი გამხდარან: თოფი და ხანჯალი ყოფილა ჩვენი დამცველი!

სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯალი დაგეჭვირდეს ახლაც. ამგვარი საქმის მოსურნე არავინ ვართ, რადგან სიცოცხლე გვინდა და არა სიკვდილი. ჩხუბში რუსებს ვერ გაუმარდებით, რადგან ისინი ბევრნი არიან – გამოუღუგუნნი და ჩვენ ცოტანი ვართ... მაგრამ იქამდე რატომ უნდა მივიდეს ჩვენი საქმე? ჩვენ ხომ არ ვეუბნებით მთავრობას, რომ თქვენ ხელში ყოფნა არ გვინდაო. ამის თქმა შეგვეძლო პირველად, როდესაც მტერი და მოყვარე ყველა რუსების ხელში გადასვლას გვიჩვევდა მაგრამ უარი არ გვითქვამს იმიტომ, რომ გვარწმუნებდნენ რუსების ხელში უფრო ბედნიერი იქნებითო... მე თვითონ ვორონცოვის მონათლული ვარ და იმისგან მოკიდებული პატარა მოხელემდე ყველანი იმას გვიმტკიცებდნენ, რომ რუსის მთავრობა აგაშენებთო. ჩვენ ეს დავიჯერეთ, რასაც გვეუბნებოდნენ მართალი გვეგონა... იმ ბევრ შემწეობის დაპირების შემდეგ, რაც მე ყურით გამიგონია... ეს ბეგარა კი ძალიან გამიკვირდა. გვეუბნებოდნენ აგაშენებთო – პირიქით ბეგარა ჩვენგან წაიღეს, ჯერ ჩვენთვის უნდა შეეძინათ რამე და მერე მოეთხოვათ თორემ ისე გამოდის, რომ „ცხვარი თხას მიაღდა მატყლის სათხოვნელადო“... ახლა კიდევ გვეუბნებიან: მიწები უნდა გაგიზომოთო... ხმა დადის, მათი დაბეგვრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ კი, სწორედ სიცოცხლის პირი არ გვაქვს და, მუდამ წვალებას, ის გვიჩვენებია, ერთ დღეს გავთავადეთ. ახლა, რადგან ეს ზუსტად არ ვიცით, ჯერ უნდა შევიტყოთ – რაშია საქმე. მოვახსენოთ მთავრობას ისე როგორც ამას დღეს ვამბობ და მის პასუხს მოუცადოთ, მერე კი ჩვენი ვიღონოთ“ [15]. ყრილობამ მოიწონა ეს აზრი და დაეთანხმა. ამის შემდეგ სიტყვა მეორე ლატალელმა გინადრუყ ფარჯიანმა აიღო, რომელმაც ხალხს მოუწოდა წასულიყვნენ ეკლესიაში და დაეფიცათ, რომ ერთიმეორეს არ უღალატებდნენ, ჭირსა და ღვინში განუყრელნი იქნებოდნენ და თუ საქმემ მოითხოვა თავს შესწირავდნენ საერთო საქმეს, მაგრამ თუ ვინმე ფიცს გატეხდა და უღალატებდა ის სასტიკად უნდა დასჯილიყო. ამის შემდეგ ყრილობის მონაწილე 2000-მდე კაცი გაემართა კვირიკესა და ივლიტას ეკლესიისაკენ, რომელიც ლალხორიდან ორ კილომეტრზე მდებარეობს. ეკლესიიდან გიორგი ფანგანმა გამოასვენა ყველასთვის სათაყვანებელი შალიანის ხატი, რომლის წინაშე ყველამ დადო ფიცი, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ. ნიშნად ამისა კრების მონაწილე ორმა კაცმა ერთი ჯოხის ბოლოებს მოკიდეს ხელი და მის თავზე აღმართულ ხატის ქვეშ გაიარეს. ეს იყო ერთგულების ფიცის ნიშანი ყველა მონაწილისათვის.

ამ ამბავმა მიაღწია ბეჩოში, სადაც იყო ბოქაულის რეზიდენცია. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, იქ „სულ სხვანაირად მიიტანეს სიტყვა, იქ ვილატეებს ეთქვათ ბოქაულისათვის, რომ ზემო-ხევი პოლიციასა და „კამანდას“ თავს დასხმასა და ამოწყვეტას უპირებსო“ [1, 177].

ბოქაულმა ჯორჯაძემ ჯერ „თ. დადიშქელიანებს სთხოვა შემწეობა“, რომელთაც მოიწვიეს თავისი საყმო და „ყარაულად“ დაიყენეს პოლიცია და კამანდა“. ახლა ხმა გავრცელდა ზემო ხევიში, რომ ქვემო ხევი და „კამანდა“ დადიშქელიანების მეთაურობით ლატალზე თავდასასხმელად მოდისო. ეს ხმა კი სასწრაფოდ მისწვდა ზემო-ხევს და, — ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, — რამდენიმე დღის შემდეგ ხალხმა მეორედ მოიყარა თავი — ახლა კი ნამდვილად იმ აზრით, რომ კამანდას თავს დაესხას, ამოწყვიტოს და ტყვია-წამალი ჩაიგდოს ხელში. ზემო და ქვემო ხეველთა შეხვედრა მოხდა ბალის ქედზე, სადაც მრისხანე ორივე მხარის ძალა ფაქტობრივად ერთმანეთს ამოხოცავდა, რომ არა მულახელი ბიტი იოსელიანი. ქვემოხეველთა მოთავედ დადიშქელიანები გამოდიოდნენ. საქმე დაზავებით დამთავრდა, რის შემდეგაც ზემო ხევმა ბალის ქედზევე მოიწვია კრება და დაადგინა: 1. ლატალი და ლენჯერი უნდა დამდგარიყო ყარაულად ბალზე. თვალ-ყური ეგდო რაზმისა და პოლიციისათვის და ზემო ხევისაკენ არ გაეშვათ მოწინააღმდეგის კაცები; 2. მესტიის, მულახის, იფარის, კალას და უშგულის წარმომადგენლებს ქვემო სვანეთიდან საფრთხის თავიდან ასაცილებლად ლატფარის უღელტეხილზე უნდა ეყარაულათ.

1875 წ. 22 ივნისს ბოქაულმა ჯორჯაძემ ქუთაისის გუბერნატორს და მეფისნაცვალს ყალბი ინფორმაცია მიაწოდა. იგი სწერდა: „22-го июня я получил новое донесение лечхумского уездного начальника о том, что сванеты решились не подчиняться отныне никаким правительственным распоряжениям вообще и возвратиться к тому порядку самоуправления, который существовал у них до введения гражданского управления в 1869 году“ [2, 142]. ამავე წლის 2 ივლისს ის კვლავ აცნობებდა ხელისუფლებას, რომ „სვანები აგრძელებენ მუქარას ადგილობრივ მმართველობისადმი ბეჩოში, მოშალეს ხიდები და გზები და არავის არ უშვებენ არც აქით და არც იქით“ [2, 143]. ამ ინფორმაციასთან ერთად ბოქაული ითხოვდა დიდძალი რაზმის გამოგზავნას. ამ ყალბ ინფორმაციის საფუძველზე მეფისნაცვალმა დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება სვანეთში სათანადოდ მომზადებულ რაზმების გამოგზავნის შესახებ. ბეჩოში კი თ. დადიშქელიანმა თავი მოუყარა შეიარაღებულ გლეხთა რაზმს, რომე-

ლიც ძირითადად მონადირეებისაგან იყო დაკომპლექტებული და უბრძანა, რომ დაეცვათ ბეჩოს სამხედრო რაზმი ლატალის მხრიდან თავდასხმისაგან. გ. გასვიანის აღნიშვნით – „საქმის საგანგაშო მდგომარეობის გამო მეფისნაცვალმა პირადად მალაფევეს უბრძანა თვითონ წასულიყო სვანეთში და გენერალ-მაიორ ციტოვიჩის სარდლობით ჯარის ნაწილი წაეყვანა“. მასვე დაევალა გაერკვია მიზეზები, დაესაჯა დასასჯელნი და სრული წესრიგი დაემყარებინა [6, 99].

(მომზადდა სამხედრო ექსპედიცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა სახის იარაღით აღჭურვილი. მასში შედიოდა: ალექსანდრეპოლის 161-ს პოლკის ორი ასეული, ქუთაისის რეგულარული პოლკის ერთი ცხენოსანი ასეული, ერთი ქვეითი ასეული, სამთო საარტილერიო ბატარეისა და მესანგრეთა რაზმი 20 ჯარისკაცის შემადგენლობით. ასევე გურული მილიციის ასეული. ექსპედიციას ემსახურებოდა 2 ტოპოგრაფი, 7 – ფერშალი, 7 – სანიტარი და 60 სატვირთო ცხენი.


ექსპედიციის სამხედრო მეთაურთა შემადგენლობაში შედიოდნენ: გენერალ-მაიორი ციტოვიჩი, შტაბსკაპიტანი სენიუკოვი, როტმაისტერი ბარიატინსკი, მაიორი წულუკიძე, კაპიტნები: ი. კერაძე და მურატოვი, პოდპოლკოვნიკები: წერეთელი და მაკაროვი. შტაბროტმისტრი კოლიაკო, პორუჩიკები: წულუკიძე, ჯავახიშვილი, მაჭავარიანი, პოდპორუჩიკი გიორგობიანი, პროპორშიკი გოგობერიძე და სხვ. [6, 99]; [17, 93]; [18, 78]. რაზმები დაკომპლექტდა თბილისსა და ქუთაისში.

სათანადოდ მომზადების შემდეგ მათი შეერთება მოხდა ქუთაისში. გაზუთი „დროება“ სისტემატურად აღწერდა ამ რაზმების დაკომპლექტებისა და მგზავრობის ცნობებს, რომლის თანახმად „ბრძანება, რომ ეს ჯარები სალაშქროდ მომზადებულიყო ივლისის 2-ს, ნასადილევს 4 საათზე მოვიდა ქალაქში (თბილისში, ა.გ.). მეორე დღეს საღამოს 8 საათზე ეს ჯარი, ორი ზარბაზნით, განსაკუთრებული მატარებლით წავიდა ქუთაისისაკენ და 41 საათის შემდეგ ქუთაისის სტანციაზე იმყოფებოდა“ [18, 78]. ე.ი. ქუთაისში ჩასულან 5 ივლისს დღის 3 საათზე.

მკვლევარების: გ. გასვიანის [6, 1000] და ა. ჩარკვიანის [4, 187] განსჯით – აღნიშნული სამხედრო ექსპედიცია სვანეთისკენ დაიძრა 8 ივლისს. ბ. ნიჟარაძის ცნობით კი „შვიდ ივლისს სვანეთს მიმავალი რაზმი გენერალ ციტოვიჩის წინამძღოლობით, ლეჩხუმს ამოვიდა და ბანაკი მურს დასცა“ [1, 179]. იგივე თარიღს გვაწვდის ეგ. გაბლიანიც, რომლის თანახმად „7 ივლისს ეს ჯარი ამოვიდა ლეჩხუმში და დაბანაკდა მურში“ [3, 99].

შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში უფრო მართებულ ცნობას გვაწვდიდნენ ბ. ნიჟარაძე და მასზე დაყრდნობით ევ. გაბლიანი, რადგან ბ. ნიჟარაძე მომსწრე იყო ამ ამბებისა. როგორც ბ. ნიჟარაძე გადმოგვცემს – ლეჩხუმის მაზრის უფროს გრინევსკისაგან 7 ივლისს მან მიიღო „ქალაქი“, გუბერნატორის მიერ თარჯიმნად მიწვევის შესახებ, ხოლო 8 ივლისს ბ. ნიჟარაძე უკვე გაემგზავრა დავალების შესასრულებლად და იმავე დღეს საღამოს იგი ქვემო სვანეთის სოფ. ლუჯში მიიღო გრინევსკიმ [1, 176]. ამასვე ადასტურებს მეორე ფაქტიც, რომ 8 ივლისს გრინევსკის დავალებით სვანეთში გაგზავნილი „სვან მგზავრთა“ 10 კაციანი დელეგაცია ბრუნდება უკან ცაგერში 5 დღის შემდეგ – 13 ივლისს. ყოველ შემთხვევისათვის 7-8 ივლისისათვის ექსპედიცია ლეჩხუმშია და დაბანაკდა მურში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპედიცია საკმაოდ კარგად იყო მომზადებული, მის მეთაურებს მაინც ეშინოდათ და დამატებით ყაბარლოდან მოუხმეს მილიციის რაზმებს. ვ. მავესკი მათ შესახებ დაწვრილებით გვაწვდის ცნობებს. რომლის თანახმად, ეს რაზმები შედგებოდა 134 მილიციონერ ყაბარლოელთაგან, რომელთაც ხელმძღვანელობდა 2 ჩინოსანი. 9 ივლისს ამ რაზმმა ღამე გაათენა მდ. ხოიუკოზე, ხოლო 10 ივლისს მდ. კასანტზე, სადაც მათ შემოუერთდა ჩეგემის საზოგადოების 100 მილიციონერი. 11 ივლისს ისინი უკვე ურუსბიევის საზოგადოებაში გადავიდნენ. აქაც მათ დაემატათ 100 მილიციონერი ურუსბიელთა საზოგადოებიდან. 13 ივლისს მათ გაათენეს მდ. იუსანგზე და 14 ივლისს ჩავიდნენ ბეჩოში დღის 4 საათისათვის [19, 108].

არც აჯანყებულები ისხდნენ გულხელდაკრეფილები. მათ ლატფარის უღელტეხილზე 200-ზე მეტი დარაჯი დააყენეს და ისინი აჯანყებულ ხალხს ყოველნაირ ცნობებს აწვდიდნენ. როცა 8 ივლისს, საღამოს, ბ. ნიჟარაძე ქვემო სვანეთში ჩოლურის და ლაშხეთის საზღვარზე მდებარე სოფ. ლუჯში მივიდა, მას გარდა გრინევსკისა, იქ დაახვედრეს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ნ სვანი, რომლებიც რაზმელებს იმერეთიდან სვანეთში გზად მიმავალნი დაეკავებინათ და გრინევსკის მასთან დაებარებინა, რათა სიტყვა გაეტანა აჯანყებულებთან. მართლაც ბესარიონის თარჯიმნობით მან დააბარა თავისი განზრახვა. „წადით და გადაეცით ჩემს მაგიერ ყრილობას, რომ თქვენი მიწების დაბეგვრა მთავრობას აზრადაც არ მოსვლია; ადგილების ზომვა თუ უნდა მთავრობას, იმიტომ უნდა, რომ ხელმწიფემ ყველა თავის ქვეშეურდომის ადგილ-მამულის რაოდენობა უნდა იცოდეს. ის ხმა, ვითომ მთავრობა გადასახადს ადებს მიწებსაო, ტყუილია; იგი მოგონილია ბოროტ კაცებისაგან, რომელთაც სურთ სვანებს რაიმე ზიანი მოუტანონ. ნუ დაუჯერებთ იმათ,



საინტელექტუალური ინიციატივის რეალური

ვინც ამას გეუბნებათ, იცოდეთ, რომ ისინი თქვენი მტერნი არიან. სთხოვეთ ჩემს მაგიერ ყრილობის მოთავე კაცებს, რომ თვითონაც მოვიდნენ აქ და თითოეულის საზოგადოებითგან რვა-რვა კაცი წამოიყვანონ. მე იმათ ყველას ცაგერს ჩავიყვან გუბერნატორთან, რომელიც პირადად ეტყვის, რომ მიწებს გადასახადს არავინ ადებს. თუ ამას იზამენ, მაშინ ცაგერში მოსული ჯარი უკან დაბრუნდება. მე და რამდენიმე მოხელე წავალთ სვანეთში, საქმე კარგად გათავდება, თორემ თუ ჯარი გადმოვიდა თქვენში, ცუდი საქმე დაგეშართებათ“ [1, 180].

გრინევსკისაგან დავალება მიცემული სვანები ავიდნენ სვანეთში, საიდანაც 13 ივლისს მართლაც გამოცხადდა 10 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელთა შორის იყო ყასბულათ შერვაშიძეც, რომელიც გრინევსკიმ საყვედურებით აავსო, როგორც „მთავრობის სამსახურში ნამყოფი კაცი“ და იმჯერად კი „მთავრობის საწინააღმდეგოდ ხალხის ამმხედრებელი“ და თუ ის ყრილობას არ დაშლიდა და ყარაულებს არ მოხსნიდა ბალსა და ლატფარზე – გრინევსკი მას სასტიკი სასჯელით დაემუქრა.

გ. გასვიანის აღვნიშვნით, ბ. ნიჟარაძე და შვიდი გლეხი კალის თემში გამოცხადნენ და აჯანყებულებს გადასცეს გუბერნატორისა და მაზრის უფროსის დანაბარები [6, 103]. ჩვენის აზრით, ბ. ნიჟარაძე აღნიშნულ სვანებს არ უნდა ზღებოდა, რადგან ბ. ნიჟარაძეს გადმოცემით, – „სვანებმა თავი დაუკრეს გრინევსკის და წავიდნენ. ჩვენ აქ უცადეთ ამბის შეტყობას ხუთი დღე სვანებს გრინევსკის დაბარებული გადაეცათ ყრილობისათვის. ყრილობას ათი კაცის გამოგზავნა გადაეწყვიტა“ [1, 180].

13 ივლისს სვანეთიდან მოვლენილი დელეგაცია იმავე დღეს წაიყვანეს ცაგერში და 14 ივლისს 12 საათზე წარადგინეს ვიცე-გუბერნატორ მაღაფეევთან. ამ უკანასკნელმა სვანების დელეგაცია „ზრდილობიანად მიიღო“ და გამოჰკითხა აჯანყების მიზეზები. ყ. შერვაშიძემ გუბერნატორს აუხსნა აჯანყების მიზეზები. გუბერნატორი შეეცადა მათ დარწმუნებას ამ მიზეზთა უსაფუძვლობაში, მაგრამ საბოლოოდ გუბერნატორი იმაში დარწმუნდა, რომ ამგვარ მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მთავრობის დელეგაციის სვანეთში გამგზავრებისა და საქმის აღვილზე გამორკვევის შესახებ.

15 ივლისს დელეგაცია ქვეითთა ჯარისა და „გურულების დრუჟინის“ თანხლებით ცაგერიდან გავიდა. კაზაკთა ნაწილი მურში დატოვეს როგორც რეზერვი. 15 ივლისს ჯარი დაბინავდა ლენტეხში. 16 ივლისს კი მივიდნენ ჩოლურში. ე.ი. ჯარი ფაქტობრივად მივიდა ლატფარის უღელტეხილის ძირ-

ში, რათა მზად ყოფილიყო საჭიროების შემთხვევაში მოქმედებისათვის.

აჯანყებულებმა ყოველივე ეს შეიტყვეს. მათ გააძლიერეს შეიარაღებული ყარაული უღელტეხილზე.

შესაძლებელი შეჯახების თავიდან ასაცილებლად მალაფეევმა ჯარი შეაჩერა და სვანთა დელეგაციიდან კაცი გაგზავნა, რომელმაც, ყასბულათის რჩევით, ყარაული მოახსნევინა უღელტეხილიდან.

17 ივლისს მალაფეევმა სვანებთან გაგზავნა გრინეცკი, რომელსაც გააყოლა ლეჩხუმის მაზრის 20 თავად-აზნაური, ბ. ნიჟარაძესთან ერთად, რომლებიც 18 ივლისს გადავიდნენ უღელტეხილზე და შევიდნენ კალის საზოგადოების სოფ. ლალხორში. აქ თავმოყრილი იყო მთელი ბალსზემო სვანეთი და მიმდინარეობდა „ხევის“ ყრილობა. აჯანყებულთა მიერ გამოყოფილმა შეიარაღებულმა სვანებმა გრინეცკი და მისი თანმხლებნი არ შეუშვეს ყრილობაზე. მაშინ ბ. ნიჟარაძეს ისინი მიუყვანია თავის ნათესავთან, ხოლო თვით ბესარიონი დაბრუნებულა ყრილობაზე.

„ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის სურათი, – წერდა ბ. ნიჟარაძე, – რასაც მაშინ ყრილობა წარმოადგენდა. 2000-მდე შეთოფიარაღებული სვანნი ერთის სურვილით იყო გამსჭვალული. ეს სურვილი იყო, ეხლავე ბრძოლის დაწყება გრინეცკის და მხლებლების ამოსაწყვეტად“ [1, 192]. ბოლოს აჯანყებულებს მოუთხოვიათ ყასბულათისა და მისი თანმხლებ სვანთა გამოშვება, რადგან ხალხს ჰგონებია, რომ ყასბულათი და მისი თანმხლებნი პირნი დაჭერილი ჰყავდათ რუსებს. ბ. ნიჟარაძეს ხალხი დაურწმუნებია რომ ყასბულათი არ იყო დაჭერილი. მაშინ აჯანყებულებს თითოეულ საზოგადოებიდან ორ-ორი კაცი შეურჩევიათ და მოუთხოვიათ, რომ მეორე დღისათვის ყასბულათი და მისი თანმხლები პირები ჯართან ერთად თუ არ გამოჩნდებოდნენ, მაშინ „ჩხუბი არ ასცდებოდათ“, რომ თუ ამაზე „ნაჩაღნიკი“ არ დათანხმდებოდა მაშინ დახოცავდნენ როგორც გრინეცკის ისე მის თანმხლებ 20 ლეჩხუმელ თავად-აზნაურს. ეს ამბავი ბ. ნიჟარაძეს შეუტყობინებია გრინეცკისათვის. გრინეცკის ლეჩხუმელმა თავადაზნაურებმა ურჩიეს უკან დაბრუნება, მაგრამ გრინეცკიმ კატეგორიულად იუარა და ლეჩხუმელ თავად-აზნაურთათვის უთქვამს: „თქვენ შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ“, მაგრამ რატომღაც არც ამ უკანასკნელებს მოუნდომებიათ წასვლა. ბოლოს გრინეცკი იძულებული გამხდარა თავის მხლებლებითურთ უკან დაბრუნებულიყო ვიცე-გუბერნატორთან. ამ უკანასკნელმა სვანთა დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძიანად გაუშვა სვანეთში – კალაში.

ყასბულათის მხრივ სვანთა იმაში დარწმუნების შემდეგ, რომ ჯარის მოსვლით სვანეთს საფრთხე არ ემუქრებოდა, 19 ივლისს მალაფეევი და გენ. ციტოვიჩის რაზმი შეუშვეს კალის საზოგადოების სოფ. დაბებრში [2, 143] შეიარაღებულ 2000 სვანთან, რომელნიც განლაგებულნი იყვნენ მთავრობის რაზმის პირდაპირ, ენგურის მეორე მხარეზე 21 და 22 ივლისს მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რომელსაც სვანების მხრიდან ხელმძღვანელობდა თავადი ფარნავაზ გელოვანი. ბ. ნიჟარაძის ცნობით, შედეგი მოციქულობისა ის იყო, რომ ხალხი დარწმუნდა, მიწებს ბეგარას არავინ ადებსო და ატრიადს გზა მისცა ბერძნულად“ [1, 188-189].

22 ივლისს რაზმი კალიდან გაემართა ბეროსაკენ და მიაღწია მესტიას, ხოლო 23 ივლისს ჩავიდა ბეროში (25 ივლისს ბეროში მოვიდა ჩრდილოეთ კავკასიიდან ყაბარდოელების მილიციაც [2, 143]. უკნ. ბეროში საკმაოდ დიდმა სამხედრო ძალამ მოიყარა თავი. ამის შემდეგ გუბერნატორმა დააწყებინა იმ „არაკეთილსაიმედო პირთა ძებნა, რომელთაც ყალბი ხმების გავრცელებით ხალხი მიიყვანეს ესოდენ მძიმე მდგომარეობამდე“ 1875 წ. 7 აგვისტოს მალაფეევის წერილით მეფისნაცვლის მთავარ მმართველობის უფროსის თავად კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისადმი ირკვევა, რომ არასაიმედო პირებს სვანეთში გაუვრცელებიათ ხმა არა მხოლოდ მიწების გაზომვაზე დაბეგვრის მიზნით, არამედ იმაზეც, რომ დაიბეგრებოდა პირუტყვიც და თითოეულ ოჯახიდან ერთი კაცი გაყვანილი იქნებოდა სალდათში [2, 141], როგორც ლ. ისარლოვის პუბლიკაციიდან ირკვევა, სინამდვილეში ასეთი არაკეთილსაიმედო პირი იყო ბოქაულის თანაშემწე თ. დადიშგელიანი, რომელმაც როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ბალსზემო სვანეთის სოფლებს მოსთხოვა გაეზომათ მიწები, რომლებიც ხაზინას უნდა გადასცემოდა და მიეწოდებინათ ცნობები თუ რამდენი ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი, თხა, ქათამი, ძაღლი და კატა ჰყავდათ, რომ დაეწერათ მათზე გადასახადი [16, 416-418]. თუმცა მთავრობის ერთგული მსახურის ჩადენილი დანაშაულით შეცდომაში შეყვანილი ხალხი უნდა დასჯილიყო. დამსჯელის როლში ისევ მოღალატე თავადი თ. დადიშგელიანი ფიგურირებდა. მალაფეევის წერილიდან ჩანს, რომ მან დაიჭირა 19 კაცი, რომელთაგან მხოლოდ სამი არ გამოცხადებულა თავისი ნებით, დანარჩენები დაუჭერიათ სამხედროების ძალით [2, 41]. ბ. ნიჟარაძის ცნობით, დაჭერილ 16 კაცში ისეთებიც ერივნენ, რომელთაც არავითარი მოთავეობა აჯანყებაში არ მიუღიათ [1, 189]. ერთ-ერთი იმათაგანი ყოფილა ბიტი იოსელიანი, რომელმაც „ქუთაისის ნაობახში“ ერთი თვის შემდეგ ჯავრის გამო სული დალია“ [1, 85].

ერთი სიტყვით, მთავრობამ დაადანაშაულა: მულახელი გლეხი ყასბულათ შერვაშიძე. ლატალელი გლეხი გინადრუყ ფარჯიანი, მესტიელი აზნაური სვიჩილდ ჯაფარიძე, მულახელი აზნაური შახუბათ ქურდიანი, მესტიელი აზნაური ბესი გომთელისანი, მულახელი აზნაური ბიტი იოსელიანი, მესტიელი გლეხი მაბილა ფილფანი, ლატალელი გლეხი ბექმურზა ცვირიბიანი, ლატალელი გლეხი თაისაჲ კვანჭიანი, კალელი გლეხი გურმაჩ გასვიანი და ჩარქაზ ჯოხაძე, ლატალელი გლეხი ბაძუ გირგვლიანი, მესტიელი გლეხი მურადბი ჩართოლანი, ლენჯერელი გლეხი ბექა ფილფანი და ლენჯერელი გლეხი – ბაბი ნავერიანი [2, 150-152]. აღნიშნულთაგან, როგორც გვამცნობს ალ. კოჭლავაშვილის პუბლიკაცია, მთავრობას ნებით არ ჩაბარდნენ სოფ. ხალდედან: გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჯოხაძე, მულახიდან – შახუბათ ქურდიანი და ედავ გირგვლიანი [2, 151-152]. მოძალადე ჯარის სარდლობის გადაწყვეტილებით, ის პირები, რომლებიც მთავრობას არ ჩაბარდნენ, ჯარის უკან დაბრუნების დროს უნდა დაეჭირათ და თან წაეყვანათ სხვებთან ერთად. მართლაც ედავ გირგვლიანს, რომელიც თავის კოშკში ჩაკეტილიყო, 30 ივლისს ციტოვიჩის ძალებმა გადაუწვეეს სახლ-კარი, დაუნგრეს კოშკი, დაიჭირეს თვითონ და მისი დამხმარე ორი გლეხი და ჩააბარეს თ. დადიშგელიანს, რომლის რაზმი ეახლა ლატალში დამპყრობლებს [2, 147-148] და თავისი გამცემლობით და ლალატით ერთხელ კიდევ შეირცხვინა თავი მშობლიური ქუთხის თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინაშე. ამის შემდეგ ექსპედიცია დაბრუნდა ქუთაისში.

1875 წ. 7 აგვისტოს თავად ბაგრატიონ-მუხრანსკისადმი, შემდეგ 19 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის მმართველის ვიცე-გუბერნატორ მალაფეევის მოხსენება მეფისნაცვლისადმი „თავისუფალ სვანეთში მომხდარ არეულობათა შესახებ“, მოიცავენ ცნობებს ხელისუფლების საწინააღმდეგო ხმების გამავრცელებელ და შემდეგ აჯანყების მოთავეთა დასჯის შესახებ. ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სვანეთის აჯანყების აქტიურ მონაწილეთა დასჯის მიმოხილვა წარმოებდა 1875 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. მალაფეევის ერთ-ერთ მიმართვაში, რომელიც იმავე წლის 24 სექტემბერსაა დაწერილი, აღნიშნულია, რომ დაპატიმრებულ სვანთაგან 4 უკვე გარდაცვლილი იყო ქუთაისის ციხეში, ხოლო ერთ-ერთ მათგანს უცდია თავის ჩამოხრჩობა. გარდაცვლილთა შორის ყოფილა ყასბულათ შერვაშიძე, გინადრუყ ფარჯიანი და ბიტი იოსელიანი [2, 154]. მალაფეევი მეფისნაცვალს სთხოვდა, რომ სვანი პატიმრები გადაყვანილი ყოფილიყვნენ თბილისში, რად-

გან ქუთაისის ციხე ვერ აიტანეს. მეფისნაცვალმა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იწება პასუხის გაგზავნა, რომელშიც ნაბრძანები იყო გადარჩენილ სვან პატიმართა გადასახლება შიდა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში. მეფის მოხელეთა მიერ დაპატიმრებულ სვანებზე არაადამიანურ მოპყრობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეფისნაცვალი უკვე ერთი თვით ადრე გარდაცვლილ ყასბულათ შერვაშიძეს და გინადრუყ ფარჯიანს ასახელებდა გადასახლება მისჯილთა სიაში. დანარჩენ პატიმრებიდან 5-ს მიესაჯა 5 წლის ვადით, 5-ს სამი წლის ვადით, დანარჩენებს ერთი წლით პატიმრობა. მათგან უმეტესობა ციხეში დაიღუპა.

(ასეთი მკაცრი განაჩენი ეზღოთ რუსეთის მთავრობისაგან დამოუკიდებლობისათვის გულუბრყვილოდ მებრძოლ ბალსზემო სვანეთის აჯანყებულ გლეხებს და მათ აქტიურ მონაწილეებს.)

ამის შემდეგ მეფის ხელისუფლება იმის შიშით, რომ არ განმეორებულყო სვანეთში მსგავსი გამოსვლა, შეუდგა 1869 წლიდან 1875 წლამდე მათ ე.წ. „მმართველობის ახალ სისტემის“ მიერ იქ გადადგმულ ნაბიჯების გაანალიზებას, რაზეც მალაფეევის შეფასება ასეთი იყო: „Я, к сожалению, убедился в ничтожности достигнутых шестилетним опытом результатов“ [4, 148]. მალაფეევი აღიარებს რომ არ ვარგოდა რუსული ადგილობრივი სასოფლო მმართველობა, რომელსაც არ ემორჩილება სვანეთში არავინ. მოსახლეობა სრულებით არაფრად აგდებს სასოფლო სასამართლოს განაჩენს, სისხლის სამართლის საქმეები არ წყდება საერთო წესის მიხედვით და დამნაშავეები იმყოფებიან თავისუფლებაში. არ არის სკოლები, არა ჰყავთ მასწავლებლები, ან არ იკრიბება ან საერთოდ არ იკრიბება გადასახადები, რომლებმაც, მალაფეევის აზრით, საეჭვოა როდისმე ანაზღაუროს ხაზინის მიერ გაწეული ხარჯების ნახევარიც კი. მალაფეევი უბრალოდ იძულებული გახდა მიენიშნებინა სვანეთში მომავალში სახელმწიფო სამართლის განმტკიცების, გზების გაყვანის, სასკოლო საქმის და სხვათა მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, რადგან „არც ერთ სიკეთით მათ (სვანებს, ა.გ.) ღლემდე არ უსარგებლიათ“. ასეთ შემთხვევაში, დასძენდა მალაფეევი, იქ გადასახადების გადიდება კარგავს წარმოდგენასა და საფუძველს [2, 201]. მალაფეევი იმასაც მიუთითებდა, რომ ბეჩოში მდგარი რაზმიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, რადგან საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ძალის მიშველიების გარეშე ის ვერაფერს ვერ აკვარებდა. იგი შუამდგომლობს მეფისნაცვლის წინა-

შე, რათა დაწყებულიყო სათანადო გზის გაყვანა სვანეთში; ბერძენი სამხედრო რაზმის ნაცვლად დაარსდეს ადგილობრივი მონადირე და მოხალისე სვანებისაგან შემდგარი მილიცია, რომელიც უშუალოდ ბოქაულის განკარგულებაში იქნება; უნდა გაუდიდდეს ბოქაულს უფლებები, მას უნდა მიეცეს, როგორც ადგილობრივი მილიციის უფროსის, ასევე მაზრის უფროსის უფლებები; უნდა დაწესდეს მისი თანამშემწის თანამდებობა; გამოიყოს სახსრები სვანეთში მართლმსაჯულების მოსაგვარებლად, გაუმჯობესდეს სწავლა-განათლება და სხვ. [2, 148-150] როგორც ჩანს, მეფის მსახურნიც კი შეაშფოთა სვანეთის აჯანყებამ და ნებსით თუ უნებლიეთ შეუყენა იმ ღონისძიებების გატარების გზას, რომელთა უზრუნველყოფას უნდა აღეკვეთა სვანეთში აჯანყების განმეორება.

(ასე ჩაიარა აჯანყების პირველმა ეტაპმა, მაგრამ მას მალე მოჰყვა მეორე ეტაპი, რომელმაც ახალი და გაცილებით საშინელი ტრაგედია მოუტანა ბალსზემო სვანეთს და მის ულამაზეს, ევროპაში ყველაზე მაღალ წერტილზე დასახლებულ პატარა სოფელ ზალდეს.)

რუსული კოლონიზატორული ჩარხისათვის საკმაოდ კარგად მორგებული ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მალაფეევის, ზემოთ დასახლებულ მოხსენებიდან კარგად ჩანს, რომ რუსეთს 1875 წლამდე სვანეთის ცხოვრების არც ერთ დარგში მდგომარეობა არ გამოუსწორებია, პირიქით, იქ ახალ-ახალი გადასახადების შემოტანის შიშით, მოსახლეობა იძულებული გახადეს დაეწყო აჯანყება ელემენტარული საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რისთვისაც, როგორც ვნახეთ განწირულ იქნენ უდანაშაულო, მაგრამ რუსეთის თვალში დამნაშავე და „ურჩი“ ადამიანები. დაპატიმრებულთა უმრავლესობა საპყრობილეში ამოხოცეს და მათ ცოლ-შვილს სამუდამო გლოვა არგუნეს, რამაც კიდევ უფრო განარისხა და მოთმინებიდან გამოიყვანა არა მხოლოდ გარდაცვლილთა ოჯახები და ახლო ნათესაობა, არამედ იმედგაცრუებული მთელი ბალსზემო სვანეთი. მთელს სვანეთში დაიკარგა რწმენა „რუსეთის ხელმწიფისაგან მოსალოდნელი სიკეთისადმი“ და ხსნას მხოლოდ საკუთარ ძალასა და რუსეთისაგან განთავისუფლებაში ხედავდნენ. ასეთ ვითარებაში კავკასიის ადმინისტრაციამ, რომელსაც ალ. ბენდიანიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ — „დაუშვებლად მიაჩნდა პასუხისგებაში მიცემული პირების დაუსჯელობა“ [7, 101], დაიწყო დაუპატიმრებელ პირთა: შახუბათ ქურდიანის, გურმაჩ გასვიანის და ჩარგაზ ჯოხაძის დევნა. ამ საქმეშიც, როგორც წინათ,

ისე იმჟამადაც განსაკუთრებით აქტიურობდა ბოქაულის თანამემწე თენგიზ დადიშგელიანი, რომელსაც გ. გასვიანის აღნიშვნით: „მიაჩნდა, რომ მისი მომავალი კარიერა ამ საქმეში წარმატებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ არაფერს ზოგავდა“ [6, 127], მაგრამ მოსახლეობა, რომელიც თ. დადიშგელიანისადმი ზიზილით იყო გასტყვალული, არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა დევნილთა გაცემას.

1876 წ. ივლისში გრინეესკიმ მიიღო ცნობა, რომ დევნილები ჯერ კიდევ არ არიან დაპატიმრებულნი და მეფისნაცვლის განკარგულება არ სრულდებაო. ამის გამო გრინეესკი პირადად გაემგზავრა ბეროში, სადაც მას დახვდა ბეროს რაზმის უფროსი მაიორი ლეუსი. მათ თან იახლეს ბოქაული მაიორი კონსტანტინე მიქელაძე, 100 ქვეითი ჯარისკაცი, ექიმი ბელსკი [16, 403] და გაემგზავრნენ ხალდესაკენ. ისინი შეჩერდნენ მულახში, სადაც მიზნად დაისახეს შახუბათ ქურდიანის შეპყრობა, მაგრამ ის სახლში არ დახვდათ. მაშინ დაიჭირეს მისი უდანამაულო ორი შვილი და თან წაიყვანეს კალაში. სოფ. კალიდან ხალდელებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს კალის მღვდელი ალექსი ბაქრაძე და მამასახლისი მარგველანი. სხვათა შორის, მაიორ ლეუსის რჩევით გრინეესკიმ თანმხლებლობიდან ჩამოიშორა და უკან დააბრუნა ბექირბი და ლევან დადიშგელიანები, რომ მათ მონაწილეობას არ გაელიზიანებინა ხალდელები.

1876 წლის 31 ივლისს დაიწყო მოლაპარაკება ხალდეს მოსახლეობასთან. გრინეესკიმ მოსთხოვა ხალდელებს დევნილთა ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა, რომ სოფელს გადაბუგავდა. მოსახლეობამ მას უპასუხა, რომ სოფელში დევნილები არ არიან და არც მათი ადგილსამყოფელი იციან. მოსახლეობამ გრინეესკი სოფელში არ შეუშვა. რუსული პრესა კი მისთვის დამახასიათებელი სიცრუით კვებავდა მკითხველს. ერთ-ერთი მათგანის აღნიშვნით: „Узнав, что приехали к ним начальник уезда, пристав, начальник местной команды с солдатами, Халдинские жители вышли к ним навстречу с поклонами... целуя сюртук и руки Гриневского в знак глубокого уважения“ [16, 403]. ხალდელებთან მოლაპარაკება გრინეესკიმ ა. ბაქრაძისა და მამასახლისი მარგველანის მიგზავნით დაიწყო, შემდეგ, როცა არაფერი გამოვიდა და „მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყვა“ [2, 157], ბ. ნიჟარაძე მიუგზავნა, რომელსაც დაავალა, რომ მასთან მოეყვანა სოფლის მოსახლეობა, მაგრამ აღელვებულმა ხალდელებმა უარი განაცხადეს გრინეესკისთან გამოცხადებაზე. სხვათაშორის,

ბ. ნიჟარაძეს ენდნენ და თავი აჩვენეს ორმა დევნილმაც, რომელთაც ბ. ნიჟარაძეს უპასუხეს: „ვინც შარშან ქუთაისს წაიყვანეს... ყველა ნავბახში (ციხეში) დაიხოცნენ, ჩვენ მეტი არაფერი მოგველის იქ; იქ სიკვდილს – კი აქ სიკვდილი გვირჩევნია. სოფელს რას ერჩის ნაჩაღნიკი? ჩვენ ახლავე გავალთ სახლიდგანაო“ [1, 194-195]. ბესარიონმა ხალხთან ვერაფერი გააწყობა და თავისი ნათესაეები დაითანხმა გრინევსკისთან გამოსაცხადებლად, მაგრამ გრინევსკი განრისხებული დახვდა და კვლავ ხალდელების აობრებით იმუქრებოდა. ბესარიონის მოყვანილი ხალდელებიც კი უპასუხოდ დაბრუნდნენ სოფელში. თვით გრინევსკი ამხედრდა ლეუსთან ერთად და რაზმის თანხლებით გაუდგა გზას ხალდესაკენ. ამასობაში ხალდელებს თადარიგი დაეჭირათ. ახალგაზრდები კოშკებში ჩასაფრდნენ შეიარაღებულნი, ხოლო უფროსები შუა სოფელში მოგროვდნენ და გადაწყვიტეს, რომ მათ საქციელით „ჩხუბი“ არ გამოეწვიათ. გრინევსკის მოხუცებმა კიდევაც შეუთვალეს რომ მათ დევნილების დაცვა მიზნად არა აქვთ და არც დაუმალავდნენ, მაგრამ „ისინი დიდი ხანია თავიანთ საქონლიანად ყარაჩაელებთან ახლომდებარე მთებში გადაიკარგნენ და სოფელს არ შეუძლია მათი დაჭერა“ [16, 405].

გრინევსკის სამხედრო ძალების ლოდინში მყოფი პატარა სოფ. ხალდეში მაშინ 19 მოსახლე ცხოვრობდა, რომელთაგან დახლოებით 40-მდე შეიარაღებული მამაკაცი იცავდა საკუთარ სოფელს.

გრინევსკი და მისი მხლებლები – ექიმი ბელსკი, მამასახლისი მარგველანი, კალის მამასახლისები: მომი ხარძიანი, მომი გამყრელიძე და ისლამ მარგველაძე პირველნი შევიდნენ სოფელში. ლაუსმა აქ გასცა ბრძანება, რომ პირველებს არ ესროლათ სევანებისათვის, მაგრამ თუ რაიმე წინააღმდეგობას გაწყვედნენ, მაშინ გამოიყენონ იარაღი. მათ შეჰყვათ რაზმი, რომელმაც ალყაში მოიქცია მთელი სოფელი. ბ. ნიჟარაძის გადმოცემით, შემთხვევით კოშკებიდან ბავშვების მიერ გადმოყრილი კენჭები ლეუსს დაეყარა ბეჭებზე, რამაც ის ძალიან გააბრაზა. ამ მომენტში ლეუსს ორი ხალდეშელი მოეგება მისაღებად. ლეუსმა სალდათებს უბრძანა ხიშტებზედ აეგოთ ორივენი. თითო ხალდეშელს ოთხ-ოთხი ჯარისკაცი მიუჩინა მკვლელებად. ერთი უცებ ააგეს ხიშტზე, მეორე კი გაიქცა. მას გამოეკიდა ოთხი ჯარისკაცი; შეატყო, რომ ეს-ესა მკვლავენო, იშიშვლა ხანჯალი, რომლითაც სამი სალდათი დახოცა. ხოლო მეოთხემ კი ის მოკლა. ამ ამბავს კოშკებიდან უყურებდნენ, რომელთაც ესროლეს და ლეუსი მოჰკლეს, მეორე ტყვია მიქელაძეს მოხვდა. ამ დროს კალის

მამასახლისი გრინევსკის აეფარა, და გრინევსკის მაგიერ ტყვიამ ის იმსხვერპლა. გრინევსკის მხლებლები ხან ერთ სახლს ეფარებოდნენ ხან მეორეს, რათა ტყვიები აეცდინათ, ხოლო რაზმი სოფლის ქვემოთ შენობებს ამოეფარა. ამასობაში დაღამდა [1, 197]. ბრძოლის დასაწყისს სხვანაირად აღწერს მალაფეევი რომ რაზმის მოსვლამდე „ორ ხალდეშულს გეგი და გიორგი გასვიანებს (იგი შეცდომით წერს „კასტილიანებს, ა.გ.) ვერ მოესწროთ დამალვა და ისინი დაიჭირეს ორმა რიგითმა ჯარისკაცმა კოტლიაროვმა და პევენევმა. გეგი და გიორგიმ ეს ჯარისკაცები ჩხუბის დროს დაჭრეს ხმლებით, მაშინ ლეუსის ბრძანებით, ისინი ჯარისკაცებმა ხიშტებზე ააგეს. ამ დროს გაისმა სროლა კოშკებიდან. პირველებმა ისროლეს ბადრი, შახან და ბულა გასვიანებმა, რომელთაც დაჭრეს მიქელაძე, მოკლეს მაიორი ლეუსი. მომი და გეუ ჩევიანებმა ესროლეს გრინევსკის და მოკლეს კალის მამასახლისი მარგველანი. მერე დაიწყო კოშკებიდან საერთო სროლა რაზმის საწინააღმდეგოდ ხან ერთი ჯერით ხან ზალპით, რაც გაგრძელდა დაღამებამდე. სროლის შედეგად მოკლულ იქნა ორი დაბალი ჩინოსანი – ლიუბლინსკი და ივანოვი. დაიჭრა – 9, მათგან ერთი იყო უნტერ ოფიცერი ტიშენკო. დანარჩენი რაზმელები ერთ-ერთი სახლის სარდაფს მიეფარნენ“ [2, 157-158]. როცა დაღამდა რაზმმა გადაინაცვლა ლალხორალში.

გრინევსკიმ, დაჭრილმა მიქელაძემ, ექიმმა ბელსკიმ, ასათიანმა და დამტარებელმა დევლეთ პირველმა თავი სოფლის აღმოსავლეთ ნაპირას მცხოვრებ ჯოხაძის სახლს შეაფარეს თავი [5, 133], მაგრამ, ღამით, მოკლულ ხალდელთა მეპატრონეებმა ისინი დახოცეს, გარდა ბაქრაძისა, რომელმაც დაჭრილმა თავი დააღწია, ჩავიდა ქუთაისში და იქ ყველაფერი უამბო მალაფეევს [16, 410]. ასე მწარედ გაუთენდათ ხალდელებს 1 აგვისტოს დღე და 2 აგვისტოს ღამე.

მეორე დღეს, 2 აგვისტოს, მთელი ხალდეს მოსახლეობა უთენიაზე შეიკრიბა და რადგანაც იცოდნენ, რომ ჩადენილს არავინ შეარჩენდა, გადაწყვიტეს გამაგრებულიყვნენ სოფელში და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაეცვათ თავიანთი ცოლ-შვილი და ღირსება.

სოფელმა დახოცილები ერთად დაასაფლავა. ოჯახის წევრები: – მოხუცი ქალები და ბავშვები ნათესაეებში გახიზნეს.

3 აგვისტოს, დილით, ხალდელებმა თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს ბალსზემო სვანეთის სხვა თემებში დახმარების სათხოვნელად.

4 აგვისტოს ხალდე მიუვალ ციხე-სიმაგრედ იქცა.

7 აგვისტოს ბალსზემო სოფლებიდან დახმარების მთხოვნელები იმედ-
გაცრუებულნი დაბრუნდნენ.

ხალდეში მომხდარი ამბავი გუბერნიისა და კავკასიის ადმინისტრაციამ
ალიქეა, როგორც მთელი სვანეთის აჯანყება. ამიტომაც დაიწყო ახალი სამ-
ზადისი სვანეთის სამაგალითოდ დასჯისათვის.

მალაფეევის ბრძანებით, 4 აგვისტოს ბეროს რაზმში სასწრაფოდ გამო-
იგზავნა შევსება ორი ასეული ქვეითი და ასკაციანი მილიციის რაზმი, რო-
მელთაც მეთაურობდა თავადი წერეთელი.

ციტოვიჩის ექსპედიცია ორ ეშალონად დაიყო. 9 აგვისტოს ქართული
მილიციის ორი ასეული გაიგზავნა, ხოლო 12 აგვისტოს კი ქუთაისიდან
დაიძრა 4 ასეული ქვეითი სამთო ბატარეის ოცეული სარაკეტო და მესან-
გრეთა რაზმით. ექსპედიციას თან მიჰქონდა ერთი თვის მარაგი და საექიმო
დახმარების საშუალებანი, გათვალისწინებული იყო გზადაგზა სასწრაფო
საინფორმაციო საგუშაგოების მოწყობა, რომელსაც 35 პიროვნება ემსა-
ხურებოდა. ამჯერადაც დამხმარე ძალები გამოიძახეს როგორც ყაბარდოს
რეგიონიდან ისე აფხაზეთიდან. აღნიშნულ ძალებს, იმპერატორის ბრძანე-
ბით, უნდა მოესპოთ აჯანყების ბუდე და სამაგალითოდ ჭკუა ესწავლები-
ანთ „ურჩ ველურებისათვის“.

(21 აგვისტოსათვის, თითქმის ყველა და ყოველნაირმა სამხედრო ძალამ
თავი მოიყარა ბალსზემო სვანეთში. მათგან ხალდეს ალება პირველმა სცა-
და წულუკიძემ, რომელმაც წინადადება მისცა სოფელს დანებებულიყვნენ,
მაგრამ უარი მიიღო. წულუკიძე თავისი ძალებით შეჩერდა სოფლის მისად-
გომებთან.

15 აგვისტოსათვის ციტოვიჩის ძირითადმა ძალებმა მიიღეს ინფორმა-
ცია, რომ ხალდე არ ნებდებოდა. ამ დღეს ციტოვიჩის ძალები ცაგერში იმ-
ყოფებოდნენ სოფ. მურთან. 19 აგვისტოს მათ გადალახეს ლატფარის უღელ-
ტეხილი და დაბანაკდნენ ლალხორში. აქვე გამოცხადდა ბოჩაულის თანა-
შემწე თ. დადიშგელიანი 50-მდე შეიარაღებულ გლეხთა რაზმით დამპყრო-
ბელთა დასახმარებლად.

ხალდეს დასაპყრობად ციტოვიჩმა დაიწყო ისეთი მომზადება, რომლის
მსგავსი მანამდე იშვიათად თუ ვინმეს ენახა თვით მის თანამზრახველთა
შორისაც კი. ბანაკი მოეწყო მოჯერიშში, სადაც სამთო ქვემეხებისათვის
ადგილი სპეციალურად მოამზადებინა. აქედან ყველაზე კარგად ჩანდა და-
საპყრობად განწირული პატარა სოფელი ხალდე.

ამ სოფელში დაბადებულს და ამ მხარის შესანიშნავ მცოდნეს პროფ. გ. გასვიანს ყველაზე დაწერილებით და გულისტკივილით აქვს აღწერილი ხალდეს ტრაგედია. მისი აღნიშვნით – „ხალდეს წინააღმდეგ იერიშის წარმატებით მისატანად ციტოვიჩმა თავისი ძალები სამ ნაწილად დაყო: 1) სარტილერიო ოცეული (6 ქვემეხით), ერთი სამხედრო ასეული და ერთი მილიციის ასეული სამხრეთის მხრიდან წაიყვანა მოჯვრიშისა და ლამარიას მიმართულებით; 2) ერთი სამხედრო შენაერთი და მილიციის ორი ასეული დასავლეთის მხრიდან გაუშვა იფრალის, კრაბზაგარისა და ვანიაშის გზით; 3) ერთი სამხედრო ასეული და მილიცია 150-კაციანი რაზმი აღმოსავლეთიდან შესატყუად გაგზავნა.

სოფლის სამხრეთით, ხეობის მეორე მხარეზე ლამარიას პატარა მინდორში (სოფლიდან 600-800 მეტრზე) ჯერ კიდევ 18 და 19 აგვისტოს მოამზადა ქვემეხების დასადგმელი მოედნები, 20 აგვისტოს საღამოს მიჯვრიშის მხრიდან 5 სამთო ქვემეხი მოზიდეს“ [6, 136-137].

მოიერიშეებმა ხალდეს 21 აგვისტოს ცეცხლი დაუშინეს, მაგრამ ამოდ. 22 აგვისტოს ხალდელებს წინადადება მისცეს რომ დანებებულებიყვნენ, მაგრამ სოფელი თავგანწირვით იბრძოდა და კვლავ უარით უპასუხეს. იმავე საღამოს ხალდელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქვემეხები გამოეყვანათ მწყობრიდან. გამოყვეს თავდადებულთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: გურმაჩ, კაციანე და ბადრი გასვიანები, ჩარგაზ და ჯოხან ჯოხაძეები და გიორგი ჩოფლიანი. მათ, მოხერხებული გზების კარგად ცოდნის წყალობით, მოახერხეს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს მოძალადეთა მოქმედების ცენტრს და სიცოცხლეს გამოასალმეს 3 კაცი და დაჭრეს 4. თუმცა ქვემეხების საბოლოოდ მწყობრიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა.

23 აგვისტოს არტილერიამ კვლავ დაუშინა ცეცხლი ხალდეს. აჯანყებულები მაინც არ ნებდებოდნენ. მხოლოდ მშვიდობიანობის ჩამოგდების სურვილით, საღამოს რამდენიმე მოხუცი და ქალები მილიციას დანებდნენ, რომლებიც ბანაკში მიიყვანეს.

25 აგვისტოს ციტოვიჩის ძალები ხალდეს მიუახლოვდნენ და იგი ფაქტობრივად ალყაში მოაქციეს.

26 აგვისტოს ხალდე თითქმის სროლის ცეცხლმა დაფარა. დაიწყო სოფლის ცალკეული უბნების ხელში ჩაგდება. მოიერიშეებს ყველაზე ვაჟაკურად სვანური კოშკები უწევდნენ წინააღმდეგობას. ისტორიამ რუს სამხედრო მოხელეებს დაანახა, რომ სვანური კოშკები ყოფილან არა იქ გვართა შო-

რის ატეხილი ძმათამკვლელ შინა ომების საჭიროებისათვის, არამედ ისეთ მტრისაგან თავდასაცავად, როგორსაც იმ დღეებში რუსეთი წარმოადგენდა. მტერმაც გადაწყვიტა, რომ ბოლო მოელო კომუნიზმისათვის, რადგან ის ყველაზე მეტ ზიანს სწორედ კომუნისტებიდან იღებდა. სამწუხაროდ, მათში მყოფ გმირ ხალხელებს ტყვია-წამალი შემოეღიათ და იძულებულნი გახდნენ, რომ ეცადათ ღამით მტერს კლანჭებიდან გასხტომოდნენ, რაც გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა კიდევაც. დილა ადრიან მილიციის რაზმები სოფელში შევიდნენ, მათ მალე შეპყვა ჯარიც. ეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხდებოდა. მტერმა კომუნისტებს ზარბაზნები დაუშინა, მაგრამ ისინი თითქოს განგებაო, იდგნენ შეურყევლად. როცა ზარბაზნებით ვერას გახდნენ, ოთხივე მხრიდან ღალაუმი დაუდეს და ააფეთქეს, მაგრამ მათი სიკვდილიც გმირული იყო, რადგან ისე წაიქცნენ, რომ არ დაშლილან. ფაქტობრივად ბოლო გასროლა მოხდა გასვიანების ერთ-ერთ კომუნიდან, რომელსაც შეეწირა ერთი რაზმეული, ხოლო სამი დაიჭრა. ერთ-ერთ კომუნიდან დაჭრილი აჯანყებულთა ნაწილი და ღრმა მოხუცები ჯარს ჩაბარდნენ. ესენი იყვნენ: ჩაპი, გიორგი, ბექა, ბიტა, კაციანე და გუა გასვიანები, გევი და ბექი ჩოფლიანები და ბადირ ჯოხაძე.

„გამარჯვების“ ცნობა ციტოვიჩმა სასწრაფოდ გაუგზავნა ხელისუფლებას. სადაც დიდი სიხარულითა და ტრაბახით აცნობა, რომ ხალხე მიწასთანაა გასწორებული, რომ აჯანყებულები დაპატიმრებულია და აჯანყების ბუდე მოსპობილია.

რუსეთის მოხელეებმა, რომლებიც თავს „ცივილიზაციის“ შემომტანად თვლიდნენ, დაანგრიეს 11 კომუნი, ცეცხლი წაუკიდეს ნათესებს, სახლებს, წისქვილებს, დაკლეს და გაიტაცეს პირუტყვი და ხალხე ფაქტობრივად ნაცარტუტად აქციეს.

(სოფლის სრული განადგურების შემდეგ დაიწყო გახიზნულთა ძებნა, რომლის სისრულეში მოყვანა თ. დადიშგელიანისა და გარდაფხაძის მიერ შედგენილ რაზმს დაევალა.)

4 სექტემბერს ექსპედიციამ სვანეთი დატოვა. მათ თან წაიყვანეს დაჭრილი ჯარისკაცები, მილიციელები და დაპატიმრებული 9 აჯანყებული.

10 სექტემბერს ექსპედიცია დაიშალა.

როცა მთებში ჩამოთოვა, სადაც იმყოფებოდნენ სოფლიდან გახიზნული ხალხელები, მათი ნაწილი თავის ნებით ჩავიდა ლეჩხუმში და ჩაბარდა. ნაწილი კი თ. დადიშგელიანსა და გარდაფხაძეს ჩაუყარდათ ხელში, რომლებიც შემდეგ ჩაიყვანეს ქუთაისში, სადაც შედგა მათი გასამართლება.

(სამართლიანად შენიშნავს პროფ. ალ. ბენდიანიშვილი, რომ „მთავრობას სურდა სამხედრო კანონების მიხედვით ისევე გასწორებოდა მათ, როგორც უფრო ადრე შეპყრობილი 9 სვანის საქმე გადაწყვიტა, მაგრამ ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ ხმა აღიმალლა მოწინავე საზოგადოებამ“ [7, 102]. რომელთაგან პირველი იყო ნ. ნიკოლაძე, მისი გამოქვეყნებული წერილები სამარცხინო ბოძზე აკრავდა რუსეთის მოხელეთა უგუნურობასა და ბოროტმოქმედებას. მთავარ დამნაშავედ იგი თვლიდა რუსეთის მოხელეთა ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელმაც ვერ მონახა გზა სვანური ცხოვრების ტრადიციებთან შესახიდებლად. [20]; [21, 508] ამ მხრივ სამაგალითო იყო ჩვენი სახელოვანი მგოსნის აკ. წერეთელის, როგორც არაოფიციალური დამცველის გამოსვლა, ხალდეს აჯანყების მონაწილეთა დასაცავად 1876 წ. ნოემბერში გამართულ სასამართლოზე ქუთაისში. მან მთელი რიგი ფაქტების მოშველიებით აშკარა გახადა, რომ აჯანყების გამომწვევი მიზეზები მომდინარეობდა არა სვანებისაგან, არამედ რუსული ხელისუფლების მიერ ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების იგნორირებიდან „Законы должны иметь своим основанием, — აღნიშნავდა აკ. წერეთელი, — нравы и обычаи народа, к которому они применяются. Ничего подобного не было соблюдено относительно Сванов... можно смело сказать, что законы вовсе не исполнялись властью. Сваны же напротив, бессознательно благоговели перед ними“ [21, 351].

სასამართლოს სხდომაზე მთავარ სადავო საკითხად იქცა თუ ვინ გამოიყენა პირველად იარაღი-ხალდელებმა თუ რაზმმა, ბატონმა აკაკიმ, ასევე იურისტებმა ლოლუამ, ლორთქიფანიძემ და აღმაზოვმა აღნიშნეს, რომ სროლა სვანების მხრიდან არ დაწყებულა. სასამართლოს ბრალდებულის სახით ესწრებოდნენ მცირეწლოვანი სვანი ბავშვებიც. აკ. წერეთელმა მათ შესახებ თქვა: „რაც შეეხებათ ბავშვებს, რომლებიც საბრალდებო სკამზე სხედან, მე საეროთდ ზედმეტად მიმაჩნია რაიმე ვთქვა მათ გამართლები-სათვის. მათ არცერთი ტყვია არ გაუსვრიათ, იარაღი არ ჰქონიათ და არც შეიძლებოდა მათ იარაღი ჰქონოდათ. მთელი მათი ბრალდება არის ის, რომ ხედავდნენ რა საშიშროებას, რომელიც მშობლებს ელოდათ არ მოშორდნენ მათ, ჩვენს შვილებს რომ ასეთი რამ მოემოქმედათ, ალბათ, მათ ქებას ვეღარ აუვიდოდით“-ო [20, 357].

აღნიშნულ სასამართლოზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 22 ბრალდებული, როგორც ხალდეს შეიარაღებული აჯანყების მონაწილე. აქედან არ ესწრებოდნენ ხნიერი და ავადმყოფი გ. ჩოფლიანი და ზ. გასვიანი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა პროკურორმა შლეტინსკიმ თავის გამოსვლაში მომხდარ ტრაგედიაში მთლიანად დაადანაშაულა აჯანყებულები. სასამართლო გაგრძელდა 5 დღეს. განაჩენი გამოტანილ იქნა 1876 წლის 1 დეკემბერს, რომლის მიხედვითაც აჯანყების 22 მონაწილეს მიესაჯა უმძიმესი სასჯელი, კერძოდ: გურმაჩი, ბუგა, საპო გასვიანებს და ჯოხან ჯოხაძეს – ქონებაზე უფლების აღკვეთა, გადასახლება და მუდმივი საკატორლო სამუშაო. იგივე სასჯელი 20 წლით საკატორლო სამუშაო – ბულა გასვიანს, ბესი, ბადრი, შახან, კაციანე გასვიანებს, გეგი ჩოფლიანს, მომი, ხეჩდუ, გუა ჩევიანებს, ლემინ ჯოხაძეს და გიორგი ჩოფლიანს – ქონებაზე ყოველგვარი უფლების აღკვეთა და სამუდამო გადასახლება; თაზი და ზურაბ ჯოხაძეებს, ერმინე და გიორგი ჩოფლიანებს – იმპერიის რომელიმე სამხრეთ გუბერნიაში გადასახლება. ასევე ციმბირის რომელიმე ახლო მხარეში გადასახლება მიესაჯა ზურაბ გასვიანს [6, 183]; [2, 155-156].

ყოველგვარ სასჯელს გადაურჩნენ დამქაშები და იმპერიის ლაქია მსახურნი თ. დადიშგელიანი და ო. გარდაფხაძე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით აჯანყებულთაგან კონფისკაციის წესით ჩამორთმეული იარაღი უნდა ჩაბარებოდა მთავრობას. ასევე აიკრძალა სოფელ ხალდეში დასახლება და გამოეცვალა მას სახელი და ეწოდა „ახალი იფრალი“.

ალსანიშნავია, რომ საქართველოს პროგრესული ინტილიგენციის მხარდაჭერით, რეაქციულმა რუსულმა სასამართლომ ვერ შესძლო ხალდეს შეიარაღებულ აჯანყების მონაწილეთა სიკვდილით დასჯა, სამაგიეროდ თავისუფლებისათვის მებრძოლ აჯანყებულებს არ მოაკლო გადასახლება და კატორლა, რომლიდანაც მხოლოდ ორი მონაწილე – ჩოფა ჩოფლიანი და მომი ჩევიანი დაბრუნდა ცოცხალი [6, 184].

1880 წ. გადასახლებულების ცოლ-შვილს, როცა მთავრობა დარწმუნდა რომ აჯანყებულთა უდიდესი ნაწილი ცოცხალი აღარ იყო, მისცეს უფლება სოფელში დასახლებისა და მანამდე ნათესაებს შეეკედლებულნი დაუბრუნდნენ სოფ. ხალდეს და ეს ისტორიული სოფელიც გამოცოცხლდა.

ხალდეს ტრაგედია საკმაოდ ფართოდ აისახა სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. დაიწერა მრავალი მოთხრობა თუ ლექსი, რომლებშიაც ქება-დიდებათ მოიხსენიებენ სვანეთის თავისუფლებისათვის თავგანწირულ ლეგენდარულ გმირებს.

თავი V რელიგია და სწავლა-განათლება XIX ს. სვანეთში

ქრისტიანული რელიგია ქართველი ხალხის „მოქცევის“ შემდეგ ყოველთვის წარმოადგენდა ქართველი ერის და მისი განუკვეთელი ნაწილის — სვანეთის სულიერ საზრდოს.

როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში, სვანეთშიც ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებულია ანდრია პირველწოდებულისა და მისი მოწაფის სიმონ კანანელის მისიონერულ მოღვაწეობასთან. ამას გვაძეგნობს „ქართლის ცხოვრება“, სადაც აღნიშნულია, რომ „... წმინდანმა მოციქულმა ანდრიამ... და სხვათა მათ თანამოციქულთა... ქადაგებითა მიიწიენეს სვანეთისა ქუეყანასა“ [1,42]. არსებობს ცნობა იმის შესახებაც, რომ „სვანეთში მაზარობლობდა მათათე მოციქული მის მოწაფეებთან ერთად“ [2,7]. გადმოცემის თანახმად, მაშინ სვანეთში (ე.ი. ჩვ. წ. IX ს-ში) „მთავრად იჯდა დედაკაცი, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება. მოციქული მათათე სხვა მოწაფეებთან ერთად დარჩა ამ მხარეში. ზოლო ანდრია მოციქული, სიმონ კანანელთან ერთად გაემგზავრა ოსეთში...“ [3, 47], [4, 39], [5, 132]. როგორც ჩანს, ქრისტიანობის გავრცელებას საფუძველი ეყრება ჩვ.წ. IX ს-დან „ყოველსა ქუეყანასა საქართველომსასა“, რაც აღიარებულ იქნა საქართველოს ყველაზე ავტორიტეტული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერაც. [3,34]. იმ დროიდან დაწყებული სვანეთში ქრისტიანული რწმენა ეფუძნებოდა ქრისტიანულ ცნობიერებაზე — მის ბიბლიურ ჭეშმარიტებაზე.

ჩ მიუხედავად მშობლიურ საქართველოს ბარში მიმდინარე დიდი ქართველი ხილებისა, სვანეთში ქრისტიანული სულიერი სამყარო ყოველთვის საღად ინარჩუნებდა თავის პოზიციას და ამ ფორმით არსებობდა ის XIX საუკუნეშიც.

XIX ს. გარიჟრაჟზე საქართველო ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ და იგი ამ უკანასკნელის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და რელიგიურ მარწუხებში მოექცა. ეს პატარა ქვეყანა რუსეთის აღვირაზსნილი ანტიქრისტიანული პოლიტიკის წყალობით, საკუთარ ქრისტიანულ ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებულ იქნა.

რუსეთს ექსპანსიის ფორმები უფრო დახვეწილი და მოქნილი ჰქონდა, ვიდრე ქრისტიანულ საქართველოს დაუძინებელ მტრებს მაჰმადიანურ ირანსა და თურქეთს. იგი თავს ასაღებდა საქართველოს მხსნელად და მფარველად მუსლიმანურ ძალადობისაგან.

რუსეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია მთელი XIX საუკუნის მანძილზე და შემდეგშიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ყოველთვის ელოდა ლახვარის ჩაცემა ვიდრე „ჩრდილოეთის არწივი არ დაეუფლა კავკასიის ციცაბოებს“ და „არ შეიფარა იგი მის მძლავრ ფრთებს ქვეშ“. რუსული საეკლესიო მზაკერული პოლიტიკის მსახურნიც, ამ პროპაგანდით გაბრუებულნი, ხოტბას ასხამდნენ ალექსანდრე I-ს და მას უწოდებდნენ „მზეს ვარსკვლავთა შორის...“ „საყვარელს ვითარცა იესო ღმერთთა შორის“, რომელსაც თურმე ყველა ქრისტიანმა ქართველმა „ალუშენოს მადლობის კიბენი“ [6, 429]. სინამდვილეში კი ალექსანდრე I-მა საქართველოს ანექსიის უმაღლესი ამოძრავა მთელი თავისი დამპყრობლური – სამხედრო თუ საერო აპარატის აგენტ-წარმომადგენლები და მართლაც არწივის კლანჭებით დააცხრა საქართველოს ისტორიას, მის ქრისტიანულ ღირსეულ წარსულს.

1802 წ. პეტერბურგში გამოიცა წიგნი, რომლის ანონიმური ავტორები ჩრდილავდნენ საქართველოს ქრისტიანულ წარსულს, არახელსაყრელად მიიჩნევდნენ ბერძნულ თუ სხვა ევროპულ ცნობებს ამის შესახებ და აუცილებელ საქმედ თვლიდნენ საპირისპირო – ახალი რუსული შთაბეჭდილებების შემუშავებას [7]. მალე, 1805 წ. გამოვიდა ახალი წიგნი, სადაც ამტკიცებდნენ რომ „მას შემდეგ რაც ქართველებმა მიიღეს ქრისტიანობა ისინი მუდმივად საჭიროებდნენ უფრო ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოთა მფარველობას საბერძნეთში იმპერატორთა მმართველობის პერიოდში ისინი მფარველს ეძებდნენ კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ კი რუსეთში“ [8,4]. ავტორი თავგამოდებით ცდილობდა გაემართლებინა რუსეთის რეაქციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ და მისთვის მიეცა ისეთი სახე, თითქოს რუსეთის მხრიდან ეს იყო უდიდესი მსხვერპლის გაღება.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ამგვარი შენიღბვა ძალაში დარჩა მთელს შემდგომ პერიოდშიც.

საერთოდ, რუსეთი საქართველოს მესვეურებს თავს ისე აჩვენებდა, რომ იგი არასდროს არ უღალატებდა რუსეთ-საქართველოს დაახლოების ისეთ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ წყაროს, როგორც იყო ერთმორწმუნეობა, მაგრამ ეს მოჩვენებითობა მალე გამოაშკარავდა, როგორც კი შესძლო ხელთ ეგდო დასავლეთ საქართველოც, მაშინათვე ბოლო მოუღო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ეკლესიის ავტოკეფალიას. საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუყენეს ეგზარქოსი. კვალდაკვალ მიმდინარებოდა ქართული ეპარქიების შემცირება და მათი ქონების სეკულარიზაცია.

ეპარქია ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიული ფორმა იყო. მათ შექმნას საქართველოს ეკლესიის თავდაპირველ ავტოკეფალიის (V ს) მიღებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. „X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში, როცა ქართლის ეკლესია უკვე დასავლეთ საქართველოსა ც თავის იურისდიქციაში მოაქცევდა, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ეპარქიის რაოდენობა იზრდება 40-50-მდე“ [2, 29]. შემდეგში მათი რიცხვი, დროჟამის შესაბამისად, იცვლებოდა. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13 ეპარქია, ხოლო დასავლეთში – 12. აქედან აღმოსავლეთში გააუქმეს – 9 და დატოვეს მხოლოდ – 2. ხოლო დასავლეთში 12 ეპარქიიდან დატოვეს ჯერ – 3 და შემდეგ – 1 [2, 30].

რამდენადაც სვანეთის სარწმუნოების ბედი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, სადაც რუსეთი თავისი ვერაგული მიზნების განსახორციელებლად ძალზე ცნობილ საეკლესიო პოლიტიკას ეწეოდა და საეკლესიო მმართველობაში სერიოზულ ცვლილებებს ახდენდა, საჭიროდ გვესახება, ძალზე მოკლედ დავასურათოთ იგი, რათა შემდეგში უფრო ნათელი გახდეს სვანეთის რელიგიურ-საეკლესიო ცხოვრების საერთო ხედი.

როგორც კი რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფო გააუქმა, მაშინვე დაიწყო მისი ეკლესიური დამოუკიდებლობის ხელყოფაც, რაც 1811 წელს საქართველოს ავტოკეფალიის მოსპობით და მისი რუსეთის წმინდა სინოდის ნაწილად გამოცხადებით დამთავრდა. ამიერიდან დამოუკიდებლობა დაკარგული საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრად რუსი ეგზარქოსები ინიშნებოდნენ, რომელთა მიზანი იყო საქართველოს რუსიფიკაცია და საქართველოს ეკლესიის სრული გარდაქმნა რუსულ ყაიდაზე.

რუსეთმა 1821 წ. ქუთაისის, გენათის, ხონის და რაჭის ეპარქიებიდან შექმნა ერთი იმერეთის ეპარქია, რომელსაც უნდა განეგო მთელი დას. საქართველოს სამწყსო. მისი კათედრა მოათავსეს ქუთაისის მიძინების ტაძარში. იმპერატორის ბრძანებით იქ გადმოიყვანეს რაჭის არქიეპისკოპოსი სოფრომი. იგი 1843 წ. გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა დავით წერეთელმა, რომელიც ადრე განაგებდა სამეგრელოს ეპარქიას. დავითის მწყემსობა გაგრძელდა 1853 წლამდე, რომლის შემდეგ XIX ს. ბოლომდე იმერეთის ეპარქიას განაგებდნენ: ეფრემი (1853-1856 წწ.), გერმანე (1856-1860 წწ.), გაბრიელი (1860-1896), ბესარიონი (1898-1900 წწ.). არც სამეგრელოს მოუტანეს რუსებმა საეკლესიო სიმშვიდე. სადაც 1823 წლამდე ჯერ

კიდევ არსებობდა ჭყონდიდის, ცაგერის და ცაიშის ეპარქიები. სვანეთი, ძირითადად თავისთავად განეკუთნა ცაიშისა და ცაგერის ეპარქიებს, რომელთანაც მას ტრადიციული წარსული აკავშირებდა. 1823 წ. გარდაიცვალნენ ცაიშისა და ცაგერის მიტროპოლიტები. ამით ისარგებლა რუსეთმა და ეს ორი ეპარქია გააუქმა [9, 141] და გააერთიანეს ჭყონდიდის ეპარქიასთან, რომელსაც 1829 წლიდან ეწოდა სამეგრელოს ეპარქია. მისი ცენტრი იყო მარტილის ტაძარში [10, 70-71]. 1829 წლიდან მას განგებდნენ შემდეგი მწყემსმთავრები: მიტროპოლიტი დავითი (დავით წერეთელი) (1829-1835 წწ.), ეპისკოპოსები: გიორგი (1835-1859 წწ.), გერონტი (1859-1862 წწ.), ბესარიონი (1863-1865 წწ.). ტარასი (1865-1871 წწ.).

1874 წ. 16 მაისის ბრძანებით, სამეგრელოს ყოფილ სამთავროს ქუთაისის გუბერნიასთან შეერთების გამო, სამეგრელოს ეპარქიის კათედრა გააუქმეს და შეუერთეს ქუთაისის კათედრას. სამეგრელოში მწყემსობა ქორეპისკოპოსის ხელში გადავიდა, რაც ძალაში დარჩა 1885 წლამდე. 1885 წლიდან ჩამოყალიბდა გურია-სამეგრელოს გაერთიანებული ეპარქია, რომელიც ძალაში დარჩა XX ს. დამდეგამდე.

თავისთავად ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოში მომხდარი საეკლესიო ცვლილებები გავლენას ახდენდა სვანეთზე.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც, რომ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, კერძოდ, სვანეთის ისტორიიდან ყველაზე სუსტად შესწავლილი უბანია განსაკუთრებით რელიგია და შემდგომ სწავლა-განალების საკითხი, რაშიც დიდი როლი ითამაშა ჯერ რეაქციული რუსეთის აგენტ-მოხელეთა მიერ XIX ს. სვანეთში ამ საკითხისადმი სრულიად ფორმალურმა დამოკიდებულებამ, მხოლოდ ტენდენციურ არამეცნიერულ დონეზე გადმოცემამ, ხოლო შემდეგ კომუნისტური წყობილების პერიოდის 70-წლიანი ისტორიოგრაფიის მიერ ამ საკითხის საერთოდ უგულვებლყოფამ. არადა, სვანეთს ძალზე საინტერესო ისტორია აქვს ამ მხრივაც.

სვანეთის საისტორიო ძეგლები („მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“) და სხვა ხასიათის აქტები, საშუალებას გვაძლევენ ვამტკიცოთ, რომ სვანეთში საეკლესიო უმაღლესი ტიტული „ქვერებისკოპოზობა“ ყოფილა. თვით სვანეთში მოღვაწე ადგილობრივი დამოუკიდებელი ეპისკოპოსი არც ერთ ჩვენს მიერ შესწავლილ დოკუმენტში არ ფიგურირებს. სამაგიეროდ, ე.წ. „სვანეთის სულთა მატიანის“ ჩამონათვალში, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში, რომლის გამოქვეყნება ეკუთვნის პ. ინგოროყვას, დასახელებულია სამი „ქვერებისკოპოზი“; იოანე – სოფ. ლეშტერის სულთა მატიანის სიაში [11,

121], გიორგი – ეცერის [11, 136] და ბაბიანი – ბეროს შესაბამის სიებში [11, 155]. პ. ინგოროყვას დათარიღებით, აღნიშნული „ქვერეპისკოპოსები“ განეკუთვნებიან XIII ს. მეორე ნახევარს.

სვანეთის ქორეპისკოპოსების და საყდრისშვილების საკითხს სათანადო გამოკვლევა მიუძღვნა გ. ვასვიანმა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ „ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის არსებობა მესტიაში შვიდ საუკუნეს (XIII-XIX სს.) მანც მოიცავს“ [12, 77]. პატივცემული მკვლევარი იმ მოსაზრებამდე მივიდა, რომ სვანეთში ერთდროულად სამი საქორეპისკოპოსო მანც არსებობდა. აქედან ერთ-ერთი შესაძლებელია იყო ბალსქემო სვანეთის სოფ. ფხოტრერში (ეცერის თემში), მეორე ქვემო სვანეთში – ლაშხეთის თემის ე.წ. ქალაქოლში – ძულვარეშში და მესამე ბალსქემო სვანეთში – მესტიაში [12, 76].

ამასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში თუ სადმე ქორეპისკოპოსი ფიგურირებდა, ეს იქნებოდა კალაში კვირიკესა და ივლიტას მონასტრის ბაზაზე, რომელსაც სვანეთში „ლაგურკა ფუსტს“ ე.ი. ყოველივეს შემძლე მეუფეს უწოდებდნენ. რომლის შესახებაც ექ. თაყაიშვილმა აღნიშნა: „კალის ეკლესია წარმოადგენს მთელი სვანეთის მთავარ სამლოცველოს. ეს სვანეთისათვის ის არის, რაც მთელი საბერძნეთისათვის დელფოს ტაძარი იყო. ეს აერთებს სვანებს თემებად დაყოფილს ისე როგორც დელფოს ტაძარი აერთებდა სხვადასხვა ბერძენთა რესპუბლიკებს“ [13, 179]. სამწუხაროდ, „სვანეთის სულთა მატიანის“ ძეგლებში ბალსქემო სვანეთის და მათ შორის კალის საზოგადოების შემწირველთა შესახებ ცნობები ან არასრულყოფილია ან სულ არაა აღნიშნული, რის გამოც ჩვენი მოსაზრება მხოლოდ ვარაუდს ემყარება.

აღნიშნულთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ სვანეთის ეკლესია XIV-XV საუკუნებიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე მანც რჩებოდა ცაიშისა და ცაგერის სამწყსოს შემადგენლობაში [14, 4]. შესაძლებელია დამოკიდებულების დონე დროისშესაფერისად შეიცვალა, მაგრამ საიმედო დასაყრდენად მანც ცაიში და ცაგერი რჩებოდა.

მივმართოთ ფაქტებს.

„სრულიად სვანეთის ერთობილი კევის („ლალვერსა და უშგულს შუა“) [15] მიერ სეტის მთავარმოწამის თავედობითა და შუამდგომლობით დაწერილ XIV საუკუნის ერთ-ერთ აქტში ნათქვამია, რომ საეკლესიო თუ სხვა ხასიათის მკრეხელობის ჩამდენი პირი, საბოლოოდ „თუ ქუემო კეუს გა[მოჩ]დეს – ცაიშ[ელ]მან დაი[უ]როს [რ]ჯული, ზემომან

ცაგერელ[მა]ნ – ზემოთ დაიჭიროს [11, 7]. იმავეს მიგვანიშნებს 1442-1452 წლებს შუა დაწერილი ერთი სიგელი სათაურით – „სიგელი სას-ჯელის დადებისა ცხუმარის კევზე მეფისა და დადიანის ბრძანებით ცა-იშელ მთავარ-ეპისკოპოსის მიერ“, სადაც ვკითხულობთ: „სახელითა ღთისაითა, ცაიშისა ღთის მშობლისაითა... მე ცაიშელი მთავარ ეპის-კოპოსი დანიელი ლაბსყალდეს მივედი, ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყალდაშისა, დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა, ერისთავთერისთა-ვის დადიანი ოზბეგისა ბრძანებით და მოწმებითა. და ცხუმარის კეუმან დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყალდაშისა საპატიჟოი... მე ცა-იშელ მთავარ ეპისკოპოსმან დანიელ ვამტკიცებ“... [11, 28]; ამ ორ დო-კუმენტში თვალნათლად ჩანს, რომ XIV საუკუნეში სვანეთი ცაიშისა და ცაგერის საეპისკოპოსოში შედიოდა და მას ასეთი ძალის მქონე სა-ეკლესიო ხელისუფალი არა ჰყავს. ეტყობა, რომ ცაიშისა და ცაგერის საეკლესიო ხელდება სვანეთზე შემდეგშიც გარკვეულ ტრადიციად რჩე-ბა. ჩვენ დაჟინებით ვერ ვამტკიცებთ XV ს. შემდგომ პერიოდში სვანეთ-ში „ქუპრებისკოპოზთა“ ვერც ზუსტ სიმრავლეს და ვერც მათ რეალურ არსებობას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სვანეთი ცაგერისა და ცაიშის სამწყსოს ეკუთვნოდა შემდეგშიც. უფრო ზუსტად, ბალსზემო და ქვემო სვანეთი ცაგერის, ხოლო ბალსქვემო სვანეთი ცაიშის ეპარქიას ექვემ-დებარებოდა. არაა გამორიცხული ისიც, რომ ზემო სვანეთი მთლიანად ცაიშის სამწყსოს ჰკუთნებოდა [13, 403].

1664 წ. საქართველოში ჩამოვიდნენ ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი და მისი შვილი პავლე ალექოელი, მაკარის ცნობები საქართველოს შესა-ხებ გამოსცა პ. ყუზემ, სადაც ვკითხულობთ: „Сванетинцы имеют двух епископов: Скуралииского и Джайсалииского“ [16, 42]. ფრიად სა-გულისხმოა ნ. ასათიანის მიერ XVII საუკუნის საქათველოს შესახებ რუ-სეთის საიდუმლო საქმეთა საგანგოს, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, პრიკაზის ფონდში მიგნებული პავლე ალექოელის მიერ შედგენილი საქარ-თველოს აღწერილობა, სადაც დასახელებულია სამეგრელოს 6 საეპისკო-პოსო, რომელთა შორის „четвертая еп[и]ск[о]пия под горами Сванет-скими“ [17, 71]. ცხადია, რომ აქ იგულისხმება ცაგერის საეპისკოპოსო, რომლის დასტურს გვაძლევს, ისიც რომ „тут течёт река Конская“ (იგუ-ლისხმება ცხენისწყალი, ა.გ.), ალექოელი მეორენაირ ცნობასაც იძლევა: „Еще под Имеретинскую властью есть 2 роды Соаны и суть хрис-тиане. Имеют ц[е]ркви и св[я]щенники и архиереи и суть подани.“

Второй ряд есть за рекою Рион и суть самовластный“ [17, 75]. აქ, ალბათ, ნაგულისხმევია ზემო სვანეთი.

XVIII ს. შუა ხანებში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ცაგერის ეკლესიაში „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა [18, 149]. ამავე საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იოჰან გიულდენშტედტი წერდა: „სვანები... ვინც ცხენისწყალზე ცხოვრობენ, ახლაც ქრისტიანები არიან და ჰყავთ მღვდლები ლეჩხუმის ეპისკოპოსის ანდა ცაგერელი ეპისკოპოსისაგან“ [19, 331] და სხვ.

სვანეთი, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პერიოდში და შემდეგშიც ცაგერის სამწყსოს გაკლენის ქვეშ რჩებოდა. რადგან პოლიტიკურადაც ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა.

გარდა ზემოთ აღნიშნული „ქვერებისკოპოზებისა“, სვანეთის საისტორიო ძეგლები ასახელებენ საკმაოდ მრავალრიცხოვან დაბალი რანგის სასულიერო მოღვაწეებს: ხუცესებს, დეკანოზებს, ბერებს, მონაზვნებს, მოძღვრებს და სხვ. ე.წ. „სულთა მატთანები“ სოფ. ლახამულაში ასახელებს ორ ხუცესს: ქელბაქიანს და კონსტანტინეს [11, 120] სოფ. ლეშდერიდან ორი ხუცესი: აფაქიანი და სტეფანიანი და ორი ბერი – უსაჯიანი და ზაგარელი [11, 121]; სოფ. მაია (ფარი?)-დან ოთხი ხუცესი: იოანე, საბიანი, გემჩხჭისი და გიორგი ტიტიანი [11, 128], სოფ. ლგჰადან ხუცესები: იოანე ხუცესყოფილი და იოანე [11, 129], სოფ. ეცერში: ხუცესები: მჭედლისი [11, 130], მანაშიანი [11, 132], მიქელ [11, 133], გუგუჩი [11, 134], კოჩიანი [11, 135], იორდანე [11, 136], დემეტრე [11, 136] იოანე [11, 139] და მიქელ აფაქიანი [11, 140], მოძღვარნი: გიგალომიანი [11, 131] და ეგნატე [11, 133], დეკანოზი – მიქაელი [116 138], სოფ. კალიდან-ხუცესები: მუშკუდიანი [11, 141], თე [11, 141] და ონოფრე [11, 141]. სოფ. ცხუმარიდან ხუცესები: ზებედე [1, 142] და იოანე დემეტრელიანი [11, 142], სოფ. ებუდიდან დასახელებულია 5 ხუცესი: იოანე [11, 146], ჯღირაიძე [11, 146], რუჩაგიანი, ამბროლიანი და ჭაბიანი [11, 151]. იმავე სოფელში 1 მოძღვარი – გიგა [11, 149] და 2 ბერი – წასიანი [11, 150] და ბადაი [11, 151], სოფ. ბეჩოდან – გგლიანი, გოგანი [11, 152], რუბენიანი [11, 153], ხიუიანი, გიორგი, ცანიანი [11, 154], ბაბიანი [11, 155], ბერები: თეკლასი [11, 153] და მღერიანი [11, 154]. დეკანოზები – ათანასე და მიქაელი [11, 156]. მემატიანის დამატებით ნაწილში დასახელებულია მოძღვარი კემდინიანი [11, 157].

აღსანიშნავია, რომ ბალსზემო, უფრო ზუსტად, უღვირს ზემო სვანეთში შემწირველთა მოსახსენებლები არაა შევსებული ან ძალიან ცოტაა. ზოგ

სოფელში მაგ. ლატალი, ლენჯერი, სეტი, მულახი, წვირძი, კალა, უშგული და სხვა, სულ არაა შესაბამისი მონაცემები. უეჭველი კია, რომ აღნიშნულ სოფლებში სასულიერო პირნი არანაკლებ იქნებოდნენ. იქ ხომ ეკლესიების დიდი რაოდენობა იყო. მოსახლეობაც არანაკლები იყო. აღნიშნული სოფლებიდან მაგ., უღემდში დასახელებულია 2 ხუცესი: ნაკვახელიანი და ქართველიანი [11, 159], სოფ. ჩეშში (?) ხუცესი ჯადვიანი [11, 159], უსგვირში – კვირკველიანი და თ–ე [11, 159]. ცალკე ნახსენებია ხუცესები: კეშიდინიანი [11, 160] და გაკეჩიანი [11, 190] და სხვ.

სასულიერო პირები დასახელებულია, როგორც ნაკაწრ წარწერებში ისე ისტორიული ხასიათის სხვა დოკუმენტებშიც.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სასულიერო პირებს გარკვეულ პერიოდიდან უნდა მიეღოთ საერთო სასულიერო წოდება „პაპ“ ან „პაპ“. როგორც ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი განმარტავდა – „სახელწოდება „პაპ“ საქართველოში შემოვიდა ბერძნულიდან და წარმოადგენდა ეკლესიის პირთა ზოგადად ყველას სახელწოდებას“ [20, 143]. საინტერესო ცნობას გვაწვდის XIX ს. მეორე ნახევრის სწავლული ადგილობრივი მღვდელი, სასულიერო სემინარიაში კორნელი კეკელიძის თანამოსწავლე – ივანე მარგანი: „ერთ დროს თავისუფალ სვანეთი ცაგერის ეპისკოპოსს ცაგერელს ექვემდებრებოდა, ზოლო სადადიშქელიანო სვანეთი – ცაიშისას, რომელნიც უგზავნიდნენ მას (სვანეთს) ნაკურთხ მღვდლებს, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულებაც მოისპო. დარჩნენ მხოლოდ „პაპები“ და „დეკანოზები“. მისივე გადმოცემით, სვანეთში პაპებს ყოველთვის ჰყავდათ შეგირდები, რომლებსაც ისინი „დიკნარს“ ეძახდნენ და ასწავლიდნენ საღმრთო წერილსა თუ ეკლესიის სამსახურს. როდესაც პაპი მოხუცდებოდა და შეგირდიც გაიწვრთნებოდა, ამ უკანასკნელს ჰგზავნიდნენ ეპისკოპოსთან ანუ მიტროპოლიტთან (ცაგერსა თუ ცაიშიში, განმარტ. ავტორისაა), რომელნიც ხელსხმულს აბრუნებდნენ სვანეთში“ [5, 167]. ეგ. გაბლიანის განმარტებით, ასეთ მღვდელს სვანები „ნამღვილ მღვდელს“ ან სხვებისაგან განსხვავებით „ცაგერის პაპს“ უწოდებდნენ: [21, 121]. შემთხვევით როდი გადმოგვცემდა ივ. მარგანი, რომ გარკვეული დროის შემდეგ „ნამღვილი მღვდლები გაქრნენ და მათი ადგილი „პაპ“-ებმა დაიჭირესო“ [5, 66-167]. „პაპ“-ები მოღვაწეობდნენ მთელს სვანეთში. ბალსქვემო და ქვემო სვანეთში მათ „პაპ“-ებს, ზოლო ბალსზემო სვანეთში „პაპ“-ებს უწოდებდნენ [21, 94].

სხვთაშორის პაპების მღვდმარეობა არც სამეგრელოში იყო მიზანშეწონილად. ჟან შარდენის აღნიშვნით – „მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა სა-

ვალალო მდგომარეობაში უნდა გრძნობდნენ თავს ეს საბრალო პაპები მათი საეკვო სამღვდელო მდგომარეობის გამო, რადგან ასეთი ბერების ან ეპისკოპოსების მიერ არიან მღვდლად ნაკურთხი, რომლებიც შესაძლოა, თვითონ მონათლულებიც კი არ არიან“ [20, 142].


პაპები, როგორც სამეგრელოში, ასევე სვანეთში მთელი XIX ს. მანძილზე რიცხვმრავლად იყვნენ. XIX ს. 60-იან წლებში სვანეთში იმყოფებოდა ცნობილი სწავლული გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც წერდა: „ამჟამად სვანეთში, თითოეულ საზოგადოებაში მრავლად არიან პაპები. ზოგიერთმა მათგანმა წერა-კითხვა იცის და ითვლებიან სწავლულებად“ [14, 29]. იგივე აღნიშნა ნ. დუბროვინმა [22, 94], დ. ბაქრაძემ [23, 48]. ივ. მარგიანის ცნობით, XIX ს, მეორე ნახევარში „თავისუფალ სვანეთში 15 მღვდელში ექვსს საშუალო განათლება აქვს მიღებული, ხოლო დანარჩენს შინაური. ამათში 8 სვანთაგანია. სადაღიანო სვანეთის 11 მღვდელში მხოლოდ ორს აქვს მიღებული საშუალო განათლება დანარჩენებს კი შინაური“ [5, 179]. ისიც ირკვევა, რომ პაპები ყველა თანაბარი უფლებით არ სარგებლობდა. მათ შორის უფროს-უმცროსობის წესი დაცული ყოფილა. დ. ბაქრაძე წერს, რომ „მღვდლად კურთხევის უფლება ყველა პაპს არ ჰქონია“ [23, 50], როგორც ჩანს მას საამისო დამსახურება და პატივი უნდა ჰქონოდა. ასეთ დამსახურებულ პაპს სვანეთში დიდ პაპს („ხოშა პაპს“) უწოდებდნენ. მაგ., ასეთი პაპი ყოფილა გიორგი მარგიანი [5, 168], [24, 82].

„პაპ“-ების კურთხევა სრული ქრისტიანული წესის დაცვით სრულდებოდა. „ხოშა პაპ“-ი თავის შეგირდს, რიცხვმრავალი პაპების დასწრებით ხატების წინ, ეკლესიის ტახტთან აყენებდა. სპეციალურად მომზადებულ წყალს მიასხურებდა და ისმენდა სპეციალურ ლოცვა-კურთხევას. დ. ბაქრაძის დაკვირვებით, ამ დროს „ღეთის მსახურების საერთო მსვლელობა და წესრიგი ნამდვილისგან ოდნავ თუ განსხვავდებოდა“ [23, 49-50].

პაპების ჩაცმულობა, წირვა-ლოცვის დღის გარდა, დანარჩენებიდან დიდად არ განსხვავდებოდა. „მათ თავზედ ნაბდის წვეტიანი ქუდი ანუ ფაფანაკი ეხურათ, ტანზედ ეცვათ შინაური ხელოვნების მსხვილი ტილოს პერანგი, რომლის საყელო კანაფის მსხვილი ძაფით იკვრებოდა; ზედ შინაური ხელოვნებისვე მსხვილი მატყლის ჩოხა, მერე იმისვე შარვალი („შალბარ“) და პაიჭები, ფეხზედ ამოკრული ჰქონდა ბაწრის შემწეობით მრგვალი ქალამნები; წელზედ ერტყა დაუხელეელი ტყავის სარტყელი („ლარტყ“), რომელსაც მოდიდო, ადგილობრივი ხელობის ხანჯალი ამძიმებდა. ბეჭზედ კაჟის თოფი „ყირიმი“, („ყირმილ“) ან „სტამბოლი“ ეკიდა. ყველა ეს, – აღნიშნავს ი. მარგიანი, – გამოუცნობლად ხდიდა „პაპს“ უბრალო სვანისაგან. სხვა



ლახამულელი „პაპი“
სიმონ (სისონა) ჭკადუა,
1860-1926 წწ.




ივანე მარჯიანი, რაქა-ლეჩხუმისა და
სეანეთის სამლელეოების დეკანოზი
მულახის თემიდან, 1872-1933.

ხნავდა, პაპაცა ხნავდა, სხვა ომობდა, პაპაც ომობდა და ლაშქარს წინ უძღოდა. მაგრამ იმ დროს ის კიდევ მღვდლობდა, თუ შეიძლება ასე ითქვას და ხალხში მოძღვრობდა. მასში თქვენ ნახავდით ისეთ ძალას, რომელიც ხალხს პატივისცემასა და სიყვარულს აგრძნობიდებდა“ [5, 168]. მართლაც, XIX ს. სეანეთში პაპების გარკვეული ნაწილი, მიუხედავად რუსული რეჟიმისადმი შეურიგებლობისა, მინც ღირსეულ პატივით სარგებლობდა. მაგ., ტიმოთე ბაკურაძე [25, 41] [26, 13], ი. მარჯიანი [5, 114], სიმონ გაბიანი [27, 91], ილარიონ გერსამია [27, 106], მამა წერეთელი [27, 112], იგორ ქარდავა [28, 224], ფგრელა და სისონა ჭკადუები [29] გიო ფალიანი (სეტიელი), გიორგი მარჯიანი, გ. გულბანი და მრავალი სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „აზნაურები სასულიერო წოდების მიღებას დამამცირებელ საქმედ თვლიდნენ და ამიტომ სასულიერო წოდებას ღებულობდნენ მხოლოდ უბრალო მოსახლეობიდან“ [23, 49]; [30, 26]; [31, 43]; [22, 95-96].

ბაპები ემორჩილებოდნენ სოფლის ყრილობის „ლუზორ“-ის გადაწყვე-



გიო ფალიანი – სეტიელი, ფალიანების შგოს უკანასკნელი მოძღვარი, რომელიც მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში სპილენძის კუბოში განისვენებს. XIX ს. II ნახევარი.

ტილებებს. „ლუზორს“ შეეძლო ბაპები დაეთხოვა თანამდებობიდან და მის ადგილას სხვა დაეყენებინა. ბაპებს ყრილობა სჯიდა ჩხუბში მონაწილეობის, ლოთობისა და მრუშობისათვის [32, 3].

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს ბაპების დამსახურების შესახებ, რაც უპ. ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ მათ, მართალია, გარკვეული ხასიათის გადახვევებით, მაგრამ საერთო ჯამში მაინც ღირსეულად დაიცვეს ქრისტიანობა იმ დონეზე, როგორც ეს შეეძლოთ გაეკეთებინათ ქრისტეს კვართის მფლობელ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის ქრისტიანული ეკლესიის გულმოდგინე მსახურებს. სწორედ სამღვდლოება უნერგავდა ხალხს ქრისტიანობის სიყვარულს და, საბედნიეროდ, მათ მიჰყვებოდა

მთელი სვანეთის მოსახლეობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანეთში, ქართველებით მოსილ XIX ს-ის პირობებშიც კი, ცისა და მიწის შუა („დეცი ი გიმი ნენსა“) ყოველი საქმე ქრისტესა და მისი მოციქულების სახელით და იმედით იწყებოდა და სრულდებოდა. ვინ ჩასწვდებოდა სვანეთის ქრისტიანულ ბუნებას იმერეთის სამწყსოს მესაჭე ეპისკოპოს გაბრიელზე უკეთესად, რომელმაც, ნაკლთან ერთად ისიც აღნიშნა, რომ „სვანეთში ყველაზე შესანიშნავად რელიგიური მდგომარეობა არისო“ [14, 30] რომ „В настоящее время попов в Сванети множество в каждом обществе... они успели сохранить Сванети от нашествия исламизма и поддерживали в сванетах уверенность их в той мысли, что они некогда

переставали быть истинными христианами“ [14, 30]. ფაქტობრივად იგივე აზრი გამოთქვა დ. ბაქრაძემ [23, 49]. ივ. მარგიაშვილი [5, 167]. პ. ნაღევლინის განცხადებით: „Мы должны быть благодарны хотя и необразованным сванетским декашозам за то что... они противодействовали вторжению в нее Ислама, сберегли Христианские храмы и хранящуюся в них святыню, удержали, наконец народ в привязанности к православию“ [33, 98].

ერთი სიტყვით, პაპები იყვნენ „კეთილი მწყემსნი“ და „სვეტნი სარწმუნოებისა“, რომელთაც, უდავოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სვანეთის რელიგიურ ცხოვრებაში.

ახლა შევეხოთ ეკლესიებს.

XIX ს. სვანეთში აღრიცხვაზე იყო 200-ზე მეტი ეკლესია, აქედან ნახევარზე მეტი იყო მოქმედი. თვითმხილველთა ცნობით, არ იყო სოფელი, სადაც 3-6-მდე ეკლესია არ ყოფილიყო. მკვლევარი ა. ჩარკვიანის ცნობით – „ლატალის თემში, რომელიც შედარებით მოზრდილი თემია, 24 ეკლესიას ითვლიდნენ, ხოლო სოფ. ადიშიში, რომელიც თითქმის ყველაზე მცირე სოფელია (14 ოჯახი ითვლებოდა), 7 ეკლესია იყო“ [34, 71].


სვანეთის მთავარ სალოცავს XIX საუკუნეშიც წარმოადგენდა კალის წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია-ტაძარი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანები „ლაგურკას“ უწოდებდნენ. მასთან ერთად, თავისი სიძველით, მხატვრული გაფორმებით და ორიგინალობით ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევდნენ: უშგულის ღვთისმშობლის, იფარის წმ. გიორგის, სუიფის წმ. გიორგის, ლატალის წინასწარმეტყველის, ადიშის, ლაღამის, ლაბსყალდის – ფხოტრერის მთავარანგელოზის, წვირმის, მუჟაღის, ჟამუშის, ლატალის მაცხოვრის, უშგულის ღვთისმშობლის, ჩუბეხევის თემებში დიდი გავლენით სარგებლობდა სოფ. ლახამულის (ჯგვრაგის) წმინდა გიორგის ეკლესია და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ეკლესია, რომელთა უმრავლესობა XII-XIV საუკუნეებისა იყო. ქვემო სვანეთის ეკლესიათა რიცხვს ამშვენებდა თეკალის მაცხოვრის (X-XI ს), ლუჯის (IX-XII ს), ტვიბის მთავარანგელოზის (X-XI ს), ჩეკულის გაბრიელ მთავარანგელოზის (IX-XII ს), ჟახუნდერისა და მარგვიშის წმ. გიორგის (IX-X ს), კალის მთავარანგელოზის (XI ს), მახაშის წმ. კვირიკეს ეკლესია (IX-X ს), გულიდის მაცხოვარი-სა და სხვა ეკლესიები.

სვანეთი ლოცვის ქვეყანაა, – ამბობს სვანური ანდაზა. სვანი ყველა მნიშვნელოვან საქმეს ლოცვით იწყებს. იგი განსაკუთრებით ენუკვის მამა

ღმერთს, რომელსაც სვანები უწოდებენ: „ხოშა ღერმეთ“-ს, ზოგან „ფუსდ ლეკლათხეს“, ძე ღმერთს ანუ მაცხოვარს – „მაცხოვარს“, ქრისტე ღერბეთს, ღვთის მშობელს – „ლამარიას“.

სვანთა შეხედულებით, ღვთაებრივ სამყაროში წმ. გიორგის – ჯგერანგ-ს თითქმის პირველი ადგილი უჭირავს. მის დღესასწაულს „ლიგერგის“ ეძახიან. წმ. გიორგის სადიდებლად ამ დღესასწაულზე ბევრი პირუტყვი იკვლება, განსაკუთრებით, ხარი, ვაცი, ვერძი და მამალი. სუფრაზე პირველად „ხოშა ღერბეთს, მეორედ მკქემ თარინგ ზელს (მთავარანგელოზს) და მესამე აუცილებლად ჯგერანგს ადღევრძელებდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საახალწლო დღესასწაულთა ციკლში სვანის ოჯახი სასვანეთო სალოცავენთან ერთად საქართველოს სხვა კუთხეების სალოცავენს ადიდებდა. ასეთი სალოცავენები იყო: „აჯარანჷ ჯგერანგ (დალის სალოცავი აფხაზეთში), შგყერიშ ჯგერანგ (იქვე), ჯგერდემ, ჯგერანგ (აფხაზეთში), ოქუმიშ ჯგერანგ (იქვე), საბელიანჷ საყდარ (იქვე), ყულიშგარიშ საყდარ (ოდიშში), ჯჷარაპატიოსან (იქვე), ილორიშ ჯგერანგ (სამეგრელოში) [35, 69], წანდიხანჷ (ჭანჭიხან) საყდარ (იქვე), ხონიშ საყდარ, ქუთანშიშ სობორო, ლამარია ცაგერიშ, ლელტხანჷ საყდარ, ჩოლურიშ საყდარ, სასაშიშ საყდარ, ლამხიშ საყდარ, უშგულანჷ ლამარია, ლაგურკა ფუსტ, კალანჷ საყდარ, იფარიშ ლამარია, წურიშიშ საყდარ, თეოფანიშ საყდარ (იფარიში) მგლხანჷ საყდარ, მგჷალიშ საყდარ, მესტიანჷ მგჩანჷი საყდარ, ლენჯარიშ საყდარ, ქაშუეთიშ საყდარ (ლენჯერში), ნესგულანჷ საყდარ (ლენჯერში), ლატლიანჷ მან, შყალერიშ საყდარ, ლახუშდიშ საყდარ, ლაპლანჷ საყდარ, მგხერმა თარგლეზერ (ლატალში), თანლარე თარგლეზერ (იქვე), ჟიქანქანჷ საყდარ (იქვე), იფხიშ საყდარ (იქვე), ბალანჷ ჯგერანგ (ბალზე), უშხანარიშ ლამარია (ბეჩოში), თეთნანშიშ ჯგერანგ (იქვე), გაბრიელ გულანჷ (იქვე), მაზერიშ ჯგერანგ (იქვე), შიხრანშიშ ჯგერანგ (იქვე), ტებშიშ საყდარ (იქვე), მეზრა თარგლეზერ (იქვე), ბიჭოშერ ხატარ (იქვე), სოფელ დოლა-სუფში, ქართუანიანჷ ჯგერანგ (იქვე), ჯგერანგ მგჩხანჷ (ჰებუდში), ლაბსყალანჷ თარგლეზერ (ცხუმარში), ცხემრიშ მაცხტარ, მაგარდელიშ ჯგერანგ (იქვე), ლობალანჷ საყდარ (იქვე), ჰუყუჷან ჯგერანგ (ცხუმარსა და ეცერს შუა), კალშიშ მაცხტარ (ეცერში), ჟაბე კალშიშ საყდარ (იქვე), ჩგმთანჷ ჯგერანგ (იქვე), ლანტელიანჷ საყდარ (იქვე), ისკრიშ ბარბოლ (იქვე), ჯგერანგ ულულანჷ (ეცერს ზემოთ), ჯგერანგ ქურანშიშ (ეცერში), ბარბოლ ბარშიშ (იქვე), ჭელირიშ საყდარ (იქვე), მოლანჷ ჯგერანგ (იქვე), მურქუილ თარგლეზერ (იქვე ფხოტერში), ლამხრანშიშ საყდარ (იქვე), სუიფიშ ჯგერ-



სვანეთის მთავარი სალოცავი კალის წმინდა კვირიკესა და იელიგას სახელობის ეკლესია – „ლაგურკა“.

რგ (ფარში), ფარიშ მაცხტარ (ფარში), ისგლდამ თარგლეზერ (იქვე), ქრისდე უიბლარიშ, ხულმი ლამხერიშ, ლამურყუამამ თარგლეზერ (იქვე), სუაჯარ თარგლეზერ (იქვე), ლეკშმ ჯგგრანგ, მგჟაიშა ჯგგრანგ (იქვე), მეშხელ თარგლეზერ (ღეშღერიშ), კაიშა თარგლეზერ (იქვე), ჯგგრანგ ჟიბრეშა (ჩუბეხევეში), ლამარია ჩუბრიშ (იქვე), ჯგგრანგ მკჰშ (იქვე), ცალრიშ საყდარ (იქვე), ლაშხრანშიშ ბარბოლ (იქვე), თაჟრარის მაცხტარ, ჯგგრანგ მექუნია (იქვე), აერხუაშიშ საყდარ (იქვე), ლახტუშ თარგლეზერ (იქვე), აელი თეკელიშ (იქვე), ჯგგრანგ ბოგეშ (ლახამულაში), ხუალმი ფუსტ (იქვე), გირგედ ლახმგლშ (იქვე), იფარიშ მაცხტარ ანუ ქრისდე იფრიშ (ლენკერში), კაიშდიშ (ხაიშის) საყდარ (ანუ ხაიშდიშ ჯგგრანგ, აგ.), იდლიანშ საყდარ (ანუ იდლიანშ თარგლეზერ, აგ.), ჯგგრანგ ხუბერიშ, ლამარია თანღარეშ, დღლარ კუცარ, ტუბრე ლმშზერ, ლახტუშ ლამზერ, უეთხმლე ლმშზერ, ამსუაღდამ მგწსე, ლამარია“, [25, 60-61] როგორც ვხედავთ, აღნიშნული სალოცავებიდან 25-ზე მეტი წმინდა გიორგის ჯგგრანგ-ის სახელს ატარებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქრისტიანულ სამყაროში არ



ლახაშელის წმინდა ვიორგის (ჯგერგის) სახელობის ეკლესია.



ეკლესიის საღარაჯომე (XIX ს.)



სოფ. იფარის ეკლესია.



მოაზარანგელოზის სახელობის ეკლესია სოფელ ვეერში.



იოანეს (იანის) სახელობის ეკლესია სოფელ ლაგალში.



წმინდა გიორგის (ჯგერავის) სახელობის ეკლესია სოფელ აღიშში.



მაცხოვარის სახელობის ეკლესია მესტიაში.



წმინდა გიორგის (ჯგერაგის) სახელობის ეკლესია სოფელ უშგულში.



მაცხოვარის სახელობის ეკლესია სოფელ ლაგალში.

მოიძებნება წმინდანი, მოწამე იქნება იგი თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავის პოპულარობით წმინდა გიორგის შეედრებოდეს [36, 4]. ისიც აღსანიშნავია, რომ სვანეთის ყველა სალოცავი არაა წარმოდგენილი, მაგალითად, არაა დასახელებული ღიზის ჯვარი, ვედის ჯვარი, ლაღრალის თარგლეზერი, საღჭუბრიში და სხვ, რომლებიც XIX ს. II ნახევარში უკვე ფიგურირებდნენ.

ამ მრავალრიცხოვან ეკლესიებში დაცული იყო და არის უამრავი ხატი და ჯვარი, სხვადასხვა ძვირფასეულობა. ერთ აღუწერელი საგანძური. მათ შესახებ შექმნილია სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა და ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, ოღონდ აღვნიშნავთ იმას, რომ XIX საუკუნეშიც ეს ძვირფასეულობა შენარჩუნებული იყო და თავისებურად მეტყველებდა, როგორც სვანეთის მრავალსაუკუნოვან პოლტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირზე დანარჩენ საქართველოსთან, ასევე, ცხადია, ამ რეგიონის თვითმყოფადობაზე. მათში აირეკლებოდა მთელი საქართველოს და თვით სვანეთის ისტორიული წარსული, მისი სულიერი აღმაფრენა და დაცემა, მისი სიმძლავრეც და უძლურობაც—

სვანეთის ეკლესიები XIX საუკუნეშიც ფლობდნენ საკუთარ მიწებსა და ტყე-ველს. საეკლესიო წესის მიხედვით, ეკლესიას, რომელსაც ჰყავდა მრევლი, უფლება ჰქონდა მიწის საკუთრებისა. მართალია, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, თანდათან ძირეულად შეიცვალა საეკლესიო მიწათმფლობელობის წესები და ეკლესიას, როგორც მესაკუთრეს, ჩამოერთვა მამულები [37, 17-18], მაგრამ სვანეთში ეს კანონები ბოლომდე არ განხორციელებულა.

სვანეთში საეკლესიო მიწების არსებობას ერთ-ერთი პირველთაგანი შეეხო ბარტლომეი, რომელმაც აღნიშნა: „კალის საზოგადოება სულ ჩივის საკუთარი ტყის უკმარისობას. ჩემს მინიშნებაზე იმ ტყისაკენ, სადაც მე ჩემ გამცილებლებთან ერთად მივემგზავრებოდი, რომელიც დაფარული იყო საუკუნო ხეებით, გამცილებლებმა გამოხატეს თავიანთი გაკვირვება, რომ ეს ტყე ეკლესიის საკუთრებაა და იქ ტოტის მოჭრა არ შეიძლება“ [37, 15-16]; ეგ. გაბლიანის გადმოცემით — „მულახის საზოგადოებაში სოფ. ზარდლაშის დასავლეთით მდებარეობს საეკლესიო ტყე, რომელსაც სახელად უწოდებენ „ხვალმის“. ამ ტყის მოჭრის უფლება არავის არა აქვს“ [21, 134]; დ. დობროვოლსკის შენიშვნით, ეცერის საზოგადოების „სოფ. ბარში არის შესანიშნავი წიწვიანი ტყე, რომელშიც გადაბერებული ხეები ხმებიან და ლპებიან. ეს ტყე ეკუთვნის ეკლესიას, რომელსაც თვლიან საღვთოდ და მი-

სი ზმარება ან გაყიდვა არ შეიძლება. ის შეიძლება მოზმარდეს მხოლოდ ეკლესიის შესაკეთებლად ან ეკლესიის მშენებლობას. ეს ტყე არც საეკლესიო შემოსავლად შეიძლება გადაიქცეს. ასეთი ტყეები სვანეთში ბევრია“ [39, 197-198]; ტებცოვის განცხადებით – „სვანეთში არის საეკლესიო ტყეები, რომლებიც ეკლესიისათვის ნაჩუქებია საზოგადოებისაგან, როგორც ღვთისადმი შეწირული. ამ ტყით სარგებლობა შეუძლია სამღვდულოებას, მაგრამ არის ნაკრძალი ტყეებიც, საიდანაც სვანი არავის მისცემს თუნდაც ერთი ხის მოჭრის უფლებას. ეს წიწვნარი ტყე ყველგან ირგვლივ აკრავს ეკლესიას“ [40, 33]. დ. ბაქრაძემ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცნობა დაგვიტოვა, რომ „კვირიკესა და ივლიტას ტაძარს ჰყავდა თავისი გლეხები, ჰქონდა საკუთარი სახნავ-სათესი და ტყე. და არა მხოლოდ ამ ეკლესიას. არამედ სვანეთის ბევრ ეკლესიას დღემდე ჰყავს თავისი მებეგრე გლეხები, რომლებიც თავიანთი ეკლესიის სასარგებლოდ იხდიან შესაბამის გადასახადებს“ [23, 51] და სხვ. საეკლესიო მიწების მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო მთელ დასავლეთ საქართველოს მთიანეთში. მაგ, მთის რაჭაში არის შხელის წმ. გიორგის ეკლესია, რომელსაც „უჭირავს დიდი და გაშლილი, საუცხოო ლამაზი მინდორი, რომელიც დაბურულია ხატის წმ. ნამენართ. მთელი ეს მიდამო ხელუხლებელია, სადაც ხის პატარა ტოტის მოჭრა სასტიკად აკრძალულია“ [41, 86].

ზემოთ მოტანილი ფაქტები, რომელთა ირგვლივ ჩვენ წინა თავშიც გვექონდა საუბარი, ამჯერად მოვიყვანეთ დამადასტურებლად იმისა, თუ რამდენად ღრმად იყო გამჯდარი ქრისტიანული რწმენა სვანეთის მოსახლეობაში, სადაც ესოდენ მცირემიწიანობის პირობებშიც კი ეკლესიას უთმობდა საუკეთესო სახნავ-სათესს და ტყე-ველს. ამას იმიტომაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ სვანი მოსახლეობის აგრერივად დიდი თავყვანისცემა ქრისტიანული რწმენისადმი, XIX ს-ის რუსეთის პირბნელი ჩინოვნიკური აპარატის საქმეში ჩაუხედავმა პირებმა, სვანების ქრისტიანული მოძღვრების უცოდინარობით ახსნეს და პირველყოფილ ადამიანთა მსგავსად, რაღაც ზებუნებრივი ძალებისადმი ბრმა შიშით გამოწვეულ მოვლენად ჩათვალეს.

ქრისტიანული მოძღვრების, ქრისტიანული ეკლესიისა და ჯვარ-ხატებისადმი ფანატიკური რწმენის საოცარ და უჩვეულო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სვანეთში დღემდე შემორჩენილი წესი, რომელსაც მისი თვითმხილველი ისტორიკოსი ეგ. გაბლიანი ასე გადმოგვცემს: „კაალის წმინდა კვირიკეს ტაძარში ინახება უძვირფასესი ბიზანტიური ძვირფასი ქვებით შემკობილი მე-XII ს. ხელობის ოქროს ხატი „შალიანი“. ამ

ხატს წელიწადში სამჯერ ბანენ. მის ნაბან წყალს ინახავენ იმ სურამში, რომელიც ამავე ეკლესიის კუთვნილებას შეადგენს და ყურადღებას იქცევს თავისი ორიგინალური მხატვრობით [42, 42]. ამ სურით ზემოთ ხსენებულ ხატის ნაბან წყალს ჩამოატარებენ ხოლმე მთელს სვანეთში ქურდობის აღმოჩენისათვის. ზშირად მასში შენახულ შალიანის ხატის ნაბან წყალს საფუარში ჩაუსხამენ, რომ მისი ძალა შიგ ადამიანის სხეულში შეიტანონ და ფიცის გატეხვა არ გაბედონ“ [21, 115]. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესია სვანეთში უდიდეს როლს თამაშობდა. მორწმუნე სვანი ხატზე დაფიცებისას ყოველთვის აღიარებდა სიმართლეს და ფიცს არ გატეხდა. აი რას წერდა ამის შესახებ ექვ. თაყაიშვილი —



კალის წმინდა კეირიკეს ტაძრის სურა.

„დიდ ბოროტების და დანაშაულობის ჩამდენის აღმოსაჩენად შენიშნულ პირებს ამ ხატზე („შალიანზე“, ა.გ.) აფიცებენ და მაგალითი არ ყოფილა წინა დროში, რომ სვანს ფიცის დროს თავისი დანაშაული არ ელიარებინოს და არ გატეხილიყოს დანაშაულში“ [13, 180]. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სვანეთში „საჩინოდ და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივსცემენ... კვალად აღთქმულსა ანუ მფიცარს მას ზედა (ჯაჭვით დაბმულ ხატზე ა.გ.) დაერწმუნებიან ფრიად“ [18, 173]. სიტყვა, რომ არ გაგვიგრძელდეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ეს „ფრიად რელიგიური რწმენა“ იყო ის უდიდესი ძალა და საშუალება, რომლის წყალობით ეკლესია XIX საუკუნეშიც არეგული-

რება, სამწუხაროდ, მაშინაც შემორჩენილ სისხლის ალების წესით გამოწვეულ უკმაყოფილებას, მის ყველა ნიუანსს; სიმართლეს საბოლოოდ ადგენდა არა რუსული სამართალი, არამედ ადგილობრივი ეკლესია, ხატი და რწმენა.

ადამიანის ცხოვრებაში სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა: დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება. სვანეთში ამ სამ მოვლენასთან დაკავშირებული ყველა წესი ქრისტიანულია. ამის უტყუარ დასტურს წარმოადგენს ზემოთ დასახელებული პირველი და მეორე სულთა მატთანები, მნახელთა განმაცვიფრებელი რიცხვმრავალი ეკლესია, ადგილზე დამზადებული თუ ბარიდან შემოწირული ჯვარ-ხატები, საღვთო წიგნები, საეკლესიო მწიგნობრობა, ეკლესიათა წარწერები, ასევე მეცნიერთა მიერ დამტკიცებული სვანეთის ეკლესიის წარმომადგენელთა კავშირი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ იერუსალიმის წმინდა ადგილებთან, ათასგვარი შეწირულობები, საეკლესიო მიწები და სხვა ჩამოუთვლელი რამ.

სვანეთში აღრიდანვე საეკლესიო მშენებლობაში, მათ აღდგენა-განახლებებაში, დღესასწაულებსა თუ კრებებზე მონაწილეობდა მოსახლეობის ყველა ფენა. მონადირიდან დაწყებული თავადამდე, ყველა ეკლესიას სწირავდა ყოველივე კარგს და გამორჩევით მშვენიერს. მაგალითისთვის მიემართოთ სვანეთის სულთა მეორე მატთანეს, სადაც ვკითხულობთ: „ს(ულს)ა ისლამ-და[დრი]შგელიანისა სუანეთის ხუცესთა მალხინებელსა ახალ კრების მოწესესა შ(ეუნდვენ) ლ)მერთმა)მ“ [43, 121]. სხვაგან, „ლ(მერთ)ო კ(უა-ლა)დ ამრთელე და აღღევრძელე სორთმან დადიშქელიანი და მისი შვილები და მეტად საღმრთო და კრება ქნეს, შეგუყარეს სამოცდაათი ხუცესი“ [43, 120]. იქვეა დასახელებული, რომ მანვე ეკლესიას „ოცდათხუთმეტი ხარი“ შესწირა. აღსანიშნავია, რომ სვანეთის საეკლესიო კრებას მოეგება და სული შეჰვედრა: ლალვერში. 25 ოჯახმა, ლახამულაში – 25-მა, ლეშდერში – 26-მა, ეცერის საზოგადოებიდან 364 ოჯახმა, ცხუმარში – 129-მ, ებუდში – 96-მა, დოლში – 81, ბეჩოში – 57-მა, ლატალში – 7-მა, ლენჯერში – 6-მა, სეტიდან -5 და სხვ. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა სახის ძეგლი, რაც სვანეთში იწერებოდა, სდგებოდა რომელიმე ეკლესიის „თავსდებობითა და შუამდგომლობით“, რაც ამ საბუთს აძლევდა „მტკიცე და უქცეველის“ ძალას. ასე იქმნებოდა „დაწერილი ქუეყნისა სამაგრობელი სრულიად სვანეთის ხევისა“ და სხვა ხასიათის აქტებიც.

როგორც ცნობილია, სვანეთმა ერთიან საქართველოს დაშლისა და უნებ-

ლიე განკერძოების გამო ცვლილებები განიცადა, როგორც საზოგადოებრივ, ისე სასულიერო ცხოვრებაშიც. ამის უარყოფა არაობიექტური იქნებოდა. სვანეთს მოაკვლდა ერთიანი საქართველოს დროინდელი საეკლესიო სულიერი საზრდო. XVII ს. პირველ ნახევარში იტალიელი მისიონერი დონ კრისტეფორო დე კასტელი წერდა: „კავკასიის მთებში სვანი ხალხის სხვადასხვა ეკლესიაა, რომელთაც შემონახული აქვთ ულამაზესი რელიკვიები. სვანი ხალხი ქრისტიანი დარჩა ომიანობის დროსაც [44, 174], მაგრამ იქვე დასძენდა – „მათ არა ჰყავთ სარწმუნოების მასწავლებელი...“ [44, 165]. სულ მალე საქართველოს ესტუმრა არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც აღნიშნა: ჩრდ. კავკასიის მთებში მცხოვრებ ტომებს „შორის ყველაზე მშვიდობიანი არიან სვანები, რომელნიც ღვთისა და კეთილ ცხოვრების შესახებ ქადაგებას გულმოდგინედ ისმენენო“ [45, 166-167]. აქედან კი ისიც ჩანს, რომ სვანებს მაინც ჰქონდათ ბარის რაიონებთან კავშირურთიერთობა. ეს იყო გარესამუშაოზე სისტემატური გასვლა, ურომლისოდაც სვანეთს არსებობა არ შეეძლო. ამას ემატება სვანეთისა და სამეგრელოს ცალკეულ ეკლესიებს შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის შეუწყვეტლობა. მაგალითად, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ლატალიისა და ლენჯერის ჯგერაგის სახ. ეკლესიებს ყოველ გიორგობის დღესასწაულზე უგზავნიდა ხარს, ხოლო სვანეთის სალოცავებისაგან მას სამაგიეროდ სანთელი მოსდიოდა ყოველწლიურად ილორის დღეობებზე. სვანეთში არსებული გადმოცემის მიხედვით – „ეს სამი ხატი – ილორის, ლატალიისა და ლენჯერის ჯგერაგები – ძმები იყვნენო... ამ ძმებში უფროსი ილორიაო. სამივე ძმა კახეთიდან ყოფილან მოსული და აქ დასახლებულანო“ [35, 65]. გარდა ამისა, არსებობდა ცალკეულ სოფლის ეკლესიებისადმი ხატების ჩუქების წესი. მაგ., ზუგდიდიდან ცხრა კმ-ზე მდებარე ყულის-კარში ინახება ე.წ. სასწაულმოქმედი ჯვარი, რომელიც, ექ. თაყაიშვილის ჩანაწერების მიხედვით – „სვანეთიდან მოუტანია ერთს გლეხს გვარად როგავას, რომელიც გამოქცევია დადიშეკლიანს და დასახლებულა ყულის-კარში“. ექ. თაყაიშვილის დასკვნით – „ასეთი ხელობის ჯვარი თითქმის ყველა სვანეთის ეკლესიაში არის“ [46, 199-200]. ასევე სამეგრელო-სვანეთის საზღვარზე მდებარე სოფ. ჯვარის ხატ-სამლოცველოს ხატი ე.წ. ჯგეგე სვანეთიდან ჩამოუტანიათ არქანიებს [47, 367] და სხვა. ამით ჩვენ იმის მტკიცებას კი არ ვცდილობთ, თითქოს სვანეთს შეუმცდარად შეენარჩუნებინოს ქრისტიანული სარწმუნოების ყველა ნიუანსი.

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ „ხალხის მასებმა უმ-

თავრესად მთიანი რაიონების მოსახლეობამ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად აღიარებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა წინარექრისტიანული კულტურისა და ყოფ-ცხოვრების ტრადიციები“ [48, 110]. თვით ქრისტიანული მოძღვრება მისი თავდაპირველი გავრცელების ხანაში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა მთელი სისრულით ჩამოყალიბებულს და ასეთ ვითარებაში მოუხდა მას შებრძოლება მთის მოსახლეობის ფსიქოლოგიაში მძლავრად გამჯდარ წარმართობასთან. ძველის წაშლისა და ახლის მოსვლის პროცესში ბევრი რამ შეეხიდა ერთმანეთს და მერე მან რაღაც ძალებით ტრადიციული ფორმა მიიღო. ეს ასე იყო სვანეთშიც. იქ დღესასწაულები ჩვეულებრივ ქრისტიანული წესით სრულდებოდა, მაგრამ ზოგიერთი მომენტი წინარექრისტიანულიც იყო. მაგალითად, სისხლის აღება, მართალია, XIX ს-ში ეს მახინჯი ფორმა ნელ-ნელა წარსულს ბარდებოდა, მაგრამ მთლად მოშლილი არ იყო. სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა, რაც ძალაში იყო ისტორიულად და დღესაც შემორჩენილია. იყო ქალის მიტაცების შემთხვევები, იარაღის ტარება და სხვ. ასევე ადგილი ჰქონდა გარდაცვლილის გლოვის გადამეტებულ ცერემონიალს. ეკლესიაში და მის კედლებთან ახლოს დასაფლავება არ შეიძლებოდა, სხვაგან გარდაცვლილი სვანი აუცილებლად უნდა მოესვენებინა ჭირისუფალს და დაესაფლავებინა საკუთარ სასაფლაოზე. სამწლამდელი ასაკის ბავშვს არ ასაფლავებენ საერთო სასაფლაოში, არამედ მარხავენ სახლთან ახლოს ეზოში, სასაფლაოს მიწაზე არ ასაფლავებენ უკანონოდ შობილებს, ასევე მათ მშობლებსაც. ქალები შავებს ატარებდნენ 2-3 წელიწადს, მამაკაცები ზოგი ორმოცი დღე, ზოგიც ერთ წელს ატარებდნენ წვერს და სხვ. საერთოდ, სვანეთში, შესაძლებელია მცირე დროით ჩასულს ასეთი რამ უცხოდ მოეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ წმინდა ქრისტიანულის ანუ აბსულუტური ქრისტიანობის დაცვა, არა მხოლოდ სვანეთში, არამედ ამ რელიგიის აკენისდამრწევ ქვეყანაშიც კი ვერ ხერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად სვანეთში ქრისტიანობა ამღვრეული არასდროს ყოფილა, XIX ს. რუსეთის აგენტები ცრუ მეცნიერული მიდგომით უსიერ ბურუსში ახვევდნენ ამ რეგიონის ქრისტიანულ წარსულს და თავიანთ დამპყრობლური პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ამტკიცებდნენ იქ „ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების შემოტანის“ აუცილებლობას. სინამდვილეში კი ამ ჭეშმარიტ ქრისტიანულ კუთხიდან ეზიდებოდნენ უძვირფასეს საეკლესიო საგანძურს, რითაც თვით არღვებდნენ ქრისტიანულ ცნებათა ერთ-ერთ მთავარ მუხლს „არ იქურდო“. ასე, მაგა-

ლითად, გრაფმა ლევაშოვმა 1869 წელს სვანეთში მოგზაურობის დროს სოფ. ჟახუნდერის ეკლესიას ჩამოხსნა ძვირფასი თვლებით მოჭედილი კარები და წაიღო სვანეთიდან; ასევე წაიღო წმ. კვირიკეს მონასტრის მეოთხე საუკუნის ბერძნული სახარება; უვაროვამ წაიღო სვანეთიდან ბრინჯაოს IX ს. მშვენიერი მხატვრული კანდელი და სოფ. ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის კუთვნილი 1051 წ. ივანე მესვეტეს მიერ მონასტერში ბაგრატი კუროპალატის დროინდელი ხელნაწერი; მოსკოვის სასულიერო აკადემიის სამკითხველოში ინახებოდა სვანეთიდან წაღებული ორი ოქროსყდიანი სახარება და სხვა მრავალი [21, 117-118]. მიხეილ თამარაშვილის დაანგარიშებით, მხოლოდ ეკლესიებიდან „რუსეთის მთავრობამ საქართველოს 137.600.000 მანეთის ქონება წაართვა“ [49, 441].

* * *

XIX ს. 20-იანი წლებისათვის რუსეთმა განიმტკიცა პოზიცია ამიერკავკასიაში და შეუდგა მთისა და მთისწინა რაიონების – დაღესტნის, ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის, ოსეთის, ყაბარდოსა და ადიღეს საბოლოოდ დაპყრობას. სწორედ ამ დროს კოლონიზატორთა მიზნებმა მკვეთრად წარმოაჩინეს და ნათელი გახადეს სვანეთის სტრატეგიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა. სვანეთი კოლონიზატორული მიზნების მისაღწევად საჭირო რეგიონად ჩაითვა. დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანურ სამყაროდან ვითომ სვანეთის გამოხსნისათვის ბრძოლა. აქ მთავარი როლი ეკლესიას უნდა შეესრულებინა. საქმეში ჩართეს სამეგრელოს მთავრები, რომელთა ოფიციალურ დავალებად იქცა „სვანეთის გაქრისტიანება“, რაშიც ჯერ კიდევ გრიგოლ დადიანი იყო დასაქმებული, მაგრამ განსაკუთრებული როლი მაინც ლევან დადიანმა ითამაშა. სამეგრელოს მთავართა მცდელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატებოდა სვანეთში საეკლესიო გავლენიან პირთა გაგზავნით, რომელთაც ადგილობრივ მოსახლეობასთან ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისათვის უნდა ეზრუნათ. ირკვევა, რომ 1829 წლისათვის ლევან დადიანს „თავისუფალ“ სვანეთში უკვე მეორედ გაუგზავნია მიტროპოლიტი დავითი, რომელმაც „მუნ მცხოვრებნი... სვანნი მრავალნი მონათლა, აკურთხა ეკლესია და დაადგინა მუნ ხუთნი მღვდელნი“ [50, 82]. ლევანი იქვე ასეთ განაცხადებას აკეთებს, რომ მას „აწცა სურს... შეაგზავნოს მათ შორის მღვდლები მასწავლებლად ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და ესე ვითარისა მეცადინეობითა შესაძლო არს მიიყვანოს უმრავლესი ნაწილი სვანეთისა ქრისტეს სარწმუნოებად“ [50, 82]. იგივე ფაქტი განმეორებულა

1830 წელსაც. 1834 წელს, სვანეთის შეერთების შემდეგ, შტაბსკაპიტანმა შახოვსკიმ ბარონ როზენს მისწერა: „Для нас же выгоднее ввести к Сванетам Русское богослужение, которое связало бы народ собственно с нами и для исполнения чего нужным полагаю: взять от нескольких Сванетских священников детей, обучить их закону божью на русском языке, посвятить в священники и послать к народу, который примет их с радостью, и отцы охотно уступят детям свои места“ [51, 466].

ეს თითქმის საპროგრამო დოკუმენტად იქცა. ბარონმა როზენმა ძალიან მოიწონა შახოვსკის მოსაზრება და 1835 წ. ეგზარქოს ევგენიას დაავალა, რომ მთელი შესაძლებლობით ეზრუნა ჯერ სადადიშგელიანოს, ხოლო შემდეგ მთელი სვანეთის გასაქრისტიანებლად [51, 467].

ე.ი. ვითომ, „რუსული ქრისტიანული ცივილიზაციის“ „შემომტან“ ამ ბინძურ მოხელეთა გეგმით, სვანეთში სწავლა-განათლების საქმე ამ ქრისტიანული კუთხის ხელახალი „გაქრისტიანების“ ნიშნით უნდა წარმართულიყო.

საარქივო წყაროები გვარწმუნებენ, რომ ამ დროიდან სწავლა-განათლების საქმე სვანეთში სასულიერო პირთა ხელში მოექცა. ამასთან ერთად შეიმჩნევა სვანი თავადების მცდელობა თავიანთი ოჯახის წევრებისათვის ოჯახური სწავლა-განათლების მისაღებად, რისთვისაც ისინი საქართველოს ბარის რაიონებიდან იწვევდნენ ხოლმე შესაბამის პირებს. მაგალითად, 1834 წ. ციოყ დადიშგელიანს რაჭვიდან, სოფ. ამბროლაურიდან მოუწვევია წინათ იქ გადასახლებული ნათესავი დავით დადაშიძე (დადიშგელიანი), რომელიც ციოყის ოჯახის წევრებს ასწავლიდა წერა-კითხვას და პარალელურად ეწეოდა თარჯიმნობასა და მიმოწერით მუშაობას ციოყსა და რუს მოხელეებს შორის [52, 165]. ეს მტკიცდება იმითაც, რომ როზენს, დავით დადაშიძე ამ საქმიანობის კარგად წარმართვისათვის 1835 წ. დაუჯილდოებია ვერცხლის მედლით [53, 2]. ციოყის მემკვიდრე კონსტანტინე დადიშგელიანის დროს იგივე საქმიანობას ეწეოდნენ მღვდლები ტიმოთე ბაკურაძე [54, 41] და ნიკოლოზ დადაშიძე [55, 12]. ქვემო სვანეთში ამავე პერიოდში ქრისტიანობის გავრცელებისათვის ბრძოლაში თავგამოჩენისათვის როზენი ვერცხლის მედლით აჯილდოებს მღვდელ იგორ ქარდავას [51, 224].

1847 წ. ვორონცოვის ბრძანებით, ბალსზემო სვანეთში საეკლესიო საქმის სწავლებისათვის გამოყვეს სულ 50 მანეთი ვერცხლით. ამ დროს სვა-

ნეთში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მღვდელი გიორგი გულბანი, მაგრამ 1849 წელს „თავისუფალ“ სვანეთში საბოქაულოს გაუქმებასთან დაკავშირებით გ. გულბანისათვის შეუწყვეტიათ ჯამაგირის მიცემა. მას ჯამაგირი აღუდგინეს 1854 წელს [56, 2-11].

1854 წ. რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანოსა და სვანეთში სასკოლო საქმეების მოსაწყესრიგებლად გამოყო მხოლოდ 1000 მანეთი. ეს თანხა უნდა დახარჯულიყო ადგილებზე სკოლების მშენებლობის, შეკეთების, რუსული სახელმძღვანელოების შესაძენად და მასწავლებელთა ხელფასის სახით. საარქივო დოკუმენტები გვიმტკიცებენ, რომ კოლონიზატორ მოხელეთა უყურადღებობის გამო ეს თანხა არ ათვისებულა [56, 11].

1857 წ. ფელდმარშალმა ბარიატინსკიმ მიურიდიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად დააყენა საკითხი კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსების შესახებ [10, 107], რომელიც ძალაში შევიდა 1860 წ. 9 ივნისს. შემუშავებული იქნა ამ საზოგადოების მოქმედების პროექტი და სათავეში ჩაუდგა კავკასიის მეფისნაცვალთა აღნიშნული საზოგადოება მიზნად ისახავდა აღედგინა და განემტკიცებინა მართლმადიდებელი ქრისტიანობა კავკასიის მთიელ ტომებში და განაპირა მოსახლეობაში, რომლებშიც გავრცელებული ან ფეხმოკიდებული იყო მაჰმადიანური სარწმუნოება. რუს მოხელეებს სწორედ სვანეთი მიაჩნდათ ასეთ კუთხედ. ამიტომაც აღნიშნული პროექტის მე-6-ე მუხლში ნათქვამი იყო რომ „სოფ. ბეროში უნდა აშენდეს ეკლესია ქრისტიანებად ახლად მოქცეულ სვანებთან ამ რელიგიის განსამტკიცებლად და მათ მეზობელ ყარაჩაელთა გადმოსახირებლად. ასევე ფარში დადიშგელიანების მანამდელ რეზიდენციის ბაზაზე უნდა აშენებულყო ეკლესია [10, 111]. სხვათა შორის, ცნობილი საეკლესიო მოღვაწის კირიონ მეორის (გიორგი) საძაგლიშვილის გადმოცემით — „ბეროში შემდეგში მართლმადიდებლად მონათლულა 471 სული, რომელთა შორის ყოფილა მთელი ბეროს არისტოკრატია, რომლებიც ახლონათესაურ კავშირში იყვნენ ყარაჩაელთა ყველაზე ცნობილ გვარებთან“ [10, 111].

ხსენებული საზოგადოება ხსნიდა სკოლებს ქრისტიანული განათლების გასავრცელებლად. სკოლებში მოსწავლეები სწავლობდნენ საღმრთო რჯულს, რუსულ და მშობლიურ ენებს, ნაწილობრივ ანგარიშს და გალობას. 1865 წლისათვის ამ საზოგადოებას 57 დაწყებითი სკოლა ჰქონდა თუმცა ფშავ-ხევსურეთში, სვანეთსა და სამურზაყანოში [57, 45]. აქედან სვანეთში იყო აშენებული დაწყებითი სკოლა სოფ. ფარში.

XIX ს. 60-იანი წლები, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სერიოზულ გარდატეხით აღინიშნა. ამ დროს გატარებულმა რეფორმებმა რუსეთის იმპერიის ხალხთა ცხოვრებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. ცვლილებები მოხდა საქართველოში და ჩვენთვის საინტერესო რეგიონშიც. სვანეთს არც იმჯერად მოაკლდა რუსეთის ვაიპოლიტიკოსთა ნაციონალური ჩაგვრის მახინჯი ფორმები, რომლის გამოხატულება იყო 1864 წ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დავალებით თბილისში ბარტლომეის მიერ პ. უსლარის მოგონილი ასოების გამოყენებით შედგენილი და გამოცემული სვანური ანბანი – „ლუშნუ ანბან“, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ სვან მოსწავლეებს სვანეთის სამრევლო სკოლებში და რომლის მიზანი იყო მშობლიური ქართული ენის ნაცვლად რუსული ენის საბოლოოდ დამკვიდრება და ამ უძველესი ქართველების გარუსება.

სვანური ანბანის და ისიც რუსულად შედგენას ისინი ასე ასაბუთებდნენ: ვითომ ქართული ენა არ არის სვანებისათვის მშობლიური ენა, სვანური ენა არის სრულიად უცხო ენა, რომელსაც არაერთი ნათესაობა არა აქვს ქართულ ენასთან, ამიტომაც სვანებს უჭირთ ქართულის სწავლა და უფრო მიდრეკილება აქვთ და ეადვილებათ რუსული ენის სწავლება. სინამდვილეში კი ეს იყო თავისებური ხერხი სვანების გარუსებისა და დენაციონალიზაციისა. ეს იყო ხერხი ქართული ეროვნული სხეულის დასუსტებისა და ეროვნული შეგნების მოღუნებისა. პარალელურად მეფის მთაერობა სვანეთში აგ ზავნიდა საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად სანდო პირებს. ამ პერიოდში სვანეთს ესტუმრა იმერეთის სამწყსოს მოთავე ეპისკოპოსი გაბრიელი. მანამდე, კირიონის გადმოცემით, სვანეთის გაქრისტიანების საქმეს დიდი ყურადღება დაუთმო ეგ ზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკიმ) (1844-1858 წწ) [10, 24], მაგრამ ეპისკოპოსი გაბრიელის მოღვაწეობა სვანეთში მაინც უფრო ნაყოფიერი გამოდგა. მან ფეხდაფეხ მოიარა სვანეთის სოფლები, სადაც მღვდლები არ იყვნენ ყველგან დააყენა და თვითონაც ზედებოდა მოსახლეობას. კირიონი წერდა: „Благодаря такому самоотвержению его, Сванетия, давно не слышавшая архипастырского слова, услышала его из усть просвещенного Гавриила, своего просветителя“ [10, 128]. ამ დროს სვანეთის მღვდლები იყვნენ: მუჟალში – მესხი, მუშკეთში – ახვლედიანი, მესტიაში – სოხაძე, ლენჯერში – ბაქრაძე, ლატალში – არდიშვილი, თაერარში – წერეთელი, ლახამულაში – სისონა ჭკადუა და სხვები. როგორც ცნობილია, უფრო მოგვიანებით 1899 წ. გამოიცა „Мингрель-

ская жизнь” -ც. ასიმილატორები უკვე აშკარად აცხადებდნენ, თითქოს მეგრული ამბანი მათ შეადგინეს მეგრელებზე გაბატონებული ქართველების წინააღმდეგ. ანბანის შემდგენელი გრუნი წერდა: „ამ ანბანის გამოცემისას მე მხედველობაში მქონდა, თუმცა არაპირდაპირ, როგორმე ნაციონალური ბრძოლისათვის გამომეწვია მეგრელები, რომელნიც უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან ითვლებიან და, მართლაც, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი, ნაციონალური აღფაბეტის ქონების გარეშე, რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისე გამოხატავს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში ქართველი“ [58, 104]. ვფიქრობთ, ამ განცხადების შემდეგ უკვე ნათელი ხდება, თუ რისთვის ადგენდნენ რუსიფიკატორები როგორც სვანურ, ისე მეგრულ ანბანს.

სვანეთისა და სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის რუსიფიკატორულ პოლიტიკას გულგრილად არ შეხვედრია ქართული მოწინავე ინტელიგენცია. საქვეყნოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის ბრძოლა რუსიფიკატორების წინააღმდეგ. მან გამანადგურებლად გააკრიტიკა თითქმის ყველა მოხელე, ვინც კი შეეცადა ქართული ენის ღირსების შელახვას. ამ მხრივ საკმარისია მკითხველმა გადაიკითხოს მისი წერილი „ვიცინოთ ამაზე თუ ვიტყვი“ და მისთვის ცხადი გახდება ილია ჭავჭავაძის დეაწლი მშობლიური ენის სადარაჯოზე [59, 187]. სახელოვანმა მამულიშვილმა ი. გოგებაშვილმა მთელი ენერგიით გაილაშქრა სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების აკრძალვის ღონისძიების გამტარებელთა წინააღმდეგ. 1881 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „ტყუილს მოკლე ფეხი ასხია“, სადაც მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ის ადგილობრივი ერთი მუჭა გადაგვარებული პირები, რომელთაც გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნეს სტატია, სადაც აღნიშნავდნენ, თითქოს მეგრულ ხალხს სურდა პირველი დღეებიდანვე სკოლაში ქართულის ტოლად ისწავლონ რუსული ენაც. მათ ი. გოგებაშვილმა „ცრუპენტელა მეტიჩრები“ უწოდა და თან დასძინა იმის შესახებ, თუ რა დიდი ღალატი იყო სწავლებაში ამგვარი მიმართულების გატარება ქართველი ერისთვის. რას გვიქადის ამ უკუღმართის აზრის სისრულეში მოყვანა, განხორციელება? კითხულობს ის და იძლევა პასუხს: „რა საკვირველია, მეტად ცუდს მომავალსა... იმერეთის დაქუცმაცებას... სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტას, მოშორებას საერთო ნიადაგიდან“. ისინი შემდეგში „იმავე სიკეთეს მოიმეიან, რა სიკეთეც მოელის ტოტებსა, ხიდგან მოჭრილებსა. დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან. ნუ ვინ მოიყვანს

აქ საწინააღმდეგოდ მყნობას. სხვა ხეზე შტომ შეიძლება იხაროს, მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე, მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიად სხვაგვარ ხეზე, ვერც გაიზრდება და ვერც იხარებსო“ [61-478]. ი. გოგებაშვილი მეგრული ანბანის გავრცელების უარყოფითი მხარეების აღნიშვნის შემდეგ წერდა: „ყოველივე ზემოთხსენებულს ჩვენ საჭიროდ ვთვლით დაეუმატოთ ისიც, რომ ის, რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, საკვებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც – სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპათიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავის ცხოვრების ყველა სხვა სფეროში“ [61, 448]. „ლუშნუ ანბანის“ შემდგენელნი საფუძვლიანად გააკრიტიკა სვანეთის მკვიდრმა ბ. ნიჟარაძემ. იგი წერდა: „როგორც სახელმძღვანელო „ლუშნუ ანბანი“ ყოვლად უვარგისი რამაა: წიგნში ყველაფერი დომხალივით არეულ-დარეულია, არცერთი პედაგოგიური დედააზრი არ არის დაცული. ანბანის შემდგენელს განსვენებულს ბართლომეის ასოების დასწავლის შემდეგ, მოსწავლე პარდაპირ ცაზე აჰყავს და იქაურობას ამცნობს, თითქოს სვანი ბავშვებისათვის დედამიწაზე არაფერი მოიძებნებოდეს სასწავლო“ [5, 106].

თუ როგორ ჩათვალა სვანმა მოსახლეობამ სვანეთში ქართული ენის წინააღმდეგ რუსიფიკატორთა საქმიანობა, ამ აზრს მოხდენილად გადმოგვცემს ივანე მარგიანი 1898 წელს დაწერილ წერილში „წერილი სვანეთიდან“ – „მოვიხსენიებ ხალხის აზრს ქართული ენის შესახებ. „ქართული ძლიერ საჭიროა ჩვენთვისაო“, ამბობენ სვანები. ქართული წერა-კითხვის ცოდნა საკმარისია, რომ ის გამოვიყენოთ ჩვენდა სასარგებლოდ. ქართული ენის შესწავლა ჩვენს შვილებს ძალიან ეადვილებათ. დიდებმა კი თითქმის ყველამ ვიციით და წერა-კითხვის ცოდნაღა საჭირო, რომ ჩვენ ლუკმა-პური ვიშოვნოთ“ [5, 127].

როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ლუშნუ ანბანმა“ ვერ გაამართლა თავისი მისია. იგი პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა. მაგრამ რუსიფიკატორები მარტო ანბანთა შედგენით არ დაკმაყოფილებულან. 1888-1889 წლებში მათ შეადგინეს მეგრულ, აფხაზურ და სვანურ ენებზე პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები სამრევლო სკოლებისათვის, რომლებიც პროფ. ა. კიკვიძის აღნიშვნით, „ლოცვათა კრებულებს წარმოადგენდნენ“ [61, 331]. არც ამ სახელმძღვანელოებს მოჰყოლია სასურველი შედეგი.

ახლა შევეხოთ სკოლებს. ბ. ნიჟარაძის ერთი ცნობის თანახმად, 1847 წლიდან სვანეთში ყოფილა ერთი სკოლა სოფ. ბეჩოში, მაგრამ ავტორი სამწუხაროდ არ განმარტავს, თუ როგორი სახის იყო ეს სკოლა“ [27, 100]. 1864 წელს საბატონო სვანეთის სოფ. ფარში კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას თავისი ხარჯებით აუშენებია ერთსართულიანი და სამოთახიანი სკოლა. საზოგადოებას გამოუგზავნია სასწავლო ნივთებიც, მაგრამ მასწავლებლის გამოუძებნელობის გამო ეს ნივთები დიდხანს საზოგადოების მიერვე გამოგზავნილ ყუთებში ყოფილა მოთავსებული და გამოუყენებელი. 1864 წელსვე იმავე საზოგადოებას მესტიაში გაუხსნია სკოლა, მაგრამ ვერც აქ მოხერხებულა მისი ამოქმედება 1871 წლამდე. 1871 წელს კი მესტიის სკოლა უკვე რეალურად მუშაობდა და მოსწავლეთა რიცხვიც საკმაო ყოფილა. 1872 წელს ამოქმედებულა ფარის სკოლაც. აქ მასწავლებელიც დანიშნულა, მუშაობაც დაუწყია, მაგრამ სწავლა მიმდინარეობდა „ლუშნუ ანბანით“, რასაც მშობლები უარყოფითად შეხვედრიან და მალე მოსწავლეებსაც მიუტოვებიათ სკოლა. მართოდ დარჩენილ მასწავლებელს გადაუნაცვლებია მესტიის სკოლაში, სადაც მისთვის დიდი დახმარება აღმოუჩენია მესტიელ მღვდელს ილარიონ გერსამიას, შეუგროვებიათ რამდენიმე ბავშვი, მაგრამ „ლუშნუ ანბანის“ წყალობით სწავლას ვერც აქ მიეცა მსვლელობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მასწავლებელი მღვდლად კურთხებულა, ხოლო ბავშვები თავიანთ სახლებში დაბრუნებულან [27, 106].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას სვანეთიდან მიჰყავდა ბავშვები სასულიერო სასწავლებლებში. ბ. ნიჟარაძის ცნობით, ხსენებული საზოგადოება ზრდიდა „1870 წლამდინ თავის ხარჯით შვიდ სვანს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში“ [5, 55]. სხვათაშორის ამ ფაქტს მიუთითებს ეგ. გაბლიანიც, რომლის აღნიშვნით, „სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა რამდენიმე სვანი“ [21, 157].

1879 წელს სვანეთში პრისტავად დაინიშნა გრიგოლ კლდიაშვილი [63, 21], რომელსაც ამავე წელს დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის დ. ყიფიანისათვის მიუმართავს თხოვნით სვანეთში სკოლების გახსნის შესახებ. ის წერდა: „საზოგადოების მაღალი და კეთილი მიზანი ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეში არ იქნება ისეთი ნაყოფიერი და არ გამოიღებს ისეთ სასურველ შედეგს, როგორც სვანეთში“ [63, 21-22]. საზოგადოების გამგეობას სიამოვნ-

ნებით მოუსმენია და განუხილავს გ. კლდიაშვილის მიმართვა და ერთხმად დაუდგენია სკოლის გახსნა სოფ. ბეჩოში. წ.კ.გ.ს. თავმჯდომარეს დ. ყიფიანს უთხოვია გრ. კლდიაშვილისათვის, რომ „სკოლის ასაშენებლად ხის მასალა მოემზადებინებია ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის და ეჩვენებინა მასწავლებლად ვინმე ნასწავლი სვანი, ცოტა ჯამაგირით“. მართლაც, „ყოველი მასალა მოამზადა, ორი მასწავლებელიც ნაშოვნნი იყო, რომლებიც თანხმდებოდნენ, თუ საზოგადოებას ჯამაგირის მიცემა გაუჭირდებოდა, მუქთად სკოლის წაყვანას, ოღონდ მას (სკოლას) საზოგადოებისაგან სასწავლო ნივთებით შემწეობა ჰქონიყო“ [5, 56]. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. 1869 წელს ქუთაისის გუბერნატორის გრაფი ლევაშოვის წინადადებით, კავკასიის მთავარმართებელს სვანეთში რუსეთის რაზმის, რომელსაც მაშინ „რუსის კამანდას“ უწოდებდნენ, ადგილსამყოფელად მოუწონებია სოფ. ბეჩო. 1872 წლიდან 1882 წლამდე აქ იდგა „რუსის კამანდა“, სადაც ექიმად მუშაობდა რეიხი, რომელსაც ბოქაულ გრ. კლდიაშვილის ჩაგონებით, ანდერძით სკოლის ასაშენებლად დაუტოვებია 4000 მანეთი ფული. ამ ფულის არსებობა ცნობილი გახდა წ.კ.გ.ს.-თვის. საზოგადოებას, სწავლასმოწყურებული სვანი მოსახლეობის დახმარებით შეეძლო ეს ფული მართლაც გამოეყენებინა სკოლების მშენებლობისათვის, მაგრამ მაშინდელი ჩინოვნიკური ხელმძღვანელების წყალობით ეს ფული დაიკარგა და კეთილ საქმეს ვერ მოხმარდა. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრ. კლდიაშვილს სვანეთიდან თან წაუყვანია ობოლი სვანი (ვინაობა უცნობია) აღსაზრდელად და ქუთაისის ერთ-ერთ სასწავლებელში მიუბარებია სასწავლებლად.

1881 წელს სოფ. მუქალში გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი [65, 11].

1885 წელს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება სვანეთში ახალი სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებს ადგილობრივი მოსახლეობა ინახავდა. აი, რას წერდა ეთნოგრაფი ლ. დადუანი გაზეთ „ივერიაში“ 1891 წელს: „ყველას წინ გაუსწრო ამ საქმეში (სკოლების შენახვაში, ა.გ.) სამმა საზოგადოებამ: მულახისამ, იფარისამ და მესტიისამ. რაკი გაიგო, რომ სკოლები იმართებიანო, შეეჯიბრა ერთმანეთს ეს სამი საზოგადოება და იტვირთა ხარჯი სკოლების შესანახავად. კერძოდ, მულახის საზოგადოებამ იკისრა სკოლის აშენება თავისი ხარჯით, 200 მანეთი შექკრიბა წიგნების ფასად, აღუთქვა სკოლას მოსამსახურეობა და შეშა. ამითი მულახის საზო-

გადოებამ დაირჩინა ორკლასიანი სასწავლებელი. იფარის და მესტიის საზოგადოებამ თავს იდევს სკოლებისათვის შენობის აშენება, მოსამსახურეებისა და შეშის მიცემა. ამითი ამ უკანასკნელებმა დაირჩინეს ორი სასწავლებელი ქრისტიანობის აღმდგენელის საზოგადოებისა“ [5, 45]. მულახის სკოლაში თავიდანვე შესულა 60-მდე მოსწავლე. სწავლა მიმდინარეობდა სვანურ და რუსულ ენებზე. ამავე ხანებში სვანეთის ზოგიერთ სოფელში სამინისტროს სკოლები იხსნებოდა, ზოგან კი სამრევლო. სკოლები გაიხსნა ცხუმარშიც, ლატალშიც და ქვემო სვანეთის სოფლებშიც. 1891 წელს სოფ. ჭოლაში გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი, სადაც 1895 წელს 100 მოსწავლე და 4 მასწავლებელი ითვლებოდა. როგორც მკვლევარი ა. ჩარკვიანი მიუთითებს, უფრო მოგვიანებით ჭოლაშის სკოლაში გაიხსნა ქალთა განყოფილებაც, სადაც ასწავლიდნენ ხელსაქმეს – ქსოვას, ქარგვას, ჭრა-კერვას და სხვ. მისივე ცნობით, XIX-XX ს.ს. მიჯნაზე იფარში, მესტიაში, ცხუმარსა და ლახაბულაში დაარსდა სამრევლო სკოლები [34, 76-77].

თუ როგორ გადააბიჯა სვანეთმა XIX საუკუნეს სწავლა-განათლების დარგში, ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ი. მარგიანის მიერ 1902 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში – „წერილი სვანეთიდან“. ამ დროისათვის თავისუფალ სვანეთში ყოფილა 13 სკოლა. აქედან – 7 საეკლესიო, რომელიც ეკუთვნოდა ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას და 6 სამინისტროსი. სადადიანო სვანეთში კი – ორი საეკლესიო სკოლა და ორი სამინისტროს სკოლა. თავისუფალი სვანეთის საეკლესიო სკოლებში სწავლობდა 319 ბავშვი და სამინისტროს სკოლებში 100-მდე. ე.ი. სულ თავისუფალი სვანეთის სკოლებში სწავლობდა 419 ბავშვი. სადადიანო სვანეთში ორ საეკლესიო სკოლაში სწავლობდა 54 ბავშვი, ორ სამინისტრო სკოლაში კი 28 ბავშვი, სულ 82 სული. თავისუფალ სვანეთში მცხოვრებთაგან საშუალო და სხვა განათლება მიღებული ჰქონია 30-35 სულს. ავტორის ცნობით, ივ. ნიჟარაძე ს. უშგულიდან იმ დროს ამთავრებდა უნივერსიტეტს. სადადიანო სვანეთში 5 სწავლული ყოფილა. თავისუფალი სვანეთის 15 მღვდელიდან 6-ს საშუალო განათლება ჰქონია მიღებული, სადადიანო სვანეთში კი 11 მღვდელიდან საშუალო განათლებით ყოფილა 2. ხსენებული დროისათვის თავისუფალი სვანეთი ღებულობდა შემდეგ ურნალ-გზეთებს: 2 „ივერიას“, 3 „ცნობის ფურცელს“, 2 „კვალს“. 4 „ნოვოე ობოზრენიეს“, 2 „კავკაზს“, 1 „სპ. ეედომოსტს“, 4 „ნივას“, 4 „მწყემსს“. სადადიანო სვანეთში კი შემოდიოდა „ცნობის ფურცელის“ ერთადერთი ეგზემპლარი [5, 177-178].



ბესარიონ ნიჟარაძე




გაბრიელ ნიჟარაძე

აღსანიშნავია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შესაძლებლობის ფარგლებში დიდ ყურადღებას უთმობდა სვანეთში წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. ამის დამადასტურებელია ბ. ნიჟარაძის წერილი გაზეთ „ივერიის“ მიმართ 1893 წელს. იგი წერდა: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო: 1) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელმაც გამომიგზავნა სამი თუმანი ფული (30 მ.) მოსახმარებლად ჩემდა რწმუნებულ იფარის სკოლის ღარიბ მოსწავლეთა ტანისამოსისათვის“ [5, 107]. ამავე საზოგადოების დახმარებით 1895 წელს სვანეთში გაიხსნა ბიბლიოთეკაც [5, 108]. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სვანეთის სწავლა-განათლების გაუმჯობესების საკითხში ბევრმა მოწინავე ქართულმა ორგანიზაციამ და ინტელიგენტმა შეიტანა წვლილი. როგორც ა. ჩარკვიანი აღნიშნავს, „სვანეთის მთავართ ერთ შთამომავალს, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და მსახურობდა, გადაუწყვეტია ხელი შეეწყო სვანეთში დაწყებითი განათლების გავრცელებისათვის და საამისოდ გადაუღვია წლიურად 600 მანეთი“ [34, 76], სახელოვნამა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა და ასევე ზ. ჭიჭინაძემ და მრავალმა სხვამ ბიბლი-



ევნაგე გაბლოანი



ალბი დავითიანი

ოთეკას გამოუგზავნეს თავიანთ გამოცემათა ეგზემპლარები [5, 108]; თბილისის წიგნების გამოცემათა ამხანაგობამ, ასევე ქუთაისის გამომცემლობებმა გამოაგზავნეს წიგნები ბიბლიოთეკისათვის [5, 108].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის სვანეთში სწავლა-განათლების საქმეში თვალსაჩინო როლი ითამაშეს ლ. დაღვანმა (1851-1894 წ.წ.), ბ. ნიჟარაძემ (1852-1919 წ.წ.), ივანე მარგიანმა (1872-1933 წ.წ.), დ. მარგიანმა და სხვებმა. მათ არა მხოლოდ ხელი შეუწყეს ადგილობრივ სწავლა-განათლებას, არამედ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს წერა-კითხვა მშობლებისაგან ჰქონდათ ნასწავლი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ XIX საუკუნეში სვანეთში ცალკეულ ოჯახებში მიმდინარეობდა ქართული წერა-კითხვის სწავლა, რასაც, როგორც მკვლევარი ტრ. ხუნდაძე აღნიშნავს, ადგილი ჰქონდა მთელს მაშინდელ საქართველოში [66, 103-131].

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასასრულს სვანეთი ლერჯუმის მაზრაში შედიოდა და განეკუთვნებოდა ქუთაისის გუბერნიას. ლერჯუმ-სვანეთის მაზრაში, 1897 წლის რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერით,

ცხოვრობდა 6157 კომლი 46300 მცხოვრებით, აქედან წერა-კითხვის მცოდნე იყო 8,7 პროცენტი, ანუ 4167 კაცი, ე.ი. ყოველ 100 კაცზე მოდიოდა 91 წერა-კითხვის უცოდინარი. რა თქმა უნდა, წერა-კითხვის მცოდნეთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ თავადაზნაურული წოდების წარმომადგენლები. მაგალითად, ლეჩხუმ-სვანეთის მაზრაში 4167 წერა-კითხვის მცოდნედან 2319 თავდაზნაური და სხვა პრივილეგირებული წოდების მქონე იყო, რაც მაღალი წოდების 46 პროცენტს შეადგენდა მაშინ, როცა წერა-კითხვის მცოდნე გლეხები სულ 1884 კაცი, ანუ გლეხური მოსახლეობის 4,5 პროცენტი იყო [57,11].

სვანეთში წერა-კითხვის მცოდნეთა ასეთი მცირე რიცხვი გამომდინარეობდა რუსეთის თვითმპყრობელობის მოხელეთა უგვანო ანტიხალხური პოლიტიკიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავდა ხალხის მასების დაჩაივებას თუ უბადრუკ მდგომარეობაში დატოვებას. რუსიფიკატორთა მიერ „ლუშნე ანბანის“ შემოღებამ სვანეთს მაინც დააჩნია თავისი უარყოფითი კვალი. 1893 წელს ი. მარგიანი გაზეთ „ივერიის“ რედაქციას წერდა: „ამჟამად ზემო სვანეთში სულ სამი სკოლაა... სამივეში სწავლის საქმე ჯერჯერობით კარგად მიდის, მხოლოდ სამწუხაროდ ის დაგჭვენია, რომ ქართულ ენას არ ასწავლიან და ამიტომ რუსული ენის სწავლება სვანურის ამარას (ე.ი. უქართულოდ, ა.გ.) უჭირთ“ [5, 120]. გასაჭირი, როგორც ჩანს, იმაში იყო, რომ სწავლა ბავშვებისათვის სრულიად უცხო და გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მცირედი შედეგი, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის სწავლა-განათლებას მოჰყვა, იქიდან გამომდინარეობდა, რომ იქ მასწავლებლებად მიდიოდნენ ქართველები და არ ხერხდებოდა რუსული დიდმპყრობელური კადრების მუშაობა.

მიუხედავად სვანეთში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში ქართული ენის დევნისა, ამ უკანასკნელის ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მან გაუძლო ჟამთა სიავეს და მოაღწია დღევანდელობამდე.

ქართველი ხალხისა და ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის მხარდაჭერამ ეროვნულ სახალხო განათლებაში, იქნებოდა ეს საქართველოს მთასა თუ ბარში, უდიდესი როლი ითამაშა.

✶ მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი XVIII საუკუნიდან ასე თუ ისე გამოეთიშა საქართველოს ერთიან ცხოვრებას, იქ ქართული სული, ქართული ენის ღირსება არც შეიძლებოდა და არც ჩამკვდარა. სვანეთს საქართველოს ბარის, მასთან ეკონომიკური კავშირის გარეშე არსებობა არ შეეძლო. შემთხვევით როდი მიუთითებდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, რომ „კარჩაკე-

ტილი სვანეთი გაუგებრობაა. რა ჰქონდა სვანებს კარჩასაკეტი. ისინი ზომ ყოველთვის დამოკიდებული იყვნენ ბარისაგან. მათი მეურნეობა სწორედ ამ ურთიერთობის ინტენსიურობას მოითხოვდა“ [67, 427]. ამგვარმა კავშირმა გააძლებინა ქართულ ენას სვანეთში, რომლის მცოდნეთა რიცხვი XIX საუკუნის სვანეთში საკმაოდ მაღალი იყო. საერთოდ ქართული ენის ცოდნა სვანეთში ყოველთვის სასახელოდ ითვლებოდა [27, 170]. 1890 წელს ბ. ნიჟარაძემ მოიწადინა ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობის დადგენა ქვემო სვანეთში, კერძოდ, ლენტეხში, სადაც ის დაესწრო სოფლის ყრილობას, რომლისთვისაც მამასახლისს უნდა გაეცნო სამმართველოდან მოსული რამდენიმე მოწერილობა. მამასახლისს ეს მოწერილობა ქართულად წაუკითხავს, მაშინ ბ. ნიჟარაძეს ვერ მოუთმენია და უკითხავს მამასახლისისათვის, „რატომ სვანურად არ უთარგმნი ქალაქის შინაარსს, ნუთუ ყრილობაში ყველამ იცის ქართული?“ მამასახლისმა გაკვირვებით შემომხედა და მითხრა, – წერს ბ. ნიჟარაძე, – მეზუძრებით თუ მართლა მკითხავთო? ლენტეხში ეხლა დიდებმა კი არა, აკვანში მწოლიარე ბაღნებმაც კი ქართული იციანო“. მეერ დაწყებულა კამათი და „წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, – წერს ბ. ნიჟარაძე, – რომ ეს კამათობა თითქმის სულ ქართულ ენაზე იყო. თითქმის მეთქი, ვამბობ, რადგან სამ კაცში ორი უთუოდ ქართულად აძლევედა პასუხს მამასახლისს, რომელსაც ერთხელაც არ წასცდენია სვანური სიტყვა“ (მამასახლისიც სვანი იყო, ა.გ.) [27, 170]. ზემოთ მოტანილი ამბის შემდეგ ბესარიონს შეუსწავლია ქართული ენის მცოდნეთა რაოდენობა და წერს: „7-8 წლისაზე მეტებმა ყველა მამაკაცმა იცის ქართული ენა, დედაკაცებში 1001 სულში ქართულის მცოდნენი აღმოჩნდნენ 843 სული, ხოლო უცოდინარნი – 158 სული, რომელთა რიცხვში ირიცხებიან მცირე წლოვანი ქალიშვილებიც 8 წლამდე“ [27, 171]. მეტნაკლებად თითქმის იგივე მდგომარეობა იყო ჩოლუსა და ლაშხეთშიც. ზემო სვანეთის სოფ. უშგულში 290 მამაკაციდან 160-ს ცოდნია ქართული, ხოლო 136 დედაკაციდან – 2-ს.

კალის საზოგადოებაში 219 სრულწლოვან მამაკაცთაგან 199-ს ცოდნია ქართული, ხოლო 172 დედაკაციდან – 8-ს. იფარის საზოგადოებაში 546 სული მამაკაციდან – 306-ს, ხოლო 453 დედაკაციდან – 20-ს, მულახის საზოგადოებაში 622 მამაკაციდან – 116-ს, ხოლო 515 დედაკაციდან – 26-ს [27, 171-172]. ი. მარგიანი, აკრიტიკებდა რა რუს მოხელეთა მცდარ ცნობებს სვანეთში ქართული ენის უცოდინარობის შესახებ, წერდა: „მაშ რანაირად გაიგო ბ. სტოიანოვმა, რომ სვანებმა ქართული ლაპარაკის ინჩიც

არ იციან? მობრძანდით ბ. პედაგოგო, დაჰყევით ს. უშვულიდან, გაიარეთ კალა, იფარი, წვირმი, შედით მუყელში, ჩაჰყევით ს. მესტიას, ლენჯერს, ლატალს და ნახავთ, რომ ამ სოფლებში, რომელთაც საერთო სახელი თავისუფალი სვანეთი ჰქვიათ, ქართული თითქმის ყველამ იცის და წინათაც იცოდა (ხაზგასმა ჩვენია, ა.გ.). უტოდინარს თუ ნახავთ, ღრმად მოხუცებულებს, რომლებიც არსად არ წასულან. ზოგან იმისთანა მოსაწონ ქართულს გაიგონებთ, რომ გესიამოვნებათ [5, 181]. ფ. მახარაძე აღნიშნავს: „ქართულ ენას ისინი (სვანები), როგორც წინედ (ხაზგასმა ჩვენია, ა.გ.), ისე მით უმეტეს ახლა თავის დედაენად სთელიან და უმეტესობა იმათი მშვენიერად ლაპარაკობენ ქართულად“ [68, 26] ფრანგმა მოგზაურმა რ. ბარნოვილმა, რომელიც სვანეთს XIX საუკუნის 70-ინ წლებში ესტუმრა, სვანები ქართველებისაგან არაფრით განასხვავა და აღნიშნავდა, რომ სვანეთში ვერ იპოვით ორ ისეთ ტიპს, რომელიც ქართველს არ გინახავდეთ თავიანთი გულადობით, კეთილშობილურ სტუმართმოყვარეობით და სხვა. გიულდენშტედტმა სვანეთი ქართულ პროვინციად მიიღო და აღნიშნა, რომ „სამეგრელოსა და სვანეთში ლაპარაკობენ ორ ძალზე განსხვავებულ დიალექტზე, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ისინი წარმოდსგებიან ქართული ენისაგან“ [70, 179]. 1846 წელს ბერლინის აკადემიის წევრმა გეორგ როზენმა სვანური ენა შეადარა მეგრულს და აღიარა, რომ ისინი ერთი სათავიდან მომდინარე ენებია და წარმოადგენენ ქართული ენის „ძმას“ [71] და რამდენი ასეთი დოკუმენტის მოტანა შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ რუს კოლონიზატორებს კარგად ესმოდათ ყოველივე ეს, მაინც თავიანთი რუსიფიკატორული მიზნებიდან გამომდინარე, ყოველივეს ყრუდ ხვდებოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ სვანეთი საქართველოსაგან განსხვავებული და არა-ქართული მხარეაო.

რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, XX საუკუნის დამდეგიდანაც გრძელდებოდა. რუსეთის თვითმპყრობელობის მესვეურნი განსაკუთრებული ძალით დევნიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოში. მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სვანეთში, სადაც, როგორც აღინიშნა, სკოლაში სწავლება ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ზოგან ქართული ენა სულ არ ისწავლებოდა [72, 11]. კოლონიზატორებმა ეს ღონისძიება გაატარეს 90-იანი წლების მეორე ნახევარში მთელ დასავლეთ საქართველოს პროვინციებში: სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და სამურზაყანოში. ფაქტობრივად ყველგან აიკრძალა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. მაგრამ მალე სამეგრელოსა

და სვანეთის სკოლებმა ქართულ ენაზე სწავლების უფლება მოიპოვეს, თუმცა მაშინდელი სასწავლო ადმინისტრაცია მაინც ვერ ურიგდებოდა ამ გარემოებას და რეაქციის გამარჯვებით გამხნეებული, ათასნაირ ზრიკებს მიმართავდა, რათა ისევ მოესპო ქართული ენა და ქართულ ენაზე სწავლება“ [72, 10]. რუსეთის იმპერიას სრულებითაც არ აინტერესებდა განათლებული სვანეთი. მან 1911 წლამდე სვანეთში სწავლების საქმეს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. 1911 წელს ბეროს თემში განათლების სამინისტრომ გახსნა 2 კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც ჰქონდა სახელოსნო განყოფილება. იგი მაღალი ტიპის სკოლად ითვლებოდა და ლებულობდნენ დაბალი ტიპის სკოლადამთავრებულებს.

1912-1913 წლებში განათლების სამინისტრომ 4 წლიანი შრომითი სკოლები გახსნა წვირში, მურშეკლში, ლენჯერში, ეცერსა და ჭუბერში [34, 77]. 1913 წელს ზემო სვანეთში იყო 14 დაწყებითი სკოლა, რომელშიც სწავლობდა 200 მოსწავლე [34, 89]. მძიმე იყო დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა ბედი. ისინი სწავლას ვერ აგრძელებდნენ მშობლების სიღარიბის გამო. ეგ. გაბლიანის აღნიშვნით, „სწავლა-განათლების საქმე სვანეთში წინ ვერ წავიდა, ამისი უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ ადგილობრივთა სწავლის გათავების შემდეგ ბავშვის მშობლებს სიღარიბის გამო საშუალება არ ჰქონდათ, რომ თავისი შვილი სვანეთს გარეთ, სადმე სწავლის გასაგრძელებლად და დასამთავრებლად გაეგზავნა“ [21, 158]. ასეთ სწავლას სვანეთში „უმიზნო“ სწავლას უწოდებდნენ და ბავშვებს სკოლაში არ უშვებდნენ [73, 147]. და მხოლოდ ერთეულები ახერხებდნენ სვანეთიდან წასვლას და სწავლის გაგრძელებას.

მეტისმეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა სვანეთში მომუშავე მასწავლებლებს. 1912-1914 წლებში ზემო სვანეთში მომუშავე მასწავლებელი ვ. ძიძიგური ამ მდგომარეობას ასე გადმოსცემდა: „სვანეთის მასწავლებლებს გული აქვთ გატეხილი... სასწავლებელში, სადაც ოთხი-ხუთი მასწავლებელია, ოცს-ოცდაათს მაინც არ აღემატება მოწაფეთა რიცხვი და სადაც ერთკლასიანი სასწავლებელია და ერთი მასწავლებელი, იქ ზომ ზუთიდან შვიდამდეა მოსწავლე. გულავარდნილი მასწავლებელი ფიქრობს: ხალხი არ მიმადლის, მთავრობა იქნებ წელს ვერ მოვიდეს, გზა არ არის და კვალი... ასეთ პირობებში გულს იცრუებს თავის ხელობაზე“ [73, 132]. მასწავლებლებს გარდა აღნიშნულისა, ეძლეოდათ ძალზე მცირე ხელფასი, რომელსაც ხშირად ვერ ლებულობდნენ კიდევც. უგზოობის მეტად რთულ პირობებში ხშირად ხელფასსა და ფოსტაზე ცაგერში უხდებოდათ

ჩასვლა, რაც დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ისინი მოკლებული იყვნენ ელემენტარულ პირობებს. თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეებს სრულებით არ აინტერესებდათ სვანეთში მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესება. მძიმე პირობების გამო სვანეთში დიდი იყო მასწავლებელთა დენადობა, რაც ისედაც უღიმღამო სასწავლო პროცესზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა.

მიუხედავად აღნიშნული მძიმე პირობებისა, ამ საქმეს ენერგიულად ემსახურებოდნენ: ეგ. გაბლიანი, ბ.ი. კერესელიძე, ვ. ძიძიგური, ივ. გუჯეჯიანი, ს. ბახტაძე, ა. მარგიანი, მ. კვაჭაძე, გ. ნიჟარაძე და მრავალი სხვა.

„ისტორიას ესაჭიროება ჭეშმარიტება“ – წერდა სტრაბონი. ამ გაგებიდან გამომდინარე, იგი ჯერ კიდევ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, სასტიკად აკრიტიკებდა ისტორიის გამყალბებლებს – „შემთხვევლებს“, რომლებიც ავტორისკე სიტყვებით რომ ვთქვათ – „მლიქვნელობაზე უფრო ზრუნავდნენ ვიდრე ჭეშმარიტებაზე“ [74, 139]. ეს გამონათქვამი სწორედ რომ ეხება XIX საუკუნის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით შეიარაღებულ საქმოსნებს, რომელთა უმრავლესობამ საერთოდ საქართველოს და, კერძოდ, სვანეთის ისტორია, მისი კულტურა დამახინჯებულად ასახეს. ჭეშმარიტება მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ბევრი ქართველი მოგზაური და მკვლევარიც ცოდავდა. სვანეთის კულტურულ წარსულიდან ძირითადად ასახვას პოულობდა ის დებულებანი, რომლებიც ამ მხარის წარსულს მხოლოდ „ჩამორჩენილის“ ჩარჩოში აქცევდა. მათი წყალობით „ისტორიის წილიდან“ არამართებულად ჟონავდა სვანთა ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური ყოფის და, საერთოდ, ამ მხარის განვითარების დონე. საბედნიეროდ, ისტორიის გამყალბებლებს წინ აღუდგნენ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჭეშმარიტების დამცველი მკვლევარები, რომელთაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეშივე და შემდეგ საბჭოური რეჟიმის პირობებშიც კი საკადრისი პასუხი გასცეს ფალსიფიკატორებს, რომელთა დებულებაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანეთი მთელი თავისი არსებობის მანძილზე იღვანე ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ფერხულში და მისი სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარება ყოველთვის პასუხობდა საერთო ქართულ სახელმწიფოებრიობის დონეს.

СВАНЕТИ В XIX ВЕКЕ

Резюме

В многовековом историческом развитии Грузии по объему значительных общественных явлений и событий XIX век занимает совершенно особое место. Целый ряд огромных перемен начался на заре этого столетия, когда Россия осуществила аннексию Восточной Грузии и постепенно завоевала малые и большие политические единицы Западной Грузии. После этого на протяжении всего XIX века происходило политическое, экономическое, социальное и культурно-религиозное закабаление Грузии Россией и национально-освободительная борьба грузинского народа против своих поработителей.

Вначале процесс наглой и бесстыдной аннексии, затем насильственное внедрение российского правления, упразднение автокефалии церкви Грузии, преследование грузинского языка и грузинской культуры, борьба за выживание грузинской нации и многое другое целиком и полностью коснулись горных районов Западной Грузии и, в частности, Сванети. Как разворачивались указанные события в этой органичной и неотъемлемой части Грузии, как вписывались эти события в общегрузинскую историю и какова их оценка с высоты сегодняшнего дня — таковы вопросы, объективное освещение которых в комплексно-монографическом аспекте составляет главную задачу данной работы. Естественно, осуществление данной задачи не представлялось возможным без освобождения от антинаучных воззрений и оценок поборников завоевательной политики Российской империи XIX века и затем марксистско-ленинских методологических оков советского периода.

Сегодня, когда Грузия стоит на долгожданном пути независимого развития и неуклонно растет интерес к ее историческому прошлому, как страны древнейшей цивилизации большое значение

приобретает освещение истории ее отдельных регионов, в данном случае, Сванети в свете современных требований.

Следует признать, что изучению истории Сванети наши историки всегда уделяли большое внимание. По целому ряду вопросов по истории Сванети XIX века они уже сказали свое веское слово, но жесткие рамки периода советской власти не давали возможности объективного подхода к исследованию, анализу и оценке этих вопросов. Были вопросы, такие значительные, как религиозный и другие, которые вообще подвергались игнорированию. В таких условиях несмотря на усилия исследователей, вопросы порой освещались ими односторонне и тенденциозно, а в ряде случаев туманно и даже неправильно. В силу этого многие принципиально важные вопросы остаются спорными и нерешенными, поэтому отдельные выводы, положения и оценки, вошедшие в научный оборот, безусловно требуют пересмотра и переоценки. Из научной литературы, связанной с историей Сванети, ясно видно, что при исследовании прошлого этого края основное внимание уделялось и уделяется изучению пережитков прошлого, сохранившихся в общественном быту, в результате чего общие закономерности развития равнинных и горных (в данном случае Сванети) районов Грузии в определенной мере оставались в тени. В результате такого метода исследования общественное развитие Сванети XIX века представлено более отсталым, чем это было в действительности.

Определенная часть исследователей главным назначением исследования истории горных регионов Грузии считает выдвижение на передний план их отличительных специфических особенностей, тем самым придавая менее важное значение исследованию общих закономерностей развития горных и равнинных областей Грузии, что, по нашему мнению, наносит меньший ущерб историографии края.

Вместе с тем в научной литературе встречается явно преувеличенное утверждение о якобы имеющихся различиях в общественном развитии между отдельными частями внутри Сванети, в частности, между Квемо и Балсквемо Сванети. Ясно, что определять

уровень общественного развития горной и равнинной Грузии по одним и тем же параметрам непропорционально, но географическая среда Квемо Сванети не настолько отличается от Балсквемо Сванети, чтобы вызвать столь существенную разницу в их внутрифеодальном развитии.

В ряде работ необъективно представлено решение таких вопросов, как этническая принадлежность Сванети, ее религиозное положение, просвещение, динамика населения, социальные отношения, экономическое положение, неправильно расценивается значение завоевания Сванети Россией и другие вопросы.

В работе история Рача-Лечхуми и, в частности, история Сванети XIX века освещается на основе сопоставления фактов, сведений и различных материалов, имеющих в исторических архивах Москвы, Ленинграда, ЦГИАГ, Кутаиси; в Институте рукописей им. академика К. Кекелидзе; а также исторических источников, добытых из музеев, различных районов Грузии, прессы, научной литературы, рассказов долгожителей Местийского и Лентехского районов и др.

С особым интересом рассматривается вопрос социальных отношений. Отдельно изложены вопросы социального положения Квемо, Балсквемо и Балсземо Сванети. В связи с этим отмечается, что наименования «Вольная Сванети», «Княжеская Сванети», «Дадишкелиановская Сванети» были введены русскими чиновниками в XIX веке и до того времени в Сванети указанные названия не фигурировали.

Изучены происхождение и этимология рода Дадишгелиани, составлена их генеалогия.

Документально доказывается, что представители рода Дадишгелиани прибыли не из Дагестана, как это сказано в легенде, а имеют местное, сванское происхождение.

В работе о характерном для Сванети XIX века явлении купли-продажи пленных указывается, что оно не ограничивалось рамками классовой борьбы в феодальном обществе, как это утверждалось в советской историографии. Это было далеко идущее явление, ставшее всеобщей общественной трагедией.

В работе определено экономическое положение Сванети. По утверждению автора, в Сванети XIX века скудость полезной сельскохозяйственной площади и сравнительно тяжелые географические и климатические условия препятствовали развитию многоотраслевого сельского хозяйства на высоком уровне, но тем не менее и в тех условиях культура земледелия стояла на высокой ступени развития, что признавали даже многие неблагожелатели-авторы.

В научной литературе почти принято предположение, что в Сванети не могло быть трехпольной, и тем более, многопольной системы земледелия, а также не было орошения. Автор работы доказывает, что и до XIX века и в XIX веке существовали как трехпольное, так и многопольное земледелие, а также и орошение.

Главными отраслями экономики Сванети являлись полеводство и животноводство. В научной литературе существует мнение, что главной отраслью экономики Сванети было скотоводство. По убеждению автора, скотоводство в Сванети XIX века стояло на высоком уровне, но оно не было ведущей отраслью хозяйства. С экономической точки зрения полеводство и животноводство развивались симбиозно и выполняли равноценную роль в жизни сванов.

Автор доказывает, что в Сванети XIX века были развиты пчеловодство («лигоб») и птицеводство («мепориел»), причем, пчеловодство выполняло в хозяйстве более серьезную роль, чем птицеводство.

В исследуемый период, и можно сказать, и исторически, занятие охотой («литхвар») играло вспомогательную роль. В то же время отмечено, что в соответствующей литературе преувеличена роль охотничьего промысла, без которого якобы сваны не могли существовать.

Рыболовством («ликлмахи») в Сванети занимались в малых масштабах, что и обусловило его незначительную роль в экономике.

В исследуемый период в Сванети на сравнительно высоком уровне находился семейный промысел. Население Сванети с ранних пор использовало в хозяйстве полезные ископаемые. В

условиях ведения натурального хозяйства сваны сами производили все необходимые для существования предметы и орудия. Они занимались кузнечеством, плотничеством, домашним ткачеством (изготавливали шерстяные изделия), шитьем, вязанием, вышиванием, обработкой кожи, мыловарением и др.

В работе подчеркивается, что большое значение в экономике страны имел уход сванских мужчин на заработки, что являлось не только средством облегчения тяжелого материального положения сванов, но и способствовало приобщению к передовой культуре, приобретению опыта и знаний, которые распространялись и внедрялись в Сванети. Уход на заработки был связан также с вовлечением Сванети в торговые сношения. Повидимому, население горного региона Западной Грузии — Рача-Лечхуми и Сванети занималось торговлей как внутри страны, т.е. между собой, так и с равнинными областями и Северным Кавказом, а иногда и с Россией. Но торговля не приняла здесь широких масштабов, так как в исследуемый период не существовало соответствующих коммуникационных средств и других возможностей.

Что касается аннексии Сванети Россией, то этот вопрос автором разработан более досконально. Первым шагом, предпринятым Россией в этом направлении, было присоединение Квемо Сванети совместно с Мегрельским княжеством в 1803 году.

С первых же лет XIX века до 30-ых годов того же века Россия с помощью мегрельских князей и другими способами пыталась подчинить себе Земо Сванети, но добилась цели лишь в 1832-1834 годах сперва подчинением Балсквемо Сванети, а в 50-ых годах Балсземо Сванети. Этот акт был хотя и реакционным, но в некоторой степени и значительным.

Автор тщательно изучил вопрос проведения крестьянской реформы в Сванети и на этом основании внес поправки в имеющиеся в научной литературе некоторые ошибочные высказывания по этому вопросу и уточнил многие детали. В работе отмечено, что царские чиновники провели крестьянскую реформу в Сванети на основе соображений отдельных лиц, совершенно не изучив истинного положения дел в вопросе землевладения на месте. В 1866

году они отменили крепостное право в Квемо, т.е. в Дадияновский Сванети (вместе с Мегрельским княжеством), за чем последовала отмена крепостничества в 1871 году в Балсквемо и Балсземо Сванети. Тогда крестьянская реформа не коснулась той части Балсквемо Сванети (т.н. Дадишгелиановской части Чубехеви или Пари), которая была передана казначейству в 1860 году из-за убийства кутаисского генерал-губернатора А. Гагарина Константином Дадишгелиани. Поэтому там крепостничество пало механически, а остальные общины сел Пари и Чубехеви были переданы казначейству.

Исполнение феодальных повинностей в пользу помещиков прекратилось в Бечо в 1871 году, при том, что здесь вовсе не была введена временная обязанность, однако между Дадишгелианами спор по вопросу землевладения завершился лишь в 1898 году.

Крестьянская реформа в Земо Сванети фактически в неприкосновенности оставила крестьянам находящуюся в их пользовании землю. Крепостные крестьяне получили личную свободу, в чем и выразилось прогрессивное значение крестьянской реформы.

В результате реформы крестьянство Квемо Сванети выкупило свои земельные наделы. Но часть этих наделов присвоили себе Геловани и Гардабхадзе, а Дадияни получили полный выкуп за наделы.

В пореформенной Сванети самыми трагическими событиями в политической жизни были крестьянские волнения и восстание 1875-1876 годов. Это восстание, начавшееся сознательно, расширилось, но затем приняло стихийный характер. Оно протекало изолированно и не было связано с крестьянскими выступлениями других регионов Грузии. Несмотря на это движение имело прогрессивный характер, если учесть его причины, характер и задачи. Оно было направлено против колониальной политики царизма и по своему содержанию являлось составной частью национально-освободительной борьбы, которую вел грузинский народ на протяжении XIX столетия.

В работе дана первая попытка характеристики религиозного положения Сванети XIX века. Отмечено, что сванетские церкви в средние века имели своих собственных «кверебископосов»

(Корепископов), которые подчинялись цаишским и цагерским архиепископам. Автор предполагает, что Сванети не имела своего епископа. Автор отмечает, что в ведении сванетских многочисленных церквей находилось большое число священнослужителей: хуцеби, модзгвребы, береби, дьяконы и др. Они имели одно общее название — «бап» или «пап», которые, по оценке автора, внесли неоценимый вклад в дело защиты христианской церкви Сванети и сохранении святости и незыблемости христианской религии среди сванов. По мнению автора, христианская вера прочно укоренилась в сознании сванского населения. Поклонение иконам играло огромную роль в жизни сванов. Автор отмечает, что сохранившиеся от дохристианской эпохи незначительные пережитки не мешали утверждению господствующего положения христианской религии в Сванети. В работе изучен вопрос просвещения и образования сванского населения.

Под руководством и при содействии передовой грузинской интеллигенции местные просветители вели неустанную борьбу против ассимиляторской политики России и на передний план выдвигали проблему просвещения и образования населения Сванети.

С 90-ых годов XIX века сваны получали следующие газеты и журналы: «Иверия», «Цнобис пурцели» (Вестник), «Квали» (Борзда), «Новое обозрение», «Кавказ», «Петербургские ведомости», «Нива» и др., что позволяло им не отставать в своем культурном развитии от остальных регионов Грузии. В конце XIX века в Сванети открылись книгохранилища.

Подытоживая вышесказанное, автор утверждает, что Сванети, как неотъемлемая часть Грузии на протяжении своего существования всегда шла в ногу с грузинским народом по пути достижения заветной цели и во всех отношениях отвечала общегосударственным интересам Грузии.

THE HIGHLANDS OF WESTERN GEORGIA – SVANETI – IN THE 19th CENTURY

Resume

The 19th century is distinguished for its volume of events in the millennium-aged history of Georgia. The entire chain of these novelties commenced at the dawn of the above mentioned century when Russia annexed Eastern Georgia and gradually started capturing big or small political entities of Western Georgia too. After this the whole 19th century was marked by political, economic, social, cultural and religious oppression of Georgia by Russia which provoked the national liberation struggle of Georgian people.

The outrageous and awful annexation of whole Georgia by Russia, then forcible introduction of Russian government, abolition of religious autonomy, language persecution, fierce fighting of Georgians against elimination of Georgian cultural life and other evils fully touched the highlands of western Georgia, particularly, Svaneti. How the above mentioned and other events in ancient Georgian region Svaneti developed, how it was viewed in common Georgian life – the open-minded discussion of these problematic issues is the main task of this work.

It is natural, that the fulfillment of this task was impossible until we became free from antiscientific viewpoints and evaluations of advocates of the 19th century Russian empire's expansionist policy and later from the shackles of Marxist and Leninist methodology of Soviet period.

Today when Georgia is on the long-desired way of independent development, when continually arouses the interest in its rich, millennium-aged history, modern elaboration of the history of its regions (Svaneti in our case) obtains the great importance.

Truth will be served if we mention that the study of Svaneti's history does not lack the attention of our historians. They have already stated their opinions on some questions of the 19th century history of Svaneti; but 70-year-long strict Soviet dogmatic scopes did not allow them ob-

jective approach, analysis and evaluation of the questions. Some important questions, such as religion, were entirely ignored. In such circumstances, despite the researchers' desire, questions were elaborated partially, blurry and wrongly. That is why a lot of principal and serious questions remain disputable, some of them have not been touched at all, some current conclusions, statements and assessments need to be revised and corrected.

As is evident from historical scientific literature pertaining to Svaneti, during the investigation of historical past of this region more attention has been drawn to the study of the survivals of past in social existence of Svaneti, which put in shadow the single development laws for Georgian highlands (e.g. Svaneti) and lowlands. That methods exerted appreciable influence on the reflection of the exaggerated backwardness of social development of the 19th century Svaneti.

For some researchers the main purpose of investigation of Georgian highlands' history is the unveiling of the distinctive specific sides of existence there. They consider it less important to reflect single laws of development for highlands and lowlands, which, in our opinion, is harmful for Georgian historiography.

Besides, in scientific literature we meet allegations that there is a vast difference in social development between Lower and Upper Svaneti. It is obvious, that the social development of highlands and lowlands should not be estimated with the same measure, but geographical conditions of lower and Upper Svaneti are not so different to cause such distinctions in their feudal development.

A number of works give biased judgement on ethnic belonging of Svaneti, its religious situation, education, population dynamics, social relations, economic position. They give wrong assessment of Russian annexation of Svaneti and other questions.

The materials of historical records from Moscow, Leningrad, Tbilisi, Georgia's Central State Historical Archive, Kutaisi historical archives, Tbilisi K. Kekelidze Institute of Manuscripts, museums of different regions of Georgia, historical sources of Svaneti, scientific literature, press, stories of old history-tellers from Mestia and Lentekhi districts and other data are summarized in this scholarly work, which gives reliable history

of the 19th century Racha-Lechkhumi and, particularly, Svaneti.

The questions of social relations are described with special interest. The work describes separately the social status of Lower, Below Bali and Above Bali Svaneti. In this connection the work explains that such names for Svaneti as “Free”, “Masterless”, “Sadadishgeliano” were introduced in the 19th century by “Russian officials” and before that those names did not exist in Svaneti. The origination and etymology of the Dadishgelians have been studied and their genealogy has been drawn. The work confirms that the Dadishgelians did not come from Dagestan as it is conveyed by the legend, but they are of local Svan and Georgian origin.

Captive-trade was characteristic for the 19th century Svaneti. In our opinion, this event should not be limited “within the framework of only the class struggle of feudal society” as it was maintained by Soviet historiography, but it was more far-reaching common scourge and tragedy.

The economic position of Svaneti is elucidated in the work. The author proves that in the 19th century, as well as in the previous epochs, the lack of arable lands, comparatively severe geographical and climatic conditions did not allow the Svans to highly develop diverse economy, but notwithstanding the hard natural conditions husbandry was at high level in Svaneti, which was acknowledged even by the most of malevolent eye-witness authors of the 19th century.

The suggestion that three-field or multi-field systems and irrigation never existed in Svaneti is almost accepted by scientific literature. The author of above mentioned work maintains that in the 19th century and before that three-field, multi-field systems and irrigation were realities in Svaneti.

